114
1965/4

[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართველი

114/4

1965

6

4

მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 42-ე № 11 ნოემბერი, 1965 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

გიორგი ლეონიძე — ლექსები 3

ალექსანდრე ქუთათელი — ის გიზიდავდათ. ლექსი 5

გრიგოლ ჩიქოვანი — სიკვდილის გზა. ოდიშური მოთხრობებიდან 6

შოთა ნიშნიანიძე — ლექსები 26

ლადო ავალიანი — ახალი ჰორიზონტი. რომანი. გაგრძელება 30

თამარ ერისთავი — ლექსები 64

სილოვან ნარიმანიძე — ლექსები 66

გურამ დოჩანაშვილი — ხელოვნების კაცი. მოთხრობა 68

ალ. ტვარდოვსკი — შორეთს იქითა შორეთი. პოემა. დასასრული. თარგმანი ოთარ ჭელიძისა 75

ფრიდრიხ დიურენმატი — ავარია. მოთხრობა. თარგმანი გერმანულიდან ნოდარ რუხაძისა 89

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ოტია პაჭკორია — „მე და სიყვარულის“ გამო 120

800 შოთა რუსთაველი 800

აკაკი შანიძე — დღევანდელი ვითარება ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში. დასასრული 131

ხელოვნება

გულნარა ჯაფარიძე — უჩა ჯაფარიძე 148

ქეთევან ხუციშვილი — კოტე მარჯანიშვილის „თავისუფალი თეატრი“ 154

99 ეკ.

საქართველოს სსრ. სსკ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
თბილისი

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ფაქტები, მოგონებანი

მიხეილ კვესელავა — ათასი ფუთი ბრალდება. გაგრძელება 160

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნების მიმოხილვა

ნ. **პაიჭაძე, კ. თარგამაძე** — ნაშრომი საქართველოს სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების შესახებ 186
გურამ ბათიაშვილი — მოთხრობები კეთილ ადამიანებზე 189
ს. ჩიტაური — ხუმრობა და ხიფათი 190

რედაქტორი: **გრიგოლ აბაშიძე**

პ/მგ. მდივანი: **ვ. წულუკიძე**

სარედაქციო კოლეგია:

დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, ვ. მარგველაშვილი, ე. მალრაძე, ბ. ულენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი, ს. შანშიაშვილი, გ. ჯიბლაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/XI-65 წ. ქაღალდის ზომა 70×108. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12^1/_2$. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16.
უე 03479 ტირაჟი 6500. შეკვეთა № 3455.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძე

წინაპართა შემოხედვანი

ხან სევდიანი წარსულისაც თუ ვარ მხედარი,
შორეულ ელვამ თუ კალამი დამისხიურა, —
მე გულს მესობა წინაპართა შემოხედვანი,
უწყალო მზერა მე მამოწმებს ყოველდღიურად!

ორპირ მახვილის უბასრესი გამკვეთელობით
შუა გამიყო სისასტიკით სული და ტვინი, —
მე აღარ ვიცი, სახლი ჩემი ვამკევ ხელობით,
თუ შეურაცხვჰყავ...
ეს ლექსია, თუ ფარატინი?

მწარედ მაწუხებს,
მამარწუხებს სიშიშვლე ძნელი!
სამშობლოს კოშკის გამოვდექი უღონო მცველი!..
დღითა თუ ღამით, მაინც ნობათს არ დავცდენილვარ,
ვდგევარ,
აჩრდილნი, სადაც ხმლებით გადაწვენილან...

* * *

როგორ დაეტყო ავი ამინდი
ჩემს თმას უხილავ ხელით მოვერცხლილს...
დღენი მიჰქრიან. სიცოცხლე მიდის...
გაზაფხული კი მოდის ყოველწლივ.

ყველა ყვავილი უკან ბრუნდება,
ისევ მოსძებნის თავისს სამყოფელს,
ფერი ბრწყინვალე არ უხუნდება
მიწას მშობლიურს — დიდ მენაყოფეს.

მიმჭკნარა ჩემი ყრმობის ვენახი,
მაგრამ საწნახელს მაინც ვაშენებ...
კიდეც დავწურავ ძველი სილაღით,
ახალ რქაწითელს შემოვაშველებ.

დაე, მის ფესვმა კიდევ იბარტყოს,
ფრთა უელავდეს მზით დაბზინული,
მაშინ, ჭაღარა ჩამოვიბერტყო,
ვით მუხის ტოტმა თოვლის ზვინული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გადამივიწყე...
ახლა წვიმაა.
ვით გვალვა წვიმას, შენ მოგიწყურებ...
მე ვადღეგრძელებ შენს მოგრძო თვალებს
უხილავ სევდით ამოკირწყლულებს,
არაგვის გმინვას,
ჭადრის მჭკნარ ფოთოლს
და მთებში დაჭრილ ირმების წყლულებს...

ჩემი ოცნება მიაქვთ წეროებს,
ნეტავ თუ ისევ დამიბრუნდება!
მე მცივა, როგორც ხის კენწეროებს...
შენ დამივიწყე...
ნისლი ბუნდდება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღექსანდრე ქუთათელი

ის გიზიდავდათ

აკაკი შანიძეს, გიორგი წერეთელს,
ირაკლი აბაშიძეს

რამ გადაგხვეწათ პალესტინაში,
ვით მთაწმინდელი მამა ექვთიმე,
რომ ქვითინებდა ჯვარცმის წინაშე,
ურდოს ურჯულოს არ გავეთიბეთ.

დგახართ მლოცველთა ციებ-ცხელებით
ჯვრის მონასტერში შოთას საძებრად
და აგიწვდიათ მწირი ხელები
ზღვაში ჩაძირულ გემის ანძებად.

ცივ აკლდამაში ტყვრებოდა ძვალი,
ბაღში ზეთის ხილს წყუროდა ნამი
და ყრუ ფათურის უხილავ ძალით
იშმუშნებოდა ბებერი ჟამი.

მყის შემოგესმათ, როგორც ოსანა,
ხმა, ჯადოქარმა რომ გამოძერწა.
შემოგახვიათ მგოსანთ მგოსანმა
სიტყვა ქართული ვენახის ლერწად.

არ წაიშლება რუსთველის ენა
ბრძენი, გრძნეული, ტკბილი, კეთილი,
წმინდა წყაროსებრ უწყვეტი დენა,
ჩუქურთმა უცხოდ გამოკვეთილი.

ის გიზიდავდათ პალესტინაში,
ვით მომლოცველებს მექა-მედინა
და რუსთაველის ხატის წინაშე
სიამის ცრემლი გადმოგედინათ.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჩიქოვანი

სიკვდილის გზა

ოდიშური მოთხრობებიდან

თაია რიონისპირას იჯდა. მზით გარუჯულ, ეკალ-ბარდით დაკაწრულ ფეხებს გაალმასებით უშენდა წყალს, მაღლა ავარდნილ შხეფებს სახეს, მხრებს, მკერდს უხვედრებდა. წყალი თბილი იყო, დუბელა, მაგრამ მაინც წყალი იყო და ხვატისგან გაწამებული გოგო ჟინიანად წიოდა, სველი თმა თითქოს იკბინებოდა, თავს აქნევდა, არ უნდოდა ტანზე მიჰკროდა. თვალები და კბილები ზანგის გოგოსავით უელავდა. რიონი წელან გადაცურ-გადმოცურა და მაინც წყალს ეთამაშებოდა, მაგრამ ფიქრით მამასთან იყო, დაღმა დასცქეროდა მდინარეს, მამას ელოდა ყულევიდან.

აქედან ყულევამდე ტყესა და ჭალაში მრავალი დიდი და პატარა ჭაობი იყო ჩასაფრებული, პირღია, შხამიანი და მუხთალი, ხაფანგივით უჩინო ბარდსა და ნარში, ისლსა და ნისლში. არავინ იცოდა, სად ჩაიტაცებდა უძირო და ულმობელ ხახაში. ამიტომ მამის დაბრუნებამდე გული საგულეს არ ედო თაიას.

რიონი აქ ფართოდ გაშლილი მოედინებოდა. მისი მომწვანო წყალი, თითქოს გრძნობდა თავისი გრძელი გზის დასასრულს, ანელებდა ძლიერ დინებას, მდორედ და დინჯად უახლოვდებოდა ზღვას.

გახურებული ჰაერი უძრავად იდგა. მოთენთილი, მოდუნებული ტყიურნი ფრთებჩამოყრილი და ნისკარტდაღებული ისხდნენ ტოტებზე. შელახული ფოთლები მძიმე, თავბრუდამხვევ სურნელს აყენებდა. უღრანი გარინდული თვლემდა. მხოლოდ ჭაობის მრისხანე ბუყბუყი და კოდალას კაკუნი არღვევდა სიწყნარეს, აქა-იქ მოუსვენარი ციყვი გაიშლიგინებდა ხმელ ფოთლებში, მერე ფხაჭაფხუჭს ატეხდა ხეზე, ათასში ერთხელ ქედანი დაიღუღუნებდა და ჩხიკვი დაიჟივლებდა.

თაიას გვერდით, ბუჩქის ჩრდილში დაჩხირიას[1] ეძინა. ძაღლი ბრტყლად იყო გაკრული მიწას, ენაგადმოგდებული გაჩქარებით სუნთქავდა, ფერდები სწრაფად აუდ-ჩაუდიოდა, თვალს წარამარა ახელდა და თაიას შეხედავდა. დაჩხირია ღამით ძროხებს უდგა ქართაში, დღისით კი თაიას არ შორდებოდა. ის იყო თაიას ერთადერთი მეგობარი ამ უკაცრიელ ტყესა და ჭაობში. არც მას გააჩნდა თაიას გარდა არავინ.

თაია ყოველთვის აქ უცდიდა ჯამლეთს. მაღალი, მხრებში მკვრივად ჩასხმული, კუზიან მუხასთან გამოვიდოდა ტყიდან. უდროოდ გაჭაღარავებული, ზამთარ-ზაფხულ შიშველი თავი გამოჩნდებოდა ისლნარს ზევით, გაივლიდა ასიოდე ნაბიჯს, მერე გამოჩნდებოდა მხრები, გავიდოდა რიონისპირა ბილიკზე და დიდხანს, დიდხანს მოდიოდა. ასე ეჩვენებოდა გულშექანებულ თაიას. როგორც კი ჯამლეთი ბილიკს დაადგებოდა, დაფეთებული წამოფრინდებოდა, სწრაფად გადაივარცხნიდა თითებით თმას, ჩამოისვამდა კაბის კალთაზე ხელებს და განაბული, შიშითა და მღელვარებით შეჰყურებდა. არა-

[1] ცეცხლა.

სოდეს არ შეეგებებოდა. როგორც კი მოუახლოვდებოდა მამა, კარავში გაიქცეოდა, ან ბოსტანში შევარდებოდა, ან ქართას დაუწყებდა დაგვას. გული კი მამასთან ჰქონდა, ქვეყანას ერჩია მისი ერთი ღიმილი, ერთი სიტყვა.

ფაია რომ კაბის კალთაზე ხელებს ჩამოისვამდა, დაჩხირია უმალვე წამოვარდებოდა, ერთს შეჰყეფდა თაიას — წადი, დაიმალეო, და თვითონ ჯამლეთის შესაგებებლად გარბოდა.

მეგრელისთვის გოგო ზედმეტი ბარგი იყო ოჯახში. შრომაშიც ურგებად მიაჩნდათ და ომშიაც. ოდიშში მამას რომ ჰკითხავდნენ, რამდენი შვილი გყავსო, მხოლოდ ვაჟებს დაუსახელებდა, ქალიშვილს კი შვილად არ თვლიდა.

ჯამლეთის ცოლსა და ორ პატარა ბიჭს ისქანდერ ალის მოთარეშე თურქები დაესხნენ ყანაში. ცოლს რომ ვერ მოერივნენ, იქვე აკუწეს, ბავშვებს ხელები გაუკრეს და წაასხეს.

თაია იმ დროს შინ იყო, სამხარს უმზადებდა დედასა და ძმებს. „ერთი ბიჭი მაინც შემრჩენოდა, რაღა გოგო შემატოვა უფალმა!“ — ფიქრობდა ჯამლეთი და პირს არიდებდა თაიას, რომელიც ლეკვივით თვალში შესციცინებდა.

სანამ დადიანი ოდიშიდან ისქანდერ ალის ალაგმავდა, ტყეში გაჭრილი ჯამლეთი მასავით თავზეხელაღებულ კაცებთან ერთად თურქთა ბანაკებს აწიოკებდა. არც ძარცვავდნენ, არც იარაღს ხსნიდნენ — შეუბრალებლად, დაუნდობლად ხოცავდნენ. მათი მსხვერპლი ჩვეულებრივ მოკლულს არა ჰგავდა. დახედავდნენ თუ არა, იტყოდნენ, ჯამლეთ ზარანდიას და მისი კაცების მოკლულიაო.

ოდიშიდან ისქანდერ ალის განდევნის შემდეგ ჯამლეთმა სახლ-კარი რამდენიმე ძროხაში გადაცვალა, წამორეკა საქონელი და ყორათის ტყეში ჩასახლდა. აქ ნახევარი დღის სავალზე არავინ ცხოვრობდა. ხალხისგან განდგომილმა აქ იმიტომ დაიგდო ბინა, რომ ყულევის ნავსაყუდელთან ახლო ყოფილიყო, რათა იქ განეგრძო შურისგება საჯარო ხომალდებიდან გადმოსულ თურქებზე. ვერ იქნა ვერ „გაძღა“ თურქის სისხლით. წესად დაიდო: ყულევში ყოველ ჩასვლისას თითო თურქი მაინც მოეკლა. უვლიდა ძროხებს, ნადირობდა, თვეში ერთხელ ნანადირევი და ყველი ყულევში ჩაჰქონდა მედუქნე კიწი წოწორიასთან, დუქნის ერთ კუთხეში მაგიდას მიუჯდებოდა და მთელი დღე სვამდა, ნელა, ცოტ-ცოტას, ვიდრე მაგრად არ მოეკიდებოდა ღვინო. გამხმარ, დამარილებულ თევზის გარდა, არაფერს ჩაიდებდა პირში, რომ მეტი დაელია და უფრო მოკიდებოდა ღვინო. მარტო არასდროს სვამდა. სულ ერთი იყო, ვის დაალევინებდა. სხვასთან ორ იმდენს სვამდა. გასამასპინძლებელი კი ყოველთვის იყო დუქანში, იქაური ხელოსანი, მეზღვაური თუ უცხოელი.

კიწი წოწორიას დუქანს, რომლის აბრაზე ქართულად, ბერძნულად და თურქულად „ოქროს ვერძი“ ეწერა, მუშტარი არასოდეს გამოელეოდა. ვინ არ მოდიოდა აქ: ფრანგი, ესპანელი, ბულგარელი, თურქი, ბერძენი, გერმანელი და ინდოელიც კი. რა ხელობის კაცი არ შემოდიოდა: მეზღვაური, ვაჭარი, მოგზაური, მეკობრე, ქურდი, აბრაგი.

მაგიდასთან ეცნობოდნენ ერთმანეთს, რიგდებოდნენ, თანხმდებოდნენ, მოსდიოდათ ჩხუბი, იღვრებოდა სისხლი. წოწორიას დუქანი მუშტარს იზიდავდა ოდიშური ღვინით და არყით, ნადირის მწვადით, კოლხური ხოხბითა და მწყერით. მაგრამ კიწის მუშტარი სულაც არ ენაღვლებოდა. დუქანი თვალის ასახვევად ჰქონდა: მისი შემოსავლის წყარო ნაძარცვ-ნაქურდალი იყო. ძველ მეკობრეს, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე თვითონ ძარცვავდა და კლავდა, ახლა, სიბერის ჟამს, ჯერ კიდევ ხელში ჰყავდა ყველა ქურდი და მკვლელი, მეკობრე და აბრაგი, დუქნიდან გაუსვლელად უძღვებოდა მათ, მის დაუკითხავად ვერც ხომალდს დაესხმოდნენ, ვერც დუქანს გატეხდნენ.

ვერც ტყვეს გაყიდდნენ და ვერც ნაქურდალ საქონელს. ყულევში მისი შიშით ქვაც კი ძრწოდა.

ჯამლეთმა წოწორიას დუქანი იმიტომ აირჩია, რომ ამ დუქანში ბევრი თურქი იყრიდა თავს. თანაც, დუქნის წინ, მოედანზე, ბაზარი იყო. აქ ყიდდნენ ტყვეებს, ცვლიდნენ საქონელს. ბაზარში მილეთის ხალხი ირეოდა. მოსაკლავ თურქს რომ შეიგულებდა, შევიდოდა დუქანში და სმას იწყებდა. ფხიზელი ვერ აღმართავდა სატევარს ადამიანზე, თუმცა მტერს ადამიანად არ თვლიდა. მტრად კი მხოლოდ თურქი მიაჩნდა. ერთადერთი კაცი, რომელსაც წოწორიას რიდი არა ჰქონდა, ჯამლეთი იყო.

დუქნიდან ბინდისას გავიდოდა. წოწორიას გამოემშვიდობებოდა, ეტყოდა, შინ მივდივარო, მაგრამ შინ კი არა, იმ შეგულებული თურქის მოსაძებნად მიდიოდა. მხოლოდ ერთმა კიწი წოწორიამ იცოდა, რისთვის მოდიოდა ჯამლეთი ყულევში, სად მიდიოდა დუქნიდან გასვლის შემდეგ და ვის აუგებდა წესს. თუ იმ საღამოს ვერ გაუსწორდებოდა ჯამლეთი მტერს, მეორე დღეს ისევ სვამდა, მაგრამ ახლა სხვა უბანში და სხვა დუქანში და მანამ არ დაბრუნდებოდა ყორათში, ვიდრე იმ თურქს სიცოცხლეს არ მოუსწრაფებდა.

ვინ იფიქრებდა, რომ ეს ჩუმი და გულჩახვეული მეჯოგე იყო ის · კაცი, რომლის შიშით ღამით ხომალდიდან ვერც ერთი თურქი ვერ გადმოდიოდა. თაია რომ შინ მობრუნებულ ჯამლეთის გატანჯულ და დაქანცულ სახეზე დამცინავ და კმაყოფილების მსგავს ღიმილს დაინახავდა, იცოდა, რომ მამას თურქი ჰყავდა მოკლული. იმ ღამით ჯამლეთის საწოლთან კედელზე ნახშირით ჩამოსმულ ხაზებს კიდევ ერთი ხაზი ემატებოდა. ხაზები კედლის კუთხიდან იწყებოდა და ერთ მტკაველამდე მჭიდროდ იყო ჩამწკრივებული.

ჯავრი ტყეში ერეკებოდა ჯამლეთს. თუ ჭაობის ჩატაცებულ ნადირს დაინახავდა, ამოიყვანდა და გაუშვებდა. ხიდან გადმოვარდნილ ბარტყს ბუდეში ჩასვამდა. თუ გზააბნეულ მგზავრს ან მეჯოგეს გადაეყრებოდა, [illegible] გაუვალ უღრანში გზის ამაო ძებნით იმედგადალეული, შიმშილით და სიარულით სიკვდილის პირამდე მისული, ფეხზე ვეღარ დგებოდა, შინ წაიყვანდა, მოასულიერებდა, ფეხზე დააყენებდა, საგზალს მისცემდა, სამშვიდობოს გაიყვანდა და გზას დაულოცავდა.

ათასში ერთხელ თაიას ყულევიდან შაქარყინულს ჩამოუტანდა. ეს მცირე საჩუქარი დიდი სიხარული იყო მშობლის ალერსსა და ყურადღებას დანატრებულ ბავშვისთვის, რომელიც კვამლით გამჭვარტლულ კარვის კედლებისა და ტყის ბინადარ ნადირ-ფრინველის მეტს ვერაფერს ხედავდა.

შემოდგომაზე და გაზაფხულზე ცა პირს რომ მოხსნიდა და გადაუღებელი, კოკისპირული წვიმა დაფარავდა ჭაობსა და მიწას, გადმოვიდოდა ხობისწყალი, რიონი და ყულევი, წყალს რომ არ წაეღო, თაია კარვის სახურავზე შედგებოდა. თვალს მოავლებდა გარემოს, წყლით დაშინებულ ნადირს ეძებდა, ხმამაღალი ძახილით უხმობდა, მიწას უჩვენებდა. შეჩვეული შველი, კურდღელი და ღორი თვით გამოდიოდნენ კარავთან. თუ ჯამლეთი შინ არ იყო. თაია ქართას კარს გაუღებდა.

ტყიურნი შეეჩვივნენ მის ხმას, ისწავლეს მისი ენა. თაიამაც შეისწავლა მათი ზნე. ზამთრობით, თოვლი რომ დაფარავდა მიწასა და ჭაობს, ტოტსა და ფოთოლს, მშიერი ხოხობი, ქედანი, ტყის ქათამი, შაშვი და ჩხიკვი, ბეღურა და ყვავიც კი საკენკს რომ ვეღარსად იშოვნიდნენ, თაიას მოაშურებდნენ იგი უხვად უმასპინძლდებოდა უმარილო ყველით, ღომისღომით, დაკეპილი ხორცით, ცომითა და ვინ მოსთვლის, კიდევ რა არ ჰქონდა მათთვის შემონახული.

არც საკენკი და არც საჭმელი ისე არ იზიდავდა ნადირსა და ფრინველს, როგორც მისი სიმღერა.

ვარდის დო ჭუჭელეს ართო უღუდესი ბინა,
ჟირხოლო ქიანას უჯინე ღორონთიში
გონარჩქინა.
ვარდის ჯუნა ქოხვადუდა ჭუჭელეს ხვადუ
მიკოჯინა[1].

ეს სიმღერა ფეხის ადგმის დღიდან ისწავლა დედისგან. ნადირთ და ფრინველთ იმიტომ უმღეროდა, რომ ძლიერისთვის უძლური შეებრალებია, მათ შორის სიყვარული დაენერგა.

ჯამლეთი შემთხვევით რომ თვალს მოჰკრავდა ამ სურათს, გაიგონებდა თაიას სიმღერას, ეამებოდა, შუბლი გაეხსნებოდა, თან გაიფიქრებდა — არ გატყიურდეს ეს ეშმაკის ფეხიო.

დღედაღამ მოსვენება არა ჰქონდა **თაიას: წველიდა ძროხებს,** ამოჰყავდა ყველი, ჰგვიდა და ალაგებდა კარავს, ასუფთავებდა ქართას, უვლიდა ბოსტანს. მისი მოწეული ნესვი ენაზე დნებოდა, მის გადაზელილ სულუგუნს თვალს ვერ მოაშორებდი, მის გარეცხილ რძის ნიგასა და ყველის დერგს კრიალ-პრიალი გაჰქონდა. ყველა ამ საქმეს მეკარვე აკეთებს ხოლმე და ქალს არ გარევს, დედაკაცის საქმედ არ მიაჩნია. ჯამლეთი ხედავდა, ხელ-ფეხიდან ცეცხლი სდიოდა თაიას და არ უშლიდა. გული მაინც უკვნესოდა: რაღა გოგო შემატოვა ღმერთმაო.

ერთხელ კიწი წოწორიამ უთხრა, ეგების ჭურჭლის მრეცხავი გოგო მიშოვნოო. მაშინ გადაწყვიტა თაია წაეყვანა იმ მედუქნესთან.

— ყულევში წამომყვები, მოემზადე! — უთხრა მეორე დილით თაიას.

თაიას ეგონა, მომეყურაო.

— რას უდგახარ!

— არ მინდა ყულევში, — თვითონვე შეეშინდა თავისი ნათქვამის.

ჯამლეთი მუხლზე იდგა კარვის წინ და გუდაში ყველს ალაგებდა. თავი მოაბრუნა. თაიამ თვალი გაუსწორა. უნდოდა გაემეორებია, არ მინდა-ყულევშიო, მაგრამ მამის სახეზე დანახა, რომ მისი წაყვანა გადაწყვეტილი ჰქონდა. მორჩილად შეტრიალდა და კარავში შევიდა.

მაშინვე იგრძნო, რომ აღარასოდეს მობრუნდებოდა აქ. რისთვის შემოვიდა, რა აქვს მოსამზადებელი? რაც ზედ აცვია, იმის მეტი რა აბადია? თვალი მოავლო კარავს. სევდიანად შესცქეროდა კედლები, ჭურჭელი, სკამ-ლოგინი. შეეშინდა არ ატირებულიყო, გარეთ გავარდა...

აქ დაჩხირია ჩაუვარდა ფეხებში: წკმუტუნებდა, თითქოს ეუბნებოდა, მამას არ წაჰყვეო. ამან მთლად აუჩუყა გული. ტუჩმოკუმული თავზე ხელს უსვამდა ძაღლს, ამშვიდებდა.

ჯამლეთი მალულად შეჰყურებდა. თაიას გულგრილად ეჭირა თავი. მოლბა ჯამლეთი, კიდევ ცოტაც და ეტყოდა, კარგი, დარჩიო. მაგრამ თაია უცებ გაუწყრა ძაღლს, შებრუნდა და იმ ბილიკს დაადგა, რომლითაც მამა ყულევში დადიოდა.

სახტად დარჩენილი ძაღლი თვალს არ აშორებდა. იგი ისე მიდიოდა, თითქოს ეშინოდა, მისი საცოდაობით არ გადაეფიქრებია მამას გადაწყვეტილება, არ უნდოდა ხელი შეეშალა სურვილის შესრულებაში.

ჯამლეთმა გუდა მოიკიდა, ფეხებგაკრული შველი მხარზე მოიგდო და უკან გაჰყვა თაიას.

თაია თანდათან შორდებოდა კარავს. უნდოდა მოეხედა ძაღლისთვის, ერთხელ კიდევ დაენახა კარავი, სადაც რამდენიმე მწუხარე წელიწადი გაატარა, დაენახა ქართა, ბოსტანი, მაგრამ თავს იკავებდა, რომ ცრემლი არ შეემჩნია ჯამლეთს.

თაია ამ ძაღლივით შეეთვისა ტყესა და ჭაობებს შორის მოქცეულ ნაბდის ოდენა მიწას. როგორც დაჩხირია, კარვის წინ, მიწაზე მიკრულივით რომ იდგა შეშინებული — მეც არ მიმაყოლოს ჯამლეთმა თავის შვილსო, ფეხს არ მო-

---

1 ვარდსა და ჭინჭარს ერთად ჰქონდათ ბინა, ორივე ქვეყანას შეჰყურებს, ღვთისგან გაჩენილები.

ვარდს თუ კოცნა ეკუთვნის, ჭინჭარს ყურადღება მაინც...

იცვლიდა აქედან, მამა რომ არა. იმდენად დიდი იყო ამ კარვის, ქართის, ბოსტნის, ხაშმიანი ჰაერისა და მკვდარი წყლის სიყვარული.

ძაღლმა ვეღარ მოითმინა და ჩუმად აედევნა თაიას.

არ იცოდა თაიამ, რატომ მიჰყავდა მამას ყულევში. იქნებ, მისი შიში სახლკართან პირველი დაშორების შიშია, იქნებ ზღვა უნდა უჩვენოს ბაბამ. იცოდა, რომ ყულევი სადღაც ზღვასთან იყო. იქ ყიდდა ბაბა ყველსა და ნანადირევს და კლავდა თურქს. სხვა არაფერი იცოდა ყულევზე. არც ის იცოდა, რა უნდოდათ იქ თურქებს.

ნაცნობ ჭალებს რომ გასცდა, აღარ იცოდა საით წასულიყო, ნაბიჯი შეანელა და მამა წინ გაუშვა. გველივით წვრილი და დაკლაკნილი ბილიკი ჭაობებსა და ეკალ-ბარდებში მიემართებოდა. საკმარისი იყო ფეხი აგცდენოდა ბილიკზე, რომ ჭაობი გტაცებდა პირს. რა სახიფათო გზით უვლია ბაბას! შიშით შეჰყურებდა, ფეხი არ შეეშალოსო. თავის თავზე აღარ ფიქრობდა, არც იმაზე, რაც უკან რჩებოდა, არ უწყრებოდა მამას. იმას სწუხდა, როგორ იცხოვრებდა მამა მარტო, როგორ ივლიდა ამ სახიფათო გზებზე.

ჯამლეთი მიაბიჯებდა ღონიერი ფეხებით, ისე მაგრა ადგამდა ნაბიჯს, უკვირდა, თაიას ფეხქვეშ მიწა როგორ არ ეზნიქებოდა. რიონის დაბალ ნაპირზე, დაგვალულ ისლნარში ჯამლეთი კიდევ უფრო მაღალი და ახოვანი ჩანდა და ეს როგორღაც უმტკიცებდა ბავშვს რწმენას, რომ მამას მარტოსაც არაფერი გაუჭირდებოდა, ვერაფერი ავნებდა, ვერც ნადირი, ვერც სენი, ვერც ჭაობი და ვერც ავი სული.

ამ ფიქრმა უცებ დაამშვიდა, გაუნელდა შიში. გარშემო მოულოდნელად ყველაფერი გაბრწყინდა, გალამაზდა, სულისშემხუთავი, მოშხამული ჰაერიც ერთბაშად დაიწმინდა, გაგრილდა, ჭაობიც კი გამშვენიერდა, რაღაც ხალისი, სიმსუბუქე იგრძნო. ისე მიდიოდა საიდუმლოებით მოცული ყულევისაკენ თითქოს დღესასწაულზე მიეჩქარებოდა.

ახლო მიჰყვებოდნენ რიონს, ნაპირს. გარკვევით ხედავდა მის მწვანე წყალში თავის ტანს, სახეს. ზევით, კარავთან, რიონი ასეთი წმინდა, ანკარა არ არის. პირველად დაინახა ასე მკვეთრად გამოსახული თავისი ტანის ნაკვთები, ფიცხად ამობურცული ძუძუები, მაღალი კანჭები. რაღაც ბუნდოვანი ჟინით დასცქეროდა წყალს, გული შეუფართხალდა, თავი ასწია, შემკრთალმა ნაბიჯს უჩქარა და მამას დაეწია, მის ზურგს მიაპყრო თვალი. მაგრამ მამის მაგივრად უღრანში გზააბნეული მეჯოგე აესვეტა წინ... კარავთან ათასში ერთხელ გამოჩნდებოდა ასეთი მეჯოგე ან მონადირე, თუ მგზავრი, შეშფოთებული, დაქანცული, უსმელ-უჭმელი, მაგრამ ჰკიდებდა თუ არა ამ ველურ გოგოს თვალს, სახეზე ფერი მოუვიდოდა, შედგებოდა მოჯადოებულივით, ვერც გზას განაგრძობდა, ვერც ხმას ამოიღებდა. თაია ერთს შესცინებდა მარგილივით გახევებულ უცნობს, დაფეთიანებული კარავში შევარდებოდა და იქიდან უთვალთვალებდა იმ მარგილს, ისევ ისე დარჭობილს. გრძნობდა, მან დაარჭო იქ, მან შეუკრა ხელ-ფეხი, დაასხა რეტი, და აფორიაქებული კვლავ გაიცინებდა. როდის-როდის ის მარგილი ფეხს აიდგამდა, მაგრამ კარავთან მისვლას ვერ გაბედავდა, თავის დაბნეულ გზას დაადგებოდა ისევ და თან ფეხი უკან რჩებოდა, კისერმოღრეცილი იხედებოდა. „რა უნდა?“—ეკითხებოდა თავის თავს თაია და ტანში უცნაური ჟრუანტელი უვლიდა.

ეს ჟრუანტელი შეუდგა ახლაც, თვალი კვლავ წყლისკენ გაექცა. დაინახა შიგ იმ მონადირეთა და მეჯოგეთა სახეები, იმ მგზავრების სახეები, რომლებსაც კარავთან ჩაუვლიათ, ვერც შველა უთხოვიათ, ვერც გზა უკითხავთ და ისე წასულან, მიფარებიან თვალს გაუვალ ტყისა და ჭაობის საზარელ, მწვანე მდუმარებაში...

ის-ის იყო ყულევის ვიწრო, ჭუჭყიან

შუკას შეჰყვნენ, რომ თაია დაყურადდა. ჩრჩილისგან შეწუხებულ სკასავით გუგუნებდა ქალაქი. ამდენი ხალხი რამ შეჰყარა ერთად?! თვალს აქეთ-იქით აცეცებდა. შუკის ორივე მხარეს ისლით, ჩალითა და ყავრით გადახურული ქოხმახები იყო ჩარიგებული, ეზოები ბინძური, ზოგან ჭიშკარმორღვეული და ზოგან ღობეჩატეხილი. ისმოდა ცულების ჩახაჩუხი, ჩაქუჩების ხათქახუთქი, გრდემლზე ურის ცემის ხმა, ხრიალებდა ხერხი, შრიალ-ფრიალი გაჰქონდა შალაშინს, მეკასრეები სალტეებს აკრავდნენ კასრებს, წვავდნენ აგურსა და კრამიტს, დოქსა და კეცს, კოდავდნენ საქონელს, ხლეჩდნენ ყავარს. მუშაობდა ყველა — დიდი თუ პატარა.

ეზოებსა და შუკებში ნახევრად შიშველი ბავშვები თამაშობდნენ. ერთი ქვილ-ხვილი და წიოკი ედგათ. კრიახობდნენ ქათმები, ყეფდნენ ძაღლები, ბღაოდა საქონელი, კიკინებდნენ თხები. ხეების ჩრდილში ქალები კალათებსა და გიდელებს წნავდნენ, ქსოვდნენ ბადეებს, რეცხდნენ თეთრეულს, უწყრებოდნენ, წყევლიდნენ ბავშვებს.

ერთმანეთში ირეოდა ლაპარაკი და ძახილი, გინება და სიცილი. სამი წელი სრულდებოდა, თაიას ადამიანის ხმა არ გაეგონა. რაც უფრო ღრმად შედიოდა ქალაქში, ქოხები სულ უფრო მჭიდროდ იდგა ერთმანეთთან, ხალხი სულ უფრო მეტი ჩანდა ეზოებსა და სახლებში. ტყუილად კი არ მოეჩვენა ქალაქის ხმაური სკის გუგუნად, ფუტკარივით ირეოდა ერთმანეთში ქალი თუ კაცი. ყველა შრომობდა, ყველა რაღაცას აკეთებდა, თუმცა აუტანელი სიცხე ხელ-ფეხს უბორკავდა ადამიანს, თენთავდა, ადუნებდა, ასავათებდა.

ეს ხელოსანთა საცხოვრებელი უბანი იყო. ოჯახის უფროსები სახელოსნოში მუშაობდნენ შუა ქალაქში, აქ მათი ცოლ-შვილი ტრიალებდა ჯარასავით, წელზე ფეხს იდგამდა.

მოსახვევში, იქ, სადაც ქუჩა ნავსაყუდელისკენ უხვევდა, ეზოდან ათი წლის თამაააწეწილი გოგო გამოვარდა წივილით, სახეანთებული, [illegible] ტოლი ბიჭი მოსდევდა უკან, [illegible] ყო თმაში. უნდა წვდენოდა, ჯამლეთი დაინახა და შედგა.

— ბიჭებო, ჯამლეთ ბიძია მოდის, სკვერი მოჰყავს! — დაიყვირა ბიჭმა.

— ჯამლეთ ბიძია! — შესძახა გოგომაც და შედგა, — უუ, რამოდენაა!

ჭინკებივით გამოცვივდნენ ეზო-სახლებიდან გოგო-ბიჭები, აედევნენ ჯამლეთს.

— რა შავი თვალები აქვს!

— რა პატარა რქები.

— ჩლიქებს შეხედეთ, რა ბასრია. ალბათ, დანასავით ჭრის!

— ფეხი რომ დაგკრას, შუაზე გაგფატრავს...

— რა მოწყენილი გვიყურებს.

ცდილობდნენ ახლო მისულიყვნენ, ხელი მოეკიდათ, ერთმანეთს ეცილებოდნენ, მხარსა და მუჯლუგუნს ჰკრავდნენ, მაგრამ ჯამლეთის შიშით თითს ვერ აკარებდნენ.

თაიამ არ იცოდა, რა ექნა. ამდენი ბავშვი ერთად არასოდეს ენახა და ახლა ერთბაშად გარს ეხვია. ბავშვები არ ამჩნევდნენ მას, შველს შეჰფოფინებდნენ.

— დაჭრილია სკვერი, თორემ მხარზე არ დაუჯდებოდა, — თქვა იმ ბიჭმა, გოგოს რომ მოსდევდა.

— ფეხები აქვს გაკრული.

— აბა, რა იქნება, ისე წამოუწვებოდა მხარ-თეძოზე!

— ტირის, გოგო.

— ნამდვილად დაჭრილი იქნება.

— კი, როგორ არა! — წამოიძახა თაიამ.

ბავშვებმა ახლოდა დაინახეს იგი.

— ბაბა არ დაჭრის სკვერს.

— არ დაჭრის?!

— ცოცხლად იჭერს.

— ეს ვინაა?!

— შენ რა იცი, როგორ იჭერს?

— მე თუ არ ვიცი, აბა ვინ იცის!

— ვინ არის შენი ჯამლეთ ბიძია?

— თქვენთვის ბიძიაა, ჩემი ბაბაა, — მიუგო თაიამ ამაყად.

— ბაბა?! — გაოცდნენ ბავშვები და ისე მიაჩერდნენ თაიას, თითქოს არ ჯერათო.

— შენი?!

— ბაბა?!

— ნამდვილი ბაბა?

— აბა, ტყუილი ბაბა ვის გაუგია! — გაიცინა თაიამ.

ბავშვები უკვე მორიდებით უცქეროდნენ.

— აბა, უთხარი ბაბას დასვას, თუ დაჭრილი არ არის, — უთხრა გოგომ, რომელსაც ბიჭი მისდევდა.

თაიამ თავი გააქნია.

— ჰმ, ბაბას ვერ ეტყვის, — თქვა ბიჭმა, რომელიც გოგოს მისდევდა.

— მე ბაბა ყველაფერს მისრულებს, რასაც ვეტყვი.

— მეც.

— მეც.

შესძახეს ბავშვებმა აქეთ-იქიდან.

— ჩემისთანა ბაბა არავის არა გყავთ, — თაია ძლივს იკავებდა ცრემლს.

ჯამლეთი ყულევში ფეხს შედგამდა თუ არა, ქვეყნად ყველაფერი ავიწყდებოდა. გონებაში მხოლოდ თურქი უტრიალებდა, მისი გული შურისგების წყურვილით ძგერდა. ვინ შეხვდებოდა დღეს, ვინ იქნებოდა მისი მსხვერპლი? არ ესმოდა ბავშვების ჟივილი, არ ესმოდა მათი ლაპარაკი, იმას კი ხედავდა, გარშემო რომ ეხვევნენ, ხან ერთ ბიჭს გადაუსვამდა თავზე ხელს, ხან მეორეს.

თაია თვალს არ აშორებდა მამას. „ბაბას ვერ ეტყვის“ — ეგონა, ყველა ბავშვი ერთად ყვიროდა. ჯამლეთს იმ ბიჭის მხარზე ედო ხელი, გოგოს რომ მისდევდა. ბიჭი ამაყად გაჯგიმული მიაბიჯებდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ასეთ უბადლო მონადირეს ედო მის მხარზე ხელი. რარიგ შენატროდა თაია იმ ბიჭის ბედს, როგორ დაუკოცნიდა იმ ხელს ბაბას, მიიკრავდა მკერდზე. „მე ბაბა ყველაფერს მისრულებს, რასაც ვეტყვი“... „მეც“. „მეც“. ყურს უხვრეტდა ბავშვების სიტყვები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცებ თვალი მოჭრა [illegible] ასწია. ზღვა იყო მის წინ გადაშლილი. ლურჯი, კრიალა, ნელა ირწეოდა. პირველად ხედავდა ზღვას. არ იცოდა რა იყო. მიმოიხედა, რომ ბავშვებისთვის ეკითხა. ისინი ჩამოშორებოდნენ.

— ბაბა!

ჯამლეთმა არ მოხედა.

მეორე ცა ეგონა ზღვა. მიწაზე ცა!... ცა ირწევა!.. აიხედა. ის ცა რომ არ ირწევა! ზღვაზე სახლები დგას. სახლებზე ფართო და გრძელი ტილოებია ამართული. ტილოების ტყე დგას სახლებზე. ტყის თავზე ფერადი ნაჭრები ფრიალებს. სახლებს სახურავები არა აქვთ. ხალხი ირევა იმ სახლებში. ის, რასაც თაია ხედავდა, სხვადასხვა ქვეყნის ხომალდები იყო. ხომალდებს შორის ზღვა ნავებით, კარჭაპებით და სანდლებით იყო მოფენილი.

სანამ კიწი წოწორიას დუქანში მივიდოდა, ჯამლეთი ჯერ ნავსაყუდელში შევიდოდა. აქ თურქეთის ხომალდებს შეათვალიერებდა, იქიდან ბაზარში შევიდოდა. ყველა ამვლელ-ჩამვლელი გზას უთმობდა, უკან დგებოდა. პირქუში, ძარღვებისა და კუნთებისგან შეკრული, ზურგზე გუდით და მხრებზე შვლით, რაღაც შეუცნობელ რიდს იწვევდა. თვალს არ აშორებდნენ მის ფართო სატევარს, რომლის ბოლო მუხლამდე წვდებოდა, რქისტარიან, გრძელ დანას, წელზე რომ ეკიდა ტყავის ბუდით, მის მაღალ პაჭიჭებს, წელზე შემოკრულ, ოდიშელისთვის განუყრელ თოკს, მის დინჯ, ძლიერ ნაბიჯს, ლომის ნაბიჯს რომ მიაგავდა.

თაია ნაპირთან მდგარ ხომალდებს უცქეროდა. ახლაღა მიხვდა, რომ ისინი სახლები არ იყო, არც ცა იყო მიწაზე. ზოგ ხომალდს ტვირთავდნენ, ზოგს ცლიდნენ. აჩქარებდნენ მტვირთავებს, აგინებდნენ, ურტყამდნენ. მათრახებს ტკაცუნი გაჰქონდათ შიშველ სხეულზე. თაიამ მტვირთავებს შორის ნახშირივით შავ ადამიანებს მოჰკრა

თვალი. შეეშინდა, ავი სულები ეგონა. სწორედ იმათ ურტყამდნენ, წიხლს აზელდნენ, აფურთხებდნენ.

ხომალდებს შორის თურქეთის ერთი დიდი ხომალდი გამოირჩეოდა. მის ანძაზე ტყვეებით მოვაჭრე ხომალდის საზარელი ალამი ფრიალებდა. იქვე, ნაპირზე, ბალიშებსა და მუთაქებზე ხომალდის პატრონი იჯდა ფეხმორთხმით. გარს ნახევარრკალად შემოდგომოდნენ თავით ფეხამდე იარაღასხმული თურქი მეზღვაურები, ახმახები, ტლანქები. მათ პირდაპირ ტყვეების გამყიდველები იდგნენ და რიგს ელოდნენ. ხელებგაკრული ტყვეები — ქალები, კაცები, ბავშვები ნახევრად შიშვლები იყვნენ. ასე უფრო შეაფასებდა მყიდველი მათ.

ნაბიჯი შეანელა ჯამლეთმა, თვალი შეავლო ხომალდის პატრონს, მის მეზღვაურებს.

— დედა!.. დედა!.. მიშველე, დედა!... — ისმოდა მეზღვაურების ზურგს უკან ბავშვის სასოწარკვეთილი ხმა.

ხომალდის პატრონის წინ თვრამეტი წლის ქალიშვილი და მისი გამყიდველი, სახენაყვავილარი თავადი იდგა. ქალიშვილს შუბლზე ჩამოშლილი თმა უფარავდა სახეს. თავადმა ნიკაპზე მოკიდა ხელი და თავი გადაუწია, უკან გადაუყარა თმა. გამოჩნდა შიშითა და ცრემლით სავსე თვალები, ლამაზი, ფერმკრთალი სახე.

ხომალდის პატრონმა თავი დაუქნია თავადს, კრიალოსანი ჩამარცვლა, თავის კაცებს ანიშნა კაბა გაეხადათ ქალიშვილისთვის. იმავე წამს თურქმა მეზღვაურებმა ჩადრი მოახვიეს და მისთვის სამუდამოდ დაბნელდა თავისი ქვეყნის მზე.

მივიდა მოლა. თავზე ხელი დაადო.

— რა გქვია, შვილო?

— ნინო, — უპასუხა თავადმა.

— ასწიე ხელი, ნინო, გაშალე სალოკი თითი და უარჰყავ რჯული შენი! — უთხრა მოლამ.

მეზღვაურებმა არ დააყოვნეს, ძალით აუწიეს ხელი და გააშლევინეს თითი.

მიჩერებოდა ამ შემაძრწუნებელ სურათს ჯამლეთი და არ იცოდა, რა ექნა. იგრძნო, რომ თავს ვერ შეიკავებდა. ხელი სატევრის ვადისკენ მიუტანია. შეტრიალდა, სწრაფი ნაბიჯით გაშორდა ხომალდს. ბაზარში რომ შევიდა, მხოლოდ მაშინ მოიხედა თაიასკენ, ჰომყვება თუ არაო.

ხალხი ჭიანჭველასავით ირეოდა მოედანზე. რას არ ყიდდნენ აქ, ვინ არ ყიდდა. საქონელი ეყარა მიწაზე, გამოღგმული და გამოფენილი იყო ფარდულებსა და დუქნებში.

ყიდდნენ ირანულ და თურქულ ხალიჩებს, ბერძნულ რკინასა და ფოლადს, თითბერს, ბულგარულ ჭურჭელს, თიხისას და ხისას, ფრანგულსა და იტალიურ ფარჩას, ლარსა და სტავრას, ხორბალსა და ჭვავს, ღვინოსა და თაფლს, ცვილს, მატყლს, მსხვილფეხსა და წვრილფეხს, მარილს, შაქარს, ტილოს, წამლებს...

რა ენაზე არ ლაპარაკობდნენ, რა ფული არ ტრიალებდა: ბერძნული მონეტები, იტალიური ცეკონები, ირანული აბაზები, ესპანური რეალები და კიდევ და კიდევ ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ფული. მაგრამ ფულს დიდი ვასავალი არა ჰქონდა და საქონელს ცვლიდნენ ერთმანეთზე ბითუმად, წვრილად, ვის როგორ უნდოდა, ვის როგორ ეხერხებოდა.

ვინც ერთმანეთის ენა არ იცოდა, მუნჯურად ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ხმამაღლა, უხმობდა მუშტარს, აწონებდა, უქებდა საქონელს. მღეროდა, უკრავდა სხვადასხვა საკრავს, ცეკვავდა, ჭამდა და სვამდა. ათამაშებდა დათვებს მაიმუნებს, თუთიყუშებს, იგრიხებოდა ადამიანის ტანზე გველი, ამოდიოდა ადამიანის პირიდან ცეცხლი, იყრიდა ტანში მახვილს ადამიანი, ჭამდა შუშას. მკითხავები და ექიმბაშები თავისკენ უხმობდნენ ქალსა და კაცს, ძალით სტაცებდნენ ხელს.

ჯამლეთი არ შემდგარა ბაზარში, არაფერს უყურებდა, არაფერი იქცევდა მის ყურადღებას — არც ჯამბაზი, არც ლომების მწვრთნელი, არც იარაღი.

ტყვეებით მოვაჭრე ხომალდის პატრონი ედგა თვალწინ, სხვას არაფერს ხედავდა. გაყიდული ბავშვის სასოწარკვეთილი ხმა ესმოდა მხოლოდ, სხვა არაფერი გაეგებოდა. ჯიქურად მიიკვლევდა გზას კიწი წოწორიას დუქნისკენ, რათა მალე მიჯდომოდა მაგიდას, დაელია, შემზადებულიყო...

თაია დაცეცებული მისდევდა უკან. თვალს სტაცებდა ჭრელი ფარჩა, ძვირფასი თვლებითა და ოქროთი მორთული ქოშები, სარკე და სავარცხელი, თავსაფარი და წინდა, მაგრამ ნაბიჯს არ ანელებდა, ეშინოდა, მამას არ ჩამორჩენოდა, ხალხში არ დაკარგულიყო.

სახელოსნოებიდან, დუქნებიდან, ფარდულებიდან ხმამაღლა ესალმებოდნენ ჯამლეთს თერძები, ოქრომჭედლები, ხარაზები, მედაბაღეები, მეუნაგირეები, მჭედლები. ჯამლეთი თავის ოდნავი დაქნევით და რაღაც ღიმილისდაგვარი მტკივნეული მანჭვით აძლევდა პასუხს. გავიდა ბაზრიდან და გამოჩნდა კიწი წოწორიას დუქანი. დაჩხირია, აქამდე მალულად რომ მისდევდა, სხვა ქუჩას გაუყვა...

ადამიანს გადაჩვეული, გატყიურებული გოგო არა მარტო მუშტარს არიდებდა თავს, ახლოს არ ეკარებოდა დუქნის მოინალეებს, თვალს ვერ უსწორებდა მზარეულს, კიწი წოწორიას. დარეცხდა თუ არა ჭურჭელს, დაგვიდა სამზარეულოს, დააპობდა შეშას, დუქნის უკან ლაფაროში აიტუზებოდა და იყო იქ, სანამ არ დაჭირდებოდათ და არ დაუძახებდნენ.

არ შედიოდა დუქანში, ათასში ერთხელ სამზარეულოს გამოღებულ კარიდან შიშით თუ თვალს შეავლებდა მაგიდებთან მსხდომ სხვადასხვა ჯურის და სახის მუშტარს, ჭრელად რომ ეცვათ და ეხურათ, სხვადასხვა ენაზე ყაყანებდნენ, იგინებოდნენ, მღეროდნენ.

ერთხელ მუშტრებს შორის იმ შავ ავსულებსაც მოჰკრა თვალი, ხომალდზე რომ ნახა, და ერთ ხანს იქით არ ეაუხედია. მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და ეს თანდათან დაცეცებული, ტყიური გოგო არა მარტო მოინალეებს, მზარეულსა და მედუქნეს, მუშტარსაც აღარ ერიდებოდა — ყურადღებით ინტერესით აკვერდებოდა, თამამად თვალს უსწორებდა, მოურიდებლად შედიოდა დუქანში, გამოჰქონდა ჯამჭურჭელი, ასუფთავებდა მაგიდებს, ჰგვიდა იატაკს და დაუფარავი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა უცხოელებს, სწავლობდა მათს ენას, შეითვისა ბერძნული და თურქული, ამტვრევდა ბულგარულს.

კიწი წოწორიამ მალე შენიშნა, როგორ აპარებდნენ თვალს კაცები თაიას ჯერ კიდევ ნორჩ, მაგრამ უკვე მომრგვალებული თეძოებისკენ, შიშველ წვივმუხლებისა და მკლავებისკენ. გამოცდილმა მეკობრემ არ დააყოვნა, გრძელი კაბა და წინდები ჩააცვა, რათა დაეფარა ის, რაც თვალსა და გულს სტაცებს კაცს. ურჩი თმა, მხრებზე რომ ეყარა და კიდევ უფრო აღაგზნებდა მნახველს, დაავარცხნინა, წააკვრევინა.

ხაშმითა და მზით ჟანგისფერმოკიდებულ თაიას სახეს ვარდისფერი დაედო, სევდიან თვალებში ნელი შუქი ჩაუდგა, შეუნელდა მამისა და სახლის დარდი. არ ეცალა ამისთვის — დილიდან შუაღამემდე სამზარეულოსა და დუქანში ტრიალებდა. ნაშუაღამევს ქანცგაწყვეტილი შევიდოდა საკუჭნაოში, მედუქნემ ბინად რომ მიუჩინა, და მიდებდა თუ არა თავს, რული თვალს წაართმევდა.

ხშირად ჭურჭლის რეცხვისას ან დუქნის დაგვისას, როცა წუთით ყოველგვარ ხმაურსა და საქმეს გამოეთიშებოდა, ყორათი მოაგონდებოდა... რიონისპირზე ზის... აი, ჯამლეთი კუზიან მუხასთან გამოვიდა ტყიდან. უდროოდ გაჭაღარავებული, ზამთარ-ზაფხულ შიშველი თავი გამოჩნდა ისლნარს ზევით, გამოვიდა რიონისპირა ბილიკზე... გული შეუქანდებოდა თაიას, ცოცხი გაუვარდებოდა ხელიდან და იმ ხელით სწრაფად გადაივარცხნიდა თმას, ჩამოისვამდა კაბის კალთაზე, გაიქცეოდა, კარვისა და ქართის ნაცვლად საკუჭ-

ნაოში შევარდებოდა ან ლაფაროში დუქნის უკან ამოჰყოფდა თავს და მანამ არ შევიდოდა სამზარეულოში, სანამ არ დაუძახებდნენ.

თაია რომ მოიყვანა, ჯამლეთს იმ დღიდან ფეხი არ მოუდგამს კიწი წოწორიას დუქანში. სხვაგან დაჰქონდა ყველი და ნანადირევი. დაივიწყა თაია. იგი მხოლოდ დაჩხირიას ახსოვდა. დაჯდებოდა ძაღლი რიონის პირას და გასცქეროდა გზას, რომლითაც ჯამლეთი ბრუნდებოდა, რომლითაც თაია უნდა დაბრუნებულიყო. ამაო მოლოდინით გული რომ გადაელია, ჯამლეთს გაჰყვა ყულევში.

თაიამ ყურს არ დაუჯერა, ერთ დღეს დაჩხირიას ყეფა რომ მოესმა. დუქანში ქარიშხალივით შემოვარდნილი ძაღლის დანახვაზე დამფრთხალი მუშტრები სკამიდან წამოცვივდნენ, კედელს მიაწყდნენ, გზა უტიეს. სიხარულით გონებაარეული დაჩხირია ისე დაეტაკა თაიას, მუშტრებმა იფიქრეს, დაფლითა გოგოო, მაგრამ როცა დაინახეს, ძაღლი და თაია ერთმანეთს ეხვეოდნენ, გულზე მოეშვათ.

ამის შემდეგ დაჩხირია ყოველ წასვლაზე მიჰყვებოდა ჯამლეთს ყულევში. იმ დუქანში არ მივიდოდა, სადაც პატრონი დადიოდა. შევიდოდნენ თუ არა ქალაქში, ჯამლეთს მიატოვებდა და კიწი წოწორიას დუქნისკენ გარბოდა ძუნძულით.

თუ იმ დროს თაიას არ ეცალა, ძაღლი ლაფაროში იწვა და მოთმინებით უცდიდა. თაია როგორც კი მოიცლიდა, მაშინვე დაჩხირიასთან გამოვიდოდა. მიესალმებოდა, ჯერ ბაბას ამბავს ჰკითხავდა: რას ჭამს, რას სვამს, ბევრს მუშაობს, გახდა, ისევ ისეთი პირღრუბლიანიაო? არიგებდა, მიეხმარე ბაბას, თუ რამე გაუჭირდა, შემატყობინე, გაუფრთხილდი იმ წყეულ ჭაობებში გავლისასო. შემდეგ ძროხებისა და ქათმების ამბავს იკითხავდა: წიწილები თუ გამოჩეკა ხანტურია[1] დედალმა, ჩეპიჯამ[1] ფური მოიგო თუ ხარეო? არც ბოსტანს ივიწყებდა. [illegible] ჰისი წასვლის შემდეგ, იქ არც შეუხედია ჯამლეთს, ქათმებიც გაწყდა და ხბორებსაც აღარ იტოვებდა.

თაიასა და დაჩხირიას დაშორება შეხვედრაზე უფრო ამაღელვებელი იყო. უკან გაბრუნებული ძაღლი ასჯერ მაინც ამოიხედავდა. თაია დუქნის უკან იდგა და გაჰყურებდა. თაია მანამ არ მოიცლიდა ფეხს, სანამ ძაღლი ქუჩის ბოლოს სამჭედლოს არ მიეფარებოდა.

დაჩხირიას წასვლის შემდეგ თაია ორი-სამი დღე მოწამლულივით იყო. საქმეს თავს ვერ ართმევდა, ხელიდან უვარდებოდა ჯამ-ჭურჭელი, ცოცხი, ცული და პირთან მიტანილი ლუკმაც კი.

მედუქნე, მზარეული და მოინალენი ხედავდნენ, რაღაც დიდი სატკივარი აწუხებდა გოგოს, მაგრამ არაფერს ეკითხებოდნენ; იცოდნენ, არავის გაუზიარებდა დარდს.

ორი წელიწადი არ ენახა მამა. ერთხელ ვეღარ მოითმინა და დაჩხირიას გაჰყვა. ძაღლმა ნავსაყუდელის ნაპირთან მდგარ ერთ ღარიბ და მივარდნილ დუქანში მიიყვანა.

სახაბაზოს მოფარებული თაია დიდხანს უცდიდა დუქნიდან მამის გამოსვლას. ღელავდა — გამოიცვალა ბაბა, თუ ისევ ისეთია? რომ დაინახავს, იქნებ, ვული მოუბრუნდეს და წაიყვანოს კარავში, ძროხებთან, ჩეპიჯამთან, ხანტურიასთან. ცოტა ხნით წაიყვანოს და ისევ უკან წამოვა, ერთს მოავლებს იქაურობას თვალს და გამობრუნდება.

ამ ფიქრში იყო, ჯამლეთი დუქნიდან რომ გამოვიდა. თაიამ კინაღამ შესძახა, ბაბაო. ნეტა რას იზამს, რომ დაინახოს!.. იქნებ, შეეცოდოს და წაიყვანოს!.. ერთი დღით, ნახევარი დღით, სულ ცოტა ხნით...

ჯამლეთმა აივნის კედელზე მიყუდე-

[1] ხატული.

[1] პირთეთრა.

ბული გუდა მხარზე მოიგდო, მედუქნეს დაემშვიდობა და ქუჩაში გავიდა.

ჭაღარა მომატებია. გამხდარა. დაენაცვება. ხომ არ მოკლავს! უნდოდა მისულიყო. ფეხი არ დაემორჩილა, ტანი არ დაჰყვა. უნდოდა დაეძახა და ყბა გაუქვავდა. საყვედურითა და სიბრალულით უცქერდა.

ჯამლეთი ქუჩას გაჰყვა. ძაღლმა თაიას შეხედა — წამოდიო. ჩუმად წკმუტუნებდა, აგულიანებდა. ჯამლეთი თანდათან შორდებოდა დუქანს. დაჩხირიამ მოუთმენლად შეჰყეფა.

ჯამლეთმა მოიხედა. ძაღლმა შიშით თავი დახარა. კუდი შეიკეცა და უკან გაჰყვა...

იმ დღიდან თაია შეურიგდა თავის ხვედრს. მისი ახალი ცხოვრება უკეთესი იყო. საჭმელი თავსაყრელი ჰქონდა, ბევრს მუშაობდა, მაგრამ აღარავისი ეშინოდა, თვალს აღარ არიდებდა შამის პირქუშ სახეს, აღარ იყო ჩაკარგული ტყესა და ჭაობში, გარშემო ადამიანები ეხვია, ელაპარაკებოდნენ, ეხუმრებოდნენ, უცინოდნენ. თვითონაც იცინოდა, ლაპარაკობდა. ქვეყნის უცხო ხალხი შემოდიოდა დუქანში და გადიოდა, ხედავდა ნავსაყუდელში მდგარ მრავალი ქვეყნის ხომალდებს, ფიქრობდა იმ ქვეყნებზე, საიდანაც ისინი მოვიდნენ, — სულ სხვადასხვანაირები, სხვადასხვა ხალხით, არც სახით, არც ტანისამოსით, საქციელით და ენით რომ არ ჰგავდნენ აქაურ მცხოვრებთ. თუ აქამდე ქვეყანა მხოლოდ ოდიში ეგონა, ახლა იცოდა, არსებობს სხვა ქვეყნებიც, სხვადასხვა ხალხით დასახლებული.

აღარ აკვირვებდა ზღვა, ხომალდები, მდიდრულად ჩაცმული ვაჭრები, შავკანიანები, ლომები, გველები და აქლემები. იხელთებდა თუ არა დროს, ბაზარში გარბოდა. ხარბად ათვალიერებდა ჩასაცმელ-დასახურს, სამკაულს, ტკბილეულს. სხვას არაფერს უყურებდა. ამის მეტი არაფერი აინტერესებდა და თვალს ვერ აშორებდა შალს თუ აბრეშუმს, ხაყურეებს, ყელსაბამებს და ვინ მოსთვლის კიდევ რას, რომლის სახელი და დანიშნულება არ იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცვალა, თვალები ... და, ჩაუმკვრივდა ტანი, მიხრ-მოხრა დაეხვეწა, მაგრამ მის იერში მაინც დარჩა რაღაც ტყიური—მზის სიუხვით გავსილი, ქალის ეშხი და ნადირის სიმკვირცხლე, რითაც მაშინვე იქცევდა ყურადღებას და სხვა მის ტოლ გოგონებისგან განასხვავებდა.

კიწი წოწორია ახლა იმდენს აღარ ამუშავებდა. გამოიყვანა სამზარეულოდან, აღარ აპობინებდა შეშას, არც არეცხინებდა, მარტო დახლი და მაგიდები უნდა გადაეწმინდა, დაელაგებია თეფშებზე საუზმე — ყველი, თევზი, მწვანილი, მწნილი, კუჭმაჭი, ცივად მოხარშული ხორცეული და ნიგვზით შეკმაზული ფხალეული, ღვინით უნდა გაევსო დოქები, მომსახურებოდა საპატიო სტუმარს. თუმცა საქართველოში ეს ქალისთვის წესითა და ადათით აკრძალული იყო, მაგრამ კიწი წოწორიასთვის, თუ მას ჭირდებოდა, არც წესი არსებობდა და არც ადათი. რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა.

თაია რომ მაგიდებს შორის ტანის რხევით გაივლიდა, ცალი ხელით მაღლა აწეულ სხვადასხვა კერძით სავსე სინს მსუბუქად გაატარებდა, მუშტარს კისერი მოექცეოდა, მაგრამ შეზარხოშებული მეკობრეები და მეზღვაურებიც კი უწესოს არას აკადრებდნენ, — იცოდნენ ქართველ ქალს ვერ შებედავდნენ იმას, რისთვისაც სხვა ქვეყნების ნავსაყუდლებში ტრაქტირის ქალები თვით იწვევდნენ მამაკაცებს. კიწი წოწორიას შიშიც ჰქონდათ — მედუქნე არავის არაფერს შეარჩენდა.

თაიას ეშხით მუშტარი მეტ კერძს უკვეთავდა, მეტ ღვინოს სვამდა. დუქანში ახლა მარტო ქართული ღვინისა და ნადირის მწვადის ეშხით როდი მოდიოდნენ. ერთი-ორად გაიზარდა დუქნის შემოსავალი, მაგრამ კიწი წოწორია ისეთი ხელმოჭერილი იყო, რომ აზრად არ მოსდიოდა უკეთ ჩაეცმია თაიასთვის.

მეგრელ ქალს ისე არაფერი უყვარდა და იტაცებდა, როგორც ჩაცმა-დახურვა, სამკაული და ფერ-უმარილი. ამისთვის სულს არ დაიშურებდა, კეკლუცობა და კოპწიაობა დედის მუცლიდან დაჰყვებოდა.

შეიძლება მედუქნე კიდევ იმიტომ არ აცმევდა, რომ თაიაზე თვითონ ჰქონდა გული შევარდნილი. ეს ხანშიშესული, ძუნწი და გულქვა კაცი, რომელიც ადამიანს ისე გამოჭრიდა ყელს, რომ წარბს არ შეიხრიდა, ბავშვივით შეჰხაროდა შეფოფინებდა თექვსმეტი წლის გოგოს.

კარგად ჩაცმულ ქალს რომ დაინახავდა, ულამაზოც რომ ყოფილიყო, თაიას თვალი ზედ დარჩებოდა. ყელსაბამებზე, საყურეებზე და ბეჭდებზე ხომ ჭკუას კარგავდა! საოცარი იყო, რამ ჩაუნერგა მათი სიყვარული ტყეში გაზრდილ გოგოს, რომელსაც ხეირიანად ჩაცმული არც ქალი ენახა და არც კაცი.

ერთ კვირადღეს მოჯადოვებულივით იდგა ოქრომჭედლის დუქნის წინ და თვალს არ აშორებდა ძვირფასი თვლებით მოჭედილ ოქროს ყელსაბამს. ხელიც კი შეივლო ყელზე ოცნებით დაკიდულ იმ ყელსაბამზე, სახე მიატრიალ-მოატრიალა, თითქოს სარკეში იხედებოდა, თვალები აუელვარდა და ლოყები აუფერადდა.

ამ დროს ოქრომჭედლის დუქანს თურქი ვაჭარი მიუახლოვდა. თაია დაინახა თუ არა, ნაბიჯი შეანელა, თვალის ერთი შევლებით შენიშნა ამ ღარიბად ჩაცმულ გოგოს ეშხი და სიკასკასე. ვაჭარმა ისიც დაინახა, რას უყურებდა ქალიშვილი. თურქი ძველი, გამოცდილი ვაჭარი იყო, მრავალი ქვეყანა ჰქონდა შემოვლილი და შორიდანვე მიხვდა, რა ხვითო ედგა წინ. არც ის გამორჩა მხედველობიდან, რომ ყელსაბამი არც ოქროსი იყო და არც ძვირფასი თვლებით მოჭედილი. ის კი, ვინც მას უყურებდა, ასი ასეთი სამკაული ღირდა. რა ძვირფასი ძღვენი იქნება ხონთქრისთვის, გაუელვა თავში.

ეგრძნო თუ არა, ვიღაც უყურებდა, თაია შეტრიალდა და გაიქცა. ვაჭარმა თვალი გააყოლა. ჰო, რა ძვირფასი ძღვენი იქნება ხონთქრისათვის, ისევ გაიფიქრა. მხლებელი მეზღვაური დაადევნა: თვალი გეჭიროს, სად წავაო. მეზღვაური ერთი ჩაგოდრებული ახმახი იყო, ისეთი სქელი და მაღალი კეხმა, წინ წახრილი ზორზოხა მხრები და გადმოქაჩული დიდი თვალები ჰქონდა, გეგონებოდა, აი, ახლა დამეტაკება ეს ბუღაო. მეტსახელად ბუღარა ერქვა. გოლიათური ღონისა იყო, ვაჭარი გვერდიდან არ იშორებდა, მისი იმედით ღამითაც გულდამშვიდებით გადმოდიოდა ხომალდიდან.

იმ საღამოს თურქი ვაჭარი, ბუღარასა და რამდენიმე მეზღვაურის თანხლებით, კიწი წოწორიას დუქანს ეწვია. მედუქნე კართან მიეგება საპატიო მუშტარს. დუქნის მყუდრო კუთხეში შეურჩია მაგიდა და მოსამსახურეობა თაიას დაავალა.

ამ ვაჭრის ხომალდი წელიწადში ერთხელ მოადგებოდა ყულევს და დიდძალი საქონელი მოჰქონდა. მის შესაძენად გურიიდან, იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და კახეთიდანაც კი მოდიოდნენ. განთქმული იყო მისი ფერადფერადი ხალიჩები, თურქული ტყავი, ცხენის კაზმულობა, შვილდ-ისარი, შალი თუ მაუდი, ფერადი ტილო, ჭურჭელი, მატყლი, თევზი, ხიზილალა, შაქარი და მარილი... დადიანი დიდად ემადლიერებოდა ოდიშისათვის ეგზომ ძვირფასი და საჭირო საქონლის შემოზიდვისა და იმ უხვი საჩუქრისთვის, რომელსაც ვაჭარი ყოველ ჩამოსვლაზე უგზავნიდა.

კიწი წოწორიამ ბევრჯერ განიზრახა თავს დასხმოდა მის ხომალდს, მაგრამ მთავრის შიშით ვერ ბედავდა. ახლა კი მისი მოსვლა ეამა. იფიქრა, გავიცნობ, დავუახლოვდები და თურქეთის წყლებშივე გავფცქვნიო.

დუქანში ტევა არ იყო. ლაპარაკი ხმაური, სიმღერა ერთმანეთში ირეოდა. მოინალეები მარდად დასრიალებდნენ

მაგიდებს შორის, კერძით სავსე სინები მაღლა ეჭირათ. ოხშივარი ასდიოდა ხაშლამას, წვნიანს, შიშხინებდა ცვრიანი მწვადიკანი ასკდებოდა შამფურზე შემწვარ კოლხურ ხოხობს, კურდღელს, გოჭსა და ხბოს, შველსა და თხას. წკრიალებდა ჭურჭელი, ლიკლიკით ჩადიოდა დოქიდან ფიალაში წითელი და თეთრი ღვინო. კახური და ოდიშური, იმერული თუ რაჭული. ბუღსა და თამბაქოს კვამლში ბუნდოვნად ჩანდა მთვრალი სახეები, დაბრეცილი, ამღვრეული თვალები, ქონიანი ტუჩები, გუდა ლოყები.

ვაჭარი აკვირდებოდა თაიას ყოველ მოძრაობას, გამოხედვას, მის ფეხებს, ხელებს, თმას, თვალებს და რაც მეტს უყურებდა, მით უფრო იხიბლებოდა. თვალები მწიფე ზეთისხილისფრად რომ უკრიალებდა და ისეთ შუქს გამოსცემდა, ცეცხლს უკიდებდა კაცს. რა ძვირფასი ძღვენი იქნება ხონთქრისათვის.

თვალწინ ედგა თურქს, რა იქნებოდა სიმწიფეში შესული ეს გოგო ორი-სამი წლის შემდეგ, როცა აევსება კოკორი მკერდი, გაეტიკება თეძოები, აიყრის ტანს, მეტი ეშხი და ლაზათი შეემატება, როს ნაყოფს მოწყვეტის ჟამი დაუდგება.

თურქი იმ ღამით გვიან წავიდა. ანგარიშის გასწორებისას ქისიდან ფულს თვალ-მარგალიტი ამოაყოლა, თაიას მადლობა უთხრა და ფულზე ფირუზისთვლიანი ბეჭედი დაუსართა.

იმ დღიდან მოყოლებული, თითქმის ყოველ საღამოს მოდიოდა დუქანში და ყოველთვის იმ კუთხეში ჯდებოდა. ბუღარა მუდამ თან ახლდა და შუაღამემდე რჩებოდა. თაიას თანდათან დაუახლოვდა, მისი ნდობა მოიპოვა. ყოველთვის რაღაცას აჩუქებდა, ტკბილ მამაშვილურ სიტყვას ეტყოდა. ამას ისე ახერხებდა, რომ კიწი წოწორია ვერაფერს ამჩნევდა.

ასე იშინაურებდა თურქი უმწიკვლო გოგოს გულს.

ვაჭრის ნაჩუქარ სამკაულს არ იკეთებდა თაია. გრძნობდა, რომ თურქი ამ საჩუქრებს ნამალევად აძლევდა, არ იცოდა რატომ იქცეოდა თურქი ასე, რატომ ეშინოდა მედუქნის, ბუბანთ ცვდებოდა საჩუქრების მიღებაში. რაღაც ცუდი იყო, მაგრამ ცოუნებას მაინც ვერ ძლევდა, საჩუქარზე უარს ვერ ამბობდა. მხოლოდ ღამით, დუქანი რომ დაიკეტებოდა და დაწვებოდა, ლოგინში აისხამდა საყურეებს, ბეჭედს, მოჭედილ ქინძისთავს და ასე მორთულ-მოკაზმული იწვა გასუსული და გახარებული. ოცნებაში წასული, ვიდრე ძილი არ მოერეოდა.

ბაზარში წასვლის დროს რომ გამონახავდა, სამკაულებს თან წაიღებდა, ხალხში გაერეოდა თუ არა, სადმე მოფარებულში მალულად უცებ მოირთვებოდა, მერე ისეთ ფარდულს მოძებნიდა, სადაც სარკე იყო გამოდგმული, რათა ერთი წამით ჩაეხედა და დაენახა თავისი თავი, მაგრამ წამი დიდხანს გრძელდებოდა, თვალს ვერ აშორებდა თავის სახეს, შეცვლილს, გალამაზებულს. სხეული ტკბილად მოუდუნდებოდა, თავში საამო ბურუსი გაუჯდებოდა, ხელები უნებლიეთ მკერდისაკენ წაუვიდოდა და შიშითა და ნაზი სიფრთხილით შეივლებდა ძუძუებზე. მაშინვე გამოერკვეოდა, მიმოიხედავდა გულგახეთქილი, ხომ არავინ დამინახაო, და თავქუდმოგლეჯილი მოკურცხლავდა დუქნისკენ. როგორ უნდოდა სამკაულებით მორთულს ხალხში გავლა, უნდოდა შეეხედათ, მოსწონებოდათ.

რამდენი კაბა ექნება იმ ვაჭარსო, გაიფიქრებდა, როცა მისი ნაჩუქარი სამკაულებით მორთული იწვა. მაშინვე სხვა ფიქრი შეცვლიდა ამ ფიქრს. „ვისგან ვიღებ საჩუქრებს?! ის ხომ თურქია! ბაბას მტერი!.. მტერი!.. მტერი!..“ ურისავით სცემდა თავში ეს სიტყვა. უმალვე შეიხსნიდა ბეჭედს, საყურეებს ქინძისთავს, გამოიძრობდა თმიდან სავარცხელს, ყველაფერ ამას ჭინჭში გახვევდა, რომ ვაჭრისათვის დაებრუნებია. „მტერი!... სხვები ხომ ყიდულობენ თურქისაგან... სხვები ყიდულობენ მე კი უფასოდ მაძლევს. რატომ? კარგად ვემსახურები და იმიტომ. ამბობენ ის თუ-

რქი საჩუქრებს მთავარს უგზავნისო“.— დამშვიდდებოდა, სევდას გადაიგდებდა.

ერთ საღამოს ვაჭარი ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა დუქანში. არ ჭამდა, მხოლოდ ღვინოს შეექცეოდა და ფიქრში წასული კრიალოსანს მარცვლავდა. ფარული ზიზღით შეჰყურებდა ოფლიან, მეტისმეტი სმით მოქცეულ სახეებს, გადმოკარკლულ თვალებს. ყველაფერი აღიზიანებდა — ყაყანი, საჭმლის სუნი, თამბაქოს ბოლი, სიმღერა და სიცილი. ვერ ისვენებდა, თვალი სულ კარისაკენ ეჭირა, ბუღარას ელოდა: შემოვიდოდა თუ არა, ვინმესთვის ჩხუბი უნდა აეტეხა, რათა ვაჭარს მოეხერხებინა და თაიას გამოლაპარაკებოდა ამ აყალმაყალში, ისე, რომ კიწი წოწორიას არ დაენახა.

დიდხანს არ დასჭირდა ლოდინი. ბუღარა ჯიქურ შემოიჭრა, პირველსავე მაგიდას, რომელსაც ბულგარელი მეზღვაურები უსხდნენ, ფეხი გაჰკრა და გადააბრუნა. თურქებსა და ბულგარელებს ჭირისდღესავით სძულდათ ერთმანეთი. მეზღვაურები მაშინვე ეძგერნენ ბუღარას.

ამ დროს თაია ვაჭრის მაგიდასთან იდგა და ღვინის ფულს იღებდა. ჩხუბი რომ ატყდა, სამზარეულოში შევარდნა დააპირა. მაშინ ვაჭარი მაჯაში წაეტანა და ფულთან ერთად ვერცხლის სამაჯური ჩაუდო ხელში.

— ხვალ ჩემს ქვეყანაში ვბრუნდები, პატარა ხანუმ. დღეს ერთ ოქრომჭედელს ჩემთვის ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს ყელსაბამი უნდა მოეტანა, შენ საჩუქრად მინდოდა, მაგრამ არ მოვიდა

— აღარ მოვა?

— მოვა, როგორ არ მოვა. იცის, რომ ხვალ მივდივარ.

— ხვალ მოიტან, ბიძია?

— ხომალდზე იმდენი საქმე მაქვს, ვაითუ ვერ შევძლო ხვალ მოსვლა.

— მე მოვალ.

— მოდი, შვილო, ხვალ მოდი, ამ დროს.

ბუღარა და მეზღვაური ერთმანეთს რომ დაეძგერენ, კიწი წოწორია სამზარეულოში იყო. დუქანში რომ შემოვიდა, ბუღარა პანტაპუნტიდან ისროდა აქეთ-იქით მეზღვაურებს.

ჰაერში ავარდნილ სკამებს, ჯამებს, დოქებს და თასებს მუშტრები თავს არიდებდნენ, ხან აქეთ აწყდებოდნენ, ხან იქით, ჭურჭელი და სკამები კედლებს, ჭერს, იატაკს, მაგიდებს ასკდებოდა და იმსხვრეოდა. კიწი წოწორიამ ერთბაშად ვერ გაარჩია, ვის ურტყამდა ბუღარა, ვერც ის დაინახა, როგორ გასხლტა ამ აურზაურში დუქნიდან თურქი ვაჭარი. ბუღარის სიმარჯვით აღტაცებული იღიმებოდა, მაგრამ როცა მის გონებას მისწვდა, რა ფასად უჯდებოდა ბუღარას სიმარჯვე, ცეცხლი წაეკიდა. მივიდა გააფთრებულ თურქთან და ყბაში ერთი ისეთი ამოჰკრა რკინის ხელით, რომ ეს ზვინივით კაცი მეზღვაურების გადაბრუნებულ მაგიდის ფეხებში კუნძივით ჩაიჩეხა და აღარც განძრეულა.

იმ ღამით თაიას თვალი არ მოუხუჭავს. ოქრომჭედელთან რომ ნახა, ის ყელსაბამი ელანდებოდა, შამფურივით ტრიალებდა, ყელზე ხელს იკიდებდა, თითქოს ყელსაბამი ზედ ეკიდა და ისწორებდა, ირგებდა. მხოლოდ განთიადისას ჩაეძინა და სიზმარში ნახა თავისი თავი იმ ყელსაბამით.

მეორე დღეს ვერც ერთ საქმეს თავი ვერ გააროვა. ჯერ იყო და დოქი გაუტყდა, მერე წვენი დაესხა სუფრაზე და მუშტარი გასვარა. მისი გონება თურქი ვაჭრის ხომალდს დასტრიალებდა. როგორ ასულიყო ხომალდზე ისე, რომ არავის დაენახა. არ იქნა, არ მიილია დღე.

შუადღით დაჩხირია ეწვია. გაეხარდა, საკუჭნაოში შეიყვანა, ჯერ მამა მოიკითხა, მერე ყელსაბამის ამბავი გაანდო. ძაღლი კუდს აქიცინებდა, იგრიხებოდა, ვერ ხვდებოდა, რას ეუბნებოდა თაია, მაგრამ გრძნობდა, რაღაც დიდი სიხარული ედგა გულში და თანაუგრძნობდა.

იმ დღეს დიდი ბაზრობა იყო. ნავსაყუდელში ახალი ხომალდი შემოვიდა. ხალხი მას დიდი ხანი ელოდა. საქარ-

თველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულიყვნენ საქონლის შესაძენად. უამრავი მყიდველ-გამყიდველი ირეოდა მოედანზე. ერთი ვაიუშველებელი ყაყანი იდგა, ბღაოდა მსხვილფეხი, ჭიხვინებდნენ არაბული და ყაბარდოული ცხენები...

ჯამლეთი, ჩვეულებისამებრ, ადრე გავიდა ბაზარში და შესვლისთანავე სწორედ იმ თურქ ვაჭარს დაადგა თვალი. კარგ გუნებაზე იყო თურქი, უკანასკნელ, დარჩენილ საქონელს იაფად ყიდდა და მუშტარიც ბევრი ჰყავდა. ჯამლეთს არ მოეწონა თურქი, მისი მედიდური ღიმილი დანასავით მოხვდა გულზე. გადაწყვიტა მისთვის აეგო წესი. გაიგო, მისი ხომალდი სად იდგა, და გულდამშვიდებული დაბრუნდა დუქანში.

ცუდად სვამდა. თურქის სახე თვალიდან არ შორდებოდა. გარკვევით არ იცოდა, რა არ მოეწონა მისი. ვაითუ მეტი აღარ შემხვდესო,—ეკალზე იჯდა. ვერ მოისვენა, იმისი ნახევარი არ ჰქონდა დალეული, რასაც სვამდა, ადგა და ისევ ბაზარში გავიდა.

აღარც ვაჭარი დახვდა იქ და აღარც მისი კაცები. საქონელი გაეყიდათ და ხომალდზე ასულიყვნენ. ამაღამ სამშობლოში ბრუნდება, წასვლის სამზადისშია, უთხრეს თურქის ფარდულის გვერდით მოვაჭრე ბერძნებმა.

ჯამლეთი ნავსაყუდელში გაეშურა. ხომალდს წასასვლელად ამზადებდნენ. „ნუთუ აღარ გადმოვა ის ღორისშვილი ნაპირზე!“ — ტუჩს იკვნეტდა, ფეხს არ იცვლიდა იქიდან, გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი ხომალდიდან ფეხს გადმოდგამდა, იქვე მოეღო ბოლო. არ დაერიდებოდა დღის სინათლეს, ხალხს.— გადმოვა, არ შეიძლება წასვლამდე არ გადმოვიდეს ნაპირზე“, — იიმედებდა თავს.

შებინდებამდე ტრიალებდა ნავსაყუდელში, მაგრამ ხომალდის პატრონი გემბანზეც არ გამოსულა. იმედი გადაუწყდა; აწი ვაჭარი კი არა, გულადი მეზღვაურიც არ გადმოვა თურქის ხომალდიდანო. დუქანში დაბრუნდა და მაგიდას მიუჯდა, ღვინოს მოქაღლა გავებული.

ჯამლეთი ნავსაყუდელიდან რომ ბრუნდებოდა, სწორედ ამ დროს თაია მალვით, დუქნის კედლებს, ღობესა და ბოძების მოფარებით თურქ ვაჭართან მირბოდა. ენაგადმოგდებული დაჩხირია გვერდით მისდევდა, თან გზადაგზა დუქნის კუთხეებს და ფარნის ბოძებს სუნავდა. მოუსვენრად იყო, წუხდა, თითქოს გრძნობდა, რომ რაღაც საბედისწერო რამ ჩდებოდა. ფეხებში ებლანდებოდა თაიას, სად მიდიხარ, დაბრუნდიო, შეჰყეფდა.

შეშინებული თაია თავზე ხელს უსვამდა.

— დამშვიდდი, დაჩხირია! — აწყნარებდა და თვითონ ძაღლზე მეტად ღელავდა, შიშისაგან სული ელეოდა.

ნაპირზე ბუღარა ელოდა. შორიდან დაინახა თაია. ნავსაყუდელში არა ერთი და ორი დიდი და პატარა ხომალდი იდგა და თურქი ვაჭრის ხომალდს ადვილად ვერ იპოვიდა თაია, ამიტომ დაახვედრა ვაჭარმა ბუღარა. თურქი ფრთხილობდა, რომ არავის დაენახა მის ხომალდზე ამოსული გოგო. კიწი წოწორიას კარგად იცნობდა, მისი ამბავი ხელისგულზე ეწერა.

ბუღარამ თაია რომ ვაჭარს შეუყვანა, ის ბოლთას სცემდა მოლოდინში, ქალიშვილისაკენ ისეთი მოჩვენებითი სიმშვიდით მობრუნდა აქამდე მოლოდინით აფორიაქებული, თითქოს არც ელოდა.

— კიწი აღამ გამოგგზავნა, ხანუმ?— ჰკითხა თაიას.

თაიამ უარის ნიშნად თავი გააქნია. შუბლზე თმა ჩამოუცვივდა და იქიდან შიშით მიაპყრო თურქს თვალები.

— შენ დამიბარე, ბიძია.

— ჰო, მართლა, დამავიწყდა, ყელსაბამს შეგპირდი, მგონი?

თაიამ თავი დაუქნია.

— მოდი, დაჯექი! — უჩვენა თურქმა ხალიჩაზე მოფენილ ბალიშებზე, რომელთა შუაში ტკბილეულით, ნამცხვრე-

ბითა და ხილით სავსე სინები, ჯამები და ვერცხლის სურები იდგა.

თაია გაკვირვებით დააცქერდა იატაკს. რატომ ეგო ძირს ძვირფასი ხალიჩა? რატომ ეყარა აბრეშუმის ბალიშები?

თურქმა ხელი მოკიდა, სინებთან და სურებთან მიიყვანა.

— დაჯექი, — ანიშნა ბალიშზე.

ბუღარა ჩუმად შეტრიალდა და გავიდა.

— ეს ჩვენებური ტკბილეულია. თქვენში პიმპილს ჭამენ, ჩვენში კი ასეთ ტკბილეულს. ალაჰის ქვეყანა არა ჰგავს თქვენს შხამიან ჭაობებს. აი, ასეა მორთული ჩვენი სახლები, — თურქი ფეხმორთხმით დაჯდა. — დაჯექი! — განუმეორა ისევ.

— წავალ, — სირბილით გულამომჯდარი ძლივს იბრუნებდა სულს, თავდახრილი იდგა, წინ ჩამოშლილი თმიდან ლამპის შუქზე ციცინათელებივით უელავდნენ დაცეცებული თვალები.

— არ დაჯდები? ყელსაბამი არ გინდა?

— მომეცი, ბიძია, და წავალ.

— მოგცემ, ხანუმ, აბა რისთვის დაგიბარე? შენთვის ვიყიდე. ისეთი ყელსაბამია, ოდიშის დედოფალიც არ დაიწუნებდა.

— მომეცი, ბიძია, და წავალ.

— ჯერ დაჯექი და ეს ნამცხვარი გასინჯე! — ვაჭარმა სინი ახლო მიუჩოჩა.

თაიამ ბალიში ფრთხილად გასწია გვერდზე და ხალიჩაზე დაჯდა.

— აიღე, პატარა ხანუმ!

თაია საფრთხის მოლოდინში შემკრთალ რაღაც ლამაზ ტყიურსა ჰგავდა. თურქს კიდევ უფრო მშვენიერი ეჩვენა, აღტაცებით უყურებდა.

ხომალდი ოდნავ ირწეოდა. ქიმს მსუბუქი, ნელი ტალღები ეტყაპუნებოდა.

— წავალ, — დაარღვია სიჩუმე თაიამ.

— ნამცხვარი რომ არ ჭამე!

— არ მინდა ნამცხვარი.

— გემო მაინც გასინჯე!

თაიამ თავი შეარხია, ეს ეკეთ ეახლა იყარა, ახლაღა დახედა, რან თავაზობდა თურქი, ხელი თავისით წაუვიდა სინისკენ, ნამცხვარი აიღო.

— წავიღებ, შინ შევჭამ.

— თუ მოგეწონა, შინაც გაგატან.

— მომეწონება, ბიძია, — უთხრა თაიამ და უკბიჩა.

— ხომ კარგია?

თაიამ კიდევ უკბიჩა და თავი დაუქნია. თმა ისევ გადმოეყარა შუბლზე. თმიდან თვალებმა კვლავ ციცინათელებივით გამოანათა.

— კიდევ უკბიჩე!

თაიამ მთლიანად ჩაიდო პირში ნამცხვარი და ყბის ერთი მოქნევით გადაუძახა.

— წავალ, ბიძია, — კვლავ გადაიყარა თმა უკან, თვალი მოავლო კედლებს, იატაკს, ჭერს. ხომ არ მეჩვენებაო, დაახამხამა თვალები. კედელზე ოქრო-ვერცხლით მოზარნიშებული აბჯარ-აბგარი, ტანსაცმელი და ოქროსფერ ჩარჩოებში ჩასმული სურათები ეკიდა, კუთხეში ფარჩეულის ხვეულები ეწყო, ბალიშებზე სამკაულები ელაგა, ელავდა ბროლი და ალმასი, ოქრო და ფირუზი. — დამაგვიანდება დუქანში, კიწი ბატონი გამიწყრება, — ძლივს ამოილუღლუღა სიზმარში ეგონა თავი. ბაზარშიც არ უნახავს თვალის მომჭრელი ასეთი ძვირფასი ნივთები, — მეძინება, ვაიმე! — დაიყვირა უცებ.

„კი არ გეძინება, უკვე გძინავს“. — კმაყოფილებით გაიღიმა თურქმა.

— წავალ, ბიძია... — წამოიწია თაიამ. ტანი ვერ აიტანა.

— წადი, ხანუმ!

— ყელსაბამი! — დაილუღლუღა ძილით თავწართმეულმა, — მაჩვენე და წავალ.

— მეტი არ არის შენი მტერი, შენსადმე წახვიდე, — თურქმა მის წინ მდგარ კოლოფიდან ყელსაბამი ამოიღო, მაგრამ თაია ვეღარ ხედავდა.

— რატომ მეძინება? — გააზმორა, მოეშვა.

თურქმა სინი გვერდზე მიაჩოჩა, რომ ხელი შეეშველებია თაიასათვის და ბალიშზე მიეწვინა. სანამ მისკენ გადაიხრებოდა, თაია ხელნაკრავივით გულაღმა გადავარდა. მას უკვე ეძინა. ხელები აქეთ-იქით ჰქონდა გადაყრილი, თავი უკან გადაწეული. თურქი გადაიხარა ... ყელსაბამი შეაბა...

დაჩხირია ნაპირზე წრიალებდა. თითქოს გრძნობდა, რომ თაიას საფრთხე ელოდა. წინ და უკან დარბოდა ხომალდის გასწვრივ, ყეფდა, თაიას ეძახდა.

ხომალდზე აფრები აუშვეს, ასწიეს ღუზა. მეზღვაურები დამაეჭვებელი სისწრაფით იქცეოდნენ. ძაღლი ადგილიდან მოწყდა, ყეფით გაქანდა ხომალდისკენ, მაგრამ მის ცხვირწინ ასწიეს კიბე. მთლად გადაირია დაჩხირია, უკან დაიწია და კვლავ ხომალდისკენ გაენთო, რათა შემხტარიყო. ვერ მიაღწია ხომალდამდე, ტყაპანი გაადინა ზღვაში...

თაიამ რომ გაიღვიძა, ხომალდი შორს იყო ნაპირიდან. სარკმლიდან მთვარე იხედებოდა, მრგვალი, კაშკაშა, ვერცხლისფრად ანათებდა კედლებს, ხალიჩას. არ ახსოვდა სად იყო, თვალგაშტერებული უძრავად იწვა, სხეული არ ემორჩილებოდა, თავი ტკიოდა, მიწა მიცურავდა მის ტანქვეშ, ნელა, შეუმჩნევლად, ამის გამო ტკივილი უფრო უძლიერდებოდა. დიდხანს იწვა ასე, მერე ხელი საფეთქელთან მიიტანა და სრესა დაუწყო, ოდნავი შვება იგრძნო. მარჯვნივ ხვრინვა შეესმა, ძლივს მიაბრუნა თავი.

კედელთან, ხალიჩაზე, გემის პატრონი იწვა. ყველაფერი გაახსენდა, გველნაკბენივით წამოჯდა. თურქს საბანი არ ეხურა, მკერდგაღეღილი იწვა, სუფთად გაპარსული ოფლიანი თავი მთვარის შუქზე სარკესავით უპრიალებდა, პირღიას ეძინა.

თაიას არ შეეშინდა, არ იცოდა, რომ ნაპირიდან შორს იყო, იჯდა და იცდიდა, როდის გაუვლიდა თავის ტკივილი. როდის დაუბრუნდებოდა ხელ-ფეხს საძრაობა. „ჭამე, შვილო!.. თუ მოგეწონა, შინაც გაგატან!.. კიდევ უკბიჩე!“ ესმოდა თურქის ხმა. წამოდგა [illegible] ადგა. პირველად ხედავდა [illegible] ცხო კაცს, დასცქეროდა ცნობისმოყვარეობით, გულუბრყვილოდ, როგორც ბავშვი, ჯერ კიდევ არ იყო მიმხვდარი, რა სჭირდა. „რატომ დამეძინა?“ — უცებ იგრძნო, რა დიდი დრო იყო გასული. „რას იტყვიან დუქანში?“ გაახსენდა დაჩხირია და რაღაც იმედი მიეცა. კარი გამოაღო და გარეთ გავიდა.

გემბანზე ჭაჭანება არ იყო. ძველი ხომალდი რწევით, ჭრიჭინით, ტკაცუნითა და ხვნეშით მიიწევდა წინ. ჭრიჭინებდა ანძები, ქიმი, მოაჯირი, კიბე. ჭრიჭინებდა, როგორც ბებერი ძვლები. თაიას თავზარი დაეცა. ხომალდი შუა ზღვაში მიცურავდა.

გაიქცა იქით, საითაც ხომალდი მიცურავდა, მაგრამ მაშინვე შებრუნდა და ახლა უკან გაიქცა კიჩოსკენ, რათა დაენახა, რამდენად შორს იყო ნაპირიდან. რაღაცას ფეხი წამოსდო, ვერ დაინახა, რა იყო. გემბანზე აქა-იქ მიყრილიყვნენ მტვირთავები და ეძინათ. უწესრიგოდ ეწყო სავსე ტომრები, კასრები, ყუთები, ბზის ხეები, ება ცხენები. მივიდა კიჩოსთან, აქ გათავდა გზა, გადაეყრდნო მოაჯირს.

სადღაც შორს, შუქი ბჟუტავდა. მოაჯირს ჩააფრინდა ორივე ხელით, ხომალდის გაჩერებას ლამობდა. ყულევი! იქაა დაჩხირია, იქაა ნაპირი, ყორათი. ბაბა! ხომალდი მიცურავდა ხვნეშით, ჭრიჭინითა და ტკაცუნით, უკან რჩებოდა შუქი, ბაბა, დაჩხირია, ნაპირი. ქვითინი რომ არ წასკდომოდა, არ ეკივლა, ყელზე შეივლო ხელები, რაღაც ცივს შეეხო. ყელსაბამი! თურქი აესახა, მერე ხალიჩები, ბალიშებით მოფენილი, კედლებზე ჩამოკიდული აბჯარ-აბგარი, კუთხეში დახვავებული ფარჩეული, ბროლი და ალმასი, ოქრო და ფირუზი, ტკბილეულითა და ნამცხვრებით სავსე ვერცხლის სინები, სურები, ჯამები. თანდათან უფრო უჭერდა ხელს ყელსაბამს. შუქი უკან იწევდა, ილეოდა, იკარგებოდა. ტალღები მსუბუქად

ეტყლაშუნებოდა ქიმს, ჭრიჭინებდა, ტკაცუნებდა ანძები, ბაქანი, კიბე, მოაჯირი. ირხეოდა კედლებზე აბჯარ-აბგარი, ტანსაცმელი, სურათები, ირწეოდა ჯამ-ჭურჭელი, წკრიალებდა ბროლი, ბრწყინავდა ოქრო და ფირუზი — თავისკენ უხმობდა თაიას. უნდოდა მიეხედა იქით, მიეხედა, საითაც ხომალდი მიცურავდა, იქ უკეთესი ცხოვრება ელოდა, სიმდიდრე ელოდა. იქ მედუქნის შიშით აღარ დამალავს ბეჭდებს, სამაჯურებს, საყურეებს, ყელსაბამს, არ დამალავს ლეიბქვეშ ჭინჭში გამოხვეულს. შეიბამს საყურეს, ყელსაბამს, სამაჯურს, გაიკეთებს ბეჭედს, გაირჭობს თმაში ბრჭყვიალა სავარცხელს, ჩაიცვამს, დაიხურავს. არ მოერიდება ბაბას მკაცრი, გამჭოლი თვალების, მისი ღრუბლიანი სახის. თაია ხელს არ აშორებდა მოაჯირს, მაგრა უჭერდა, ეშინოდა სულს არ წაეძლია და არ დაბრუნებულიყო თურქის სადგომში, თვალს არ აშორებდა შუქს, ჯერ კიდევ რომ ბჟუტავდა შორს. იქ ეგულებოდა ბაბა, დაჩხირია, ქართა, ძროხები, ჩეპიჯამი და ხანტურია, ბოსტანი და რიონი... და კიდევ დუქანი, კიწი წოწორია, მისი მოინალეები. შუქში მოეჩვენა ბაბას სახე, მერე ტანი, მაღალი, მკვრივად ჩასხმული, შუბლშეკრული, ცივი, ჯიუტი ნიკაპი და გამჭოლი თვალები. უნებურად დახარა თავი, ხელი უშვა მოაჯირს, მაგრამ მაშინვე ისევ აიხედა, კვლავ ჩააფრინდა მოაჯირს. არა, ბაბა არ იყო შუბლშეკრული, თვალები თბილად უღიმოდა. ასეთი იყო ბაბა მისთვის ყოველთვის, ასეთი იქნება მუდამ.

— ბაბა!.. — დაიჩურჩულა, ასწია ფეხი, გადააბიჯა მოაჯირს.

ჯამლეთის გვერდით დაჩხირია იდგა, კუდს აქიცინებდა, უნდოდა დაეყეფა, გადმოხტიო, მაგრამ ჯამლეთისა ერიდებოდა და მხოლოდ კუდს აქიცინებდა.

თაიამ მეორე ფეხიც ასწია. ვეღარ მოითმინა და დაიყეფა დაჩხირიამ. გაიღიმა მთელი სახით ბაბამ. გადადგა მათკენ ფეხი თაიამ, გადავარდა ზღვაში. ხედავდა ბაბას, დაჩხირიას, კარავს, ქართას, დუქანს, მიცურავდა მათკენ, ხომალდის ჭრიჭინ-ტკაცანი ეკარგებოდა. სიწყნარეს მხოლოდ ბანაობა ვურის წკაპაწკუპი არღვევდა. ერთი წვეთი წყალი არ მოჰყვებოდა მკლავებს, მთელი ზედატანი წყალზევით ეკავა. ასე გადაცურავდა და გადმოცურავდა ხოლმე, საყვარელ რიონს, ისე, რომ ერთს არ შეისვენებდა, მკერდით წყალს არ დაეკარებოდა. ეგონა, დიდი ხანი მიცურავდა, იმიტომ, რომ ბაბას სახე თანდათან უახლოვდებოდა, იგი არასოდეს არ ყოფილა ასე თბილი, მას არასოდეს არ გაუღიმია თაიასთვის, იმიტომ რომ დაჩხირიას ყეფა თანდათან უახლოვდებოდა. „ბაბა!“, — ჩურჩულებდა, — „ბაბაჩია!“— იმეორებდა.

დაუმძიმდა მკლავები, ისინი ახლა ტყაპუნით ეშვებოდა წყალში და ჩქაფუნით ამოდიოდა წყლიდან, წვეთი კი არა, ღვარი ამოჰქონდა. გული ყელში აწვებოდა, ეწოდა, ხრიალით სუნთქავდა. „ბაბა!... ბაბაჩია!“

მხოლოდ თავპირი უჩანდა წყლიდან. „გავალ. სულ ახლოსაა ნაპირი... ახლოსაა ბაბა!“ ბედნიერი ამ სიახლოვით, ვერ გრძნობდა, რომ იძირებოდა...

ჯამლეთი შებრუნდა, თაიას ანიშნა, გამომყევიო, და დაადგა გზას, წავიდა ყორათისკენ.

თაია ჩქარობდა, მაგრამ წინ ვერ იწევდა, მკლავები მისი აღარ იყო, დაუმძიმდა, გაუხევდა, აღარ ემორჩილებოდა. უნდოდა დაეძახა ბაბასთვის, დამიცადე, ახლავე გამოვალო. ძახილის ნაცვლად, ხრიალი ამოუვიდა პირიდან... დაჩხირია მაინც რატომ არ უცდის! ისიც გაჰყვა ბაბას. უნდა იჩქაროს, თორემ ბაბა შორსაა, ვეღარ დაეწევა. ბაბა შორსაა, თუ არ დაეწია, მერე აღარ მოვა ბაბა მის წასაყვანად... აი, ნაპირიც, შეიძლება ფეხი დადგას მიწაზე... უნდა დადგას, თორემ აღარ მოვა ბაბა მის წასაყვანად... უნდა დადგას... რატომ არ ეხება ფეხი მიწას? რატომ არ ეხება ფეხი მიწას?.. აღარ მოვა ბა-

ბა მის წასაყვანად!.. აღარ ჩანდა ბაბა, აღარც დაჩხირია, აღარც კარავი...

...მსხვილად ბარდნიდა. კარვის ჩაქცეულ სახურავზე სქლად იდო თოვლი, თოვლი იდო აივანზე, ჩამქრალ კერაზე, ცალ ანჯამაზე დახრილ კარიდან რომ მოჩანდა.

თოვლით იყო დაფარული ბოსტანი, თოვლს ჩაექცია ქართის ყორე, არ ჩანდა თოვლზე საქონლის კვალი, არც ჯამლეთის კვალი ჩანდა თოვლზე. არ ჩანდა საქონლის კვალი იმიტომ, რომ დიდი ხანია ამოწყდა საქონელი, არ ჩანდა ჯამლეთის კვალი იმიტომ, რომ დიდი ხანია ჯამლეთი ლოგინად ჩავარდა. არც დაჩხირიას კვალი ჩანდა, იმ ღამის შემდეგ ძაღლი ყორათში აღარ მობრუნებულა.

კარვის წინ მშიერი ნადირი დაძრწოდა. დიდი ხანია აღარ უხმობდა მათ გამამხნევებელი, წკრიალა ხმა, დიდი ხანია აღარ გაისმოდა სიმღერა:

ვარდის დო ჭუჭელეს ართო უღუდესი ბინა,
ჟირხოლო ქიანას უჯინე ღორონთიში
გონარჩქინა.
ვარდის ჯუნა ქოხვადუდა ჭუჭელეს ხვადუ
მიკოჯინა.

მკვდარი სიწყნარე იდგა ირგვლივ. თოვლი კი ბარდნიდა და ბარდნიდა.

ყრუდ გაიჭრიალა კარვის კარჭა. ზღურბლს ვიღაც მოადგა. დაფრთხა ნადირი. ზღურბლთან მდგარი არ ხედავდა მათ, ჩამქრალიყო მისი გამჭოლი თვალები.

კარვიდან გამოვიდა. მოხრილიყო მხრებში, არ ეკიდა ზურგზე გუდა, არ ედო მხრებზე შველი, არ ეჭირა მაღლა თავი.

სანამ ფეხს გადადგამდა, მიბრუნდა და იმ ფიცარს შეხედა საწოლთან, მოკლულ თურქთა აღმნიშვნელი შავი ხაზები რომ ჰქონდა ჩამოსმული. ერთი მტკაველი ერთი ადლით გაწეულიყო. ველარ ხედავდა ხაზებს მისი თვალები. შავი ხაზები მოკლულ თურქთა სახეებად აღიმართნენ მის წინ. სუსტმა ღიმილმა გაუნათა ქანგისფერი ძვალტყავად ქცეული სახე.

კარი არ მოუხურავს. აღარასდროს მობრუნდება უკან. თოვლით დაფარულ გზას დაადგა. ამ გზით მიდიოდა ყოველთვე. დროის ანგარიში დაკარგული ჰქონდა, არ იცოდა, რამდენი ხანია აღარ წასულა ამ გზით. მისი უღონო ნაბიჯი აღარ ჰგავდა იმ ნაბიჯს, მიწა რომ დრკებოდა. მიდიოდა უკან მოუხედავად. იცოდა აღარასდროს მობრუნდებოდა და მაინც ერთხელ არ მოხედა კარავს, ქართას, ბოსტანს. მხოლოდ იქ შედგა, სადაც რიონისპირზე თაია ელოდა.

„აქ მელოდი. გამოვიდოდი თუ არა კუზიან მუხასთან ბილიკზე, წამოხტებოდი და კარავში გარბოდი. იცოდი, ჩემს გულს შენთვის არ ეცალა, იმდენად დიდი იყო ჩემი ვარამი. ჩემს გულს შენთვის არ ეცალა... არც ახლა სცალია შენთვის ჩემს გულს... მინდა აღსასრულის წინ შეგხედო. იქნებ, არც გახსოვარ, შვილო!.. შენ კი სულ ჩემთან მეგულებოდი. წოწორიას დუქანში იმიტომ არ გაკითხავდი, მეშინოდა, უკან არ წამეყვანე. აქ სულ მარტო იყავი, ვშიშობდი, ლაპარაკს არ გადაჩვეოდი, ადამიანს არ გადაჩვეოდი, არ გატყიურებულიყავი...“

ათოვდა შიშველ თავზე, უღონოდ ჩამოყრილ მხრებზე.

„შენ, ალბათ, ახლა დიდი ქალი ხარ. მაგრამ ჩემთვის კვლავ ისეთი პატარა თაია ხარ. როგორ კარგად მახსოვს შენი სახე, როცა გითხარი, ყულევში წამოხვალ-მეთქი. არ შემოგიხედავს, მაგრამ მე ვხედავდი თხოვნითა და ვედრებით სავსე შენს თვალებს... არა, თავიდან არ მოგიშორე, შვილო, შენ აქ სულ მარტო იყავი, ვშიშობდი, ლაპარაკს არ გადაჩვეოდი, ადამიანს არ გადაჩვეოდი, ამიტომ მიგაბარე კიწი წოწორიას. შენ ყოველთვის ჩემთან მეგულებოდი, ყოველთვის აქ მხვდებოდი დაჩხირიასთან ერთად... მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი და შენთან ვბრუნდებოდი. არ მახსოვს, რამდენ თურქს მოვუსწრაფე სიცოცხლე. ჩემი თვალები ველარ ხედავენ, ბაბა. დიდი ხანია ველარ ვითვლი კედელზე ხაზებს... იქნებ, ოდესმე დაბრუნდე, და-

ითვალო და თქვა, აი, თურმე რატომ არ ეცალა ბაბას გულს ჩემთვისო.

თოვლი ბარდნიდა და ბარდნიდა.

ძლივს მიჰქონდა დათოვლილი მხრები, ძლივს ადგამდა ფეხს.

„შენ, ალბათ, გათხოვდი კიდეც. იქნებ, შვილებიც გყავს, ბაბა! მოუყევი მათ ბაბაშენის ამბავი. უთხარი, როგორ იძიებდა შურს... უთხარი, არ დაინდონ მტერი... მე არ ვკლავდი ნადირს, წიწილასაც კი არ ვკლავდი, არ მიყვარდა სისხლი და იმიტომ. ცოცხლად ვიჭერდი ნადირს... არ ვკლავდი ადამიანს, ვკლავდი მტერს, მხოლოდ მტერს... არასდროს არ შერხეულა ჩემი მარჯვენა, რადგან ვკლავდი მტერს...“

შედგა, სული მოითქვა.

„მიქამგარიო, შენ მომე ძალა... მიმიყვანე წოწორიას დუქანში, უკანასკნელად დამანახვე ჩემი თაია...“

გადადგა ფეხი. თოვლი მუხლამდე წვდებოდა, ქარი სახეში სცემდა, გამყინავი, დანასავით ბასრი. არ ხედავდა არაფერს, ალალბედზე მიდიოდა, იმ გზით, რომლითაც თორმეტი წელი ვიდოდა.

„მტერს დღეს ერთხელ კიდევ გამოსჭრის ყელს ჩემი სატევარი. ეს იქნება ჩემი უკანასკნელი დღე... აქ შენ სულ მარტო იყავი, ვშიშობდი, ლაპარაკს არ გადაჩვეოდი, ადამიანს არ გადაჩვეოდი, არ გატყიურებულიყავი... შენ ეს არ იცოდი, არც შენმა დაჩხირიამ იცოდა, გული მოუვიდა და მიმატოვა, ყულევში დარჩა შენთან... ძაღლისთანა ერთგული ქვეყნად არავინაა... შენ გეგონა, დაჩხირიას მეტს არავის უყვარდი. იმიტომ ვკლავდი თურქს, რომ შენ იგივე ხვედრი არ ეწვეოდა, რაც შენს ძმებს, იგივე ხვედრი არ წვეოდა შენს შვილებს, სხვის შვილებს... მეც დაჩხირიასავით ერთგული ვიყავი ჩემი საქმის, სანამ პირში სული მედგა... ახლა ეს ჩემი უკანასკნელი გზაა...“

პირქვე დაეცა თოვლში, სახე მიწისფერი ჰქონდა, ცოცხლად იმარხებოდა თოვლში, გაუწყდა მოგონებათა ქარგა.

„შენი წასვლის შემდეგ ღამე ისე არ გავიდოდა, ჩემი ბიჭები არ მოსულიყვნენ, ყოველღამე მოდიოდნენ კაკუნია და ბარდღუნია, დედაშენიც ყოველ ღამე მოდიოდა... შენ არ გახსოვდი იმიტომ, რომ ბაბაშენის გულს შენთვის არ ეცალა... ყოველღამე მოდიოდნენ კაკუნია და ბარდღუნია, დედაშენიც ყოველღამე მოდიოდა... დამიგვიდნენ კარავს, მომიმზადებდნენ საჭმელს... ყოველ მოსვლაზე გკითხულობდნენ კაკუნია და ბარდღუნია, დედაშენიც გკითხულობდა ყოველ მოსვლაზე. კიწი წოწორიას დუქანშია-მეთქი, ვეუბნებოდი... მეორე ღამეს ისევ მეკითხებოდნენ შენს ამბავს... არ არისო თაია კიწი წოწორიას დუქანში...“

თვალიღა უჩანდა თოვლიდან. ქარი ნამქერს აყრიდა, მაგრამ მაინც გასცქეროდა გზას, რომელიც არ ჩანდა.

„ლოგინად რომ ჩავვარდი, კაკუნია და ბარდღუნია დღისითაც მოდიოდნენ, დედაშენიც დღისით მოდიოდა... ყოველდღე მეკითხებოდნენ, სად არისო თაია... თაიაც გაიგებს ჩემს ამბავს და მოვა-მეთქი, ვამშვიდებდი კაკუნიას და ბარდღუნიას, ვამშვიდებდი დედაშენსაც, მაგრამ შენ არ მოდიოდი, იმიტომ რომ ჩემს გულს შენთვის არ ეცალა, იმიტომ რომ კიწი წოწორიას მიგაბარე და აღარ გაკითხავდი... საყვედურით რომ შემომხედავდა დედაშენი, მეგონა, შენ მედექი თვალწინ, ისე ჰგავდი დედაშენს, მეგონა, შენ მედექი თვალწინ... მეგონა მაპატიე, რომ შენთვის არ ეცალა ჩემს გულს... ხან კაკუნიას აგზავნიდა დედაშენი კიწი წოწორიას დუქანში და ხან ბარდღუნიას... გუშინ დედაშენი წავიდა თვითონ. არ არისო კიწი წოწორიას დუქანში ჩემი თაია... არ მაპატია დედაშენმა, ამ დილით სულ წავიდა... კაკუნია და ბარდღუნიაც თან წაყვნენ დედას... არც კაკუნიამ და ბარდღუნიამ მაპატიეს... წოწორიას დუქანში იმიტომ წაგიყვანე, რომ აქ სულ მარტო იყავი, ვშიშობდი, ლაპარაკს არ გადაჩვეოდი, ადამიანს არ გადაჩვეოდი...“

- თვალები აღარ უჩანდა... აღარ სუნთქავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუთა ნიშნიანიძე

ძილი ნეგისა

ბიბლიოთეკიდან რომ გამოვედი,
ღამემ ჩრდილებად დაღვრა ინება.
ვით უხმაურო სრბოლა კომეტის,
ცით მოისმოდა ჟამთა დინება.
გზას დავადექი ფიქრით გართული,
დუმილითა და კითხვით დაღლილი.
სადღაც ხეებში მბჟუტავ ნათურას
ღამე ლოღნიდა მშიერ ძაღლივით.
ამ დროს ხეებზე სიჩუმე ცოცავს,
მიწა იძინებს მთვარის კალთაში.
ამ დროს გაისმის სიჩუმის ლოცვად
ნამის გავარდნა, ჩრდილის თამაში.
ის საერთოა — არა პირადი,
მრავალ იდუმალ ხილვის სარკმელი,
ყველგან სიცოცხლის სული ბინადრობს,
ყოვლის შემქმნელი და გარდამქმნელი.
ავსებული ვარ წიგნთა სურნელით,
უცხო ხილვებით და მირაჟებით
და ყოვლისშემძლე გრძნეულ სულივით
ჩემს წარმოდგენებს ვეთამაშები.
ჩუჩუნით, თრთოლვით ბუდე ივსება,
ჯერ ისევ თბილი გაზაფხულია
და დედაჩიტის ოქროს სიზმრები
ბუდეს ფრთებივით გადახურვია.
აქვს სიჩუმესაც თავის სათქმელი
სიცილით, შიშით და სინაზეთი.
ბაღში აგდია მთვარის ნათელი,
ვით დაჭმუჭნული დიდი გაზეთი.
ღამე სავსეა თრთოლვით, ჩურჩულით,
საყვარელ ქალის თმების სურნელით.
არის მუდარა, ხვეწნა მუნჯური,
გამოუთქმელი ვნება-სურვილი.
დღით მოძალებულ როლებს და ნიღბებს
ღამით ვიხსნით და მარტივნი ვხდებით
და მხოლოდ იმას ვარჩევთ და ვიღებთ,
რასაც ვისურვებთ ჩვენივე ნებით.
ღამე აჯამებს დღის წარმატებებს,
ხვალინდელ დღეზე ოცნებებს ართავს.
ღამე საკუთარ თავს დაგვანებებს
და გვაახლოვებს საკუთარ თავთან.
ღამე სავსეა უცხო მშვენებით,
ყრუ მოლოდინით და იმედებით.
ვიცი, ესწრაფვი, სულო, თენებას,
მაგრამ უღამოდ ვერ გათენდები.
ღამით სწორდება დღის შეცდომები,
დანაშაული ცოდვის მიმთვლელი.
ღამევ, მიყვარხარ და გემონები,
თუ გაგამართლებს დღე ხვალინდელი.
ღამის სიჩუმე სულში გამცრია
და შემსევია ტანზე ლანდებად.
სიჩუმეც თითონ დიდი აზრია
და უნდა იყოს დღის გამართლება.
მკურნალი არის ღამის სიჩუმე —
დღისით დაკარგულ ძალთა აღმდგენი.
ღამე მოგირჩენს და მოგიშუშებს,
თუკი რამე გაქვს დღისით ნატკენი.
ღამე დათმობის და პატიების,
ღამე გატანის, ღამე მინდობის,
ღამე ცოდვათა მონანიების,
შემწყნარებელი ღამე მშვიდობის.
გაჩაღებული ქალაქი მოჩანს,
როგორც სინათლის ფიჭა ზღაპრული.
ან ვარსკვლავებით ავსილი ხონჩა
ღამეულ ნისლით გადანამქრული;
ანდა მტევნები ციცინათლების
ღამის ფოთლებით გადაბურული.
სიჩუმე... მტკვარი... ღამის ლანდები.
მიიზლაზნება, როგორც ურმული.
ძილი ნებისა, ჩემო ქალაქო,
ეს მყუდრო ძილი არ დაკარგვოდეს.
ძილი ნებისა შენს აგარაკებს,
შენს შემოგარენს, ზვრებს და
წალკოტებს.
„ძილი ნებისა“ — რაოდენ დიდის,
რაოდენ ბრძნულის მთქმელია ჩემთვის.
„ძილი ნებისა“ — ლოცვაა ჩიტის.
ლოცვა-ვედრება ყოველი დედის.
ეს უფლებაა ჩვენი მიწა-წყლის
და ენიჭება ყოველ ქმნილებას,

ეს მოთხოვნაა თვითონ სიცოცხლის
და არა მხოლოდ მოთხოვნილება.
ძილი ნებისა, ჩემო წარსულო,
უნაგირზე და შუბზე მთვლემარევ.
ისევ გრძელდები... ხარ უსასრულო,
სად მომეწიე, სად მომეპარე!
შენა ხარ აზრი, სიმღერით თქმული —
(არ შეიძლება აზრის შეწყვეტა!)
მაკურთხებელი რაინდულ სულის,
ლიბო და დვრიტა ყოვლისშემძლეთა.
ეს ორი სიტყვა — „ძილი ნებისა“,
ძველმა უძილო დრომ თუ დაბადა.
გეღირსათ... მყუდრო ძილი გეღირსათ
თქვენ, აჩრდილებო მამა-პაპათა.
„ძილი-ნებისა“ — ეს ყივილია
და სილამაზე რაინდულ სულის.
ჩემო ქალაქო, სულ ტყუილია,
ვერ გინატრებდი უკეთეს სურვილს.
ღამე სავსეა ბევრი ტკივილით
და ჩვენგან ითხოვს ზრუნვას და სითბოს.
დაიბადება ჩვილი ტირილით
და ეს — სიცოცხლე იცინის თვითონ.
საწერ მაგიდებს უზის ქალაქი,
ეძიებენ და კიდეც ჰპოებენ
და სახვალიო განძად ალაგებენ
ნახაზებს, სქემებს და გაანგარიშებენ
და როგორც მწერი აბლაბუდაში,
ანდა ბუტკოში ყვავილთ მრავლობა,
ისე ცახცახებს გრძელ ფორმულაში
შესაძლებლობა და რეალობა;
როგორც პარკიდან ოქროს პეპლები
ანდა ყლორტიდან კვირტი ულევი,
სულიდან ისე მოფრთხიალებენ
მეტაფორები და ფორმულები.
უზის ქალაქი საწერ მაგიდებს
და შთაგონებას ჭერქვეშ აბუდებს
და ნოტებიდან ცაში გაჰკიდებს
ხმათა ბადეებს და აბლაბუდებს.
ვიღაც აცოცხლებს წინაპრის ყივილს,
წლებით დაჩრდილულ პაპირუსიდან.
და სულის ფსკერზე ტკივილად ღვივის
რა მძიმე ტვირთიც პაპებს უზიდავთ.
და როგორც ქარში თავთუხის ყანა,
ირხევა აზრი ქვაში, რკინაში
და სიკვდილს ებრძვის დასტაქრის დანა,
სტრიქონი, გემი და გარიჟრაჟი.

* * *

ქვიან ტაფობზე ორბივით ზის ციხე-ტაძარი
და ჟრუნისფერი ნაკრტენივით უკრთის ქვითკირი.
რას ჩურჩულებენ გალავნები ლოდებდამზრალი,
ან ეს სიჩუმე რაღას მისტირის?

ეს ანგელოზის პეშვებია თუ ბუდეები?
კედლებზე შრება ჩრდილისა და მზის ბადეები.

აი, ზღაპარი გასაოცარი,
ქვის სიმფონია გაუგონარი.
ტაძარს აგებდა ხუროთმოძღვარი,
როგორც მხატვარი და მეომარი.

მე წავიკითხე ეს კიბეები
ქვათა პოემის ციტატებივით.
კარებთან დამხვდა თაღი ვეება,
ბალღივით ჩემი ამტატებელი.

გაიფართქალებს მდინარე ზევით
და ხეობაში შედის სოლივით.
ბჭესთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისრებად დაყრილა გზები
წარსულისაგან გამოსროლილი.

ქვეყნად არა რა რჩება უკვალოდ
და ჟამი მაინც ყველაფერს შეცვლის.
ყოველი წუთი მერმისს უგალობს, —
ძველის ნაყოფი
და ახლის თესლი.

ასე —
კვირტები ათასჯერ შემცვლის
და ვეღარც ფესვებს გამოვეთხოვე.
ძველის ნაყოფი
და ახლის თესლი
არის ყოველთვის თანამედროვე.

გადავიხსენი და აღმოვცენდი,
როგორც ზღაპარი და სინამდვილე.
წარსულის ხილვა თუ აღმოჩენა
მომავლისაკენ გზას მიადვილებს.

სიმდიდრის ჟინი ვის არ უვლიდა,
წარსული ვიღამ აღარ გაქურდა?
საქმეც ის არი, რომ წარსულიდან
ზოგს ცეცხლი მოაქვს,
ზოგს ნაცარტუტა.

ვიღაცა რაღაც დიადს იპოვნის
და ამოშიფრავს მატიანედან,
თურმე ყოფილა ჩემი სტრიქონი,
მე რომ უნდობლად მატიალებდა.

...ნისლში ორბივით მისრიალებს ციხე-
ტაძარი
და მისდევს ჟამი —
მოისარი გაუმაძღარი.

გაფრენილ ციხეს
მისწვიან წლები ისრებად,
ძიძგნიან,
მაგრამ მისი მოკვლა არ შეიძლება.

იგი აზრია
ქვადქცეული,
ქვაში ნაძერწი —
გაუტეხლობის,
შემართების
და ქვის ანდერძი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გალავნებზე ამაღლებულს
მზე მანებივრებს,
ამ მღვიმეებთან ერთად ვთენდები
და წარსულიდან
ბრუნდებიან
მეომრებივით
ჩამოწეწილი სიმღერები და
ლეგენდები...

ზ ღ ვ ა

— ზღვასთან როცა ვარ, ქონდრისკაცი თავი მგონია.
— მე კი რატომღაც მეჩვენება, ვგავარ გოლიათს.

. . . . . .

ზღვა არი
დიდი შემოქმედი, —
სული დიადი.
ამიტომ არი ცვალებადი ზღვის ხასიათი.
ზღვასა აქვს სიღრმე!
ჰორიზონტიც სიღრმესთან ერთად!
ზღვის სტიქიაა
უსასრულო შერჩევა ფერთა.
ზღვა არი
დიდად თავმდაბალი უსაზღვროება —
ყველა სიმაღლე
ზღვის დონედან განიზომება.
ზღვას ერთი კარგი თვისება აქვს
ამასთანავე —
დიდს განადიდებს
და პატარას —
აპატარავებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო ავალიანი

ახალი ჰორიზონტი

რომანი

თამარელას თვითონაც უკვირდა, ბოლო ხანებში ასე დაჟინებით და განუწყვეტლივ რომ ფიქრობდა შატბიაზე. ღამე ისე არ ჩაივლიდა, უეცრად, თითქო რამემ დააფეთაო, არ გაღვიძებოდა და ლოგინში წამომჯდარი სმენად არ ქცეულიყო. ხშირად დასიზმრებია — თითქოს შატბია ჩამოსულიყო და ფრთხილად უხმობდა ღობეზე მომდგარი. ეს მოჩვენება, ეს ძახილი, ეს შუაძილში უეცარი გაღვიძება უკვე ისე დასჩემდა და ისე სტანჯავდა, აღარ იცოდა რა ეღონა. იდუმალ ნატრობდა— როდის მომიწევს მესამე ცვლაში მუშაობა, ღამე რომ შინ არ ვიყოო; მაგრამ ფიქრი შატბიაზე არც შახტში ეშვებოდა. იქაც ხშირად უნახავთ თამარელა უცაბედად შემკრთალი, თუ ჩაფიქრებული. სტანჯავდა ისიც, რომ თავის ფიქრებს ვერავის უმხელდა, გულს ვერაფრით იოხებდა. ერთად-ერთი კაცი, რომელსაც თამარელასათვის ეცალა და მთელი არსებით, არა თუ იდუმალ, უკვე აშკარადაც ეტრფოდა, იყო ხიდაშელი. მაგრამ ეს ყურადღება თამარელას უფრო აღიზიანებდა; ხიდაშელზე გული მოსდიოდა. ცდილობდა არაფერი შეემჩნია და ეს ახალი ცეცხლი თავისი მოჩვენებითი უყურადღებობით მოექრო.

თამარელასადმი ხიდაშელის იდუმალ ტრფიალს უკვე თავისი ისტორია ჰქონდა. გუშინდელ დღესავით ახსოვს თამარელას, როცა ბარდღა-ბიძინამ მოკიდებული პაპიროსით მას კისერი დასწვა, თამარელამ კი სამაგიეროდ მუზარადი სთხლიშა სახეში, სწორედ მაშინ შემოიჭრა ვიღაც უცნობი ჭაბუკი საგანრიგოში და აფრასიონ უკლებასთან ერთად თამარელას გამოქომაგება სცადა. რამდენიმე თვის შემდეგ ის ჭაბუკი ადრინდელი მთავარი ინჟინრის ლევანის მაგიერ დანიშნეს შახტში.

თამარელამ, გაისტუმრა თუ არა ლელა შახტისაკენ, უკვე კარგა ხნის ნავახშმევ ბავშვებს — გიას და გურამს ლოგინი გაუშალა და ძალის-ძალათი დააწვინა. თამარელას სათითაოდ უხდებოდა მათი დაჭერა. დატუსაღებულივით ოთახში შეჰყავდა ისინი და იქ კვლავ იმართებოდა ჭიდაობა. ტანსაცმელსაც რის ვაი-ვაგლახით ხდიდა და ხვეწნით, დაპირებებით — თუ დაწვებით, ზღაპარს გიამბობთ, ლექსებსაც წაგიკითხავთო — ძლივს იმორჩილებდა უდედმამობით გაონავრებულ დისშვილებს. მაინ რამდენიმე თვის წვალების შემდეგ გარდაიცვალა და დედულეთში ბავშვების უჩუმრად დაკრძალეს. ამ ხნის განმავლობაში გიას და გურამს დედა სამჯერაც არ გახსენებიათ, ისე იყვნენ თამარელასთან შეჩვეულნი და შეთვისებულნი; ათასში ერთხელ თუ იკი-

---

1959 წ. „მნათობში“ დაიბეჭდა ამ რომანის მესამე ნაწილი და მეოთხე ნაწილის პირველი ნახევარი. ვაქვეყნებთ მეოთხე ნაწილის დასასრულს.

თხავდნენ—დედა ამდენხანს სად არისო, თამარელა უმალ, გაზეპირებულივით შეაგებებდა ხოლმე — რამდენჯერ უნდა გითხრათ, მამას ჩამოსაყვანადაა წასული. ამ საღამოსაც, სანამ თამარელა ზღაპრით შეიქცევდა, ბავშვებს ერთხელ კიდევ მოაგონდათ დედა. თამარელამ ისე მოხერხებულად წაუყრუა და ისე მარჯვედ შეაპარა გურამის და გიას შეკითხვას ზღაპრის თხრობა, რომ ბავშვების მთელი ყურადღება უმალ აქეთ წარმართა და ამ ერთხელაც გადაურჩა საჭირბოროტო კითხვაზე მიკიბულ-მოკიბული პასუხის გაცემას. სანამ თამარელა ზღაპრის თხრობას დაასრულებდა ბავშვებს წყნარად ჩაეძინათ. თამარელა ერთხანს ისევ უძრავად იწვა იატაკზე გაშლილი ბავშვების ლოგინის ნაპირზე, გიას და გურამს რაღაც გაშტერებული დასცქეროდა, მაგრამ ფიქრით სულ სხვაგან იყო. ისევ შატბია, ისევ წარსული...

შატბიას დაბრუნება-არ დაბრუნებაზე ფიქრი შიშით ბოჭავდა მთელ მის არსებას. თამარელამ მოძებნა გადამალული ბარათები და ლამფის შუქზე ფარული გულისძგერით, ერთხელ კიდევ გადაიკითხა; როცა მოგონებებით გული იჯერა, შატბიას ბარათები კვლავ საგულდაგულოდ შეინახა და აივანზე გავიდა. სექტემბრის ბნელი ღამის მყუდროებამ ერთბაშად მოხიბლა და გამოაცოცხლა. ის ახლა, სმენა გამახვილებული, თვალსაც ფართოდ ახელდა, თითქო რამეს მოელის და ეძებსო; ყველაფერი ღამეს შთაენთქა, და ეს გაუჩინარება ყოველივესი რაღაც გამოუცნობ უსასრულობად ექცია; უსასრულობად ექცია ის, რაც დღისით ასე მკაფიო, ჩვეულებრივი და მარტივია. ამ ღამეში არა თუ ციოდა, ოდნავაც კი არ გრილოდა, მაგრამ თამარელამ სწორედ ისე, როცა სცივათ ხოლმე, მკერდზე მაგრად შემოიჭდო მკლავები და ფრთხილად ჩაიარა ქვის კიბე. ეზოში მიმოიხედა. რაც თამარელა გარეთ გამოვიდა და რამდენიმე წუთი აივანზე დაჰყო, ის უკუნი სიბნელე თითქო გაბაცებულიყო. ახლა-ახლა თამარელას თვალი [illegible] ნაცნობ საგნებს. ნაბიჯ[illegible] უცებ წინ ბაყაყი გადაუხტა, შიშველ ფეხზე შეეხო და შეაკრთო. თამარელამ სახლის წინ მოზრდილი ლეღვის ხე საგულდაგულოდ შეათვალიერა; მერე რამდენჯერმე ირგვლივაც შემოუარა. ფართო ფოთლებში ძლივს გამოარჩევდით ტოტებზე ჩამომსხდარ ქათმებს. მკბენარი რომ არ დასეოდათ, ზაფხულობით საქათმის კარს კეტავდა თამარელა და ქათმებს ხეზე აბუდებდა. ლეღვის ძირას კი იხვები მიყუჟულიყვნენ. იქვე ედგათ ამღვრეულ-ტურტლიანი წყლით სავსე ხის პატარა საწნახელივით ვარცლი. წყლის ზედაპირზე და ვარცლის ირგვლივ უხვად იყო მიმობნეული თეთრი ბუმბული. თამარელამ ჩაიმუხლა და შეფოთლილ ხის ძირას სიბნელეში ხელი მოაფათურა. თითქოს წაიჩურჩულესო, შეიქნა გაღვიძებული იხვების ხმადაბალი ვახვახი. თამარელამ ერთს მუცელზე ამოსდო მარჯვენა ხელი და აიყვანა. სხვა დროს რომ არ მოსურვებია, კალთაში ზურგზე გადაბრუნებული ჩაიწვინა და მოეფერა. იხვი უძალიანდებოდა, ცალ, თავისუფალ ფრთას აფათქუნებდა და თან ისე ვახვახებდა, თითქო ულიტინებენ და გამწარებული იცინისო. თამარელამ, როგორც იყო, იჯერა გული, იხვი ფეხზე დასვა და ფრინველმაც რა წამს თავისუფლად იგრძნო თავი, ერთი შეაფართქუნა ფრთები, შეაცანცარა კუდი და აქამდე რომ ხის ძირას სიბნელეში მიყუჟული თავისიანები აღელვებით ეხმიანებოდნენ, რაღაც თავისებურად უთხრა უთუოდ, რადგან იმ წამსვე ყველა მიწყნარდა. თამარელამ იხვებს თავი ანება, ეზოში გაიარა. სხვა ხეებიც შეათვალიერა და, გამოიცნო რა, რომელი იყო ანტონოვის ჯიშის ვაშლის ხე, დაბალ ტოტს მისწვდა და დაარხია, ერთხელ, მეორედ, მესამედ. უცებ სიბნელეში გაისმა მიწაზე ორი ვაშლის ზედიზედ დაცემის ხმა. ერთი ვაშლი უმალ

იპოვნა, მეორე კი აღარ უძებნია. ხის ტანზე ვაშლი მაგრად დაბეჭა, მოკბიჩა და მჟავე წვენიც ხარბად შესრუტა. არ ეგონა თუ ასე ეიამოვნებოდა. ამ ღამეში მოჩვენებასავით დადიოდა თამარელა, კბეჩდა მომჟავო, ჯერ უმწიფარ ვაშლს და ფიქრობდა ათას რამეზე... შატბია აგონებდა ფრონტს და იმ სისხლისღვრებს, რის შესახებაც ყოველდღე ასე დაწვრილებით ეწერა გაზეთებში... ფიქრობდა ნიკოზე და მის გასაჭირზე, ამასწინანდელმა აფეთქებამ რომ ისე ულმერთოდ დარია ხელი და მისი გეგმები სულ ერთიანად გააცამტვერა. აფეთქებაში ნიკოსაც დასდეს ბრალი. ხელი, მართალია, პირდაპირ ვერ დაადეს, მაგრამ დაუსჯელი მაინც არ დაუტოვებიათ... ლბნის უფროსობიდან ცვლის უფროსად ჩამოაქვეითეს... ჩამოქვეითებას ვინა სჩიოდა, ცვლის უფროსად გამწესება, ნიკოს ასაკში სიკვდილს თუ არა, საამისოდ გამეტებას მაინც უდრიდა... რა თქმა უნდა, უფრო იოლ და შესაფერის სამუშაოზედაც შეიძლებოდა გაემწესებინათ; ჯერ ბრიგადირად გადაჰყავდათ, მაგრამ ბუზალაძემ არა ჰქნა, — ასეც ნუ გავიმეტებთ, რას იტყვიან, ცვლის უფროსად მაინც დავტოვოთო... ბუზალაძეს სიტყვას ვინ შეეწინააღმდეგებოდა, ვინ შეუსწორებდა, მით უმეტეს ახლა, როდესაც შახტის უფროსად დაამტკიცა რაიკომმა. თქმა არ უნდოდა, ყველაფერი კარგად იცოდა და კარგადაც ჰქონდა ნაანგარიშევი ბუზალაძეს: — ჩამოქვეითების სიმწარეს თუ გაუძლო, სულ ერთია ცვლის უფროსობა მოუღებს ბოლოსო, — ფიქრობდა გუნებაში შახტის „ყოვლისშემძლე“ უფროსი, მზაკვრობაში, გაუტანლობაში, უსინდისობაში გამობრძმედილი „ხელმძღვანელი“. მაგრამ არაბიძეს თუ სხვა რამეში არა, თავის საქმეში მაინც სწყალობდა ბედი; თუ შეგუების არა, სამაგიეროდ გამძლეობის რაღაც უცნაური უნარი მიემადლებინა მისთვის გამჩენს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ის ჯერ კიდევ ფეხზე იდგა...

თამარელამ, ის იყო, ვაშლით ოჯერა გული და ბალახით დაფარული ფერდობზე ჩამოჯდა, რომ ფანჯრიდან სულ განაბულს ზურგსუკან რაღაც საეჭვო ფაჩუნი მოესმა... ფეხის ხმას თითქოს არა ჰგავდა და გული მით უფრო გადაუქანდა... ბალახში ხელი მოაფათურა, სახელდახელოდ არა თუ ქვა, კენჭიც ვერ იპოვნა. შიშმა უფრო აიტანა. თვითონაც არ იცოდა როგორ წამოიჭრა ზეზე... მერე სწრაფად შებრუნდა და... სახტად დარჩა. მყის იგრძნო შეცივნულივით როგორ დაუარა ტანში შიშის ჟრუანტელმა, ეყურებდა და თვალებს არ უჯერებდა: მისგან ხუთიოდე ნაბიჯზე შახტის მთავარი ინჟინერი ხიდაშელი იდგა. თამარელამ თავი დახარა. მარჯვენა დამუშტული ხელი კი, რომელშიაც, უნებლიედ, სიმწრისაგან მობდღვნილი ბალახის ღერები შემორჩენოდა, ნელა გაშალა და მწყრალად იკითხა

— რა გინდა?!

ხიდაშელს პასუხი დაუგვიანდა. წუთზე მეტი გავიდა ამ გაურკვეველ დუმილში. თამარელას მოულოდნელად ჩაესმა ხმელი კეწეწის მტვრევის მსგავსი სუსტი ხმა; და როცა ხიდაშელს ხელებში შეაცქერდა, დაინახა რომ ის მართლაც წვრილ ტოტს ამტვრევდა და ამით-ღა გამოხატავდა თავის უმწეო მდგომარეობას. ერთი შეხედვით სწორედ საკვირველი იყო, სიყვარულისაგან წაქეზებულ ვაჟკაცს ამ შუაღამისას თამარელას ეზოში შემოსვლა კი გაებედა, მაგრამ ახლა სიტყვის თქმა ვერ მოეხერხებინა.

— რა საკადრისია ამ უდროო დროს სხვის ეზოში მალვით სიარული და თვალთვალი...

თამარელას გამომწვევ სიტყვებზე ხიდაშელმა თავი ასწია და თვითონაც გამომწვევად უპასუხა:

— თუ კი... მიყვარხარ?

თამარელა ახლაღა მიხვდა, რომ შეცდა. აღარ იყო საჭირო გამოლაპარაკება და კითხვა. ხიდაშელის ასე უეცარმა და, თამარელას აზრით, ცოტა არ იყოს ურ-

ცხვმა პასუხმა, საგონებელში ჩააგდო იგი. იდუმალი ხმა აფრთხილებდა — ნუღარაფერს ეტყვი, შინ გაიქეცი, მაგრამ თამარელა ადგილიდან ფეხს ვერ სძრავდა. და უცებ გაბრაზებით წამოიძახა ის, რაზედაც სრულებით არ უფიქრია, გონებაში წინასწარ არ აუწონ-დაუწონია:

— ამ ხალხის სწორედ მიკვირს... ვისაც არ უყვარხარ, იმას რომ შეიყვარებენ ხოლმე!

— ვინც მოგეწონება, ის შეგიყვარდება, აქ რაა გასაკვირველი!

— გასაკვირველი ბევრი რამეა...

— მაინც?..

— მარტო გარეგნული მოწონებით შეყვარება რა საიმედოა? ხომ შეიძლება ხვალ სხვა უფრო მოგეწონოს...

თამარელას, ერთი შეხედვით ჩვეულებრივმა შენიშვნამ საგონებელში ჩააგდო ხიდაშელი; როგორ არ ეცადა, მაგრამ თავისთვის ხელსაყრელი პასუხის გაცემა მაინც ვერ შესძლო. ამ ორიოდე წუთში რაც კი გაიფიქრა უიმედოდ შეყვარებულმა მთავარმა ინჟინერმა, ყველაფერი უსუსურობად და უმწეობად მოეჩვენა. გაემხილა, რაც თამარელას შეკითხვამ აფიქრებინა — თქვენ კი დაზღვეული ხართ ასეთი მოულოდნელობისაგანო? ან-თქვენი გადაწყვეტილება — შატბია ხატად გაიხადოთ, ქალის ბუნებას ეწინააღმდეგებაო... ვერც ესა და ვერც სხვა ამგვარი უთვალავი „საბუთი“, სულ ერთია, თამარელას რწმენას ვერ შეარყევდა. ამას ადრევე გრძნობდა ხიდაშელი, მაგრამ ახლა თვალნათლივ დარწმუნდა... დარწმუნდა და იმედიც სულ თუ არა, სანახევროდ მაინც გადაუწყდა. სწორედ ამ ფარული სასოწარკვეთილების პირველი უნებლიე გამომჟღავნება იყო მისი უეცარი შეკითხვა:

— ვიცოდე მაინც, რით მიწუნებ?— რით ვარ სხვაზე ნაკლები?—აქამდე რომ ხიდაშელი თვალს არ აშორებდა თამარელას, ახლა მორჩილად დახარა თავი პასუხის მოლოდინში. თამარელას ამან სათქმელი გაუადვილა. ძნელია, როცა ვინმე გიცქერის, მით უმეტეს [illegible]ბით და გამომწვევად; [illegible] იდუმალ გბოჭავს და ფიქრსაც გიშლის.

— მე არც შენი ღირსება მაინტერესებს, არც ნაკლი!

თამარელას გულახდილი და შეიძლება ცოტა უხეში პასუხი, გულში მწვავედ მოხვდა ხიდაშელს, მაგრამ ეს ოდნავაც არ შეიმჩნია. დამარცხებას და, მით უმეტეს, ასეთი რამის აღიარებას, ის არ იყო ჩვეული: ახლაც ეყო მოთმინება და ნებისყოფა წონასწორობის შესანარჩუნებლად. ხიდაშელმა დინჯად იკითხა:

— რატომ?

— რა კითხვაა?! — თამარელამ ოდნავ შესამჩნევად შეატოკა მხრები.

— არა მაქვს უფლება, მიყვარდე?

— რასაც თურმე აქამდე ფიქრობდი, იმის უფლება გქონდა, მაგრამ გამხელის არა!

— სხვას თუ აქვს, მე ვინ წამართვა გამხელის უფლება?

— ვინ აძლევს თავს ყველაფრის გამხელის უფლებას, რომ ჩვენ მივცეთ?

— როდემდის ვმალო? რას ველოდო?

— თქვენისთანებს ლოდინი არ უყვართ.

— ლოდინი გულუბრყვილოების და უღონოების საქმეა.

—მე კი პირიქით მგონია... განა სულსწრაფი მომთმენზე მეტია? ან თქვენ რით ჯობიხართ იმას, ვინც მიყვარს და აქ არ არის!.. მარტო იმით, რომ აქა ხართ?

ისევ მოისმა წვრილი, ხმელი ტოტის ტკაცა-ტკუცი.

— უხერხულია, — დინჯად განაგრძო თამარელამ, — ყველას შახტში ჰგონიხართ, თქვენ კი...

რა იცოდა თამარელამ თუ ეს უბრალოდ ნათქვამი, ჩვეულებრივი საყვედური ხიდაშელს ერთბაშად გამოაფხიზლებდა. შერცხვენილს, გაწბილებულსა და მოულოდნელად განიარაღებულ მთავარ ინჟინერს ხმა აღარ ამოუღია,

თავი არ აუწევია, ისე უხმოდ შეაქცია ზურგი თამარელას და ნელი ნაბიჯით გაემართა ჭიშკრის მიმართულებით.

„ძლივს ის ყაჩაღი ბარდღა-ბიძინა ჩამომცილდა და ახლა ამან გამოჰყო ფეხი“, — გაიფიქრა და თვალი გააყოლა თამარელამ ხიდაშელს, სანამ ის სიბნელეში გაუჩინარდებოდა. — ალბათ მართლა ვუყვარვარ, თორემ არც ამდენს მოითმენდა, არც ასე ადვილად დამეხსნებოდა ამ ღამეში. იმედს კი, რა თქმა უნდა, ჩემი მკვახე სიტყვა-პასუხი ვერ დააკარგვინებს“.

თამარელა ისევ იმ ბალახმორეულ ფერდობზე ჩამოჯდა, სადაც წეღან ისე დაფეთებული წამოიჭრა ზეზე. ამ შემთხვევამ ცოტა შეაკრთო, მაგრამ სახლისაკენ გული არ მიუწევდა... **შახტში ყოფნამ** ისე გაათამამა, ისე გამოსცადა, უმთვარო ღამეშიაც, მარტოდმარტოც გულს ვაკაციოთ ენდობოდა.

ახალი გათენებული იყო, რომ თამარელა უეცრად სროლის ხმამ შეაკრთო. გაიღვიძა თუ არა უმალ მიხვდა, ფიქრში წასული, სადაც იჯდა, ჩანს ბორცვზე მიწოლილა და რამდენიმე წუთი ასე, ღია ცის ქვეშ სძინებია. ზანტად წამოიწია და დააყურა. ღამით მიწაზე ნაწოლს ცოტა შესცივნოდა. ეს იყო და ეს. თავს საღად გრძნობდა. წელიწადზე მეტხანს შახტში მუშაობას თამარელა უკვე გამოეწრთო და გაეკაჟებია. ერთი წუთიც და თამარელა ჭასთან გაჩნდა ხელ-პირის დასაბანად. წყალი ამოიღო. შარაგზაზე მანქანის თუხთუხი და საყვირის ხმა მოისმა. თამარელამ უმალ გაიფიქრა — ვიკითხავ რა სროლა იყოო. ერთი მოქნევით წყალი ბალახზე დაათქეშა და ცარიელ სათლს ხელი უშვა. თუ არა, ოწინარმა სათლი უცბად აიტაცა ჰაერში და ძალუმად გააქან-გამოაქანა. თამარელა კი ჭიშკრისაკენ გაიქცა და როცა თავღია „ვილისიც“ გამოჩნდა, ის იყო, ღობის სარებში თავი გაჰყო, მანქანაში მსხდომთათვის უნდა დაეძახნა. რა იყო, ვინ ისროდაო, რომ მოულოდნელობისაგან სიტყვა პირზე შეაცივდა. თავღია „ვილისში“ სამ კაცს მოჰკრა თვალი. აქეთ-იქით ბატალიონის უფროსი და მისი თანაშემწე ისხდნენ; ის კი ვინც შუაში მოემწყვდიათ, ერთი შეხედვით თითქო კიდეც ეცნაურა, კიდეც ეუცხოვა. იმ უცნობმა ჯერ გაოცებით გაუშტერა თვალი თამარელას, მერე ნელა დახარა თავი... როცა მანქანა თვალს მიეფარა, მაშინ კი იტაცა თამარელამ ხელები ორივე ლოყაზე, ახლა მოაგონდა, ახლა მიხვდა, ვინ იყო მესამე მგზავრი.

— ბარდღა-ბიძინა!.. — ხმამაღლა წამოსცდა თამარელას მისი სახელი.

მესამე პარაშუტისტის შეპყრობა მეშახტეთა ქალაქში ისე არ გაკვირვებიათ, როგორც მისი ვინაობის შეტყობა. ბარდღა-ბიძინასაგან ყველაფერს მოელოდნენ, მაგრამ თუ მშობლიურ მხარეს ამჯერად გერმანელებისაგან ჩამოსმულ პარაშუტისტად მოევლინებოდა, ამის წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ.

შახტში ყველაზე ადრე გაიოზმა მოიტანა ასე გაუჩინარებული და გამოცანად ქცეული მესამე პარაშუტისტის შეპყრობის ამბავი. ზოგს მოსმენაც არ უნდოდა: რას ლაპარაკობს ეს ბავშვიო! ჩაიცინეს და ხელიც ჩაიქნიეს. ადრე შეპყრობილ ორ გერმანელ პარაშუტისტს რომ უთქვამს — თქვენ იმის დამჭერი არა ხართო, ამას ნამდვილად ცხადყოფდა ერთი კვირის განუწყვეტელი და ამაო ძებნა. მაგრამ ყველაფერი დასრულდა მოულოდნელად და უბრალოდ; ბარდღა-ბიძინა შეიპყრეს რიჟრაჟზე, როცა ის მხარზე თოხგადებულ კოლმეურნესთან ერთად, თითქო აქ არაფერიაო, შარაგზაზე მშვიდობიანი მგზავრივით მიაბიჯებდა. კოლმეურნეს ბარდღა გზაში დასწევია. მათ ერთმანეთი უცვნიათ. მოხუც კოლმეურნეს კიდევაც უკითხავს — სად იყავი ამდენხანსო. ქათმებით და კვერცხებით აღარ ვაჭრობ, თუ რატომ დაგვიგვიწყეო. —

არა, ახლა ძაღლებით ვვაჭრობო, — უხუმრია ბარდღას. — როგორ თუ ძაღლებითო? — ვიჭერ ძაღლებს, ვკლავ, ვატყავებ და თხის ხორცად ვასაღებინებ ბაზარში ყასბებსო. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოგონილი იყო. მოხუც კოლმეურნეს კი ლამის გული შესწუხებია, — შენ კი შეგაჩვენებს ღმერთი, ამას წინათ ჩემმა ოჯახობამ ორი კილო თხის ხორცი მოიტანა, ბაზარში ეყიდა, ვაი თუ შენი გატყავებული ძაღლისა იყოო... — აბა ვისი იქნებოდაო, — უთქვამს ბარდღას და გაუცინია. მის გამომწვევ სიცილს მოხუცი ცოტა დაუწყნარებია, — ხუმრობს, ალბათ, თორემ ქრისტიანი, ისიც აქაური, ასეთ რამეს როგორ ჩაიდენდაო...

ამ ხუმრობა-ბაასში უცებ ისეთი ყვირილი შემოესმათ თურმე, რომ მოხუც კოლმეურნეს თოხი ცივად გავარდნია ხელიდან. მათ ზურგს უკან ვიღაცას სამჯერ რაც ძალა და ღონე ჰქონია, უყვირია — ხელები მაღლაო! მოხუცმა როგორც იყო მოახერხა ხელების მაღლა აწევა, ბარდღას კი ერთი დინჯად მიუხედია უკან, მაგრამ არც შემკრთალა, არც შეყოვნებულა. როდესაც ხელმეორედ შეუძრავს იქაურობა ყვირილით მათს ზურგს უკან, შორიახლოს მომავალ ავტომატ მომარჯვებულ კაცს, ბარდღას ცალი ხელი დაუდევრად აუწევია, მეორე კი ჯიბიდან ახლაც არ ამოუღია. ავტომატიანი კაცი — გამანადგურებელი ბატალიონის უფროსი ყოფილა. ის თურმე ჯერ ათი კაცისაგან შემდგარ რაზმს მოჰყვებოდა, მერე უთქვამს თქვენ ქედის აქეთა მხარეს იარეთ, მე კი იქით გადავალ და ქედის ბოლოში ისევ მოვიყაროთ თავიო. ქედის გადმოღმა გადმოსვლისთანავე ბატალიონის უფროსს თვალი მოუკრავს ასე ადრიანად მიმავალი ორი უცნობისათვის. დადევნებია. ერთი მათგანის აქეთ-იქით ფხიზლად ცქერას დაუჭვიბია და უფიქრია — თუ იქნებ, ეს იქნება მესამე პარაშუტისტიო (ის რომ ბარდღა იყო, ვერც ზურგიდან უცვნია, ვერც შემდეგ, როცა მოუხედნია) და ასე „ხელები მაღლა"-ს ყვირილით ყანებამდე ჩასულან. ... ბაში ხალხიც გამოჩენილა. ... ...

დნენ, პარაშუტისტობა ახლა მაინც ვიკისროთ, თავისივე ნებით გავაგზავნინოთ ჩვენივე თავი სამშობლოში და მერე იქ ვინც მაგათ ემსახუროს, დაიკვეხნონ. დავეთანხმე, რადგან ტყვეობიდან თავის დასაღწევად სხვა გამოსავალს ვეღარ ვხედავდი. რამდენიმე თვე გვამზადებდნენ. ბოლოს, როგორც იყო, სამშობლოსაკენ ვქეხით პირი. ამხანაგს დამაცილეს. მე ახლა ორი გერმანელი მახლდა გვერდით. გადმოგვსხეს... და რა წამს ჩემს მიწაზე დავდგი ფეხი, ყველაფერი დამავიწყდა. ვიფიქრე: რომ გამოვცხადდე, ვაი თუ მაინც დამიჭირონ. ცოტახანს ისევ მალვით თავს შევინახავ და მერე როცა ყველაფერი გათავდება, ვინღა გამოიძიებს ჩემს წარსულს-მეთქი, მაგრამ ვარაუდი არ გამიმართლდა.

ბარდღა-ბიძინას სასამართლო და ხალხით გაჭედილი დარბაზი ორი დღე უსმენდა. უეჭველია, ბარდღა-ბიძინას გადარჩენის იმედი ბოლომდე არ დაუკარგავს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ომის მკაცრი კანონი რაიმე შეღავათს არ ითვალისწინებდა.

ბარდღა-ბიძინას დახვრეტა მიუსაჯეს და თავისი ფეხით მიიყვანეს იქ, სადაც პარაშუტით დაეშვა იმ საბედისწერო ღამეს. ეს იყო ნაციხარის გორაზე, ტყისპირას...

ნაციხარის გორის ფერდობები დილიდანვე ხალხით გაიჭედა... სხვებთან ერთად ნიკოც აპირებდა დასჯის ცერემონიაზე დასწრებას, მაგრამ დაინახა თუ არა, ხალხისათვის ამ ამბავს რაღაც საანახაობის სახე მიეღო, ეუცხოვა. — კაცს როგორ მოკლავენ, ასეთ საქმეში ცნობისმოყვარეობის გამოჩენა რა საკადრისიაო, — გაიფიქრა და გორაკამდე აღარ მისულა, უკან გამობრუნდა. რაღაც ეშმაკად ბარდღაც სწორედ ამ დროს ჩამოატარეს. ნიკოს გაუკვირდა, რომ ბარდღა-ბიძინა ფეხშიშველი მოჰყავდათ, მაგრამ ეს თურმე სიკვდილმისჯილის უკანასკნელი სურვილი იყო... როცა ფეხი აიდგა, მაშინაც ფეხშიშველი დადიოდა ამ მიწაზე და ამ უკანასკნელადაც ასე მოენატრა. [illegible] იყო ისიც, რომ გარდა [illegible] თხვევისა, რაც ბავშვობის წლებიდან შემორჩენოდა მეხსიერებას — დედის სიკვდილი, როცა ექვსი წლისა იყო, პირველი თევზის დაჭერა ანკესით, როცა ცხრა წლისა იყო, სიცოცხლის უკანასკნელ, უკვე გამოთვლილ წუთებში ცდილობდა რამე ნუგეშის და სიხარულის მომგვრელი ეპოვნა წარსულში... მაგრამ ამაოდ.

სამიოდე დღის წვერმოშვებულმა, გაფითრებულმა ბარდღა-ბიძინამ ნიკოს თვალი მორიდებით შეავლო და საპასუხოდ მისი მზერა რომ ვერ დაიჭირა, მწარედ გაეღიმა. გვერდით მიმავალ თოფმომარჯვებულ, პირტიტველა ბატალიონის მებრძოლს გადაულაპარაკა — კაცი საიქიოს მივდივარ და, ამ უკანასკნელად ერთი მაინც შემოეხედა, „დაველოცე“, რა იქნებოდაო.

ბატალიონის მებრძოლმა თოფის ერთი შეტოკებით და თვალის მწყრალი გადაბრიალებით ბარდღას „ანიშნა — ნუ მელაპარაკებიო. მაგრამ ბარდღა ვერ გააჩუმა.

— თუ კაცი ხარ, — განაგრძო ბარდღამ, — ერთი რამე უნდა გითხრა და უსათუოდ გადაეცი არაბიძეს... ეგ სხვებს არ გავს და არ მინდა ბუზალაძეებისთანებმა ტყუილ-უბრალოდ გააფუჭონ... გავიგე, აფეთქების შემდეგ უბნის უფროსობიდან ჩამოუქვეითებიათ... ის აფეთქება ჩემი ბრალი იყო. მაშინ. იმ ცვლაში, მე რომ ვმუშაობდი, ერთი შპური არ აფეთქდა, მუხტი გადმოხვავებულ ნახშირში დარჩა... ამის თაობაზე გაფრთხილება ჯერ დამავიწყდა, მერე კი უკან მიბრუნება დამეზარა და... მოხდა უბედურება... იმ ცეცხლზე თურმე ზოგიერთები აქამდე „ითბობენ“ ხელს!...

ბატალიონის მებრძოლი ისე მიაბიჯებდა, ისე გამოიყურებოდა, რასაც ბარდღა ეუბნებოდა, თითქოს არ ესმისო, მაგრამ სინამდვილეში გული ბოლმისა-

გან გასკდომაზე ჰქონდა, თავს ძლივს იკავებდა... იმ აფეთქებამ შეიწირა სწორედ მისი, ძმაისავით საყვარელი ამხანაგი. „ვესვრი ბარემ და აქვე გავაცხებინებ სულსო“, ფიქრობდა იგი, მაგრამ წესის დარღვევა ვერ გაებედა...

ამასობაში ბარდღა-ბიძინა ადგილზე მიიყვანეს. მან ერთი გაიხედ-გამოიხედა და იმ წუთში მისთვის ნაცხარის გორის ეს მიდამო ალბათ ყველაზე საძულველი ადგილი იყო ამ ქვეყანაზე... ბარდღას ხსოვნაში ულმობელი სიცხადით აღდგა ის ღამე, როცა იგი პარაშუტის დაჩუტული ქოლგით ასწლოვანი მუხის ტოტებზე გადმოეკიდა... ცა სწორედ მოკუპრულივით იყო. ხანგამოშვებით ელავდა. ერთი წუთით ცისა და მიწის მყუდროება თვითმფრინავის წყვეტილმა ზუზუნმა დაარღვია... პარაშუტისტი დაეცა მარაოსავით გადაშლილ ვეებერთელა მუხას... კენწეწებმა ერთი კი მოიღო ლაწანი და უმალ ადრინდელმა მყუდროებამ მოიცვა იქაურობა. ხაფანგში გაბმულივით ხის ტოტებში ჩაჭედილმა კაცმა, ფეხი რომ კარგად მოიკიდა, სცადა ხის წვეროზე გადაფოფრილი პარაშუტის ჩამოხსნა, მაგრამ ეს ამბავი ძნელი აღმოჩნდა. გადამსხვრეულ კენწეწებს პარაშუტი აქა-იქ გაეხვია და ზედ ისე მაგრად იყო ჩამოცმული ეს ვეებერთელა ქოლგა, რომ ერთი შეხედვით მის ჩამოხსნაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. მაგრამ უცნობმა ხერხი იხმარა. სიბნელეში ხელით დიდხანს არჩია და ბოლოს, როგორც იყო, შეარჩია ერთი მოგრძო ტოტი, მარჯვედ მოსჭრა იგი, გასხიპა და ადგილ-ადგილ პარაშუტს ქვემოდან უმარჯვა. ნახევარი საათის თავგანწირული მუშაობის შემდეგ ერთ მსხვილ გორგლად შეკრული პარაშუტი უკვე ხის ძირას ეგდო. უცნობი მაიმუნის სიმარჯვით ჩამოვიდა ქვემოდ. ხეებს დაუარა, მართალია ბნელოდა, მაგრამ ეტყობოდა, თვალი სიბნელეშიც ისე ეჭრიდა, ყველაფერს კარგად არჩევდა. მით უმეტეს აქაურობას კარგად იცნობდა. მან იპოვა ფულუროიანი ხე, ჯოხით შიგ ღრმად ჩასტენა პარაშუტი [illegible] კი დააყარა ქვები, დამპალი [illegible] ხმელი ტოტები. ამ საქმეს რომ მორჩა, გაიფიქრა: ხომ არაფერი დამიკარგავსო. მხარიღლივ გადაკიდებული ჩანთა ხელით ერთხელ კიდევ მოსინჯა და რაკი დარწმუნდა, ყველაფერი რიგზე იყო, წასასვლელად მოემზადა. ჯერ დააყურა და ერთხანს ასე დაჰყო გარინდებულმა. არსაიდან არ ისმოდა საეჭვო რამ ხმა. გაწაფული ხელით რევოლვერი იძრო და რამდენიმე ნაბიჯი ფრთხილად გადადგა. იელვებდა თუ არა, ისიც უმალ ადგილზე გაშეშდებოდა. ფერდობზე ისევ შეჩერდა, ხესთან მოჩვენებასავით ატუზულმა კიდევ მოავლო თვალი იქაურობას და ისევ ისე, ფრთხილად დაიძრა ადგილიდან. ფერდობზე, რომ ჩარბოდა, ერთხელაც იელვა. მყის ჩაიკეცა... მეორედ გაელვებაზე უკან რომ მოიხედა, უცებ თვალი მოჰკრა ციხის კედლის ნანგრევიდან თავგამოყოფილ კაცს. კინაღამ ესროლა. დროზე მიხვდა, რომ ეს ქვაში გამოკვეთილი სახე იყო. ამან ცოტა შეაკრთო, მაგრამ ისე არ შეშინებია, რომ დაბნეულიყო. თუ აქამდე ისე აღიქვამდა იქაურობას, როგორც სიცხიანი ავადმყოფი. თანდათან ყველაფერს შეეჩვია. ბევრი დრო აღარ დაუკარგავს. ფერდობს სწრაფად, მაგრამ წინანდებური სიფრთხილით ჩაჰყვა, მცირე ნორჩ, მეჩხერ ტყეს გვერდი აუქცია და გზა განაგრძო. ათას ცხრაას ორმოცდა ორი წლის შემოდგომის უმთვარო ღამეში კვამლივით გაქრა უცნობი პარაშუტისტი.

სულ შვიდიოდე დღე გავიდა. პარაშუტისტი — ბარდღა-ბიძინა განმარტოებით იდგა ახლა ზღვა ხალხით გაჭედილ ნაცხარის გორის ფერდობზე უკან ხელებშემოწყობილი, წინ ცალფეხწადგმული და თავდახრილი. ასე, თავის უბედურ ხვედრს შერიგებული ელოდა, როდის შეწყდებოდა ეს გულისძგერა და როდის გათავდებოდა ეს სანახაობა. თავი ერთხელაც აღარ აუწე-

ვია. სამი მხრიდან შემოსეული თანასოფლელების დაჟინებული, ცნობისმოყვარე მზერა, თითქოს ამის საშუალებას არ აძლევდა. თვითონაც ისე სჯეროდა — შეუძლებელია რომელიმე მათგანის გამოხედვაში თანაგრძნობა ამოვიკითხოო... რომელს ექნება ახლა საამისო ვაჟკაცობაო...

ბატალიონის უფროსმა ექიმს უბრძანა — სიკვდილმისჯილს პულსი გაუსინჯეო. ექიმი უხალისოდ გაემართა ბარდღა-ბიძინასაკენ. თხუთმეტიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, წამით შეჩერდა, უეცრად უკან შემობრუნდა... ბატალიონის უფროსს მოახსენა — ყველაფერი რიგზეაო. უფროსმა ახლა უფრო მკაცრად გაუმეორა ბრძანება; ექიმიც ხელმეორედ გაეშურა სიკვდილმისჯილისაკენ, მაგრამ თითქო მოჯადოებულიაო, როგორც წეღან, სწორედ იმ ადგილას შეჩერდა, ერთი დააკვირდა ბარდღა-ბიძინას და ისევ ზურგისაკენ შემობრუნებული, ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა უკან. მიახლოებულ ექიმს ბარდღამ ორჯერვე ისეთი თვალით შეხედა, რომ ექიმს ფერი ეცვალა. ისევ გამოცხადდა უფროსთან იგი და რაღაც ვედრებით და ყოყმანით მოახსენა — რათ გინდათ ჩემს ცოდვაში ჩადგეთ... მაგას რაც მისჯილი აქვს, სულ ერთია, შეუსრულებთ... ამ სიკვდილის წინ რომ აიღოს ქვა, მთხლიშოს და გამაგოროს, ამისთვის სასჯელი ხომ არ მოემატებაო. დრო აღარ ითმენდა. ბატალიონის უფროსმა ექიმს თავი ანება და იქვე ჩამწკრივებულ მებრძოლებს გასძახა:

— ბატალიონო!

— სამშობლოს...

მოღალატეს...

ცე-ცხლი!

თუმცა სულ გასროლის მოლოდინში იყო, მაგრამ რამდენიმე თოფის ძალუმმა გრიალმა ხალხი მაინც შეაკრთო. ეს იყო და ეს. ბარდღა კი თითქოს გაოცდაო — მზე რომ იყო და უცებ ჩამობნელდა, თოფის ხმაც რომ მოწმენდილ ცაზე ქუხილივით გაისმა. შეტორტმანებულმა მარჯვენა ხელი მარცხენის მიჭველებით, მძიმედ ასწია, თვალებზე [illegible] მოესვა, ეგონა დახუჭულ [illegible] იცოდა. რომ თვალები ახლა ჩვეულებრივზე უფრო ფართოდ გახელილი ჰქონდა. მარჯვენა ხელი რომ სახეზე მოისვა, წინ მდგომთაგან უმრავლესობამ უმალ შენიშნა — ხელის მტევანი სისხლით ჰქონდა შეღებილი. ერთი ტყვია ხელზე მოხვედროდა, სასიკვდილოდ დაჭრილმა, რამდენიმე ნაბიჯი ბორძიკით და ტორტმანით გადადგა, რაღაცას წამოედო, მოსხლეტით, გულდაღმა დაეცა... დაეცა და, აღარც განძრეულა.

•

შახტში პირველი ცვლის დამთავრების საყვირის ხმა, რახანია, მისწყდა, ნიკო მაინც არ ჩანდა. ბოლოს, ასმათს იმედი რომ გადაუწყდა, ასეთ გაურკვეველ ლოდინს საგანრიგოში დარეკვა ამჯობინა. უთხრეს — არაბიძე ჯერ არ ამოსულა შახტიდანო. ნახევარი საათის შემდეგ კი თვითონ ნიკომ დარეკა —რა ამბავიაო.

— არაფერი. — დამაშოშმინებლად მიუგო ასმათმა. — ერთი საათის წინ რაიკომიდან დარეკა ბეგლარიუ მდივანმა —რაიკომის მდივანს არაბიძის ნახვა სურს და დღის ბოლოსათვის შემოიაროსო... ვერ ვუთხარი, ნიკოს „დღეს“ ბოლო არა აქვს მეთქი... რა იციან, სახლში სადილადაც არ მოდიხარ.

— რას იზამ, ასმათ... თუ კი საქმეს ვჭირდები? — ვინ იცის, მერამდენედ და, ახლაც ასე მოკლედ მოუჭრა მეუღლეს ნიკომ. — კარგი, აქედანვე გავუვლი ბეგლარს რაიკომში, — დაუმატა ნიკომ, მაგრამ ასმათმა ყურმილის დაკიდება არ აცალა.

— მანდედან როგორ გაუვლი? გინდა თავი მომჭრა?! აგრე ჩამოტრეტილი როგორ უნდა ეჩვენო იმ კაცს... ვინ იცის, რამდენი უცხო დაგხვდება იქა! რას იტყვიან? ეს არის არაბიძეო?!

— ისე მელაპარაკები, თითქო სახლში ხუთი ახალთ-ახალი კოსტუმი მეკიდოს და არ ვიცვამდე!..

— შე კაცო, თუ კოსტუმები არა, ერთი ხეირიანი შარვალი ხომ მაინც გაქვს!.. მართალია, ძველმოდური გალიფეა, მაგრამ რა უშავს, ამ გაჭირვების დროს... ულან ხელების მიფარება მაინც არ დაგჭირდება...

— მაგ სირცხვილს ახლა ყველა უძლებს!... შენ ის თქვი, სახეზე არ დამჭირდეს ხელების აფარება...

— როგორც გინდა. — აღარ ჩააცივდა ასმათი. ოდნავ შესამჩნევი საყვედურის კილოთი დაასრულა სიტყვა და პირველმა დაკიდა ტელეფონის მილაკი.

რაიკომის მდივანს ნიკო სხვებსავით არ ულოდინებია. მოახსენა თუ არა ტექნიკურმა მდივანმა — არაბიძე მოვიდაო; უმალ შეუშვეს იგი.

კაბინეტში ბეგლარს გარდა ნიკოს შახტის ახალი უფროსიც დახვდა; ბუზალაძის დანახვა არც ახლა ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია. რაკი ის პირველი შეეგება, ჯერ ბუზალაძეს ჩამოართვა ხელი, მერე ბეგლარს. რაიკომის მდივანი ნიკოს დღეს არაჩვეულებრივი თავაზიანობით შეხვდა, მოფერების კილოთი გამოკითხა ოჯახისა და ომში წასული ვაჟის ამბები, მერე ხუმრობით შენიშნა— არ გეწყინოს, მაგრამ რომ დაგინახე კინაღამ ვერ გიცანი... შენც რა შორიდან გადმოხვეწილს დამსგავსებიხარ... ასე რამ შემოგახია ტანსაცმელიო...

— „რა მალე გამართლდა, რა უცნაურად ამიხდა ასმათის „წინასწარმეტყველებაო"—გაიფიქრა ნიკომ. ბეგლარს კი ღიმილით მიუგო — ამას რა უშავს!.. თუ გარეგნულად შემოგვაქციაქა ამ ომმა და გასაჭირმა, სამაგიეროდ შინაგანად ხომ ვართ სუფთად და მთელად.

ბეგლარმა ბუზალაძეს გადახედა, ბუზალაძემ კი რაღაც საეჭვოდ გაიღიმა და დიდკაცურად, აქამდე მარჯვენა ფეხი მარცხენაზე რომ ჰქონდა გადადებული. ახლა მარცხენა მარჯვენაზე გადადო. პაპიროსი დინჯად გააბოლა და ნიკოს გამომწვევად მიაშტერდა.

როგორც ხიფათის მოლოდინში ჩვეულია ადამიანს, ნიკო არ განძრეულა, მაგრამ მთლად სმენად და ყურადღებად იქცა.

— ახლა, რაც საქმეს შეეხება!—ბეგლარმა ამ სიტყვებზე პაპიროსს თავი მოუსრისა საფერფლეზე, თითქო ის ფიქრს უშლიდა. — ნიკო, უნდა გამოგიტყდეთ რომ... საქმე ისე წარიმართა, მგონია... ბოდიშის მოხდა დაგვჭირდეს, თუ კი ამას გვაკმარებ! — ნიკო რაღაც სულიერად და ფიზიკურად დაძაბული უსმენდა რაიკომის მდივანს. მხოლოდ მისმა ბოლო სიტყვებმა შეაეჭვა და მოულოდნელად აფიქრებინა — ხომ არ დამცინიანო...

მაგრამ ყველაფერი ერთბაშად გაირკვა. რაიკომის მდივანმა ნიკოს ახარა, შახტში აფეთქება ბარდღა-ბიძინას მიზეზით მომხდარა, შენ კი უმართებულოდ დაგვისჯიხარ... ხვალვე აღგადგენთ. მომილოცავს უბნის უფროსობა... აბა, შენ იცი და შენმა უნარმაო.

ნიკო გაოცებული, კმაყოფილი და ბავშვივით გახარებული უსმენდა რაიკომის მდივანს. ჯერ ჩამოქვეითება, შემდეგ ცვლის უფროსად გამწესება, უდანაშაულოდ დასჯა, მართლაც მძიმე ასატანი აღმოჩნდა ნიკო არაბიძისათვის. ახლა კი იმის გაგონებამ, რომ ისევ უბნის უფროსად უპირებდნენ აღდგენას, ნიკოს ერთბაშად შეასხა ფრთები და, რაც ბოლო ხანებში სიმწარე გამოიარა, ერთბაშად ყველაფერი გაყუჩებული ტკივილივით დაუამდა.

ნიკოს არ ახსოვდა, რაიკომიდან როდისმე ასე კმაყოფილი გამოსულიყო. კიბეზე, მართალია, დინჯად ჩამოდიოდა, მაგრამ გული ყმაწვილივით მოუსვენრად უტოკავდა. თავს ძლივს იკავებდა, მეტისმეტი სიხარულისაგან შუა ქუჩაში ცეკვა თუ არა, სიმღერა მაინც არ წამოეწყო.

— ნიკო, სწორედ მიკვირს, ქვეყანა იქცევა, ბეგ კი სახე გიციხია.

არაბიეს თავი ჯერ კიდევ არ აეწია, რომ ხმაზე უმალ იცნო ბრაჟულის ცოლი — პლანეტა.

— შარზე ხომ არა ხარ? — გამომწვევ შენიშვნაზე, გამომწვევად უპასუხა ნიკომ.

— როგორ! არ იცინოდი? ჯერ,ღვთის მადლით, ისეც ვხედავ ყველაფერს, სათვალე არ მჭირდება.

— სათვალით რომ ყველაფერი დაინახებოდეს... სიცილის კი რა მოგახსენო, მაგრამ... თუ სასიხარულო რასმე გაიგებ, რა დასამალია?

— სასიხარულო რა უნდა გაიგოს კაცმა!... ახლა ყველა შავი ფიქრითაა შეპყრობილი...

— მაგას ნუ იტყვი!... ყველასათვის ერთნაირად არც თენდება და არც ღამდება...

ნიკომ თავისი სიხარულის მიზეზი ორი სიტყვით ამცნო პლანეტას.

— წირვა რომ გამოუვიდა იმ ბარდლა-ბიძინას, ცოდვების მონანიება მაშინ მოუნდა?

— თვითონ დავუღუპივარ და თვითონვე მიშველა. რას ამბობ, ხომ შეიძლებოდა არ გაემხილა...

— რომ წაეღო, რაში დასჭირდებოდა, თორემ კი...

— რამდენს „მიაქვს“...

— შენ ეგ თქვი! ნეტავი ყველაფერში აგრე შეგეწიოს ღმერთი!...

ნიკოს, პლანეტას ამ სიტყვებისათვის ხეირიანად არც კი მიუქცევია ყურადღება, მაგრამ მერე რომ დაუფიქრდა, რაღაც ავად ენიშნა. უფრო კილომ აუღძრა ეჭვი, ვიდრე სიტყვებმა.

— მაინც?! — ეშმაკურად იკითხა ნიკომ.

— შენ იმას გაუკვირვებიხარ, ბარდლას რომ ის პატარა საიდუმლო საიქიოს არ წაუღია, მე კი...

— შენ... რა?

— მე კი იმან უფრო გამაკვირვა, ასე სახე გაბადრული რომ მიაბიჯებდი.

— მე რომ იღბალი მქონდეს, გამჩენი ახლა შენს თავს შემახვედრებდა?

— რა იყო, თითქოს [illegible] შეგხვედრია პლანეტა ბრაჟულის [illegible]

— უკულმართი გაქვს გვარიც და ფეხიც!

ნიკომ ქუდი მოიხადა, ჯიბიდან კი მოულოდნელად ისეთი ახალ გაუთოვებულ-გაქათქათებული ცხვირსახოცი ამოიღო, პლანეტას თვალები ზედ შერჩა, ეს ცხვირსახოცი სულაც არ ესატყვისებოდა ნიკოს ჩაცმულობას. არაბიძემ სახე გადაიწმინდა, მერე კიდევ ერთხელ გადახედა პლანეტას და თავისთვის ჩაილაპარაკა.

— გადამრევს ეს ქალი...

— გადარევა მაშინ უნდა გენახა, ჩემს მაგიერ სეფე ფოსტალიონის ცოლი რომ შეგხვედროდა...

ნიკომ ამ სიტყვის დასრულებამდე უეცრად, წყნარად შეავლო თვალი პლანეტას, პლანეტამ თავი დახარა და გამოუმშვიდობებლად განაგრძო გზა. გაოცებულმა, ეჭვებით აფორიაქებულმა არაბიძემ თვალი გაყოლა მიმავალს, მერე სწრაფად შებრუნდა, ქუდი დაიხურა და მტკიცედ გადაწყვიტა, სადაც არ უნდა ყოფილიყო სეფეს ცოლი მოენახა და გამოეტეხა: რა საიდუმლო გაანდო მან პლანეტას, რას უმალავდა ფოსტალიონი არაბიძეს.

ფოსტალიონის ცოლი იღბლად მარტო დახვდა ნიკოს. მოხუცი დაფაცურდა, შინ შეიწვია, სკამი კაბის კალთით გადაუწმინდა და შეაგება.

— ჰო, რა გაეხარდებოდა სეფეს, სახლში რომ დაგხვედროდა... მაგრამ იმას კაცი ნახავს! როდის მოდის და, როდის მიდის, მეც აღარ ვიცი...

— ვითომ ჩემი დანახვა გაახარებდა?

— რატომ რა! შენს მოძულეს აღარ დაენახოს არაფერი, დღეისწორამდე!

— გაისამდე იყოს რა! დრო ისე გარბის... რა ვიცი, ისე შეიძლება სეფესაც არ ვძულდე, მაგრამ იძულებულია... თვალი მომარიდოს.

— თვალი რაზე უნდა მოგარიდოს?!

— ხელში ქუდს რომ ათამაშებდა, აქამდე იდაყვებდაყრდნობილმა ნიკომ ერთბაშად აიხედა, სეფეს ცოლს თვალი გაუსწორა და სანამ ის რამეს იტყოდა, ნიკოსათვის უკვე ყველაფერი აშკარა იყო. პლანეტა მართალი ჩანდა: ფოსტალიონის ოჯახი ნიკოს რაღაცას უმალავდა.

— მომეცი ის დასაწვავი... როდის მიიღეთ? — ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით, მაგრამ ძალზედ მკაფიოდ ჩაილაპარაკა ნიკომ და თავი ამ სიტყვებზე კვლავ დახარა, ხელი კი ისე დარჩა გაწვდილი, თითქო გაუშეშდაო.

— რაა ამბობ, ნიკო? — ძლივს წაილუღლუღა განიარაღებულმა დედაბერმა.

— მეტი რაღა გითხრა... ჩემს უბედურებას თქვენს სახლში რა უნდა!... აგერ, გულისჯიბეში შევინახავ, ნუ გეშინია, ასმათს არ გავუმხელ... გამომიტანე წამაკითხე... მეჩქარება.

ნიკო წამოდგა.

სეფეს ცოლი როგორღაც მოხრუკული, ერთიორად დაპატარავებული მოეჩვენა ნიკოს, როცა კარებში შემოსულს თვალი შეასწრო...სეფეს ცოლს გაუკვირდა, რა ვაჟკაცური თავშეკავებით გადაიკითხა ნიკომ შვილის დაღუპვის ცნობა, მაგრამ როცა არაბიძე გამოემშვიდობა ფოსტალიონის ცოლს და კიბეზე ჩადიოდა, ქუდი კი არ დაიხურა, სახეზე აიფარა. მისი აძიგძიგებული მხრების და ბეჭების მოძრაობაზე სეფეს ცოლი უმალ მიხვდა, როგორის გულამოსკვნით და უხმოდ სტიროდა ეს ამოდენა კაცი.

ნიკომ შორიდანვე შეათვალიერა ეზო. არ უნდოდა მისვლისთანავე ასმათს შეფეთებოდა. ეს უბრალო სურვილი კეთილად აუხდა. შევიდა თუ არა ჭიშკარში, უმალ ჭისაკენ გაეშურა. ოწინარზე ჯაჭვით დაკიდებული სათლი მოზიდა და ფრთხილად ჩაუშვა ჭაში. ნიკოს ხშირად უფიქრია — ყოველდღე ეს წყალი რომ სვა და გაგრილდე, მარტო ამისათვის ღირს სიცოცხლეზე იქნებ ერთად-ერთი რამ [illegible] ასევ სიამოვნებდა სულ ამ ცოტახანში იმდენ ჭირვარამ გამოვლილ არაბიძეს. ჭიდან ამოღებულ წყალს ისე ხარბად დაეწაფა, ეგონა, წყურვილის მოსაკლავად ეს ერთი სათლიც არ მეყოფაო. გული რომ იჯერა, მერე წყლით პეშვი აივსო და სახე, კისერი გაიგრილა. ახალი დარდი ამ სიამოვნებამ წამითაც ვერ დაავიწყა. იმ ავბედითს უწყებაში ამოკითხულ სიტყვებს დაუსრულებლად იმეორებდა თავისთვის, მაგრამ დაჯერებას მაინც ვერ ახერხებდა. წარმოუდგენელი იყო მისთვის, სამუდამოდ კი არა, ერთი წუთითაც შერიგებოდა იმ აზრს, რომ შატბია ამ ეზოში ვეღარ შემოვიდოდა, აქაურობის ხილვა ვეღარ გაახარებდა, დედმამას ვეღარ მოესიყვარულებოდა. თიხასაც ვეღარ მოიტანდა და იმ უცნაურ თავებს ვეღარ გამოძერწავდა. ადამიანი დაჯერებამდე გაცილებით უფრო ადრე და შეუმჩნევლად ურიგდება თავის უბედურებას.

თითქო ფეხდაფეხ მოჰყვებოდაო, რამდენიმე წუთში ასმათიც გამოჩნდა. ნიკომ დაინახა თუ არა იგი, უმალ ის იფიქრა — სწორედ კაი დროს გამოჩნდა, ახლა ალბათ არა მიშავს, სახეზე ვეღარაფერს შემატყობსო.

— იყავი რაიკომში?

— ვიყავი. — მიუგო ნიკომ მეუღლეს.

— მერე? რამე სასიკეთოზე არ დაგიბარებდნენ.

— უფრო მეტი სასიკეთო რაღა იქნება? უბნის უფროსად დამაბრუნეს...

ასმათმა ეჭვით შეავლო თვალი — რა ეხმარება ამ ჩემს ქმარსო, მაგრამ უმალ დარწმუნდა, რომ ნიკო მართალს ამბობდა.

— მერე... ცოტა ხმამაღლა თქვი შე კაცო!

— ომი რომ არ იყოს, ვინ იცის, იქნება წვეულებაც გადაგვეხადა, მრავალჟამიერითაც ჭერი აგვეხადა.

— ამ ერთხელ უმრავალჟამიეროდ გა-

დავიხადოთ... ეს ხომ ასე იქნება! ცოტა აუჩქარე ფეხს... თან გასადილებ, თან მიამბე, რა მოხდა, რა მოეჩვენათ?

— რა და... კიდევ ერთხელ, იმ მოჩვენებასავით გამოცხადებულ ბარდღა-ბიძინას უთქვამს — არაბიძე არაფერ შუაშია, აფეთქება მის უბანში ჩემი მიზეზით მოხდაო.

— ახალ მკვდარზე რავა უნდა გაბედო კაცმა ცუდის თქმა, მაგრამ... შეიკავებ თავს?

— ჩვენ უნდა შევიკავოთ, ასმათ, ბუზალაძე თუ არ იკავებს, გასაგებია. ის ახალი მკვდარი ისე თათხა ბეგლართან, სულ ცოტახნის წინ მისი გულის მესაიდუმლე კი არა, თითქო სამარის გამთხრელი ყოფილიყოს. თანაც ამას ისეთი დაუფარავი კმაყოფილებით და სიხარულით ლაპარაკობდა, ეტყობა, ბუზალაძესავით ბარდღას დაღუპვა ჩვენი ბატალიონის უფროსსაც არ გახარებია.

— რატომ, თუ იცი, ნიკო?!

— რატომ და... რაც მაგან ბარდღას დაჭერის შემდეგ შიშისფეთება გამოიარა, ეხუმრები? კაცი რა ხანია კარიერას ისე იკეთებდა, როგორც დათვი ბუნაგს და ახლა ბარდღას ერთი სიტყვაც კმაროდა, ყველაფერი წყალს წაეღო, მაგრამ გადარჩა ბუზალაძე. ვინ იცის, იქნება ბარდღა-ბიძინა არც ისე ცუდი კაცი იყო, ლეონტის მხარდაჭერას და ავ საქმეზე ფარულად წაქეზებას რომ არ გამოეყვანა მისთვის წირვა!

— კარგი, ნიკო! რა სასიამოვნოა ან ბარდღაზე, ან ბუზალაძეზე ამდენი ლაპარაკი, აბა, ვმართავთ წვეულებას?

ნიკომ ღიმილით შეავლო თვალი ასმათს.

— რის იმედით, თორემ კი... შენი საზოგაგის „მარაგი“ თაგვებსაც არ ეყოფა.

— ეგ ისეთი საქმეა, ღმერთმანი, უწვეულებოდ ვერ გადავურჩებით.

— ახლა ყველამ იცის, სამაგისო თავი არა გვაქვს, არც მოელიან და არც საწყენად დარჩებათ, თუ ისედაც გალეულ წელებზე ფეხს ვეღარ დავიდგამთ!

— აბა, თუ ომი და შიმშილობაა, იმიტომაც ვერ ჭამს ბუზალაძე ნაირნაირს!.. არც თეთრი პური აკლია, არც ხაჭაპური, არც შემწვარი, არც მოხრაკული, ისევ არა, ხიზილალასაც შოულობს თურმე!

— ხომ არაფერი დაგავიწყდა?

— არა ქმარა თუ?

— რაც ჩამოთვალე, ეგ კაი კაცს ყოველთვის აკლია. — ამას რომ გულგრილად ლაპარაკობდა ნიკო, კილო უეცრად შეიცვალა და ხმასაც აუმაღლა, — და თუ შემწვარ-მოხრაკულის ეშხით ბუზალაძეობა მოგენატრა...

— ბუზალაძეობა შენს მტერს მოენატროს, მაგრამ არც ისე ვარგა, მაგათი შემხედვარე ნერწყვის ყლაპვას ვერ აუდიოდე.

— შენც, ერთი... არ გახსოვს გუშინწინ უბრალო სადილისათვის ბოდიშს რომ ვიხდიდით, რაზუმიკამ რუსული ანდაზით როგორ გვიპასუხა? ეშ პროსტო. დოჟივიოშ დო სტოო?

— როგორ დაიხსომე?

—ხუთ სიტყვას რა დახსომება უნდოდა!

— კარგი, ბატონო, მაგაზე აღარ შემოგედავები, მაგრამ წვერის მოპარსვას რაღა უნდა, ეგეც წვეულების მოწყობაა?

წვერის მოპარსვის გაგონებაზე ნიკო ცოტა არ იყოს შეკრთა, მაგრამ ისე საწყლად გაუღიმა ასმათს და ისე უპასუხა — მაგაში კი მართალი ხარო, რომ ასმათი ცოტა მოლბა, მაგრამ ქმარს მაინც არ მოეშვა.

— ხალხი თურმე ფრონტზე ახერხებს წვერის მოპარსვას, შენ რა ღმერთი გაგიწყრა, მაგ ერთი კვირის გაუპარსავი წვერით ისედაც გამხდარი კაცი სულ ჭლექიანს დაემსგავსე. რამდენჯერაც შემოგხედავ, იმდენჯერ გული გადამიბრუნდება ხოლმე.

— შენც ძალიან ნუ დამაკვირდები.

— კარგი ერთი, ნიკო... კიდევ ხუმრობის გუნებაზე ხარ?

— შენს მტერს, მე რომ ვარ...

ასმათი ამ სიტყვებმა როგორღაც ანაზდად შეაკრთო. ქმარს მალულად შეავლო თვალი, მაგრამ მის იერში საეჭვო ვერაფერი ჰპოვა.

— კარგი ერთი, ღმერთმა არ გიწყინოს! — ამ სიტყვებზე ასმათი ნიკოს ზურგს მოეფარა. მეუღლეს ბეჭებზე მოხვია მკლავები, ლავიწის ძვალზე ნიკაპი ჩამოსდო და ყურთან უჩურჩულა, — რაც მახსოვს, მგონია, შენთვის არაფერი მითხოვია, თვითონ მიმიხვდები ხოლმე წინასწარ ყველაფერს, მაგრამ... იმას კი ვერ მიმიხვდი და ვერა... როგორ მაშინებს ეს ულამაზოდ მოშვებული წვერი!

— შესაშინებელი აქ რაა?!! ცოტა კიდევ რომ გამეზრდება, ნახე თუ არ მოგეწონოს! ქართველ კაცს რომ წვერულვაში არ მოუხდეს, ეს ჯერ არ თქმულა!

ასმათი რაღაც საეჭვოდ სდუმდა. ნიკომ თავი ოდნავ მიაბრუნა და ირიბად, ზემოდან დახედა მის წაბლისფერ თმას, შუბლსა და ცხვირის ხაზს. ახლა ასმათმაც ოდნავ განზე გადასწია თავი და თვითონაც ასე ახლოდან, ერთმანეთის სუნთქვა რომ ესმოდათ, შეხედა ნიკოს. რატომღაც ორივეს ერთად გაეღიმა.

— იყოს... ნუ გაიპარსავ, თუ... არაფერს ნიშნავს...

ნიკოს ტანში გასცრა. ეჭვის გასაფანტავად რა ეპასუხნა აღარ იცოდა, მაგრამ დუმილიც არ შეიძლებოდა.

— რას უნდა ნიშნავდეს?

— რა ვიცი....

— გავიპარსავ, შე ქალო, აბა, რა იქნება...

— გეწყინა?

ისე დაადგი ამ ჩემს წვერს თვალი, ალბათ, მეტი აღარც გაიზრდება.

— ნიკო, არ გრცხვენია?!

— რაზე?

— ჩემზე კაცი მაგას იტყვის? რომელი ავთვალი და კუდიანი მე მნახე?...

პასუხად ნიკომ მოსიყვარულებით, საფეთქელთან ერთი უეცრად აკოცა მხარზე ჯერ კიდევ თავჩამოდებულ ასმათს.

სანამ ასმათი დაგვიანებული სადილისათვის სუფრას გააწყობდა, ნიკო ისვენებდა; გაფიცხებული ჭადის სუნმა ისედაც მოშიებული სულ გააღიზიანა. [illegible] წოლილმა ვეღარ გასძლო, [illegible] ადრევად მიუჯდა და ხან ნივრით, ქინძით და ომბალოთი შენელებულ ახალ ტყემალს დაყნოსავდა, ხან დანდურის ფხალს.

— ასმათ, ჰო, რა მოუხდებოდა ახლა მაგ ჭადს ცოტა მარილმოკიდებული პიტნიანი ყველი!

— მოუხდებოდა, მაგრამ სად არის! — თანაგრძნობით დაუდასტურა ასმათმა ნიკოს.

— შენ ეგ თქვი, მაგრამ ამას ვჩივი, თუ ამ ომმა სიცოცხლეც არ წაგვამწარა!

— ის ბიჭი რომ ამდენხანს წერილს არ გვწერს, ნეტავი ეს ამბავი აგვიხდეს კეთილად და სხვა რაც უნდა, წაგვამწაროს.

— უმარილოდ კვერცხი თუ გიჭამია, ასმათ, სწორედ ისე უგემურად მეჩვენება ყველაფერი, რაც შატბია წავიდა...

ასმათმა გაოცებით შეხედა მეუღლეს. ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ნიკომ თავისი გულის ნადები შატბიას თაობაზე ასმათის გასაგონად თქვა.

— შენც აგრე ხარ?

— შენცო?! — გაიკვირვა და გაიღიმა ნიკომ, — როგორ, შატბია ჩემი შვილი არ არის, თუ?

—შვილი რამდენს ყავს, მაგრამ... ზოგს სულაც არ ენაღვლება... ომში კი არა, თითქოს სიმინდის საყიდლად გაეგზავნოს...

— რომ გენაღვლებოდეს, ასმათ, ალბათ, შატბიასთანა შვილი უნდა გყავდეს...

— და.. — სიტყვა გააწყვეტინა ასმათმა, — ნიკო არაბიძისთანა მამა იყო!... რა ჩუმჩუმად გელიმება... შეგრცხვა რომ შეგაქე?

ნიკო თავდახრილი იჯდა. დროდადრო არც კი უსმენდა ასმათს, ისე უეცრად გაიტაცებდა ხოლმე ფიქრი შატბიაზე. ასმათი კი ერთი გაკვირვებით შეხედავდა, — რატომ არ მიპასუხაო, — გაი-

ფიქრებდა და ისევ უხორცო სუფს მიუბრუნდებოდა.

— რომ ეს დალოცვილი ტყემლის საწებელი არა, ამ უგემურ საჭმელებს პირს რა დაგვაკარებინებდა!

— ტყემალს შენ ეხუმრები? — ისე უპასუხა ნიკომ, რომ შატბიაზე ფიქრი არ შეუწყვეტია.

საკვირველი ახლა ის იყო, რაც უფრო მეტს ფიქრობდა ნიკო იმ ავბედითს უწყებაზე, მით უფრო ნაკლებად სჯეროდა შატბიას დაღუპვა; თუმცა ნიკომ კარგად იცოდა, დაღუპვაზე ადვილი რა იყო ომში. მილიონიდან ერთმა ტყვიამ რომ საბედისწეროდ ჩამოგიქროლოს, რა გასაკვირია. ჩამოგიქროლოს, ისიც დედისერთას, და სამუდამოდ გამოგათხოვოს ყველას, ყველაფერს, რაც გიყვარდა, რაც გძულდა... ისე რომ ჯერ კიდევ ვერ აგეხსნა, არ იცოდი, რატომ გიყვარდა, ან რატომ გძულდა... ეს ხომ ულვთობაა, დაიღუპო ცხრამეტი-ოცი წლის ასაკში.

— თქვი რამე, რას გაჩუმებულხარ!? — უეცრად, რაღაც საყვედურით, შეწყრომითაც კი უთხრა ასმათს ნიკომ და თავიც ისე მოიქექა ეგზომ შეშინებულმა — ეს როგორ დამრია ხელი შავმა ფიქრმაო.

ასმათმა ერთი გაკვირვებით შეხედა, მაგრამ ვერაფერი უთხრა, — ჩადგება თუ არა კალაპოტში, შეურიგდება თუ არა ხვედრს, მაშინვე ყველაფერი შეიცვლება ხოლმეო,—გაიფიქრა თავისთვის და რახან ამასობაში ნიკო მაგიდიდან უკვე წამოდგა, უმალ სუფრის ალაგებას შეუდგა.

ნასადილევს, ასმათის დასანახავად ნიკო წვერის გაპარსვის სამზადისს შეუდგა; აივნის ბოძზე ერთთავად ჩამოკიდებული საძირე ტყავის გრძელ ნაჭერზე დიდხანს ლესა სამართებელი; შემდეგ ასმათს ცხელი წყალი მოატანინა და, ჯერ კიდევ ომამდე მოგროვილი, მილეული, ხელის საბანი საპნის ორიოდე ფრჩხილისოდენა ნაჭერი ალვინეთლილ ჭიქაში კარგად გაქაფა.

„კიდევ კარგი, ადამიანურ ცხოვრების, სხვისი ფიქრის გამოცნობის უნარი არ დაჰყვა, თორემ სიცოცხლე ერთი დღეც არ ეღირებოდა...ასმათმა რომ ის იცოდეს, როგორ ვატყუებ, როგორ ვთვალთმაქცობ, ხომ სამუდამოდ შემიძულებდა... მაგრამ რას იზამ, ღვთისა და ჩემი სინდისის წინაშე ხომ მართალი ვარ.. ამას ყველაფერს ხომ მისთვის ვაკეთებ!...“ ნიკო თან ამას ფიქრობდა, თან ისე გულმოდინედ ემზადებოდა, ასმათი კი არა, ეშმაკი მოტყუვდებოდა. ვინ იფიქრებდა, ნიკოს თუ ასე დამაჯერებლად შეეძლო ადამიანისათვის თვალის ახვევა; მაგრამ როგორც უთქვამთ; „გაჭირვება მიჩვენეო და...“ ახლა სწორედ ამის ბრალი იყო ყველაფერი. გაითამაშა თუ არა ნიკომ გაპარსვის მოსამზადებელი ცერემონია, სამართებელი აიღო და ვითომ ის იყო, ლოყაზე უნდა ჩამოესვა, რომ მალვით გახედა ასმათს და იმავე წამს სამართებელს ხელი ცივად უშვა. ფოლადმა წკრიალი გაიღო და ნიკომაც ერთი ხმამაღლა წამოიძახა „უჰ“-ო. ასმათი, ქათმებს რომ აივნიდან ნამცეცებს უყრიდა, ერთბაშად შემობრუნდა.

— რა იყო, ნიკო?!

ნიკომ განზრახ წუთით დააყოვნა პასუხი, მერე ხმადაბლა, სინანულით თქვა:

—რაღა რა იყო, დავიღუპე და ესაა!...

დაიხარა, შუაზე გადამსხვრეული სამართებელი აიღო.

— ნიკო, მაგასაც ხომ მე არ მაბრალებ...

— დამანებე თავი, — სამართებლის ორივე ნატეხი შორს ღობის დაყოლებაზე ბუჩქებში ისროლა აივნიდან, — კაცმა რომ თქვას, დრო კი იყო... ოცი წელიწადი მემსახურა.

— რაღა ახლა, თორემ... სხვა დროს ისე არ დაგენანებოდა...

— მაგასთან ერთად, ალბათ, ნავსიც გატყდა, ასმათ!...

— თუ გინდა, შევალ ერთი, ვთხოვ ამ

ჩვენს დონბასელ მდგმურს ქმრის სამართებელს.

— არ მინდა.

— აბა, საპარიკმახეროში გაიპარსავ?

— საპარიკმახეროში, შე ქალო, სხვისი ფუნჯით საპნის წასმა, სხვისი დანით გაპარსვა და სხვისი პირსახოცით სახის შემშრალება რომ შემეძლოს, რაღა მიჭირს...

— ვიცი, მაგისთანები არ გიყვარს, მაგრამ რას იზამ... როცა გიჭირს!

— რას ვიზამ... ვიშოვნი ახალ სამართებელს და ის იქნება...

— მეც რას აგიხირდი...

— კარგი იქნებოდა, კაცის საქმეში რომ არ გიყვარდეთ ქალებს ჩარევა, მაგრამ, აბა, ამას რა მოგაშლევინებთ!.. იმის ნება აღარ მაქვს წვერით ვიარო? ბაბუაჩემს ნახშირის მოსახვეტი ნიჩბისხელა წვერი ეფინა გულმკერდზე, მაგრამ ბებია კი არ ეუბნებოდა — დაიმოკლე, ან გაიპარსეო!...

— ბაბუაშენის დრო სხვა იყო...

— შე ქალო, გაპარსულები მაშინაც დადიოდნენ.

ნიკომ ძლივს მოასწრო ამის თქმა, რომ მისი ყურადღება ერთბაშად მიიქცია ჭიშკართან შეჩერებული ავტოს თუხთუხმა.

— ჩვენი სტუმარია? — იკითხა ასმათმა.

— თუ გზის მისწავლება უნდა, ბარგით რაღაზე მოდის?

შოფერმა ორი დიდი შეკვრა დაითრია მანქანიდან. ერთი მხარზე შეიგდო, მეორე იღლიაში ამოიდო და ჭიშკარში პირველი შემოვიდა. ნიკო კიბეზე ჩავიდა. მასპინძელი ნელა მიაბიჯებდა სტუმრის შესახვედრად. არც სტუმარი ჩქარობდა. ის კარგა მანძილით ჩამორჩენოდა წინ გასწრებულ, მიუხედავად მძიმე ტვირთისა, ენერგიული ნაბიჯით მიმავალ შოფერს. ცოტაც რომ დაუახლოვდა, ნიკომ იცნო მოღიმარი სტუმარი. თუმცა წესით არ უნდა გაკვირვებოდა მისი წვევა, მაგრამ თავისდაუნებურად არაბიძემ ისე წამოიძახა „სულიკო ხარ, ბიჭო-ო“, ნაბიჯსაც ისე მოუჩქარა, ვინ დაეჭვდებოდა, რომ მას გულწრფელად არ გაეხარდა „ამ-ერ-ა-ბ-ა-თის“ ჩამობრძანება. სტუმარ-მასპინძელმა მამაშვილურად რამდენჯერმე გადაკოცნეს ერთმანეთი.

— ამას კი არ ველოდი... რამ გაგახსენა ამ წარღვნაში ჩვენი თავი?

— ძია ნიკო, საქმე ასეთ დროს გახსენებაა, თორემ...

— ცოდვა გამხელილი სჯობია, ჩემო სულიკო.. ისე, ერთი-ორჯერ კი ვიფიქრე — ალბათ აღარ ვახსოვართ, თორემ, ერთი წლის განმავლობაში ერთ ბარათს მაინც როგორ არ მოიწერებოდა-მეთქი.

— წერილის მოწერას რა უნდოდა, მაგრამ... სულ ვაპირებდი ჩამოსვლას, გინდ დამიჯერე, გინდ არა...

— ეგ კი გავს საპატიო მიზეზს...

— ნიკო ბიძია... — სულიკომ გაკვირვებით შეავლო თვალი მასპინძელს, — ეს წვერის მოშვება რას ნიშნავს? ...

— რა ვიცი... — დაუფიქრებლად მიუგო ნიკომ, — მცალია, თუ იცი წვერის გასაპარსად?.

— თუ მარტო მოუცლელობის ბრალია, რა უშავს... გიხდება კია...

— ჰო-და, მითუმეტეს. ცოტა ხანს ვიყო ასე... ამ ერთი საათის წინ, რაღაც ღობლად, სამართებელიც გამიტყდა და...

— ჩემი სამართებლით იპარსე, სანამ თქვენთან ვიქნები, თუ გინდა... სულაც დაგიტოვებ!

ნიკო დაიბნა. სულიკომ ეს უმალ შეამჩნია, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

— სულიკო, სანამ ჩვენთან იქნები, რა იქნება შენც რომ მოუშვა წვერი? მაშინ ვეღარც მე ამიხირდება ასმათი...

სულიკო სიხარულით დაეთანხმა: იფიქრა — რას ვკარგავ, თუ ასეთი უბრალო თხოვნის შესრულებით მოვინადირებ მასპინძლის გულსო.

— მაშინ, იცი, სულიკო, სამართებელს სულაც ნუ გამოაჩენ, ვითომ წამოღება დაგავიწყდა.

— სიამოვნებით, ძია ნიკო!

ასმათი კიბესთან ელოდა სტუმარს. სულიკომ ჯერ ჩამოსართმევად გამოწო-

დებულ ხელზე აკოცა ასმათს, შემდეგ ლოყაზე.

ნიკომ სცადა შოფრის ტვირთის შემსუბუქება, ერთი შეკვრის გამორთმევა, მაგრამ შოფერმა არ დაანება, კიბეზე მარდად ავიდა, და ორივე შეკვრა აივნის კუთხეში, ტახტზე დადო, მერე უკან სწრაფად გამობრუნდა. ამასობაში შუაკიბემდე ამოსულმა სულიკომ მკერდზე ერთი ხელის მიბჯენით შეაჩერა შოფერი, მეორე ხელი კი გულისჯიბისკენ წაიღო.

— რა გერგება?

— არაფერი.—შოფერმა გაუცინა.

— ვაჟკაცურად მითხარი. იცოდე, უკან არ დავიხევ! — სულიკომ ამაყად შემოხედა ქვემოდან შოფერს.

— მე ვაჟკაცურად გეუბნები. —დამაჯერებლად სთქვა შოფერმა.

— ეს რა ვაჟკაცობაა, ამდენი პატივი მეცი და უგასამრჯელოდ გაგიშვა?!

— შენ არ გიცნობ. მე ნიკო არაბიძეს ვეცი პატივი. არაბიძისაგან კი ფულს ვერ ავიღებ!

სულიკომ ნიკოს გადახედა.

— მართალს ამბობს. არ აიღებს. მე ვიცი და მაგან. — დამარწმუნებლად სთქვა ნიკომ.

სულიკომ საფულე შეინახა. ხელები მორჩილად დაუშვა.

თბილისელი სტუმრის ჩამოსვლის შემდეგ სულ რაღაც ორიოდე დღეში ნიკო არაბიძის ცხოვრების წესრიგი თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც შეიცვალა. ეს, რა თქმა უნდა, მარტო არაბიძის თავაზიანობას არ მიეწერებოდა. გასაოცარი ადამიანი იყო სულიკო. ვინ მოთვლის, რამდენი ახალგაზრდა შეხვედრია ნიკოს ცხოვრების გზაზე, მაგრამ ასეთი ენერგიული, ელასტიური, დაუზარელი ,პატივმოყვარე და მოპირფერების უბადლო ოსტატი ჯერ არ უნახავს.

ნიკო თუმც გამწყრალი იყო სულიკოზე, შარშან არც კი გააცილა თბილისს მიმავალი, მაგრამ ახლა თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რამ მოუბრუნა გული ამ ბიჭზე, რატომ დახვდა ასე შებლაბსნილი. სულიკომ ჩამოსვლის მიზანი გულახდილად აუწყა მასპინძელს: — შენსავით ვინ შემიწყობდა ხელს „ჩვრების“ სურსათზე გადასაცვლელადო. ნიკოს „ხელის შეწყობის“ გაგონებაც კი ეხამუშა: — ტყუილად გიფიქრია, მაგისთანა საქმეში მე რომელი დახელოვნებული მნახე, რომ ხელი შეგიწყო, მაშინ ბეჟან-ბუ ხომ არ გგონივარო.

სულიკოს არაბიძის ღომილნარევი საყვედურისათვის იმდენად არ მიუქცევია ყურადღება, რამდენადაც მაშოსა და ბეჟან-ბუს ხსენებაზე სცქვიტა ყური.

— ძია ნიკო, მე ის კი არ მიგულისხმებია, არაბიძეს მხარზე გადავკიდებ სურსათზე გადასაცვლელ შარვალ-ხალათს და ბაზარზე ჩამოვატარებ მეთქი... თქვენ მხოლოდ რჩევის კითხვას თუ გაგიბედავთ, სად, როდის, ვისი დახმარებით და რამდენად გასაღდება ჩემი საქონელი.

ნიკომ თუმც გაიფიქრა — ეს მაინც თავისას ლაპარაკობსო, მაგრამ უარის თქმა ვეღარ მოახერხა. სულ ერთია, არ მომეშვება და, იქნებ ახლავე სჯობდეს ჩაყოლა ჩათრევასო.

— ეგ... შეიძლება. — სთქვა ნიკომ ხმადაბლა და გაბმით.

— აბა, რა გეგონა, რამე შეუძლებელს გთხოვდი?

— რა საქმესაც ვადგივარ, ჩემო სულიკო, იქ შეუძლებელსაც შევეჭიდები, ვაჭრობა კი, როგორც ვატყობ, ჩემი ხელობა არ უნდა იყოს!

— ვაჭრობა რა, ღირსების შემლახველ ხელობად მიგაჩნიათ?! რა საქმეც არ უნდა აიღო, ყველგან ვაჭრობა და გარიგებაა! ცოტა ჭკუა, ცოტა წინასწარგანჭვრეტა, ცოტა მოხერხება...

— ცოტა მოტყუება, ცოტა ეშმაკობა, — ჩაურთო ნიკომ.

— თუ საქონელი მდარეა... რაღა თქმა უნდა, ტყუილსაც მოიშველიებ!

მაგრამ ახლა მოსატყუებელი არაფერი მაქვს. ჩემი საქონელი ნაღდია... ამ დარიგებაზე სულ ამერიკული ჩვრები გვერგო იმათთვის ეს მოდიდან რახნის გამოსული კოსტუმები, ლაბადები და პალტოებია, მაგრამ... ბიჭი ხარ და დაიწუნე ამ გაჭირვების დროს!

სულიკო მეორე ოთახში გაიჭრა, რაც ხელში მოხვდა, გამოიტანა და ლამფის შუქზე ისე შეაბრუნ-შემოაბრუნა, ნიკოს თვალი დარჩა ციცრის ბუმბულისფერ, შავთეთრით ჭრელად ნაქსოვ პიჯაკზე.

— რა აქვს ამას, ნიკო ბიძია, ჩვენი დასაწუნი, ან რაში ეტყობა რომ მოდიდან გასულია?

სულიკომ პიჯაკის ორივე სახელოში მკლავები მარჯვედ გაუყარა, ბეჭებზე წამოიცვა, ბორტები გაისწორა და ოთახში თავმომწონედ გაიარ-გამოიარა. ნიკოს კმაყოფილებით გაეღიმა. კოსტუმი, რომ იტყვიან, მართლაც ხატავდა სულიკოს.

— ჩვენგან არ დაიწუნება, მითუმეტეს, ახლა, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— სულ ახალთახალი, ალბათ, არ იქნება.

— ვინ ამბობს, ახალთ-ახალიაო, მაგრამ ბიჭი ხარ და შეატყვე, რომ ნახმარია. — ამ სიტყვებზე სულიკომ ისევ გაიხადა პიჯაკი. შიგა პირით სახელოიანად გადმოაბრუნა ატლასის მოლაპლაპე სარჩული, შიგაჯიბის გასწვრივ დაკერებული ფირმის ემბლემით და ოქროთი ჩაბეჭდილი წარწერით ისე გაასინჯა ნიკოს, თითქოს მას უნდა მიჰყიდოსო.

— ეს თუ ნახმარია... კაი დაგემართოს! სცოდნიათ ხმარება. — გაკვირვებით შენიშნა ნიკომ, — თუმცა, ვინ იცის... იქნებ ამერიკელებს თავის ქება საქონელზე მეტად უღირთ და უხმარი ნახმარად გაასაღეს, აქაოდა, თუ ნახმარი ასეთია, უხმარი რაღა უნდა იყოსო...

— როცა საქმე საქონელს ეხება, თავმოყვარეობა რაში ენაღვლებათ...

— შენგან არ მიკვირს, სულიკო? პოლიტიკა სხვა რაა...

— ნიკო ბიძია, იცი რატომ არ გჯერა, რომ ეს პიჯაკი ნახმარია?

— რატომ?

— რატომ და მე და შენ მაშინ ვიცით ტანსაცმლის გამოცვლა, როცა ძველია, იატაკის საწმენდი ტილოს გარდა აღარაფრად გამოდგება!

— კაი, ნამეტანს ნუ აქებ გადამთიელების ნაქონს, თორემ... შეიძლება კიდეც მიგაყოლო მაგ კარგად ნახმარ ჩვრებს!

— შენ ხომ არ გამთქვამ და, სხვაგან არ ვიტყვი.

— სხვაგანაც იტყვი და... მეც გამხვევ შარში.

— მართალი ხარ, ენას კბილი ყოველთვის დროზე შეიძლება ვერ დააჭირო. რაში გამოგვადგება ამერიკის ჩვრების ქება. ნიკო ბიძია, შენ ის მითხარი, წელან რომ მაშო და ბეჟან-ბუ ახსენე... რაო, შეიძლება კაცმა მაგათ რამე გაუმხილოს?

— მაგათ, საერთოდ, ჩემი მტერი ვიყო, მაგრამ... ვაჭრობაში, მე მგონია, პირს არც შენთან გაიშავებენ.

— მეც მაგ ფარგლებში ვენდობიაბა, სასიდედროდ და სასიმამროდ კი არ მინდა, თუმცა... ის გასათხოვარი გოგო ურიგო არ უნდა ყავდეთ.

— რა ვიცი... თუ ის მართალია... დედა ნახე, მამა ნახეო...

— ცოტა წვიანები კი აქვს, მგონია. ზედმეტად მომსხო და ბალნიანი, ნიკო ბიძია!..

— რა მოგახსენო, არ ვიცი... რაღა დროს ჩემი კანჭებზე ყურებაა! ისე, ხომ იყვნენ, სულიკო, ქალები მოგებული, კოჭამდე რომ სწვდებოდათ კაბა...

— აბა, ერთი ლამაზ კანჭებიანსაც კითხე!... ნიკო ბიძია, წაქცევასაც არ ითაკილებდნენ ოღონდ კანჭები გამოსჩენოდათ!.. თუ გინახავს, ქალების შვება-ლხენა ქარში იწყება ხოლმე, როცა

ქვედა საცვლებამდე აუფრიალდებათ კაბა...

— რა მაგის პასუხია და... შარშანდელივით ხომ არ გინდა მაწყენინო, სულიკო!

— შარშან რაო?

— აღარ გახსოვს? კინაღამ თვალებში ჩაუფრინდი იმ ახალდაქვრივებულ ყმაწვილ ქალს, ქუჩაში რომ შემოგვხვდა...

— ჰოო... სად გაგახსენდა, რა მახსოვრობა გქონია?!

— ჩემთვის ის პირველი შემთხვევა იყო, და რა გასაკვირველია, რომ დამამახსოვრდა! საუბედუროდ, ის თალხიანები ახლა ისე გახშირდნენ, რა გითხრა! ბიჭო, გვეუფავს მარა, რას გვეუფავს ეს ომი, ამ ერთ მუჭა ხალხს!..

— შენ ის თქვი, რომ ცოტანი ვართ, თორემ სხვამხრივ ახლა ყველა ერთ ტაფაშია — რუსი გინდა, უზბეკი, ლიტველი, თუ სომეხი. ომში დაზოგვა როდის იყო... ახლა ხომ ნულარ იკითხავ! ჩვენს ნათესაობაში ორი, თუ სამი უკვე გასტუმრებულია!.. არის ერთი ცოდვის კითხვა. ერთი ბიძაშვილი იყო დედის მხრით, ცხრამეტი წლისა, მერე რა ბიჭი. რომ იცოდე!

სულიკოს სიტყვებზე ნიკოს ფერი წაუვიდა. სტუმარს არც ეს გამოეპარა და არც ის, რომ ნიკომ მარჯვენა მხარეს მიიდო მკერდზე ხელი. სულიკომ გაიფიქრა — ჩემი ბიძაშვილის დაღუპვის ამბავმა ალბათ შატბია გაახსენა, მაგრამ გული თუ ცუდად გაუხდა, მარჯვნივ ხომ არა აქვსო.

გული, რა თქმა უნდა, სხვებსავით არაბიძესაც მარცხნივ ჰქონდა, მაგრამ გულისჯიბეში სწორედ მარჯვნივ ინახავდა შატბიას დაღუპვის ცნობას.

სულიკო მიზეზების რკვევას აღარ შესდგომია, ისევ იმ ამბავს დაუბრუნდა, რაც მას აინტერესებდა.

—ძია ნიკო, აბა ხვალ გამაცანი და ის იქნება, ლედი მაშო და სერ ბეჟანბუ!

სანამ სტუმარს უპასუხებდა, ნიკომ რაღაცაზე სმენა გაამახვილა. ახლა სულიკომაც გაიგონა ფეხის ხმა ბაღში. შერჩენილი პიჯაკი სკამზე [illegible] წამოახურა და უმალ გარეთ გაიჭრა. შინ დაბრუნებულ ასმათს აივანზე შეეგება.

ნიკო არც განძრეულა. სულიკოს მხოლოდ თვალი გააყოლა და გაიფიქრა — „ეს ბიჭი რომ ჩემს ადგილას იყოს, ბუზალაძეს, ალბათ, ცოცხლად გადაყლაპავდა, მე კი ვერ ამიხსნია, რათა ვარ აგრე რიგად ყველაფრის მიმტევებელი და შემწყნარებელიო“.

სულიკომ ასმათი ბეჭზე მკლავმოხვეული შემოიყვანა ოთახში. ნიკომ ერთი ალმაცერად გახედა ცოლს და თავი დახარა. ასმათს ეუცხოვა ეს შემოხედვაც და მერე თვალის მორიდებაც. სულიკოს გაკვირვებით მიუბრუნდა:

— ხომ არ გიჩხუბიათ?

სულიკო ასეთ კითხვას არ მოელოდა. გაეცინა.

— საჩხუბარი რა გვქონდა, დეიდა ასმათ?

— რა ვიცი.

— მართალი რომ ითქვას, ცოტა შეიძლება მოგვწყენდა... ოჯახის სული და გული, რაც არ უნდა იყოს, მაინც დიასახლისია.

— ჯერ არ წავა და, თუ წავიდა, აღარ მოვა.

— ჩემზე ამბობ, ნიკო, მაგას?

— არ გეწყინოს, ხუმრობს, დეიდა ასმათ.

— შენ არ იცი... იმერული ხუმრობა ნახევარი მართალიაო.

— არა, ამ შემთხვევაში ხუმრობითაც რომ არ ეთქვა, მაინც გავს მართალს...

— რა მეთქმის. დამაგვიანდა. ეხუმრები? ორი ვაგონი მოსაკითხი გაუგზავნა ჩვენმა ქალაქმა ფრონტელებს.

— რა მოხდა ამისთანა!.. ორი ვაგონი მოსაკითხის გაგზავნას რათ უნდოდა ორი თვე... დაავალე რამე ქალებს.

— ქვანახშირი რომ ყოფილიყო, მაშინ, ჰო, მაგრამ შენ ეხუმრები ორი ვაგონი ხილის, თბილი ქუდების, წინდე-

ბის, ხელთათმანების, მოსასხამების და სხვა ათასი წვრილმანის შეგროვებას, ჩალაგებას და გაგზავნას?!

— საჩუქრები, იცოცხლე, კარგია, ძალიანაც გეახარდება, მაგრამ ქვანახშირი, ასმათ, მაინც სხვა „ხილია“! უქვანახშიროდ შეიძლება ომიც წააგო.

— შენც რა უცნაურს იტყვი, ხანდახან, ნიკო.

ნიკომ დინჯად ასწია თავი, სულიკოს ასმათზე ანიშნა.

— ამან კი არ იცის, მთავრობის გადაწყვეტილებით, ფრონტზე თუ სადმე არიან, მეშახტეებს თურმე ყველას უკან, შახტში აბრუნებენო.

ერთბაშად ამის დაჯერება ძნელი იყო და ასმათიც იმიტომ შეაცქერდა ნიკოს ისე გაკვირვებით.

— ძია ნიკო, თუ ეგეც იმერული ხუმრობაა...

— მაგაზედაც თანახმა ვარ.. შენ ეხუმრები სანახევროდაც თუ გამართლდება?

ნიკოს ნათქვამი რატომღაც ახლა კი ირწმუნა ასმათმა და ქმარს ისე შეხედა, დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რაც გაიფიქრა: — ეგ დადგენილება ნეტავი შატბიასაც შეეხებაო? ნიკომ არც სიტყვით დაუდასტურა, არც უსიტყვოდ. რა უნდა ეთქვა, როცა შვილის დაღუპვის ცნობა უკვე ჯიბეში ედო. ნიკო თავს ახლა სიკვდილმისჯილივით განწირულად გრძნობდა და მისი სიცოცხლის ეს დღეები სიკვდილმისჯილის უნებლიედ გახანგრძლივებულ, რაღაც განგებით ნაჩუქარ წუთებს გავდა.

— ასმათ, რაკი საჩუქრების გაგზავნას მორჩით, თუ ღმერთი გწამს, ახლა ცოტა სულიკოსაც მიხედე... გააცანი მაშო და მერე მაგან იცის...

— შე კაცო, აქამდე გეთქვათ! სულიკო, შვილო, მოდი, ხვალ ნიკო ბიძიამ თამარელას პირით ლელას გადასცეს — არაბიძის სტუმარს დედაშენის ნახვა უნდა თქო. მერე, ალბათ ლელა ჩამოგივლის და მაშოსთან მიგიყვანს. იქ მოილაპარაკებთ. ოღონდ იცოდე, რაც უნდა გითხრას, ერთბაშად არაფერი დაუჯერო, მოსაფერებელი სიტყვა შეეფერე, მაგრამ ღმერთი არ გაგლანძოს და არ გაბრუვდე... მაგათ ყველაფერი შეუძლიათ.

— ნუ გეშინია, დეიდა ასმათ! დალევით არაფერს დავლევ. ვეტყვი, კუჭი ან ღვიძლი მტკივა მეთქი და, ცარიელი სიტყვით რას გამაბრუებს. მაგისთანები მინახავს?

— მაგას ნუ იტყვი. მაგისთანები, მეორე წყვილი, შეიძლება ღმერთსაც აღარ გაუჩენია და რას ნახავდი.

— ასე მაინც როგორ შეგაშინათ? — სულიკომ უცებ კილო შეიცვალა, დანარჩენი მაღალფარდოვნად წარმოსთქვა, — მა-შო! ბეჟან-ბუ! რომ გამოგიტყდეთ, დეიდა ასმათ, ჩვეულებრივ ადამიანებთან საქმის დაჭერა არც მაინტერესებს. მაგისთანა ხალხთან ურთიერთობა კი ბნელ გამოქვაბულში უჭრაქოდ შესვლას გავს... რაც უფრო საშიშია, რაც უფრო ამაღელვებელია...

— გაჩერდი, თუ ღმერთი გწამს.. ბნელი გამოქვაბული ბეჟან-ბუსთან რა სახსენებელია! გამოქვაბული შეიძლება გაანათო, მაგათ სულს კი რას მოუხერხებ!

ნიკოს, ეტყობა, არ აინტერესებდა ასმათისა და სულიკოს პაექრობა ბეჟან-ბუს თაობაზე და მოულოდნელად იმიტომაც ჩართო რადიო.

ოთახში ყველამ სული განაბა. დიქტორს ის იყო, დაეწყო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობათა გადმოცემა.

„...ჩვენი ჯარები ეწეოდნენ გააფთრებულ ბრძოლებს მტერთან სტალინგრადის რაიონში და მოზდოკის რაიონში...

მოზდოკის რაიონში წარმოებულ ბრძოლებში მოკლულია გერმანელთა პირველი სატანკო არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ფონ კლაისტი...“

— მაგას უკვე დაუსრულებია ქვეყნიერების დაპყრობაზე ოცნება.

— სულიკო, აცა, აცა...

„...არსებითი ცვლილებები არ მომხ-

დარა. სტალინგრადის რაიონში გრძელდებოდა გააფთრებული ბრძოლები. ჩვენმა ნაწილებმა მთელი რიგი კონტრიერიშები მიიტანეს, რომელთა შედეგად ჰიტლერელებისაგან გაწმინდეს რამდენიმე ქუჩა. ერთ-ერთ უბანზე გარშემორტყმული გერმანელ მეავტომატეთა ასეული სავსებით გაჟლეტილია. მოწინააღმდეგე ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა გარშემორტყმული ასეულისათვის და ბრძოლაში გამოიყვანა 20 ტანკი. ჩვენმა მებრძოლებმა ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით, გრანატებით და საწვავსითხიანი ბოთლებით დააზიანეს და დასწვეს გერმანელთა 8 ტანკი“.

— უყურე, რაფერ მოუნაყიათ ჩვენებს...

— ახლა ნაყოს წყალი, არა, ნიკო ბიძია?

„...მოზდოკის აღმოსავლეთით „ნ“ ნაწილების მებრძოლებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა ყველა იერიში. მოსპობილია მტრის ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი და ათი ტანკი“.

— ეს თუ მართალია, ბარაქალა ჩვენს... — წამოიწყო ნიკომ.

— დაიცათ, კაცო! არ გააჭირეთ საქმე თქვენი შენიშვნებით!.. — ბოლოს მაინც შეუწყრა მეუღლეს მოთმინება დაკარგული ასმათი.

„...ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი მზვერავთა ჯგუფებისა და სნაიპერების მიერ...“

ერთბაშად აივანზე რაღაცამ ბრაგვანი მოადინა. ასმათი ელდანაცემივით წამოიჭრა ზეზე და გარეთ გავარდა. ნიკომ და სულიკომ გაოცებით გადახედეს ერთმანეთს; მერე ისევ რადიოს მიუგდეს ყური.

„...წითელი არმიის მხარეზე ნებაყოფლობით გადმოსულმა გერმანელმა უნტერ-ოფიცერმა ავგუსტ დ-მ განაცხადა...“

ასმათი ისევ ოთახში შემობრუნდა. თავის სკამს მიაშურა.

— რა იყო, რა მოხდა, — წყნარად იკითხა ნიკომ.

— არაფერი. გარეთ აივნის ბოძზე წეღან კალათა დავკიდეთ! ეს წყალი მეზობლის შავი კატა რომ გვაბეზრებს, შემოჩენილი, სუნი სცემია, ასულა და კალათა ჩამოუგდია, კიდევ კარგი, მივუსწარი...

— რა იყო იმისთანა იმ კალათაში, რისი სუნი უნდა სცემოდა...

— ახლა ყველაფერი აგიხსნა, შე კაცო? თუ რადიოს უსმენ, უსმინე, თუ არა და, რას ერევი საოჯახო საქმეში.

ნიკოს გაეღიმა ასმათის ასე უეცარ გაფიცხებაზე.

ორიოდე წუთი რადიო სდუმდა, მერე ისევ განაგრძეს გადაცემა.

„წითელი არმიის უფროსთა და რიგითი შემადგენლობის დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებით.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და, ამასთან, მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ფრონტის სამხედრო საბჭომ დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით კაპიტანი მიხეილ...“

უეცრად ოთახში მყოფთა ყურადღება მიიქცია გაბმით ძახილმა.

— ნიკო ბი-ძი-აა...

ნიკომ უმალ რადიოს ჩაუწია და სმენად იქცა. ძახილი კვლავ განმეორდა. ნიკო გარეთ გავიდა. ასმათი და სულიკო ფეხდაფეხ მიჰყვნენ კიბის ზედა ბაქნამდე. ეზოში აღარ ჩაჰყოლიან, აივანზე ელოდნენ მის დაბრუნებას.

— ნიკო ბიძია, ვიფიქრე, ძაღლი ხომ არ ყავთ აშვებული მეთქი და ეზოში ვერ ჩამოვირბინე...

ღობეზე ლელა მომდგარიყო. ცვლაში გასასვლელად მომზადებულს ნათურა-ღა აკლდა.

— ძაღლი რახანია აღარ მყავს. საჭმელი იმისთვის კი არა, ახლა ჩემთვისაც აღარ მაქვს. რა იყო, რა გაგიჭირდათ!..

— ნიკო ბიძია... — ლელა სათქმელს აშკარად აყოვნებდა.

— თქვი. — ნიკომ სარებს შუა თავი გაჰყო და თვალებში გამომწვევად ჩაშტერდა ბეჟან-ბუს ქალიშვილს.

— დეიდა ასმათის წამოსვლა და თამარელასთან ხიდაშელის მოჩვენებასავით გამოცხადება ერთი იყო...

— მერე რა მოხდა?!

ნიკოს ჯერ არ სმენოდა ხიდაშელის სასიყვარულო გატაცების შესახებ, ამიტომ აზრადაც არ მოსვლია, თუ ხიდაშელის გამოჩენით რამე ხიფათი მოელოდა მის წარმოდგენაში ანგელოზად დასახულ თამარელას.

— რავა რა მოხდაო, ნიკო ბიძია... მაინც და მაინც გინდა მოხდეს?..

— რა უნდა მოხდეს, გოგო? შენ ხომ არ გამოსულელებულხარ?!

— სიკეთის მაგიერია? ერთი ვერსი სულ სირბილით გამოვიარე და...

— მერე რაო, რა თქვა იმ ბიჭმა, რამ შეგაშინათ?

— მოდი და ნუ შეგეშინდება... კი მარა, ქვეყანამ იცის და თქვენ ჯერაც არაფერი შეგიტყვიათ, თუ... მალავთ?!

— რა უნდა შეგვეტყო, რას ვმალავთ?

— რას და... ხიდაშელი რომ თამარელაზეა შეყვარებული...

ამის გაგონება და ნიკოს უკან გადაქცევა ერთი იყო. თანაც ისე მოზიდა მარჯვენა ხელწატანებული სარი, რომ მწკრივის გამაგრების ადგილას, შუაწელში ფიცხლად გადატყდა იგი.

— ...მოვიდა, ნიკო ბიძია, და თამარელას გამოუცხადა — დილამდე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, დილას კი... ხელი უნდა მოვაწეროთო. თამარელას, მართალია, ძალიან შეეშინდა, მაგრამ შემეხვეწა, კრინტი არსად დაძრა, დონბასელ მეზობლებსაც არაფერი უთხრა, თუ არა თავი მომეჭრებაო . ვითომ ცდილობს ხიდაშელის დაშოშმინებას, მაგრამ შესძლებს? ის ოჯახქორი ცოტა გადაკრულიც რომ არ იყოს... მე ის-ღა მოვიმიზეზე — ცვლაში გასვლა მიწევსთქო და ხიდაშელმა ეჭვი ვერ აიღო. ცვლას რაღას ვჩიოდი, მაშინვე აქეთ გამოვიქეცი.

ნიკო გასაოცარი თავდაჭერილობით ამ ცნობას. თავს ძლივს იკავებდა, ხიდაშელის მისამართით რამე სალანძღავი სიტყვა არ წამოსცდენოდი. ლელა სასწრაფოდ გაისტუმრა შახტში, თვითონ კი დინჯი ნაბიჯით მიაშურა სახლს. კიბეზე აღარ ასულა, ასმათს უთხრა, ქუდი ჩამომაწოდეო.

— რა იყო, არ იტყვი?

— არაფერი, ლელა იყო. ზიბზიბაძეების დონბასელი მდგმურები წალაპარაკებულან და თამარელას შემოუთვლია

— თუ შეუძლია, ნიკო ბიძიამ ჩამოგვიაროს ერთი წუთით, შახტისაკენ როცა წავაო.

— კი მაგრამ, მე ახლა ზიბზიბაძეებისაგან არ მოვედი? თამარელამ მომატყუა — რაზუმიაკები შინ არ არიანო?!

— შე ქალო! ამასობაში, ეტყობა, კიდეც მოსულან და თამარელასი რა ბრალია.

ნიკომ ქუდი დაიხურა. ეზო კვლავ დინჯი ნაბიჯით გადასჭრა, მაგრამ ჭიშკარში გასული, ბინდბუნდში გაუჩინარდა თუ არა, ამ ხნის კაცმა ისე მოკურცხლა, გაოცდებოდით. აგრერიგად გამწარებულს, კაციც რომ შემოკვდომოდა, ალბათ, იმასაც კი არ ინაღვლებდა. გულის ჯიბეში შვილის დაღუპვის ჯერ კიდევ საეჭვო ცნობა სდებოდა კი არა, შატბიას ცხედარი წინ რომ ჰყოლოდა დასვენებული, თამარელას არაბიძის გული სასხვისოდ, ალბათ, მაშინაც ვერ შეელეოდა.

რისხვის ალმური გზაში ნიკოს თანდათან ვაუნელდა. ზიბზიბაძის ჭიშკართან მისული უკვე იმ აზრისა აღარ იყო, რა აზრითაც აქეთ ეშურებოდა — ძაღლივით დავახრჩობ იმ ძაღლ-მამაძაღლ ხიდაშელს. ვინ ჰგონია მაგას თამარელაო. ახლა კი სულ სხვას ფიქრობდა — მე რომ ასე გაცეცხლებული შინ მივუვარ-

დე, ამით ყველაზე მეტად თამარელას ჩავაგდებ უხერხულ მდგომარეობაში... თავის თავი თამარელამ ხიდაშელს კი არა, ბუზალაძესაც არ დააბრიყვებინაო. ნიკო იმასაც ფიქრობდა, რომ ხიდაშელსა და ბუზალაძეს შორის განსხვავება ისიც იყო—რომ ხიდაშელი კაცს ჰგავდა, სისხლიც ჭაბუკურად უდუღდა და ამ ასაკში როგორც ქალის, ისე ვაჟის ბუნებასაც თავისი „უცნაურობანიც“ ახასიათებდა. განა ოდესმე ნიკო იფიქრებდა, რომ შატბიას ომში წასვლამდე თამარელა თავისი ნებასურვილით შახტს მიაშურებდა და მამაკაცის ადგილს დაიჭერდა?

ნიკომ ჭიშკრის ბოძს თავი მიაყრდნო და განაბულმა დაჟინებით იწყო ცქერა სახლისაკენ. აქედან კარგად ჩანდა სახლის მარცხენა მხარე. კუთხის ოთახის ფანჯარაზე ჩამოფარებული სქელი მატერიის ფარდა სინათლეს ცუდად იჭერდა და ოთახში მყოფთაგან ერთერთის სილუეტი ზედ მკაფიოდ გამოსახულიყო. სილუეტის თავისა და ხელის მოძრაობაზე შეიძლებოდა დარწმუნებულიყავით, რომ ოთახში მშვიდობა სუფევდა და, ჯერჯერობით, გარეშეთა ჩარევას არ საჭიროებდა, ლელას სიტყვით, ხიფათში ჩავარდნილი მასპინძელი. ნიკო თუმც ცოტა დაშოშმინდა, მაგრამ საგონებელში ჩავარდნილს ახლა იმ მხრივ დაემგვანა, რომ ვერც აქაურობას გასცლოდა, ვერც ზიბზიბაძისას ბისულიყო. თუ ის ბიჭი მართლა დილამდე აპირებს თამარელასას დარჩენას, ჩანს, მეც აქ მომიხდება ასე ზეზეურად ღამის გათევაო, ღიმილით გაიფიქრა ნიკომ და თავის ხვედრს ძალაუნებურად შეურიგდა. ამ მდგომარეობიდან არაბიძე, იღბლად, სულიკომ იხსნა. რაც აქ, ზიბზიბაძისას, ჭიშკრის წინ ბოძს მოფარებული ნიკო მიწას ტკეპნიდა, უკვე ოციოდე წუთიც იქნებოდა გასული, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ეს დრო ნიკოს ერთი ათად გახანგრძლივებული ეჩვენებოდა. მოულოდნელად ფეხის ხმა რომ ჩაესმა, ამან კიდევ უფრო შეაწუხა. რა ელონა, აღარ იცოდა. ვინ იცის, ვინ შემოეყრებოდა, და რას შეთხზავდა ნიკო, მისი აქ ამ უდროო დროს ყოფნა რომ საეჭვოდ არ მოსჩვენებოდათ. და როცა მოახლოებული მგზავრი სულიკო აღმოჩნდა, წარმოდგენაც კი ძნელია, ერთსა და იმავე დროს რარიგ გაუკვირდა და რარიგ გაეხარდა ნიკოს მისი გამოჩენა.

— რა მოგეჩვენა, ბიჭო?! — ფარული სიხარულით „უსაყვედურა“ არაბიძემ თავის სტუმარს.

— ნიკო ბიძია, უკვე ბრუნდებოდი ზიბზიბაძეებისაგან, თუ?

— რას ვბრუნდები... ორჯერ ვუხმე, მაგრამ, ალბათ, ხმა ვერ მივაწვდინე.— უხერხულობისგან თავი როგორ დაეღწია, თუ ასეთ ტყუილს არ მოიშველიებდა არაბიძე.

— რად უნდა ხმის მიწვდენა... რა უცხო თქვენა ბრძანდებით.

— წესი ასეა, მაგრამ... მოდი, ამ ერთხელ დავარღვიოთ, რა იქნება? რას იტყვი, სულიკო!

— მე მგონია, კიდეც აჯობებს! თქვენი მოულოდნელი წვევა უფრო გაუხარდებათ.

— ჰო, შენ რაღას გამომკიდებიხარ, ბიჭო, ფეხდაფეხ.

— იმ წამსვე ვერ მოვიფიქრე, წამოგყოლოდი. ზიბზიბაძეების ოჯახს ხომ მეც კარგად ვიცნობ... საწყალი მაია... რომ იცოდე, როგორ გამიმასპინძლდა შარშან. მის უფროს ბიჭს თოფიც კი გამოვუთალე. ჰო, და სხვა თუ არაფერი, თამარელასათვის ან აქამდე არ უნდა მიმესამძიმრებია დის სიკვდილი? თან ისიც ვიფიქრე, მერე და მერე იქნებ სულ ვერ გამოვნახო საამისო დრო და ისევ ახლა აჯობებს მეთქი. მით უმეტეს, თქვენთან ერთად უფრო ადვილი არ იქნებოდა ჩემთვის მაგათ ოჯახში მისვლაცა და სჯა-ბაასიც?..

— ეგ მართალია.

— თამარელას ნახვაც მომენატრა.

— ჰო, და ორ საქმეს ერთად გააკეთებ... მისამძიმრების ვალსაც მოიხდი და თამარელასაც ნახავ!

ჭიშკრის ბოძთან ღობეს სარი აკლდა. ნიკოს თვალი არც მოუკრავს, როგორ გაძვრა სულიკო ბოძსა და ღობის სარებს შუა, არაბიძეს ჭიშკარი შიგნიდან გაუღო და ეზოში შეიპატიჟა. ნიკოს გაეცინა, რადგან უეჭველად იყო რაღაც ხუმრობის მსგავსი სულიკოს საქციელში.

— მეგიმ მოკითხვა არ დაგაბარა თამარელასთან? — იკითხა ნიკომ.

— მოკითხვა რასა ჰქვია, ბარათიც გამომატანა!

ნიკომ ცოტა არ იყოს, გაოცებით გადახედა სულიკოს.

— მერე, დამიმალე, ბიჭო, ეს ამბავი?

— კი არ დაგიმალე, მაგრამ... ან რა სახარებელი იყო? უფრო, ალბათ, იმან შემაჩერა, ვაი თუ გეფიქრათ — ჩემთვის არაფერი მოუწერია მეგის და თამარელა რა წითელი კოჭიაო.

— მაგას, შენც კარგად იცი, არ ვიფიქრებდი. ჩემთვის ან კი რა უნდა მოეწერა... მოკითხვის გადაცემა კი სიტყვიერადაც შეიძლება.

— კაცმა რომ თქვას, არც თამარელას სწერს სხვა რამეს, მოკითხვის გარდა.. თუ გინდა, წაგაკითხებ, ძია ნიკო.

— სხვის ბარათებს არ ვკითხულობ, თუ... აუცილებელი არ არის.

— ზოგჯერ ესეც საჭიროა. შპეკინი გახსოვს?

— რომელი შპეკინი?

— „რევიზორის“ პერსონაჟი, ფოსტის უფროსი.

— მაგაზე მერე ვილაპარაკოთ... ამ ლაპარაკში კიდევაც მოვსულვართ..

ნიკო აივნის კიბის წინ შეჩერდა.

— ძია ნიკო, თქვენ ხომ ზიბზიბაძის მდგმურ-დონბასელებთან აპირებდით მისვლას?..

— ჯერ თამარელა ვინახულოთ. რას იტყვის, პირველად დონბასელებთან მისული რომ გვნახოს?

ნიკომ არც თუ ისე ხმადაბლა, გასაგონად უხმო თამარელას. დაძახება და აქამდე ფანჯრის ფარდაზე გამოსახული ლანდის გაქრობა ერთი იყო. ნიკომ ცოტა აცალა. მერე სულიკოს ხელი ოდნავ წაჰკრა და თავის მოძრაობით ანიშნა — ახლა შენ დაუძახეო. სულიკოს ხმა უფრო მკაფიოდ გაისმა სიბნელეში. კარი ჯერ ოდნავ, შემდეგ თანდათანობით, ჭრიალით გაიღო და ზღურბლზე გამოჩნდა თამარელას სილუეტი.

— ვინ არის?

მოისმა ცოტა გაუბედავი და ცოტა შეშფოთებული მისი ხმა.

— მე ვარ, თამარელა. თან სტუმარიც მახლავს... თუ მიგვიღებ!.. — მოფერებით, დამამშვიდებელი კილოთი მიუგო ნიკომ და სანამ თამარელა ეტყოდა — მობრძანდითო, ნიკო არაბიძე კიბეზე აუძღვა სულიკოს, თამარელა კი უმალ გამოიჭრა კარის ზღურბლიდან და კიბის ბაქანზე შეეგება მათ.

— ეს... სულიკოა, ნიკო ბიძია?

— ასე უცებ როგორ იცანი?

თამარელამ სტუმარს ხელი გაუწოდა.

ნიკო ოთახში შევიდა, ქუდი მოიხადა და ისე მიიხედ-მოიხედა, თითქოს მართლა ქუდის დასადებ ადგილს ეძებსო.

— მარტო ხარ? — იკითხა მან ცოტა დაყოვნებით, როცა თამარელამ არაბიძესაც და სულიკოსაც სკამები მიაწოდა.

— არა, ნიკო ბიძია. ერთი სტუმარი კიდევ მყავს.

— რომ არ ჩანს? — ნიკომ ერთხელ კიდევ მიმოიხედა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში და გაიცინა.

— არც ჩანს და, მგონია, არც აპირებს გამოჩენას... — სიცილითვე უპასუხა თამარელამ, შუა ოთახის ორივე კარი ერთბაშად ხელისკვრით გააღო და შევიდა. მეორე ოთახი უფრო განათებული ჩანდა. იატაკზე გაშლილ ლოგინში გია და გურამი იწვნენ, მათ თავთან, დაბალ ხის სკამზე იჯდა ხიდაშელი და ბავშვებს რაღაცას უამბობდა. კარის გაღების უმალ ის წამოდგა და ამკარად შეეტყო, არ იცოდა რა ექნა.

— გვეჩვენოს, თუ კაი კაცია! — „მიმალული“ სტუმრის გასაგონად სთქვა ნიკომ და ხიდაშელსაც მეტი აღარაფერი დარჩენოდა, რომ წინა ოთახში გასუ-

ლიყო და ახალმოსულებს სჩვენებოდა.

ნიკომ დაინახა თუ არა იგი, უმალ სიცილით და მოჩვენებითი გაკვირვებით წამოიძახა:

— ამ ჩვენს მთავარ ინჟინერს რაღა უნდა აქა?!..

ხიდაშელს საპასუხოდ არა თუ გაუცინია, არც გაუღიმია. მან დინჯად წადგა წინ რამდენიმე ნაბიჯი და ხელი მარტო სულიკოს ჩამოართვა. ეს ყველამ ისე მიიღო, რომ დღეში ეგ და ნიკო ასჯერ ხვდებიან ერთმანეთს და ახლა რაღა საჭიროა ხელის ჩამორთმევაო. ახლა იდუმალ ნიკო რომ ხიდაშელზე იყო განრისხებული, ხიდაშელი კი ნიკოზე, მათ გარდა ჯერ ეს არავინ იცოდა.

— გია, გურამ, ჯერ კიდევ არ გძინავთ, თქვე მამაძაღლებო?

გურამი ლოგინში წამოჯდა.

— ნიკო ბიძია, რა დაგვაძინებს... მამა უნდა ჩამოვიდესო...

ნიკო ფიცხლად წამოიჭრა ზეზე.

— ვინ თქვა, ბიჭო?!. დაგესიზმრათ?

— ჩვენმა მთავარმა ინჟინერმა მოგვიტანა ეს ახალი ამბავი. — სხვათაშორის ჩაურთო სიტყვა თამარელამ.

ერთი შეხედვით, კი არ იყო საჭირო. მაგრამ სტუმრების გამოჩენისთანავე თამარელამ საქმე გაიჩინა — სახელდახელოდ მიალაგ-მოალაგა ოთახში თუ რაიმე უხეიროდ ეცა თვალში და კვლავ სტუმრებს მიუბრუნდა. ხიდაშელს სკამი ახლოს მიუდგა მაგიდასთან, თუმც არ მიუწვევია, დაბრძანდიო. ხიდაშელმაც იგრძნო, რასაც ნიშნავდა ეს და ძლივს დასცდა ორი სიტყვა:

— ბოდიში, წავალ...

— დაიცა, ბიჭო, ჩვენც გვითხარი, საიდან შეიტყვე, სად ყოფილა, როდის ჩამოდის ჩვენი კაკოია?

— ჩემმა ნათესავმა ჩამოიტანა ამბავი, — ისე მიუგო ხიდაშელმა, ნიკოსკენ არც გაუხედია. — ჰოსპიტალში ერთად წოლილან. დღეს-ხვალ ზიბზიბაძესაც გამოსწერენ და, ალბათ, ერთი კვირის შვებულებასაც მისცემენო.

სანამ ხიდაშელი ლაპარაკობდა, სულიკოს თვალი არ მოუშორებია მისთვის. თითქოს ამ კაცის ყოველ სიტყვის მიღმა, გამომეტყველებაში და კილოში სურს ამოიკითხოს იმაზე მეტი, რასაც ამბობს. სულიკოს როგორღაც არ მოეწონა ხიდაშელის ალმაცერი გამოხედვა. მის მსხვილ წარბებს ქვემოთ არა მარტო შავად, თითქო ავადაც მოელვარე თვალები.

ნიკომ აღარ იცოდა, რა ეფიქრა. იქნებ სულაც არაფერია. კაცი ოჯახში ასეთი სასიხარულო ცნობის შესატყობინებლად მოსულა და ლელამ კი ლამის გადამრიაო. მაგრამ ხიდაშელის საქციელი ნიკოს მაინც საეჭვოდ ეჩვენებოდა. ყოჩაღი, ბუნებით მხიარული და გონებამახვილი ჭაბუკი ისე გამოცვლილი გამოიყურებოდა, რომ ეჭვისათვის ესეც კმაროდა.

— ხედავ, ძია ნიკო, რა კარგი ფეხით მოვსულვართ ზიბზიბაძის ოჯახში! გურამ, ერთი გამოდი, ბიჭო, რა გაჩვენო! შენი ძამიკოც წამოიყვანე.

აქამდე მუხლზე რომ ედო რაღაც შეკვრა, სულიკომ გახსნა და დახვეული ცისფერი ნაჭერი პერანგისამარა გურამს შეაჩეჩა ხელში.

თამარელამ უეცრად დაჭკივლა ბავშვს.

— ბიჭო, მოგვეერი თავი, სტუმართან ასე გამოსვლა შეიძლება?

— რა უჭირს, ღამეა, მაინც არაფერი უჩანს. — უმალ მიუფუჩეჩა „შეცხადება“ ნიკომ თამარელას, სულიკოს შეთავაზებულ ნაჭერს კი თვითონაც ცნობისმოყვარეობით დააკვირდა.

ამასობაში გიაც მორცხვად მიუახლოვდა სულიკოს. მან წითელი შეკვრა მიიღო საჩუქრად. როცა გიამ ცისფერი ნაჭერი გაშალა, დაუფარავი სიხარულით წამოიძახა:

— შარვალია?

ბავშვის სიხარული აუწერელი იყო. თუ გურამმა გრძელი, ცისფერი მაუდის შარვალი მიიღო საჩუქრად, გიას მოკლე, შინდისფერი ხავერდის შარვალი ერგო. ის ხმას არ იღებდა. სიხარულისა-

გან მხოლოდ წამოწითლდა და რაღაც უცნაურად ლოყებგაბუშტული თავს მაღლა ველარ სწევდა.

— სულიკო, ასე რატომ წუხდებოდით.

— ჩემო თამარელა, ბავშვების გახარება დიდების შეწუხებაა?

— არა, მაგრამ... ახლა, ამ დროს...

ნიკო ფარული კმაყოფილებით ადევნებდა თვალს ამ სანახაობას, არ ეგონა თუ სულიკო თავს ამ მხრივ გამოიჩენდა.

თამარელას ბევრი არაფერი მოეძებნებოდა, მაგრამ ახლა „უკანდახევა“ არასგზით არ შეიძლებოდა, და ისიც შეუდგა საკუჭნაოში ფრთხილად ფათურს. ნახევრად ბნელში თეფში თეფშს რომ არ მოხვედროდა, დანა და ჩანგალი არ დავარდნოდა და სტუმრების ყურადღება ნაადრევად არ მიეპყრო. ნიკომ მაინც „იყნოსა“, რაღაც რომ მზადდებოდა და რახან თამარელასთან შინაურულად იყო, სამზარეულოშიაც უნებართვოდ ეწვია. მაჯა დაუჭირა, ოთახში გასატანად გამზადებული ჭურჭელი უკანვე დაალაგებინა.

— არაფერი არ გინდა. არავინ ისეთი არ გწვევია, რომ ერთხელ მაინც თქვენს ოჯახს მისთვის არ ეცეს პატივი. თანაც ყველანი გაქცევაზე ვართ... გვიანიც არის. თუ სულიკომ შენი დისშვილებისათვის თითო შარვალი გაიმეტა, რავა, ჩემგან აკლია სამაგიერო პატივისცემა? მე და შენ კი ვინ დაგვაშორიშორა?

თამარელა სულ თვალებში შესცქეროდა ნიკოს, უსიტყვოდ შესთხოვდა — ნუ დამიშლიო. დამჯერე შვილივით წინააღმდეგობის გაწევას კი ვერ უბედავდა. როგორც მორწმუნე ქრისტეს ჯვარცმას, თამარელა ისე სცემდა პატივს არაბიძეს და მის ყოველ რჩევას, ყოველ გამოხედვას, ყოველ სიტყვას უყოყმანოდ ენდობოდა და იზიარებდა.

— ნიკო ბიძია, როგორც გენებოთ, თქვენ უფრო გამოცდილი ბრძანდებით, მაგრამ... თუ მასპინძლობაზე ხელი იმისთვის გინდათ ამაღებინოთ, რაკი სულს იქით არაფერი გაგვაჩნია, ... ასე არ არის!.. მე ... ვიშოვე, მაშოს კი წეღან სამი კილო ცხვრის ხორცი მოუტანია და...

ნიკოს ხორცის ხსენებაზე უმალ ის შემთხვევა გაახსენდა, წეღან, როცა შინ რადიოს უსმენდნენ, აივანზე რაღაცამ რომ ბრაგვანი მოადინა და ასმათი ფიცხლად გარეთ გაიჭრა. მერე შინ შემოსულმა ცოტა შეშფოთებით რომ სთქვა — იმ წყეულ მეზობლის კატას სუნი უყნოსიაო და...

— თამარელა, რაო, რა სთქვი, მაშომ რამდენი მოიტანაო?

თამარელამ რატომღაც დარცხვენით შეხედა ნიკოს და ღიმილით მიუგო:

— სა-მი. ორი კილო კიდევ მაქვს, ნიკო ბიძია. სამწვადედ ერთი კილო არ გეყოფათ?

— მგონია, რაღაცას მიმალავ. წეღან ასმათისათვის ხომ არაფერი გამოგიტანებია?

— როგორ, ასმათმა რამე გითხრა, ნიკო ბიძია?

— ასმათს არაფერი უთქვამს, მაგრამ... გამოატანე არა?

— რის ხვეწნით და ვაი-ვაგლახით... რა იყო, რა სათქმელია, ალბათ, ერთი კილო არც იქნებოდა.

ნიკოს გაეცინა.

— ჰო და, წეღან ის შენი გამოტანებული ხორცი კინაღამ მეზობლის კატას გაატანა ასმათმა.

— ხუმრობ, არა, ნიკო ბიძია! ჩემ გამოტანებულ ხორცს ასმათი კატას დაანებებდა?

— გკითხავს და ისე წაიღებს, თუ რა?

— ახლა ისეა საქმე, კატას კი არა, კაცსაც ველარ ძრახავენ მაგისთანა საქციელისათვის.

— შიმშილმა რომ კაცის წახდენა იცის... აუჰ, ჯერ სადა ხარ!

— ნუ ამბობ მაინც, ნიკო ბიძია!

— კაცმა არ იცის, რა სჯობია, იცოდე, თუ არ იცოდე! თამარელა, მგონია, გაგვიგრძელდა ჩურჩული. მოდი, გა-

ვალ და ერთ-ორ წუთში შენც გამოჩნდი.

ის იყო ოთახში შებრუნებას აპირებდა ნიკო, რომ თამარელას მორიდებულმა კითხვამ შეაჩერა.

— ნიკო ბიძია, მართლა აპირებთ წასვლას, თუ...

ნიკომ შეხედა თუ არა, მიხვდა, თამარელამ პირდაპირ ვერ ჰკითხა მოსვლის მიზეზი და ამიტომაც წასვლაზე ჩამოუგდო სიტყვა.

— რა მაგის პასუხია და... სულიკოს რომ არ აეჩემებია, ახლა რა წვევის დრო იყო? გინდა თუ არა, ამ საღამოს ვინახულოთ, მერე შეიძლება დრო ველარ გამოვნახოთო!

ამას ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა არაბიძე, თითქოს რაც გულში ედო, იმას ამხელდა. მაგრამ გამხელა კი არა, იმის გახსენებაც აღარ ეწადა, რა გულისნადებითაც აქეთ ეშურებოდა. ეჭვი მთლად არ გაფანტვია, მაგრამ ისე, მაინც ყმაყოფილი იყო, რომ ზიბზიბაძეებისას მოსვლა არა თუ უბედურებად, პატარა უსიამოვნებადაც კი არ ექცა.

ეს შემთხვევა ახლა მხოლოდ ცუდ სიზმარს-ღა ჰგავდა, შეშინებულს რომ გამოეღვიძება და მოულოდნელად შვებით მოითქვამს სულს.

სანამ ხიდაშელი არ წავიდა, ნიკომ ფეხი არ მოიცვალა ზიბზიბაძის ოჯახიდან. მართალია, არაბიძეს მთავარ ინჟინერთან ამ საღამოს უსიამოვნება არ მოსვლია, მაგრამ ძუნწ სიტყვა-პასუხზედაც, გამოხედვაზედაც აშკარად ეტყობოდა, ისინი თამარელას გამო ამ წუთიდან არასახუმროდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

— ნიკო ბიძია, რა უცნაური შეყოლიება იცის ამ მეშახტეთა ქალაქმა. მე მეგონა, სამ დღესაც ვერ გავძლებდი აქა, და აგერ, უკვე მეათე დღეს ვაღამებ თქვენს ჭერქვეშ.

— ალბათ, მარტო ქალაქს კი არა. ჭერსაც არა უშავს ღვთის წყალობით.

— ნიკომ ეს ისე მიუგო, [illegible] დაფიქრებულა.

— ჭური — რა, ნაკლებია?

— შენ აგაშენა, ღმერთმა!.. ამ გახსენებაზე... ასმათმა დღეს სამჯერ გამაფრთხილა — ვახშმისთვის ღვინო მოამზადეო, და სამჯერვე დამავიწყდა...

— მოდი, ამ ერთხელ უღვინოდ ვივახშმოთ.

— კაცმა რომ თქვას, უღვინოდაც შეიძლებოდა, ჩემო სულიკო, მაგრამ... ის ბიჭი ამ საღამოს დავტოვოთ უდღეგრძელებელი!

— ვინ ბიჭი? — სულიკომ ცოტა არ იყოს, გაკვირვებით იკითხა და ნიკოს ღიმილით შეაცქერდა, აბა, რას იტყვისო.

— შატბია!

— ამას როგორ ვერ მივხვდი?

— მეც არ გამიკვირდა? — ნიკომ ფანჯარაზე შემოდგმულ ხელადას წაავლო ყურში ხელი და ნელა დაიძრა კიბისაკენ. შუა კიბეზე შემობრუნდა. — ასანთი არ დაგავიწყდეს, სულიკო.

სულიკომ, ის იყო, საშინაო ფეხსაცმელები ჩაიცვა და ნიკოს კიბის ბოლოში დაეწია.

— პაპიროსს არ ვეწევი, მაგრამ ასანთი სულ თან მაქვს.

მარნის კარს რომ მიადგნენ, ნიკომ უცებ თავში შემოიკრა ხელი.

— რა ეშმაკმა დამაბნია... ამ ერთ წელიწადში ეს რიგიანი მახსოვრობა სულ არ დამეფანტა? შენ გაფრთხილებდი და მე კი მარნის გასაღების წამოღება დამავიწყდა.

— ახლავე. — სთქვა სულიკომ და მკვირცხლად შემობრუნდა.

—იცი მერე, სად ჰკიდია?

— როგორ არა, საკუჭნაოში, ფანჯრის მარცხენა მხარეზე.

— უყურე შენ! — თავისთვის, გულწრფელი გაკვირვებით წამოიძახა ნიკომ. სულიკოს დაკვირვების უნარი აშკარად მოეწონა. — ზოგი მაშოს ბრმა ცხენი-

ვით დაიარება ამ ქვეყანაზე, ამ ბიჭს კი თურმე ვერაფერს გამოაპარებ.

სულიკო წუთში გაჩნდა მარნის წინ. ბოქლომი თვითონ გააღო. მარანში საკრძნობლად გრილოდა, თან მიწისა და ღვინის სუნი იდგა. სულიკოს თქმა არ დასჭირვებია, ისე მიაწოდა ასანთი ნახევრადბნელში ერთი ნაბიჯით დაწინაურებულ ნიკოს. ნიკომ გაჰკრა ასანთი, პირველ ნამწვს მეორე ღერი მიაშველა და ნიშასაც მიადგა. ნიშაში ჭრაქი იდგა. ჭრაქის ყომრალი კვამლის კუდიანმა ალმა მარანი ოდნავ გაანათა. ორი ადამიანის ვებერთელა ჩრდილმა სადღაც, მაღალი ჭერის ჯურღმულებში იწყო ბორიალი...

ნიკომ ჭრაქი განაპირა ჭურის ახლოს, ათლიტრიან ცარიელ კასრზე დადო და ცალ მუხლზე წამოჩოქილმა პატარა ბარით ჭურის თავზე მიწა გადათხარა. გამოჩნდა ურმის ბორბალივით ჭურის თავზე დადებული აყალო მიწის სქელი ფენა. აყალო მიწა მძიმე-მძიმედ გადასწია ნიკომ ხის სწორი ნიჩბით. გამოჩნდა დანახშირებულივით ხის შავი სარქველი, ჭურის თავზე მრგვალადვე მორგებული. სარქველი ოთხი ნაჭრისაგან შედგებოდა. ნიკომ ჭურის თავი გარშემო ერთხელ კიდევ ფრთხილად მოასუფთავა და ასევე ფრთხილად აიღო სარქველის შუა ფიცარი, შემდეგ განაპირა. ერთბაშად ეცათ ღვინის დაგუბებული, ძალუმი, საამო სუნი.

— ახლა ორშიმო და მისი ჯანი!

სულიკომ სწრაფად გაიხედა იქით, საითაც ნიკომ ანიშნა და გრძელ ჯოხზე დაგებულ მწარე კვახებს რომ მოკრა თვალი, ცოტა შეკრთა. ნახევრად ბნელში ორშიმოები სარებზე ჩამოცმულ თავის ქალებს გავდა.

— ვერ ხედავ?

— როგორ ვერ ვხედავ, ნიკო ბიძია.

ორშიმოს ტარს რომ ხელი წაატანა, სულიკოს უნებლიედ შარშანდელი შემთხვევა, მაიას მარანი და ორშიმოთი ღვინის დალევაც გაახსენდა. გული უცაბედად ეტკინა. ეს შემთხვევა სხვას არ გავდა და ხსოვნას აქამდე ყველაფერი ცხადად და მკაფიოდ შემოუნახავდა.

ბიბლიოთეკა

მიწოდებული ორშიმო ნელა ჩაჰყო ნიკომ ჭურში. მკაფიოდ ისმოდა მისი ავსების ნაცნობი ხმა. სავსე ორშიმოდან ნიკომ მარჯვედ გადაასხა ღვინო ხელადაში და ორშიმო ისევ ჩააყურყუმალავა ღვინოში.

მარნის კარი სულიკომ დაკეტა.

იმ სიამოვნებას, რომელსაც ყოველთვის იწვევდა ხოლმე ნიკოს არსებაში ჭურის მოხდა და ღვინის ამოღება, ახლა თითქმის მთლიანად აქარწყლებდა გულისჯიბეში შემონახული უწყება. სულ იმის შიშისფეთებით იძინებდა და იღვიძებდა, ჯიბე ხომ არავის გაუჩხრეკიაო. აქამდეც დახევდა, მოსპობდა ამ ქაღალდის ხსენებას, მაგრამ ეჭვი—ვაი თუ მართალი გამოდგესო, როგორღაც აჩერებდა არაბიძეს; და როგორც შატბიას სახელთან დაკავშირებულ უკანასკნელ ბარათს, ისე ინახავდა მას. თან იმასაც შეჰყავდა ცდუნებაში, რომ რა სიტყვებით არ იყო შემკული დაღუპულის გმირობა და ვაჟკაცობა.

როცა ნიკო და ასმათი ერთად ისხდნენ ოთახში, თუ აივანზე, რამდენჯერ გახსენებია ნიკოს ის უწყება და გუნებაში უნებლიეთ უკითხავს თავის თავისთვის — ნეტავი ასმათიც თუ მიმალავს ასე რამესო... ალბათ, არ არსებობს ადამიანის შვილი, რომელსაც რაიმე არ აწუხებდეს და გამხელა ვერ მოეხერხებინოსო. ყველა ატარებს რაღაც ფარულ, მნიშვნელოვან, თუ უმნიშვნელო საიდუმლოს, ახლობლისათვის საზიანოს, თუ სასარგებლოს და ზოგჯერ ამ საიდუმლოთი-ღა ცოცხლობს. ეს ინახავს მის სულსაც და ხორცსაც. ასე იყო ნიკოც. მას ღრმად სწამდა, რომ თავისი საიდუმლოს დროებით შაინც გაუმჟღავნებლად ტარება სასარგებლო და აუცილებელი იყო ასმათისათვის. საიდუმლოს მალვამ არაბიძე კი არ მოშალა და წაახდინა, პირიქით, უფრო გააქტიურა და გამოაფხიზლა; მოსალოდნელი დაბნეულობისა და აფორიაქების

მაგიერ სულში რაღაც უცნაური დასაყ-
რდენი იპოვნა და წონასწორობა შეი-
ნარჩუნა. მის არსებაში ახლა ყველა-
ფერი ერთ საგანს უტრიალებდა, ერთი
სურვილით ცოცხლობდა, ერთი ნატვ-
რით აღამჭაბდა და ათენებდა — ის სა-
შინელი ცნობა არ გამართლებულიყო.

მხოლოდ ეს იყო, რომ ერთ საგანზე
გამუდმებით ფიქრმა ცოტა უგულისყუ-
რო გახადა და ზოგჯერ ერთხელ შეკი-
თხვა არ კმაროდა, პასუხი მიგეღო. ამას
დაერთო გულმავიწყობაც.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკო და
სულიკო ისევ აივანზე ისხდნენ და სა-
ზაფხულო სამზადიდან ასმათის ამოსვ-
ლას ელოდნენ.

— ეჰ, ზეგ რომ სწავლა არ იწყებო-
დეს, რა სჯობია აქ ყოფნას!

— შენც ერთი-ორი დღით კიდევ
დარჩი. რას სწავლობთ ისეთს, ორ-
დღე გაცდენილი ვერ დაეწიო ამხანა-
გებს.

— დაწევა იქით იყოს.. რომ აიღონ
და გამრიცხონ, მერე? ახლა, ხომ იცი,
პატარა მიზეზიც კმარა...

— ეგეც მართალია.

— ძია ნიკო, რა უცნაური დამთხ-
ვევაა! სწორედ შარშან ამ დროსაც აქ
ვიყავი... აგერ, ამ აივანზე ვიჯექი და
ვსაუბრობდით... მაშინ შატბია, დაახ-
ლოებით, სამიოდე თვის წასული იყო,
ახლა კი წელიწადი და სამი თვე უს-
რულდება.

— წელიწადზე მეტი კი გასულა,
მაგრამ...

— არც ისე მალე, არა?

—რას ამბობ, გასული წელიწადი,
ბარე ათი წლის ტვირთად მაწევს! —
ეს ისე თქვა ნიკომ, მარტო კილოზედ
შეატყობდით, რაც ომის ამ ერთ წე-
ლიწადში გადაეტანა.

— მჯერა, ძია ნიკო. —სულიკოს რა-
ტომღაც მამა გაახსენდა. ბუღალტრი-
საგან რომ მოსალოდნელი არ იყო,
დაწესებულების სხვა თანამშრომლებ-
თან ერთად, მიბაძვით თუ წაქეზებით,
მანაც თოხს მოჰკიდა ხელი და, მცხეთის
ახლოს, საზიაროდ აღებულ მიწის ნაკ-
ვეთზე სიმინდის ყანა ააშრიალა. ყოველ
შაბათ-კვირას მისთვის [illegible]
საზრუნავი არ არსებობდა, [illegible]
მინდის ყანის მოვლა-პატრონობა იყო.

— მეშახტეების შრომას, თავგანწირვას,
ჩვენი გასაჭირი სად შეედრება, მაგრამ..

— რაზე ამბობ,— ნიკომ ცერად გა-
დახედა სულიკოს. მის სიტყვიერ ფიცს
არ ენდო, ნამდვილი აზრის ამოკითხვა
თვალებში სცადა.

— მამაჩემი გამახსენდა. კაცს ხელში
კალმისა და საანგარიშო ჩოთქის მეტი
რომ არაფერი სჭერია, ახლა წარმოგიდ-
გენია, როგორ ემძიმებოდა თოხი, არა?..

— ეგ მართალია, მაგრამ იმასაც გა-
აჩნია, რას წერ კალმით! რომელი თოხი
იქნებოდა ილია ჭავჭავაძის კალამზე
უფრო მძიმე?

ამის გაგონებაზე სულიკომ ერთი
უეცრად, ანგარიშმიუცემლად გადაიხარ-
ხარა. მასპინძელმა კი ოდნავ შესამჩნე-
ვად გაიღიმა.

— ძია ნიკო, არ გეწყინოს, მაგრამ...
გესმის რა თქვი?

— რა ვთქვი, ბიჭო... ისეთი?!

— რა და... მაგ ნათქვამზე, მოწონე-
ბის ნიშნად, ალბათ, ილიასაც კი მოე-
რეოდა ღიმილი. მეტი რა გითხრა.

— კარგი ერთი, ნუ ხარ, სულიკო.
ეშმაკის ფეხი.

დიდი ხანია, ნიკოს გული ასე არ გა-
დაუყოლებია სასიამოვნო საუბარზე.
რომ არაფერზე გესაუბრა, მარტო ამ
აივანზე ყოფნასაც კი შეეძლო, ალბათ,
მოეგვარა სიამოვნება, ირგვლივ ისეთი
მყუდროება სუფევდა და ისეთი ხედი
იშლებოდა აქედან. ახლა, სექტემბრის
მიწურულში, ოდნავ აგრილდა, მაგრამ
გარეთ, მთვარიან ღამეში ყოფნა თითქო
კიდევ უფრო სასიამოვნოც იყო. მარ-
თალია, როგორც ახლა ყველას პირზე
ეკერა — ირგვლივ დენთის სუნი იდგა,
მაგრამ ეს ღამე, ერთი შეხედვით,
არაფრით არ განსხვავდებოდა სექტემ-
ბრის იმ მშვიდობიანი ღამეებისაგან,
რომლებიც არაბიძის მეხსიერებას აქა-
მდე შემორჩენოდა. ისევ ის ნაცნობი

მყუდროება, ისევ ის მთვარე, ისევ ის სანახაობანი ცის საიდუმლოებათა, ისევ ის ნაცნობი ხმები ბალაბულახში მიმალულ მწერთა, ისევ ის საამო სუნი კეცით ნაკვერცხლებს მიფიცხებული ჭადისა, ახლა, ამ წუთშიაც, საზაფხულო სამზადიდან აივნამდეც რომ აღწევდა და... სულ სხვა ფიქრები, სულ სხვა განცდები, სულ სხვა ჭირი.

ღმერთი კი არა, ქვეყანაზე სულაც რომ არაფერი გწამდეს, ასეთ წუთებში იდუმალ ცისკენ ხელაპყრობილი შესთხოვ განგებას ნსნასა და შველას. მაგრამ რამდენადაც უფრო გჯერა ამგვარი ხვეწნისა, იმდენად და იქნებ უფრო მეტადაც გეღიმება საკუთარ გულუბრყვილობაზე, თუ უმწეობაზე. ლოცვა, ისიც მხურვალე, ალბათ, საამო თვლემას გავს. მთვლემარის დამორჩილება კი რაოდენ უფრო იოლია ფხიზელზე.

ასმათმა ახალი გამომცხვარი, სწორედ სავსე მთვარის ხელა ჭადები ამოიტანა და მაგიდის კუთხეში ერთმანეთზე დააწყო, მალე რომ არ გაციებულიყო.

— დეიდა ასმათ.

— რა, შვილო? — უმალ მოალერსეებით მიუბრუნდა ასმათი სულიკოს.

— რა და... ქართულ სტუმარ-მასპინძლობაში ყველაფერი მომწონს, გარდა ერთი რამისა.

— „ერთს“ კიდევ არა უშავს.

— გააჩნია. —ჩაერია ნიკო.

— სწორედ, სწორედ, ძია ნიკო! ქალი, დიასახლისი, სუფრას მაშინ მიუჯდება ხოლმე, როცა მამაკაცები სჯაბაასს, ოხუნჯობას, ქვეყნის ამბებზე კამათს, ერთი სიტყვით, გონების საზრდოს მორჩებიან და კუჭისას მიუბრუნდებიან. როგორ ფიქრობთ, ეს არ აღარიბებს და არ აკნინებს ქალის ინტელექტს? წინათ, როგორც ევროპულ, ისე ქართულ სალონებში სწორედ მამაკაცებთან სჯაბაასსა და მძაფრ პოლემიკაში არ იწრთობოდა და ყალიბდებოდა ქალის გონება და არ ფართოვდებოდა თვალთახედვის არე.

— მართალია, მაგრამ... ჯერ ერთი, ჩემო სულიკო, რაც თქვი, ეგ ყველა მამაკაცს არ ესმის. გარდა ამისა, რასაც ახლა მამაკაცები ლაპარაკობენ, ქალს შეიძლება ყველაფერი [illegible] და, რაც მთავარია, გამკეთებელი კიდევაც რომ გყავდეს, ისე ვიი გაგიკეთებს რამეს, როგორც შენ ბენიანებისა და საპატიო სტუმრისათვის მოიწადინებ.

— მგონია, დავმარცხდით, ა? — სულიკომ გამომწვევი ღიმილით გადახედა ნიკოს.

— ქალთან გამარჯვება ძნელია! — დინჯად შენიშნა ნიკომ.

როცა ასმათმა ღარიბული სუფრა გაწყო, თვითონაც მიუჯდა მაგიდას, გამხდარ ყბებზე ხელი ისე აისვა, თითქო დაღლილობა შურის ლაქასავით უნდა მოიცილოსო; და მართლაც ხელის ამ ერთი ჩვეული მოძრაობის შემდეგ ისე გამოცოცხლდა, სულიკოსაც გაუკვირდა. ის აქამდე თვალს არ აცილებდა ასმათს. მისი სწორი ნაკვთების პროპორციები, სილამაზე (წლებსაც კი ჯერ თავისი დაღი რომ ვერ დაემჩნია) იდუმალ აფიქრებინებდა შემოქმედს, რა გამოსაძერწი სახე აქვსო; მაგრამ მის გამოსაძერწად სულიკო საკუთარ ხელს, თვალს და ნიჭს კი არა, ალბათ, როდენის მარჯვენასაც ვერ ენდობოდა აგრე ადვილად.

არა მარტო ამ მხრივ, სულიკო როგორც ასმათს, ისე ნიკოს, ეს რამდენიმე დღეა იდუმალ და გულმოდგინედ აკვირდებოდა, აკვირდებოდა და მათს გამოხედვაში ხმამაღლა ნათქვამ სიტყვაში, გამოთქმაში, დამოკიდებულებაში ცდილობდა ამოეკითხა ფარული გულისნადები, უთქმელი საყვედური, შური, თუ გულისწყრომა—რატომ სულიკოც ფრონტზე არ არისო. მაგრამ ამაოდ. ასეთ რამეს მათ ვერ ატყობდა. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა — ალბათ იმიტომ... თუ შვილი უყვართ, სამაგიეროდ ზოგიერთებივით ადამიანი არა სძულთო.

სულიკოს ჩამოსვლას მეშახტეთა ქალაქში ორი მიზანი ასულდგმულებდა.

ერთი აშკარა — ტანსაცმლის რაც შეიძლებოდა ხელსაყრელად გადაცვალა სურსათზე, მეორე, ფარული; შატბიას ნამუშევრები როგორმე ხელთ ეგდო და თბილისში წაეღო. პირველი მიზნის წარმატებით დაგვირგვინებამ, მეორის განხორციელების საღერღელი კიდევ უფრო აუშალა. გამგზავრების წინადღეს, როცა ასმათი შინ დაიმარტოხელა, სთხოვა ეჩვენებია შატბიას მიერ გამოძერწილი, ხესა თუ ქვაში გამოკვეთილი თავები, სულიკოს ამ წადილმა ასმათი გულუბრყვილოდ გაახარა. სტუმრის მისაღებ ოთახში ერთი დიდი სალტეებშეჭედილი სკივრი იდგა. ზედ პატარა ნოხი იყო გადაფარებული. სკივრის ერთი თავი სულიკოს დახმარებით ძლივს გამოსწია ასმათმა. ბოქლომი სწორედ კედლისაკენ მიბრუნებულ მხარეს ედო სკივრს. როცა ასმათმა ამ ვებერთელა ყუთს თავი ახადა, ოთახში უმალ ნაფტალინის სუნი დატრიალდა. სკივრის ფსკერი ახალი დათოვლილივით იყო გადათეთრებული.

— დეიდა ასმათ, ეს რა გიქნია?

ასმათმა, ცოტა არ იყოს, შიშით შეხედა სულიკოს.

— რა მიქნია?

— ვინ ინახავს ქანდაკებებს ნაფტალინში?

— აბა... ჭიამ რომ დახრას?

სულიკო თავის გაოცებას, როგორც შეეძლო, აზვიადებდა, თუმცა არც გასაოცებელი და არც სასაყვედურო ასმათის საქციელში არაფერი იყო. ასმათმა არ იცოდა ხის ქანდაკებების შენახვის წესი და, როგორც ჭკუამ გაუჭრა, ისე მოიქცა. მართალია, ჭიის კვალი ქანდაკებად ქცეულ ხის ნაჭერს არ აჩნდა, მაგრამ როგორ შეიძლება ძველ ოჯახში რაიმე ნივთს — მაგიდას, საჭმლისა და ტანსაცმლის კარადას, თუ ტახტს ჭია არ ჰყავდეს „შეფარებული“, ჰო-და, რა ძნელია იქიდან ხის ქანდაკებებსაც დაუპატიჟებლად ეწვიოს. — ფიქრობდა ასმათი.

სულიკომ ქანდაკებები გრძელ სასადილო მაგიდაზე გაამწკრივა და დიდხანს, თითქმის მთელი ნახევარი დღე მათ ტრფიალში იყო. ზოგჯერ — ზოგჯერ — ვინც განსაკუთრებული გულმოდგინეობით ჩაჰკირკიტებდა. ხაა ერთ მხარეს შეაბრუნებდა, ხან მეორე მხარეს, განათებას უცვლიდა; ამ ქანდაკებებში სულიკოს ხიბლავდა რაღაც გამოუცნობი სიღრმე, რითაც გამოირჩეოდა შატბიას თითქმის ყველა ნამუშევარი. მის ქანდაკებებს ძალას ანიჭებდა შინაგანი სიმართლე და ეს გაჯერებდა, რომ იგი არ უგულველყოფდა გარეგან მსგავსებასაც. არც ერთი მათგანისათვის არ შეიძლებოდა გულგრილად ცქერა. ისინი თვითონ აღძრავდნენ თქვენში გარკვეულ ემოციებს და შეუმჩნევლად მყარდებოდა რაღაც უცნაური, ინტიმური კონტაქტი უსულო საგანთან. საკვირველი ისიც იყო, რომ ამგვარ აღქმაში სულაც არ უშლიდა ხელს შნახველს ის გარემოება, რომ ფორმის მხრივ ეს ნამუშევრები არ იყო კლასიკურად დახვეწილი, მაგრამ არც პრიმიტიულის შთაბეჭდილებას სტოვებდა; ფორმის კლასიკური სრულყოფილების სამაგიეროდ მასში იყო დიდი ალღოთი ნაკარნახევი მხატვრული სისადავე. ეს გარემოებაც საიდუმლოებად რჩებოდა სულიკოსათვის, რადგან მას კვლავაც სჯეროდა, რომ ოსტატობის მიღწევა მხოლოდ ხელის გავარჯიშებით, სათანადო ხერხების დაუფლებითაა შესაძლებელი, შატბიას ეს „სტიქიური ოსტატობა“ კი რაღა განგებას უნდა მიეწეროსო. ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა თავის თავს იგი: რაზედაც ცნობილი ოსტატები თავს იმტვრევენ და წლობით ოფლს ღვრიან, შატბიას ასე ძალდაუტანებლად, სადად და მარჯვედ აქვს მიღწეული ქანდაკების ცალკეული ნაკვთების გადმოცემისას.

მართალია, აკადემიურ ნახატს, აკადემიური პედანტობით შესრულებულ ნაწარმოებს, იქნებოდა ის ქანდაკება, თუ ფერწერა, მეტი გასავალი ჰქონდა, მაგრამ სულიკო, საბედნიეროდ, ყოველთვის ადვილად ანსხვავებდა ხელოვნების ნაწარმოებს ხელოსნურისაგან. მარ-

თალია, თვითონ ტიპიური ხელოსანი იყო და გულის სიღრმეში რახანია გადაეწყვიტა, რომ ქანდაკება მისი საქმე არ იყო, ნიჭი აშკარად არ ჰქონდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, სწორედ ეს იყო მისი წარმატების საიდუმლოება. მისი არც არავის შურდა და არც წინააღმდეგობებს აწყდებოდა. სხვა თუ არაფერი, ეს საქმე ლუდის კასრთან დგომას მაინც სჯობიაო; და ის ისეთი კაცი იყო, რა საქმისათვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი „აქაფება“ არაფერში გაუჭირდებოდა.

საკუთარი გამოცდილებით და დაკვირვებით უკვე იცოდა — უმრავლესობას ავისა და კარგის გარჩევის უნარი არ შესწევს, ქებაც უნიჭოებისა უფრო ხშირად ისმის, ვიდრე ნიჭიერებისა, რადგან უნიჭო „უნავოდ“ არ გამოდის ბრძოლის ასპარეზზე და, ალბათ, ნოეს კიდობანშიაც არ ისხდა იმდენი ჯურის ცხოველი, რამდენი მლიქვნელიც ასეთების ნავში ზის ხოლმე. ხშირად სწორედ ასეთი მენავეები იმარჯვებენ, გამარჯვებულებს კი, როგორც ძველად უთქვამთ... არ ასამართლებენო. ასე კვებავდა და ელოლიავებოდა შომავლის იმედებს ხელოვნების სარბიელზე გამოსული კიდევ ერთი ხელოსანი, პროფესორების საყვარელი სტუდენტი, მეგობრების სული და გული, თავქარიანი გოგონების ჩუმი ოხვრის საბაბი.

ასმათი ერთხანს შორიდან უთვალთვალებდა შატბიას ნამუშევრების კირკიტით გატაცებულ სტუმარს. თქმით ვერაფერი ეთქვა, ხელი არ შევუშალო. მერე იძულებული იყო საოჯახო საქმისათვისაც მიეხედა.

ბოლოს, როგორც იყო, მოსწყვიტა თვალი სულიკომ შატბიას ნამუშევრებს და ეზოში ჩავიდა. ცაცხვის ძირას, საზაფხულო სამზადის ახლოს ასმათი ქვის სკამზე ჩამომჯდარიყო, კალთა პარკი ლობიოთი ჰქონდა სავსე, ლობიოს პარკს თავსა და ბოლოდან ძაფს მარჯვედ აცლიდა, მერე სამად დატეხილს იქვე, ხის მომცრო გობზე ჰყრიდა. სულიკო უხმოდ მიუჯდა გვერდით ასმათს. ეტყობოდა, ჯერ ისევ შატბიას ნამუშევრებით აღძრული შთაბეჭდილებისაგან თავი ვერ დაეღწია. ერთი ბღუჯა ლობიოს პარკი აიღო და საკმაოდ მარჯვედ შეუდგა მის „დამუშავებას“.

— გაჩერდი, ბიჭო. არავინ დაგინახოს... რას იტყვიან, კაცი ლობიოს არჩევსო!

სულიკომ არაფერი უპასუხა. თითქოს სულაც არ ფიქრობდა იმაზე, რასაც აკეთებდა.

უცებ, ერთი წაიხარა ასმათისაკენ და ლოყაზე ფრთხილად აკოცა. ასმათს ცოტა ეოცა ამგვარი საქციელი, მაგრამ თავი ისე მოაჩვენა სტუმარს, თითქო მისი „ცელქობა“ შეიფერა კიდეცო.

— რა მოგეჩვენა, სულიკო, შვილო?

შვილად მოხსენიებამ სულიკო უფრო გაათამამა.

— ერთხელ კოცნა, მე მგონია, არც იკმარებს, დეიდა ასმათ!

— ან ერთხელ რისი გულისათვის...

— შატბიას გულისათვის... ასეთი ნიჭიერი ადამიანის გაჩენისათვის!

სულიკოს სიტყვებზე ასმათი ერთბაშად წამოწითლდა. ასმათს არც უცდია სტუმრისაგან დაეფარა ეს უცნაური აღელვება და სიამოვნება, რაც მისმა სიტყვებმა მოჰგვარეს; მოულოდნელად ახლა ასმათი მობრუნდა სულიკოსაკენ და თითქოს სამაგიეროს უხდისო, ისე მოულოდნელად აკოცა ლოყაზე.

— სხვა, რითი გადაგიხადო.

წუთიერი დუმილი სულიკომ დაარღვია.

— გადახდა იქით იყოს, დეიდა ასმათ, მაგრამ...გახარებით კი შეიძლებოდა ისე გაგეხარებინე...

— რითი, ბიჭო!!

პასუხის უმალ გაცემას სულიკომ ისევ წუთიერი დუმილი ამჯობინა. რა იცოდა, ამ დუმილით რარიგ აორკეცებდა ასმათის ცნობისმოყვარეობას.

— დეიდა ასმათ...—დაიწყო ბოლოს ბორძიკით. სულიკო იღიმებოდა და სათქმელს აყოვნებდა. მისი ღიმილი და ბორძიკი აშკარად მოწმობდა რაღაც

დიდი წადილის არა თუ შესრულების, თვით გამხელის უაზრობასაც კი. თუ ადრე ცნობისმოყვარეობის მეტი აღარაფერი აღუძრავს, ახლა სულიკოს ყოყმანი რაღაც ავად ენიშნა ასმათს; ამ შემთხვევაში მისთვის ალღოს არ უღალატნია. ასმათი ხმაგაკმენდილი იჯდა და სულიკოს სურვილის გამხელის მოლოდინში საქმეს უფრო გატაცებით განაგრძობდა. მის თითებში ახლა ლობიოს პარკს რაღაც სულ სხვაგვარად გაუდიოდა ტკაცატკუცი.

— დეიდა ასმათ... რა იქნება, შატბიას ზოგიერთი ნამუშევარი რომ მათხოვო. ცოტა ხანს მექნება თბილისში და მერე ისევ ისე, როგორც გამატანთ, ხელუხლებელს ჩაგაბარებთ.

უარესს, ალბათ, ასმათის ყური ვერაფერს გაიგონებდა. ერთხანს ორივენი სდუმდნენ. ეს იყო ყველაზე უარესი წამი ასმათისათვის, რაც სულიკო ჩამოვიდა.

— სულიკო, შვილო... კი მაგრამ მაქვს მერე ამის უფლება?

— რატომაც არა, დეიდა ასმათ. შვილიც შენია და მისი ნამუშევრებიც...

ასმათმა რამდენიმეჯერ მოურიდებლად მოითქვა სული, უფრო დამშვიდებით რომ ეპასუხა:

— რა ვუყოთ, რომ შვილია... რასაც მთხოვ, ის შატბიას ნახელავია, მისი ქონებაა! თანაც, ჩემს ახლოს რომ მეგულება, რაღაც იმედია. ის კი არა, სკივრის გახსნაც არ მინდოდა, მაგრამ... რაც შემეძლო, იმაზე ხომ არ მითქვამს უარი...

— რა ვიცი, ასე მგონია... არც შატბია გაწყრებოდა.

— ვინ იცის... თუ გგონია, ყველას ანახვებდა! არ გახსოვს, რა თვალით შემოგვხედა. მის უკითხავად, შარშან, თქვენ რომ გამოგიჩინეთ? — ასმათი თან ამას ლაპარაკობდა, თან ლობიოს პარკს ატკაცუნებდა, თან წუთს იხელთებდა თუ არა, სულიკოსაც გადახედავდა, მაგრამ ისე კი, რომ თვალს არ უსწორებდა. თვითონაც უხერხულად გრძნობდა თავს უარის გამო და სულიკოზედაც გულმოსული იყო, შატბიას ნამუშევრები წასაღებად როგორ მთხოვა, როგორ გამიბედაო. ვინ იცის, მორწმუნე ისე [illegible] თხილდება, როგორც მე იმ ბიჭის ნამუშევრებს დავკანკალებო. — სულიკო, აგერ გათავდება ეს დასაქცევი ომი, ჩემი ბიჭიც ღვთის წყალობით დაბრუნდება და...

რახან სულიკოს განზრახვა ჩაეშალა, ახლა იმას-ღა ცდილობდა, როგორ გამართლებია თავისი „გულუბრყვილო" სურვილი; მაგრამ რამდენიც არ უნდა ერწმუნებინა თავის კეთილ ზრახვებში სტუმარს მასპინძელი, ახლა აგრე იოლად დასაჯერებელი აღარ იყო მისი სიტყვა. შატბიას თუნდაც ერთი ნამუშევრის ხელში ჩაგდების იმედს სულიკო მაინც არ კარგავდა და ახლა ამ სურვილს გულის სიღრმეში ინახავდა. ერთი გზა კიდევ იყო დარჩენილი. მეორე დღეს სწორედ ამ „გზით" გაეშურა ნაციხარის გორაკისაკენ. და ნიკოსაც „სწორედ" იმ დროს შეხვდა გზაზე, როცა ის შახტიდან შინისაკენ ეშურებოდა. მართალია, ნიკო დაღლილი იყო, მაგრამ არც იმდენად, რომ სტუმრისათვის ხათრი გაეტეხა, ნაციხარის გორაკისაკენ წაყოლაზე უარი ეთქვა.

— ერთი შორიდან მაინც გადამახედეცალი თვალით, სად ჩამოფრენილა ის „ანგელოზი" ბარდღა-ბიძინა.

— მაგისთვის ღირს, ბიჭო, ახლა გორაკზე ასვლა?

— ვხუმრობ. მაგისათვის გორაკზე ასვლა კი არა, განზე ერთი ნაბიჯის გადადგმაც დამეზარებოდა. ისე... მინდა ერთხელ კიდევ გადმოვხედო აქაურობას!... ვინ იცის, კიდევ როდის მომიწევს აქეთ ჩამოსვლა.

— რომ იცოდე, სულიკო, როგორ შემაძულა ეგ გორა და მანდაურობა ჯერ ბარდღას „სტუმრობამ", მერე... ის უბედური ხომ სწორედ იმ ადგილზე მიაბრძანეს დასახვრეტად, სადაც პარაშუტით დაშვებულა...

— ნიკო ბიძია, მახსოვს, მანდ, გორაზე რაღაც ციხის კედლის ნანგრევი რომაა, იმ ნანგრევის ერთ ქვაში...

— შატბიას ნაქანდაკარი? შენ ეგ თქვი! ნეტავი კი ის მანდ არ იყოს და, თუ გინდა, მომკლა.

— გუშინ დეიდა ასმათმა გითხრა რამე, ძია ნიკო?

არაბიძე ბილიკზე შეჩერდა, სულიკოს შეხედა.

— რა უნდა ეთქვა?

— რა და... იმ სკივრში გადანახული შატბიას ნამუშევრები რომ მაჩვენა, რაღაც ეშმაკად ვუთხარი, ზოგიერთს ცოტახნით თბილისში ხომ არ გამატან-მეთქი!... სიტყვა არ დამიბოლოვებია...

— ეგ რავა უთხარი!.. თავის საქორწილო ბეჭედს მოგცემს და შატბიას რომელიმე ქანდაკებიდან უცაბედად ჩამოტეხილ ნამცეცსაც არ დაგანებებს!

გზა განაგრძეს. სულიკო სიცილით, ფეხდაფეხ მიჰყვებოდა არაბიძეს. სტუმრის სიცილმა კიდევ უფრო მეტად აუშალა ნიკოს ამ თემაზე ლაპარაკის საღერღელი. გულდამწვარ მშობელს როგორღაც შვებას გვრიდა იგი. მისთვის ახლა გულის გადაყოლება, იმ ფარული დარდის წუთიერად დავიწყებაც კი ძალიან სჭირდა; გულის სიღრმეში მაინც ყოველთვის ცდილობდა, საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს სულაც არ იყო საჭირო გულდამძიმებული, შუბლშეჭმუხვნილი სიარული. ამით მაინც არაფერი კეთდებოდა, არაფერი იცვლებოდა.

— არა, მე ცუდი განზრახვა ხომ არ მქონია!... მაგრამ ქალი მაინც ქალია, დედა მაინც დედაა... შენ კი ბოლომდე გაგიმხელ ჩემს წადილს, ძია ნიკო.

არაბიძე ისევ შემობრუნდა, ისევ გადმოხედა სულიკოს და გზა განაგრძო.

— რას გამიმხელ?—ნიკომ ეს ისე თქვა, თითქოს სულიკოს კი არა, სხვას ვისმე წინწასწრებულს ეკითხებაო.

— რას და... თუ ასმათს იმ ნამუშევრების განათხოვრება ეძნელება, შენ დამეხმარე! ნანგრევში დატანებული, სახედ გამოკვეთილი ქვა გამოვიღოთ, მე თბილისში წავიღებ და.. უახლოესი გამოფენისათვის, სპეციალურ კომისიას წარვუდგენ, როგორც ფრონტელის ნამუშევარს!

ნიკო ისევ მობრუნდა. სულიკოს კარგად დააკვირდა, თითქო უნდა დაუმოწმოს — ეგ რა კარგი აზრი მოგსვლიაო; მერე კვლავ განაგრძო გზა. ხელები ახლა ისე შემოეწყო ზურგს უკან, როგორც დაღლილს და ჩაფიქრებულს სჩვევია.

— მერე რას დააწერთ? — ისე იკითხა ნიკომ, სულიკოსაკენ აღარ შემობრუნებულა.

— რა გინდა დავაწეროთ?

— რას აწერენ საერთოდ?

— რას და... გვარს, ნაწარმოების სახელწოდებას...

— მართლა ეწერება?

— ეწერება და, მერე როგორ!... ძია ნიკო, მოიხედე!—ნიკომ მოიხედა თუ არა, სულიკომ ჰაერში ამართული ხელით იწყო „წერა“ და „დაწერილის“ ხმამაღლა, თანმიმდევრობით კითხვა,— „შა-ტ-ბი-ა ა-რა-ბი-ძე. მოხუცის თავი“.

ნიკომ კმაყოფილებით ჩაიცინა და გზა განაგრძო, მაგრამ იმავე წამს ელდანაცემივით შესდგა. იმ ადგილს, სადაც შეჩერდნენ, მარცხნიდან შემოუარა.

— რა იყო?! — იკითხა სულიკომ.

— მანდ... მარხია.

— ვინ?! ბარდღა-ბიძინა?

მიწის ხრიოკი ზედაპირი ოდნავ შესამჩნევად იყო ოთხკუთხედად ჩაწეული. მიწისაგან პირისა თითქმის უკვე აღგვილმა საფლავმა ერთი წუთით სულიკოს ყურადღებაც მიიქცია. მაგრამ ამ შემთხვევის გამო ფილოსოფიურ განსჯაში დრო არ დაუკარგავს.

— რაც მოგივა დავითაო... ხომ გაგიგონია, ძია ნიკო! — სულიკომ ხელი ჩაიქნია და პირველმა განაგრძო გზა გორაკისაკენ. ახლა ნიკო მიჰყვებოდა მას რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე, თანაც ისე ჩაფიქრებული და დანაღვლიანებული გამოიყურებოდა, გაგიკვირდებოდათ, ასე ერთ წამში რამ შეუცვალა ამ კაცს გუნება-განწყობილებაო. ნუთუ შეუძლია ერთი ვიღაც თავზეხელაღებულის უსახელო აღსასრულს ამდენი მწუხარების გამოწვევაო. მაგრამ ეს სულაც არ იყო არაბიძის უეცარი დანაღვლიანების მიზეზი. ბოლო დროს საფლავის დანახვა და სიკვდილის გაგონება მას უცნაურად ზარავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ ეროსთავი

* * *

გაჩნდა ჩრდილების ხეივანი
ქვაფენილებზე.
ხეებმა ერთხმად დაიხედეს
თავის ჩრდილებზე.

და იგრძნეს ძალა სიცოცხლისა
გასაოცარი,
ჩრდილების მოსვლა გაზაფხულის
მოსვლის დროც არი.

დგახარ ქუჩაში, სიხარულით
გული გევსება,
გაქვს შენი ჩრდილი და მზე მაღლით
გეალერსება;

და გრძნობ სიცოცხლეს ტოტებით და
გულით გამთბარით,
არარაობად ვეღარ გაქცევს
ახლა ზამთარი;

ჩრდილს ვერ წაგართმევს, ვეღარ
წაგშლის ამ ქვეყანაზე,
ვეღარ მიგაგდებს შლეგი ქარის
ანაბარაზე.

დგახარ ქუჩაში და ჩრდილები
მიწას კოცნიან,
ხეო, ეს მზე და გაზაფხული
მომილოცნია!

უფროს არიან

„ეკლესიანი ხორცთანი უფროს არიან
წინაშე ღმრთისა, ვიდრე ეკლესიანი
ქვათანი".
ქართლის ცხოვრება
ჯუანშერი

ვინ ჩამოსთვალოს და ენით ვინ სთქვას,
რამდენს გავუძლეთ ჟამთა სვლის
რისხვას და დროს ზარიანს,
ბევრი ემსხვერპლა ტყვიას და ისარს,
ბევრი დაინგრა ტაძარი ქვისა,
მაგრამ გმირები წინაშე ღვთისა
უფროს არიან.

უფროს არიან საქმენი მათნი,
ვიდრე ათეულ ტაძართა მადლი,
ვიდრე სიმტკიცე ათთაგან ათი
ციხის კედელის,
უკვდავ არიან ხალხის წინაშე
მათი სისხლი და ცრემლთა სიმლაშე,
როგორც ზღვის ტალღა დროთა სილაში
დაუშრეტელი.

* * *

პირიქითისკენ,
გზაზე შატილის,
ფიქლის კლდეებში
ხევი ჩატირის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

არღუნი ხევ-ხევ
    კალაპოტს ივსებს,
და მწვანე მთებზე
    დაწოლილ ნისლებს
თუ უქარობა
    აღარ ეღირსათ,
წამი არა აქვთ
    მოსვენებისა.
პირიქითისკენ,
    გზაზე შატილის,
ფიქლის კლდეებში
    ხევი ჩატირის,
სიცოცხლესავით
    მოუსვენარი
თარეშობს
    ქარი.

მივალ, მიმყვება

მივალ, მიმყვება გრილი ნიავი
    სერით სერამდი,
ველი ცვრიანი, გვირილიანი,
    ველი ფერადი,
ორღობეების ბროწეული,
    ბარდი მაყვალის
და სიყრმის წლების ოცეული,
    როგორც მაყარი.
საგზლად ნაჟური წყალი მიმაქვს
    მთების ზვიადის,
ქართული სიტყვის მარილი და
    ლექსის ხმიადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიღოვან ნარიმანიძე

დაულეველი და უსასრულო

ეს მე მოვდივარ,
გაზაფხულის ლურჯ სამოსელით,
გაზაფხულის შხაპუნა წვიმებით
გახსენებ ჩემს თავს...
იარე წვიმაში,
იარე,
დასველდი წვიმით!..
წვიმა მოვიდა თქეშად,
ეს მე ვარ!..

შემოდგომის მზე,
ჩამავალი შემოდგომის მზე,
გამოვაგზავნე შენს სანახავად.
ტყეების თავზე მთვარიან ღამით,
ლურჯი ფრინველის გადაქროლება,
ეს მე ვაწუხებ შენს სევდიან სულს...
შენ ჩაუარე არაგვიანს მაშინ,
როდესაც
ადიდებული ტალღით მოქშინავს,
იმ ღრიანცელში მე ვბობოქრობ,
მეც წილი მიდევს
მდინარის დიად აღტაცებაში...
თუ ქარმა ნაზად შემოაღოს შენი
სარკმელი,
შუაღამისას მე მოვდივარ შენს
სასთუმალთან,
თბილი სიზმრებით შენთანა ვარ
განთიადამდე!
ყაყაჩოების სიწითლე ჩემი გაცინებაა,
ველთა სიმწვანე სიცოცხლე არის,
დაულეველი და უსასრულო.

მინდვრის ბალახებო!

დღეა თუ ღამეა,
მზეა თუ ქარია,
მინდვრის ბალახებო, ველებზე თქვენი
ბიბინი მიყვარს...
უბრალოებავ, ჩემს სხეულში ბაღნარად
იქეც,
რომ ვიგრძნო სრული ბედნიერება!..
ეს ცაც ჩემია,
ეს მიწაც ჩემი!
ამას ხმამაღლა ვერ ვიყვირებ
და ეს მაწუხებს,
გინდაც ვიყვირო, ვინ დამიჯერებს?
ვიცი, ოდესღაც
ის უჩემოდ დარჩება ისევ,
ახალი კაცი მას დაიჩემებს!..

და რომ ატოკებს ვერხვიანი ტოტს,
ქარებიც ასე რომ მიმოდიან,
წვიმა ასე რომ მეღვრება თმებზე,
თითქოს ლოდი ვარ და ვერ ვხედავ,
თითქოს ლოდი ვარ!..

დღეა, თუ ღამეა,
მზეა, თუ ღამეა,
მინდვრის ბალახებო,
ველებზე თქვენი ბიბინი მიყვარს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ ცხოვრობს მაღლა?!

ვინ ცხოვრობს მაღლა
მეგობარი სიმარტოვისა,
იმ ნისლიან და ავდრიან მთებში,
ვინ ცხოვრობს მაღლა, იმ სიშორეზე,
მეგობარი ფიქრის და რწმენის,
ლურჯი კლდეების მეგობარი,
ვინ ცხოვრობს მაღლა?!.
ვისი სახლია, შორს მწვერვალზე
აკვამლებული,
რაზე ოცნებობს,
ვინ არის იგი?..
ვიწრო ბილიკი ეშვება ძირს
და უფრო მეტად,
ვიწრო ბილიკი სადღაც, ზევით,
მთებისკენ მიდის...
ვინ ცხოვრობს მაღლა,
მეგობარი სიმარტოვისა,
იმ ნისლიან და მაღალ მთებში,
ვინ ცხოვრობს ნეტავ?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ დოჩანაშვილი

ხელოვნების კაცი

მოთხრობა

საწერ მაგიდასთან ახალგაზრდა ფილოლოგი ზის და მუშაობს. მისი დისერტაციის თემაა „კნინობითი ფორმების მაწარმოებელი სუფიქსების ზოგიერთი თავისებურება“. ხანდახან იგი ოთახს მიმოავლებს თვალს და ყველაფერს, რასაც კი შეხედავს, კნინობით სახელს არქმევს: სკამუკა, წიგნაკი, კატუნა, ცოლიკო — ახალგაზრდა მეცნიერს უყვარს თავისი საქმე.

სავარძელში მისი ლამაზი ცოლი ზის; უნებურად ჩაფიქრებულა და რაღაც წერტილს თვალს ვეღარ აშორებს. იგი ძალიან ლამაზი, მაგრამ, ამასთანავე, საოცრად უსიცოცხლო ქალია.

ხანდახან ქუჩაში ტრამვაი ჩაივლის და ფანჯრის მინებს აზრიალებს.

ახალგაზრდა კაცი ზრდილობიანად და პატივისცემით ექცევა ყველას და სხვებისგანაც ამასვე მოითხოვს. ცოლთანაც კი თავდაჭერილია. აი, ახლაც იგი თავს გვერდზე აბრუნებს და მეუღლეს ეკითხება:

— რომელი საათია. გეთაყვა?

— ახლა? ხუთს ათი წუთი უკლია.

— გმადლობთ, ძვირფასო.

საწერი მაგიდის ზემოთ, კედელზე, დიდი ესპანელი მწერლის სურათი ჰკიდია. ახალგაზრდა კაცი ხანდახან თვალს მოჰკრავს სურათს და მერე დიდხანს შესცქერის მას. ამ სახის დანახვისას ავიწყდება ყოველგვარი კნინობითი სახელი; პირიქით, იგი ფიქრობს საოცრად ამაღლებულ ამბებზე, ამ დიდი ადამიანის გონებას რომ შეუქმნია.

ბუნებრივად ახსენდება ყველაფერი, რაც ამ ნაწარმოებში თავის დროზე მოეწონა. რატომღაც გუნება უფუჭდება და ისევ თავის კნინობით სუფიქსებს ჩაჰკირკიტებს. ჩუმად იმეორებს: წალდი—წალდუნა, ჩიტი—ჩიტუნა, კაცი—კაცუნა და უცებ პათოსით ამბობს — ნეტავი შენ, ლამანჩელო რაინდო...

— ახლა? ექვსის ნახევარია. — ეუბნება ცოლი.

— გმადლობთ, ძვირფასო, — პასუხობს ქმარი, — იგი უკვე ღელავს.

დღეს საღამოს იგი ხალხმრავალი აუდიტორიის წინაშე უნდა გამოვიდეს. „მოყვარული კონფერანსიე“ — ეს არის მისი მეორე მოწოდება. „ეს მცირე, მაგრამ მაინც ამაფორიაქებელი ხელოვნება“, როგორც თვითონ სიყვარულით უწოდებს.

მაშ ასე, უკვე ექვსის ნახევარია. ორსაათნახევრის შემდეგ იგი ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზში ხალხის წინაშე წარსდგება და დამაჯერებლად იტყვის: „ვიწყებთ... კონცერტს“. და მართლაც დაიწყება კონცერტი, დარბაზში მყოფნი გაერთობიან და დაისვენებენ — რა უნდა იყოს ამაზე კეთილშობილი საქმე.

ახალგაზრდა კაცი მხნედ წამოდგება და ცოლს ეკითხება: სადილი მზადაა?

— კი.

ცოლი ზანტად. მაგრამ შეუმჩნევლად ამოძრავებს ყბებს, მისი მსუქანი ქმარი კი თავშეკავებულად იციცქნება — სცენაზე მსუბუქად უნდა გრძნობდეს თავს.

უკვე ექვსი საათია, ახალგაზრდა მეცნიერი ღელავს. ასე გაგრძელდება რვა საათამდე, სანამ არ წარმოსთქვამს პირველ წინადადებას: „ვიწყებთ... კონცერტს!“ ამის თქმა და მისი დამშვიდე-

ბა ერთი იქნება. მერე ვიღაც იმღერებს. ვიღაცა იცეკვებს, დაუკრავს და მეორე განყოფილებაში ისე თავისუფლად მოიქცევა, თითქოს უდაბნოში მარტოდმარტო იყოს.

— დღეს კონცერტი გაქვს, მამია? — ეკითხება ცოლი.

— ჰო, — თითქოსდა გულგრილად პასუხობს ქმარი, — რა იყო?

— არაფერი.

ქალი ჩუმადაა; მამია მოთმინებით იცდის, რას ეტყვის ცოლი.

— თავი მტკივა, კონცერტზე ვერ წამოვალ.

— როგორც გინდა, ძვირფასო...

სწყინს, მაგრამ არ იმჩნევს. „ძვირფასოც“ კი უწოდა. წყენა არ უნდა დაეტყოს, „კონფერანსიე მსახიობიც არის“. კონფერანსიეს არ უნდა ეტყობოდეს, რასაც ფიქრობს, ტყუილს ამბობს თუ მართალს. იქნება დარბაზში ვინმე უწესო გამოერიოს და იქიდან რამე შეუძახოს. წყენა რომ შეეტყოს, ხომ დაიღუპა კაცი! პირიქით, არც ერთი ნაკვთი არ უნდა შეუტოკდეს სახეზე, მარმარილოს ქანდაკებას უნდა ჰგავდეს ასეთ დროს კარგი კონფერანსიე!

თვალდახუჭული მამია სავარძელში გადაწოლილა, ფეხები გაუჭიმავს და ხელები ძირს აქვს ჩამოყრილი, — ისვენებს.

ცოლს სუფრა აულაგებია, ისიც სავარძელში ზის და თვალი რაღაცისათვის გაუშტერებია.

მამია ისვენებს და ფიქრობს.

გული, გული რომ არ აწუხებდეს! სულ ამ ნაადრევი სიმსუქნის ბრალია. ჯერ ოცდაათი წელიც არ შესრულებია, მაგრამ თავს ერთი-ორჯერ ძალა რომ დაატანოს. გულისცემა მაშინვე გაუხშირდება. ვალიდოლი ჯიბით დააქვს, ზოგიერთი სკეტჩის შესრულების შემდეგ ცუდად ხდება, მაგრამ რას იზამ, ხელოვნება მსხვერპლს ითხოვს. „ხელოვნება“, გუნებაში ამბობს მამია, „რა საოცარი, მრავლისმეტყველი სიტყვაა: ხელოვნება, ხელოვნება“.

უეცრად ცალ თვალს ოდნავ ახელს და თავს იქითკენ ატრიალებს, სადაც დიდი ესპანელის სურათია ჩაკიდული. სურათს მოძებნის თუ არა, ძალაუნებურად ორივე თვალს ახელს და ნაღვლიანად შესცქერის. რაღაც გაუგებარი, სევდიანი გრძნობა ეუფლება. ნეტავი რა აწუხებს? ეს, რა თქმა უნდა, შური არაა. შურზე ფიქრიც კი ზედმეტია. შეიძლება შეგშურდეს მხოლოდ იმისი, ვინც შენზე ოდნავ მაღლა დგას. ეს კი...

ასეა თუ ისე, მამიას გუნება უფუჭდება, მაგრამ კარგად იცის, რომ კონცერტის დაწყებამდე აღელვება გაუვლის.

სარკის წინ თმას ივარცხნის, მერე ელექტროსამართებელს დიდი საშლელივით ისვამს სახეზე.

შვიდი საათისათვის ყველაფერი რიგზეა. ცოლი ისევ გაუნძრევლად ზის.

— წავედი, საყვარელო, — ეუბნება მამია.

ცოლი წამოდგება და უეცრად შეჰკივლებს. ცალ ფეხზე დგას, ლამაზ სახეს მანჭავს და ამბობს: — დამბუჟებია ფეხი.

— ძალიან გტკივა? თუ გინდა, ცოტა ხანს დავრჩები.

— არა, წადი.

— აბა, წავედი... არ გაინტერესებს, როდის დავბრუნდები?

— როგორ არა! როდის დაბრუნდები?

— თორმეტისათვის მოვალ. ფეხი აღარ გტკივა?

— არა.

— წავედი, ძვირფასო.

კონცერტის დაწყებას წუთებიღა აკლია. კულისებში მდგარი სტუდენტები ძალიან ღელავენ, მაგრამ ძალისძალათი იცინიან — ვითომც არაფერი. გამოცდილების მიუხედავად, ყველაზე მეტად ჩვენი მსუქანი კონფერანსიე ღელავს. თავი უკან აქვს გადაწეული. თვალები დაუხუჭავს და ითვლის: თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი... ეს ხერხი მას არ

გამოუგონებია, მაგრამ შესანიშნავად იყენებს. იგი მშვიდდება და თმას მეოთხედ ივარცხნის. მერე პიჯაკს ისწორებს, თავს დაბლა ხრის და იხსენებს იმას, რაც ამშვიდებს და ამხნევებს: „მთავარი კონფერანსიეს პირველი გამოსვლაა. თუ ხალხთან კონტაქტი დავამყარე, კონცერტიც წარმატებით ჩაივლის“.

იგი კულისებში ბოლთას სცემს. ხანდახან უშნოდ გაჩხერილ კიბეს ეჯახება, მაგრამ არ იმჩნევს. რა ენაღვლება, კიბე სუფთაა, ტანსაცმელს არ გაუსვრის, სამაგიეროდ ეს პატარა ტკივილი აფხიზლებს.

„მთავარია, ხალხის არ შეგეშინდეს,— იმშვიდებს იგი თავს, — მთავარია, რომ ბრინჯივით არ დაიბნე... რა მოხდა, რა არის აქ ასაღელვებელი? თუმცა... ამაღელვებელია, ამდენი კაცი არხეინად ზის და მხოლოდ შენ შემოგყურებს. მერე რა მოხდა, მერე რა?“

მოპირდაპირე კუთხეში, სამფეხა სკამზე, მშვიდად მოკალათებულა მეორე კონფერანსიე — სტუდენტი ვახტანგი. მას სიხე გაქვავებია, თვალსაც არ ახამხამებს.

„აი, ნებისყოფა! ნეტავი მაგის ნერვები მომცა, თუმცა მაშინ აღმაფრენა აღარ მექნება“.

ვახტანგს უყურებს და უეცრად სასტიკი ეჭვი გონებას ულრღნის — „ხომ არა მჯობია? იქნებ, იქნებ მჯობია?

მსუქანი კონფერანსიე იმ სამი ცხვირსახოციდან, ყოველშემთხვევისათვის რომ აქვს მომარაგებული, ერთ-ერთს სკამზე აფენს და ჯდება. ჯდება და საკუთარ თავთან მაშინვე დამამშვიდებელ ბაასს იწყებს: „ვინ იწყებს კონცერტს? ვინ, ის თუ მე?

სანამ პასუხს იტყოდეს, ცოტა ხანს სდუმს. ტუჩები მოუკუმავს, თვალებს მედიდურად ჭუტავს, ისედაც მსუქანი სხეული სიამაყით ებერება და პასუხიც არ იგვიანებს: „მე!“

მერე ახალი კითხვა იბადება: „ვინ უფრო მეტად აცინებს ხალხს? ჰა? ის თუ მე?“

ძალზე კმაყოფილი, ჩუმად ჩაიცინებს ნიკაპზე ხელს ისვამს, სახე ებადრება, უეცრად შუბლს გაბრაზებით ჭმუხნის და პასუხსაც არ აგვიანებს: „მე!“

ისევ ახალი კითხვა: „ვის, ვის უკრავს ხალხი ტაშს? ჰა? იმას თუ მე?“

სწრაფად დგება, წელში სწორდება, თითქოს მშვიდდება; თავს მაღლა სწევს, ამაყად გასცქერის სცენაზე დადგმულ როიალსა და ფარდის ასაწევ თოკებს. ზედმეტი სიამაყისაგან უკვე ჩურჩულებს: „მე“...

— ხომ არ დავიწყოთ? — სხვათაშორის ამბობს სამხატვრო ნაწილის გამგე.

მამია ერთ-ერთია იმ ორ ლექტორთაგან, კონცერტში რომ მონაწილეობენ. ამიტომ მის სიტყვას ხანდახან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ახლაც სამხატვრო ნაწილის გამგე მას შესცქერის.

— დავიწყოთ, — ამბობს მამია და გრძნობს, ხელისგული რომ უოფლიანდება. ასე იცის ნერვიულობამ. ახლა უნდა დამშვიდდეს, თორემ შეიძლება რომელიმე სტუდენტის გვარი შეეშალოს კიდევაც. ასე რომ მოხდეს... „რა სულელური აზრები მომდის“, ფიქრობს იგი და უცებ ბრაზდება — „არა, არაფერი არ მოხდება“!

კულისებში ახალგაზრდები ჩუმდებიან, ერთ-ერთი სტუდენტი თოკს ხელს ჰკიდებს, დაბლა ეწევა და... ფარდა იხსნება.

მამია უკანასკნელად იმხნევებს თავს. გულში აღგზნებით წარმოსთქვამს იმ ფრაზას, მისი აზრით ლონეს რომ მატებს: „და მაშინ ყოვლისშემძლე ზევსმა მთელი ბღუჯა ელვა მოიქნია და შვიდკარიან თებეს გამეტებით სტყორცნა!“

სამხატვრო ნაწილის გამგე მშვიდად იცდის, დარბაზში სიჩუმე როდის ჩამოვარდება. კარგახანს იცდის, მაგრამ ჟრიამული მატულობს და გამგე მამიას სცენაზე გასვლას ანიშნებს.

მამია ერთხელ კიდევ კითხულობს

პროგრამას, თავს მაღლა სწევს, წელში სწორდება და სცენაზე გადის. მიკროფონამდე რვა ნაბიჯია. მამია სცენის შუაგულს უახლოვდება, პირი ახლოს მიაქვს მიკროფონთან და...

ყველაფერი ეს ძველ ზღაპარს ჰგავდა: საცოდავი თევზი მდინარის ნაპირზე ეგდო, ლაყუჩები დაებერა, თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა და უკვე ველარც ფართხალებდა. ვიღაც მადლიანმა ხელი მოჰკიდა, აიყვანა და ჰკითხა: „წყალში რომ გადაგაგდო, რას მომცემ?“ „რასაც გინდა“, — ამოიხრიალა თევზმა. „მართლა კი არა, — უთხრა კაცმა და ხელი მოიქნია, — არ მინდა შენი არაფერი“. თევზი მდინარეში აღმოჩნდა, მაშინვე შვება იგრძნო, ნაცნობი ფშანები მოათვალიერა და...

— ვიწყებთ... კონცერტს! — ომახიანად გამოაცხადა მამიამ.

ჩაბნელებული დარბაზის ერთ-ერთი კუთხიდან ჯერ კიდევ მოისმოდა ჩოჩქოლი, მამიამ იქითკენ მიაპყრო საყვედურით აღსავსე მზერა. ბოლოს ყველა გაჩუმდა და მამიამ თავისი საქმე განაგრძო — კომპოზიტორი... რევაზ ლაღიძე — „სიმღერა სამშობლოზე“! შეასრულებს ლალი გიორგაძე!

დარბაზში კანტიკუნტად დაუკრეს ტაში.

— როიალთან — შოთა სამხარაძე,— ჩუმად დააყოლა მამიამ, სოლისტის ღირსება რომ არ შელახულიყო და ხელი კულისებისაკენ გაიშვირა. იქიდან თითქოს გულგრილი გამომეტყველებით გამოვიდნენ ლალი გიორგაძე და შოთა სამხარაძე. ერთმა ცხვირსახოცით შეიმშრალა გაოფლილი თითები და როიალს მიუჯდა, მეორემ ჩუმად ჩაახველა და როიალთან დადგა.

მამიამ მშვენივრად იცოდა, რომ ამ დროს ხალხის ყურადღება მკერდგაღეღილ სოლისტზე იყო მიპყრობილი. ამიტომ თავისუფლად გაემართა კულისებისაკენ. სკამზე ჩამოჯდა და კმაყოფილმა გაიღიმა — „კარგად დაიწყო კონცერტი, რაც მართალია, მართალია“.

— შენ-თვის ზამ-თარიც კი გაზაფხულიაა, — მოისმოდა სცენიდან.

მამიამ ჯიბიდან პროგრამა ამოიღო და ისევ გულდასმით გადაათვალიერა.

სიმღერა დამთავრდა თუ არა, ტაშმა იგრიალა. სიხარულისაგან სახეაწითლებული სოლისტი კულისებში გავიდა, სამაგიეროდ მამია შურდულივით გაიჭრა მიკროფონისაკენ, მარჯვენა ხელი კულისებისაკენ გაიშვირა, თავი მძიმედ დახარა, რამდენადაც სქელი კისერი ამის საშუალებას აძლევდა და სცენაზე ახალგაზრდა მომღერალი გამოიხმო. სცენაზე ხელმეორედ გამოსულმა ლალი გიორგაძემ მადლობა გადაუხადა მაყურებლებს და ისევ კულისებში შებრუნდა, მამია კი მიკროფონთან მივიდა და რიხიანად გამოაცხადა: ფრედერიკ შოპენი, „ნოქტიურნი!“ შეასრულებს ჩვენი ინსტიტუტის ლექტორი, ქეთევან სირბილაძე!

იგრიალა ტაშმა, მამია ისევ სემაფორივით ხელგაშვერილი დადგა სცენის შუაგულში, ისევ ისე მძიმედ დახარა თავი და ძლივს დაინახა, როიალთან როგორ მივიდა ქეთევან სირბილაძე.

მამია კულისებში გავიდა. სკამზე ჩამოჯდა და სმენად გადაიქცა.

სადღა იყო ის დაძაბულობა, კონცერტის დაწყებამდე ისე უმოწყალოდ რომ სტანჯავდა. მამია არხეინად იჯდა კულისებში და ყურადღებით ისმენდა „არაამქვეყნიურ ჰანგებს“ — ასე უწოდებდა იგი მუსიკას.

აღელვებული და სახეალეწილი ქეთევან სირბილაძე კი ცდილობდა, ჩქარა დაემთავრებინა დაკვრა და ბოლო ტაქტები საგრძნობლად ააჩქარა.

ისევ იქუხა ტაშმა, მაგრამ მამია ადგილიდან არ დაძრულა. იგი დაკვირვებით შესცქეროდა მეორე კონფერანსიეს — ახლა ვახტანგის ჯერი დადგა. „ნეტავ როგორ გამოაცხადებს?“

მეორე კონფერანსიე გაქვავებული სახით მიუახლოვდა მიკროფონს და გულგრილად გამოაცხადა: „ახალგაზრდა გეოლოგი არჩილ ფაღავა წაიკით-

ხავს საკუთარ ლექსს“ — ამის თქმა და მისი სცენიდან გასვლა ერთი იყო.

„ესაა საქმე?“ — გაიფიქრა მამიამ, „შენ რა გითხარი, ვახტანგ“.

ამასობაში ახალგაზრდა გეოლოგი ფაღავა სცენის შუაგულში დადგა და წაიკითხა საკუთარი ლექსი — „ნეტავ“. სანამ უკანასკნელ სტრიქონამდე ჩააღწევდა, ოფლად გაიღვარა, ერთი სტროფი კინაღამ დაავიწყდა, მაგრამ ბოლოს მაინც ვალმოხდილმა დატოვა სცენა.

მამია არჩილს კულისებში ტაშით შეეგება და სცენაზე გავიდა. მეორე მხრიდან ვახტანგი გამოვიდა და სცენაზე სკამი და პატარა მაგიდა გამოიტანა.

— „შემთხვევა საავადმყოფოში“, — წყნარად გამოაცხადა მამიამ. მერე კულისებში გავიდა, თეთრი ხალათი ჩაიცვა, ისევ სცენაზე შემობრუნდა და მაგიდას მიუჯდა.

მამია ერთხანს მშვიდად იჯდა და თითქოს რაღაცას სწერდა. უცებ შემოვარდა „ავადმყოფი“ — ვახტანგი. იგი ხელ-ფეხს უცნაურად იქნევდა და თავს აცახცახებდა. „რა მოგივიდათ? — ფეხზე წამოდგა მამია-ექიმი. ავადმყოფი ხმას არ იღებდა, ისევ ისე ფართხალებდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვახტანგმა იმდენი იფართხალა, რომ თავშეკავებული ექიმი მოთმინებიდან გამოიყვანა, გაამწარა, გადარია, გააცოფა და ბოლოს მანაც ატეხა ყვირილი. ხელ-ფეხს იქნევდა და ცახცახებდა. ავადმყოფი თითქოს გაოგნებით შესცქეროდა მამიას, ხალხი კი იცინოდა. შემდეგ მორჩენილ ავადმყოფს ექიმი სცენიდან ძალით გაჰყავდა და როლში შესული მამია ცოტახნით კულისებშიაც კი განაგრძობდა ფართხალს. უცებ შეჩერდებოდა, შეშინებული მიმოიხედავდა და სამხატვრო ნაწილის გამგემ და შედარებით გამოცდილმა სტუდენტებმა უკვე იცოდნენ:— გული, მამიას გული.

მამია მძიმედ ეშვებოდა სკამზე. ყურში ვალერიანის წვეთებად ეღვრებოდა ტაშის ხმა, რამდენიმე გრძნობა ერთმანეთში ითქვიფებოდა: — თავდადებული ადამიანის სიამაყე გულის მოწვეებითი ტკივილისაგან გამოწვეული შიში და წყენა, გამარჯვების ნიშარული. ყველაზე მეტად სამხატვრო ნაწილის გამგე ელავდა. „წამოწექი, გენაცვალე“, — ეუბნებოდა მამიას და თან ფიქრობდა — „რა ვქნა, რამე რომ მოუვიდეს, რა წყალში ჩავვარდე?“

— მამია, მამია, შემომხედე, ბიჭო!

მამია მისუსტებული ხმით ამბობდა:— დამშვიდდით, დამშვიდდით, ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის...

„აი, ნამდვილი ვაჟკაცი“, — ფიქრობდა ფაღავა და მამიაზე ლექსის დაწერის სურვილი აღრჩობდა.

ტაში შეწყდებოდა თუ არა, მამია დგებოდა და ისევ სცენაზე აპირებდა გასვლას.

— საით, მამია, გაგიჟდი? — ეშინოდა სამხატვრო ნაწილის გამგეს, — ვახტანგს ვანიშნებ, ის გამოაცხადებს.

— არა, მე გავალ, — ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ ამბობდა მამია და თან ნაღვლიანად ფიქრობდა: „დაე, სცენაზე მოვკვდე“. ამ სევდიან ფიქრს უეცარი ალფრთოვანება მოჰყვებოდა: „დაე, სცენაზე მოვკვდე უცნობი ჯარისკაცივით“...

მამია სცენის შუაგულში იდგა და სიამოვნებდა, ოფლადგაღვრილი და თმაჩამოშლილი რომ იყო. არაქათგამოცლილი, მაყურებლის თვალწინ იკრეფდა ძალას (ჩქარჩქარა და ღრმად სუნთქავდა) და აცხადებდა: — ინგლისური ლირიული სიმღერა... ასრულებს ჯაში და ზალდასტანიშვილი!

კულისებში სამხატვრო ნაწილის გამგე დახვდებოდა, სკამზე დასვამდა და ცხვირსახოცს უნიავებდა. ყველა ალერსიანად და თანაგრძნობით შესცქეროდა, მამიას სიამოვნებდა ეს და თვალებს ხუჭავდა. მამია თითქოს პატარავდებოდა, თითქოს ბავშვი იყო. ძალიან უნდოდა, ვინმეს თავზე ხელი გადაესვა მისთვის და ეთქვა: დაიღალე, ბიჭიკო. მშვენიერი სურათები ერთმანეთს სცვლიდნენ, მა-

მია ბოლოს თვალს ახელდა და შუბლს უსიამოვნოდ იჭმუხნიდა.

— კიდევ გაწუხებს? — ეკითხებოდა სამხატვრო ნაწილის გამგე.

— არა, რომელი საათია?

— ცხრის ნახევარია.

— გმადლობთ, გეთაყვა.

უაინ ფაინ დეი-ი
ვერი ბიუთიფულ გი-ირლ...

მღეროდნენ ჯაში და ზალდასტანიშვილი.

კონცერტი გრძელდებოდა.

მამია და მისი მეზობელი — შუახნის ლექტორი ვარაზისხევის ქუჩაზე მიაბიჯებდნენ.

მამია აღფრთოვანებულია. კონცერტმა საუცხოოდ ჩაიარა, ხალხს ძალიან მოეწონა მის მიერ შესრულებული სხვა სკეტჩებიც: „მისაღებ გამოცდაზე“ და „შემთხვევა საპარიკმახეროში“. რამდენიმე კაცმა ხელი ჩამოართვა და წარმატება მიულოცა. საღამო მშვენივრად დამთავრდა — რამდენმა ადამიანმა ისიამოვნა და, რაც მთავარია, თავისი გულისწადილიც შეისრულა.

ახლა მეზობელთან ერთად ვარაზისხევის ქუჩაზე მიდის. შემოდგომის ღამეა, თბილა, დარბაზში ყოფნის შემდეგ სუფთა ჰაერი ეამა. მამია აღტაცებულია მშვენიერი ღამით, მისი მეზობელი კი ყოველივე ამას ყურადღებას არ აქცევს. მამიას ძალიან უნდა, მისი თანამგზავრიც აღტაცებული იყოს ამ შესანიშნავი ღამით, მაგრამ ხმას არ იღებს — მან იცის, რომ მეზობელი საკმაოდ ღრჯუ კაცია. ალმაცერად გასცქერის თანამგზავრს. — მეზობელს სქელი კისერი აქვს, ახალგაზრდობაში ჭიდაობდა. „ალბათ მაშინ თუ გაუფუჭდა ხასიათი, ჭიდაობისას მოწინააღმდეგე ხიდზე რომ შეაყენებდა და ზემოდან ბუბნიდა“, ფიქრობს მამია. მერე ავიწყდება მეზობელი, გაჩახჩახებულ ქალაქს გასცქერის: გზისთა ძოედაზე სახქანები დასრიალებენ, ნეონის რეკლამები ქართულ ჩაისა და შამპანურს აქებენ. მამია სწორედ ისეთ ხასიათზე დგება, ხანდახან ჩვენც რომ გამოგვიცდია — ყველაფერი მოსწონს, ყველა უყვარს, თუმცა საამისო მიზეზი არ გააჩნია. მამია ფიქრობს თავის „მცირე, მაგრამ მაინც ესოდენ ამაფორიაქებელ ხელოვნებაზე“ და გული სიყვარულით ევსება. ალერსით უყურებს მეზობელს. ისიც გრძნობს მამიას მზერას და ფიქრისაგან გამოერკვევა. თურმე იგი სულ სხვა რამეზე ფიქრობდა, რადგან ამბობს: „შვილი რომ იყოს. შვილი, საგანი თუ არ ეცოდინა, იმასაც ჩავჭრი“.

ზოოპარკიდან ნაღვლიანი ბღავილი მოისმა. მამიას თვალწინ წარმოუდგა გალიაში დამწყვდეული ცხოველი, გული სიბრალულით აევსო და გუნებაში დაჩაგრულ ცხოველებს მოეფერა: აქლემიკო, ფოცხვერიკო, მგელიკო, სპილ... სპილიკო... არა... სპილუნა... არა... არა, სპილუკა... არა, „სპილო“ არ გამოდის.

— მე დღევანდელ კონცერტში იუმორი არ მომეწონა, შენი მოყვარე ვარ და პირში გეუბნები, — ამბობს მეზობელი.

— რატომ? — უკვირს მამიას.

— თქვენს იუმორზე ხალხი იცინის. კარგი იუმორი კი ისეთი უნდა იყოს, რომ კი არ გაგაცინოს, არამედ მწარედ ჩაგაფიქროს.

„რა თქვა, რა თქვა!“ — უკვირს მამიას და საჩქაროდ აგებებს შესაფერის პასუხს: — ესე იგი, კარგი ტრაგედია ისეთი უნდა იყოს, რომ მაყურებელმა იხარხაროს, არა?

— რას ამბობ? სად იუმორი და სად ტრაგედია, — ამბობს დაბნეული მეზობელი.

ამით მთავრდება ლიტერატურული კამათი. „ეჰ, შენ რა გითხრა“, ფიქრობს მამია და თავს მაღლა სწევს — ახლა იგი გაჯავრებული ხელოვანის საამაყო სიმაღლიდან დასცქერის მეზობელს.

კარს ფრთხილად აღებს და ფეხაკრეფით შედის ოთახში. სწორად იქცევა— ცოლს უკვე სძინავს. მაგიდაზე ვახშამი დაუტოვებია ცოლს. მამია გემრიელად შეექცევა პურს და ცივ კატლეტს. ფეხზე დგას, მადიანად ილუკმება და თან ჩუმად ღიღინებს.

ცოლს სძინავს, მამიამ კი კარგად იცის, რომ ვერ დაიძინებს. ასე იცის სიხარულმა და... „ასე იცის ხელოვნებამ“, მორცხვად ფიქრობს მამია. მას ეუხერხულება, თავის დღევანდელ საქმიანობას ხელოვნებას რომ უწოდებს. მერე ნელნელა თავს იმშვიდებს, ავონდება, როგორი წარმატება ხვდა დღეს იმ კონცერტს, მას რომ მიჰყავდა, როგორ იცინოდა ხალხი მის მიერ შესრულებულ სკეტჩებზე, როგორ ჩამოართვეს ხელი. რა უნდა იყოს ამაზე კარგი, ხალხი ხომ შეიქცია? — შეიქცია. გაართო თუ არა მოწყენილები? — გაართო. ზოგიერთს ნერვები ხომ დაუმშვიდა? — დაუმშვიდა. თვითონაც ხომ მოიკლა ჟინი? — მოიკლა. ჰოდა, რა უნდა იყოს ამაზე უფრო სასიამოვნო? — არაფერი, ესაა ნამდვილი ხელოვნება, ესაა ხელოვნების მადლი. მამია სასიამოვნო ფიქრებში იძირება, გული სიამაყით ევსება, მაგრამ...

მაგრამ კედელზე დიდი ესპანელის სურათი ჰკიდია.

გუნებაწამხდარი მამია დაუდევრად იხდის ტანსაცმელს, სინათლეს აქრობს და მიუხედავად იმისა, რომ სურათი აღარ მოჩანს, მაინც საბანს იფარებს თავზე...

იმ ღამეს უცნაური სიზმარი იხილა. თითქოს თვალუწვდენელ ველზე იდგა და სადღაც მიდიოდა, მაგრამ ფეხი ტალახში უცურდებოდა და წინ ვერ მიიწევდა. ასე უღმერთოდ რომ წვალობდა, უცებ რაღაც ხმაური შემოესმა — ეს ჩქაროდ მიიხედა უკან და — [illegible] ცხენზე მჯდარ, მძიმედ შეიარაღებულ რაინდს მახვილი შეემართა და მისკენ მოჰქროდა. შეშინებული კონფერანსიე თვალს ვერ აშორებდა მამაც იდალგოს. მერე ირგვლივ მიმოიხედა და მოეჩვენა, თითქოს მარტო არ იყო. იქვე, მის გვერდით ტალახში ცოდვილობდნენ ის სტუდენტები, კონცერტში მონაწილეობა რომ მიიღეს. მძიმედ აღჭურვილი რაინდი კი სწრაფად უახლოვდებოდა მამიას და თავის ჩასუქებულ საჭურველთმტვირთველს რაღაც დარიგებას აძლევდა. აი, იგი სულ ახლოს მიიჭრა მამიასთან, მამიას მოეჩვენა, რომ რაინდმა კიდევ უფრო მაღლა შემართა მზეზე ალაპლაპებული მახვილი, ძალიან შეეშინდა და მიწაზე გაწვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ეღვიძებათ ხოლმე, სიზმარი არ დამთავრებულა — მამია მიწაზე იყო გართხმული და შიშით უცდიდა მძიმე დარტყმას. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. მამია კარგა ხანს იცდიდა, მერე თავი წამოჰყო და გაიხედა. მახვილგონიერი იდალგო უკვე შორს იყო, მამია დაკვირვებით შეაცქერდა მის მუზარადს და ვერ გაერჩია, სახელოვან რაინდს შარავანდედი ედგა თავზე, თუ მისი მუზარადი მზეზე ბრჭყვიალებდა. მამია ფეხზე წამოდგა და ფრთხილად გადადგა ნაბიჯი. კიდევ კარგი, მარტო რომ არ იყო — მის გვერდით მიაბიჯებდნენ ლალი გიორგაძე, შოთა სამხარაძე. ქეთევან სირბილაძე, ჯაში, ზალდასტანიშვილი, მეორე კონფერანსიე ვახტანგი, ფაღავა და სხვები.

შორს კი, ჰორიზონტზე, ერთგულ რაშს მიაქროლებდა მრავალტანჯული იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ფეარდოვსკი

შორეთს იქითა შორეთი

თავი XIII

გზის დასასრულთან

შენ, ჩემო ხვედრო, ასჯერ მადლობა—
ათასი გზიდან ერთი მანახე,
აღმოსავლეთით, აქეთ მგზავრობა
შენ შთამაგონე, შენ მიკარნახე.

და მაგისტრალმა ტრანსციმბირისა,
ალბათ, უმოკლეს გზით საოცარით
ძარღვს შეუერთა მთავარ სივრცისას
ჩემი ძნელი დღე, ბინა მოძრავი.

ხვედრის ხსენება ახლა რად გვინდა,
მაგრამ ეს სივრცე და ეს შორი გზაც,
ციმბირს და მოსკოვს ერთურთს
ადრიდა,
მოსკოვს და ციმბირს ჩვენი დროისას.

ეს ორი სიტყვა აზრით აღსავსე,
რომელიც დიად მიზანს შეიცავს,
მე სხვა ასაკის მაღალ ტალღებზე,
ჩვენი ახალი დროის საზღვარზე
თითქოს სრულიად ახლად შევიცან.

სიტყვა მოსკოვი, სიტყვა ციმბირი
თანაბრად ჟღერდა ქვეყნის სახელით
შორს, უცხოეთში,
როგორც სიმწირის,
ველურ სიმკაცრის გამომსახველნი.

დღეს იმ ქედმაღალ, ძველ სამყაროშიც
ორივე სიტყვა უკეთ ნასწავლი,
სხვაგვარ ხმიანებს უკვე სხვა ძალით,
მოსკოვს ციმბირი ერწყმის სხვა ეშხით,
ვრცელდება ახალ თქმულებასავით.

კეთილი!
მაგრამ არ დავივიწყებთ
იმ გასაოცარ იგავ-არაკებს,
იმ სიტყვებს დიდი პატივისცემით,
რაც ჩვენზე წლობით ილაპარაკეთ.

ორმოცდაათ წელს აგვირისტებდით
ქაღალდზე, ვითომ ჩვენ გვიცოდებდით,
რომ დავწანწალებთ შიშველ-
ტიტვლები,
რომ ვართ უვიცნი, არასმცოდნენი.

ქვეყანას ომით დანახშირებულს
რომ ვერ აღვადგენთ ვერას განგებით,
რომ ბედოვლათებს არ გვაქვს საკვები,
რომ ვერ გავათბობთ ზამთარს
ჩვენებურს,
რომ ვართ უბრალო რუსი ვანკები.

მელნით ქაღალდზე და ხან ზეფირში
თქვენ ღაღადებდით:
აბა, რას წვალობთ.
ტყუილუბრალოდ ცდილობთ
ციმბირში
დათვებს ფოლადის
დნობა ასწავლოთ.

რომ უსაშველოდ დუხჭირ-ტიალნი
ხორცს ვერ შევასხამთ ჩვენს
წამოწყებას,
სიახლედ გვესმის ურმის ჭრიალი
და მანქანებზე ვბედავთ ოცნებას.

რომ ვართ სუსტები, თქვენ —
ძლიერები,
რომ არ გვსმენია მეცნიერების
ენა — ძველთაგან თქვენი ჯავარი,
რომ ქვეყანაზე მარტო ნაძვნარი
და ფიჭვნარია ჩვენთვის მთავარი.

დასასრული, იხ. „მნათობი", № 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვართ ციმბირში.
    მაგრამ იმ ჯერად
სამშობლო სივრცეს დინჯად ზომავდა
და მრისხანების ბათქად იჭექა
ომის გრიგალში ჩვენმა ფოლადმა.

რვალი ციმბირში ნაწრთობ-ნაჭედი
თავისი მძლავრი ტალღით მიჰქროდა,
ქვეყნად მიჰქონდა
ნანატრ მშვიდობად
ამბავი ძლევის და გამარჯვების.

მშვიდობისათვის უხვად დაღვრილი
ყოველი წვეთით წმინდა სისხლისა,
შვილმკვდარ დედების მწარე
ნაღველით,
ქვრივების ოხვრა-ამოძახილით —
იმ უმკაცრესი სინამდვილისას,
სასტიკ ვაჭრობის ცოდვა-ხილვისას —
ერთი ასმაგად, ჩემო ძმობილო,
გადავუხადეთ ვალი მსოფლიოს...

ამით დავიწყე გზაზე სიმღერა,
ძილს რომ მიტეხდა ფიქრი ვერანი,
და სულს განგაშით როცა მიმღვრევდა
სამყარო ვრცელი, მოუსვენარი.

როგორ იქნება არ უმადლოდეს
მოსკოვს და ციმბირს მთელი დუნია,—
ძილშიც რომ ომზე აღარ აბოდებს,
სუნთქვა რომ ისევ არ ეხუთება
და აღარც ძალზე დაძაბულია,
ცა ძველებურად არ ექუფრება,
ყოველ წუთს სეტყვა არ ემუქრება.

მართალ ნათქვამში არვინ შეეჭვდეს—
იგი მსოფლიოს უდგას დარაჯად,
ზეთისხილის და არყის ხეებქვეშ
მოსკოვს მშვიდობა მოაქვს მარადჟამს..

და მინდა ისევ, განმეორებით
ვთქვა წეღანდელი ჩემი ნათქვამი:
უამრავია ქვეყნად შორეთი,
არ უგულველჰყო ერთი მათგანი.

ეს შორეთია შენი ოცნება,
შენი მიზანი, სწრაფვა, იმედი,
ნუ ცდილობ მისთვის აუცილებლად
გადაიარო — ცხრამთას ჭეშმარიტი
იგი შენშია, კუბოს ფიცრამდე —
მხარე ძვირფასი და სანატრელი.
სხვა გზით მოვედი მე ამ მიზნამდე,
წეღან გაუწყეთ ახლა სათქმელი.

რთულ ამოცანას გზამ უწყალობა
შთაბეჭდილების დიდი მარაგიც,
ბევრჯერ შევწყვიტე თუმცა მგზავრობა,
გავიმეორე იგი მრავალგზის.

მივისწრაფვოდი ამ გზით ყოველთვის
გულწრფელი ფიქრით გატაცებული
და, შინ თუ გარეთ, სივრცე შორეთის
ჩემი სიმღერის, ჩემი ცხოვრების
ოცნებად მქონდა გადაქცეული.

დე, ჯერ უკვალოდ გზაზე გამექცეს
და გაქრეს წამით, თვალსაცდენილი,
ტაიგის პირას შურო დამრეცზე
უსწორმასწორო სავარცხელივით.

დე, რომელიღაც ხიდი აყღერდეს
წამით, დაჭიმულ ბანის სიმივით,
ან დღე ძვირფასი არ გამახსენდეს
წამით, გამდგარი განზე ჩრდილივით.

არ დავივიწყებ არც ერთს არასდროს,
ფესვს არ გავახმობ მათი ხსოვნისას,
მე მათ გავუღებ გულს უღალატოს.
როგორც უკეთეს დღეს ბალღობისას.

და კრიტიკოსი მხრების აჩეჩვით,
ალბათ, გამწყრალი ჩემი არჩევნით,
ვიცი დამიშენს ცეცხლს კრიტიკისას,
გამკიცხავს, — რატომ ვეტრფი
რკინიგზას...
მეტყვის: — ადამის დრომ შეიღირსა,
ჩქარმა დრომ ძველი გზა დააოჩა,
თავის ძირითად მიზანს რკინიგზა,
ლიტერატურის მსგავსად ჩამორჩა.

მე კი ვამტკიცებ დაუზარებლად:
ხან მატარებლით და ხან სახრითაც
კარგი ყოფილა ისე მგზავრობა,
როგორც გიჩვენებს ყადრი საქმისა,

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

რითაც მიაღწევს დიად მიზნამდე,
საითაც ქვეყნის გზები მიდიან.
ახლაც ავიოექსპრესს მივენდე,
მაგრამ აბუჩად არ ამიგდია.

უნდა მომესწრო ამ ზაფხულზევე.
უნდა მენახა ვადის გასვლამდის
ცხარე დღე,
როცა ახალ ზღუდეზე
შედგა ანგარა მაღალ კასკადით.

დრო — ანგარისკენ ისარგაწვდილი —
შორს მაგზავნიდა თავის ჯარისკაცს,
შეღამებისას მოსკოვს გავცილდი,
ბრატსკი ვიხილე გარიჟრაჟისას.

პურესის შვეულ, მაღალ ტინებთან,
რომ ჩანს ირკუტსკის ახლო სამზირი,
მეც პატივსაცემ დოყლაპიებთან
ხიდზე დავერჭე იმ დღეს სარივით.

ზღუდარს ვუმზერდი განმეორებით,
სხვა ჰიდრომშენი მოკლე ვადაში,
მწველი ივლისის ხვატში, განგაშით,
ქვედა ანგარას ძალმომრეობით
აგებდა, როგორც
ხანჯალს ქარქაშში

და ხარკს ვუხდიდი სივრცეს
დამღალავს,
რაც მე ციმბირმა მომცა ქონებად,
ჩვენს დროში განა ვინმე დაძრახავს
ავტომობილით შორს გაქროლებას!..

ვინ გაუშვებდა ასეთ შემთხვევას,
არ დაკარგავდა ამ დღეს ტვარდოვსკიც;
ირკუტსკის უვრცეს გზაზე შემხვდება,
ძველი ცენტრალი ალექსანდროვსკის,
რომელსაც ეძღვნა კატორღელების
ბევრი სიმღერა და სულ ახლახან
დიდი სიმკაცრით განვლო დღეები
ლამის ცარიზმის დროზე ვაგლახად..

კაპიტალური მკვიდრი კედლებით
ტაიგის გულში წამომართული,
სხვადასხვა მკაცრი დროის ძეგლივით
წინ მედგა ციხე ფიქრში ჩაფლული.

თვლემდა ივლისის ცხელი შუადღე
და უსულგულო, ყრუ, შეხსენებული
მაშინ შემოვვლე
ასე ჩუმადვე
დუმილის ბუდე უზარმაზარი.

ამ უკაცრიელ ქვის უდაბნოში
მხოლოდ დაბალი თაღი ჭერისა
ექოდ ირეკლდა დაცლილ საკნებში
გრუხუნს ჩემსავე ნაბიჯებისას...

ციხე, ბრძანებით გაუქმებული,
უცდიდა გულქვად დადუმებული
მეცნიერების რაღაც მისიას
და შეჰყურებდა დარაჯ ბიძიას,
ვინც ყრუ კედლებში ყოფნით ნატანჯი
სტუმარს დამიხვდა, როგორც წესია:
ციხე მანახა
და თან ხმამაღლა
ანგარიშობდა ჩემთან დარაჯი,
რამდენს მისცემენ შრომით პენსიას.

ციმბირო, პირქუშ მემკვიდრეობას
ასე უვლიდი და ინახავდი.
ვიხსენებ ჩემი სიყრმის მეგობარს
და მძრავს უემური ჟამის ღაღადი...

მაგრამ — წინ.
ქება, ხოტბა — თვითმფრინავს,
ავტომობილსაც ჩემი სალამი!
არა, ვაგონი არ დამითმია
ჩემი ძმობილი ძველი, ალალი.
რა ვუყოთ, იყოს ნელა მავალი.

ბევრი სიკეთე მან მიწყალობა
და იდეალურ სითბოს გარეშე
აღარ შემეძლო შორი მგზავრობა.
ისიც — შორეულ აღმოსავლეთში.

ხმელეთის კიდის — ჯერ არნახულის,
რასაც მარტოდენ წიგნში ვაგნებდი,
პირველად ციდან მზერა არა ღირს,
ჩანს მთელი მხარე, როგორც მაკეტი.

რა სჯობს, სარკმელთან და მაგიდასთან,
როცა შენივე ჩრდილი ნიადაგ
მოგდევს,
ეცნობი ახალ სამყაროს,

შენ გითვალთვალებ, მხარევ ახალო!
და სხვა კუპეშიც ოთხნი ვთავსდებით
ჩვეულებრივად. ნაცნობ საქმითვე.
არ ჩანან ძველი თანამგზავრები,
კარგახანია რაც გადავიდნენ.

ვაგონიც სხვაა,
    რა გაეწყობა:
შორეთის გზას ჰგავს გზა საწუთროსი,
სად ხან უმცროსი მგზავრი გეცნობა,
ხან შენი ტოლი და ხან უფროსი..

ვით აფრა ქარით, სული სავსეა,
ვაშა, უსაზღვრო სივრცეს
    დალოცვილს!
მაგრამ ჯერ ჩიტა ისევ გზაზეა
და რომ ჩამოგვრჩა თვით
    ხაბაროვსკიც —
უცებ წავაწყდით მიწას გამოცვლილს.

ვათვალიერებ მხარეს და მიკვირს:
სხვა ხმელეთია, სხვა ფერებია
და გულს კენწერო ბნელი ტაიგის,
ტკივილად აღარ დასძგერებია.
სულ სხვა მთისაა
    ტყე მშვენიერი, —
ტყეა თუ ბაღი, ველარ მიხვდები,
უსაზღვრო სივრცე, — დასალიერი
და წარღვნასავით ბალახმომსკდარი
ჩანს სათიბები
    გასაოცარი, —
ატალღებული მწვანე მინდვრები.

სიახლის ეშხი მრჩება თვალებში,
როცა ველებზე, მდინარის პირას
აქა-იქ კორომს ვხედავ ყანებში,
ხის მჭრელი რომ არ მიჰკარებია...

მაგრამ საოცარ მდიდარ მხარესაც,
რომელიც სარკმელს იქით ლამაზობს;
მიწით, წიაღით, ტყით, საყანეთა
სიგრძე-სიგანით მოფიანდაზობს,
სურს საიდუმლოს წამოძახება,
სურს საყვედური რომ მითავაზოს.

მის სამდურავში ამოვიკითხე:
მდიდარი, ·ეხვი რომ ვარ ასეთი,
განა შორეთის რაღაც სხვა კუთხე,
მქვია შორეულ აღმოსავლეთი
გზიდან დალანდე ჩემი სიკეთე
და ოც სტრიქონში რას მოასწრებდი...

ქვეყნად ნებივრობ ხალხის ამაგით,
შენ პოეტი ხარ განა ყმაწვილი.
რაც ღმერთმა წლების მოგცა მარაგი,
რაც უწმინდესი და ძვირფასია,
დამითმე მისი მცირე ნაწილი?
არ დაგითმია.
    სწორედ ასეა.

განა არ ავნებს სახელს, ღირსებას
ასეთი დიდი და ღრმა ხარვეზი?
მოუცლელობას ჩათვლი მიზეზად?
რომელი მხარე არ გამიწყრება?..
რომ არ ვუმღერე
და არ გავლექსე!
ერთად ვმღეროდი ყველა მხარეზე;

ჩამოვთვლი, მაგრამ ვერ მოვათავებ:
დიდო სამშობლოვ,
    შენი მლოცავი
ვრცელი მხარენი ერთად გერთვიან,
რადგან ერთი ხარ მათი მოთავე!
ჰოდა, ესაა გასაოცარი,
რომ ეს სიცოცხლეც ერთადერთია...

და გულისყური მისთვის მივანდე
ასეთ საყვედურს,
    რადგან ომამდის
ვერ მოვასწარი, გითხრა სიმართლე,
ოცნება მქონდა აქ გადმოვარდნის.

დაე, საფეთქლებგადათოვლილი
შეხვედრის უმალ მგზავრი გამიცნოს
ამ კუთხემ, სადაც მოვხვდი პირველად,
მაგრამ, ყმაწვილნო, მხარე მშობელი
რამე შემთხვევამ არ დაგავიწყოთ,
თორემ არასდროს გეპატიებათ.

ახლოა თუ შორს, შენი მხარეა,
შენივე წასვლა და შთაგონება
მოსკოვს ჩაწერა ნუ გეხარბება,
ნუ გძლევს რაიმე სხვა დაბრკოლება.

შუქად დარჩება შუქი სახელის, —
შენ შენი მხარის მზით გამდიდრდები,

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დადასტურდება შენი ნამღერიც, —
აი, წესდება ნამდვილ დიდების.

ოქროს მიწაზე რომ დაასახლეს,
არ დაივიწყებს ხალხი მათ სახელს:
თავის მეგობარ სწავლულ არსენევს
და ჩვენს ფადეევს ერთად ახსენებს,

აღთქმის მხარეში დასამკვიდრებლად
ოცნებით ხალხის ტალღა აშლილა,
გადმოხვეწილა ცხრამთას იქიდან
ორიოლშჩინა და პოლტავშჩინა.

ჩემი თუ არა, სხვისი ბავშვობა
და სხვისი ყრმობა, სხვისი ნალოცი,
ოდესის პორტში უცბად დაშორდა
ᲨᲛᲝᲑᲚᲘᲣᲠ მიწას ფეხქვეშ
გამოცლილს,
რომ უცხო ზღვაში ხანგრძლივ
წვალებით

მძიმე, სასტიკი მარხვა ეწვნია
და სადღაც იქით, აღმოსავლეთის
მყარ ნაპირამდე გადაეღწია.

ამ ამბავს ბევრჯერ წავიკითხავდი,
მაგრამ არ მახსოვს მარტო წიგნებით,
თვალწინ მიდგება მთელი სიცხადით,
რაღაც სხვა ხსოვნის გამობრწყინებით.

უცნობი მხარე.
ბარგი-ბარხანით
ცის ქვეშ თენდება. ბავშვთა ქვითინი,
აქეთ ციმბირი, ჯერ უნახავი —
აისს და დაისს შორის ხიდივით...

დაისის მხრიდან რომ გეახელი,
აჰა, გიხილე ახალ სურათად!
უცბად გავრინდდი შენი მნახველი
და გულმაც უცებ ფანცქალს უმატა...

შუქის ბრდღვიალი და ხმა საყვირთა,
თითქოს სიმაგრედ აშენებული,
ვოგზალი მთის წელს შემოსწვდენია,
დგას ოკეანის მაღალ ნაპირთან
ჩვენი ქალაქი,
მას ჩვენეული
უწოდა ერთ დროს დიდმა ლენინმა.

განსხვავდებიან, მაგრამ უმცროსი
და უფროსი ძმა
რაღაც დიადით
ჰგვანან ერთმანეთს ერთი
სისხლხორცის
ვლადივოსტოკი და ლენინგრადი.

მათ საუკუნოდ ბედმა მიუზღო
ძმურად. ერთგულად წიონ ჭაპანი.
დგანან ხმელეთის ორთავ კიდეზე
ძმები ნაბრძოლი და ნაჯაფარი, —
მეზღვაურულად და ჭაბუკურად,
ქვეყნისთვის სამზერ ორ დიდ
შუქურად...

ვლადივოსტოკი!
გზა გასავალი,
იქვე ნაპირი და ოკეანე!
ქუდს ვიხდი.
— წყნარო, ჩამოგიტანე
დედა მოსკოვის წრფელი სალამი;

სალამი გიძღვნა დედა ვოლგამაც,
ამ წყალს შენც ვეღარ
ჩასთვლი პატარად.
ურალმა — ჩვენმა ძველმა ოსტატმა
ძმური სალამი გამომატანა.
და ბაიკალიც გითვლის მოკითხვას,
როგორც მოყვასი და ნათესავი,—
ძველად უფსკრულში ტბად რომ
მოიქცა,
და გასაოცრად ღრმაა შენსავით.

ციმბირიდანაც, ანგარიდანაც
ძმური სალამი, შენ, ოკეანევ!.. —
ყველა სივრცისგან და მხარისაგან,
რაც აღორძინდა და გაიზარდა,
რაც უფრო ახლოს დადგა მიზანთან,
რაც განა უქმად შემოვიარე.

რაც ვნახე. განა მარტო ასეულ
ბწკარებად გაბმულ სადგურს შეადგენს,
იგი გასცქერის სივრცეს გაქცეულს
და თვალში უზის მამულს
დღევანდელს.

მასზე ანთია დროის ნიშნებად,
რაც ჩემს თაობას გზას უნათებდა

პირველ ხუთწლედის დასაწყისშივე,
გულს უმაგრებდა, აზრს უმატებდა.

ყველა დღეს, სივრცეს მკერდში
ვიგუბებ,
მისით ვივსები, რაც შენ გიბოძე,
თავით ბოლომდე ჩემად გიგულვე,
ჩემო სამშობლოვ,
შეგისისხლხორცე,
ჩემი ხარ, ჩემი,
ჩემო სიცოცხლევ!

ჩემია, ჩემი, შენი მთაბარი,
რაც გაბადია, ძველი, ახალი,
და მართალ გულში ლექსი ბზად არი
უფრო თამამი და ხმამაღალი.

თავი XIV

ეს ასე იყო

...როცა უძველეს კრემლის კედლებში
ძალაუფლება განუსაზღვრელი
ცხოვრობდა კაცი,
სხვა უკეთესი
არ არსებობდა ჩვენთვის სახელი.

ვარჩევდით, გვეთქვა სიტყვა საქები
სოფლად, ქალაქად, ყველგან, იმაზე,
არა, არც მეტი
და არც ნაკლები,
ეს ასე იყო დედამიწაზე.

ძმობილო, ჩემო სიყრმის, მწყემსობის,
ზიარო მწარე სიყმაწვილისა,
გვერდს ვერ ავუქცევთ, ვერ
გავექცევით
საღ ხსოვნას ჩვენი სინამდვილისას.

არა გვჩვევია ასე უბრალოდ
თავის შექცევა მარტო ნუგეშით:
ეგებ წავიდეს, გაქრეს უკვალოდ, —
რაც მტკიცედ გაჯდა საუკუნეში.

ჩვენ ვართ სხვა მოდგმის, სხვა
ჯიშისანი,
არც განვლილი დღე გვეუცხოვება,
ის და ეს წლები ერთად ვიცანით,
ჰათვე ეკუთვნის ჩვენი ცხოვრება.

ამ საუკუნის ერთ მეოთხედში
მოგვიწოდებდა კაცის სახელი,
გვახლდა შრომაში, ქუხდა ბრძოლებში
დიდ სამშობლოსთან ერთად
სათქმელი...

არ სწამდა მცირე საზომ-საწყული
და უკვე ისეთს ასწვდა სიმაღლეს,
რომელიც ღმერთად წარმოსახული
აქვთ ღრმად მორწმუნე ადამიანებს.

და ჩვეულებრივ ამბად დაგვჩემდა, —
როცა ჩიბუხის კვამლში გაჭვრეტდა,
იგი ყველაფერს თვითონ ამჩნევდა,
ღმერთივით იდგა ქვეყნის საჭესთან.

ყველა უმთავრეს დიდ წამოწყებას,
მეცნიერებას თუ წარმოებას, —
ყველას გადასწვდა მისი მკლავები,
არ დარჩა ზღვები და ვარსკვლავები.

წინასწარ გეგმით გამზადებული
აურაცხელი საქმე იკისრა;
სამშობლოსათვის თავდადებულიც
მას უმადლოდა სახელს გმირისას.

რომლებიც ადრე მასთან იბრძოდნენ,
იატაკქვეშეთს, ციხეს იცნობდნენ
და გამარჯვების ზეიმს მოესწრნენ,
ბოლოს თანდათან ჩრდილში მოექცნენ,

ვინ ჩრდილში მოხვდა და ვინ—სიაში—
ვადაზე ადრე დაბერებულთა,
და კალინინიც გლეხებს ხელგაშლით
არ მასპინძლობდა კვლავ ძველებურად.

ზოგს ხმა წაერთვა და ჩაეკმინდა,
ზოგია უკვე დამიწებული.
სად რა პორტრეტი ჩამოეკიდათ —
წინასწარ იყო დამტკიცებული.

ქვეყნად ცხოვრობდა და განაგებდა
ქვეყნის საქმეებს მკაცრი მარჯვენით,
ვინც მის წინაშე არ ქადაგებდა,
მას არ აქებდა — კაცი მაჩვენეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსგავსად ზოგიერთ ჭაღაროსანის
არა სჩვეოდა უქმად მსჯელობა,
შესასწავლია გასაოცარი
მისი სიმართლეც,
უმართებლობაც.

მაგრამ ვინ ვარგა ჩვენში მსაჯულად,
რომ ცნოს უბრალო და ბრალიანი?
რაკიღა ხალხზე ვმსჯელობთ ამჯერად—
ღმერთებს თვით არ ქმნის ადამიანი?

ჩვენ არ ვიყავით, თავმოწონებით
როცა ვიძახდით ქვეყნად ხმამაღლა,
საკუთარ თავზეც ბევრი პოემის
თემა თითქოსდა მან გვიკარნახა!

ჩვენ არ ვიყავით, როცა ზღვა ხალხში
აღარ ვაცლიდით პირის გაღებას,
ფეხზე ამდგარნი ვქუხდით დარბაზში:
— ვაშა მას!
    რასაც იტყვის, ახდება...

რა ვუყოთ, ცდა თუ ძნელად წარმართა,
ვინ გაამტყუნებს, — გვწამდა
    სტალინად!
დიდი ლენინი ღმერთად არ გვყავდა
და ღმერთთა შექმნას არ გვასწავლიდა.

ვინ გაამტყუნოს!
    დიად ქვეყანას
მძიმე ჯაფაში, ხარაჩოებზე
მისი სახელი დროშად ეკავა
მშენებლობათა მაღალ კოშკებზე.

და რუს მებრძოლთა გაბედულებას
დედა ვოლგიდან ძლევის ზათქამდის
მიჰქონდა იგი ცხელი ლულებით
კედლებშერუჯულ რეიხსტაგამდის.

შენ, ჩემო სწორო და მეგობარო,
ოქტომბერს შეხვდი ბალღი პატარა,
ძმობილო, ტკბილად მოსაგონარო,
ხვედრმა კარგა ხანს ერთად გვატარა.
მსხვერპლსაც ვწირავდით წმინდა
    მიწისთვის,
შვილები რამდენ ვარამს ვუძლებდით,
იმ სახელ-დროშით წინ მივიწევდით
მისით დავძლიეთ ყველა ხუთწლედი.

ვინც შრომის გზაზე გვასხივოსნებდა,
ვიყავით მისი დროშის ერთგულნი,
განა მარტო ჩვენ,
ხალხის რჩეულნი, —
ქვეყნის გონება, პატიოსნება.

მამას ვეძახდით თვითონ მამები,
ხომ არ დავიწყებთ დღეს ცბიერებას?
არა, არც მეტი
და არც ნაკლები
ის ასე ახსოვს ქვეყნიერებას.

ჩვენ გვყავდა მამა, რომლის მცირედი
სიტყვა ან ოდნავ წარბის აწევა
კანონი იყო
    და მორჩილებით
გვევალა მძიმე ჭაპნის გაწევა —
გეტყოდა: შავი თეთრის მსგავსია,
აბა, არ გეთქვა,
დიახ, ასეა...

ჩვენ არ ვუმღერდით ქების ჰანგებით,
როცა უქმურ ჟამს კანონს არღვევდა,
როცა შეეძლო მთელი ხალხების
თავზე ღვთის რისხვად ჩამოზავთება...

ზოგჯერ ულმობელ ამ მრისხანეებს
ერთს უგზავნიდნენ უბედურებად,
ძმობილო, ჩემგან რა გესწავლება,
შენ უკეთ გახსოვს მისი ბუნება.

მაგრამ გამოცდის მწარე დროისას
ჩვენთვის დიდი რამ იყო
    უდრეკი
სიმტკიცე მამის ნებისყოფისა,
რომლითაც სასტიკ ცხარე ბრძოლისას
გამძვინვარებულ მტერს აღვუღაქით...

მოსკოვის ახლოს და შორს—ურალთან
ხალხი სიცივეს, პაპანაქებას,
გარჯას და ჯახირს არად აგდებდა,
მის ნებისყოფას ენდო გულმოთლად,
საკუთარ თავზე არანაკლებად.

მას მივუვებოდით, რომ სიკვდილისგან
გვეხსნა სიცოცხლე,
    მთელი მსოფლიო,
ეს ასე იყო,
    შენს თავს ვიფიცავ,
ხომ გახსოვს, ხალხო,

ჩემო მშობელო!
იმავე ძალამ
რთულ ამოცანად
დიდი ხნის წინათ შორს კამიზნული
თამამი აზრი გვამცნო ბრძანებით —
ქვეყნის ფორპოსტი ინდუსტრიული
გადაგვეწია აღმოსავლეთით. —

რომ არ გვეცქირა სხვასთვის ხელებში,
იგი წინასწარ სივრცეს ზომავდა...
ასე იქუხა სიმწრის დღეებში
ჩვენმა მრისხანე. მტკიცე ფოლადმა.

სხვა დროშიც უქმად წყალის ნაყვაა
მთელ მსოფლიოში იმის მტკიცება.
თითქოს სტალინის სახელს არ დაჰყვა
ამ ფოლადის და
სივრცის თვისება.

და ვინც მომავლის გზები გვაჩვენა,
ვინც დიდ ბრძოლებში
გვმთავარსარდლობდა,
ყველა ვუმადლით ჩვენს გამარჯვებას,
ისევე როგორც ის გვიმადლოდა.

ცხარე დღეებში როგორ ბოლავდნენ
რად გავიხსენოთ ახლა ზეიმზე,
როცა ჩვენ თვითონ დედა ვოლგამდე
ქალაქებს ვთმობდით ნარდად,
ზედიზედ.

დედა სამშობლოვ, წყნარად
ითვლიდი —
რამდენი შვილის ნახვა გეღირსა,
რამდენს ვერ შეხვდი...
და აქვითინდი
ძლევის ზათქების დაქუხებისას.

სალუტი!
ხუთწლედს ახლად შეება
და მას გვირგვინთა ედგა ნათელი,
ზოგჯერ საკუთარ თავს იხსენებდა
მესამე პირის ნაცვალსახელით.

კრემლში ცხოვრობდა
მკლავდალოცვილი...
ძველ დარბაზების ახალ ბრწყინვაში
ჰვრეტდა თავის თავს ჭაღაროსანი
და ვალმოხდილი ხალხის წინაშე.

საუკუნეთა მიღმა უმზერდა
თავის დიდებას, რასაც ჩამოდგა
ღაღადით ჩვენი გუნდი უმღერდა
და სხვა საქმეთა შორის, ხანდახან
თვით უკვდავების სურდა დანახვა.

ჩქარობდა.
მცირედ ეჩვენებოდა
შეყრა ვოლგასთან წყნარი დონისა,
მოსკოვი მისით ცის თაღს სწვდებოდა.
მსგავსად საოცარ პავილიონისა.
ქალაქმა მხრები
მაღლა აზიდა,
მარტო არხები
არა შვენოდა.
რომ დაენახათ იგი მარსიდან!

ფიქრით მოხაზე ვრცელი მსოფლიო.
როგორც გენებოს, თან მოასწარი —
განა შორს სადღაც, — ახლოს
ცოდვილობს
სმოლენსკის მხარე ომით დამწვარი,
ქვრივი ქალების დარდს მიცემული,
მისგან და ღვთისგან დავიწყებული,

სადაც წაშლილა კვალი ქარბუქით,
კაცი სოფლებში ძვირად შეგხვდება
და მარჩენალი დედა საზურგით
მოსკოვისაკენ მიეხეტება.

მეც შორი სივრცე მიყვარს ძალიან,
ჩემთვის საკუთრივ,
მაგრამ ამ გზაზე,
ძმაო, მე და შენ, ძალო დარია
ბევრჯერ გვინახავს დარდით აღსავსე.

ვერ ანუგეშებს, ვერ გაახარებს
მას მოთმინება, ქოხი ალიზის.
შრომადღე ფუჭი და შრომაოამე
იმ შრომადღეზე უფრო ნაღირსი.
იქვე სარკმელთან ცხრა დღის სამყოფი
საშემოდგომო ყანა-მტკაველი,
ღუმელი დაცლილ პურის სახმობით,
ქოხის შუაში ცეხვი თაველის,
როდინი — მისი სახლის წისქვილი —
განა უხსოვარ დროში ნახმარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინდელ ომის ზღვა სიმძიმილი,
სიმწარე იდგა ქოხში ახალი.
დარდი, ნაღველი, როცა არყევდა,
ვეღარ დაეძრა სიტყვა ხმამაღლა,
საზღვრამდე მოდგა და ვერ გაბედა
სულმა იმ რაღაც წრის გადალახვა.

იმ ზღვართან მოკვდავ მოქალაქეებს
წინ ედგა ზონა გზაჩაკეტილი,
სადაც მცველები ტეხდნენ ღამეებს,
იდგნენ ჭიშკართან გრანიტს
შეზრდილნი.
და. ვინც საწუთროს მწუხრი იხილა.
განა შეეძლო თავთან გამხელა,
რომ კრემლშიც ყველა მისი შვილია.
რასაც არყოფნა ქვია სახელად.

არც ზარბაზანთა მეფემ იჭექა,
არც ზართა მეფის რეკვა გაისმა,
გასაღებებით მიაბიჯებდა
შავი აჩრდილი შუაღამისას.

გააღო ყველა რაზა, საკეტი,
გასცილდა სიგნალ-ზარებს კარებში,
კრემლის დერეფნებს გაჰყვა ავბედი,
შევიდა მასთან საშვებგარეშე.

კი არ იკადრა დაკაკუნება,
ოთახში შედგა ზეძლიერებად,
მან უხმოდ გასცა განკარგულება
და შორს გააგდო მეცნიერება...

ღამე გადატყდა, სარკმლებს მოადგა
სილურჯე ჩუმად. ფარდებს იქიდან,
და ვინც გვივლიდა,
ვინც გამოგვზარდა.
სულ მარტოდმარტო დარჩა
სიკვდილთან.

ეს ასე მოხდა ჩვენს სავალალოდ,
მთელი მსოფლიოს გულშემზარავად,
დღე ჩამოშავდა, ზღვარი გაავლო
კარგა ხანია იმ ზღვარს გაღმა ვართ...

ამბობენ. სანამ მამას ამაგდარს
არ გაასვენებ ცხარე ცრემლებით, —
თავი გგონია კვლავ ახალგაზრდა,
თუნდა მკერდამდე გცემდეს წვერები,

გზას ისევ მამის ნება განიშნებს,
მამის მდიდარი გამოცდილება,
მაგრამ წავა და მასთან მაშინვე
ახალგაზრდობაც ჩამოგცილდება.

და ცხადზე ცხადად, განა ზღაპარში,
როცა დაგვატყდა ელდა მრისხანედ,
თითქოს დავბერდით გლოვის საათში—
არა, დავბრძენდით და გავიზარდეთ.

მწყობრში ვიდექით ჯარისკაცები.
მისი სიკვდილით გულდასერილნი,
მძიმე დუმილის შავი ძაძები
კოლონებიან დარბაზს მოესხა.
იმავე დარბაზს, სადაც ლენინის
კუბოსთან თვითონ იდგა ოდესღაც.

იდგა მწუხარე და თავდახრილი,
მშვიდად მიედო მკერდზე მარჯვენა,
ჯერ წინ უცდიდა ჟამთა ძახილით
მშენებლობების,
შემდეგ ომების
სასტიკი წლები და გამარჯვება.

ყველა თარიღი, ვადა, ეტაპი,
რაც დაგვებედა მიზნად რთულ დროში,
და ეს დღე, ასე მწარე ყველასთვის —
როგორ გვენახა იგი კუბოში...

დიდი სახალხო მწუხარებისას,
როცა მრისხანე მამას ვგლოვობდით.
პასუხი გვეგო — ჩვენ დაგვეკისრა
ყველაფრისათვის ქვეყნად —
ბოლომდის.

მომავლის გზაზე ჯერ არ
შევმკრთალვართ.
საშიშ მოსახვევს შრომით გავცილდით
და განა ღმერთებს, სხვებს დაევალა
გასჭვრიტოს ხვალის შორი მანძილი...

ძალა ეყოფათ თუ არ ეყოფათ —
ამას მომავლის საქმე გვაჩვენებს.
მთელი სისწრაფით მიჰქრის ეპოქა,
უთხარ: „შეჩერდი!“ რა შეაჩერებს!..

ვეღარც უაზრო კამათს შებედავ,
როცა თავის გზას მისდევს გრაგანით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არასოდეს დრო არ შედგება,
იგი თანდათან დგება სხვაგვარი...

მწვანეს იცვამდა მიწა ტანსაცმელს
და ზრუნვით ზრდიდა ყველა
გასაზრდელს.
თავის არჩეულ გზაზე დამდგარი
დიდ საქმეს ქმნიდა ნაამაგარი
ხალხი, ჩვეული მრავალ განსაცდელს.

მთელი ქვეყანა კიდით კიდემდე
აღარ სტოვებდა ღვთის მოიმედეთ
საკუთარ ბედს და ბედს ბავშვებისას,
დაენდო ძალას მძლე მარჯვენისას,
დაეპატრონა ყველა სიკეთეს.

აბა, სხვაგვარად როგორ იქნება! —
წინ იწევს საქმე ახლად დაძრული,
გზად ხალხის დიდი გამოცდილება
და გზნება მისდევს ახალგაზრდული.

თითქოს გამოვხტით
ცხრაკლიტულიდან,
გვინდა აღება ახალ სანგრების...
რა ვუყოთ — თუ არც სასწაულია,
ცდას რომ ამაოდ არ ჩაუვლია —
ამჩნევენ მტრებიც, ამხანაგებიც.

თუ ვინმეს რამე არ ეჭაშნიკა,
სიმართლისათვის უებარია —
მოვნახოთ. ვკითხოთ ძალო დარიას,
დაეჯერება მას ჭეშმარიტად.

ამასაც ვიტყვი: დნეპრის მხარეში
თუ ანგარაზე — სადაც მივლია —
ყველგან შევნიშნე: ხალხის თვალებში
მეტი სიკეთე და სილბილეა.

როგორ გახშირდა ხალხში ღიმილი —
ყველგან ვამჩნევდი გაოცებული,
ქრებოდა დარდი და სიმძიმილი
გრძელი რიგებით გამოწვეული.

გული ხალისით ათარიღებდა
სანატრელ ნიშანს დროის შეცვლისას,
ხალხის ხუმრობას, ხალხის სიმღერას
ვით ზამთრის შემდეგ ჟღურტულს
მერცხლისას.

მინდვრად სიმღერა კარგახანია
აღარ მსმენია და მიხარია,
იგი ჩემს ფიქრებს კვამლად ეხვეოდა.
თითქოს მღერიან სადღაც კინოში.

შორი სათიბის მხრიდან დარეკა
და შეარხია წყნარი საღამო...
აღორძინებულ ხმის ანარეკლად
ჩვენი მამულის და ჩვენს მალამოდ
ჩამესმა, ძმაო, ჰანგი საამო.

საღამოს ბინდით მოცულ ტრამალზე
ხმოვან ჩრდილივით დიდხანს მომდია,
ამო ტკივილით მკერდი ამივსო
ოდნავ მწუხარე, ძველმა მოტივმა.

მცირე ნიშნების ახალ შეძენას
ყამირს შევადრი და, რა თქმა უნდა—
ჩვენი რაკეტის გაკრულ ხელწერას,
რომელიც მთვარეს დარჩა საბუთად.

და წლიდან წლამდე,
ზოლით ზოლამდის,
საფეხურობით გვიცდის რთული გზა,
უბერავს ჩვენი მძლავრი ხომალდის
იალქნებს ქარი საუკუნისა.

ყველა ხალხს, მიწას და სახელმწიფოს,
ახლა რომ კაცი ხელით მისწვდება,
უკვე არ ძალუძს ჩვენ არ მოგვიზღოს
მშვიდობის დროის ქება-დიდება.

დგება თავისი ძალუმ უფლებით
წმიდათაწმიდა ძალა სიმართლის,
მატერიკები და კუნძულები
მოწმეა მისი ფრთების სიმარდის.

დღეს იგი უფრო ფართო, სისხლსავსე
იმედით, საფრთხით მისდევს
ცხოვრებას.
ჩვენ, ეს ჩვენა ვართ დედამიწაზე
და ჩვენ ბევრი რამ
მოგვეთხოვება!

რა გვეგულება უფრო მაღალი,
რაც უქრობ ცეცხლით
გვაქვს დაწერილი:

დიდიც, მცირედიც ვიცნოთ ახალი
ნათელი აზრით, მსგავსად ლენინის.

ჩვენ მასთან გული არ შეგვიკრთება
და ოქროს წიგნში გვერდით არ არის
არც პწკარი, არც რამ მძიმის მაგვარი,
რომ გადაჩრდილოს ჩვენი დიდება,
ღირსება, ხალხის ნაამაგარი.
რაც მოხდა, — მოხდა!
    არ გვავიწყდება!
და რაც დღესა გვაქვს, —
    ისიც აქ არის!

თავით ბოლომდე წიგნი მართალი
გუშინ განცდილით არის აღსავსე,
თანახმად ხალხის ბრძნული ნათქვამის
ერთხელ ნაწერზე
და იმ ნაჯახზე.

იგი სიმართლის დიდი მცველია
გვერდს ვერ აუვლი და გაიძულებს.
ამოიკითხო შიგ რა სწერია:
დუმილი ხშირად უდრის სიცრუეს:

სხვა რომ არ იყოს, ამხანაგებო,
პოეტისათვის რა სასარგებლო
არის დუმილი ახლაც, ამჯერად!..
გამოიძახებს ხვალ საგანგებო
ხალხის სამსჯავრო მას დასასჯელად.

არ მეშინია მსგავსი მსჯავრისა
და, ეგებ, ვუცდი გასამართლებას.
რა ვუყოთ, ბედმა არ მომაღირსა
უფრო ტევადი სიტყვა სათქმელად...

აზრი ბზესავით არ გამიფანტავს
და ჩემი გულით, ჩემი სიცოცხლით
მე პასუხს ვაგებ ყველა სიტყვასთან.
ყველაფრისათვის —
    ჩემი სიცოცხლით!
და ქვეყნად მეტი ვალდებულება
არც მეტი გზნება არ მეგულება
ქვეყნის საქმეზე სასიქადულო!

ბედნიერი ვარ, რომ მაქვს უფლება.
გზაზე შენ გახლდე, ჩემო მამულო!

ახალ უძნელეს გადასასვლელზე
მე შენთან ერთად ამოვისუნთქავ,
ისევ გავყვები გზას თავისუფლად,
მცირეს თუ გრძელ გზას
    მე გამარჯვება შენ მიანდერძე,
ჩემია შენი სევდა, ნაღველი,
ისევე როგორც შენი ძახილი:
მხარში მედექი
ყველგან — ყოველთვის,
გზაზე შეხვდები
სათქმელს პოეტი,
წინ სხვა სივრცეა —
უსაზღვროეთი
და შორეთს იქით
ისევ — შორეთი!

თავი VX

ახალ შორეთამდე

დროა! ამავე სიტყვით დავიწყე
ჩემი რვეული გამგზავრებისას,
ახლა იგივე სიტყვა მაუწყებს:
დროა მგზავრობის დამთავრებისა.

ეჰ, უშორესი გზები, სივრცენი
რარიგ იოლად გამოგეცხადნენ,
ხო — წაგიკითხეთ. დაღლა ვიგრძენით:
როდის მიაღწევ ბოლო ვერსამდე.

და ქვეყნის საქმეს, ამბავს,
    ბედისცვლას..
ხალხის ჭირ-ვარამს თუ გამარჯვებებს.
ათი წლის გრძელი ვადა შეიცავს,
რასაც ათ დღეში უცბად გვიჩვენებ.

დიახ, სწერია: გთხოვთ ყურადღოთ,
მოსამართლენო,
    დრო უთარიღოდ
არ დამიკარგავს, ოდნავ დავშორდი.
მე საგანგებო მქონდა მარშრუტი.

წიგნში ჩატევა როგორ შემეძლო —
რასაც ყოველის ხსოვნა ინახავს,
სწორედ მიცანით, იმ მებრძოლივით,
რომ არ გასცლია ფრონტის წინახაზს.

დიდებისათვის რომ არ იბრძოდა
და არც ტანკისქვეშ წოლა გარისკა...

ჯილდოს ნუ მისცემ. მაგრამ იცოდე —
ხვალაც მოელის ბრძოლა ჯარისკაცს.

რა მოხდა, გზაზე შემაგვიანდა,
საქმეს ამითი ყადრი წაუხდა?
ჩემი გმირები ასე ნიადაგ
მგზავრობენ,
    არც შენ ხარ შინაყუდა.

მკითხველო, ვალში არ დარჩებოდი,
სივრცეთა ცნობას, ნახვას ჩვეული.
და, ალბათ, ბევრის მნახველ ჩემოდნით
ზოგჯერ წაიღე ჩემი რვეულიც.

მაშ იყავ მკაცრი და მომთხოვნელი,
შენიშვნებისთვის გული მზად არის:
ეგებ აზრს ახლავს მკრთალი ქსოვილი.
ეგებ არც თხრობა აქვს თანაბარი.

ეგებ ნათელი საღებავები
არ აქვს. არ გხიბლავს ტონი საერთო,
ეგებ ბოლომდე ცალკე თავები
დარჩნენ უკვანძოდ, უერთმანეთოდ...

თქვენსავით მიყვარს. არ დაგიმალავთ,
თხრობა თავიდან ცხადი, ნათელი,
როცა მთავარ გმირს ხვდება ტიალად
ან მშენებლობა, ანდა არტელი...

სად გამეფებულ ქაოსს საშინელს
ის ფანტავს ხელის ერთი შეხებით
და გმირი ქალიც ბედად მაშინვე
იქვე ჭიშკართან ხვდება შემთხვევით.
იგი უცოლო, ან ცოლს გაყრილი,
ან ცოლისაგან სისხლმოწამლული,
ან ქვრივი არის, ომით დაღლილი.
ან ახალგაზრდა ბრძენი-სწავლული.
წიგნის თავშია. რაც საჭიროა,
ბოლოც წინასწარ თვალსაჩინოა.

ჩემი სინდისი და სიზარმაცეც.
ბოდიში, მაგრამ, ნებას არ მაძლევს
ასე გაშლილად და მიყოლებით
დავწნა მხატვრულად თავი ყოველი.

და ჩემს რვეულში. სწორედ ამიტომ,
რად დაგიმალო,
    ალბათ შეამჩნევ,
არა მყავს ვინმე სამაგალითო,
მთავარ გმირებად ვჩანაფიქრობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ და მე,
როგორც სიმღერაშია.
და ეგებ შევძელ ახსნიანება,
საქვეყნოდ, ლექსით აღიარება
ჩვენი შრომის და ფიქრის ნაწილის,
ჩვენი კაცობის და სიყმაწვილის
და იმედივით წინ რომ გაგვშლია —
ჩვენი შორეთის.
ახლო მანძილის?

რაც მამძიმებდა. რაც მამწარებდა,
რაც შთაგონებით ძალას მმატებდა,
საწუთროს გზაზე რაც მაჩქარებდა. —
დღიურს ვავსებდი მათ ჩასატევად.

მაშინ უცვლელად ჩემი ცხოვრების
აღმართ-დაღმართზე და შორსავალზე
შენში ყოველთვის
საყრდენს ვპოვებდი.
შენ იყავ ჩემი ძმაც, მოსამართლეც.

დიდად მშველოდი, გულით გიმადლი,
აბა, კამათი შენთან რად მინდა,
მაგრამ არც შენ ხარ ღმერთი დიადი,
არ მინდა კულტის შექმნა თავიდან.
შენ, ხან ზემოდან და ხან ქვემოდან
რომ ჩაჰკირკიტებ ბწკარებს ხანდისხან,
შენც შემოწმება მოგიხდებოდა.
აბა ვინ უწყის — რამდენგვარი ხარ?

ხან ძმა ხარ სანდო და ოირსეული,
ხან მკაცრი მამა და ხან მოძღვარი,
ხან ენაგრძელი ფარისეველი,
ხან უჟმური ხარ გასაოცარი,

ხან სუსტ მხარეთა ქება გიტაცებს.
განსჯი საჩქაროდ და გულს მოიფხან.
ხან — მედავითნე ეძებ ციტატებს,
მსაჯული არა, პროკურორი ხარ.

უფრო საშინელ უბედურებას,
სხვა ჭირთან ერთად, ლექსი მოელის,
ღამეებნათევს თუ გეგულება
სახლში წიგნაკი პენსიონერის.

მარტო ამინდის ცოდვილ ბიუროს
როდი ადაგებ, როგორც წესია,

საფოსტო მარკებს ყოველთვიურად
ხმარდება ლამის შენი პენსია.
ჩემი სიკეთის გამო ღაღადებ,
გსურს დამაყენო გზაზე.
„ვინა ხარ?
შენ „ლიტგაზეთში“ გზავნი ბარათებს
და თან „პრავდისთვის“ ასლებს ინახავ.

დრო ჩემი შრომის და მოსვენების
სწავლულთა ნორმით რა ვერ მოხაზე;
სწერ ინსტანციებს შემოქმედების
შემოსავალის მავნებლობაზე.

ან უცებ ისევ ღელვას დაიწყებ,
წერილის გრძელი ენით ამიხსნი:
მთავრობის წევრი ვნახო ჩაიზე
და წინ წავწიო შენი საკითხი.

მაგრამ ეს რაა. ბევრჯერ შეხვდები
ვითომ თავდაბალ ისევ ავადმყოფს,—
მკითხველს ჩამოგავს ერთი შეხედვით,
მაგრამ თავისი ნიჭით ამაყობს...
გენიოსებში ყველას ტოლია,
ჯერ შეუცნობი ლევ ტოლსტოია.

თან ოხრავს იგი: ეჰ, კალმოსნებო,
თუ მოვიცალე, შევძრავ მსოფლიოს...

ხო, ზოგიერთი ასე ოცნებობს,
მაინც მიყვარხარ, ჩემო ძმობილო!

არ დაიღუპე და არც გაბავშვდი,
როცა დედიკო პრესა ალერსით
გკოცნის, გევლება, გისვამს კალთაში:—
დიდი ხარ, შვილო. შენი არ ესმით!
თავს დაგფოფინებს, ღამით
გდარაჯობს,
(მან სიყვარულით ლამის დაგახრჩოს):
— ხო, ეს სჯობს შენთვის,
ეს კი არა სჯობს,
არ მოგიხდება, გაწყენს, დაგაჭკნობს.

მადლობა ღმერთს, რომ დახვალ
ჯანმრთელი,
სიტყვის გამტეხიც არა მგონიხარ,
შენს წინ შორეთის გზაა ნათელი
და შორს თანასწორ მგზავრად
მოდიხარ..

გახსოვს უცოდველ გეგმის გამხელაც?
პირველ სვეტშივე გითხარ შეცდომა,
თუ წაიკითხავ წიგნის ნახევარს. —
ეგებ, ჩაჰყვეთქო ბოლო ფურცლამდე.

მწამს — ჩაიკითხე დაკვირვებულად.
ნელა დახურე. ბოლოს ჩაფიქრდი.
ამოიხვნეშე დაფიქრებულად.
ხომ მოხდა ისე, როგორც დაგპირდი?

ბოდიში. წეღან გითხარ ხუმრობით,
სერიოზულად რაც არ მეთქმოდა..
მიმძიმს დავტოვო, რითაც
ვცხოვრობდი,
ჩემი რვეული აღარ მეთმობა.

არ მენანება, მაგრამ საოცრად
განვიცდი წუთებს ასე სასურველს:
იყო რვეული — წიგნად გადიქცა
და გაჰყვა წიგნებს გზაზე გასულებს.

სივრცეებს მისდევს გატაცებული,
მისი დაწევა არ შეგიძლია..
ვით შენი გოგო ქალად ქცეული,
სხვისია, მაგრამ შენი ღვიძლია.

რას იზამ, შვილებს კერა მამისა
ბოლოს ყოველთვის ევიწროვებათ,
საქმე ის არის, შენგან წასვლისას
რა გაატანე მათ საცხოვრებლად!

აღარასოდეს დავუბრუნდები
ზღვარს მიტოვებულს და ვერც
სტრიქონებს,
ვერც ფურცლებს...
ბევრი დამრჩა უთქმელი,
ბევრი გამომრჩა — ვხვდები
თვითონვე.
როგორც იტყვიან, თავს ვერ დავენდე,
ვერ მოვერიე,
თქმა ვერ გავბედე.

სხვებზე უმეტეს ავტორს თან ახლავს
ერთი ღირსება ამ საწუთროში:
ყველაფერს თვითონ ისმენს ამაყად,
ეგებ ძრახავენ კიდეც ხმამაღლა,

მაგრამ ვერ დაძრავს სიტყვას
ვაგლახად,
თითქოსდა ცოცხლად იწვეს კუბოში.

მაგრამ ნამდვილად თუ ცოცხალია
ახალ ჩანაფიქრს მისდევს ნუგეშით,
ავტორს ძველისთვის სადღა სცალია,
ისევ ებმება მძიმე უღელში.

ტრიალ სივრცეებს უკვე ვშორდები,
ხელი მათ ძმურად გამომიწოდეს,
თან ვემზადები განმეორებით
შენს შესახვედრად, ძმაო, იცოცხე!

ერთად ველოდით გზის დამთავრებას,
ახლა უსაქმოდ რად ვიცოდვილოთ,
ისევ შევხვდებით თანამგზავრებად
და ერთად ვნახავთ
ახალ მსოფლიოს,
ნახვამდის, ჩემო ძველო ძმობილო!

თარგმნა **ოთარ ჭელიძემ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდრიხ დიურენმატი

ავარია

ამბავი, რომელიც შესაძლებელია კიდევ მოხდეს

პირველი ნაწილი

ნუთუ კიდევ დარჩა ამ ქვეყნად მოუთხრობელი ამბავი, რომლისთვისაც არცერთ მწერალს არ მიუგნია? ნუთუ არავინ ისურვებს მოგვითხროს საკუთარ თავზე, რომანტიკულად, ლირიკულად განაზოგადოს თავისი „მე"? ხომ არ გრძნობს იძულებას ილაპარაკოს თავის იმედებსა და დამარცხებებზე? ამასთანავე ილაპარაკოს მართლად! გვიამბოს თავის ქცევაზე, ქალებთან დროსტარებაზე, გვიამბოს ისე, რომ ეს ჭეშმარიტება ზოგადპრინციპში აიყვანოს და არ გადაიჩეხოს ვიწრო სამედიცინო, თუნდაც ფსიქოლოგიურ ასპექტში? ნუთუ არავინ არ მოისურვებს ასე მოიქცეს, რომ უმალ ტაქტიანად უკან დაიხიოს, პირადი თავაზიანად მიჩქმალოს, მასალა დაამუშაოს ისე, როგორც მოქანდაკე ამუშავებს მას, მასთან ერთად განვითარდეს, კლასიკოსების მსგავსად ეცადოს, უცებ არ შეიპყროს სასოწარკვეთილებამ, მაშინაც კი, როდესაც მტკნარი სისულელე ძნელი უარსაყოფი იქნება, სისულელე, რომელიც ყველგან თავს იჩენს ხოლმე. წერა თანდათან ძნელი, უფრო და უფრო ფუჭი და უაზროც კი ხდება. ლიტერატურის ისტორიაში კარგი ნიშნის მიღება დიდი ვერაფერი ბედენაა — ვის არ მიუღია კარგი ნიშანი? როგორი მაკულატურა არ გამხდარა ჯილდოს ღირსი, — დღევანდელობის მოთხოვნები უფრო მნიშვნელოვანია. მაგრამ აქვე, ამწამში წარმოიშვება დილემა და ბაზრის არახელსაყრელი მდგომარეობა. ცხოვრება მხოლოდ თავშექცევას გვთავაზობს, საღამოთი კინოს, ყოველდღიური გაზეთის კაბადონზე პოეზიას, უფრო მეტისთვის, უკვე ერთი ფრანკისთვის სულს მოგთხოვენ, მოგთხოვენ აღსარებას, ნამდვილ ფაქტებს; დარიგებულ უნდა იქნას მაღალი ღირებულებანი, მორალი, გამოსადეგი სენტენციები. დაძლეულ უნდა იქნას, ანდა დამკვიდრდეს, ხან ქრისტიანობა, ხან მოდად ქცეული სასოწარკვეთილება, საერთოდ კი — ლიტერატურა. მაგრამ თუკი ავტორი ამაზე სულ უფრო და უფრო ჯიუტად იტყვის უარს, რადგან მისთვის ისედაც ნათელია, რომ მისი მწერლობის საფუძველი თვითონ მასშივე, მის ცნობიერსა და არაცნობიერში ძევს (რომელთა ურთიერთშეფარდება გარკვეულ შემთხვევებზეა დამოკიდებული), მის რწმენასა და ეჭვებში, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ფიქრობს, რომ სწორედ ეს არ ეხება მკითხველ საზოგადოებას, და საკმარისია მხოლოდ ის, რასაც იგი წერს, ძერწავს, გამოსახავს, მადის აღმძვრელად აჩვენებს ზედაპირს, და მას შეუძლია დანარჩენის შესახებ კრინტიც არ დასძრას, არც კომენტარები დაურთოს, არც ილაყბოს? ასეთ შეგნებამდე მისული, იგი შეჩერდება, დაიწყებს ყოყმანს, ეს თითქმის გარდუვალი იქნება. ისეთი წინათგრძნობა წარმოიშვება, თითქოს მეტი აღარაფერი იყოს საამბობი, სერიოზულად იწყებ აწონ-დაწონას, ხომ არ

სჯობს თავი დაანებო მწერლობას? შესაძლებელია კიდევ ს

გარაჟის მეპატრონემ, რომელმაც ბოლოს და ბოლოს სტუდაბეიკერი თავის სახელოსნოში მიათრია, განაცხადა: შეკეთება ხვალ დილამდე არ მოხერხდება, ბენზინის მიმწოდებელია გაფუჭებულიო. მართალი იყო თუ არა ეს, ძნელი გახლდათ ამის გარკვევა და მიზანშეუწონელიც იყო. არც ღირდა ამაზე ფიქრი. გარაჟის მეპატრონეებს ხომ ისე ვემორჩილებით, როგორც ოდესღაც ყაჩაღ რაინდებს, ხოლო უფრო ადრე კი ადგილობრივ ღმერთებს და დემონებს ვემორჩილებოდით. თითქოს უფრო მოხერხებული იყო, ნახევარი საათის საკალზე უახლოეს სადგურზე დაბრუნებულიყო ტრაპსი და მართალია, რამდენადმე რთული, თუმცა მოკლე გზით შინ მისულიყო, თავის ცოლთან და ოთხ ბავშვთან, (ოთხივე ბიჭები იყვნენ). მაგრამ ტრაპსმა გადაწყვიტა, ღამე აქ გაეთია. საღამოს ექვსი საათი იყო, ცხელოდა, ყველაზე გრძელი დღეები იდგა; სოფელი, რომლის განაპირასაც გარაჟი მოჩანდა, მიმზიდველად გამოიყურებოდა და მიმოფანტული იყო ტყიან ბორცვებზე; პატარა ბექობზე მოჩანდა ეკლესია, პასტორის სახლი და ერთი უძველესი, ძლიერი რკინის სალტეებითა და ბოძკინტებით გამაგრებული მუხა. ყველაფერი ეს გამოიყურებოდა სოლიდურად, სუფთად, ელეხების სახლის წინ ნაკელიც მზრუნველობით იყო ფენებად დაწყობილი და თავმოყრილი. მოსჩანდა აგრეთვე პატარა ფაბრიკა, რამდენიმე ლუდხანა და სასტუმრო, რომლის ქებაც ტრაპსს ერთხელ უკვე მოსმენილი ჰქონდა, მაგრამ სასტუმროში ყველა ოთახი მესაქონლეების ყრილობის მონაწილეებს დაეკავებინათ. კომივოიაჟერს ერთ ვილაზე მიუთითეს, სადაც, როგორც შეიტყო, ხანდახან ადამიანებს თავშესაფარს აძლევდნენ. ტრაპსი ყოყმანობდა. ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო მატარებლით შინ დაბრუნება, მაგრამ იმედოვნებდა, რომ რაიმე თავგადასავალი შეემთხვევოდა. ხომ შეიძლებოდა სოფელში ყოფილიყვნენ გოგონები, როგორც ეს ამასწინათ გროსბისტრიგენში მოხდა. ადვილი შესაძლებელი იყო, კომივოიაჟერი აქაც სათანადოდ დაეფასებინათ. ამ ფიქრებით [illegible] ტრაპსმა ვილასკენ გასწია. ეკლესიიდან ზარების ხმა ისმოდა. დამფრთხალი ძროხები ბღავილით უქცევდნენ გვერდს. დიდ ბაღში ერთსართულიანი სოფლური სახლი იდგა. კედლები თეთრად უბრწყინავდა, ბრტყელი სახურავი და მწვანე დარაბები ჰქონდა; სახლი სანახევროდ წიფელითა და ნაძვებით იყო დაფარული. ქუჩის მხრიდან ბუჩქები ერტყა, მეტწილად ვარდების. მათ შორის ტყავის ქურთუკიანი ხანდაზმული მამაკაცი მოჩანდა, შესაძლებელია, ეს სახლის პატრონი იყო, რომელიც ბაღის მსუბუქი სამუშაოთი ირთობდა თავს.

ტრაპსი მოხუცს გაეცნო და ღამის გასათევი სთხოვა.

„თქვენი პროფესია?“ — ჰკითხა მოხუცმა და ღობეს მოადგა, თან სიგარას ეწეოდა და ბაღის კარებს ძლივს სწვდებოდა.

„საფეიქრო საქმიანობას ვეწევი!“

მოხუცმა თავისი ჩვეულების მიხედვით ყურადღებით აათვალ-ჩათვალიერა ტრაპსი შორსმხედველი უჩარჩოო პატარა სათვალის ზემოდან: „რასაკვირველია, შეგიძლიათ აქ ღამის გათევა“.

ტრაპსმა ფასი ჰკითხა.

ამისათვის ჩვეულებრივ არავის არაფერს ვახდევინებო, განუცხადა მოხუცმა, მარტოდ-მარტო ვარ, ჩემი ვაჟი ამერიკის შეერთებულ შტატებშია, მხოლოდ ერთი მოსამსახურე მივლის. — მადმუაზელი სიმონე, და იგი მოხარულიც იქნება, თუკი ზოგჯერ ვინმე სტუმარს თავშესაფარს მისცემსო.

კომივოიაჟერმა მადლობა გადაუხადა. ასეთმა სტუმართმოყვარეობამ გულიც კი აუჩუყა და გაიფიქრა, სოფელში ძველი ადათ-წესები ჯერ კიდევ ცოცხლობენო. ბაღის კარები გაიღო. ტრაპსმა ირგვლივ მიმოიხედა: მოხრეშილი ბილიკები, გაზონები, ფანჩატურების რიგი. მზით გასხივოსნებული ადგილები.

დღეს საღამოს რამდენიმე ბატონს ვე-

ლოდებიო, უთხრა მოხუცმა, როდესაც ისინი ყვავილებს მიუახლოვდნენ. მან ერთ ვარდის ბუჩქს რტო სათუთად შეაჭრა. მეზობლად მცხოვრები მეგობრები მეწვევიან. ზოგი მათგანი სოფელში, ზოგიც კი გორის გადაღმა ცხოვრობს, ჩემსავით პენსიონერები არიანო; ისინი აქ დასახლდნენ რბილი ჰაერის გამო, და იმისთვისაც, რომ აქ არ იგრძნობა თბილი, მშრალი ქარი; ყველანი მარტოხელები არიან, ყველაფერს ახალს ცნობისმოყვარეობით უყურებენ. ახალ-ახალი და საჭირბოროტო საკითხები აინტერესებთო. ამიტომ იგი კმაყოფილი იქნება თუ კი ბატონი ტრაპსი ამ საღამოთიც და შემდეგაც მათ საზოგადოებას ესტუმრება და მათთან ერთად ივახშმებს.

კომივოიაჟერი შეყოყმანდა. მას ჩვეულებრივ სურდა სოფელში ევახშმა. საყოველთაოდ ცნობილ სასტუმროში, მაგრამ შემოთავაზებულ წინადადებაზე უარი ვერ უთხრა. იგი თავის თავს დავალებულად თვლიდა; მან ხომ მიპატიჟება მიიღო, ღამე უფასოდ გაეთია. არ სურდა უკულტურო ქალაქელ კაცად მიეღოთ იგი. ისე მოიქცა, თითქოს, გაუხარდა კიდევაც. მასპინძელმა შეიყვანა სახლში და ერთი სასიამოვნო ოთახი მიუჩინა: აქ იყო პირსაბანი, ფართო საწოლი, მაგიდა, მოხერხებული სავარძელი, კედელზე ეკიდა ჰოლდერის ნახატი, წიგნების თაროზე ეწყო ძველი ტყავგადაკრული ტომები. კომივოიაჟერმა პატარა ჩემოდანი გახსნა, პირი დაიბანა, გაიპარსა, ოდეკოლონი ისხურა, ფანჯარასთან მივიდა და სიგარეტს მოუკიდა. მზის დიდი სხივი ბორცვიდან ჩამოცურდა, წიფლნარი გაანათა. ტრაპსმა წუთით იმდღინდელი თავისი საქმიანობა გაიხსენა: სააქციონერო საზოგადოების წარმომადგენლის მოხსენება, ნედლეულის ნაკლებობა... ის ლაწირაკი ხუთ პროცენტს მოითხოვს. დამაცადოს იმ მართლა ლაწირაკმა, მოვუგრეხ კისერს. შემდეგ მოგონებებში ჩაეფლო. გაახსენდა ყოველდღიური საქმიანობა, მოუწესრიგებლობა, მოსალოდნელი ცოლ-ქმრული ფიცის გატეხვა სასტუმრო ტურინში, კითხვა, უყიდოს თუ არა ყველაზე უმცროსს (რომელიც მას ყველაზე მეტად უყვარს) ელექტროკინიგზა. თავაზიანობა და საერთო მოვალეობა მოითხოვდა ცოლისათვის ტელეფონით დაერეკა და ეცნობებინა, მოულოდნელი საქმის გამო შევფერხდებიო. მაგრამ ეს მოსაზრება უარყო, როგორც ხშირად სჩადიოდა ამას. ცოლი ასეთებს მიჩვეული იყო და ამას გარდა, მაინც არ დაუჯერებდა. ტრაპსმა დაამთქნარა, ერთი სიგარეტიც გააბოლა. იგი ხედავდა მოხრეშილ ბილიკზე როგორ მოაბიჯებდა სამი მოხუცი ბატონი, ორი ერთმანეთის მხარიმხარ მოდიოდა, ერთი ძლიერ ჩასუქებული მელოტი კი მათ უკან მოყვებოდა. მისალმება, ხელის ჩამორთმევა, გულში ჩაკვრა, საუბარი ვარდებზე. ტრაპსი ფანჯარას მოსცილდა და წიგნის თაროსთან მივიდა. სათაურების მიხედვით, რაც მან წაიკითხა, მოსალოდნელი იყო მოსაწყენი საღამო: ჰოტცენდორფი — „მკვლელობა და სიკვდილით დასჯა“, სავინი — „თანამედროვე რომის სამართალი“, ერნსტ დავიდ ჰიოლე—„დაკითხვის პრაქტიკა“. კომივოიაჟერი ყველაფერს მიხვდა. მისი მასპინძელი იურისტი იყო, შესაძლოა ყოფილი ვექილი. ტრაპსი საფუძვლიანი მსჯელობისათვის მოემზადა. რა ესმოდა ასეთ განსწავლულს, როგორიც მისი მასპინძელი იყო ნამდვილი ცხოვრებისა? არც არაფერი, და კანონებიც სწორედ ამიტომ არსებობენ. ტრაპსს იმისიც უნდა შინებოდა, რომ ხელოვნებაზე ან მსგავს რაიმეზე ჩამოვარდებოდა საუბარი, რაშიაც იგი სულ ადვილად შეირცხვენდა თავს. მასაც ბევრი ეცოდინებოდა ამ მაღალი საგნების შესახებ, საქმოსნების შუაგულში რომ არ ეტრიალა. ტრაპსი უხალისოდ ჩავიდა ქვევით, სადაც ღია, ჯერ კიდევ მზის სხივებით აფორაჯებულ ვერანდაზე დასხდნენ ყველანი. ამ დროს ეკონომი ქალი, ზორბა დედაკაცი, გვერდით სასადილო ოთახში სუფრას შლიდა. ტრაპსი მაინც შეცბუნდა იმ საზოგადოების დანახვაზე, რომელიც ელოდებო-

და. მას გაეხარდა, როდესაც ვერანდაზე გამოსული მასპინძელი პირველად მას მიესალმა. მასპინძელი ფრანტს ჰგავდა, შეთხელებული თმა გულდასმით დაევარცხნა, ძალიან ფართო სერთუკი ეცვა. ტრაპსს სხვებიც მიესალმნენ. კომივოიაჟერმა განცვიფრება დაფარა, ჩაიბუტბუტა, ძალიან მოხარული ვარო და ციკად, თავდაჭერილად მიესალმა. მან წუთით საფეიქრო დარგის მაღალი რანგის სპეციალისტის როლი გაითამაშა და ნაღვლიანად გაიფიქრა, ამ სოფელში მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ დავრჩი, იქნებ ვინმე გოგონასთან დრო გამეტარებინა, მაგრამ როგორც ვხედავ ეს ოცნება განუხორციელებელი დამრჩებაო. ტრაპსმა გადახედა სამ მოხუცს, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდნენ ახირებულ მასპინძელს. მოხუცები უზარმაზარი ყვავებივით ჩამომსხდარიყვნენ ზაფხულის მზით განათებულ, დაწნული ავეჯით და მსუბუქი ფარდებით მორთულ აივანზე. ყველაფერი ეს, ძალიან მოძველებული, ჭუჭყიანი და უყურადღებოდ მიტოვებული ჩანდა, მათი სერთუკები კი საუკეთესო მატერიისა იყო. მატერიის ავკარგიანობა კომივოიაჟერმა მაშინვე დაადგინა; გამონაკლისი იყო ერთი მელოტი კაცი (პილე იყო მისი სახელი, სამოცდაჩვიდმეტი წლისაა, აუწყა მათ სახლის პატრონმა გაცნობისას, როდესაც პილე დაჯდომას აპირებდა), რომელიც მყარად და ღირსეულად იჯდა არაჩვეულებრივად მოუხერხებელ ტაბურეტზე, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ უამრავი მოხერხებული სკამები იდგა; იგი ზომაზე მეტად წელში გამართული იჯდა, საღილეში თეთრი მიხაკი გაერჭო და გამუდმებით შავად შეღებილ ბუჩქის მსგავს ულვაშებზე ისვამდა ხელს, რასაკვირველია, — პენსიონერი, შესაძლებელია წინათ იგი ბედნიერი შემთხვევის გამო გამდიდრებული მონასტრის მსახური ან საკვამურების მწმენდავი, შესაძლებელია, მემანქანეც კი იყო. კიდევ უფრო მოტეხილი ჩანდა დანარჩენი ორი კაცი. ერთი მათგანი (ბატონი კუმერი, ოთხმოცდაორი წლისა) პილეზე უფრო სრული იყო, უზომოდ ჩასუქებული, ისე თმაჭაღარა ბალიშებისაგან იყო შეკერილი. [illegible] სარწეველა სავარძელში იჯდა, ლოთის ცხვირი ჰქონდა, ძალზე წითელი და უზარმაზარი. ოქროს პენსნეს შიგნით სიცოცხლით სავსე გუდალი თვალები მოუჩანდა, ამასთანავე, რასაკვირველია, უყურადღებობის გამო, შავი კოსტუმის ქვეშ ღამის ხალათი ეცვა, ხოლო ჯიბეები გაზეთებითა და ქაღალდებით ჰქონდა გამოტენილი; მეორეს (ბატონი ცორნი, ოთხმოცდაექვსი წლისა), მაღალსა და გამხდარს, მარცხენა თვალზე მონოკლი ეკეთა, სახეზე ნაიარევი ემჩნეოდა. მას კეხიანი ცხვირი, ჩავარდნილი პირი და ლომის ფაფარივით გაშლილი თოვლივით თეთრი თმა ჰქონდა. იგი მართლაც რომ გუშინწინდელი დღის გამოცხადებას გავდა, ჟილეტი მრუდედ ჰქონდა შეკრული და ფეხთ სხვადასხვა წინდა ეცვა.

„ინებებთ კამპარს?“ ჰკითხა მასპინძელმა.

„სიამოვნებით“, უპასუხა ტრაპსმა და სავარძელში ჩაჯდა, ამ დროს მაღალი და გამხდარი ბატონი ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა ტრაპსს მონოკლით.

„ბატონი ტრაპსი, ალბათ, მონაწილეობას მიიღებს ჩვენს თამაშში?“

„რასაკვირველია“.

მოხუც ბატონებს ეღიმებათ, თავს აქიცინებენ.

„ჩვენი თამაში, შესაძლებელია, რამდენადმე არაჩვეულებრივი მოგეჩვენოთ, ფრთხილად ჩაუკრა მასპინძელმა,—თამაშის აზრი ის არის, რომ საღამოობით ჩვენს ძველ პროფესიას ვიხსენებთ“.

ტრაპსი გაოცდა, როგორ უნდა გაეგო ეს?

„მაშ ასე“, დააზუსტა მასპინძელმა, „მე ოდესღაც მოსამართლე ვიყავი, ბატონი ცორნი პროკურორი, ხოლო ბატონი კუმერი ვექილი. ასე და ამგვარად, ჩვენ ვთამაშობთ სასამართლოს პროცესს“.

„აი, თურმე რა ყოფილა“, მიხვდა ტრაპსი და ეს აზრი მისაღებად მოეჩვენა, იმედი მიეცა, შეიძლება საღამო ჯერ კიდევ არაა დაკარგულიო.

მასპინძელმა აღფრთოვანებული თვალებით შეათვალიერა კომივოიაჟერი. ერთი სიტყვით, ეანმარტა მან ნაზი ხმით, ჩვენ წარმოვადგენთ ცნობილ ისტორიულ პროცესებს, სოკრატეს პროცესს, ქრისტეს პროცესს, ჟანა დარკის პროცესს, დრეიფუსის პროცესს, უახლოესი დროის, — რაიხსტაგის დამწველთა პროცესს, ხოლო ერთხელ ფრიდრიხ დიდს შეფობაც კი ჩამოვართვით.

ტრაპსი გაოცდა. „ასე თამაშობთ თქვენ ყოველ საღამოს?“

მოსამართლემ თავი დაუქნია.

— მაგრამ, რასაკვირველია, ყველაზე შესანიშნავია ის,—განაგრძო მან,—როცა სათამაშო საგანი ცოცხალი არსებაა, რაც ხშირად განსაკუთრებულად საინტერესო სიტუაციას ქმნის; გუშინწინ პარლამენტის ერთ წევრს, რომელმაც სოფელში საარჩევნო სიტყვა წარმოთქვა და ამის გამო უკანასკნელ მატარებელზე დააგვიანდა, შანტაჟისა და ქრთამისათვის თოთხმეტი წლის ციხე მივუსაჯეთ.

„მკაცრი სასამართლოა“, შენიშნა გამხიარულებულმა ტრაპსმა.

„სინდისის საქმეა“, სახე გაუბრწყინდათ მოხუცებს.

რა როლის შესრულება შემიძლია, კითხულობს ტრაპსი.

კვლავ ღიმილი, თითქმის სიცილი.

მოსამართლე, პროკურორი და ვექილი უკვე გვყავს, ეს ისეთი თანამდებობებია, რომლებიც საქმის ცოდნასა და თამაშის წესების ცოდნას მოითხოვენო, შენიშნა მასპინძელმა, მხოლოდ ბრალდებულის ადგილია თავისუფალი, მაგრამ ბატონ ტრაპსს არავითარ შემთხვევაში არ ვაიძულებთ მონაწილეობა მიიღოს ჩვენს თამაშში, მასპინძელმა ეს, ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა.

კომივოიაჟერი მოხუცი ბატონის წინადადებამ გაახარა. საღამო გადარჩენილი იყო. ადგილი არ ექნება ჭკუის სწავლებას, არც მოწყენას, ეტყობოდა, მხიარული საღამო იქნებოდა. ტრაპსი ერთი უბრალო ადამიანი იყო, რომელიც არ გამოირჩეოდა აზროვნების განსაკუთრებული სიძლიერით და ასეთი საქმეებისადმი მიდრეკილებით, საქმიანი კაცი იყო, გამოცდილი, საჭიროების შემთხვევაში, ყველაფერს იკადრებდა, ამასთანავე სიამოვნებას გვრიდა კარგი ჭამასმა, მწარე ხუმრობა. მონაწილეობას მივიღებ თამაშში, ეანაცხადა ტრაპსმა, ჩემთვის ბედნიერებაა, ბრალდებულის დაობლებული ადგილი დავიკავო.

„ვაშა“, წამოიჩხავლა პროკურორმა და ტაში შემოჰკრა, — „ვაშა, ამას ჰქვია კაცის სიტყვა, ამას მე ვუწოდებ გულადობას“.

კომივოიაჟერმა ცნობისმოყვარეობით იკითხა, რა დანაშაული გსურთ მომაწეროთო.

„ეგ არსებითი არაა,— უპასუხა პროკურორმა, თან მონოკლს წმენდდა. — დანაშაული ყოველთვის გამოიძებნება“.

ყველამ გაიცინა.

ბატონი კუმერი წამოდგა.

„წამობრძანდით ბატონო ტრაპს“, უთხრა მან თითქმის მამობრივად — „ჯერ ჩვენ მასპინძლის პორტვეინი დავაჭაშნიკოთ, პორტვეინი ძალიან ძველია, აუცილებლად უნდა გასინჯოთ“.

კუმერმა ტრაპსი სასადილო ოთახში გაიყვანა. დიდი მრგვალი მაგიდა უკვე საზეიმოდ იყო გაწყობილი. ირგვლივ მაღალზურგიანი ძველი სკამები იდგა. კედლებზე გახუნებული სურათები ეკიდა, ძველებური, ყველაფერი სოლიდური იყო... ვერანდიდან ისმოდა მოხუცების ლაყბობა. ღია ფანჯრიდან ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივი ბრწყინავდა, ისმოდა ჩიტების ჟღურტული, ერთ მაგიდაზე ბოთლები ეწყო, ბუხარზე ჩამწკრივებული იყო ბორდოს ღვინით სავსე დაწნული ბოთლები. ვექილმა ოდნავ აკანკალებული ხელით დიდი მზრუნველობით დაასხა ორ ჭიქაში ძველი ბოთლიდან პორტვეინი, პირთამდე გაავსო. კომივოიაჟერის ჭიქას მიუჭახუნა, ჯანმრთელობა უსურვა და ძვირფასი სით-

ხით სავსე ჭიქა ფრთხილად მიაწოდა.

ტრაპსმა მოსვა. „ჩინებულია“, შეაქო მან.

„მე თქვენი ვექილი ვარ, ბატონო ტრაპს“, — უთხრა ბატონმა კუმერმა. „მაშ, შევსვათ კეთილი მეგობრობის სადღეგრძელო!“

„კეთილი მეგობრობის სადღეგრძელო იყოს“.

— ყველაზე კარგი იქნება,—განაცხადა ვექილმა და თავისი წითელი სახე, ლოთის ცხვირი და პენსნე ტრაპსს ახლოს მიუტანა, ისე ახლოს მიუტანა, ისე ახლოს მიიწია, რომ უზარმაზარი ღიპით, ამ უსიამოვნო რბილი მასით, ტრაპსს შეეხო, — ყველაზე კარგი იქნება, თუკი ბატონი ტრაპსი ახლავე იტყვის სიმართლეს თავის დანაშაულებათა შესახებ. მაშინ მას შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ გასამართლების დროს თავს დააღწევს გაჭირვებულ მდგომარეობას; სიტუაცია არც თუ მაინცდამაინც საშიშია, მაგრამ არც მისი შეუფასებლობა გვარგებს, უნდა გვეშინოდეს მაღალი, გამხდარი პროკურორისა, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩა სულიერი ძალა; მოსამართლე-მასპინძელიც — სამწუხაროდ უფრო სიმკაცრისაკენ და შესაძლებელია, პედანტიზმისაკენაც კი იხრება, რაც სიბერეში — იგი სამოცდათვრამეტ წელს ითვლის — უფრო გაუძლიერდა. მიუხედავად ამისა, მან, როგორც ვექილმა, შესძლო მეტიწილი საქმეები თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა, ანდა ის მაინც მოეხერხებინა, რომ დამნაშავესთვის სახრჩობელა აეცილებინა. მხოლოდ ერთხელ, როცა საქმე გაძარცვის მიზნით ჩადენილ მკვლელობას ეხებოდა, ვერაფრის გაკეთება ვერ შესძლო. მაგრამ ახლა საკითხი სულაც არ ეხება გაძარცვის მიზნით ჩადენილ მკვლელობას, ყოველშემთხვევაში ბატონი ტრაპსი არ ჰგავს ასეთს, ან იქნებ...?

სამწუხაროდ მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენიაო, გაიცინა კომივოიაჟერმა, და შემდეგ დაუმატა: „თქვენი ჯანმრთელობისა იყოს!“

„გამოტყდით“, გაამხნევა ვექილმა, „ჩემი არ უნდა შეგრცხვეთ. მე ვიცნობ ცხოვრებას, ვერაფრით [illegible] იმდენი ამბები მომხდარა [illegible] ბატონო ტრაპს, უფსკრულებს ეხებოდა ფარდა, თქვენ ამაში უნდა მერწმუნოთ“.

ჩემთვის ძლიერ სამწუხაროა, ჩაიცინა კომივოიაჟერმა, ნამდვილად, ისეთი ბრალდებული ვარ, რომელიც უდანაშაულოდ დგას თქვენს წინაშე. დანაჩინი კი პროკურორის საქმეა, აღმოაჩინოს დანაშაული. ეს თვითონ პროკურორმა თქვა, საჭიროა ადამიანი სიტყვაზე გამოიჭიროო. თამაში თამაშია. ძალიან მაინტერესებს რა გამოვა აქედან. მოეწყობა თუ არა ნამდვილი დაკითხვა?

„მე ვფიქრობ, კი!“

„მე ეს მახარებს“.

ვექილის სახეზე ეჭვი გამოისახა.

„ბატონო ტრაპს, თქვენ უდანაშაულოდ გრძნობთ თავს?“

კომივოიაჟერს გაეცინა: „სრულებით უდანაშაულოდ“, ამაზე ლაპარაკი სასაცილოდაც მიმაჩნიაო.

ვექილმა პენსნე გაწმინდა. „კარგად დაიმახსოვრე, ჩემო კეთილო მეგობარო, ხართ თუ არა უდანაშაულო, იქ გამოჩნდება! ძალიან საშიშია — რბილად რომ ვთქვათ — ჩვენი სასამართლოს წინაშე უცოდველად მიიჩნიოთ თავი, პირიქით, ყველაზე ჭკვიანური იქნება, ახლავე რაიმე დანაშაული აღიაროთ, მაგალითად, საქმოსანი ადამიანებისათვის დამახასიათებელი სასარგებლო ტყუილის თქმა. შემდეგ, დაკითხვისას დადგინდება, რომ ბრალდებული აჭარბებს, რომ ეს ტყუილი კი არა, სარეკლამო საქმის ნიადაგზე წარმოშობილი უწყინარი ფაქტია, რაც ვაჭრობაში ძალიან ხშირად ჩვეულებრივი მოვლენაა. დამნაშავემ რომ თავისი უდანაშაულობა დაამტკიცოს, მართალია, ძალიან ძნელია, მაგრამ სრულებითაც არ არის შეუძლებელი; პირიქით, სწორედ უიმედოა, საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება რომ სცადოთ, შედეგი გამანადგურებელი იქნება. თქვენ აგებთ იქ, სადაც მოგება შეგეძლოთ, ამასთანავე

თქვენ შეგეძლოთ დანაშაული თვითონ ამოგერჩიათ. ახლა კი, რაც მათ სურთ, იმას მოგახვევენ თავს“.

კომივოიაჟერმა მხიარულად აიჩეჩა მხრები. ძალიან მწყინს, ვერაფრით შემიძლია გემსახუროთ, რადგან კანონის საწინააღმდეგო არაფერი ჩამიდენია. ეს ტრაპსმა მტკიცედ წარმოსთქვა.

ვექილმა პენსნე ისევ გაიკეთა. ტრაპსთან ძალიან გამიჭირდებაო, გაიფიქრა გაოგნებულმა ვექილმა.

„უპირველეს ყოვლისა“, დაასკვნა მან საუბრის დასასრულს, „ყოველი სიტყვა მოიფიქრეთ, ზედმეტი არაფერი წამოგცდეთ, თორემ, ნახავთ, რომ ხანგრძლივი დროით ციხეს მიგისჯიან, ისე რომ, შველა შეუძლებელი იქნება“.

ამ დროს სხვებიც მოვიდნენ. მრგვალ მაგიდას ირგვლივ შემოუსხდნენ. გულითადი კამპანია და ხუმრობანი განახლდა. თავდაპირველად სხვადასხვაგვარი საუზმე მოართვეს, ცივი ხორცი, რუსულად დამზადებული კვერცხი, ხამანწკები, კუს სუფი. განწყობილება შესანიშნავი იყო, სიამოვნებით ხვრეპდნენ წვენს, მოურიდებლად აწკლაპუნებდნენ პირს.

„აბა, ბრალდებულო, რა შეგიძლიათ გვითხრათ, ვიმედოვნებ მნიშვნელოვანი მკვლელობა გექნებათ ჩადენილი“, წამოიჩხავლა პროკურორმა.

ვექილმა პროტესტი განაცხადა: „ჩემი კლიენტი უდანაშაულო ბრალდებულია, ესე ვთქვათ, იურისპრუდენციისათვის იშვიათი შემთხვევაა. ამტკიცებს, უდანაშაულო ვარო“.

„უდანაშაულო?“ გაიკვირვა პროკურორმა. სახეზე ნაიარევი ადგილები შეუწითლდა, მონოკლი ლამის თეფშში ჩაუვარდა, შავ თასმაზე აქეთ-იქით ქანაობდა. ქონდრისკაცი — მოსამართლე, რომელიც სუფში პურს ალბობდა, შეჩერდა, კომივოიაჟერი საყვედურით შეათვალიერა, თავი გააქან-გამოაქანა; მელოტი, სიტყვაძვირი, თეთრ მიხაკიანი პილეც გაკვირვებული დააცქერდა ტრაპსს. შემაშფოთებელი სიჩუმე ჩამოწვა. აღარც დანა-ჩანგლის ხმაური ისმოდა, არც ქოშინი და არც ხვრეპის ხმა. მხოლოდ სიმონეს ქირქილი აღწევდა ოთახიდან.

„უნდა შევამოწმოთ“, როგორც იქნა, ბოლოსა და ბოლოს, გონს მოეგო პროკურორი, „რაც არ არის, ვერც ვიპოვით“.

„დავიწყოთ“, გაიცინა ტრაპსმა. „თქვენს განკარგულებაში ვარ!“

თეეზზე ღვინო მოართვეს, მსუბუქი, შუშხუნა ღვინო, „რა გაეწყობა“, თქვა პროკურორმა, თან კალმახს შიგნავდა. „ახლავე ვნახავთ. ცოლიანი ხართ?“

„უკვე თერთმეტი წელიწადია“.

„ბავშვები გყავთ?“

„ოთხი“

„პროფესია?“

„საფეიქრო დარგის სპეციალისტი“

„უფრო სწორად, კომივოიაჟერი, არა, ვირფასო ბატონო ტრაპს?“

„მთავარი წარმომადგენელი ვარ“

„კეთილი ავარია ხომ არ შეგმთხვევიათ?

„სრულიად შემთხვევით. პირველად ამ წლის მანძილზე“.

„ჰო? წინა წლებში?

„მაშინ ჯერ ისევ ძველი მანქანით დავდიოდი“, განმარტა ტრაპსმა.

„1939 წელს გამოშვებული „სიტროენი“ მყავდა, ახლა კი წითლად შეღებილი, ექსტრამოდელის სტუდაბეიკერი“.

„სტუდაბეიკერი, დახეთ, საინტერესოა და ისიც ასეთი მოკლე დროის მანძილზე შეიძინეთ? ადრე არ იყავით მთავარი წარმომადგენელი?“

„უბრალო, ჩვეულებრივი კომივოიაჟერი ვიყავი საფეიქროში“.

„ეს კონიუნქტურაა“, თავი დაუქნია პროკურორმა.

ტრაპსის გვერდით ვექილი იჯდა. „ფრთხილად იყავით“, წასჩურჩულა მან.

კომივოიაჟერი, ანუ მთავარი წარმომადგენელი, როგორც ჩვენ ახლა შეგვიძლია ვუწოდოთ მას, უდარდელად

შეექცეოდა ბიფშტექსს, ტარტარის საწებელი დაისხა, ზედ ლიმონი დააწურა (ეს საკუთარი რეცეპტი იყო), ცოტა კონიაკი, პილპილი და მარილი დაუმატა. ასეთი სასიამოვნო საჭმელი არასოდეს მიჭამია, ამბობდა სიხარულისაგან სახეგაბრწყინებული ტრაპსი. დღემდე მეგონა ყველაზე საუკეთესო საღამოს მხოლოდ „შლარაფიაში“ ვატარებდი, მაგრამ თქვენთან დროს ტარებამ უდიდესი სიამოვნება მომგვარაო.

„აა“, ჩაურთო პროკურორმა, „თქვენ „შლარაფიაში“ დაბრძანდებით? რომელია იქაური თქვენი მეტსახელი?“

„მარკიზი დე კაზანოვა“

„კეთილი“ წამოიჩხავლა გამხიარულებულმა პროკურორმა, თითქოს ეს ძალიან მნიშვნელოვანი ცნობა იყო. მონოკლი ისევ გაიკეთა. „სასიამოვნოა ამის გაგონება. შეიძლება თქვენი მეტსახელი თქვენს საკუთარ ცხოვრებასთან დავაკავშიროთ, ჩემო ძვირფასო?“

„ფრთხილად იყავით“, უჩურჩულა ვექილმა.

„ძვირფასო ბატონო პროკურორო“, უპასუხა ტრაპსმა, „მხოლოდ შეფარდებით. თუკი მე სხვაგან ქალებთან რაიმე მიხდება, მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითია და ამით ჩემი თავმოყვარეობა არ ილახება“.

ხომ არ ისურვებს ბატონი ტრაპსი, იყოს ესოდენ გულკეთილი და შეკრებილთ მოკლედ მოგვითხროს თავისი ცხოვრება, იკითხა მოსამართლემ, თან ჭიქას ავსებდა შუშხუნა ღვინით. რადგან გადაწყვეტილია, ძვირფას სტუმარს და ცოდვილ ადამიანს მოუწყონ სასამართლო და შეძლებისდაგვარად რამდენიმე წლით ციხეშიც უკრან თავი, ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუკი შევიტყობთ დაწვრილებით, პირადს, ინტიმურს, ქალებთან ურთიერთობის ამბებს; თუ შესაძლებელია მოგვიყევით ცოტა უწმაწურად და პილპილიანად.

„გვიამბეთ, გვიამბეთ!“ ხითხითით მოთხოვეს მოხუცმა ბატონებმა მთავარ წარმომადგენელს. ერთხელ მათთან მაგიდასთან აღმოჩნდა ერთი სუტენერი, რომელმაც თვითონვე მოუთხრო თავისი საქმიანობა და მაინც ოთხი წლის ციხე მიიღო სასჯელად.

„კი მაგრამ“, გაიცინა ტრაპსმა, „რა უნდა გიამბოთ: ვეწევი ჩვეულებრივ ცხოვრებას, ჩემო ბატონებო, ისეთ ცხოვრებას, როგორსაც ყველა თქვენთაგანი. დავლიოთ!“

„დავლიოთ!“

მთავარმა წარმომადგენელმა ჭიქა ასწია, დაჟინებით მიაჩერდა ოთხი მოხუცის ფრინველისმაგვარი თვალების ჩაციებულ მზერას. ისინი ისე მიშტერებოდნენ, თითქოს უგემრიელესი ლუკმა ყოფილიყოს, შემდეგ მათ ჭიქები მიაჭახუნეს.

მზე უკვე ჩასულიყო, ჩიტების ჯოჯოხეთური გნიასი აღარ ისმოდა, მაგრამ ირგვლივ მაინც დღის სინათლეს მოეცვა ბუნება, მოჩანდა ბაღები, და ხეებს შორის გამომზირალი წითელი სახურავები, ტყით დაფარული ბორცვი, შორეთში მთის კალთები და რამდენიმე მყინვარი; ირგვლივ სუფევდა მშვიდობის მომგვრელი განწყობილება, სოფლური მიდამოების სიჩუმე, ბედნიერების საზეიმო წინათგრძნობა, ღვთის ლოცვა-კურთხევა და მსოფლიო ჰარმონია.

ახალგაზრდობა გაჭირვებაში გავატარეო, ამბობდა ტრაპსი, ვიდრე სიმონე თეფშებს ცვლიდა და მაგიდაზე უზარმაზარ ოხშივარმოდებულ კერძს დგამდა, ეს იყო —ქამა-სოკო არაჟინით. მამაჩემი ფაბრიკაში მუშაობდა მუშად, პროლეტარი იყო, მარქსისა და ენგელსის მოძღვრებით გატაცებული, გამწარებული, გაუხარელი კაცი, რომელიც თავის ერთადერთ ბავშვზე არასოდეს არ ზრუნავდა, დედა მრეცხავი იყო, ნაადრევად მოტეხილი.

„მხოლოდ დაწყებით სკოლაში დავდიოდი, მხოლოდ და მხოლოდ დაწყებითში“, დაუმატა ტრაპსმა მტკიცედ, თვალებზე ცრემლებმომდგარმა, ამავე

დროს თავისი ღატაკური წარსულით გამწარებული და შეწუხებული „რეზერვ დე მორეშოს“ წრეპავდა.

„საყურადღებოა“, წარმოთქვა პროკურორმა, „საყურადღებო. მხოლოდ დაწყებითი სკოლა. მაგრამ საკუთარი ძალით მიაღწიეთ ყოველივე ამას, ჩემო პატივცემულო“.

„ვფიქრობ, ასეა“, დაიტრაბახა „რეზერვ დე მორეშოთი“ შეხურებულმა, ძმაბიჭებთან ერთად ყოფნით, ფანჯარაში მაცქერალი ღვთის მიერ შექმნილი ქვეყნის დიდებულებით ფრთაშესხმულმა ტრაპსმა, „ვფიქრობ ასე. ჯერ კიდევ ათი წლის წინათ მე მხოლოდ დამტარებელი ვიყავი, ჩემოდნით ხელში კარდაკარ დავდიოდი. ძნელი სამუშაო კია, მოგზაურობა, ღამის თევა თივის ზვინში, ანდა საეჭვო ღამის სათევებში. სულ დაბლიდან დავიწყე ჩემი სპეციალობით, სულ დაბლიდან. ახლა კი, ჩემო ბატონებო, ნეტავი ჩემი პირადი ანგარიშის წიგნაკი განახათ! სულაც არ მინდა დავიტრაბახო, მაგრამ რომელიმე თქვენთაგანს აქვს სტუდაბეიკერი?“.

„ფრთხილად“ წასჩურჩულა ვექილმა მზრუნველობით.

„მაინც როგორ მიაღწიეთ ამას?“ ცნობისმოყვარეობით ჰკითხა პროკურორმა.

„ყურადღებით უნდა იყოთ და არც ბევრი ილაპარაკოთ“, გააფრთხილა ტრაპსი ვექილმა.

მე მარტოდ-მარტომ ავიღე ჩემს თავზე მთელს კონტინენტზე ფირმა „ჰეფესტონის“ წარმომადგენლობაო, მოახსენა ტრაპსმა და აღფრთოვანებულმა მიიხედ-მოიხედა. მხოლოდ ესპანეთი და ბალკანეთია სხვის ხელშიო.

ჰეფესტოსი ბერძენთა ღმერთია, ჩაიხითხითა პატარა მოსამართლემ, თან თეფშზე ქამა-სოკო გადმოიღო, ძალიან დიდი ოსტატი-მჭედელი იყო ჰეფესტოსი, რომელმაც სიყვარულის ქალღმერთი და მისი შეყვარებული ომის ღმერთი არესი ისეთ შეუმჩნეველ თხელ ბადეში გააბა, რომ სხვა დანარჩენი ღმერთები არ დარჩნენ ამ ნადავლით კმაყოფილნი, მაგრამ რას ნიშნავს „ჰეფესტონი“, რომლის ერთადერთი წარმომადგენლობა ჩვენს პატივცემულ ბატონ ტრაპსს უკისრია, მისთვის ეს იდუმალებითაა მოცული.

„დიახ, თქვენ მაინც ახლოს ხართ ჰეშმარიტებასთან, პატივცემულო მასპინძელო და მოსამართლევ“, გაიცინა ტრაპსმა. „თქვენ თვითონ თქვით: იდუმალებით მოცულიაო, და ჩემთვის უცნობმა ღმერთმა, რომლის სახელი, ზუსტად ჩემი საქონლის სახელის მსგავსად ჟღერს, მოქსოვა სრულიად თხელი და შეუმჩნეველი ბადე. თუკი დღეს არსებობს ნაილონი, პერლონი, მირლონი, ხელოვნური ქსოვილები, რომელთა შესახებ მაღალ სასამართლოს იმედია სმენია, არსებობს, აგრეთვე, ჰეფესტონი, ხელოვნური ქსოვილების მეფე, გამძლე, გამჭვირვალე, ამასთანავე, რევმატიკებისათვის სულზე მისწრება, შეუცვლელია ინდუსტრიაში, მოდაში, გამოდგება როგორც ომისათვის, ისევე მშვიდობისათვის. საუკეთესო ქსოვილია პარაშუტებისათვის და, ამასთანავე, პიკანტური ქსოვილია ულამაზესი ქალების ღამის ხალათებისათვის, ეს რამდენადაც საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი“.

„ისმინეთ, ისმინეთ“, აყაყანდნენ მოხუცები, „საკუთარი გამოცდილება, ეს კარგია“, და სიმონემ კვლავ გამოცვალა თეფშები, შემოიტანა ხბოს თირკმელები.

„ნამდვილი ბანკეტია“, გაიბადრა მთავარი წარმომადგენელი.

„მიხარია“ წარმოთქვა პროკურორმა, „რომ თქვენ რაღაცეების ფასი იცით და სამართლიანადაც! საუკეთესო კერძებს მოგვართმევენ და საკმარისი რაოდენობითაც. მენიუ ისეთი გვაქვს, როგორც გასულ საუკუნეში ჰქონდათ, მაშინ როდესაც ადამიანები ჯერ კიდევ ბედავდნენ ამგვარი ქეიფების მოწყობას. შევაქოთ სიმონე! შევაქოთ ჩვენი მასპინძელი! იგი ხომ თვითონ ყიდულობს, ეს ძველი ქონდრისკაცი და გურმანი, ხოლო რაც შეეხება ღვინოს, მასზე პილე ზრუნავს. იგი მეზობელ სოფლიდა-

ნაა და მესაქონლეობას ეწევა. შევაქოთ იგიც! თუმცა გვეყოფა, ისევ თქვენთან დავბრუნდეთ, ჩემო საქმოსანო! გამოვიძიოთ თქვენი ამბები, — რა მოხდა შემდეგ. თქვენი ცხოვრება ჩვენ უკვე ვიცით, თვალის ერთი გადავლებით. სასიამოვნო იყო ამის შეტყობა, და აგრეთვე ნათელი მოეფინა საქმოსნობას. მხოლოდ ერთი უმნიშვნელო პუნქტია გაურკვეველი: როგორ მიაღწიეთ თქვენ პროფესიულად ამგვარ შემოსავლიან ადგილს? მხოლოდ და მხოლოდ სიბეჯითითა და რკინისებური ენერგიით?".

„იყავით ფრთხილად", წასჩურჩულა ვექილმა, „ახლა კი საშიში ამბები იწყება"

ეს არც ისე ადვილი იყო, უპასუხა ტრაპსმა და ხარბად შეხედა, ბუ როგორ დაიწყო მოსამართლემ შემწვარი ხორცის დაჭრა, ჯერ გიგაქსი უნდა მოეცილებია თავიდან და ეს იყო სწორედ ძალიან ძნელი.

„ოჰო, ბატონი გიგაქსი, ეს გიგაქსი ვინღაა?"

„ჩემი ყოფილი შეფი".

„საჭირო იყო მისი თავიდან მოცილებაო, გინდოდათ გეთქვათ?"

„საჭირო იყო მისი გზიდან ჩამოცილება, ჩემი პროფესიის ტლანქი ენით, რომ ვთქვათ", უპასუხა ტრაპსმა და საწებელი მიიჩოჩა. „ჩემო ბატონებო, გულახდილად გეტყვით, მძიმეა საქმოსანთა ცხოვრება, თუ რამეს გამიკეთებ, ჩემგანაც სამაგიეროს მიიღებ, ვისაც უნდა ჯენტლემენი იყოს, ძალიან კარგი, მაგრამ იგი უსათუოდ დაიღუპება. ფულს ჩეჩქივით ვშოულობ, მაგრამ სამაგიეროდ წელებზე ფეხს ვიდგამ და ათი სპილოს ოდენას ვმუშაობ, ყოველ დღე ჩემი სტუდაბეიკერით ექვსას კილომეტრს გავდივარ აქეთ-იქით. არც თუ მთლად პატიოსნად მოვიქეცი, როცა მოხუც გიგაქსს, დანა ყელთან მივუტანე და ვატაკე, მაგრამ ხომ საჭირო იყო, დავწინაურებულიყავი, რას იზამდა სხვა ჩემს ადგილას, ბოლოსდაბოლოს, საქმე საქმეა.

პროკურორმა ცნობისმოყვარეობით დახედა ხბოს თირკმელებს. „გზიდან ჩამოცილება, ყელთან დანა მიტანა, ტაკება, ესენი ხომ საკმაოდ [illegible] ნი გამოთქმებია, ძვირფასო ტრაპს".

მთავარმა წარმომადგენელმა გაიცინა: „თქვენ, რასაკვირველია, გადატანითი აზრით უნდა გაიგოთ".

„ბატონი გიგაქსი კარგად გრძნობს თავს, პატივცემულო?

„შარშან გარდაიცვალა".

„სულელი ხართ", ჩაუსისინა გაბრაზებულმა ვექილმა, „თქვენ სულ მთლად გასულელდით!"

„შარშან", სიბრალულით თქვა პროკურორმა, „ძალიან საწყენია. რამდენი წლისა იყო?"

„ორმოცდათორმეტის"

„გაფურჩქვნის ხანაა. რითი გარდაიცვალა?"

„რაღაც ავადმყოფობით".

„მას შემდეგ, რაც თქვენ მისი ადგილი დაიკავეთ?"

„ცოტათი ადრე".

„კეთილი, ჯერ-ჯერობით მეტი შეკითხვები აღარა მაქვს", უთხრა პროკურორმა. „ბედნიერებაა, ჩვენ ბედნიერები ვართ. მკვდარი ამოტივტივდა, და, ბოლოს და ბოლოს, ეს არის მთავარი".

ყველას გაეცინა. მელოტმა პილემაც. რომელიც მოწიწებით თავდახრილი ჭამდა, პედანტურად, გაუჩერებლად, ძალიან ბევრს ჭამდა, მანაც კი ასწია თავი.

„საუცხოოა", თქვა მან და შავ ულვაშებზე გადაისვა ხელი.

შემდეგ კი გაჩუმდა და ჭამა განაგრძო.

პროკურორმა მხიარულად ასწია ჭიქა. „ჩემო ბატონებო", განაცხადა მან, „ამ აღმოჩენის აღსანიშნავად ჩვენ უნდა გავსინჯოთ 1933 წლის „პიშონ-ლონგვილი", შესანიშნავი ბორდოს ღვინო, ძალიან მოუხდება ამ შესანიშნავ თამაშს!"

კვლავ ჭიქები მიაჭახუნეს და ერთმანეთის სადღეგრძელო დალიეს.

„ეშმაკმა დალახვროს, ჩემო ბატონებო!", გაოცდა მთავარი წარმომადგენელი, ერთი გადაკვრით გამოსცალა ჭიქა

და მოსამართლეს გაუწოდა: „საოცრად გემრიელია“.

სიბნელე ჩამოწვა და შეკრებილთა სახეები უკვე ძნელი გასარჩევი იყო. პირველი ვარსკვლავები გამოჩნდნენ ფანჯარაში და სახლის ეკონომმა ქალმა სამი დიდი, მძიმე ლამპა აანთო, სინათლემ მრგვალ მაგიდასთან მჯდომთა ჩრდილები, კედლებზე ფანტასტიური ყვავილის გასაოცარი ფურცლებივით დახატა. გულითადი, გულკეთილი, ურითერთსიმპათიური, მამა-პაპური, სათუთი დამოკიდებულება სუფევდა.

„თავი ზღაპარში მგონია“ გაოცდა ტრაპსი.

ვექილმა ხელსახოცით მოიწმინდა შუბლზე ოფლი. „ზღაპარი, ძვირფასო ტრაპს“, უთხრა მან, „თქვენ ხართ. ჯერ არასოდეს არ შემხვედრია ბრალდებული, რომელსაც ასეთი უდიდესი სულიერი სიმშვიდით და გაუფრთხილებლად ელაპარაკოს“.

ტრაპსმა გაიცინა: „არავითარი შიში, ძვირფასო მეზობელო! როცა დაკითხვა დაიწყება, მაშინ არ დავიბნევი“.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა ოთახში, როგორც ერთხელ უკვე იყო. არც წლაპუნი ისმოდა, არც სუპის ხვრეპა.

„თქვენ უბედური ადამიანი ხართ!“, ამოიხვნეშა ვექილმა, „რა გინდათ ამით თქვათ, როცა დაკითხვა დაიწყებაო?“

„მაშ რა“, უთხრა მთავარმა წარმომადგენელმა და თეფშზე სალათი გადმოიღო, „უკვე დაიწყო თუ?“.

მოხუცებმა ჩაიცინეს, ერთმანეთს ეშმაკურად შეხედეს, ბოლოს სიამოვნებისაგან აბღავლდნენ.

წყნარმა, სიტყვაძუნწმა მელოტმა ჩაიქირქილა: „მან ვერ შენიშნა, მან ვერ შენიშნა!“

ტრაპსი შეცბუნდა, გაშტერდა, ხუმრობით დაწყებული მხიარულება ავის მომასწავებლად მოეჩვენა, თუმცა ამ შთაბეჭდილებამ, მართალია, მალე გაუარა, და ისიც აჰყვა სიცილს: „ჩემო ბატონებო, მაპატიეთ“, თქვა მან, მე თამაში უფრო მხიარული, უფრო ღირსეული, უფრო ოფიციალურად წარმომიდგება, უფრო სასამართლოს დარბაზად“.

„ძვირფასო ბატონო ტრაპს“, განუმარტა მოსამართლემ, „თქვენი შეშფოთებული სახე ფასდაუდებელია ჩვენთვის. მე ვამჩნევ, რომ ჩვეულებრივად სასამართლოს წარმოება თქვენ უჩვეულო და მეტისმეტად ქარაფშუტული გეგონებათ. მაგრამ, ღრმად პატივცემულო ტრაპს, ჩვენ ოთხივე ამ მაგიდასთან მსხდომნი პენსიონერები ვართ და განვთავისუფლდით ზედმეტი ფორმულების გროვისაგან, ოქმებისაგან, მწერლობისაგან, კანონებისაგან და მთელი იმ ნაგავისაგან, რითაც ამოვსებულია ჩვენი სასამართლოს დარბაზები. ჩვენ ვასამართლებთ ისე, რომ არ ვიხედებით უბადრუკ კოდექსებში და პარაგრაფებში“.

„დიდი გაბედულებაა“, შეაგება ტრაპსმა უკვე რამდენადმე დამძიმებული ენით, „დიდი გაბედულებაა, ჩემო ბატონებო, ამან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: უპარაგრაფებოდ, ეს ხომ თამამი იდეაა“.

ვექილი ცერემონიულად წამოდგა. ჰაერის ჩასაყლაპად მივდივარო, აუწყა მან — ვიდრე ყველასა და დანარჩენ საჭმელებს შემოიტანდნენ, ახლავე მოვალო, პატარა გასეირნება, ჯანმრთელობისათვის კარგია და ერთი სიგარეტიც სწორედ რომ დროული იქნებაო. ბატონ ტრაპს თავისთან იწვევდა, ჩემთან წამოდიო.

ვერანდით ისინი ძირს ჩავიდნენ სიბნელეში. სიბნელე, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა ჩამოწვა, თბილი და დიდებული სიბნელე. სასადილო ოთახის ფანჯრიდან ოქროსფერი სინათლის ზოლები ეცემოდა გაზონებს, კვალში ჩამწკრივებული ვარდების ბუჩქებამდე აღწევდა. უმთვარო ცა ვარსკვლავებით მოჭედილიყო, შავ მასასავით იდგნენ ხეები, და მათ შორის მოხრეშილი გზა, რომელზედაც ახლა ისინი მიაბიჯებდნენ ძნელად შესამჩნევი იყო. ერთმანეთის მხარი-მხარ მიდიოდნენ; ღვინოს ორივე

დაემძიმებია, ბარბაცებდნენ, ცდილობდნენ სწორად გაევლოთ და პარიზულ სიგარეტებს ეწეოდნენ. სიბნელეში წითელი წერტილები კრთოდა.

„ღმერთო ჩემო“, სული მოითქვა ტრაპსმა, „რა კარგი ხუმრობა იყო იქ“, და მიუთითა განათებულ ფანჯრებზე, რომელშიაც სწორედ ამ დროს სახლის ეკონომი ქალის ვებერთელა სილუეტი გამოჩნდა. „სასიამოვნოა ყოველივე ეს, სასიამოვნო“.

„ძვირფასო მეგობარო“, უთხრა ვექილმა, თან ბარბაცებდა და ტრაპსს ეყრდნობოდა, „ვიდრე ჩვენ უკან დავბრუნდებით და ყველრულებს ენერგიულად მივადგებით, ნება მომეცით, რამდენიმე სიტყვა გითხრათ, სერიოზული სიტყვა, რომელიც თქვენ გულთან ახლოს უნდა მიიტანოთ. მე თქვენ მომწონხართ, ახალგაზრდავ, მე თქვენს მიმართ სათუთი გრძნობებითა ვარ აღვსილი, მსურს მამასავით გელაპარაკოთ: ჩვენ უკანმოუხედავად მივაბიჯებთ იქითკენ, რომ პროცესი სავსებით წავაგოთ!“

„სისულელეა“, უპასუხა მთავარმა წარმომადგენელმა და ვექილი ფრთხილად დააყენა მოხრეშილ გზაზე, დიდი შავი, ბურთივით მრგვალი ბუჩქების გაყოლებაზე. შემდეგ გამოჩნდა გუბურა, მათ ქვის სკამი შენიშნეს, ჩამოსხდნენ. წყალში ვარსკვლავები ისარკებოდნენ, აგრილდა. სოფლიდან ისმოდა გარმონისა და სიმღერების ხმები. ახლა ალპიური საყვირის ხმაც გაისმოდა, მესაქონლეთა ამხანაგობა ერთობოდა.

„საჭიროა ძალა მოვიკრიფოთ“, შეახსენა ვექილმა. მნიშვნელოვანი ციხეები მტერმა დაიკავა; მკვდარი გიგაქსი, რომელიც თქვენი თავშეუკავებელი ლაყბობის შედეგად სრულიად ზედმეტად ამოტივტივდა, ძლიერ გვემუქრება; ყველაფერი ეს ცუდია, გამოუცდელი ვექილი იძულებული იქნებოდა იარაღი დაეყარა; მაგრამ, რასაკვირველია, წინაალმდეგობის შემდეგ, ყოველგვარი შესაძლებლობის გამოყენებით და, უპირველეს ყოვლისა, თქვენი მხრივ უდიდესი სიფრთხილის გამოჩენითა და დისციპლინით, ჯერ კიდევ შემიძლია საქმის მნიშვნელოვანწილად გადარჩენა.

ტრაპსმა გაიცინა. ეს ძალიან სასაცილო თამაშია, უთხრა მან მტკიცედ, „შლარაფიას“ მომდევნო ყრილობაზე ეს თამაში აუცილებლად უნდა შემოვიღოთ.

„მოგწონთ ხომ?“ გაუხარდა ვექილს, „ასეთ დროს გამოცოცხლდები კაცი. ძვირფასო მეგობარო, მას შემდეგ, რაც სამსახურს თავი დავანებე და უსაქმოდ, ძველ პროფესიაზე ხელაღებულს ამ პატარა სოფელში სიბერე უნდა დამელია, კინაღამ დარდისაგან გავთავდი. აქ რა შეიძლება მოხდეს? არაფერი, მხოლოდ თბილი მშრალი ქარი უბერავს, ეს არის და ეს. ჯანმრთელი ჰავაა? სასაცილოა, სულიერი მოღვაწეობის გარეშე ცხოვრება. პროკურორი სიკვდილის პირზე იყო მისული, ჩვენს მასპინძელზე ეჭვი ჰქონდათ, კუჭის კიბო აქვსო, პილე დიაბეტითაა დაავადებული, მე კი სისხლის წნევა მტანჯავს. ასეთი ამბავი გვჭირდა ყველას. ძაღლური ცხოვრებაა, ხომ? ხამუშ-ხამუშ მოწყენილები ვისხედით ერთად, დადარდიანებული მოვუთხრობდით ერთმანეთს ჩვენს ძველ პროფესიასა და წარმატებებზე. ეს იყო ჩვენი ერთადერთი მცირეოდენი სიხარული. ამ თამაშის შემოღება პროკურორს მოუვიდა აზრად, მოსამართლემ სახლი დაგვითმო, ხოლო მე, ჩემი ქონება შევაწირე ამხანაგობას — ჰო, მართლა, მე უცოლო ვარ, მრავალი წლის მანძილზე მაღალი წრის საზოგადოების ვექილი ვიყავი, მოზრდილი თანხა გადავდე გვერდზე. ჩემო ძვირფასო, ხომ მოგეხსენებათ, როცა მაღალი ფინანსიური რანგის რაინდ-ყაჩაღს გასაჭირიდან იხსნი, სამაგიეროდ თავის მხსნელ ვექილს რა მსხვერპლს შესწირავს, — ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ეს თამაში გახდა ჩვენი ჯანმრთელობის წყარო; ჰორმონები, კუჭი, კუჭქვეშა ჯირკვლები ისევ მწყობრში ჩადგნენ, მოწყენილობა გაქრა, ენერგია, ახალგაზრდო-

ბა, მოქნილობა, მადა კვლავ დაგვიბრუნდა; აბა, ერთი შეხედეთ“, და თუმცა ღიპი ჰქონდა, რამდენიმე ვარჯიში გააკეთა, რაც ტრაპსმა ძლივსძლივობით შენიშნა სიბნელეში. „ჩვენ ვთამაშობთ მოსამართლის სტუმრებთან, მოსამართლე ჩვენ ბრალდებულებით გვამარაგებს“, დაჯდომისთანავე განაგრძო ვექილმა; „ხან ადგილობრივ მკვიდრებს ვასამართლებთ, ხან კიდევ ტურისტებს, ხოლო ორი თვის წინ ჩვენ საშუალება გვქონდა ერთი გერმანელი გენერლისათვის ოცი წლის ციხე მიგვესაჯა. იგი აქ გაგლით იყო თავის მეუღლითურთ, მხოლოდ ჩემმა ხელოვნებამ იხსნა იგი სახრჩობელისაგან“.

„დიდებულია“, გაიკვირვა ტრაპსმა, „ასეთი საქმეების კეთება! მაგრამ სახრჩობელა მეტის მეტია, მთლად ასე არ უნდა იყოს, თქვენ, ალბათ, რამდენადმე აჭარბებთ, პატივცემულო ბატონო ვექილო, სიკვდილით დასჯა ხომ გაუქმებულია“.

„ეს სახელმწიფო სასამართლოში“, დააზუსტა ვექილმა, „მაგრამ ჩვენ აქ საქმე გვაქვს კერძო სასამართლოსთან და კვლავ შემოვიღეთ: სწორედ სიკვდილით დასჯის შესაძლებლობა ხდის ჩვენს თამაშს დაძაბულს და თავისებურს“.

„და თქვენ, იმედია, ჯალათიც გეყოლებათ?“ — გაიცინა ტრაპსმა.

„რასაკვირველია“, დაუმოწმა ვექილმა ამაყად, „გვყავს. პილე“.

„პილე“?

„გაგიკვირდათ, არა?“

ტრაპსმა რამდენჯერმე გადაყლაპა ნერწყვი: „იგი ხომ მეჯოგეა და იმ ღვინოს შოულობს, რომელსაც ჩვენ ვსვამთ“.

„იგი ყოველთვის მიკიტანი იყო“, ჩაიცინა ვექილმა გულკეთილად; „სახელმწიფო საქმიანობას მხოლოდ შეთავსებით ეწეოდა. საპატიო მოვალეობაა. იგი თავისი საქმის კარგი მცოდნე იყო მეზობელ სოფელში, უკვე ოცი წელია, რაც პენსიაზეა, მაგრამ თავის საქმეში ჯერ კიდევ არავის ჩამოუვარდება“.

ქუჩაზე მანქანამ გაიარა და ფარების სინათლემ სიგარეტის კვამლი გაანათა. ტრაპსმა წამით მოჰკრა თვალი ვექილს, გათხუპნულ სერთუკში გამოკრულ უზარმაზარ სხეულს, ქონიან, კმაყოფილ, უწყინარ სახეს. ტრაპსი კანკალებდა. შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა.

„პილე“.

ვექილი გაოცდა: „რა მოგივიდათ, ჩემო კარგო ტრაპს? ვგრძნობ, რომ კანკალებთ. ცუდათ ხომ არ ხართ?“

„არ ვიცი“, წაიჩურჩულა მთავარმა წარმომადგენელმა და მძიმედ ამოისუნთქა, „არ ვიცი“.

ტრაპს თვალწინ წარმოუდგა მელოტი, რომელიც ჩვეულებრივ საკმაოდ სულელურად სადილობდა მასთან ერთად. უსამართლობა იყო ასეთ ადამიანთან საჭმელი გეჭამა. მაგრამ რა უნდა ქნას საწყალმა ყმაწვილმა, როცა სხვა გზა არა აქვს, — ნაზმა ზაფხულის ღამემ, კიდევ უფრო ნაზმა ღვინომ ტრაპსი ჰუმანურად განაწყო, იგი მომთმენი, ცრურწმენისაგან თავისუფალი იყო; და ბოლოს, იგი იყო კაცი, რომელსაც ბევრი ენახა და ცხოვრებასაც იცნობდა; ფარისეველი და მდაბიო კი არა, საფეიქრო დარგის დიდი მასშტაბის სპეციალისტი იყო. დიახ, რასაკვირველია, ტრაპს ერჩივნა ეს საღამო უჯალათოდ ყოფილიყო, რატომღაც ეგონა, საღამო უფრო მხიარული და სასეირო იქნებოდა. მას უკვე სიხარულს გვრიდა იმის გახსენება, თუ ამ თავგადასავალს უფრო უკეთესად როგორ წარმოადგენდა „შლარაფიაში“. ჯალათი, მართალია, იქ არა ჰყავთ, მაგრამ იპოვნიან ვინმეს, ბოლოს და ბოლოს, მცირე ჰონორარისა და ზედნადები ხარჯების ფასად ვინ არ დასთანხმდება. და მან ბოლოს შვებით გაიცინა: „გავები! შემეშინდა! თამაში უფრო მხიარული ხდება!“

„ნდობა ნდობის წილ“, უთხრა ვექილმა, როდესაც ისინი წამოდგნენ და ფანჯრიდან გამომავალი თვალისმომჭრელი სინათლის სხივზე მხარიმხარ სახლისაკენ მძიმე-მძიმედ გასწიეს. „როგორ მოკალით გიგაქსი?“

„მე მოვკალი?“

„ჰო, თუკი იგი მოკვდა“.

„მაგრამ მე რომ არ მომიკლავს“.

ვექილი შეჩერდა. „ჩემო ძვირფასო ახალგაზრდა მეგობარო“, შეაგება მან თანაგრძნობით, „ჩემთვის გასაგებია თქვენი ყოყმანი. დანაშაულებათაგან ყველაზე არასასიამოვნოა მკვლელობის აღიარება. ბრალდებულს რცხვენია, არ სურს თავისი საქმე გამოამზეურონ, ივიწყებს, გონებიდან დევნის ყველაფერს, საერთოდ, წარსულისადმი სრული ეჭვითაა შეპყრობილი, ამძიმებს ჩადენილ ცოდვებს და არავის ენდობა, თვით მისადმი მამობრივად განწყობილ მეგობარ ვექილსაც კი, რაც სწორედ ყველაზე დიდი უაზრობაა, რადგან ნამდვილ ვექილს მკვლელობა უყვარს, აღფრთოვანებულია, როცა კი მასთან შეხვედრის შესაძლებლობა ეძლევა. გადმოალაგე, რაც იცი, ძვირფასო ტრაპს! მაშინ ვგრძნობ თავს კარგად, როცა ნამდვილი ამოცანის წინაშე ვდგავარ, როგორც ალპინისტი ოთხიათას მეტრიან მწვერვალის წინაშე,—მე, როგორც ძველ მთამსვლელს, ასე შემიძლია ვთქვა. მაშინ ტვინი იწყებს ფიქრსა და თხზვას, ზუზუნსა და ბზუილს, ეს პირდაპირ სიხარულია. ამიტომაცაა თქვენი უნდობლობა დიდი შეცდომა, დიახ, მე ვიტყოდი, გადამწყვეტი შეცდომა, რასაც თქვენ ჩადიხართ. ამიტომ აღიარეთ ყველაფერი, ბებერო ბავშვო!“

მაგრამ რომ არაფერი მაქვს ასაღიარებელი, დაბეჯითებით იმეორებდა მთავარი წარმომადგენელი. ვექილი გაოცდა, ფანჯრიდან გამოსული სინათლის სხივით განათებულ ტრაპს მიაშტერდა; ფანჯრის შიგნით კი ისევ უფრო ლაღად მოისმოდა ჭიქების წკრიალი და სიცილი.

„ყმაწვილო, ყმაწვილო“! ჩაიბუზღუნა მან გამქირდავად, „ეს რაღას ნიშნავს? არა გსურთ თქვენს მცდარ ტაქტიკაზე უარი თქვათ? იქნებ გსურთ, სულ უცოდველის როლი ითამაშოთ? კიდევ არ დაგიყრიათ იარაღი? უნდა აღიარო, იმისდა მიუხედავად, გსურთ თუ არა გსურთ, ხოლო ასაღიარებელი ყოველთვისაა. თქვენ საოცრად ნელა გინათლებათ გონება. კეთილო, ძვირფასო მეგობარო, რა საჭიროა პრანჭიერობა, გადმოალაგე თავიდან ბოლომდე ყველაფერი: როგორ მოკალით გიგაქსი? აფექტის დროს, ხომ ასეა? მაშინ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, რომ ბრალს დაგვდებენ მკვლელობაში. ნაძლევს დავდებთ, რომ პროკურორი სწორედ აქეთკენ უნიშნებს. გუმანით ვხვდები; ვიცნობ იმ ვაჟბატონს“.

ტრაპსმა თავი გააქნია. „ჩემო ძვირფასო ბატონო ვექილო“, უთხრა მან, „ჩვენი თამაშის მომხიბლაობა ის არის, — მე როგორც ახალბედას შემიძლია სრულიად მოკრძალებულად ჩემი აზრი გამოვთქვა, — რომ მოთამაშისათვის უჩვეულო და შემზარავი ხდება. თამაში საშიში ხდება, იგი მგონი სინამდვილედ გადაქცევას ლამობს. შენ თავს ეკითხები, მართლა ხომ არა ხარ დამნაშავე, მართლა ხომ არ მოგიკლავს მოხუცი გიგაქსი? თქვენი ლაპარაკის დროს, ლამის გული არ ამერია. და ამიტომაც, ნდობა ნდობის წილ: მე ნამდვილად არ მიმიძღვის დანაშაული მოხუცი განგსტერის სიკვდილში“. ამ ლაპარაკით ისინი სასადილო ოთახში შევიდნენ, სადაც უკვე ყვერულელები შემოეტანათ და 1921 წლის „შატო პავი“ ბრწყინავდა ჭიქებში.

ტრაპსი, რომელიც კარგ გუნებაზე იყო, სერიოზულ, სიტყვაძვირ მელოტთან მივიდა და ხელი ჩამოართვა, თან მიმართა: ვექილისაგან გავიგე თქვენი ძველი პროფესიაო. და ტრაპს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ არაფერი შეიძლება იყოს უფრო სასიამოვნო, ვიდრე, მაგიდასთან ასეთ გულად კაცთან ჯდომაო; ტრაპსს თავის სიტყვების გულწრფელობაში ეჭვიც არ ეპარებოდა. პილემ ხელი გადაისვა შეღებილ ულვაშებზე, წამოწითლებულმა და შეცბუნებულმა საშინელ დიალექტზე ჩაიბუზღუნა: „მოხარული ვარ, მოხარული, მზადა ვარ გემსახუროთ?“

ასეთი გულისამაჩუყებელი დაძმობილების შემდეგ ყვერულსაც შესანიშნავი გემო ჰქონდა. როგორც მათ მოსამართ-

ლემ აუწყა — ეს იყო სიმონეს ფრიად საიდუმლო რეცეპტით დამზადებული კერძი. პირს აწლაპუნებდნენ, ხელით სჭამდნენ, აქებდნენ მზარეულის დიდოსტატობას, სვამდნენ, ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებდნენ და ერთმანეთის სადღეგრძელოს სცლიდნენ, თითებზე საწებელს ილოკავდნენ, შესანიშნავად გრძნობდნენ თავს, და, მიუხედავად ასეთი სიამოვნებისა, პროცესი გაგრძელდა. პროკურორი, რომელსაც ხელსახოცი შემოეხვია, წინ ყველული დაედო და ნისკარტისებურ პირს აწკლაპუნებდა, იმედს გამოსთქვამდა, ვიდრე შინაური ფრინველის კერძს შემოიტანდნენ, დამნაშავის აღიარებას მოისმენდა. „რასაკვირველია, უძვირფასესო და უპატივცემულესი ბრალდებულო“, პროკურორი ტრაპსის გამოტეხვას ცდილობდა. „გიგაქსი მოწამლეთ“.

„არა“, გაიცინა ტრაპსმა. „არავითარი მაგდაგვარი“.

„მაშინ, ვთქვათ, ესროლეთ?“

„არც ასე იყო?“

„ავტომობილის კატასტროფა მოაწყვეთ საიდუმლოდ?“

ყველას გაეცინა, ხოლო ვექილმა კიდევ ერთხელ წასჩურჩულა: „ფრთხილად, მახეს გიგებენ“.

„სისულელეა, ბატონო პროკურორო, აშკარა სისულელეა“, მგზნებარედ წამოიყვირა ტრაპსმა: „გიგაქსი გარდაიცვალა გულის ინფარქტით; პირველი შეტევა რამდენიმე წლით ადრე დაემართა, ყურადღება უნდა მიექცია; მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელ კაცად მოჰქონდა თავი, ყოველი აღელვებისა უნდა შინებოდა, რომ შეტევა არ განმეორებულიყო; მე ეს კარგად ვიცოდი“.

„ოჰო, ვისგან?“

„მისი ცოლისაგან, ბატონო პროკურორო“.

„მისი ცოლისაგან?“

„გაფრთხილდით, ზეცის მადლმა“, წასჩურჩულა ვექილმა.

1921 წლის „შატო პავიმ“ მოლოდინს გადააჭარბა. ტრაპსი უკვე მეოთხე ჭიქას სცლიდა, და სიმონემ მის ახლოს სპეციალურად დადგა ერთი ბოთლი. იქნებ პროკურორს გაუკვირდეს, — ამ დროს მთავარმა წარმომადგენელმა ბატონის ჭიქას მიუჭახუნა. [illegible] ამ უმაღლესმა სასამართლომ მაინც რომ არ იფიქროს, თითქოს იგი რაიმეს მალავს, მას სურს თქვას სიმართლე, სულ სიმართლის გზით იაროს, მაშინაც კი, თუკი ვექილი უჩურჩულებს: „ფრთხილად იყავითო“. გიგაქსის ცოლთან მას მართლაც ჰქონდა ურთიერთობა, აბა, რა იქნებოდა, მოხუცი განგსტერი ხშირად მოგზაურობდა, და კარგი აგებულებისა და მადის აღმძვრელ ცოლს ყოვლად უდიერად ეკიდებოდა; ჰოდა, საჭირო იყო დროგამოშვებით ნუგეშისცემა, ჯერ დივანზე გიგაქსის ბინაში, ხოლო მოგვიანებით, ცოლ-ქმრის საწოლშიც, ასეთი რამ ცხოვრებაში ხშირად ხდება.

ტრაპსის ამ სიტყვებზე მოხუცი ბატონები გაშტერდნენ, მაგრამ შემდეგ, სიამოვნებისაგან ხმამაღლა აჭყვირდნენ. ამ დრომდე, მუდამ მდუმარე მელოტიც კი აყვირდა, თან თეთრი მიხაკი ჰაერში შეისროლა: „გამოტყდა, გამოტყდა!“ მხოლოდ სასოწარკვეთილი ვექილი იცემდა მუშტებს საფეთქელში.

„გაგონილა ასეთი უგნურება!“ დაიყვირა ვექილმა, „ჩემი კლიენტი გაგიჟდა, შეუძლებელია მას ერწმუნოთ“; ამ სიტყვებზე ტრაპსი აღშფოთდა და პროტესტი განაცხადა, რითაც მაგიდასთან მსხდომთა მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ ვექილსა და პროკურორს შორის დაიწყო ხანგრძლივი მოლაპარაკება, შეუპოვარი, ნახევრად სასაცილო, ნახევრად სერიოზული დისკუსია, რომლის შინაარსს ტრაპსი ვერ მიხვდა. ყველაფერი სიტყვა dolus-ის გარშემო ტრიალებდა, მთავარმა წარმომადგენელმა არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა. დისკუსია სულ უფრო და უფრო ცხარე ხდებოდა, ხმასაც აუწიეს, ტრაპსისთვის საუბარი კვლავ გაუგებარი დარჩა. კამათში მოსამართლე ჩაერია, ისიც გაცხარდა. დასაწყისში ტრაპსი ცდილობდა გონებით მიხვედრილი-

ყო კამათის შინაარსს, მაგრამ შვებით ამოისუნთქა, როდესაც ეკონომმა ქალმა მაგიდაზე სხვადასხვა სახის ყველი ჩამოდგა — კამამბერი, ბრი, ამანტელე გრიუერი, ტეტ დე მუან, ვაშერენი, ლემბიურჟე, გორგონზოლა; ტრაპსმა გადაწყვიტა dolus-ი dolus-ად დარჩენილიყო, მელოტს ჭიქა მიუჭახუნა, რომელიც მარტოდმარტო გაჩუმებული იჯდა, ჩანდა, მასაც არაფერი გაეგებოდა, და ის იყო საჭმელს დააცხრა, რომ მოულოდნელად კვლავ პროკურორი მიუბრუნდა: „ბატონო ტრაპს“, ჰკითხა მან, პროკურორს თმა ლომის ფაფარივით გაწეწოდა, სახეზე სულ მთლად აჭარხლებულიყო, მონოკლი მარცხენა ხელში ეჭირა, „თქვენ კვლავ მეგობრობთ ქალბატონ გიგაქსს?“

ყველა ტრაპსს მიაშტერდა, რომელსაც თეთრი პურით და კამამბრით გამოეტენა პირი და უდარდელად ღეჭავდა. შემდეგ ერთი ყლუპი „შატო პავი“ მოსვა. საიდანღაც საათის წიკწიკი ისმოდა, ხოლო სოფლიდან აღწევდა გარმონისა და მამაკაცთა სიმღერის ხმა: იმ სახლს კი ჰქვია „შვეიცარული დაშნა“.

გიგაქსის სიკვდილის შემდეგ, განმარტა ტრაპსმა, ქალბატონს აღარ სტუმრებია. ბოლოს და ბოლოს, არ სურდა პატიოსანი ქვრივისთვის სახელი გაეტეხა.

ტრაპსის გასაკვირად, ამ ახსნა-განმარტებამ, ხელახლა გაურკვეველი, საიდუმლო მხიარულება გამოიწვია, ადრინდელზე უფრო გალაღდნენ, პროკურორმა წამოიყვირა: „Dolo malo dolo malo!“ „ღრიალებდა ბერძნულ და ლათინურ ლექსებს, მოჰყავდა ციტატები შილერიდან და გოეთედან; ამასობაში ტანმორჩილმა მოსამართლემ სანთლები ჩააქრო, მხოლოდ ერთი დასტოვა, რომელიც იმიტომ სჭირდებოდა, რომ მის სინათლეზე ხელების მოშველიებით, ხმამაღალი ბღავილითა და ფრუტუნით კედელზე ფანტასტიური სურათები გამოესახა ჩრდილებით: თხები, ღამურები, ეშმაკები და ოჩოპინტრები. ამ დროს პილე მაგიდაზე დაეცა, ისე რომ, ჭიქები, თეფშები [illegible] ცეკვავდნენ: „სიკვდილით დასჯა მოელის, სიკვდილით დასჯა მოელის!“ მხოლოდ ვექილი არ მონაწილეობდა მხიარულებაში, ტრაპსს ლანგარი მიუჩოჩა. მან უნდა ჭამოს, ისინი ყველით უნდა დაკმაყოფილდნენ, სხვა მეტი არაფერი დარჩენიათ.

„შატო მარგო“ შემოიტანეს. ამით სიმშვიდემ დაისადგურა. ყველა მოსამართლეს მიაშტერდა, რომელმაც ფრთხილად და დიდი ცერემონიით ამოაძრო დაძველებული ბოთლიდან (1914 წლისა) საცობი, ისე რომ ბოთლი წნულიდან არ ამოუღია; ამ პროცედურას სუნთქვაშეკრული დაძაბულობა მოჰყვა, საჭირო იყო საცობი შეძლებისდაგვარად დაუზიანებლად ამოეღოთ; საცობი ხომ ერთადერთი დამადასტურებელი იყო იმისა, რომ ბოთლი, ნამდვილად 1914 წელს ეკუთვნოდა, თორემ ეტიკეტი ოთხიათეული წლის მანძილზე სრულიად წაშლილიყო. საცობი სულ მთლიანად არ ამოვარდა. ნარჩენი დიდი სიფრთხილით ამოაძვრეს, თუმცა წელიწადის წაკითხვა მაინც შეიძლებოდა. საცობი ხელიდან ხელში გადადიოდა, ყნოსავდნენ, უკვირდათ და, ბოლოს, საზეიმოდ შესანიშნავი საღამოს სამახსოვროდ, როგორც ეს მოსამართლემ თქვა, მთავარ წარმომადგენელს გადასცეს. მან ღვინოს ჭაშნიკი გაუსინჯა, ენა გააწკლაპუნა, დანარჩენებსაც დაუსხა, რის შემდეგაც სხვებმაც დაიწყეს ყნოსვა და მოსმა. ატყდა აღფრთოვანების გამომხატველი წამოძახილები, ქებას ასხამდნენ გულუხვ მასპინძელს. ყველი ჩამოატარეს და მოსამართლემ პროკურორს მოუწოდა, თავისი საბრალმდებლო სიტყვა წარმოეთქვა. პროკურორმა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვა ახალი სანთლები; ამ დროს საჭიროა საზეიმო განწყობილება, მოკრძალებულობა სუფევდეს, აუცილებელია გულისყურის, შინაგანი ძალღონის

მოკრეფაო. სიმონემ მოიტანა, რაც პროკურორმა მოითხოვა. ყველანი დაძაბულნი იყვნენ, მთავარ წარმომადგენელს ხუმრობა-ხუმრობაში საქმე საგანგაშოდ ეჩვენა. მას აკანკალებდა, მაგრამ ამავე დროს თავის თავგადასავალში რაღაც მიმზიდველს ხედავდა და არავითარ შემთხვევაში მასზე უარს არ იტყოდა,მისი ვექილი კი, ეტყობოდა, არ იყო მთლად დამშვიდებული.

„კეთილი, ტრაპს“, უთხრა მან, „მოვისმინოთ საბრალმდებლო სიტყვა. თქვენ განცვიფრდებით, თქვენი დაუფიქრებელი პასუხებით, თქვენი მცდარი ტაქტიკით, რა ჩაიდინეთ ეს. თუკი ადრე საქმე ცუდად იყო, ახლა კატასტროფულადაა. მაგრამ თამამად იყავი, მე თქვენ გამოგაძვრენთ ძნელი მდგომარეობიდან, ოღონდ არ დაიბნეთ. თქვენ ნერვების ფასად დაგიჯდებათ, რათა საღსალამათი გამოხვიდეთ ამ საქმიდან.“

ამგვარად დაიწყო. ყველამ ჩაახველა. ერთხელ კიდევ მიაჭახუნეს ჭიქები და პროკურორმა ღიმილსა და ქირქილში დაიწყო თავისი სიტყვა.

„ყველაზე სასიამოვნო“, თქვა მან, თან ჭიქა ასწია, თვითონ კი ადგილზევე იჯდა, „ისაა, რომ შევძელით მკვლელობის კვალისათვის მიგვეგნო, რომელიც იმდენად მოხერხებულადაა ჩადენილი, რომ ჩვენს სახელმწიფო მართლმსაჯულებას, ბუნებრივია, მკვლელი ბრწყინვალედ დაუძვრა ხელიდან.“

ტრაპსი გაოცდა, უცებ გაბრაზდა. „მე ჩავიდინე მკვლელობა?“ პროტესტი განაცხადა მან. „მომისმინეთ, ბატონებო, თქვენ ძალიან შორს შეტოპეთ. ვექილმა ერთხელ უკვე მითხრა ეს მოჩმახული ამბავი, თუმცა შემდეგ გონს მოეგო და სიცილი დაიწყო. ძლივს დავწყნარდი და ისევ იწყებთ? განსაკვიფრებელი ხუმრობაა! ახლა ვხვდები, თუ რა დანაშაული გსურთ მომაწეროთ! სასაცილოა, უბრალოდ სასაცილოა და მეტი არაფერი!“

პროკურორმა ღირსეულად გადახედა ტრაპსს, მონოკლი გაწმინდა და კვლავ გაიკეთა.

„ბრალდებულს“, თქვა მან, „ექვი ეპარება თავის დანაშაულში. გასაგებია. რომელი ჩვენთაგანი იცნობს საკუთარ თავს, რომელმა ჩვენთაგანმა იცის საკუთარი დანაშაულებანი და იდუმალი ავკაცობანი? მაგრამ ვიდრე ჩვენი ვნებანი თამაშში ახალი ძალით იფეთქებენ, ერთი რამეს მაინც შეიძლება ხაზი გაესვას: იმ შემთხვევაში, თუ ტრაპსი მკვლელია, როგორც ამას მე ვამტკიცებ, და რაშიც მე შინაგანად დარწმუნებული ვარ, ჩვენ განსაკუთრებულად საზეიმო საათის წინაშე ვდგავართ. სამართლიანადაც. მკვლელობის აღმოჩენა, ეს მართლაც სასიხარულო შემთხვევაა, შემთხვევა, რომელიც ჩვენს გულებს უფრო ძლიერად აძგერებს, ახალი ამოცანების, გადაწყვეტილებათა და ვალდებულებათა წინაშე გვაყენებს. ამიტომაც, უპირველეს ყოვლისა, ნება მომეცით მოვულოცო ძვირფას სავარაუდებელ დამნაშავეს, რადგანაც დამნაშავის გარეშე შეუძლებელია მკვლელობა აღმოაჩინო და სამართლიანობა დაამყარო. განსაკუთრებული კმაყოფილებით შევსვათ ჩვენი მეგობრის სადღეგრძელო, ჩვენი თავმდაბალი ალფრედო ტრაპსისა, რომელიც კეთილმოსურნე ბედმა ჩვენთან მოიყვანა!“

ატყდა მხიარული შეძახილები, ფეხზე წამოდგნენ, მთავარი წარმომადგენლის სადღეგრძელო შესვეს, რომელიც მადლობას იხდიდა, თვალებზე ცრემლები მორეოდა, და ირწმუნებოდა: ასეთი საღამო ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვსო.

პროკურორიც ცრემლმორეული ამბობდა: „ასეთი საღამო ჩემს ცხოვრებაში არ მახსოვსო, გვეუბნება ჩვენი პატივცემული ტრაპსი. რა კარგი სიტყვაა, რა ამაღელვებელი სიტყვაა. გავიხსენოთ ის დრო, როდესაც ჩვენ ვმსახურობდით სახელმწიფო დაწესებულებაში და შავბნელ ხელობას ვემსახურებოდით. მაშინ დამნაშავე ჩვენს წინაშე იდგა არა როგორც მეგობარი, არამედ როგორც

მტერი. ტრაპსი ჩვენ გულში უნდა ჩავიკრათ და არა ხელი ვკრათ. პირველად მე გადავეხვევი!"

ამ სიტყვებზე იგი წამოხტა, ტრაპსი მიიზიდა და მაგრად მოხვია ხელები.

„პროკურორო, ძვირფასო მეგობარო", ამბობდა ენის ბორძიკით მთავარი წარმომადგენელი.

„ბრალდებულო, ძვირფასო ტრაპს", სლუკუნებდა პროკურორი. „მივმართოთ ერთმანეთს შენობით. დამიძახე კურტი. შენი დღეგრძელობისა იყოს, ალფრედო!"

„შენი დღეგრძელობისა იყოს, კურტ!"

ისინი კოცნიდნენ ერთმანეთს, ეხვეოდნენ, ხელს უსვამდნენ, ერთმანეთის სადღეგრძელოს სვამდნენ, თანდათან ერეოდათ გრძნობები, ეუფლებოდათ მოკრძალებული მეგობრობის ატმოსფერო. „მაგრამ როგორ შეიცვალა ყველაფერი", ამბობდა აღფრთოვანებული პროკურორი, „თავდაპირველად თუ ვდევნიდით მას შემთხვევითიდან შემთხვევამდე, დანაშაულიდან დანაშაულამდე, განაჩენიდან განაჩენამდე, ახლა ვასაბუთებთ, საწინააღმდეგო აზრს გამოვთქვამთ, მოხსენებას ვაკეთებთ, ვსაუბრობთ და აუჩქარებლად, წყნარად, გულთბილად ვუპასუხებთ, ვსწავლობთ ბრალდებულის დაფასებას, სიყვარულს, მისი სიმპათიები ჩვენსკენაა მომართული, ძმობილები ვხდებით. მხოლოდ როცა გრძნობები მიწყნარდება, ყველაფერი გაადვილდება, დანაშაული აღარ იქნება მძიმე, განაჩენი კი სიხარულით აღსავსე. მაშ ასე, ნება მომეცით, მკვლელობის ჩადენასთან დაკავშირებით გულისნადები გაგიმჟღავნოთ. [ტრაპსი ამასობაში კვლავ ბრწყინვალე ხასიათზე დადგა: „საბუთები, კურტჰენ, საბუთები"]. სიმართლე უნდა ითქვას, საქმე გვაქვს ჩინებულ, ლამაზ მკვლელობასთან. რასაკვირველია, ძვირფას დამნაშავეს შეუძლია ამ სიტყვებში თავაშვებული ცინიზმი დაინახოს, მაგრამ ეს ჩემგან ძალიან შორსაა. სიტყვა „ლამაზი", უფრო მეტად შეიძლება გაგებული იქნას ორი აზრით: ფილოსოფიური და ტექნიკურ-ეკონომიური აზრით: ჩვენმა კამპანიამ, — ამბობდა მეგობარო ალფრედო, უარი თქვა ცრუ შეხედულებაზე, რომ დანაშაულში დაენახა რაიმე ულამაზო ან სახიფათო, მართლმსაჯულებაში კი, პირიქით, რაიმე ლამაზი, თუმცა შესაძლებელია უფრო სახიფათო. ეს არაა სწორი. ჩვენ ჩადენილ დანაშაულს მივიჩნევთ ლამაზად, რაც იმის წინამძღვარია, რომ მართლმსაჯულება თავისას გააკეთებს. ეს არის ფილოსოფიური მხარე. ახლა კი შევაფასოთ საქმის ტექნიკური მხარე... მოგახსენებთ ჩემს აზრს: მე ვფიქრობ, საჭირო სიტყვას ზუსტად მივაგენი, ჩემი საბრალდებულო სიტყვა სრულიადაც არ იქნება შიშის მომგვრელი სიტყვა, რომელიც ჩვენს მეგობარს შეაცბუნებს, თავგზას აუბნევს, არამედ ეს იქნება შეფასება, რომელიც მას დაუმტკიცებს თავის დანაშაულს, შეაგნებინებს, რომ მხოლოდდამხოლოდ წმინდა მეცნიერების საფუძველზეა შესაძლებელი ძეგლი ავუგოთ მართლმსაჯულებას".

ოთხმოცდაექვსი წლის პროკურორი შეჩერდა, იგი არაქათგამოცლილი იყო. მიუხედავად თავისი წლოვანებისა იგი ხმამაღლა, მჭახე ხმით ლაპარაკობდა და გაცხარებული იქნევდა ხელებს, ამასთან ერთად ბევრს სვამდა და ჭამდა. ყელზე შემოხვეული გაჭუჭყიანებული ხელსახოცით შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, დანაოჭებული კისერი შეიმშრალა. ტრაპსი გულაჩუყებული იყო. იგი საჭმლისაგან დამძიმებული დინჯად ჩაჯდარიყო სავარძელში. ტრაპსი გამაძღარი იყო, მაგრამ მაინც არ სურდა ოთხ მოხუცს მისთვის ეჯობნა; მიუხედავად ამისა, შეგნებული ჰქონდა, რომ მოხუცების გიგანტურმა ჭამის მადამ და მათმა გიგანტურმა წყურვილმა დიდი ჯაფა მიაყენა მას. იგი ლაზათიანი მჭამელი იყო, მაგრამ ასეთი სიცოცხლისუნარიანობა და ღორმუცელობა არასოდეს თვალით არ ენახა. გაოცებული იყო, ინერტიულად მიშტერებოდა

მაგიდის მეორე მხარეს, ნასიამოვნები იყო გულკეთილობით, რომლითაც პროკურორი ექცეოდა მას. ეკლესიიდან ზარების საზეიმო ხმა მოესმა, თორმეტჯერ ჩამოკრეს, ხოლო შორიდან ღამის სიბნელეში ისმოდა მეჯოგეთა ქოროს გუგუნი: „ჩვენი ცხოვრება გრძელ გზას ჰგავს...“

„თავი ზღაპარში მგონია“, ისევ და ისევ გაკვირვებული იყო მთავარი წარმომადგენელი, „თავი ზღაპარში მგონია“, და შემდეგ: „გამოდის, რომ მე ჩავიდინე მკვლელობა, სწორედ მე? ოღონდ ძალიან მიკვირს, როგორ მოხდა ეს?“

ამასობაში მოსამართლემ 1914 წლის „შატო მარგოს“ ახალი ბოთლი გახსნა, ხოლო დასვენებულმა პროკურორმა, კვლავ ახალი ძალით განაგრძო:

„რა მოხდა“, თქვა მან, „როგორ აღმოვაჩინე მე, რომ ჩვენი ძვირფასი მეგობარი მკვლელად დავსახე, და ამასთანავე, არა ჩვეულებრივ მკვლელად, არამედ ვირტუოზ მკვლელად, რომელსაც სისხლი არ დაუღვრია, არც საწამლავი, არც რევოლვერი არ უხმარია?“

პროკურორმა ჩაახველა, ტრაპსი დაძაბული მიშტერებოდა, სიგარა პირში გაეჩარა.

როგორც სპეციალისტი, იგი აბსოლუტურად ხელმძღვანელობს თეზისით, განაგრძო პროკურორმა, რომ შესაძლებელია დანაშაული ყოველ მომხდარ ამბავში, ყოველ ადამიანში იმალებოდეს. პირველი ვარაუდი, რომ ბატონი ტრაპსის სახით ჩვენ შეგვხვდა ბედისაგან განებივრებული და დანაშაულში წილდებული ადამიანი, იმ გარემოებამ გვაფიქრებინა რომ კომივოიაჟერი ჯერ კიდევ ერთი წლის წინ „სიტროენით“ დადიოდა, ახლა კი სტუდებეიკერით ამაყად დაქრის აღმადაღმა. რასაკვირველია, მე ვიცი,“ — განაგრძო მან— „რომ ჩვენ მაღალი საქმიანი კონიუნქტურის დროს ვცხოვრობთ, და ამიტომაც ვარაუდი კიდევ უფრო გაურკვეველი, უფრო მეტიც, იმ გრძნობის მსგავსი იქნებოდა, რომ დგახარ სასიხარულო განცდის წინაშე, სახელდობრ, მკვლელობის ალბათ-ჩენასთან. ის რომ ჩვენმა ძვირფასმა მეგობარმა თავისი შეფის თანამდებობა დაიკავა, ის რომ შეფის შევიწროება სურდა, ის რომ შეფი მოკვდა, ყველა ეს ფაქტი არ იქნებოდა დამამტკიცებელი საბუთები, იქნებოდა მხოლოდ მომენტები, რომლებიც ჩვენს ვარაუდს განამტკიცებდნენ, დაასაბუთებდნენ. ეჭვი, ლოგიკურად დასაბუთებული, მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როცა შევიტყეთ, რისგან გარდაიცვალა ლეგენდარული შეფი: გულის ინფარქტით. აქ საჭიროა შეპირისპირება, შორსმჭვრეტელობა და ალღოს დაძაბვა, საჭიროა ტაქტიანად იარო წინ, სიმართლეს მიეპარო, ჩვეულებრივი არაჩვეულებრივად შეიცნო, განსაზღვრულში განუსაზღვრელი დაინახო, ბურუსში კონტურები გაარჩიო, მკვლელობა დაიჯერო, სწორედ იმიტომ, რომ აბსურდად გეჩვენება. გადავხედოთ ჩვენ ხელთ არსებულ მასალას. წარმოვიდგინოთ გარდაცვლილის სურათი. მის შესახებ ჩვენ ცოტა რამ ვიცით; რაც ვიცით, გავიგეთ ჩვენი სიმპათიური სტუმრის სიტყვებიდან. ბატონი გიგაქსი იყო ხელოვნური ქსოვილის ფირმის ჰეფესტონის მთავარი წარმომადგენელი, მის სასიამოვნო თვისებებზე, ჩვენმა ძვირფასმა ალფრედომ უკვე მოგვახსენა, ჩვენ მას გულწრფელად ვენდობით. გიგაქსი იყო ისეთი ადამიანი, გავბედავთ და ვიტყვით, რომელიც ყველაფერს კადრულობდა, თავის ხელქვეითებს შეუბრალებლად ექცეოდა, თავისი საქმისა ესმოდა, მიუხედავად ამისა, საშუალება, რომლითაც იგი ამ საქმეებს აწესრიგებდა, ხშირ შემთხვევაში საეჭვოზე მეტიც იყო.“

„ეს სწორია“ წამოიყვირა აღფრთოვანებულმა ტრაპსმა, „გაიძვერას დასრულებული სურათია!“

„შემდეგ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ“, განაგრძო პროკურორმა, „რომ გიგაქსი სიამოვნებით თამაშობდა ჯან-

მრთელ, ძლიერ, წარმატებულ საქმოსან ადამიანს. ყოველგვარი სიტუაციიდან ახერხებდა თავის დაძვრენას, ყოველგვარ ქარცეცხლს უძლებდა და გულის მძიმე ავადმყოფობას საგულდაგულოდ მალავდა. აქაც დავიმოწმებთ ალფრედოს, ამ ავადმყოფობამ მასში გამოიწვია რაღაც ჟინიანი სიბრაზე, როგორც ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ, ასე ვთქვათ, ეს ავადმყოფობა მის საკუთარ პრესტიჟს ლახავდა.“

„შესანიშნავია“ განცვიფრდა მთავარი წარმომადგენელი, ეს რაღაც ჯადოქრობას უფრო ჰგავსო. იგი ნაძლევს დებდა, კურტი გარდაცვლილს იცნობდაო.

„უმჯობესია, გაჩუმდეთ“, ჩურჩულით უთხრა ვექილმა.

„ამას დავუმატოთ ისიც, განმარტა პროკურორმა, „თუკი გვსურს აღვადგინოთ გიგაქსის სურათი, რომ გარდაცვლილი თავის ცოლს უდიერად ეპყრობოდაო. გიგაქსის ცოლი ჩვენ მადის აღმძვრელ, კარგი აგებულების დედაკაცად წარმოგვიდგება — ყოველშემთხვევაში, ჩვენმა მეგობარმა დაახლოებით ასეთად დაგვიხატა. გიგაქსისათვის არსებობდა წარმატება, საქმე, გარეგნული მხარე. ჩვენ შეგვიძლია უტყუარი ალბათობით ვიფიქროთ, გიგაქსი დარწმუნებული იყო ცოლის ერთგულებაში, რადგან თავის თავზე რაღაც განსაკუთრებული წარმოდგენა ჰქონდა, სამაგალითო მამაკაცი ვარო. ამასთანავე, გიგაქსი დარწმუნებული იყო, ჩემს ცოლს თავში აზრადაც არ მოუვა ღალატი. ამიტომაც ეჭვგარეშეა, გიგაქსს თავზარი დაეცემოდა, როცა შეიტყობდა, რომ ცოლი შლარაფიელ კაზანოვაზე სცვლიდა.“

ყველას გაეცინა, და ტრაპსმა ხელები მუხლის თავებზე დაირტყა. „ესეც ასე იყო“, კვერი დაუკრა პროკურორის ვარაუდს გაბრწყინებულმა ტრაპსმა.

„სწორედ ამან მოუღო ბოლო, როცა ეს ამბავი შეიტყო“.

„სწორედ რომ სულელი ხართ“, ამოიოხრა ვექილმა.

პროკურორი წამოდგა და გაბარებულმა გადახედა ტრაპსს, რომელიც დანით ყველს ფხეკდა. „ბატონო, ვკითხავ“ პროკურორმა, „როგორ გაიგო ამის შესახებ ძველმა ცოდვილმა? მადის მომგვრელი ცოლი გამოუტყდა?“

„ცოლი ამას ვერ გაბედავდა, ქმრის მოშიში იყო, ბატონო პროკურორო“, უპასუხა ტრაპსმა, „ძალიან ეშინოდა განგსტერისა“.

„თვითონ გიგაქსი მივიდა ამ დასკვნამდე?“

„არა, ამას გიგაქსი ვერც წარმოიდგენდა, იმდენად თავდაჯერებული იყო“.

„იქნებ შენ გამოუტყდი, ჩემო ძვირფასო მეგობარო და დონ ჟუანო?“

ტრაპსი უნებლიედ გაწითლდა: „არა. არა კურტ“, თქვა მან, „ამის გაფიქრებაც არ შეიძლება. ერთმა მისმა უახლოესმა საქმოსანმა მეგობარმა აუხილა თვალი ძველ გაიძვერას“.

„ეს როგორ?“

„ვნების მოყენება უნდოდა ჩემთვის. ყოველთვის მტრულად იყო ჩემდამი განწყობილი“.

„განა არიან ასეთი ადამიანები?“ გაიკვირვა პროკურორმა. „მაგრამ იმ პატიოსანმა კაცმა როგორღა გაიგო თქვენი ურთიერთობის ამბავი?“

„მე თვითონვე ვუამბე“.

„უამბე?“

„ჰო, სუფრაზე, რას არ იტყვის კაცი ამ დროს.“

„გასაგებია, თავი დაუკრა პროკურორმა, „მაგრამ ეს-ეს იყო შენ თვითონვე თქვი, რომ ბატონი გიგაქსის საქმოსანი მეგობარი შენდამი მტრულად იყო განწყობილი. წინასწარ ხომ არ იყავი დარწმუნებული, რომ ძველი გაიძვერა ყველაფერს შეიტყობდა?“

ამ დროს ვექილი ენერგიულად ჩაერია საუბარში, წამოდგა კიდევაც, ოფლად იღვრებოდა, სერთუკის საყელო დასველებოდა. მე მსურს ტრაპსის ყურადღება მივაქციო იმას, განმარტა მან, რომ ამ კითხვაზე არაა საჭირო პასუხის გაცემაო.

ტრაპსი სხვა აზრისა იყო.

„რატომაც არა?“ თქვა მან. „ეს ხომ სრულიად უწყინარი კითხვაა. ჩემთვის სულ ერთი იყო, გიგაქსი გაიგებდა თუ არა ამ ამბავს. ძველი განგსტერი ჩემს მიმართ იმგვარად უბოდიშოდ მოქმედებდა, რომ ნამდვილად აღარ იყო საჭირო თავაზიანი კაცის როლი მეთამაშა.“

წუთით ოთახში კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, სამარისებური სიჩუმე. შემდეგ ატყდა ერთი აურზაური, ხორხოცი, ჰომერისებური სიცილი, აღტაცებათა ქარიშხალი. მელოტი ტრაპსს მოეხვია, კოცნიდა, ვექილს სიცილისაგან პენსნე დაეკარგა, ამგვარ ბრალდებულზე შეუძლებელი იყო გაბრაზება. ამ დროს კი პროკურორს და მოსამართლეს ცეკვა გაემართათ ოთახში, კედლებს ეხეთქებოდნენ, ერთმანეთს ხელს ართმევდნენ, სკამებზე მიხოხავდნენ, ბოთლებს ამტვრევდნენ, სიხარულისაგან მთლად გაგიჟდნენ. „ბრალდებული ხელახლა გამოტყდა“, გრუხუნებდა ოთახში პროკურორი, რომელიც სავარძლის ზურგზე ჩამომჯდარიყო, — „ძვირფასი სტუმრის საქებრად სიტყვები არ მყოფნის, იგი თავის როლს ბრწყინვალედ თამაშობს. შემთხვევა ნათელია, ჩვენს ხელთაა უკანასკნელი მტკიცე საბუთი“, განაგრძო პროკურორმა, იგი ამ დროს ბაროკოს სტილის ძველთაძველ მონუმენტს გავდა. “დავაკვირდეთ ჩვენს ძვირფას და საყვარელ ალფრედოს! როცა იგი განგსტერის, შეფის ხელქვეითი იყო ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ „სიტროენით“ დადიოდა აქეთ-იქით. ჩვენს მეგობარს, ოთხი შვილის მამას, ფაბრიკის მუშის შვილს, ამით შეუძლია იამაყოს და სამართლიანადაც. ჯერ კიდევ ომის დროს იგი უპატენტო მეწვრილმანე ვაჭარი იყო. ამასთანავე მოხეტიალე წვრილი სპეკულანტი, რომელიც უკანონო საფეიქრო საქონლით ვაჭრობდა, სოფლიდან სოფელში მატარებლით დადიოდა. ან ფეხით სოფლის შარაგზებზე დაეხეტებოდა, ხშირად კილომეტრებს გადიოდა უღრანი ტყეების გავლით შორეულ დასახლებამდე, ზურგზე მიკიდებული ჭუჭყიანი ტყავის ჩანთით, ახლა კალათითაც, ნახევრად გაქექილი ჩემოდნით ხელში. ახლა მან გაიუმჯობესა მდგომარეობა, საქმოსნობაში ჩაება, მარქსისტი მამისაგან განსხვავებით ლიბერალური პარტიის წევრი გახდა. მაგრამ ვინ გაჩერებულა იმ ტოტზე, რომელზედაც იგი, ბოლოსდაბოლოს, ამძვრალა, როდესაც მის ზევით, კენწეროში, პოეტურად რომ ვთქვათ, ტოტებზე უკეთესი ნაყოფი მოჩანს? მართალია, მას კარგი გამომუშავება ჰქონდა, თავისი „სიტროენით“ ერთი საფეიქრო საწარმოდან მეორეში დაჰქროდა, მანქანა არც თუ ცუდი იყო. მაგრამ ჩვენმა საყვარელმა ალფრედომ დაინახა, რომ მარჯვნივ და მარცხნივ ახალი მოდელები ამოტივტივდნენ, რომლებიც გააფთრებით მისკენ მოჰქროდნენ, ზუზუნით ჩაუქროლებენ, წამოეწევიან, ასწრებენ, მთელ ჩვენ ქვეყანაში კეთილდღეობა მაღლდებოდა, ვინ არ ისურვებდა ამაში მონაწილეობის მიღებას?“

„სწორედ ასე იყო, კურტ“ გაიბადრა ტრაპსი. „სწორედ ასე“.

პროკურორი ისე გრძნობდა თავს, როგორც თევზი წყალში, კმაყოფილი იყო მდიდრულად დასაჩუქრებული ბავშვივით.

„ამის გადაწყვეტა უფრო ადვილი იყო, ვიდრე გაკეთება“, განმარტავდა პროკურორი, რომელიც კვლავ სავარძლის ზურგზე იყო ჩამომჯდარი. „შეფი ნებას არ აძლევდა ზევით ასულიყო, ისე კი მას ბოროტად და უმოწყალოდ უწევდა ექსპლოატაციას, ახალი და ახალი ვალდებულებებისათვის ტრაპსი ბეს იღებდა და თანდათან ულმობლად ებმებოდა ბადეში!“

„სავსებით სწორია“, აღშფოთებით წამოიძახა მთავარმა წარმომადგენელმა. „თქვენ წარმოდგენაც არ გაქვთ, ჩემო ბატონებო, რა მაგრა ვყავდი გამოჭერილი მოხუც განგსტერს!“

„მაშინ საჭირო გახდა ყველაფერი გეკადრა“, თქვა პროკურორმა.

ბრალდებულის რეპლიკამ ფრთები შეასხა პროკურორს, ახლა იგი უკვე სკამზე იდგა, ღვინისაგან დალაქავებულ ხელსახოცს დროშასავით აფრიალებდა, ქილეტზე ხორცის ნარჩენები ეყარა, ტომატის საწებელი გადაესხა. „ჩვენი საყვარელი მეგობარი თავდაპირველად საქმიანად მიიწევდა წინ, თუმცა ისიც მთლად პატიოსნური გზით, როგორც თვითონვე გამოგვიტყდა, ჩვენ შეგვიძლია დაახლოებით წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი, მან დაამყარა საიდუმლო კავშირი თვის შეფის შემკვეთებთან, ნიადაგი მოსინჯა, უკეთეს მომსახურეობას დაპირდა, გზა-კვალი აუბნია ყველას, მოელაპარაკა დანარჩენ კომივოიაჟერებს, ერთდაიმავე დროს კიდევაც ამყარებდა კავშირს და კიდევაც არღვევდა. ამ დროს მას დაებადა იდეა, სხვა გზით წასულიყო“.

„როგორ თუ სხვა გზით?“ — გაიკვირვა ტრაპსმა.

პროკურორმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. „ეს გზა, ჩემო ბატონებო, გადიოდა გიგაქსის ოთახის დივანზე, პირდაპირ ცოლქმრის საწოლში.“

ყველას გაეცინა, განსაკუთრებით კი, ტრაპსს. „ნამდვილად“, დაუმოწმა მან, „ეს იყო ავი ოინი, რომელიც მოხუც განგსტერს მოვუწყე. მაგრამ მაგონდება, სიტუაციაც სასაცილო იყო; აქამდე მრცხვენოდა ჩემი საქციელისა, რომელ ჩვენგანს სურს სააშკარაოზე გამოიტანოს თავისი თავი, სრულიად სუფთა სინდისი ხომ არავის არა აქვს, თუმცა ასეთ ახლობელ მეგობრებთან სირცხვილი სასაცილოდ და უსარგებლოდ მეჩვენება. განსაცვიფრებელია! მე როცა ვგრძნობ, რომ ჩემი ესმით, მაშინ ვიწყებ ჩემი თავის შეცნობას. თითქოს ვეცნობი ისეთ კაცს, რომელიც მე მგავს, რომელსაც ადრე მიახლოებით ვიცნობდი“.

„ჩვენ ჯვაყოფილები ვართ“ თქვა ამ დროს პროკურორმა გულთბილად, „რომ ჩვენს მეგობარს სინათლის სხივმა გაუნათა გონება, მივეშველოთ, რათა კიდევ უფრო დღესავით [illegible] ბდეს ყველაფერი. მივეშველ[illegible] ვებს, გულმოდგინებით, მხიარული არქეოლოგებივით, და წავაწყდებით დანაშაულებათა სიდიადეს. მან კავშირი დაიჭირა გიგაქსის ცოლთან. როგორ მოახერხა ეს? ერთხელ მან ნახა მომხიბლავი დედაკაცი; ეს ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. შესაძლებელია, ერთხელ, გვიან საღამოს, ადვილი მოსალოდნელია ზამთარში, დაახლოებით საათის ექვსზე [ტრაპსი: „შვიდზე, კურტჰენ, შვიდზე!“] როდესაც ქალაქი უკვე ღამის ბინდს მოეცვა და ოქროსფერი ფანრებით, გაკაშკაშებული ვიტრინებით და კინო-თეატრებით გაჩირაღდნებული ქალაქი ყველგან მწვანე და ყვითელ შუქრეკლამებით ელავდა, როდესაც ყველაფერი სასიამოვნო, ავხორცი და მიმზიდველი იყო. იგი თავისი „სიტროენით“ სრიალა ქუჩებით მდიდართა კვარტალში გაემგზავრა, სადაც მისი შეფი ცხოვრობდა. [აღფრთოვანებულმა ტრაპსმა ამასობაში წამოიძახა: „დიახ, დიახ, მდიდართა კვარტალში“!]. პორტფელით იღლიაში, მოხსენებები, მატერიის ნიმუშები, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო გადასაჭრელი, მაგრამ გიგაქსის ლიმუზინი არ იდგა თავის ჩვეულ ადგილას, ტროტუარის კიდესთან. მიუხედავად ამისა, იგი გაუყვა ბნელ ბაღს; კარზე დააკაკუნა, ქალბატონმა გიგაქსმა კარი გაუღო. მისი ქმარი დღეს შინ არ დაბრუნდება, მოსამსახურე გოგოც წასულია, ქალი საღამურ ხალათში იყო, ან და უფრო უკეთესია, საბანაო ხალათში. მართალია, ქმარი არაა სახლში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ტრაპსმა იქნებ დალიოს აპერიტივი, ქალი გულით პატიჟებს. და ამგვარად დასხდნენ ისინი სასადილო ოთახში ერთმანეთის გვერდით“.

ტრაპსი განცვიფრდა. „საიდან იცი ყველაფერი ეს, კურტჰენ! ეს რაღაც ჯადოქრობას ჰგავს!“

„გამოცდილებით“ აუხსნა პროკურო-

რმა. ბედის ტრიალი ერთმანეთს ჰგავს. ეს არ იყო ცდუნება, არც ტრაპსისა და არც ქალის მხრივ. ეს იყო მარჯვე შემთხვევა, რომელიც ტრაპსმა გამოიყენა. ქალი მარტოდ მარტო იყო, მოწყენილი, განსაკუთრებით არაფერზე არ ფიქრობდა, გაეხარდებოდა კიდევაც ვინმესთან ლაპარაკი. ბინაში სასიამოვნო სითბო იყო და საბანაო ხალათის ქვეშ ქალს ჭრელყვავილებიანი ღამის პერანგი ეცვა. ტრაპსი მის გვერდით იჯდა და ქალის თეთრ კისერს, მკერდის ღარს უყურებდა და უსმენდა, როგორ ლაყბობდა ქალი; იგი გაბრაზებული იყო თავის ქმარზე და გულგატეხილიც. ამას კარგად გრძნობდა ჩვენი მეგობარიც. ტრაპსი მიხვდა, დრო იყო, საქმეს შედგომოდა. მალე ტრაპსმა ყველაფერი შეიტყო გიგაქსის შესახებ, თუ რა საშიშ მდგომარეობაში იყო მისი ჯანმრთელობა, ყოველგვარ დიდ აღელვებას შეეძლო მისი დაღუპვა, შეიტყო მისი წლოვანება, როგორ უხეში და ბრაზიანი იყო იგი ცოლის მიმართ და ისიც, თუ როგორ მტკიცედ იყო დარწმუნებული ცოლის ერთგულებაში. ქალისაგან, რომელსაც სურვილი აქვს ქმარზე შური იძიოს, ყველაფერს შეიტყობთ. ტრაპსი განაგრძობდა ქალთან ურთიერთობას, რადგან ახლა მისი განზრახვა იყო, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, შეფი ყველა საშუალებით გაენადგურებია. ფიქრობდა, მოვიდეს, რაც მოსასვლელიაო, და დადგა ის წუთი, როდესაც ტრაპსს ყველაფერი ხელთ ჰქონდა, საქმოსანი პარტნიორები, მომმარაგებლები, თეთრი, ჰაეროვანი შიშველი ქალი ღამ-ღამობით. ასე და ამგვარად, მან მოსწია მარყუჟი, ატეხა ერთი სკანდალი. განზრახ. ესეც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: მყუდრო მწუხრის საათებია, ამჯერადაც საღამოს საათები. ჩვენს მეგობარს ვხედავთ ერთ რესტორანში, ვთქვათ, სადღაც ქალაქის ძველი უბნის რომელიღაც სამიკიტნოში, სამიკიტნოში ძლიერ ცხელა, ყველაფერი სოლიდურია, პატრიოტულია, ხარისხიანია, ფასებიც, გულის ფორმაზე ამოჭრილი სარკმელი, წარმოსადეგი მეპატრონე (ტრაპსი: „ბატონო — სარდაფში, კურტჰენ!“) მაშინ წარმოსადეგი სასტუმროს დიასახლისი, ჩვენ შეგვიძლია შესწორება შევიტანოთ; გარშემორტყმული სამიკიტნოს მუდმივი კლიენტების აწ გარდაცვლილთა სურათებით, გაზეთის ადგილობრივი გამყიდველი, უმეთაუროდ დარჩენილი „ხსნის არმიის“ წარმომადგენლები, რომელიც მღერიან სიმღერას, „შემოუშვით მზის სხივი“, რამდენიმე სტუდენტი, ერთი პროფესორი; მაგიდაზე დგას ორი ჭიქა და ერთი დიდი ბოთლი, ღვინოს გემოს უსინჯავენ. და ბოლოს კუთხეში ზის ფერმკრთალი, მსუქანი, ოფლად გაღვრილი, საყელო გახსნილი აპოპლექსური კაცი, სწორედ ის მსხვერპლი, რომელსაც უმიზნებს ტრაპსი. პატიოსანი საქმოსანი მეგობარი განცვიფრებულია, რას უნდა ნიშნავდეს ყველაფერი ეს? რატომ დაპატიჟა იგი ტრაპსმა? ყურადღებით უსმენს ტრაპსს. პატიოსანი საქმოსანი მეგობარი ტრაპსისაგან იგებს, რომ გიგაქსს ცოლი ღალატობს. ტრაპსმა იცის, ერთი საათის შემდეგ გიგაქსი ყველაფერს შეიტყობს. ჩვენმა ალფრედომ გაითვალისწინა, იმ კაცს ჩქარა უნდა გაეწია შეფისაკენ, მოვალეობის გრძნობის კარნახით, მეგობრული გრძნობის კარნახით და შინაგანი ზრდილობით, თანაგრძნობა გამოეცხადებინა შეფისათვის“.

„როგორც პირმოთნეს!“ იყვირა ტრაპსმა. იგი დატყვევებული უსმენდა პროკურორის ახსნა-განმარტებას, მრგვალი თვალები უბრწყინავდა, ბედნიერი იყო, სიმართლე რომ შეიტყო, თავისი ვაჟკაცური, გაბედული სიმართლე.

შემდეგ:

„ასე და ამგვარად, დადგა აღსასრულის ჟამი, გაანგარიშებული წუთი, როდესაც გიგაქსმა ყველაფერი შეიტყო. ჯერ კიდევ შეეძლო მოხუც განგსტერს შინ დაბრუნება. წარმოვიდგინოთ, გაშმაგებულს, უკვე მანქანაში აუტყდა ოფლის დენა, და ტკივილი გულის არეში, ხელები უკანკალებდა. პოლიციელები

აღშფოთებულები უსტვენდნენ მანქანას, რომელიც ქუჩის მოძრაობის აღმნიშვნელ ნიშნებს ყურადღებას არ აქცევდა. მტანჯველი გზა გარაჟიდან სახლის კარამდე, წაქცევა, შესაძლებელია დეტეფანშიც კი, იმ დროს, როდესაც მისი მეუღლე, ლამაზი მომხიბლავი დედაკაცი შესაგებებლად გამორბის; ეს ძალიან დიდხანს არ გაგრძელებულა, ექიმმა მაინც მისცა ავადმყოფს მორფიუმი. ამის შემდეგ სულიც დალია, უკანასკნელი, სუსტი ხრიალი, ცოლმაც ამოისლუკუნა. ამ დროს ტრაპსი შინ არის, საყვარელი ადამიანებით გარშემორტყმული, იგი იღებს ტელეფონს... შეძრწუნება, შინაგანი ზეიმი, შედეგი მიღწეულია, სამი თვის შემდეგ „სტუდებეიკერი“.

კვლავ ატყდა ხორხოცი. კეთილი ტრაპსი, რომელიც სხვების მოხერხებულობას საგონებელში ჩაეგდო, მათთან ერთად იცინოდა, თუმცა ოდნავ შეშფოთებული კეფას იფხანდა, პროკურორს თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა. მაგრამ უბედურად მაინც არ თვლიდა თავს. კარგ ხასიათზეც კი იყო. ფიქრობდა, საუკეთესო საღამო გავატარეო; მას რომ მკვლელობას აბრალებდნენ, ოდნავ აცბუნებდა, და დაფიქრებულიც იყო, მაგრამ მდგომარეობა, რომელშიც იგი აღმოჩნდა სიამოვნებდა კიდევაც. მას გაუჩნდა მაღალი საგნების გაგების უნარი, მართლმსაჯულებაზე, დანაშაულსა და მონანიებაზე. გაკვირვებამ აღავსო იგი. შიში, რომელიც მან ბაღში განიცადა, ჯერაც არ დავიწყებოდა და მოგვიანებით, მაგიდასთან ატეხილი ხორხოცის დროსაც უბრუნდებოდა, მას სრულიად უსაფუძვლო ეჩვენებოდა, ამხიარულებდა კიდევაც. ყველანი ძალიან ადამიანურები იყვნენ. იგი მოუთმენლად ელოდა, რა მოხდებოდა შემდეგ. საზოგადოება სადარბაზო ოთახში გადავიდა შავი ყავის დასალევად. ისინი ბარბაცით, ბორძიკით მიმავალ ვექილთან ერთად ფაიფურის სათამაშოებით, სამშვენისებითა და ლარნაკებით მეტისმეტად გავსებულ ოთახში შევიდნენ. კედლებზე ეკიდა: უზარმაზარი გრავიურები, ქალაქის ხედები, ისტორიული სურათები, ბრეტლის ფიცი, ბრძოლა ლაუპენთან, შვეიცარიის არმიის განადგურება, შვიდი მამაცის ალამი, თაბაშირის ჭერი, შებათქაშებული კედლები, კუთხეში საკონცერტო როიალი, მოხერხებული სავარძლები, დაბლები, უზარმაზარი, მათზე ამოქარგულია ღვთისმოსავი გამონათქვამები: „ნეტარ არს, მართალი გზით მავალი კაცი“, „წმინდა სინიდისი-საუკეთესო ბალიშია.“ ღია ფანჯრებიდან სოფლის ქუჩა მოსჩანდა, სიბნელეში თითქმის ბუნდოვანი იყო, უფრო ამოსაცნობი, ზღაპრულიც, ქუჩა ჩაფლულიყო მოფარფატე სინათლეში და ავტომობილების პროჟექტორების შუქში, რომელიც ამ დროს დაგვიანებით თუღა გაისრიალებდა. სულ ორმა მანქანამ გაიარა. კურტჰენის სიტყვისთანა ჯერ ცხოვრებაში არაფერი განმიცდიაო, განაცხადა ტრაპსმა. არსებითად არც თუ ბევრი შენიშვნის გაკეთება შეიძლება, ოდნავი შესწორების შეტანა კი მოხერხდება, რასაკვირველია, ოდნავი შესწორებისა. ასე და ამგვარად, გიგაქსის საქმოსანი მეგობარი ტანად პატარა და გამხდარი იყო, და საყელო მაღალი ჰქონდა, ამასთანავე, არც ოფლიანი იყო; ქალბატონი გიგაქსიც საბანაო ხალათში კი არ შეხვედრია მას, არამედ საკმაოდ ღრმად ამოჭრილ გულისპირიან კიმონოში, ისე, რომ ქალის გულითადი მიპატიჟება შეუძლებელი იყო ქარაგმულად გაგვეგო. ეს იყო ტრაპსის ერთ-ერთი ხუმრობათაგანი, მისი თავაზიანი ჰუმორის ერთ-ერთი მაგალითი. ასევე, მთავარ განგსტერს დამსახურებული ინფარქტი სახლში კი არ დაემართა, არამედ თავის საწყობში; ეს მოხდა ერთ დღეს, როცა თბილი, მშრალი ქარი უბერავდა. საავადმყოფოში მიყვანა მოასწრეს, შემდეგ გული გაუსკდა და გათავდა კიდევაც. ეს, როგორც უკვე ითქვა, უმნიშვნელოა, მაგრამ, რაც მთავარია, ყველაფერი ზუსტია, რაც აქ მისმა ჩინებულმა, გულითადმა მეგობარმა პროკურორმა წარმოთქვა. მან ქალ-

ბატონ გიგაქსთან მართლაც გამონახა საერთო ენა, რათა ბებერი გაიძვერა მიწასთან გაესწორებინა. დიახ, მას ახლა ნათლად ახსენდება ყველაფერი, როგორ იწვა იგი გიგაქსის საწოლში, გიგაქსის მეუღლის გვერდით, როგორ მიშტერებოდა იგი გიგაქსის ფოტოსურათს, მის უსიამოვნო მსუქან სახეს, რქის სათვალიდან გადმოკარკლული თვალებით რომ იცქირებოდა, როგორ მოუვიდა აზრად და ამავე დროს ველური სიხარული დაეუფლა, როცა მიხვდა, რომ რასაც იგი ახლა ასე ბეჯითად სჩადიოდა, ნამდვილად ეს მოკლავდა თავის შეფს, გულგრილად მოუღებდა მას ბოლოს.

საზოგადოება უკვე რბილ სავარძლებში მოკალათებულიყო. სავარძლები ღვთისმოსავი ლოზუნგებით იყო მორთული; როდესაც ტრაპსი ახსნა-განმარტებას იძლეოდა, პატარა ფინჯანით ცხელი ყავა აიღო, პატარა კოვზით მოურია, თან დიდი, მუცლიანი ჭიქით 1893 წლის „როფინაკის“ კონიაკი დალია.

ამგვარად, შემიძლია განაჩენი გამოვიტანოო, განაცხადა პროკურორმა, რომელიც საოცრად დიდ სავარძელში გვერდულად იჯდა, ფეხები, რომელზედაც სხვადასხვა წინდა ეცვა. [მოშავო ნაცრისფერი და უჯრებიანი, — მწვანე]. სავარძლის საზურგეზე გადაეწყო, მეგობარი ალფრედო მოქმედებდა არა dolo indirecto ისე, თითქოს გიგაქსის სიკვდილს მხოლოდ შემთხვევით მიაღწია, არამედ მოქმედებდა dolo malo, ბოროტი განზრახვით, რაზედაც უკვე ფაქტები მიგვითითებენ, რომ მან, ერთის მხრივ პროვაკაციული სკანდალი მოაწყო, მეორეს მხრივ, ობერგანგსტერის სიკვდილის შემდეგ აღარ სტუმრობია მადისმომგვრელ ქალბატონს. აქედან ეჭვმიუტანელად გამომდინარეობს, რომ ქალბატონი გიგაქსი მხოლოდ იარაღი იყო სისხლიანი გეგმების განხორციელებისათვის, ასე ვთქვათ, სასურველი სასიკვდილო იარაღი, ასე რომ, ჩვენს წინაა მკვლელობა, რომელიც ჩადენილი იქნა ფსიქოლოგიური ხერხით. ასე და ამგვარად, ის რომ ცოდვა ... ლატის გარდა კანონის ... არაფერი მომხდარა, რასაკვირველია, მხოლოდ მოჩვენებითია. ეს მოჩვენებითობა იმ წუთსავე ქრება, დიახ, გაქრა მას შემდეგ, რაც ჩვენმა ძვირფასმა ბრალდებულმა თავისი პირით, ვეგობრულად ყველაფერი აღიარა. ყველაფერი ეს პროკურორს სიამოვნებას გვრის — და ამით იგი თავის სიტყვასაც ამთავრებს. უმაღლეს მოსამართლეებს კი ალფრედო ტრაპსისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას სთხოვს. ეს იქნება ჯილდო დანაშაულისათვის, რომელიც იმსახურებს აღფრთოვანებას, განცვიფრებას და პატივისცემას. უფლება მაქვს ვთქვა, დაასრულა პროკურორმა, რომ შეიძლება ეს მკვლელობა საუკუნის დიდად განსაცვიფრებელ მკვლელობად ჩავთვალო.

მოხუცები იკვინოდნენ, ტაშს უკრავდნენ. ამ დროს სიმონემ ტორტი შემოიტანა და იმას დააცხრნენ. როგორც სიმონემ თქვა, ამ ტორტით სურდა საღამოს დაგვირგვინება. ცაზე ატრაქციონივით დაგვიანებული ნამგალა მთვარე ამოდიოდა, ისმოდა ხეების ზომიერი შრიალი, ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა, ქუჩაზე იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ავტომობილი, ან რომელიმე დაგვიანებული, შინისაკენ ოკრობოკრო ნაბიჯებით ფრთხილად მიმავალი მგზავრი. მთავარი წარმომადგენელი თავს დამშვიდებულად გრძნობდა, პილეს გვერდით პლიუშგადაკრულ რბილ სავარძელში ჩამჯდარიყო, რომელზეც გაკრული იყო გამონათქვამი: „იყავით ხშირად საყვარელი ადამიანების წრეში“ ტრაპსს ხელი მდუმარე მელოტისათვის დაედო, რომელიც დროდადრო გაკვირვებული წამოიძახებდა „შესანიშნავია“. „შ“-ს საოცარი შიშინით. მათ ნაზად, გულარხეინად ლოყა ლოყაზე მიედოთ. ტრაპსი ღვინოს დაემძიმებია და დაემშვიდებია. სიამოვნების მომგვრელია, ისეთ საზოგადოებაში ყოფნა, სადაც შენი ესმით, შენი თავი შენ გეკუთვნის,

არავითარი საიდუმლოება აღარა გაქვს, რადგან იგი უკვე აღარაა საჭირო. რა სჯობია, როცა ღირსეულად გაფასებენ და საყვარელი და მიღებული ადამიანი ხარ. ხოლო იმის შეგრძნება, რომ შენ მკვლელობა ჩაიდინე, რაშიც იგი მოხუცმა ბატონებმა უფრო და უფრო დაარწმუნეს, სიმშვიდეს გვრიდა, მის ცხოვრებას ასხვაფერებდა, მძიმეს, გმირულს,ძვირფასს ხდიდა. სწორედ ეს აღაფრთოვანებდა მას. მან ჩაიფიქრა მკვლელობა და აღასრულა კიდეც, ახლა მას ასე ესახებოდა ეს ამბავი, რათა წინ წაწეულიყო, და არა იმიტომ რომ, თითქოს, მხოლოდ თანამდებობა უნდოდა, ანდა გამდიდრების წყურვილი ჰკლავდა, არამედ იმიტომ რომ, ეს მათ სწორად შენიშნეს, უფრო მნიშვნელოვანი, უფრო სოლიდური ადამიანი გამხდარიყო. მისი აზრით — ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები მისი წარმოდგენის საზღვრები — დაეფასებინათ, შეეყვარებინათ ნასწავლ ადამიანებს. ტრაპსს ახლა ისინი — წარმოიდგინეთ პილეც კი — უძველეს ჯადოქრებად წარმოუდგებოდა თვალწინ. ერთხელ ტრაპსმა „რიდეზდაიჯესტში“ წაიკითხა, რომ ასეთმა ადამიანებმა შეიცნეს არა მარტო ვარსკვლავთა საიდუმლოება, არამედ ჩასწვდნენ იურისპრუდენციის საიდუმლოებასაც (იგი ამ სიტყვაზე ითვრებოდა), რომელსაც იგი მთელი თავისი საფეიქრო საქმიანობის მანძილზე მხოლოდ რაღაც აბსტრაქციულ ფანდად თვლიდა, ხოლო ახლა რაღაც საშინელ, მიუწვდომელ მზედ ამოვიდა მის შეზღუდულ ჰორიზონტზე, ეს კი თითქოს სრულიად მიუწვდომელი იდეა იყო, და სწორედ ამიტომაც უფრო ძლიერად აშინებდა და აძრწუნებდა მას. იმ დროს, როდესაც იგი ოქროსფერ-მოყავისფრო კონიაკს წრუპავდა, გაიგონა, — თავდაპირველად ღრმად გაუკვირდა, შემდეგ და შემდეგ სიბრაზემ შეიპყრო — რომ მსუქანი ვექილი გულმოდგინედ ცდილობდა მისი საქციელი რაღაც ჩვეულებრივ, ბიურგერულ, ყოველდღიურ საქმიანობად ექცია. — სიამოვნებით მოვისმინე პროკურორის გამჭრიახი მოხსენება, თქვა ბატონმა — კუმერმა, თან ჩაწითლებული ნახის ხორცის გუნდებიდან პენსნე მოიხსნა. იგი პატარა, შნოიანი, გეომეტრიული ჟესტებით წარმოთქვამდა სიტყვას. რასაკვირველია, მოხუცი განგსტერი გიგაქსი მკვდარია, მისი კლიენტი გიგაქსთან მძიმე სატანჯველში იყო ჩავარდნილი. ტრაპსში გაიღვიძა ნამდვილმა გულფიცხობამ გიგაქსის წინააღმდეგ, ტრაპსი ცდილობდა მის დამხობას. ვის შეუძლია სადაო გახადოს ეს, ვის არ მოსვლია ასე, ოღონდ ფანტასტური ის იქნება, რომ ეს სიკვდილი, სიკვდილი გულით ავადმყოფი საქმოსანი კაცისა, მკვლელობად წარმოვიდგინოთ [„მაგრამ მე ხომ მოვკალი!“ გააპროტესტა ტრაპსმა], პროკურორისაგან განსხვავებით იგი ბრალდებულს უდანაშაულოდ თვლის, დიახ, ტრაპსს არ შესწევს უნარი დანაშაული ჩაიდინოს. [ამ დროს ტრაპსმა გაცხარებით წამოიყვირა: „მაგრამ მე ხომ დამნაშავე ვარ!“] „ჰეფესტონის“ ხელოვნური ქსოვილების ფირმის მთავარი წარმომადგენელი ყველასათვის სამაგალითო შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ თუკი იგი ტრაპსს თვლიდა ისეთ ადამანად, რომელსაც არ შეწევდა დანაშაულის ჩადენის უნარი, ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ იგი უდანაშაულო იყო. პირიქით. ტრაპსი გახლართული იყო ყოველგვარ შესაძლებელ დანაშაულობებში, იგი არის ცოლქმრული ურთიერთობის დამრღვევი, ზოგჯერ ცხოვრებისაგან გაავკაცებული მატყუარა — ყალთაბანდი, მაგრამ არც ისეა საქმე, რომ მისი ცხოვრება მხოლოდ ცოლქმრული ურთიერთობის დარღვევისა და ყალთაბანდობებისაგან შესდგებოდეს. არა და არა! მას აქვს, აგრეთვე, თავისი პოზიტიური მხარეები, ამასთანავე, თავისი სათნოებანი. მეგობარი ალფრედო ბეჯითია, ჯიუტი, ერთგული მეგობარი თავის მეგობრებისა,ცდილობს თავის ბავშვებს უკეთესი მომავალი გაუმზადოს, სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურად საიმედოა, მაგ-

რამ იგი შებღალულია უზნეობით, თითქოს ოდნავ დამჟავებულს ჰგავს, ოდნავ გაფუჭებულია, როგორც ეს სწორედ ზოგიერთი ცხოვრების მონაკვეთისათვისაა დამახასიათებელი და სწორედ ამის გამო ტრაპსი დიდი, წმინდა, გაუბედავი დანაშაულისათვის, გადამწყვეტი მოქმედებისათვის, აშკარა დანაშაულისათვის უუნაროა. [ტრაპსი: „ცილისწამებაა, აშკარა ცილისწამებაა!“] ტრაპსი დამნაშავე არაა, იგი ეპოქის, დასავლეთის ცივილიზაციის მსხვერპლია, ცივილიზაციისა, ქრისტიანობისა, რომელიც, საუბედუროდ თანდათან ჰკარგავს რწმენას, სულ უფრო და უფრო ბურუსით მოცული ხდება. ქაოტიური გახდა, ისე რომ არავის შეუძლია მანათობელი ვარსკვლავის დანახვა, შედეგად მივიღეთ დომხალი, გაველურება, მუშტის კანონი და ნამდვილი ზნეობის უქონლობა. რა მოხდა ახლა? ეს უბრალო, სრულიად მოუმზადებელი ადამიანი, ხელში ჩაუვარდა დახვეწილ პროკურორს. ტრაპსის ბრძანებლური ინსტიქტი, მისი პირადი ცხოვრება, მისი ყოფიერება ყოველგვარი თავგადასავლებით, ყოფიერება, რომელიც საქმიანი მოგზაურობებით, საარსებო პურისათვის ბრძოლითა და ცოტად თუ ბევრად, უწყინარი გართობებისაგან შედგებოდა, ახლა თვალწინ ნათლად გადაგვეშალა, ძირფესვიანად გაირკვა, გაიხსნა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფაქტები ერთმანეთთან დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ, ლოგიკური გეგმა ყველაფერში უჩუმრად შემოიპარა, შემთხვევითობანი კანონზომიერ მოქმედებად წარმოადგინეს, რომელიც ადვილი მოსალოდნელია, არც მომხდარიყო, შემთხვევა განზრახვად იქცა, ხოლო დაუფიქრებლობა წინასწარ განზრახულად. ისე რომ საბოლოოდ დაკითხვისას სრულიად მოულოდნელად საიდანღაც იმგვარად გამოტყვრა მკვლელი, როგორც ჯადოქარის ცილინდრიდან ბაჭია გამოხტება ხოლმე. [ტრაპსი: „ეს არაა სწორი!“] თუკი, გიგაქსის შემთხვევას საღი ობიექტურობით განვიხილავთ, ისე რომ არ მოვექცევით პროკურორის მისტიფიკაციის გავლენის ქვეშ, მაშინ მივალთ დასკვნამდე, რომ [illegible] ფანგსტერი სიკვდილს მნიშვნელობა [illegible] ლად საკუთარ თავს, თავის მოუწესრიგებელ ცხოვრებას უნდა უმადლოდეს. რას ნიშნავს ასეთი ავადმყოფობა, საკმაოდაა ცნობილი. მუდმივი მღელვარება, ხმაური, მოშლილი ცოლქმრული ურთიერთობა და ნერვები, სწორედ რომ ვთქვათ, ინფარქტის მიზეზი თბილი, მშრალი ქარია, რომელიც ტრაპსმა ახსენა, სწორედ თბილი, მშრალი ქარია სახიფათო გულით ავადმყოფებისათვის. [ტრაპსი: „სასაცილოა!“], ასე რომ, ჩვენ უეჭველად საქმე გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ უბედურ შემთხვევასთან; რასაკვირველია, მისი კლიენტი მოქმედებდა უბოდიშოდ, რადგანაც იგიც საქმიანი ცხვრების კანონებს ექვემდებარება. ამას იგი ყოველ წუთს თვითონვე უსვამდა ხაზს, ცხადია, მას ბევრჯერ მოუვიდოდა აზრად შეფის მოკვლა. რას არ გაიფიქრებს ადამიანი, აზრით რას არ ჩაიდენს, მაგრამ მხოლოდ აზრით, საქმე რომელიც უნდა მოჰყოლოდა ამ აზრებს, არც ჩადენილა და არც შეიძლება დადგინდეს. აბსურდია ამის მიღება, და უფრო აბსურდია ის, რომ მისი კლიენტი წარმოადგინეს, ისე, თითქოს, მკვლელობა ჩაედინოს. მან მანქანის ავარიასთან ერთად განიცადა მეორე, სულიერი ავარია, და ამიტომაც იგი, ვექილი მოითხოვს, ალფრედო ტრაპსს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანონ, და ა. შ. და ა. შ. სულ უფრო და უფრო აბრაზებდა მთავარ წარმომადგენელს ეს კეთილმოსურნე ბურუსი, რომელშიც მისი მშვენიერი დანაშაული იყო გახვეული, და რომელშიც ეს დანაშაული მახინჯდებოდა, მქრქალდებოდა, გაურკვეველი, ჩრდილოვანი ხდებოდა. ტრაპსი ფიქრობდა, კარგად ვერ შემაფასეს და ვერ გამიგესო, და ამიტომაც, როგორც კი ვექილმა გაათავა ლაპარაკი, ისურვა კვლავ სიტყვით გამოსულიყო. ტრაპსმა თქვა, თან გაბრაზებული წამოდგა, მარჯვენა ხელში თეფში ეჭირა, რომელზედაც ახალი ტორტის ნაჭერი იდო, მარ-

ცხენაში კი ჰიქა „როფინაკის“ კონიაკით, მას სურს, ვიდრე განაჩენს გამოუტანენ, მხოლოდ და მხოლოდ გადაწყვეტილად დაამოწმოს, რომ იგი ეთანხმება პროკურორის მოხსენებას — ამ დროს მას თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა,—ეს იყო მკვლელობა, შეგნებული მკვლელობა, ეს ახლა მისთვის ნათელია. ვექილის სიტყვამ კი, პირიქით, ღრმად გაუტეხა გული, აღაშფოთა კიდევაც, სწორედ ვექილისაგან იმედოვნებდა გაგებას, იმედოვნებდა ამას, და ამიტომაც მოითხოვს გამოუტანონ განაჩენი, უფრო მეტი, მოითხოვს დასაჯონ არა მლიქვნელურად, არამედ აღფრთოვანებულად, რადგან პირველად ამ ღამით აეხილა თვალთ, რას ნიშნავს იცხოვრო ნამდვილი ცხოვრებით. აქ ჩვენი ყოჩაღი დაიბნა, რისთვისაა საჭირო სამართლიანობის მაღალი იდეები, დანაშაული და ცოდვები ისევე საჭიროა, როგორც ის ქიმიური ელემენტები და შენაერთები, რისგანაც მოხარშულია მისი ხელოვნური ქსოვილები, — თუკი ვიხმართ მისი დარგის გამოთქმას; ეს არის შეგნება, რომელმაც იგი ხელახლა შობა, ყოველ შემთხვევაში — თუ არა საკუთარი სპეციალობა, მისი სიტყვის მარაგი საერთოდ ძალიან ღარიბი იყო — პატიებას ითხოვს, ენით ვერ გამოთქვამს იმას, რასაც ჩვეულებრივ ფიქრობს — ყოველშემთხვევაში გამოთქმა „ხელახლა დაბადება“, მას მიაჩნია არც თუ მთლად ზუსტად და ბედნიერ გამოთქმად, რომელიც ვერ გამოხატავს იმ ძლიერი ქარიშხლის ქროლვას, რომელიც მასში ბობოქრობს და ხმაურით დაქრის.

ამგვარად, მივიდნენ განაჩენამდე, რომელიც ტანმორჩილმა, ძლიერ მთვრალმა მოსამართლემ სიცილში, შეძახილებში, ზეიმსა და, ასე განსაჯეთ, სიმღერაშიც კი [მღეროდა ბატონი პილე] წარმოსთქვა. მოსამართლე გაჭირვებით იმიტომ კი არ ლაპარაკობდა, რომ იგი როიალზე იყო ამძვრალი, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ სიტყვა უქმნიდა მას შეუპოვარ სიძნელეებს. ყოველ სიტყვაზე ენას უკიდებდა, ზოგი სიტყვა ეშლებოდა, ზოგსაც ნახევრად ყლაპავდა, იწყებდა წინადადებებს, [illegible] ეკვე ვეღარ იმორჩილებდა, გადააბამდა ისეთ წინადადებებს, რომელთა აზრი მას დიდიხანია დავიწყებული ჰქონდა, მაგრამ მთლიანობაში ჯერ კიდევ შეიძლებოდა აზრთა წყობის მიხვედრა. მოსამართლე სვამდა კითხვას, ვინ იყო მართალი, პროკურორი თუ ვექილი? მართლა ჩაიდინა თუ არა ტრაპსმა განსაკუთრებული ეპოქალური დანაშაული, თუ უდანაშაულო იყო? არცერთ ამ თვალსაზრისს მაინცდამაინც არ უჭერდა იგი მხარს. როგორც ვექილი ფიქრობს, პროკურორის დაკითხვა ნამდვილად რომ ტრაპსის ძალას აღემატებოდა, და ამის საფუძველზე, ტრაპსი ბევრ რაიმეში უნებლიედ გამოტყდა, რაც იმ ფორმით არ შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ტრაპსმა მაინც ჩაიდინა მკვლელობა, მართალია, არა ვერაგული განზრახვით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ იგი, ასეთი მოუფიქრებელი გახადა იმ ქვეყანამ, რომელშიც ცხოვრობს. მან მოკლა, რადგან მისთვის სრულიად ბუნებრივია ვინმე კედელთან მიჭყლიტოს, უბოდიშოდ წავიდეს წინ, გააკეთოს ის, რაც მოესურვება. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელშიც იგი თავის „სტუდაბეიკერით“ მიმოქრის. ჩვენს ძვირფას ალფრედოს არაფერი შეემთხვეოდა, შეუძლებელიც იყო რაიმე შემთხვეოდა, რომ თვითონ მასვე არ გამოეჩინა თავაზიანობა და თავისივე ფეხით არ სწვეოდა მოსამართლეს წყნარ თეთრ ვილაში, [აქ კი მოსამართლეს მზერა დაებინდა და დანარჩენი, კაცმა რომ თქვას, მან წარმოთქვა მხიარული სლუკუნით, დროდადრო აღელვებული, ძლიერი ცხვირის ცემინება აწყვეტინებდა სიტყვას, რის გამოც მისი პატარა თავი უზარმაზარ ცხვირსახოცში იფლობოდა, რასაც ყოველთვის სხვების ძლიერი სიცილი ერთვოდა], სწვეოდა ოთხ მოხუც კაცს, რომლებმაც მას სამართლის სუფთა სხივით საკუთარი ცხოვრება გა-

უსხივოსნეს — განაგრძობდა მოსამართლე — მართალია სამართალს უცნაური თვისებები ახასიათებს, მან იცის, კარგად იცის ეს, სამართალი ღიმილით იცქირება, ოთხი დანაოჭებული სახიდან ირეკლება მოხუცი პროკურორის მონოკლში, მსუქანი დამცველის პენსნეში, იმზირება მთვრალის უკბილო პირიდან, უკვე რამდენადმე აჭიკჭიკებული მოსამართლის ხითხითიდან და გადამდგარი ჯალათის მელოტ თავზე წითლად ანათებს. [დანარჩენები მოსამართლის გაუთავებელ ჭიკჭიკზე გაჰყვიროდნენ: „განაჩენი, განაჩენი!“], ამ ოთხი ადამიანის სახიდან არეკლილი სამართალი არის გროტესკული, უცნაური, პენსიაში გასული სამართალი, მაგრამ მაინც სამართალია. [დანარჩენნი ხმაშეწყობილად ყვიროდნენ: „განაჩენი, განაჩენი!“] და ამ სამართლის სახელითაც იგი ახლა საუკეთესო ძვირფას ალფრედოს სიკვდილს უსჯის... [პროკურორი, დამცველი, ჯალათი და სიმონე სიამოვნების შეძახილებით იქაურობას აყრუებდნენ. ტრაპსიც აღელვებისაგან სლუკუნებდა: „გმადლობთ, ძვირფასო მოსამართლევ, გმადლობთ!“], თუმცა განაჩენი იურიდიულად დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ იმაზე, რომ ბრალდებულმა თვითონვე აღიარა თავისი დანაშაული, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მთავარი და მნიშვნელოვანი სწორედ ესაა. ამიტომაც ახლა მას ის ახარებს, განაგრძობდა მოსამართლე, რომ გამოიტანა ისეთი განაჩენი ,რომელიც ბრალდებულმა მთლიანად მიიღო; ადამიანური ღირსება მოწყალებას არ თხოულობს, და დაე, ჩვენმა პატივცემულმა სტუმარმა ისევე მხიარულად მიიღოს სიკვდილით დასჯის განაჩენი, რომელიც, როგორც მოსამართლე იმედოვნებს, ნაკლებ სასიამოვნო ვითარებაში როდი იქნა მიღწეული, ვიდრე თვით ტრაპსის მიერ ჩადენილი მკვლელობა. ის, რაც უბრალო მოქალაქეებისათვის, საშუალო ადამიანებისათვის შემთხვევითი აღმოჩნდება, ყოველთვის უბედური შემთხვევის, ანდა ბუნების აუცილებლობითაა გამოწვეული, ისე როგორც ავადმყოფობა, როგორც სისხლის ძარღვების დაცობა, [illegible] ავთვისებიანი სიმსივნე, [illegible] ყველაფერი აუცილებელი, მორალური შედეგიდან გამომდინარეობს, მხოლოდ ხელოვნების ქმნილების აზრით ლოგიკურად ცხოვრება აქ მთავრდება, ადამიანური ტრაგედია თვალსაჩინო ხდება, ნათელი ეფინება, უმწიკვლო გამოსახულებას იღებს, გვირგვინდება. [დანარჩენი სტუმრები კი ყვიროდნენ: „დასასრული, დასასრული!“], დიახ, შეიძლება მშვიდად წარმოვთქვათ: მხოლოდ განაჩენის გამოცხადების აქტი, როდესაც ბრალდებული უკვე მსჯავრდებული ხდება, სამართლიანობის რაინდულობის ნიშნითაა აღბეჭდილი. შეუძლებელია არსებობდეს მასზე მაღალი, კეთილშობილი, დიადი ვიდრე ის, როცა ადამიანს სიკვდილს უსჯიან. ეს ასეც მოხდა: ტრაპსი, ეს მართლაც და, შესაძლებელია, არც თუ მთლად იღბლიანი კაცია,—რადგანაც საფუძველშივე აქ შესაძლებელია მხოლოდ პირობითი სიკვდილის მისჯა, მაგრამ ამაზე მოსამართლე უარს ამბობს, რათა მის ძვირფას მეგობარში არ გამოიწვიოს სასოწარკვეთილება, — მოკლედ, ალფრედო ახლა მათი ტოლია და მათი ღირსი, იგი შეიძლება მიღებულ იქნას მათ საზოგადოებაში, როგორც ოსტატური მოთამაშე და ა. შ. [გაისმა დანარჩენთა შეძახილი. „შამპანური შემოიტანეთ!“]

საღამომ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. შამპანური შუშხუნებდა, შეკრებილთა მხიარულება უღრუბლო იყო, მხიარულება თანდათან მატულობდა, ვექილიც კვლავ საერთო ფერხულში ჩაითრიეს. სანთლები ბოლომდე ჩაიღვენთა, ზოგიერთი უკვე ჩამქრალიყო კიდევაც. ქუჩაში დილის პირველი სუნთქვა იგრძნობოდა, ცაზე ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ, შორეთში მზე ამოდიოდა. გრილოდა და ცვარი ეპკურა ყველაფერს. ტრაპსი აღფრთოვანებული იყო, ამავე დროს დაღლილი. მოითხოვა, ჩემს ოთახამდე მიმიყვანეთო; ხან ერთ მოხუცს ჩაეხვევო-

და, ხან მეორეს. მოხუცები ჯერ კიდევ ჭიკჭიკის გუნებაზე იყვნენ, მთვრალების ძლიერი ხმაური ავსებდა სასტუმროს, გაისმოდა ცალკეული სიტყვები, მონოლოგები, ხოლო ერთმანეთს კი არავინ არ უსმენდა. ღვინისა და ყველის სუნი იდგა ირგვლივ. ბედნიერ, დაღლილ მთავარ წარმომადგენელს თმაზე უსვამდნენ ხელს, ეალერსებოდნენ, კოცნიდნენ; ტრაპსი ბავშვივით გამოიყურებოდა ბაბუებისა და ბიძების წრეში. მელოტმა მდუმარედ აიყვანა ტრაპსი ზევით. ისინი ძლივსძლივობით ადიოდნენ კიბეებზე, დაოთხილები, შუა კიბეზე გაიხირნენ, წინ წასვლა უკვე აღარ შეეძლოთ, საფეხურზე დაყუნცდნენ. ზევიდან, რომელიღაც ფანჯრიდან ქაშანურ-იისფერი ღილის აისი ეცემოდა, რომელიც აღრეულიყო თეთრად შეფეთქილ კედლების ფერში. გარედან ისმოდა დამდგარი ღღის ხმაური, შორეული რკინისგზის სადგურიდან სასტვენის ხმა და მანევრების ხმაური ტრაპსს გაურკვევლად აგონებდა, რომ გუშინ ხელიდან გაუშვა შინ დაბრუნების საუკეთესო შესაძლებლობა. ტრაპსი ბედნიერი იყო, არაფრის სურვილი არ ჰქონდა, ასეთი რამ მთელი ცხოვრების მანძილზე ჯერ არასოდეს დამართნოდა. მეხსიერებაში ამოტივტივდა გაფერმკრთალებული სურათები: ერთი ბიჭის სახე. ეს მისი უმცროსი შვილი იყო, რომელიც მას ყველაზე უფრო უყვარდა, შემდეგ გამოჩნდა ბურუსით მოცული პატარა სოფელი, რომელშიც იგი თავისი ავარიის გამო მოხვდა, შენიშნა ქუჩების ნათელი ზოლი, რომელიც პატარა შემაღლებულზე მიიკლაკნებოდა, პატარა ბორცვი ეკლესიასთან. გაახსენდა უზარმაზარი, ძლიერი, რკინის სალტეებითა და ბოძკინტებით გამაგრებული მუხა, ტყით შეფენილი ბორცვები, მათ უკან კი უსასრულოდ მოწმენდილი ცა. მაგრამ აქ მელოტმა წაიჩურჩულა, „მეძინება, ძალიან მეძინება, დავიღალეო," და მართლაც დაიძინა. მელოტს ბუნდოვნად ესმოდა, როგორ მიძვრებოდა ტრაპსი ზევით, შემდეგ გაისმა სკამის ხმაური, კიბეზე დაძინებულმა მელოტმა წამით გამოიღვიძა; პილე ჯერ კიდევ ძილ-ბურანში იყო, წასული, ჩაძირული იყო შიშსა და ძალაუფლებით აღსავსე წუთების განცდაში. შემდეგ მძინარის ირგვლივ გაისმა არეულ-დარეული ნაბიჯების ხმა. ეს პროკურორი, მოსამართლე და ვექილი ამოდიოდა კიბეზე. მათ ჭყივილითა და ჩხავილით მაგიდაზე პერგამენტი გაეშალათ და სასიკვდილო განაჩენი დაეჯღაბნათ, რომელიც უჩვეულოდ კარგად იყო შედგენილი, გონებამახვილური წინადადებებით, აკადემიური ფრაზებით, ლათინურად და ძველ გერმანულად. შემდეგ მოხუცები გაემართნენ ტრაპსთან, რათა თავიანთი ნაწარმოები მძინარე მთავარწარმომადგენელისათვის საწოლზევე დაედოთ, რათა დილით გაიღვიძებდა თუ არა, ენახა გრანდიოზული ტკბილი ღრეობის მოსაგონარი. გარეთ სინათლემ იმატა. სისხამი დილა დადგა, გაისმა ჩიტების პირველი ჭიკჭიკი, მკვეთრი და სულწასული. მოხუცები ზევით ავიდნენ, მელოტს თავზე გადაალაჯეს. ისინი ერთმანეთს ჩაბღაუჭებოდნენ, სამივენი ბორძიკობდა, ძლივსძლივობით მიაბიჯებდნენ, განსაკუთრებით კიბის მოსახვევში გაუჭირდათ, გაიჭედნენ, ვერც უკან დაიხიეს, ვერც წინ წავიდნენ. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწიეს სტუმრის ოთახს. მოსამართლემ კარები გააღო, მაგრამ მოზეიმე ჯგუფი ზღურბლზევე გაშეშდა; ფანჯარაში ტრაპსი ეკიდა უმოძრაოდ, მქრქალ, ვერცხლისფერ ცის ფონზე, ირგვლივ ვარდების მძიმე სუნი იდგა. შავი სილუეტი ფანჯარაში ისე გულგრილად და ისე დამაჯერებლად ეკიდა, რომ პროკურორმა, რომლის მონოკლში ჯერ ისევ ირეკლებოდა მომძლავრებული აისი, ძლივს მოითქვა სული, ხოლო შემდეგ უიმედოდ და ნაღვლიანად თავის დაკარგულ მეგობარზე, ნამდვილი გულისტკივილით წარმოსთქვა: „ალფრედო, ჩემო ძვირფასო ალფრედო! ღმერთო ჩემო, რამ გაიძულა ასეთი რამ ჩაგედინა! რად ჩაგვიმწარე ეს შესანიშნავი დროსტარება!"

თარგმანი გერმანულიდან

ნოდარ რუხაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოჯიე პაჭკორია

„მე და სიყვარულის“ გამო

„მე და სიყვარული“ ცოტა არ იყოს მოულოდნელი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხმამაღლა ნათქვამი სათაურია. რას გულისხმობს მის მიღმა ოტია იოსელიანი?

„მე და სიყვარული“ თუ ანაზდათ წამოცდენილი ფრაზა არ არის, მაშინ ამთავითვე უნდა გაირკვეს, რა აზრი უდევს საფუძვლად ამ სათაურს, საიდან გაჩნდა აქ მე ნაცვალსახელი (რომელიც ზოგჯერ „ადამიანის მორალურ ძალას ბორკავს“). დარწმუნებულია კი ავტორი, რომ შესძლებს მკითხველს რაიმე ახალი, „მოულოდნელი აღმოჩენა“ შესთავაზოს, რაღაც ახალი კუთხით დაანახოს პიროვნების (მე-ს) დამოკიდებულება ამ გრძნობასთან?

„მე და სიყვარული“ ეთიკური ფორმულაა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მწერალი ამ ფორმულაში გარკვეულ ლიტერატურულ „სიმართლეს“ გულისხმობს. როგორი შეიძლება იყოს ეს სიმართლე?

ვიდრე შევეცდებოდეთ ოტია იოსელიანის მოთხრობების მიხედვით ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას, თავს ერთგვარი ლიტერატურული ექსკურსის ნებას მივცემთ.

სანჩო პანსა თავისი პატრონის ელჩად ეწვია დულცინეა ტობოსელს, ნახა იგი და გაოცდა, დულცინეა-ალდონსა არაფრით არ ჰგავდა რაინდის ოცნების დედოფალს.

არსებობს სანჩო პანსას სიმართლე (ყველაფერი დანახული პრაქტიკული თვალით) და არსებობს დონკიხოტის სიმართლე, მაგალითად, ქალის ღვთაებად აღიარება (ე. წ. „წარმართული“ სიყვარული). ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ არც ნატურალისტურ სიზუსტეს და არც კურტუაზულ ურთიერთობათა დეკორატიულ პეწს. მთავარია სხვა რამ—სანჩომ ნახა დულცინეა და იცის „სიმართლე“ მასზე. ლამანჩელი იდალგოსთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სანჩოს ცოდნას, რადგან მან იცის უფრო მეტი და მნიშვნელოვანი. მან იცის თავის წარმოდგენაში შექმნილი სამყაროს მორალური კანონი.

ჩვენ ეს მაგალითი იმიტომ კი არ მოვიტანეთ, თითქოს ვინმეს ჩვენი საზოგადოების და ცხოვრების მორალური კანონის არცოდნას ვაბრალებდეთ. აქ „სიმართლის“ ორი მხარე უპირისპირდება ერთმანეთს — სანჩოს სიმართლე — მხოლოდ ემპირიული სინამდვილე, მხოლოდ იმის ცოდნა, რომ დულცინეას ხელებზე ნაკელის სუნი სდის და რომ იგი „ალდონსაა“ და დონკიხოტის „სიმართლე“ — უკვე ნათელი მორალური მრწამსი, რომელიც მოვლენისა თუ საგნის უბრალო შინაარსს ლიტერატურულად გარდაქმნის, ტენდენციურია. მაკრამ ხელოვნებისათვის აუცილებელი ტენდენციურობით.

გავიხსენოთ ერთი ქართველი მწერლის რომანის გმირის სიტყვები —

ო. იოსელიანის წიგნმა „მე და სიყვარული“ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა. მნათობის № 9-ში დაბეჭდილი იყო დ. ქუმსიშვილის წერილი, რომელშიაც ავტორმა წიგნი დადებითად შეაფასა. მნათობის ამ ნომერში ადგილს ვუთმობთ კრიტიკოს ო. პაჭკორიას წერილს.

„ყველა სიმართლე სიმართლე არ არის, შვილო, აი მე ახლა დარწმუნებული ვარ, რომ თუ მოვკვდები, შენს გულში ვიცოცხლებ, უკვალოდ არ გავქრები, ჩემი სახელი საკალანდარიოს არ დაავიწყდება, იქნებ ეს სიცრუეა? მე მგონი, რომ სიმართლეა, ჰა, რას იტყვი? თუ სიცრუეა, არ უნდა მითხრა, შვილო, მე არ მჭირდება ასეთი სიმართლე...“

ამ სიტყვებსა და მწუხარე სახის რაინდის მორალს შორის ერთგვარი კავშირია და ამ კავშირში ლიტერატურული თვისებაც საცნაურია.

მაინც რა არის აქ, ფაქტთა გაყალბების მოთხოვნა ან უსაგნო მისტიფიკაციის ერთადერთ რეალობად აღიარება? არა გვგონია. სიმანდვილის კრიტიკული აღქმა არასოდეს არ ყოფილა წვრილმან ფაქტთა გაზვიადება. არსებობს ფაქტები, რომლებიც საზოგადოებრივი მორალისა და ინტერესის მიღმა რჩება და მათი ამ სფეროში შეტანის ცდა მხოლოდ იოლი და, უმეტესად, ამაო შრომაა.

ჩვენ არ გვსურს ვესაუბროთ ოტია იოსელიანს ისე, როგორც იმ ახალგაზრდა ავტორს, რომლის ლიტერატურული მომავალიც სათუოა, არ გვსურს „ვარსკვლავთცვენისა“ და „ლევანას“ ავტორს მივუტევოთ თუნდაც მცირე შეცოდებანი, რადგან მისგან მოვითხოვთ იმ ლიტერატურულ დონესა და იმ ოსტატობას, რაც ჩვენი სულიერი და გონებრივი ცხოვრების საზრდო იქნება. ეს არა მარტო ლიტერატურისათვის, ყოველი ჩვენგანის პირადი ცხოვრებისათვისაც არის აუცილებელი.

დაახლოვებით ასეთია ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც გვინდა განვიხილოთ ოტია იოსელიანის მოთხრობების ერთი ნაწილი. ჩვენ ამ შემთხვევაში არ ვხელმძღვანელობთ არც ქრონოლოგიით, და არც მხოლოდ ერთ კრებულში დაბეჭდილ ნაწარმოებებზე ვამახვილებთ ყურადღებას. გამოვყოფთ თემატურ ჯგუფს და მას, პირობითად, „მე და სიყვარულს“ ვარქმევთ („ქვრივის ცრემლები“, „ცეცხლთან“, „ოსანა“, „აკაციის ყვავილობა“, „თეთრი პალატა“, „ქალი აგარაკზე“, „ცირა“ და სხვა).

ამ მოთხრობების წაკითხვისას ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება (თუნდაც იმიტომ, რომ კრებულის წინათქმაში წერია — „მწერალმა იმთავითვე მიიქცია ყურადღება ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებებით“ და რაკი ასეა, გავყვეთ ამ დაკვირვებებს). როცა ოტია იოსელიანი თავისი მოთხრობებისა და ნოველების თემად ირჩევს სიყვარულს, თითქმის ყოველთვის ბიოლოგიური და სულიერი ცხოვრების მიჯნაზე ჩერდება, ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ავტორი რომელიმე აწ მივიწყებული ესთეტიკური თვალსაზრისის მიმდევარია ან აქ რაღაც განსაკუთრებულ „ფსიქოლოგიურ სიღრმეს“ ხედავს. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საქმე უფრო მარტივად არის — ამ მიჯნაზე კაცს შეუძლია ბევრი რამ არ გააანალიზოს, კარგად დანახული იმპულსებით ერთგვარი ფსიქოლოგიზმის ილუზია შექმნას.

არის კიდევ ერთი თავისთავად არც თუ ისე მნიშვნელოვანი მომენტი, მაგრამ იგი, ნებსით თუ უნებლიეთ, მორალურ-ეთიკურ პრობლემატიკაზე თავის გავლენას ახდენს. კერძოდ, ოტია იოსელიანი თითქმის არასოდეს არ განსხვავებს ერთმანეთისაგან გრძნობას და გრძნობადობას (чувство и чувственность), ხშირად გრძნობადობას გრძნობის ფუნქციას აკისრებს და ამის საფუძველზე ქმნის ხასიათებს (იქნებ სინამდვილეში არსებულ ხასიათებსაც კი, ოღონდ, პირობითად რომ ვთქვათ, სანჩოს თვალით დანახულს).

ასე იყო ნოველა „ქვრივის ცრემლებშიც“.

უსამართლობა იქნებოდა აქვე რომ არ გვეთქვა, ნოველა დაწერილია ოსტატურად, მას არც კოლორიტი აკლია და თავშეკავებული სარკაზმიც თითქმის შეეფერება მის თემას, მაგრამ ჩვენ ამჯე-

რად გვაინტერესებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა „შესრულების“ ხარისხი, არამედ თვით მასალა, უფრო სწორად, მასალის ეთიკური ღირებულება.

შემთხვევითი ფიზიკური კონტაქტი (ტვირთის აწევის დროს მამაკაცის შეხება) საკმარისი გახდა, რომ ქვრივ ქალს მძაფრი ზნეობრივი შერყევა განეცადა, ეს არის ის ძირითადი „ფსიქოლოგიური“ ფაქტორი, რომელიც ნოველის მოქმედებას საფუძვლად დაედო.

ნოველის გმირის „ფსიქო-ფიზიოლოგიურ“ გასაჭირს თავისი ლოგიკა აქვს, ქალი ძალდაუტანებლად ემორჩილება საკუთარ ვნებას, იგი გამოიგონებს თავის „დაცემას“ და ისე მძაფრად განიცდის (ტოპოგრაფიული სიცხადითაც კი), რომ ამას უკვე მომხდარი ფაქტის მნიშვნელობა ენიჭება. ქვრივის შინაგან მონოლოგს არავითარი ფარული აზრი არ აქვს, იგი პირდაპირ ამბობს რას მოელის და რა სურს. რაც უფრო უახლოვდება სახლს, ქალი თანდათანობით იძარცვავს სულიერ სამოსელს, შიშვლდება მორალურად, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაღაცნაირი სტრიპტიზული თანმიმდევრობით. დაბოლოს, როცა მან მორალურად და ფიზიკური სიცხადითაც კი განიცადა ყოველივე, მოულოდნელი ფინალი (ქვრივი გადარჩა, რადგან მისი თანამგზავრი ან ვერ მიხვდა ან არ მიხვდა ქალის „გასაჭირს“) ხელოვნურად განტვირთავს დაძაბულობას. ლოგიკური სტრუქტურა სწორია, ოღონდ ნიშნავს თუ არა ეს ლიტერატურულ სიმართლეს? ჩვენ არ ვდავობთ, შეიძლება „ბიოლოგიურმა შიმშილმა“ რამდენადმე განაპირობოს ვინმე ქვრივის ფსიქიკა, შეარყიოს მისი მორალური პრინციპი (დაახლოებით ამავე ფსიქიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა „ვარსკვლავთცვენის“ პერსონაჟი ფატიც), მაგრამ ჩვენ ფაქტის შესაძლებლობა ან შეუძლებლობა არ გვაინტერესებს, საინტერესოა მორალური გარდაქმნისა, თუ სულიერი მერყეობის მიზეზთა გამონახვის ავტორისეული თვალსაზრისი, ამ თვალსაზრისის ფსიქოლოგიური და ეთიკური ღირებულება. ამ ნოველაში მხოლოდ ერთი თვალსაზრისი — ახასიათებს — ფაქტი ახსნილია ფიზიკური შეხებით გამოწვეული „ბიოლოგიური შიმშილის“ მძაფრი რეციდივით.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვფიქრობთ, რომ თითქოს ავტორი ამ ნოველით რაღაც საეჭვო ზნეობრივ პოზიციაზე მკვიდრდებოდეს (ეს უკვე შორს წაგვიყვანდა), უბრალოდ, როცა ოტია იოსელიანმა ქვრივის განცდათა ამამოძრავებელ ფაქტორად აირჩია ისეთი დეტალი, როგორიცაა შემთხვევითი ფიზიკური კონტაქტი მამაკაცთან, ამით მან თავისი ნოველის პერსონაჟის სულიერი ცხოვრება იმთავითვე ბიოლოგიის სფეროთი განსაზღვრა და ამის მიზეზი, ჩვენი აზრით, სწორედ „ღრმა ფსიქოლოგიზმის“ საზღვრებია.

თომას მანს „ფელიქს კრულში“ აქვს ერთი ასეთი ადგილი:

ფელიქს კრული კაფეში ზის და მის პირდაპირ მჯდომ ქალს უთვალთვალებს, კრული ქალის ნაკვთებსა და გარეგნობას შეაფასებს მორალურ-ეთიკური ცნებით—„დადებითით“, და აქვე თავისთავს დაუსვამს შეკითხვას — შეიძლება თუ არა ეთიკური შინაარსის სიტყვის გრძნობადობის სფეროში გადატანაო?

ერთის შეხედვით, ეს მხოლოდ მოცლილი კაცის მსჯელობაა, მაგრამ ამ მსჯელობას აქვს საკმაოდ ღრმა შინაარსიც, აქ შესაფერი სიტყვის ძიება, უფრო სწორად, შეუფერებელი სიტყვის უკუგდება უცებ ჰფენს ნათელს კრულის მორალურ პოზიციას, მის დამოკიდებულებას ქალისადმი. კრული ციინიკურად თვალთმაქცობს, როცა გრძნობადობის დაფარვას ეთიკური ცნებით ცდილობს, მაგრამ კრული მაშინვე გრძნობს ამ „კომბინაციის“ სიყალბეს და აქვე გამოუტყდება კიდეც თავისთავს... ამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლინგვისტურ დეტალს პერსონაჟის ხასიათთან უშუალო კავშირი აქვს და იმავე დროს ქალთან (ამ შემთხვევაში კონკრეტულ პიროვნებასთან), დამოკიდებულებასაც წინასწარ განსაზღვრავს.

ჩვენ ეს დეტალი ერთმა ვითარებამ გაგვახსენა, სათაურს „ქვრივის ცრემლებს“ სწორედ მორალური აქცენტი აქვს. ამ სათაურსა და ნოველის აზრს შორის წინააღმდეგობაა, თუ ეს წინააღმდეგობა შეგნებულად არის ხაზგასმული, მაშინ მას დაცინვის (ცინიზმისაც კი) იერი დაჰკრავს, მეორე მხრივ, ძნელი არ არის იმის მიხვედრაც, რომ ავტორმა ნოველას, ასე ვთქვათ, „ნეიტრალური“ სათაური გამოუძებნა, რომელიც ქვრივის ვნებათა ღელვას ერთგვარი განზოგადებული სევდის შინაარსს მისცემდა, მაგრამ მხედველობაში არ მიიღო ის, რასაც კრული უცებ მიხვდა— ასეთი კომბინაციის სიყალბეს.

ბაბე („ქალი აგარაკზე“) მიემგზავრება ზღვისპირა კურორტზე „სანადიროდ“. მოგვიტევეთ ასეთი ტონი, მაგრამ ბაბეს მართლაც აქვს გარკვეული მიზანი, რომელიც ნადირობას ჰგავს. ბაბე ეძებს „მას“. ბაბესათვის სულ ერთია ვინ არის „ის“. იგი მთელი ცხოვრება ელოდა ვიღაცას, და რაკი ის „ვიღაც“ არ გამოჩნდა, ბაბემ გადაწყვიტა თვითონ დასდგომოდა გზას „მის“ მოსაძებნად. ბაბე გულუბრყვილო არ არის. ავტორი თითქმის ცინიკური გულახდილობით გვიყვება ბაბეს ფიქრებს. ქალს აგარაკზე მოქმედების ზუსტი გეგმა აქვს შემუშავებული, გათვალისწინებული აქვს ყველა წვრილმანი, საბანაო კოსტუმის ფერი, სკამზე განგებ დავიწყებული წიგნი და ა. შ. ბაბე დაძაბულია, ბაბე ეძებს.

დასასვენებელ სახლში ჩასვლისთანავე ბაბე გაიცნობს ვინმე ჟორას. ამ კაცის ფამილიარობის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ეკუთვნის დასასვენებელი სახლების ე. წ. კულტმუშაკების ტიპს, რომელთაც კარგად აქვთ შეთვისებული მატარებლების, გზებისა და აგარაკების „სტილი“. ავტორის აზრით ეს სტილი საგრძნობლად განსხვავდება ნორმალური ყოფის სტილისაგან. მაგალითად, იგი ამით ამართლებს უცნობ მანდილოსანთან ასეთი მოულოდნელი მანერით გამოსაუბრებას:

„ᲐᲠᲐ ᲮᲝᲛ? ვიფიქრე, ვინ არის ეს უცხო ქალი-მეთქი. სახელი, თქვენი სახელი? სახელი ასაკი არაა, ფუმცა თქვენ დასამალი რა გაქვთ, ჯერ ასოგაზრდა ხართ, ხა-ხა-ხა!“

ეს უაზრო „ხა-ხა-ხა“ გახლავთ სწორედ ჟორას სტილი. თუმცა, რა უკიდურესობამდეც არ უნდა იყოს მისული ბაბე, ავტორმა იცის, ჟორა არ შეიძლება ბაბეს რომანის გმირი გახდეს.

და აი, ბაბეს „ბედმა გაუღიმა“, იგი გაეცნო შალვას. ვინ არის შალვა ძნელი სათქმელია. ბაბეს სიტყვებით — შალვა „აგარაკზე მყოფი მამაკაცისათვის მეტისმეტად თავდაჭერილია“. ბაბე გულუბრყვილო ფანდებით ცდილობს მიახვედროს შალვა — მოდი და გამომელაპარაკეო. შალვამ კი (ბაბეს ფიქრით) „უთუოდ შეატყო, რა ქალიც იყო ბაბე, ამიტომ დაჯდა ასე შორს და ორიოდე სიტყვის გარდა, არაფერი უთქვამს. ქალმა რომ სრულებით ხმა არ ამოიღო, იფიქრა, არ დავაფრთხოო და ჯერჯერობით ეს ორიოდე სიტყვაც საკმარისად ჩათვალა. ბაბე ეჭვობდა, ზედმეტ სიფრთხილეს ხომ არ ვიჩენო, ის არ ოცნებობდა იდეალურ, ზებუნებრივ სიყვარულზე. მაგრამ ვერ ეგუებოდა პირველ შეხვედრილ მამაკაცთან ასე სწრაფად დაახლოებას“.

შალვაც, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ ბანალური პიროვნება აღმოჩნდა. (სხვათა შორის, შალვა იმდენად ცბიერია, რომ იმთავითვე მიხვდა ბაბეს „გასაჭირს“ და თუ თავისი ვერ გაიტანა, მხოლოდ იმიტომ, რომ ბაბეს ფიზიკური შიში დაეუფლა და არავითარი მორალური შემობრუნება არ განუცდია). მოთხრობის ფინალი არაფერს არ ცვლის, ბაბე მაინც ის ბაბეა (ოღონდ ხელმოცარული), წითელი საბანაო კოსტუმით მამაკაცების გახელებას რომ ლამობდა და ის ბაბეა, რომლის „შეცოდებაც“ ყოველგვარ სიფაქიზესა და ფსიქოლოგიზმს არის მოკლებული.

რა არის აქ—სადავო მორალური პოზიცია თუ ცხოვრებიდან და ლიტერატურიდან რომანტიკულის განდევნის ცდა, რასაც ამ ბოლო დროს „ცხოვრების

ცოდნით გამოწვეული სკეპტიკოსობის“ ნაძალადევ და ცოტა არ იყოს გულუბრყვილო „თეორიით“ ამართლებენ ხოლმე.

უნგრელებს აქვთ ერთი ფილმი, სადაც ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი, დაწყებული საბანაო კოსტუმის შერჩევითა და აგარაკზე გამგზავრების მიზნით, დამთავრებული დასასვენებელი სახლისა და პლაჟის ცხოვრების სტილით. მაგრამ ფილმის ავტორებმა შექმნეს კომედია, რადგან ამბავის ხასიათი მხოლოდ კომიკურ გადაწყვეტას თუ აიტანდა, ბოლოს ბედნიერი ფინალიც გამონახეს. მათ არ გაიმეტეს თავისი ფილმის პერსონაჟი ისე, რომ მისი სასუსტე ყალბი დრამატიზმისათვის გამოეყენებინათ. აქ ზედმეტი სერიოზულობა სასაცილო იქნებოდა (სასაცილო არა კომიკურის გაგებით). მიუხედავად მთელი რიგი კურიოზისა, ფილმის გმირი არ კნინდება, რადგან ამას არც ფსიქოლოგიური მოტივი და არც სოციალური საფუძველი არ ჰქონდა.

ოტია იოსელიანის მოთხრობაში მოყოლილ ამბავს აქვს თავისი თანმიმდევრობა — ბაბე შინაბერაა, ბაბეს მოსწყინდა მარტოობა, გაემგზავრა აგარაკზე, გაიცნო შალვა და კინაღამ შეცდა. „კინაღამ შეცდა“ ისეთი მობოდიშებაა, რომ ავტორი მას არ უნდა ენდოს. ამით არაფერი არ იცვლება, რადგან ასეთ შემთხვევაში ფაქტის ჩადენა თუ არჩადენა (ისევე, როგორც „ქვრივის ცრემლებში“) მოთხრობის აზრის შეცვლის გულუბრყვილო ცდაა.

მოთხრობა მთავრდება უაღრესად ზუსტი, კარგად მიგნებული სტრიქონებით: „ქალს ცრემლი მოერია, დაჯდა, მკლავებით მუხლებს დაეყრდნო, სახე ხელებში ჩამალა და აქვითინდა.

სანამ ტიროდა, ეგონა, ზღვაზე ღელვამ იმატაო, მაგრამ როცა თავი აიღო, მზე გადახრილიყო და ზღვა ჩვეულებრივად, წყნარად ლოკავდა ნაპირს“.

ასეთი პასაჟებისა თუ დეტალების მიგნებით ოტია იოსელიანი ხშირად მოისყიდის ხოლმე მკითხველის გულს, რადგან ისინი თითქმის ყოველთვის ჭეშმარიტი ნიჭის დასაბუთებაა, ხანდახან იგი ზედმეტად ენდობა ცალკეულ ფრაზას და პასაჟს, ამით ყოველთვის როდი ხერხდება საერთო ნაკლის დაფარვა.

ზის ბაბე ზღვის პირას და ქვითინებს, აქ მიატოვა იგი ავტორმა, მკითხველისათვის კი მაინც გაურკვეველია — რა იყო აქ, გულგრილობა (და არა ობიექტურობა) თუ დაცინვა? (როცა დაცინვაზე ვლაპარაკობთ, ხასიათის შექმნის სატირულ ან იუმორისტულ თვალსაზრისს როდი ვგულისხმობთ, ამ მოთხრობაში ასეთი თვალსაზრისი არ არსებობს). დასცინი ე. ი. უარყოფ, უარყოფას კი დიდი მორალური უფლება — ნათლად ჩამოყალიბებული სოციალური პოზიცია და ფსიქოლოგიური მოტივირება ჭირდება.

ნათქვამია — სინამდვილის ფანტასტიკურობას ვერავითარი გამონაგონი ვერ შეედრებაო, ეს ასეა, მაგრამ შეიძლება კი, რომ მწერალი ყოველგვარ ამბავს (რაოდენ „ფანტასტიკურიც“ არ უნდა მოეჩვენოს იგი) ბრმად ენდოს?! იგი ხომ, უპირველეს ყოვლისა, სელექციონერია.

ლიტერატურული პერსონაჟის შექმნას ვერ გაამართლებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ სინამდვილეში მას ზუსტი ასლი გააჩნია. ლიტერატურული ხასიათი ყოველთვის კრებითია, იგი რეალურია. მაგრამ არასოდეს არ იმეორებს ამ ქვეყნად არსებულ მხოლოდ ერთ ხასიათს. ამ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტების გამეორება აი რისთვის დაგვჭირდა; ჩვენ არ უარვყოფთ ბაბეს არსებობის შესაძლებლობას, არ უარვყოფთ, რომ ბაბე იქნებ მართლაც ცხოვრობდა თბილისში, შემდეგ გაემგზავრა ზღვაზე და იქ პატარა სულიერი ტკივილიც განიცადა, ყოველივე ეს არამც თუ შესაძლებელია, იქნებ სიმართლეც კია.

ოღონდ, რამდენად არის გამართლებული ბაბესათვის ლიტერატურული ცხოვრების მინიჭება. შესძლო თუ არა ავტორმა, რომ ბაბეს ისტორია მოთხრო-

ბაში მხოლოდ კერძო შემთხვევად არ დარჩენილიყო?

აქ ისევ უნდა გავიხსენოთ ზემოთ ნათქვამი: — „მე არ მჭირდება ასეთი სიმართლე“ — ამბობს სასიკვდილო სარეცელს მიჯაჭვული ბერიკაცი, რადგან კარგად იცის, რომ ადამიანთა სულიერი განწმენდისა და მორალური ამაღლების საქმეს ყოველგვარი „სიმართლე“ როდი ემსახურება.

მოთხრობაში „აკაციის ყვავილობა“ ოტია იოსელიანი კვლავ უბრუნდება სიყვარულის თემას.

„აკაციის ყვავილობაში“ გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, სწორედ არის აგებული კომპოზიცია აქვს მკვეთრი რიტმი, ახასიათებს თხრობის გულწრფელი ტონი.

დიტომ შენიშნა უცნობი ქალიშვილი და მის მიმართ იმთავითვე მტრულად განეწყო, დაიძაბა, რადგან იგრძნო, რომ ამჯერად დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. აქ კარგად არის მინიშნებული ის შინაგანი დაძაბულობა და დაინტერესება, რაც შემდეგ იქნებ გრძნობადაც კი გადაიქცეს. მაგრამ ამ დაინტერესებას მეორე, უფრო მარტივი ფსიქოლოგიური მოტივიც გაუჩნდა — წინააღმდეგობის დაძლევის სურვილით გამოწვეული ნაკლებ ეთიკური საქციელი.

დიტომ პირველი ხარისხის ჩაის ფოთლით სავსე კალათებს ცოტაოდენი უხეში დუყი წააყარა, რის გამოც ფაბრიკაში ფოთლის ხარისხი დააქვეითეს, მაშინ უცნობი ქალიშვილი — აგრონომი ლიანა დიტოსთან ერთად გაემგზავრა ფაბრიკაში და წონასწორობა აღადგინა. დაბრუნებისას დიტომ ქალზე ზემოქმედების თავისებური, „გალანტური“ ხერხი გამოიყენა — წაატანა ხელი სუსტ გოგონას და გადაკოცნა. თანაც, დიტოს თავისი თეორიაც აქვს — ქალს ტუჩებში თუ არ აკოცა, სხვანაირ კოცნას კოცნას არ ეძახის.

დიტოს შეუყვარდა ლიანა („ერთი კოცნით“), პერსპექტივაში იგრძნობა, იქნებ ლიანასაც შეუყვარდეს დიტო. აქ ავტორს უნდა დავუჯეროთ, შინი ახსნით, ყოველგვარი ფიზიკური ზემოქმედება (შემთხვევითი თუ წინასწარგამიზნული) ქალზე მაგიურად მოქმედებს. შემდეგ დიტო „ველად გაიჭრება“, სამუშაოდ ქალაქში გადავა, ბოლოს ისევ დაბრუნდება სოფელში, რადგან ლიანა მოკითხვას შეუთვლის და დიტოს ნათელი მომავალი ეასახება.

ერთი შეხედვით, აქ არაფერია სადავო. მოთხრობის პერსონაჟთა მოქმედებას (უფრო საქციელს) თავისებური დინამიურობაც ახასიათებს და გარკვეული აზრიც აქვს. ოღონდ ერთია, ჩვენ ამ ბოლო დროს თითქოს დაგვავიწყდა ადამიანზე ლიტერატურის ზემოქმედების კიდევ ერთი ძირითადი სახე — ადამიანის მორალურ-ეთიკურ წარმოდგენებზე და ყოფაქცევის ნორმებზე ლიტერატურასაც აქვს დიდი გავლენა.

ჩვენ აქ უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი ფილმი—„გაზაფხული ზარეჩნაიას ქუჩაზე“, სადაც თითქმის ასეთივე სიტუაცია მეორდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ფილმში ჩაის ბუჩქების და ფაბრიკის ნაცვლად მარტენის საამქრო და მეტალურგიული ქარხანაა.

ფილმის ექსპოზიცია შორეულად ჰგავს ოტია იოსელიანის მოთხრობას, ფილმში აფექტის (თუ უხეშობის) სცენა შემდეგ ვითარდება და ღრმავდება, როგორც დიდი სიყვარულის ამბავი და ეს აუცილებელი და ლოგიკური განვითარებაა, კაცმა რომ თქვას, ოტია იოსელიანის მოთხრობაშიც იგრძნობა ასეთი პერსპექტივა, ოღონდ იგი იმდენად მკრთალია, რომ პერსონაჟთა ხასიათებს არაფერს მატებს.

ოტია იოსელიანის ნაწარმოებებზე მსჯელობისას კრიტიკოსები ყოველთვის აღნიშნავდნენ მათს თვითმყოფადობას და ეს ასეცაა. „ლევანა“, „ჯარისკაცის დაბრუნება“, „ჩქარი მატარებელი“ და, უპირველეს ყოვლისა, „ვარსკვლავთცვენა“ იწერებოდა ერთი, ნათლად გამოკვეთილი თვალსაზრისით, ამ შემთხვე-

ვაში ავტორი „თავის ადგილზე“ იდგა, ორგანულად იყო დაკავშირებული ნიადაგთან, რეალობასთან. ყველა ამ ნაწარმოებს უდავო ლიტერატული ღირებულება ჰქონდა.

პარალელურად მის შემოქმედებაში განვითარდა თითქოსდა მეორე ხარისხოვანი ლირიკულ-დრამატული მოტივი — „თეთრი ქალიშვილისა“ და „ქალი აგარაკზეს“ მოტივი, და მასთან ერთად გაჩნდა უკმარობისა და ზერელობის გრძნობა, გამოწვეული არა მარტო ფსიქოლოგიზმის იმპულსებით შეცვლით, გამოწვეული იმითაც, რომ ყველა მოთხრობა ფაქტიურად მხოლოდ ერთი მოთხრობაა, დაწერილი ერთი ინტონაციით, ერთნაირი განწყობილებით, ერთიდაიგივე თემაზე. აქ მხოლოდ მონოტონურად განმეორებული ვარიაციებია და სწორედ ამიტომ ჩნდება ოტია იოსელიანის მოთხრობებში ლიტერატურშჩინის ნიშნები. მართალია, მას არ აქვს ისეთი ფორმა, რასაც ჩვენ თვალის ერთი გადავლებით შევამჩნევთ ხოლმე, არ არის არც მწიგნობრული აზრების გალიტერატურების ცდა და არც უშუალო გავლენის კვალი ეტყობა. უბრალოდ, ლიტერატურშჩინა გაჩნდა სიუჟეტებში, სიტუაციებში, ერთგვარ თემატურ რემინისცენციებში, რის გამოც ნაწარმოებთა არქიტექტონიკას, სახეების სისტემას, ფსიქოლოგიურ მოტივებს დაეტყო „შტამპი“.

ყოველივე ამან კი თავისებური განვითარება ჰპოვა. გამოიკვეთა ლიტერატურულ მასალასთან ავტორის არასწორი დამოკიდებულება (აქვე უნდა ითქვას, რომ ოტია იოსელიანზე უფრო ეს სხვა ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას ახასიათებს). ნაწარმოებში ხშირად მასალა კი არ მუშავდება ლიტერატურულად, ე. ი. მასალა (ამბავი, ყოფა, პერსონაჟის ხასიათი) კი არ განიცდის ლიტერატურულ გარდაქმნას, ავტორი კმაყოფილდება მასალისადმი თავისი დამოკიდებულების ჩვენებით, ამ მასალის პრაქტიკული ღირებულების აღნიშვნით, უფრო სწორად — ნაწარმოებში არ არის მოცემული მოძრაობა და შეპირისპირება ისე, რომ მკითხველს [illegible] უჩნდეს დამოკიდებულება, [illegible] პერსონაჟისადმი. ავტორი სწორხაზოვნად, ზოგჯერ გულუბრყვილოდაც ახასიათებს თავის პერსონაჟს ერთგვარი დრამატურგიული რემარკებით და მკითხველს თავს ახვევს ამ რემარკებს. პერსონაჟების ხასიათი მოქმედებით კი არ იხსნება, ავტორი შრომას იადვილებს და დარწმუნებით გვეუბნება, რომ მისი აზრით (მიუხედავად მოქმედებისა), ესა თუ ის პერსონაჟი ასეთი და ასეთიაო, თუმცა ხშირად ავტორის მიერ მოცემულ დახასიათებასა და პერსონაჟის საქციელს შორის დიდი წინააღმდეგობაა. ნაწარმოებში ჩნდება ცარიელი ადგილები, ასეთ ადგილებს ქმნის მოქმედებისა და მოძრაობის თანმიმდევრობის დარღვევა, მათი ფრაგმენტულად გადმოცემა, ჩნდება ერთგვარი პაუზები და დაუკავშირებელი ეპიზოდები. არ არის გათვალისწინებული, რომ მოქმედება, თუნდაც უბრალო მოძრაობის ამსახველი მოქმედება, ქმნის მოცულობასა და სიღრმეს. აგრეთვე, მოქმედება ხშირად შეცვლილია საქციელით, იმდენად შემთხვევითი, ან არატიპიური, ზოგჯერ არაეთიკური საქციელით, რომ მისი ლიტერატურული განზოგადება თითქმის შეუძლებელია. მაგალითად, დიტოსა და ლიანას ინციდენტი მხოლოდ საქციელია, ყოფის ისეთი ფაქტია, რომ ამაზე მოთხრობის დაწერა გამართლებული არ უნდა იყოს (მით უმეტეს, რომ ეს დეტალი არაერთგზისაა დამუშავებული, ოღონდ დამუშავებულია როგორც დეტალი და არა როგორც თემა).

თუ მწერალი თავისი ნაწარმოების თემად ბანალურ სიუჟეტს აირჩევს, ეს მხოლოდ ერთი პრინციპით შეიძლება (ფლობერის „მადამ ბოვარის“ პრინციპით), მან უნდა დაამტკიცოს, რომ ბანალური თემა შეიძლება ჭეშმარიტი ხელოვნების დონემდე ამაღლდეს.

ჩვენ, რასაკვირველია, იმას კი არ ვამტკიცებთ, თითქოს ოტია იოსელიანის

შემოქმედება ორი მკვეთრად განსხვავებული, რაღაც პოზიტიური და ნეგატიური ნაკადისაგან შედგებოდეს, ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ მისი მოთხრობების ერთ ნაწილში იგრძნობა ისეთი ტენდენციები, რის გაღრმავებასაც მწერალი უნდა მოერიდოს.

ოტია იოსელიანი თითქმის ყოველთვის ზუსტად აღწერს საგნობრივ გარემოს, ქმნის კოლორიტს, იგი ცდილობს თავისი პროზის სამყარო რამდენადმე ეთნოგრაფიულადაც კი შემოსაზღვროს. ქართულმა მწერლობამ არაერთი მაგალითი იცის იმისა, როცა ეთნოგრაფიულად და სოციალურად უაღრესად ზღვარდადებულ სფეროში შექმნილა ისეთი ნაწარმოებები და ლიტერატურული ხასიათები, რომელთაც ჩვენ თამამად ვუდარებთ მსოფლიო ლიტერატურის რომელსაც გნებავთ კორიფეს შემოქმედებას, და მხოლოდ იმის გამო, რომ ამ სამყაროს სოციალური პროცესები, პრობლემები და ხასიათები არ არის ლოკალიზებული და დაქუცმაცებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ (და ეს შეიმჩნევა კიდეც) სოციალური პრობლემატიკის ეთნოგრაფიულით შეცვლას.

კინემატოგრაფისტები ხშირად პატარა აუზში იღებენ საზღვაო შეტაკებათა სცენებს, ჩვენ ეკრანზე ვხედავთ (რაც მთავარია, ვიჯერებთ) სინოპისა და ტრაფალგარის საზღვაო ბატალიებს. ეს მხოლოდ ილუზიაა, მაგრამ ჩვენთვის სიმართლეა, რადგან ვერ ვამჩნევთ პირობითობის ტექნიკურ ელემენტებს. რა დაემართებოდა ამ სიმართლეს, ეკრანზე რომ აუზის კედლები დაგვენახა?

მოთხრობაც ასეა, როცა შემოქმედებითი ლაბორატორიის წვრილმანები ნაწარმოებში ნათლად ჩანს, როცა კოლორიტი თვითმიზნადაა გადაქცეული და გადამეტებით იჭრება ჩვენი მხედველობის არეში, მკითხველს იგივე სიყალბისა და უკმაყოფილების გრძნობა ეუფლება, რაც მაყურებელს დაეუფლებოდა ეკრანზე აუზის კედელი რომ დაენახა.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ მოთხრობა „ცეცხლთან თამაშზე“. უაღრესად საინტერესოა გზა „ბაგანითან“, „ვარსკვლავთცვენიდან“ „ცეცხლთან თამაშამდე“. საინტერესოა ქრონოლოგიურად კი არა (შემდეგი უნდა სჯობდეს წინას, ხელოვნებაში ხშირად არ გამოდის), საინტერესოა, როგორც ლიტერატურული აზრის განვითარების დიაგრამა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამას წინათ ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილი რეცენზიის ავტორს, დიმიტრი ქუმსიშვილს, ცეცხლთან თამაშის“ პოზიტიურ შეფასებაში. თუ რატომ, ამის დასაბუთებას ქვემოთ შეეცდებით. მივყვეთ თვით მოთხრობას:

ჯიბო მოწყენილობის ჟამს (იგი ფილოლოგია და ერთგვარი „ფილოლოგიური სპლინი“ აწუხებს) გაიჩენს კორესპონდენტს, ვინმე თეკლას, პროვინციაში მცხოვრებ გოგონას. ჯიბოსა და თეკლას ერთმანეთი შეუყვარდებათ. აქ „ეპისტოლარული“ სიყვარულისა და „შორით წვისა და შორით დაგვის“ მოტივები ვითარდება.

ჯიბოს თავისი კორესპონდენტი შეუყვარდება გრძნობით გამთბარი, შინაარსიანი წერილების გამო. თეკლასაც უყვარს ცოტა არ იყოს სენტიმენტალურად განწყობილი, წვიმიანი დღეების სევდით შეპყრობილი ჯიბო. მოთხრობის სტილი „ყვავილნარს“ მოგაგონებთ და თითქოს შეეფერება კიდეც თეკლას ხასიათს. ცხოვრობს ქალიშვილი პატარა ქალაქში, ზის სახლში კარგამოკეტილი და ელოდება თავისი ოცნების ზღაპრულ უფლისწულს. და აი, ასეთი „უფლისწული“ გამოჩნდა კიდეც, მას შეუძლია დაამშვენოს ქალიშვილის ცხოვრება, შეუძლია, პირიქით, ერთხელ და სამუდამოდ შეურყიოს მას ადამიანების რწმენა და გატეხოს მორალურად, ეს უკვე დამოკიდებულია თვით ჯიბოს სულიერ თვისებებზე, თვით მის მორალზე. პირველი სიყვარული რომანტიკისა და პათოსის გამო კი არ არის ბანალური, ბანალობა ეეფასიანი ეფექტისა-

თვის გამიზნული ნაძალადევი დრამატიზმია. „ფილოლოგმა“ ჯიბომ ეს არ იცის, მას თავისი გზა აქვს, გზა, რომელიც მწერალმა ამოურჩია.

ჯიბო გადაწყვეტს პირადად შეხვდეს თეკლას, გაემგზავრება კიდეც მასთან. აქ მთავრდება მოთხრობის პირველი, ასე თუ ისე გასაგები ნაწილი. შემდეგ იწყება უცნაური რამ, სადაც მორალური, ზნეობრივი და უბრალოდ ადამიანური ვითარებები ისეა აღრეული, თითქოს მოვლენათა განვითარების ლოგიკა მწერლისთვის აუცილებელი არ არის და მას უფლება აქვს ეკლექტიზმი ლოგიკად ჩათვალოს და ამის მიხედვით შექმნას ლიტერატურული ხასიათები.

დავუბრუნდეთ მოთხრობას — ჯიბო შეხვდება თეკლას, მაგრამ ვერ იცნობს ქალს, თეკლა მიხვდება, რომ ჯიბოსათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია მის სულიერ თვისებებს, რომ ჯიბოს უყვარს ვიღაც სხვა ქალი, უფრო სწორად, თავისი წარმოდგენა ქალზე, და ეს წარმოდგენა ფრიად მიწიერია. იგი ჩამოვიდა, რათა „შეამოწმოს“ თეკლას გარეგნობა; მისი თვალები, მხრები, სხეული. წერილები კი, ეს „ეპისტოლარული ფარსი“ შეიქმნა ისე, უაზროდ და უმიზნოდ. მიხვდება თეკლა ყველაფერ ამას და შექმნილი მდგომარეობიდან ეროადერთ გამოსავალს იპოვის — გაეცნობა ჯიბოს, როგორც თეკლას და, მოიგონებს ათასერთ ტყუილს და ჯიბოს უკან, თბილისში გამოისტუმრებს. მწერალი ვერ გრძნობს, რომ ასეთი ვოდევილისტური დეტალი თავისთავად არ შეესაბამება მოთხრობის ბუნებას, მაგრამ იგი გრძნობს, რომ ამბავის ასე დამთავრება არ შეიძლება, ყალბია იგი თუ უაღრესად არაბუნებრივი, ეს უკვე მოქმედებაა და თავისი დასასრული უნდა ჰქონდეს.

და, პუშკინის თქმისა არ იყოს, — ნახეთ ერთი, რა ჩაიდინა თეკლამ? — თეკლამ მოკლა თეკლა და ჯიბოს მისწერა — თეკლა გარდაიცვალაო. ჯიბო კვლავ ჩადის იმ უსახელო ქალაქში. ჯიბოს თეკლას საფლავის ნახვა უნდა, რათა ზედ გადაემხოს და აქვითინდეს... ჯიბოს ეგოიზმი თავისებურია, ეს პოეტური, უხეში და ყალბი კაცი საკუთარ გრძნობებს ნაძალადევად იფორიაქებს, ახლა მას უკვე „სატრფოს საფლავზე“ ცრემლთა ფრქვევა სურს, ბოლოს კი, როცა მიხვდება, რომ მის წინაშე ცოცხალი თეკლა დგას, თავის საქციელს შემდეგი ფრაზით დააგვირგვინებს—„მე უნდა მეცნე შენ და თუ მაშინ არა, ახლა მაინც გიცანი, შენ მართალი იყავი, სხვანაირად ვერც მოიქცეოდი...“

კი მაგრამ, რატომ?

ავტორს ჰქონდა ერთადერთი საშუალება, რითიმე გამოესწორებინა ის ყალბი (ფსიქოლოგიურად და ზნეობრივად) მდგომარეობა, რომელშიც თავისი გმირები ჩააყენა, საჭირო იყო ლოგიკური წერტილის დასმა, რაც მოთხრობის ეთიკურ არსს შეცვლიდა. მან ეს არ მოისურვა და ჩვენის აზრით, იმიტომ კი არა, რომ თავისი გმირის დასჯა ან გაკიცხვა სურდა, უბრალოდ, ჯიბოს ბოლო სიტყვები ორიგინალურად მოეჩვენა და მათი მოულოდნელობის ცრუ ეფექტს დაენდო.

მაინც რას გამოხატავს ჯიბოს სიტყვები, ადამიანთა ურთიერთობის რაიმე „ახალი“ ფორმაა თუ განაჩენი?! კი მაგრამ, რატომ ვერ მოიქცეოდა თეკლა სხვანაირად, რატომ უნდა განეცადა მას ასე ცხადად თავისი სიკვდილი, რის გამო იმართლებს თეკლა თავს ჯიბოს წინაშე?! პასუხი (თუკი ეს პასუხია) შემდეგია — ვერ მოიქცეოდა, რადგან მაინცდამაინც თვალისმომჭრელი გარეგნობით არ დააჯილდოვა ბუნებამ და ჯიბოს „ფილოლოგიურ“ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდა. ამიტომ, როგორც ჩანს, მას სიყვარულის უფლებაც არ ჰქონდა. არ არსებობს მოქმედება თავისთავად, გამოთიშული გარემოდან და ჩვენი მორალური წარმოდგენებიდან.

„ცეცხლთან თამაში“ დისპროპორციულ სარკეში დანახული რეალობაა, ისეთ სარკეში, ალეგოროების დროს რომ დგამდნენ კარავში, რათა დეფორმირებული გამოსახულებით მნახველი ან გა-

ეცინებიათ ან შეეკრთოთ.

ნუ გავიგებთ ისე, თითქოს ჩვენ სტერილური ატმოსფეროს შექმნას მოვითხოვდეთ, სადაც ბაბუასწვერებისა და მიხაკების რომანტიკა იქნება გამეფებული ,სადაც შეყვარებულები „ალექსანდრიული ლექსით“ ილაპარაკებენ და მოერიდებიან ადამიანურ ვნებათა ღელვას. რასაკვირველია, არა! მთავარია ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა სახე უნდა ჰქონდეს ამ ვნებებს, რა გვჭირდება, რაზე ვფიქრობთ ან რას შეუძლია დაგვაფიქროს?!

ხომ არ შეიძლება მხატვრულ ნაწარმოებს ისე ჩაუარო გვერდი, როგორც ფოტო-ატელიეს აბრას, დაგრჩეს მხოლოდ წუთიერი ოპტიკური შთაბეჭდილება, ვერ დაამყარო მასთან ვერც ემოციური და ვერც შემეცნებითი კავშირი. გარდა ამისა, შეიძლება გრძნობისა და განწყობილების გაზვიადება, ჰიპერბოლირებაც, მაგრამ არ შეიძლება მათი დეფორმირება, რადგან დეფორმირებული გრძნობა უკვე პათოლოგიაა.

გამოხატული გრძნობა გამოთქმული აზრია, თუ ამ ფორმულას ზერელედ მივუდგებით, იგი აზრის ძიების პროცესს თითქოს აადვილებს, მაგრამ მწერალი არა მარტო უნდა გრძნობდეს, მან უნდა იცოდეს კიდეც, თუ რა ძნელია იმ გარეგნული ნიშნებისა და ფორმების მიგნება, რომელთა მეოხებითაც, მისი გრძნობა მეორე ადამიანმა უნდა აღიქვას და განიცადოს.

ავიღოთ ასეთი მაგალითი: მოთხრობა „ცირა“ ლირიკული ნაწარმოებია, რომლის ერთადერთი, ან თითქმის ერთადერთი მიზანი მკითხველზე ემოციური ზეგავლენის მოხდენა თუა, და მაინც, მკითხველი გულგრილი რჩება.

მოთხრობის შინაარსი მარტივია—ბაბუკი შეაყვარებს თავს მოსწავლე გოგონას, ხოლო, როცა გოგონა სიყვარულში [illegible], [illegible] და გაექცევა მას.

მართალია, სიუჟეტის ასეთ სქემამდე დაყვანით ბევრი მოთხრობის გაუბრალოება შეიძლება (თუმცა, გავიხსენოთ როგორი განაცხადი გააკეთა ერთმა ერთადერთი ფრაზით გამოხატა თავისი სცენარის, აგრეთვე, ბატისტას დროინდელი კუბელი გლეხის ცხოვრების არსი — „თუ შენ არ მომყიდი მიწას, მაშინ შენი ქვრივი მომყიდის“). ვცადოთ და ამ პრინციპით, ერთი ფრაზით გადმოვცეთ ოტია იოსელიანის მოთხრობის დედააზრი—„თუ შენ შემიყვარებ, მე გაგექცევი“. ესაა და ეს—ცოტა არ იყოს გულუბრყვილო რწმენა, რომ ასეთი „გაქცევა-დაბრუნების“ მოსენტიმენტალო ლირიზმი მკითხველზე რაიმე ემოციურ ზეგავლენას მოახდენს.

ავტორი ცდილობს ლირიკული განწყობილება შექმნას (სტუდენტობის წლები, ნაქირავები ოთახი, აუცილებელი კეთილი სახლის პატრონი ქალი, მოსწავლე გოგონას ვიზიტები, სიჭაბუკის რომანტიზმი და ა. შ.). ნოველის გმირის სინანული კუპრინის ერთი მოთხრობის პერსონაჟის სიტყვებს მოგაგონებთ — „იქნებ მისი ცხოვრების გზა ჭეშმარიტმა სიყვარულმა გადაჭკვეთა“, მაგრამ მან ვერ შენიშნა, უფრო სწორად, იგიც, ოტია იოსელიანის ბევრი სხვა მოთხრობის პერსონაჟივით, რატომღაც შეშინდა, დაიხია უკან იქ, სადაც უკან დასახევი არაფერი არ იყო.

ადვილი როდია უცებ გაარკვიო, თუ რა ფსიქოლოგიური მოტივი უდევს საფუძვლად გმირის საქციელს, რა არის აქ — გამარტივებული ფსიქიკა თუ რაღაც იდუმალი, გაუცნობიერებელი შიში ქალის სიყვარულისა.

განწყობილება მიგნებულია, მაგრამ ლიტერატურულად ხორცშესხმულ ამ განწყობილებას თითქმის არავითარი შემეცნებითი ღირებულება არ აქვს, იგი არ არის საინტერესო, რადგან სამყაროსთან (დავანებოთ თავი სამყაროს), უბრალოდ, გარემოსთან ინტელექტუალური კავშირი გაწყვეტილია, გამორიცხულია ფიქრი.

ამას წინათ ერთმა კრიტიკოსმა გამო-

თქვა აზრი—თითქმის ვერ ნახავთო ცუდათ დაწერილ მოთხრობას. იგი, რასაკვირველია გარკვეულ ღირსებას გულისხმობდა, მაგრამ ამ სიტყვებში სინანულის ინტონაციაც იგრძნობოდა, და აი რატომ:

შეიქმნა დონე, შემუშავდა ოსტატობის საზომი, „ვერსიფიკაციული“ ტექნიკა, რომელსაც ავად თუ კარგად თითქმის ყველა ფლობს, და მოხდა ერთგვარი ნიველირება. მკითხველის შეგნებაში დამკვიდრდა ცნება—საშუალო (იგულისხმება არა მარტო სტილი ან ენობრივი ქსოვილი, არამედ თემაც, პრობლემაც, მორალურ-ეთიკური კატეგორიებიც). მოთხრობა, საშუალო ლექსი—ასეთი შეფასება თითქმის ერთად-ერთ რეალობად გადაიქცა [illegible] ლოდ და მხოლოდ თავაზიანად ნათქვამი „ცუდია“.

ჩვენ თითქმის არაფერი გვითქვამს ოტია იოსელიანის პროზის უდავო ღირსებებზე, მაგრამ ამასაც ჰქონდა თავისი გამართლება. გზა „ვარსკვლავთცვენიდან“ „ცირამდე“ არ არის აღმავლობის გზა. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მწერალი თვისობრივიდან რაოდენობრივზე გადავიდა, რომ იგი ზედმეტად მიენდო თავის ლიტერატურულ ღიბალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი შანიძე

დღევანდელი ვითარება ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში

VII

რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში 1957—1963 წლებში არსებობდა რუსთველოლოგიური განყოფილება, რომელიც ძველი ქართული მწერლობის განყოფილებას გამოეყო 1957 წელს შემოდგომაზე და 1964 წლიდან კვლავ შეუერთდა მას. ამ განყოფილებას გარკვეული სასარგებლო სამეცნიერო საქმე აქვს გაკეთებული: ზემოთ ჩამოთვლილი გამოცემანი ქართ. ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისა ძირითადად ამ განყოფილებაშია შესრულებული. მაგრამ ამ განყოფილების საქმიანობა და, ამასთან ერთად, ამ ინსტიტუტის გარეთ, უნივერსიტეტში თუ სხვაგან, ერთპიროვნულ კვლევა-ძიებათა საკმაოდ დიდი მასშტაბი არ აღმოჩნდა საკმარისი უკვდავი პოემის საკითხების შესასწავლად. საზღვარგარეთ ისიც კი დაეწერათ, თითქო ჩვენში „ვეფხის ტყაოსნის“ შესწავლას სათანადო ყურადღება არ ექცეოდეს. მაგრამ ასეთი განცხადება საქმის ვითარებას, რა თქმა უნდა, არ შეეფერებოდა. მაინც რუსთველოლოგიური სამუშაოების დასაჩქარებლად და „ვეფხის ტყაოსნის“ ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად — პოემის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის მოსამზადებლად — საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ სპეციალური კომისია შექმნილიყო აკადემიის ფარგლებში მომუშავე მერუსთველეთაგან. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1958 წ. 15 ივლისის დადგენილების თანახმად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან შეიქმნა „ვეფხის ტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისია პოემის მეცნიერული შესწავლისა და გამოცემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. კომისია ასეთი შედგენილობისა იყო: ილია აბულაძე, ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, კ. კეკელიძე, ა. შანიძე (თავმჯდომარე), გ. წერეთელი და მ. ებრალიძე (მდივანი).

კომისიას პირველ ხანებში მოუხდა ზოგიერთი საორგანიზაციო საკითხის მოგვარება (კომისიის სამუშაოებისთვის საჭირო სახსრების გამონახვა, ტექნიკურ სამუშაოთა შემსრულებელ თანამშრომელთა შემოკრება და სხვ.), რომ რუსთველის სახელობის ქართ. ლიტერატურის ინსტიტუტში თანდათან შექმნილიყო ხელის შემწყობი ბაზა სერიოზული რუსთველოლოგიური მუშაობის ფართოდ გასაშლელად. ამ დროისთვის „ვეფხის ტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების ამოწერა უკვე გამოცემულ A (1671 წ. გადაწერილ) ხელნაწერთან მიმართებით დამთავრებული იყო რუსთველის სახელობის ინსტიტუტში და წარმოებდა მათი თავმოყრა და სასტამბოდ დამუშავება. სამწუხაროდ, ამოწერილ ვარიანტებში, ისე როგორც A ხელნაწერის დაბეჭდვისას, არ იყო გათვალისწინებული ჯარებისა და უმარცვლო ფნების ხმარება.

ასეთივე სამუშაო ჰქონდათ გაწეული კერძო ინიციატივით „ვეფხის ტყაოსნის“ კომისიის წევრებს ილია აბულაძესა და ი. გიგინეიშვილს, რომელთაც იგი წინა წლებში წამოეწყოთ. ამ დრო-

---

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 10.

ისთვის ხელნაწერთა უმეტესობა მათ გადასინჯული ჰქონდათ და საჭირო ვარიანტები ამოწერილი, მაგრამ დარჩენილი იყო რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაც ისინი ვარაუდით მოკლე ხანში ჩაიკითხავდნენ და ვარიანტებს ამოიწერდნენ. ოღონდ მათ საფუძვლად აღებული ჰქონდათ 1680 წ. გადაწერილი ხელნაწერი და სხვა ხელნაწერთა ვარიანტები ამ ხელნაწერის წაკითხვას ედარებოდა. აბულაძე და გიგინეიშვილი აღნიშნავდნენ ჯარის ხმარებასაც და უმარცვლო უნებისასაც. ამ მხრივ მათი ნამუშევარი უფრო ახლო გადმოსცემდა ხელნაწერთა ვითარებას.

კომისიის განზრახული სამუშაოების ფართოდ გაშლისა და უკეთ წარმართვის მიზნით მიღებულ იქნა გარკვეული ღონისძიებანი:

ა) რუსთველის სახელობის ინსტიტუტში დაარსდა სერია „რუსთველოლოგიური ძიებანი", რომელშიც შემდგომში დაიბეჭდა სხვადასხვა გამოკვლევა უკვდავი პოემისადმი მიძღვნილი. პირველ წიგნად გამოვიდა ინსტიტუტის თ. ნამშრომელთაგან მომზადებული „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები" ოთხ ნაკვეთად, რომელთაგან თითო იბეჭდებოდა თითო წელიწადს (1960—1963). ამ გამოცემაში საფუძვლად არის აღებული 1671 წელს გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც მეორედ გამოიცა, ხოლო დანარჩენი ხელნაწერებიდან თვითეული სტროფის ქვეშ ნაჩვენებია ვარიანტები. პრაქტიკული მოსაზრებით ამ გამოცემაში გატარდა იგივე სისტემა ხელნაწერთა ლათინური ასოებით აღნიშვნისა, რაც შემოიღო ს. ყუბანეიშვილმა „ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობის" წიგნში 1959 წ.

„ვეფხის ტყაოსნის ხელნაწერების ვარიანტებს" მოჰყვა „ვეფხის ტყაოსნის ძირითად გამოცემათა ვარიანტები" (რუსთველოლოგიური ძიებანი, 2,1964), რომელშიც გათვალისწინებულია შემდეგი გამოცემანი: ბ (ბროსე-ფალავანდიშვილ-ჩუბინაშვილისა, 1841), ჩ (ჩუბინაშვილისა, 1860), ქ (ქართველიშვილისა, 1888), კარ[1] (კარიჭაშვილისა, 1903), კარ[2] (კარიჭაშვილისავე, 1920), კაკ (კაკაბაძისა, 1927), აბ[1] (აბულაძისა, 1914), აბ[2] (აბულაძისავე, 1926), ჭ (ჭიჭინაძისა, 1934), ინ (ინგოროყვასი, 1953), წ (წერეთლისა, 1963). ამ გამოცემათა ვარიანტები ნაჩვენებია „ვეფხის ტყაოსნის" 1957 წ. გამოცემასთან მიმართებით, რომელიც გამოვიდა ა. ბარამიძისა, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით.

ვარიანტული მასალები „ვეფხის ტყაოსნის" გამოცემებიდან ამოწერეს: ვ. ბააკაშვილმა, ნ. მახარაძემ, რ. ფირცხალაიშვილმა და მ. ჩაჩავამ, ხოლო გამოსაცემად დაამზადა ვ. ბააკაშვილმა. წიგნს ახლავს სტროფთა სათანხმებელი ანუ სიმფონია („საძიებლად" წოდებული), შედგენილი ბორის დარჩიასაგან.

ამავე სერიაში დაიბეჭდა სხვა ნაშრომები: ი. ლოლაშვილის „რუსთველი და თამარის ისტორიკოსის ვინაობის პრობლემა"[1] (1961), ვ. ბერიძის „რუსთველოლოგიური ეტიუდები" (1961), ს. ცაიშვილის „ვეფხის ტყაოსნის ძველი რედაქციები" (1963), ნ. მარის „რუსთველის შემოქმედების სათავეებისა და პოემის შესახებ" (1964), ს. იორდანიშვილის „ვეფხის ტყაოსნის ბალმონტის მიერი რუსული თარგმანი" (1964) და. უკანასკნელ, ნ. მარის „ვეფხის ტყაოსნის ტექსტის საკითხები" (1965)[2].

ბ) შემუშავებულ იქნა „წესები „ვეფხის ტყაოსნის" ტექსტის დადგენისათვის

---

[1] ამ საკითხს უფრო ადრე თურმე პროფ. მ. წერეთელი ეხებოდა.

[2] ეს ნ. მარის ნაშრომი გამოსაცემად მოუმზადებია ორ პირს (მერი გუგუშვილს და ლალი ძოწენიძეს), რედაქტორი კი სამი ჰყოლია (პასუხისმგებელი ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, გამოცემისა ი. მ ე გ რ ე ლ ი ძ ე, გამომცემლობისა ი. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე) მაგრამ არც ერთს არ მოჰგონებია, რომ საძიებელი დაერთოთ, თუ რა საკითხებია წიგნში გარჩეული. მაგრამ ეს ამბავი ოდნავადაც ნუ ადარდებს ნუვის მათგანს: ნიკო მარი ამას ვერც გაიგებს და ვერც უსაყვედურებს ვისმე.

საჭირო მასალის ამოსაწერად რუსთველოლოგიური ლიტერატურიდან" (შედგენილი ა. შანიძისა და მ. ებრალიძის მიერ) და გამოიცა ცალკე წიგნად (1959).

გ) შემუშავებულ იქნა აგრეთვე წესები „ვეფხის ტყაოსნის" ვარიანტების ტექნიკურად გამართვისათვის (როგორ დაინომროს სტროფები, როგორ აღინიშნოს სტროფების ქონება-კლება და სხვ.).

დ) როგორც ზემოთ ვნახეთ, „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ გაჩნდა დიდძალი ლიტერატურა, რომელშიც ვეცნობით სხვადასხვა პირთა ნააზრევს ამ პოემის სხვადასხვა ადგილის შესახებ. ამათში ცოტაა ისეთი, რომ უშუალოდ ტექსტის დადგენის საკითხებს ეხებოდეს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ასეთებიც არის.

საჭირო იყო, რომ ამ მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან თხზულებათაგან აღნუსხულიყო ყველაფერი, რაც უშუალოდ ეხება პოემის ადგილების გაგებასა და ტექსტის სისწორით დადგენას. ამ მიზნით ტექსტის დამდგენმა კომისიამ ამოაწერინა სათანადო რუსთველოლოგიური ლიტერატურიდან, რომელიც გაბნეულია ცალკეულ გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთებში, უსაჭიროესი მასალა, თავი მოუყარა, სტროფებისა და ტაეპების მიხედვით გააწყობინა. შემდეგ კი ხელით საწერი მანქანით დაბეჭდვინა იგი, რომ მკვლევართ ხელთ ჰქონდეთ და გაითვალისწინონ სხვათა ნააზრევი პოემის ამა თუ იმ ადგილის შესახებ. ამ ამოწერილმა მასალამ, ხელით საწერი მანქანით გადაბეჭდვის შემდეგ, შეადგინა სამი მოზრდილი ტომი 1119 გვერდის მოცულობით. ეს მასალა, ამოწერილი სხვადასხვა მომზადებისა და სხვადასხვა ინტერესის მქონე პირთა მიერ, პირველწყაროს მაგივრობას, რა თქმა უნდა, ვერ გასწევს, მაგრამ მრავალ შემთხვევაში დიდ დახმარებას გაუწევს მკვლევარს. აქ თავმოყრილია. სტროფების მიხედვით, ვის რა უთქვამს პოემის ამა თუ იმ სტროფის, ტაეპისა თუ სიტყვის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში მკვლევარი თვით მიმართავს იქმნებოდეს პირველ წყაროს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ე) „ვეფხის ტყაოსნის" ტექსტზე სამუშაოდ უთუოდ ხელნაწერებია საჭირო, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებაშია დაცული, თბილისში თუ სხვაგან. ხელნაწერთა სარგებლობის გაადვილების მიზნით იმავე კომისიამ ფოტოგრაფიულად გადააღებინა და ტომებად ააკინძვინა ისინი, რომ მკვლევარს საშუალება ჰქონდეს საჭირო შემთხვევაში ჩახედოს ხელნაწერის ფოტოპირს. კომისიას მოეპოვება პარიზსა და ოქსფორდში დაცული „ვეფხის ტყაოსნის" ხელნაწერთა ფოტოპირებიც. ფოტოების დამზადებინებაზე დიდად დაშვრა ი. მეგრელიძე.

ამგვარად, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, რომელიც უებრო პოეტის სახელს ატარებს, შეიქნა სოლიდური ბაზა „ვეფხის ტყაოსნის" ყოველმხრივ შესასწავლად და მისი ტექსტის გასამართავად მეცნიერულ საფუძველზე.

VIII

კომისია „ვეფხის ტყაოსნის" მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დადგენის საქმეს ფაქტობრივ 1959 წლის სექტემბრიდან შეუდგა. კვირაში ერთხელ იმართებოდა სხდომები. დადგენა ხდებოდა როგორც ძირითადი ტექსტისა, ისე ჩანართი სტროფებისა, რომელთა გამოყოფას კომისია განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა. კომენტარიები კი უკეთდებოდა მხოლოდ ძირითად ტექსტს. რუსთველისად მიჩნეულს. სხდომებზე განისაზღვრებოდა, თუ რა სიტყვები უნდა ყოფილიყო შეტანილი ვრცელ ლექსიკონში, რომელიც გამოცემას უნდა დაჰრთოდა და თანაც იძლეოდა ამ სიტყვების განმარტებას.

სხდომებზე მდივნის მიერ იწერებოდა ოქმი, სადაც აღინიშნებოდა, ვინ რა აზრი გამოთქვა სტროფისა თუ მისი ცალკეული ადგილის შესახებ; ეს ოქმი იკითხებოდა მომდევნო სხდომაზე და,

თუ სისწორით არ იყო წარმოდგენილი ვისიმე ნათქვამი, სწორდებოდა. ამ წესით მუშაობა ნელი ნაბიჯით მიდიოდა წინ. 1960 წლის ბოლოსთვის დადგენილი იყო მხოლოდ 130-მდე სტროფი.

ცხადი გახდა, რომ პოემის აკადემიური გამოცემა. რომელიც გათვალისწინებული იყო 1962 წლისთვის, შეუძლებელია მოესწროთ სამუშაოების დიდი მოცულობის გამო და, აგრეთვე, იმის გამოც, რომ კომისიის მუშაობის პროცესში ჩნდებოდა ახალ-ახალი მასალა, რომელთა გათვალისწინების გარეშე არ შეიძლებოდა მომზადებულიყო განზრახული მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა. ამიტომ აკადემიის პრეზიდიუმმა, კომისიის 1960 წლის ანგარიშის მოსმენის შემდეგ დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა ზემდგომი ორგანოების წინაშე, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული (აკადემიური) გამოცემის ვადა გადაიდოს 1965 წლისათვის, ხოლო 1962 წელს დაიბეჭდოს „ვეფხის ტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის პროსპექტი — რამდენიმე სტროფის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი ვარიანტებითა და კომენტარებით.

1961 წელს კომისიას 39 სხდომა ჰქონდა, წლის დასასრულს დამუშავებული იყო 323 სტროფი (1957 წლის გამოცემით 234, გარდა პროლოგისა, რომლის განხილვა გადადებულ იქნა). აქედან კომისიამ ძირითად ტექსტში შეიტანა 202 სტროფი, დანარჩენი კი ჩანართად მიიჩნია. საიუბილეო (და 1957 წ.) გამოცემასთან შედარებით აქ ამოიღეს ორი სტროფი და დაუმატეს ერთი. ამოიღეს: 70 („კვლა ბრძანა: მონა თორმეტი“) და 71 „მონადირეთა უბრძანა“), ხოლო დაუმატეს სტროფი „აწ იმა ყმისა საკრავად“ (A ხელნაწერის სტროფთა ნუმერაციით 301).

1961 წ. ოქტომბერში ერთი ცვლილება მოხდა: მ. ებრალიძე განთავისუფლებულ იქნა მდივნის მოვალეობისაგან და დარჩა კომისიის წევრად, ხოლო მის ადგილზე მდივნად დაინიშნა ს. ცაიშვილი.

1962 წელს თებერვალში დაიბეჭდა გ. წერეთლის წერილი „ვეფხის ტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“ (მნათობი, № 2, გვ. 125 — 138), აქ ერთი დადგენილი სტროფის მაგალითზე ნაჩვენებია ხელნაწერთა ვარიანტები, დართული აქვს შენიშვნები, კომენტარიები და ლექსიკონი. ეს სტროფია 162-ე:

ყმამან უთხრა: მომისმინე,
მართლად გითხრობ, არა ჭრელად
რა მიჯნური ველთა რბოდეს,
მარტო უნდა გასაჭრელად.
მარგალიტი არვის მიხვდეს
უსასყიდლოდ, უვაჭრელად.
კაცი ცრუ და მოღალატე
ხამს ლახვრითა დასაჭრელად.

ვარიანტებში **გითხრობ** ფორმისთვის ნაჩვენებია **ვეტყვი**, მაგრამ ნათქვამია, რომ უპირატესობა ეძლევა „გითხრობ“ ფორმას, რადგანაც იგი მოცემულია ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაშიო. ხელნაწერებშია როგორც **ველთა** რბოდეს, ისე **ველად** რბოდეს. ორივე თანაბრად შესაძლებელია, ხელნაწერთა უმრავლესობაში **ველთა** არის და ამის გამო მას მიეცა უპირატესობაო. ხელნაწერებში გვხვდება როგორც **ლახვართა** დასაჭრელად, ისე **ლახვრითა** დასაჭრელად. ამის გამო „მიღებულია მხ. რიცხვის ფორმა („ლახვრითა“), როგორც უფრო ნათელი, თანაც იგი წარმოდგენილია ხელნაწერთა დიდ ნაწილშიო“. ამგვარად, ამა თუ იმ ფორმის დასადგენად ზოგჯერ გადამწყვეტია, თუ რამდენ ხელნაწერში გვხვდება ესა თუ ის ფორმა. რაც, რა თქმა უნდა, არ არის სწორი.

კომენტარიებში ახსნილია, თუ როგორ უნდა გავიგოთ თვითეული ტაეპი, ხოლო ლექსიკონში შეტანილია: **გასაჭრელი, ლახვარი, მარგალიტი, მიხვდომა, მიჯნური, მოღალატე, უვაჭრელი, ყმა, ჭრელი,** რომლებიც ახსნილია ისე ვრცლად და დიდძალი ლიტერატურის მოხმობით, რომ გეგონებათ, ახსნილია არა „ვეფხის ტყაოსნისთვის“, არამედ საერთოდ. დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ძეგლში იხმარებიან იგინიო. მაგ..

ლახვართან დამოწმებულია ამ სიტყვის ხმარება ძველ ქართ. ოთხთავში (იოანე 19, 34), მოყვანილია მისი ბერძნული და სომხური შესატყვისი (წინადადებაში). მისი ხმარების შემთხვევები „ვეფხის ტყაოსანში“ როგორც პირდაპირი მნიშვნელობით, ისე გადატანითაც (დამოწმებულია 7 ტაეპი).

მარგალიტ-ზედაც მოყვანილია მისი ხმარება სახარებაში (მათე 13,46) და თვით პოემაში (27 ტაეპი), სადაც განხილულია სხვადასხვა **მარგალიტი.** მარგალიტი ობოლი, მარგალიტი ხელისხელ საგოგმანები, მარგალიტი ღარიბი, მარგალიტი წყობილი, მარგალიტი ლალისფერი, მარგალიტი ტყუბი. ასევეა სხვა ასახსნელ სიტყვებზე. კერძოდ **მიჯნურ-ზე,** რომლისთვისაც **მოხ**მობილია წერილები, ისლამის ენციკლოპედიიდან და მრავალი ავტორის წიგნი (Lane, Macdonald, Brown, Gibb, Крачковский, კ. კეკელიძე).

ყმა-სთან ვტყობილობთ მის უადრეს ხმარებას ქართულში (ყრმა: ლუკ. I, 43 და მათ. 2, 13) სათანადო ბერძნულ-სომხური შესატყვისობით, მოყვანილია ჩვიდმეტი ტაეპი „ვეფხის ტყაოსნიდან“, სადაც **ყმა** გვხვდება, შეპირისპირებულია მასთან ლათ. puer და გერმ. Knabe H. Brunner-ის „გერმანული სამართლის ისტორიისა“ და ი. ჯავახიშვილის „ქართ. სამართლის ისტორიის“ მიხედვით, შედარებულია მასთან აგრეთვე **ყმა** სიტყვის არაბული სინონიმები **ღულაამ** და **ფათაა** სათანადო ლიტერატურის დამოწმებით, Brunschwig-ის წერილი აბდ („მონა“) სიტყვის შესახებ ისლამის ენციკლოპედიაში აგრეთვე А. Якубовский-ს ნაკვლევი მაჰმუდ ღაზნელისა და ფირდუსის შესახებ, განმარტებულია აგრეთვე რას ნიშნავს **კარგი ყმა,** ნაჩვენებია ორი მნიშვნელობა, პირველისთვის მოხმობილია გამოკვლევები ივ. ჯავახიშვილისა, ნ. მარისა, მეორისთვის მოხმობილია ხალხური სიტყვიერების მასალები (ბ. გაბუურის ხევსურული მასალები, ა. შანიძის ხალხური პოეზია, სიხარულიძის ქართ. სიტყვიერება), ამასვე ავტორონ-ყმობის ინსტიტუტის — შესახებ ს. ჯანაშიასი და ნ. ბერძენიშვილის, ბარამიძისა და ნოზაძის ნაშრომები. ერთი სიტყვით, ვინც ნახავს მთელ ამ კრიტიკულ აპარატს, თუ მტერია ქართული კულტურისა, თვალი დაუდგება და თუ მოყვარეა, გაოცდება და იკითხავს: „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის შესწავლის ამ ეტაპზე რა არის მთავარი, დასავლურ-აღმოსავლური პარალელების მოყვანა ამა თუ იმ ტერმინისათვის (მაგ. **ყმა** სიტყვისათვის), თუ თვით ტექსტის გამართვა იმგვარად, რომ შიგ ნამდვილისაგან ნატყუარი იყოს გამორჩეული? პოემაში ზოგი ადგილი ისეა შერყვნილი, რომ ვერავითარი სამეცნიერო ლიტერატურის მოხმობა ვერ უშველის, თუ შერყვნილი ადგილი არ იქნა გამოკვლეული და შედარებული თვით ქართული ენის ნიადაგზე. ეგეთი კვლევა-ძიება, რომელიც ვ. წერეთლის წერილშია წარმოდგენილი, საჭიროა, მაგრამ მეორე რიგში. პირველ რიგში კი საჭიროა დაკვირვებანი ტექსტზე, მისი ანალიზი სხვა ქართული ძეგლების მონაცემთა მიხედვით, რომ გადამწერ-გადამკეთებელთაგან შერყვნილი ადგილები გაიწმინდოს და რუსთველის პოემა წარმოდგეს თავისი პირვანდელი ბრწყინვალებით. საჭიროა ტექსტოლოგიურ ძიებათა გაღრმავება და გამორკვევა, რა არის პოემაში რუსთველისა და რა არის სხვისი, და რაც რუსთველისაა, რა სახით უნდა იყოს ის პოემაში. აი ეს არის ძირითადი და პირველი მოთხოვნილების საქმე. ამისთვის კი საჭიროა, სხვათა შორის, გამოიცეს ხელნაწერები იმგვარად, რომ ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება გაადვილდეს: ის ჯგუფი ხელნაწერებისა, რომლებიც უფრო სანდოა ტექსტის ვითარების თვალსაზრისით (ვთქვათ, ABC), ერთად გამოიცეს; ისინი კი, რომლებიც სტროფთა შედგენილობით უფრო ძველ ვითარებას გვიჩვენებენ, ცალკე გამოიცეს (EFYZ); ის ხელ-

ნაწერები კი, რომელთაც მეტად ატყვია გადამკეთებელთა ვარჯიში, ცალკეა გამოსაცემი (JT); ცალკეა ამოსაკრები და ცალ-ცალკე გამოსაცემი სარგისისა, ნანუჩასი და იოსებ ტფილელის ჩანართ-დანართები. პირველ რიგში სწორედ ასეთი წმიდა ტექსტოლოგიური სამუშაოებია შესასრულებელი საქმის ცოდნით, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ზედმიწევნით გამოვარჩიოთ რუსთველის ნამდვილი სტროფები სხვების ნაღვაწ-ნატანჯისაგან. არის ასეთი სამუშაოები შესრულებული? — არა. მართალია, გამოცემულია A ხელნაწერი (ორჯერაც!) და მასთან მიმართებით სხვა ხელნაწერთა ვარიანტებია ნაჩვენები, მაგრამ გამოცემას აკლია სიზუსტე.

აი, როცა იმგვარად წარიმართება საქმე, როგორც ზემოთ არის აღნიშნული და „ვეფხის ტყაოსნის“ ხელნაწერთა ვითარება მათი მონათესავე ჯგუფების მიხედვით ნათლად იქნება წარმოდგენილი. ტექსტის დადგენის საქმე უფრო მკვიდრ ნიადაგზე დადგება. აბა რა არის ასეთი დიდი ეროვნული საქმისათვის, როგორიცაა „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის დადგენა, პოემის ტექსტი გამოიცეს მონათესავე ხელნაწერთა ჯგუფების მიხედვით, რომ ადვილად გათვალისწინებულ იქნეს, თუ რომელი რომლისგანაა დამოკიდებული და რომელი ფორმა რომლისგან მომდინარეობს?

რომ უფრო ნათელი იყოს საქმის ვითარება, საჭირო იქნება სხვადასხვა ჯგუფის „ვეფხის ტყაოსანი“, ანუ სხვადასხვა რედაქციები პარალელურ სვეტებად გამოიცეს, როგორც ეს არის ოთხთავის ტექსტში, რომელიც ძე 1945 წ. გამოვეცი, მაგ., ასე:[1]

მარცხენა გვერდზე	მარჯვენა გვერდზე
ABC : EFYZ	DGHI : JT

ამგვარად, ერთ გამოცემაში წარმოდგენილი იქნება 4 ჯგუფი ხელნაწერებისა, რაც ნათლად დაგვანახვებს „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის თანდათანობით ცვლას და გადაკეთებას, ეს ხელს შეუწყობს ტექსტის უფრო სწორად გასინთვას და პირვანდელი სახის აღდგენას. სხვადასხვა ტიპის „ვეფხის ტყაოსანთა“ პარალელური გამოცემა იქნება მხოლოდ ერთგვარი სარკე, სადაც ნათლად გამოჩნდება ხელნაწერების მსგავსება და განსხვავება, მათი ერთმანეთის სიახლოვე თუ სიშორე. ამის შემდეგ ტექსტუალური კრიტიკა უფრო ნორმალურ კალაპოტში ჩადგება.

დღევანდელ ეტაპზე ჩანართ-დანართი სტროფების გამოყოფის გარდა, უფრო ის არის საჭირო, დადგენილ იქნეს, რომელი ვარიანტია რუსთველისეული. მაგ., „შვენოდა **კაპარჭ**-ხრმალითა“ თუ შვენოდა **ქარქაშ**-ხრმალითა“ და მრავალი ამისთანა. ამის გარეშე ვეფხის ტყაოსნის შესწავლის საქმე იქნება ზერელე და საგრძნობლად ვერ წაიწევს წინ.

IX

კომისიაში არ იყო აზრთა ერთობა ნაკისრევი საქმის გამო. „კომუნისტის“ 1961 წ. 10 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი ა. ბარამიძისა და ჩემ მიერ ხელმოწერილი, რომელიც წინადადებას იძლეოდა „ვეფხის ტყაოსნის“ ავტორის ვინაობა სწორად ყოფილიყო დაწერილი და გამოთქმული: შოთა **რუსთველი** (და არა **რუსთაველი**), რადგანაც ავტორი თავის თავს **რუსთველს** ეძახის და არა **რუსთაველს**. ეს უდაო საკითხიც კი სადაო გახდა. ზოგიერთი წევრი (მაგ., ი. გიგინეიშვილი) ამას არ იზიარებდა.

მეორე მხრით, გ. წერეთლის წერილმა, რომელიც პროგრამა-მაქსიმუმს შეიცავდა, საყოველთაო მოწონება ვერ პოვა. აქ მთავარი იყო საქმის მეტად გაჭიანურება. რომელსაც ვერ ურიგდებოდა განსაკუთრებით ამ სტრიქონების დამწერი მისი საკმაო ხან-შესულობის გამო. მას მიაჩნდა საჭიროდ ჯერ პირველადი საქმეების გაკეთება, ტექ-

[1] დაჯგუფება პირობითია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტის თანდათანობით დახვეწა ხელნაწერთა ვარიანტების შედარებისა და სხვა ძველი ტექსტების ფორმების მოხმობის გზით და შემდეგ-და ზრუნვა პროგრამა-მაქსიმუმისათვის. ჩემი ფიქრით, არ შეიძლებოდა ხანგრძლივად გადადებულიყო უკვე მოპოვებული ფაქტები ტექსტის შესწორების საქმეში, რადგანაც პოემა ისწავლება სკოლებში, ითარგმნება სხვა ენებზე, მას იმოწმებენ მკვლევრები და სხვ.;

1962 წელს ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დამდგენმა კომისიამ მუშაობა გააახლა 13 იანვარს და შეწყვიტა 31 მარტს. ამ ხნის განმავლობაში შედგა 10 სხდომა. და დადგენილ სტროფთა რაოდენობა 274-მდის ავიდა (პროლოგის გამოკლებით, მაგრამ ჩანართების დამატებით) და მიაბიჯა 275 სტროფს („ღმერთმან სხვაცა ეტლსა ჩემსა"). ამაზე დიდმა კომისიამ შეწყვიტა მუშაობა, რადგანაც მზადდებოდა მისი რეორგანიზაცია.

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის 1962 წ. 20 ივნისის დადგენილების თანახმად, აუცილებელ საჭიროებად იქნა მიჩნეული, რომ მომზადებულიყო „ვეფხის ტყაოსნის" ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა ვარიანტებით, შენიშვნებით, კომენტარიებითა და ვრცელი ლექსიკონით იმ პროექტის მიხედვით, რომელიც გამოქვეყნდა „მნათობის" 1962 წ. თებერვლის ნომერში. მაგრამ იქვე აღინიშნა, რომ, რადგანაც „ასეთი გამოცემა დიდ დროს მოითხოვს, ხოლო „ვეფხის ტყაოსნის" ახალი გამოცემის განხორციელება მოკლე ხანში აუცილებლად საჭიროა, მიზან-შეწონილად იქნა მიჩნეული „ვეფხის ტყაოსნის" ტექსტის 1957 წლის გამოცემის ახალი, გადამუშავებული რედაქციის მომზადება მოკლე კომენტარიებით, ლექსიკონითა და ვარიანტებით. ამ გადამუშავებული რედაქციის გამოცემის მომზადება დაევალა ა. ბარამიძეს და ა. შანიძეს (მთ. რედ.). მომზადების ვადა განგრძობილ იქნა 1963 წ. ბოლომდე.

ამ დადგენილებას მოჰყვა შეორე დადგენილება მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმისა 27 სექტემბერს 1962 წელს, რომლის ძალით საქ. სსრ მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ვეფხის ტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია შემდეგი შედგენილობით: ი. აბაშიძე (თავმჯდომარე), ი. აბულაძე, შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, ა. ბარამიძე, ვუკ. ბერიძე, ნ. ბერძენიშვილი, ი. გიგინეიშვილი, ი. დოლიძე, მ. ებრალიძე (სწავლული მდივანი), ვ. თოფურია, პ. ინგოროყვა, ე. ლეონიძე, შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, გ. ჩიტაია, ა. ჩიქობავა, გ. ჩუბინაშვილი, და გ. წერეთელი, ამასთანავე პოემის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოცემის მომზადებისათვის შეიქმნა მთავარი რედაქცია შემდეგი შემადგენლობით: ი. აბაშიძე, ი. აბულაძე, ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, მ. ებრალიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი).

ამის შემდეგ მუშაობა ორი მიმართულებით წარიმართა:

ა) ხდებოდა დადგენა პოემის ტექსტისა ხელნაწერთა ვარიანტების შერჩევის ნიადაგზე და მზადდებოდა ახალი გამოცემა (ა. შანიძე და ა. ბარამიძე). ამასთანავე ერთად დადგენილ ტექსტს ვარიანტებს უკეთებდნენ ც. კარბელაშვილი (რუსთველისად მიჩნეულს) და ბ. დარჩია (არა რუსთველისეულს), ხოლო ი. ლოლაშვილი უწერდა კომენტარიებს. მ. ჩაჩავა განაგრძობდა ამოწერილი რუსთველოლოგიური მასალის თავმოყრას სტროფების მიხედვით და მათ აბეჭდვინებდა.

ბ) დაიწყო მზადება დიდი გამოცემისათვის, აგრეთვე ხელნაწერთა ვარიანტების გათვალისწინებით, ვრცელი კრიტიკული აპარატით და ლექსიკონით იმ ნიმუშის მიხედვით, რომელიც „მნათობში" დაიბეჭდა (1962 წ. თებერვალში). ამ მიზნით, სხვათა შორის, შეუდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნენ ფართო სალექსიკოლოგიო მასალის ამოკრებას ძველი და საშუალი ქართულის ძეგლებიდან, კერძოდ ძველი აღთქმის წიგნებიდან ბაქარის გამოცემის მიხედვით. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ ი. აბაშიძე (კომისიის თავმჯდომარე) და გ. წერეთელი (გამოცემის მთავარი რედაქტორი). ეს სამუშაოები წინასწარი ვარაუდით 1970 წლისთვის უნდა დასრულდეს და გამოიცეს შვიდ ტომად.

X

მცირე კომისიამ იქიდან განაგრძო მუშაობა, სადაც წინანდელმა კომისიამ შეწყვიტა, ე. ი. 275 სტროფიდან („ღმერთმან სხვაცა ეტლსა ჩემსა“). მცირე კომისიას ორ-ორი სხდომა ჰქონდა კვირაში და, რადგანაც, ერთი მხრივ, არც ოქმები იწერებოდა და, მაშასადამე, მის მოსმენასა და შესწორებაში დრო არ იხარჯებოდა, მეორე მხრივ, დაუსრულებელ კამათს ადგილი არ ჰქონდა, ბევრად დაწინაურდა საქმე: 1962 წლის ბოლოსთვის ტექსტი დადგენილი იყო 834 სტროფამდის, ხოლო 1963 წ. ივნისამდე უკვე ინდო-ხატაელთა ამბამდის იყო მიყვანილი (1578 სტროფამდე 1957 წ. გამოცემით).

სექტემბერში რომ განახლდა მუშაობა, ჯერ პროლოგი იქნა განხილული, შემდეგ გადახედულ იქნა წინა კომისიის ნამუშევარი (32 სტროფიდან 275-მდე), რამდენადმე აგრეთვე 1962 წლის ნამუშევარი. როდესაც თანდათან ჩნდებოდა ხელნაწერთა თავისებურებანი და 1963 წ. ბოლოსათვის უკვე ტექსტის დადგენა ძირითადად დასრულებული იყო.

ტექსტის დადგენას ვერ სდევდა კვალდაკვალ ვარიანტების შემოწმება და სასტამბოდ დამზადება, რადგანაც ამაზე თითო პირი მუშაობდა. შესამოწმებელი ხელნაწერები კი მრავალი იყო. ვერ ასწრებდა კომენტარიების დაწერას ვერც ი. ლოლაშვილი და ეს სამუშაოები 1964 წელს გაგრძელდა და 1966 წელსაც გადმოვიდა.

ამასობაში შედგა რუსთველის საბუბილეო კომიტეტი, რომლის სათავეში დგას საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი. ამ კომიტეტმა 1966 წ. სექტემბერში უნდა მოაწყოს პოეტის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი ეროვნული დღესასწაული.[1] ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა: ამიერიდან 25 სექტემბერი გამოცხადდეს რუსთველის დღედ. პოეზიის ტრადიციული დღე ყოველწლიურად გაიმართოს 26 სექტემბერს:[2]

ერთ-ერთ ღონისძიებად 1966 წლის ზეიმისათვის დასახულ იქნა „ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის გამოცემა საიუბილეოდ. კომიტეტის საგამომცემლო სექტორმა ამისი მომზადება მიანდო ახალ კომისიას (ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე, გ. წერეთელი).

XI

ტექსტის დადგენის პროცესში მცირე კომისიისათვის ნათელი გახდა, რომ ტექსტის ვითარება რუსთველისეულ ნაწილში უფრო სანდოა სამ ხელნაწერში, რომელთაგან ერთი (A) 1671 წ. არის გადაწერილი, მეორე (B) — 1680 წელს, მესამეს კი (C-ს) თარიღი აღარ შემორჩენია, მაგრამ პალეოგრაფიული ნიშნებით ისიც მე-17 საუკუნისაა. ამ ხელნაწერებში უფრო შემონახულია ძველი ორთოგრაფია (მაგ., უმარცვლო უ-ს ხმარება ზოგიერთი ფუძის სიტყვებში) და ტექსტიც უფრო გამართულად არის წარმოდგენილი, თუმცა შერყვნილი ადგილები ამათშიც ბევრია. საერთოდ, არ არის არც ერთი ხელნაწერი, რომ ყველაფრად სანდო იყოს.

უფრო სანდოებს გარდა, არის უფრო საეჭვოებიც, რომლებიც მეტად გადა-

---

[1] „კომუნისტი“, 1965 წ., 19 მარტს, № 65.

[2] „ლიტერატურული საქართველო“, 1965 წ. 21 მაისს.

კეთებულ ტექსტს გვიჩვენებენ და ამის გამო სულ კრიტიკულად უნდა იყო განწყობილი მათ მიმართ. ასეთია J (H 461), რომელსაც ხშირად მხარს უჭერს T (ოქსფორდში დაცული ხელნაწერი W 17). ამათში აშკარად ჩანს ძალიან თავისებური მოპყრობა შოთასეული ტექსტისადმი, რომელიც მრავალ ადგილას გადაკეთებულია: გამოცვლილია ცალკეული სიტყვები, გადასმულ-გადმოსმულია სიტყვები, სხვაგვარად არის გაკეთებული რითმები და სხვ. ამ ხელნაწერებს ორივეს მე-18 საუკუნისად მიიჩნევენ, მაგრამ გამოსარკვევია, როდის და ვის მიერ მოხდა შოთასეული ტექსტის გადაკეთება იმგვარად, როგორც აქ არის წარმოდგენილი.

სტროფთა შედგენილობის თვალსაზრისით ზოგიერთი ხელნაწერი უფრო ძველ ვითარებას გვიჩვენებს, ვიდრე სხვები, რადგანაც მათში არ მოიპოვება ზოგიერთი ჩანართი სტროფი, უფრო მოკლეა და, მაშასადამე, შედგენილობის მხრივ უფრო სანდო, ვიდრე სხვები. ეს საკითხი, რომელსაც ს. ცაიშვილი იკვლევდა,[1] საყურადღებოა იმ მხრივ, თუ როგორ ემატებოდა თანდათან პირვანდელ ტექსტს მერმინდელი ჩანართები და როგორ იმღვრეოდა ანკარა რუსთველისეული წყარო. ამღვრევა სხვა გზითაც ხდებოდა: რუსთველის ნახმარი სიტყვების ნაცვლად სხვისი (ან სხვათა) გადანაკეთები ჩნდებოდა. ყველა ამან ძალიან გააძნელა ტექსტის დადგენის საქმე.

როგორც მიმოხილვიდან ჩანს, ვეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენა მეტად რთული საქმეა და, თუ გავითვალისწინებთ ამ პოემის მნიშვნელობას ქართველი ერისთვის, მეტად საპასუხისმგებლოცაა და საპატიოც. ზოგი რამ უკვე გაკეთებულია, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ დიდებული პოემა გაიცხრილოს ყველა დანართ-ჩანართისაგან და უეჭველად რუსთველისეული ტექსტის შერყვნილი ადგილები გასწორდეს. მთლიანად ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ ის კია შესაძლებელი, რომ ბევრად მივუახლოვდეთ რუსთველის ნამდვილ ნაწარმოებს.

ახალი გამოცემის რედაქციის წინაშე დაისვა მეტად რთული საკითხი, უპირველეს ყოვლისა, იმის გარკვევა, თუ რომელი სტროფებია ნამდვილად რუსთველისა. ეს კითხვა გულისხმობს პოემის გაცხრილვას მერმინდელი მინარევისაგან. ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯია გადადგმული წინ: ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც საიუბილეო გამოცემაში შევიდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგი იყო მაშინდელი კომისია, ახალ გამოცემაში აღარ იქნება. ამ მხრივ ახალი გამოცემა დაუახლოვდება პირველ გამოცემას, ვახტანგისას, რომელშიც ეს ამბავი არ შესულა, რადგანაც ვახტანგის დროს მეტი იყო ცნობები, რომ ეს ამბავი რუსთველს არ ეკუთვნის. ამით, რა თქმა უნდა, სავსებით როდია გადაწყვეტილი პოემის დაბოლოვების საკითხი. ამ მხრივ ზოგი რამ ჯერ კიდევ გასარკვევია, დასამუშავებელი და დასახვეწი. საბოლოოდ საკითხის გადაწყვეტა ამჟამად ჭირს, რადგანაც იმ მასალებით, რომლებიც ჩვენს ხელშია, ძნელია მნიშვნელოვან რასმე გავხდეთ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღმოჩნდება ახალი მასალები, რომლებიც შუქს მოჰფენს ამ საკითხსაც და გზას გაგვინათებს.

რაც შეეხება პოემის სხვა ადგილებს, აქ აშკარა ჩანართები ამოღებულია, მაგრამ დარჩა ზოგიერთი სტროფი, რომლებიც, ჩემი ფიქრით, მეტად საეჭვოა, რომ რუსთველს ეკუთვნოდეს. ასეთია, მაგ., რამდენიმე მაჯამა, რომელთაც უშუალო კავშირი არა აქვს პოემასთან და თანაც რითმების უაზრო თამაშს წარმოადგენენ. მაგრამ ამას დასაბუთება უნდა; უამისოდ კი ძნელია დაარწმუნო ზოგიერთი პირი, რომ ისინი რუსთველს არ ეკუთვნის.

[1] ს. ცაიშვილი, ვეფხის ტყაოსნის ძველი რედაქციები. 1963.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XII

„ვეფხის ტყაოსნის“ ტექსტის ვითარება ძალზე სხვაობს ხელნაწერიდან ხელნაწერამდის. ისეთი სტროფები რომ ავიღოთ, რომლებიც ყველაშია (ე. ი. საერთოა), ვნახავთ, რომ ზოგიერთ სტროფში ტაეპების (ე. ი. სტრიქონების) რიგი შეცვლილია. ინდო-ხატაელთა ამბამდი ოთხმოციოდე სტროფში ტაეპები გადასმულია (იმ ტექსტთან შედარებით, რომელიც 1957 წლის გამოცემაშია): ზოგში მეორე და მესამე (**გბ**), ზოგში მესამე და მეოთხე (**დგ**), ზოგში მეოთხეზეა გადასროლილი პირველი სტრიქონი (**ბგდა**). გადასმა არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, იგი უთუოდ რედაქტორის განგებ ჩარევის საქმეა. შემთხვევითი შეიძლება იყოს არა ტაეპების, არამედ სტროფების გადასმა: სტროფები 341 („ბაღჩა ვნახე უტურფესი“) და 342 („მეფემან ახმა დურაჯთა“) გადასმულია ერთიმეორის ადგილას, როგორც ამას ზოგიერთი ხელნაწერი გვიჩვენებს. რიგის დარღვევა (ე. ი. სტროფების გადასმა) მომხდარა პირველსავე გამოცემაში. ამაში კი ეს შეცდომა გარკვეული ტიპის ხელნაწერებიდან გადმოსულა.[1]

ტექსტის სხვაობა ხელნაწერებში ნაირ-ნაირია.

ზოგ შემთხვევაში სიტყვებიც ერთია (ან თითქმის ერთი), აზრიც ერთია, მაგრამ ფრაზა სხვადასხვა სინტაქსური წესის მიხედვით არის აგებული:

ა) ჩვენ **ვერა გარგეთ** 117,2
ჩვენ **ვერას გარგებთ**

ბ) **ვინ იქს** კარგა 163,2
ვინ ქნას კარგა

გ) **ვხოცეთ** მხეცი უსაზომო 200,4
ვჰხოცდით მხეცსა უზომოსა

დ) ხელთა **მოგცეს** თავი ჩემი 545,4
ხელთა **მოგცემს** თავსა ჩემსა

[1] ს. ცაიშვილი. ვეფხის ტყაოსნის რედაქციები და ზოგიერთი ტექსტუალური საკითხი. I (კ. კეკელიძისადმი მიძღვნილ კრებულში, 1959).

სხვადასხვა ზმნის ფორმაა ნახმარი ქცევისა ან გვარის მიხედვით:

ა) მას ყმასა ხრმალი არა ვჰკრა,
არცა მას დავასობინო 229,4
მას ყმასა ხრმალი არა ვჰკრა
არც მისი დავისობინო

ბ) ღმერთმან ქმნას და **გაგემარჯვოს**
„ „ „ **გაგიმარჯვდეს** 414,2

გ) არვის **გავანდევ** სულდგმულსა
„ **გავენდევ** „ 437,1

ერთი და იგივე სახელი შეიძლება წინამავალ ზმნას დაუკავშირდეს ან მომდევნოს. ამის მიხედვით ფორმაც შეიძლება სხვადასხვა იყოს:

შინა წამოვე **მაშვრალი**,
ქმნა მომნდომოდა ძილისა (553,2)
შინა წამოვე, **მაშვრალსა**
ქმნა მომნდომოდა ძილისა.

მკერდი ძველ ქართულში იკუმშებოდა: **მკრდისა, მკრდამდის.** ვეფხის ტყაოსანში შეკუმშული ფორმა უხმარია პოეტს:

ზოგთა გარდაჰკრის მათრახი
ქვე მკრდამდის გასაპობელად (94,4)

შეკუმშული ფორმა არ მოსწონებიათ და სიტყვა გაუშლიათ, სამაგიეროდ **ქვე** ამოუღიათ.

ზოგთა გარდაჰკრის მათრახი
მკერდამდის გასაპობელად.

ბევრია შემთხვევა, რომ ცალკეული სიტყვები იყოს შეცვლილი:

ა) **სიცრუვე** და სიბილწეო 118,2
სიცუდე „ „

ბ) უხარის **ნახვა** ვარდისა 121,3
„ **შეყრა** „

გ) სჯობს ორნივე **გავიპარნეთ** 161,4
„ „ **დავიკარგნეთ**

დ) **განგებაა**, სწორად მოჰკლავს 164,3
ფათერაკი „ „

ე) ცრემლნი **გარდმოწვიმდეს** 223,3
„ **გარმოსცვივდეს**

ვ) აწ **არ ვიცი**, ვით დავრჩე, ვა! 243,4
აწ **ესე თქვი**, „ „ „

ზ) **გაშვება** უუბარისა 411,1
გაგზავნა „

ᲑᲑ) არიან **ერთობ** მუხთალნი 424,3
„ **მეტად** „
თ) მათ **თურქთა** მიღმა გამეგო 295,3
„ **ქურდთა** „ „
ი) ერთი სამეფო **საკარგვად** 316,1
„ „ **საკარგუმოდ**
ია) დამცდარა თქვენი **ხელმწიფე**
„ „ **პატრონი**
1192,3
იბ) ვბურთობდი და **ვნადირობდი**
„ „ **ვთამაშობდი**
328,4
იგ) **საკრძალავი** და უკადრი 408.4
საკვირველი „ „
იდ) **წამოიჭრა** ვითა რეტი 269,2
წამოვარდა „ „
იე) შვენოდა **კაპარჭ**-ხრმალითა 265
„ **ქარქაშ**-ხრმალითა
და მისთ.

XIII

ხელნაწერებში გამოირჩევა ერთი ხელნაწერი მე-18 საუკუნისა, რომელიც J ასოთი აღინიშნება. მისი შესწავლა გვარწმუნებს, რომ ვიღაცა ძალიან ცდილა, არა მარტო ცალკეული სიტყვები ეცვალა, არამედ მთელი ტაეპი სხვაგვარად გადაეკეთებინა. მაგალითად, ნესტანი რომ მშვიდად შეჰხვდა მისი დასმენის ამბავს ზღვათა მეფესთან, ამას პოეტი ასე გადმოგვცემს:

ადგა ასრე გულ-უშიშრად,
ვეფხი იყო ანუ **გმირი** (1176,2)

J კი მეორე ნაწილს ასე ასწორებს:

ვეფხი იყო ანუ **შირი.**

ასე რომ **გმირ**-ის ნაცვლად პოემაში გაჩნდა **შირ-ი. შირი** სპარსულად ლომია (**შიირ**[1]). მაშასადამე, გადამკეთებელმა სპარსული იცის. მან რითმა არ დაარღვია, მაგრამ ქართულის ნაცვლად სპარსული სიტყვა ჩასვა და მთელ ტაეპს ასეთი შინაარსი მისცა:

ადგა ასრე გულ-უშიშრად,
ვეფხი იყო ანუ **ლომი.**

[1] გრძელ სპარსულ ხმოვნებს აქ გაორკეცებით გადმოვსცემთ.

შედარება უთუოდ კარგია და მოსაწონი. სხვა ხელნაწერები, რომ არ მოღწეულიყო, რომელთაც **გმირი** აქვთ ამ ადგილას, ვერაფერს ვიტყოდით. მაგრამ სხვა ხელნაწერების **გმირი**-ც გვაქვს და ტექსტის დადგენის დროს ერთ-ერთ მათგანს უნდა დავუჭიროთ მხარი. **შირ**-ის დამწერმა სპარსული უთუოდ იცოდა. სპარსული იცოდა უთუოდ რუსთველმაც, მაგრამ რუსთველი **შირს** ვერ იხმარდა, რადგანაც მის დროს სპარსული ენა განასხვავებდა ე. წ. (არაბთათვის) „უცნობ“ ᲐᲐ-ს, რომლითაც გრძელი ᲔᲔ აღინიშნებოდა სიტყვაში: შოთას დროინდელ სპარსულში **შიირ** „რძეს“ აღნიშნავდა მხოლოდ, **შეერ** კი — „ლომს“. მაგრამ ისინი ერთნაირად იწერებოდა. ეს **შეერ** დღესაც შემონახული გვაქვს **ᲯᲣᲐᲜᲨᲔᲠ** სახელში, რომელიც სპარსულია წარმოშობით და „ახალგაზრდა ლომს“ ნიშნავს. მერმინდელ სპარსულში გრძელი **ᲔᲔ** გრძელ **ᲘᲘ**-ად შეიცვალა და ლომის სახელი რძისას დაემსგავსა: დღეს სპარსულში **შიირ** რძესაც ნიშნავს და ლომსაც, მაშინ როდესაც ძველად ლომი იყო **შეერ**, რძე კი **შიირ**. აქედან ცხადია, რომ რუსთველი ლომის სპარსულ სახელს ამ შემთხვევაში ვერ იხმარდა, რადგანაც იგი რითმას დაარღვევდა: ვეფხი იყო ანუ **შერი**, რითმებად კი გვაქვს სიტყვები: **ხშირი, ჭირი, პირი.** აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ გამოცემაში უნდა დარჩეს **გმირი, შირი** კი ვარიანტებში უნდა წავიდეს, როგორც ვიღაცას ნაყალბევი.

ეგევე ხელნაწერი J (და მასთან ერთად ᲮᲨᲘᲠᲐᲓ T-ც) სულ სხვაგვარად აკეთებს მთელ სტროფებს. მაგალითად, კარგად ცნობილია სტროფი ავთანდილის ანდერძიდან, სადაც მონების განთავისუფლებაზეა საუბარი:

მაქვს საქონელი ურიცხვი,
ვერვისგან ანაწონები,
მიეც გლახაკთა **საჭურჭლე,**
ათავისუფლე მონები.
შენ დაამდიდრე ყოველი,
ობოლი, არას მქონები.
მიღვწიან, მომიგონებენ,
დამლოცვენ, მოვეგონები. (803)

ამის ნაცვლად JT ხელნაწერებში ეს იკითხება:

> მაქვს საქონელი ურიცხვი,
> **ვერვისგან აიწონების,**
> მიეც გლახაკთა **და ხელ-ყავ**[1],
> **თავისუფლება მონების.**
> შენ დაამდიდრე ყოველი,
> **უქონო შექმენ**[2] **ქონების,**
> **დამლოცვენ, ჩემთვის იღვწიან.**
> **მიცემა მოეგონების**[3].

ამგვარი ვარჯიშობა უკვდავი პოემის სტრიქონებზე აბა რა მოსაწონია, მაგრამ რა ვქნათ, ტექსტის შერყვნისა და დამახინჯების ფაქტი ფაქტად რჩება და ტექსტოლოგი მოვალეა, სათანადო ანგარიში გაუწიოს მას.

ეხლა ავიღოთ სხვა მაგალითი: ერთგან იკითხება (815,2):

> მართლად უთქვამს მეცნიერსა:
> წყენაოო ჭირთა ბადე.

ჯერ-ერთი: **მეცნიერსა** მხოლობითია, ზოგ ხელნაწერში კი მრავლობითია: **მეცნიერთა.** ასეთივე ვითარებაა ვარიანტებშიც: **მოციქულსა (მოციქულთა).** არის მესამე ვარიანტიც: **მოაბადთა.** ეს უკანასკნელი იკითხება JT-ში. ცხადია, იგი წარმოადგენს ნაყალბევს: „მოაბადი“ ყალბის მქნელს აღებული უნდა ჰქონდეს ვისრამიანიდან. ან თამარის I ისტორიკოსის თხზულებიდან, რომელა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. გაუგებარია ჩვენთვის, რად წარიმართა ყალბის მქნელის გონება იქეთკენ, რომ ესწორებინა, თავის გემოზე გადაეკეთებინა და დაემახინჯებინა რუსთველის მომხიბლველი შაირები.

XIV

ახალ გამოცემაში ბევრი იქნება შესწორებული ადგილები. შესწორებათა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და არც საჭიროა. მოვიყვან ნიმუშად ზოგიერთს.

[1] ხელ-ჰყავთ J.
[2] შეჰქენ J.
[3] მოაგონდების J.

1.

შესავლის მე-9 შაირის მე-4 ტაეპი ასე იკითხებოდა წინანდელ გამოცემებში:

> ჩემმან ხელ-მქმნელმან **დამმართოს**
> ლაღმან და ლამაზმან **ნები**

სწორი ქართულით ითქმის **დამრთოს ნები** ან **დამრთოს ნება** და არა **დამმართოს ნები.** შეიძლება ითქვას: ცუდი საქმე დამმართოს, გადამდები სენი დამმართოს და მისთანა, მაგრამ „დამმართოს ნება“ არ არის ქართული. რას გვეუბნება ხელნაწერები ამ ადგილას? ხელნაწერთა უმეტესობა „დამმართოს“ ან „დამმართა“ ფორმას გვაძლევს. მაგრამ არის რამდენიმე ხელნაწერი, რომლებშიც „დავმართო“ იკითხება. ეს „დავმართო“ პირველი სუბიექტური პირის ფორმაა და სრულიად შეუფერებელია ამ ადგილას. მაგრამ საიდან გაჩნდა ასეთი ფორმა? უთუოდ ფორმაში იყო **ვე** ნაწილაკი **(და-ვე-მრთოს),** რომელიც ვერ გაიგეს: ერთმა **ვე** ნაწილაკის თანხმოვანი 1-ლი პირის ნიშნად აიქვა და ხმოვანი ამოიღო, სამაგიეროდ, რაკი მარცვალი დაკლდა, **მა** ჩაუმატა და **და-ვ-მა-რთო** მიიღო. სხვამ კი **ვე** ნაწილაკი სულ ამოიღო, დაკლებულის ნაცვლად **მა** ჩართო, მესამე სუბიექტურ ფორმას კი ხელი არ ახლო, მაგრამ ობიექტად ზმნას 1-ლი მისცა. შედეგად **და-ვე-მრთოს** ფორმის ნაცვლად **და-მ-მა-რთოს** მივიღეთ. **ვე** ნაწილაკის აღდგენით ფორმა გაიმართა და აზრი ნათელი გახდა. „და-ვე-მრთოს“ ნიშნავს „დამრთოს-ვე“.

2.

1321 სტროფის ბოლო ტაეპი ასე იკითხებოდა წინანდელ გამოცემებში:

> **არ თურე** კაცმან დაგიდგნას,
> ვეჰვ, კლდეცა გაგილბილდების.

თურე ვეფხის ტყაოსანში **თურმე**-ს ნიშნავს. იგი რომ ხელ-უხლებლად დავტოვოთ, აზრი ასე უნდა ვთარგმნოთ: თურმე კაცმა არ დაგიდგნას, ვფიქრობ, კლდეც გაგირბილდებათ. ტაეპის პირველი ნახევარი გაუგებარია, ბუნდოვა-

ნია. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქ **დადგმა** გაძლებას ნიშნავს, საჭირო იქნება ასეთი შესწორება, რომ შერყვნილი ადგილი გაიმართოს:

არ თუ ვერ კაცმან დაგიდგნეს,
ვეჰვ, კლდეცა გაგილბილდების.

„გაგილბილდების“ ზმნის ნაცვლად არის ვარიანტი „გაგიცვილდების“, რაც უფრო სწორად მიმაჩნია. მთელი ტაეპი შესწორების შემდეგ ასეთ სახეს მიიღებს:

არ თუ ვერ კაცმან დაგიდგნეს,
ვეჰვ კლდეცა გაგიცვილდების.

ე. ი. არა თუ კაცი ვერ გაგიძლებს, (არამედ ვფიქრობ, რომ კლდეც კი ცვილივით გახდება თქვენ ხელშიო. რომ გასწორებულიყო ეს ადგილი, საჭირო გახდა სპეციალური გამოკვლევა დაწერილიყო, რისთვისაც მოხმობილ იქნა სხვა ადგილები თვით „ვეფხის ტყაოსნიდან“ და გადაკითხულ იქნა მრავალი ძეგლი, სადაც **დადგმა** ზმნა **გაძლების** მნიშვნელობით იხმარება.

3.

1957 წ. გამოსული ვეფხის ტყაოსნის სიმფონიის წინ წამძღვარებულ გამოკვლევაში აზრი გამოვთქვი, რომ შეცდომაა ამ ტაეპში:

ისრითა მოკლის ნადირი
როსტომის **მკლავ-უგრძესითა.**

და ასე უნდა შესწორდეს-მეთქი:

ისრითა მოკლის ნადირი
როსტომის **მკლავს უგრძესითა**

რაც ამას ნიშნავს: (ავთანდილი) ნადირს კლავდა ისრით, რომელიც როსტომის **მკლავზე უგრძესი** იყოო.

ეს უცილობელი შესწორებაც კი საცილობელი გახდა და კამათი ატყდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს: ა. ბარამიძემ, კ. ჭიჭინაძემ, ი. გიგინეიშვილმა.

მკლავ-უგრძესი ისევეა ნაწარმოები, როგორც **თავ-გადასავალი:** იქაც და აქაც **ს** ჩავარდნილია გამოთქმაში: მკლავს უგრძესი (ე. ი. მკლავს-ზე უგრძესი), თავს გადასავალი (ე. ი. რაც თავს გადაჰსვლია, რაც თავს [illegible] კაცს).

4.

ტარიელის პირველი შეხვედრა ფრიდონთან განსაკუთრებულ პირობებში მოხდა: ფრიდონი იფრინეს მისმა განაყოფებმა. რომლებთანაც მას უსიამოვნება ჰქონდა მამულის გამო. ამ მის განაყოფებს ძველ გამოცემებში **ბიძა-ძენი** ეწოდებოდა: თვით ბიძა-ძენი ჩემნიცა (609,3); ეს ბიძა-ძენი ორნი ყოფილან (თვით ორნივე ბიძა-ძენიო, ნათქვამია: 617,1; 619,2). ამ კომპოზიტის აღნაგობის მიხედვით გამოდის, რომ ფრიდონს შეტაკება მოუხდა ბიძასთან და მის ძესთან, ე. ი. ბიძასთან და ბიძაშვილთან. აგრეც ითარგმნებოდა სხვა ენებზე, მაგრამ ნამდვილად ფრიდონს ებრძოდნენ **ბიძაშვილები,** რომელთა შესახებ პოემაში პირდაპირ ნათქვამია, რომ საცილობელი კუნძული.

თვით ბიძასა ჩემსა მიჰხვდა,
ვისთა შვილთა აწ დამკოდეს (601,3).

საკმარისი იყო ძველი ფორმის აღდგენა სანის ჩამატებით, რომ ტექსტი გამართულიყო და აზრი ნათელი გამხდარიყო: არა **ბიძა-ძენი,** არამედ **ბიძასძენი** (ე. ი. ბიძაშვილები).

5.

ავთანდილმა რომ ტარიელი დიდი ძებნის შემდეგ მონახა, მას დაეძმობილა, მთელი მისი თავგადასავალი მოიკითხინა, შემდეგ დაბრუნდა არაბეთს და სასიხარული ამბავი მოუტანა როსტევანსა და მის ასულს თინათინს. ამას პოემაში მოსდევდა ასეთი სტროფი:

რა დაასრულა ამბავი,
საქმე მისისა ჭირისა,
ნახვა მის მზისა ნათლისა,
მის თვალად არ დუხჭირისა,
ეამა, უქეს ვარდისა
ხელი მძლედ დანამჭირისა (691)

ეს „ვარდისა ხელი“ გაუგებარი იყო, არას გვეუბნებოდა, პოემის მთარგმნელები მას გვერდს უვლიდნენ, თუმცა ინგლისურ თარგმანში „ვარდისა ხელი“ (rose-like hand) დარჩა და ასე ითარგმნა მთელი სტროფი: They praised his rose-like hand which had been firmly held.

(მათ უქეს ვარდისებრი ხელი, რომელიც მძლედ ეჭირა“). ტაეპი, ცხადია, შერყვნილი იყო და საჭირო იყო მისი გაძართვა, მაგრამ როგორ? რა საშუალებით? არც ერთ ხელნაწერში არ მოიპოვება არავითარი პირდაპირი მინიშნება, თუ როგორ უნდა გასწორებულიყო შერყვნილი ადგილი. ერთად-ერთი მბჟუტავი შუქი „მძლედ დანამჭირი“ იყო, რომელმაც დღის სინათლეზე გამოგვიყვანა. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ პოემაში აქ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო არა **ვარდისა**, არამედ **ვადისა**. ამასთანავე, რადგანაც ზოგ ხელნაწერში **უქეს** ფორმის ნაცვლად **ქება** ეწერა, ტაეპი საბოლოოდ ასე გაიმართა:

ეამა ქება **ვადისა**,
ხელით მძლედ დანამჭირისა.

ვადა არის ხმლის ტარი, რომელსაც ხელს ჰკიდებს მეომარი, რომლითაც უჭირავს მას ხელში ხმალი ქარქაშიდან ამოღების შემდეგ. ტაეპი რომ ვთარგმნოთ დღევანდელ ქართულზე, გვექნება:

(ავთანდილს) ეამა, ქება რომ უთხრეს, რომ ხმლის ვადა მძლედ გჭერია ხელშიო.

6.

„ვეფხის ტყაოსნის“ შინაარსის მცდარი გაგება, იქ ნახმარი ზოგიერთი სიტყვისთვის იმ მნიშვნელობის მიწერა, როგორიც მათ დღევანდელ ქართულში აქვთ, ზოგჯერ წყარო გამხდარა იმისა, რომ სტროფი რუსთველისთვის წაერთმიათ, პოემიდან ამოეღოთ და ჩანართებში გადაეტანათ. ამის მაგალითს გვაძლევს შაირი 118-ე, რომელიც ასე იწყება:

მეფე ბრძანებს: მართალ იყო,
ასული და ჩემი ძეო.

ეს ადგილი (და მასთან ერთად მსგავსი ადგილები პოემაში) გაუგებრობას ჰბადებდა, რადგანაც **ძე** ძველად ვაჟსაც ნიშნავდა და დღესაც იმასვე აღნიშნავს. როსტევანს კი ერთად-ერთი ასული ჰყავდა, რომელიც მან ტახტზე აიყვანა და თავისი ხელით გვირგვინი დაადგა. ამიტომ **ასულთან** ერთად **ძის** დასახელება მეტად უცნაურად ეჩვენება კაცს. ამის გამო ცნობილმა რუსთველოლოგმა ი. აბულაძემ ეს სტროფი ამოიღო პოემიდან და ქვეშ ჩაიტანა ჩანართ სტროფებში. ეს იმის გამო მოხდა, რომ არ ჰქონდა გათვალისწინებული **ძე** სიტყვის ერთი მნიშვნელობა საშუალ ქართულში და კერძოდ ვეფხის ტყაოსანში. როგორც ისტორიკოსმა ვ. დონდუამ გამოარკვია, იგი ნიშნავდა არა მარტო ვაჟს, არამედ მემკვიდრესაც. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა ქალზედაც ითქმოდა, თუ მემკვიდრეობა მასზე გადადიოდა. სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს მას შოთა, როცა ამბობს:

სხვა **ძე** არ ესვა მეფესა,
მართ ოდენ მარტო ასული.

ე. ი. სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა მეფეს, ჰყავდა მარტო ერთი ასულიო. სხვაგან პოემაში იკითხება:

ჩემი **ძე** დავსვათ ხელმწიფედ,
ვისგან მზე საწუნელია (36,4).

ე. ი. ჩემი მემკვიდრე (ქალი) დავსვათ ხელმწიფედო.

მაგრამ, რაკი **ძე** სიტყვის მნიშვნელობა არ ესმოდათ გადამწერლებს და მბაძველებს, აღნიშნული ადგილი ან ასე გადააკეთეს: „**ჩემი მზე** დავსვათ ხელმწიფედ“, ან ასე: „**თინათინ** დავსვათ ხელმწიფედ“. ამგვარი „სწორება“ ვეფხის ტყაოსნის ტექსტისა, ენის თავისებურებათა უცოდინარობის გამო, ბევრი ხდებოდა. ამიტომ ხავსივით მოედო რუსთველის პოემას მრავალი უცხო მასალა, რომელმაც საგრძნობლად დაჩრდილა მისი პირვანდელი ბრწყინვალება.

იმედია, რომ შემდგომი გამოკვლევები თანდათან შემოაცლიან ხავსს და გამოაჩენენ მის პირვანდელ სახეს.

სასტამბოდ დამზადებული ტექსტი რომ დაიბეჭდება თავისი ვარიანტებითურთ და გამოვა, იგი იქნება დიდად წინ წადგმული ნაბიჯი უკვდავი პოემის პირვანდელი სახის წარმოჩენის საქმეში.

დიდი ივანე ჯავახიშვილი მწუხარებით აღნიშნავდა: „დღემდე ჩვენ „ვეფხის ტყაოსნის“ არამცთუ სრული კრიტიკული გამოცემა ვერ მოგვიხერხებია, არამედ ისეთი გამოცემაც კი არ მოგვეპოვება, სადაც ხელნაწერებში დაცული ყველა განსხვავებული წანაკითხები მაინც გვქონდეს აღბეჭდილი“.[1]

როცა დაიბეჭდება „ვეფხის ტყაოსნის“ ახალი გამოცემა, რომლის I ტომი გადაცემულია დასაბეჭდად 1965 წ. ივნისში და რომლის II ტომი გადაეცემა 1965 წლის ბოლოს, დიდი ხნის ნატვრა უკვე განხორციელებული იქნება. ეს გამოცემა აღნიშნავს [illegible] ეტაპს პოემის შესწავლა-გამოცემის ისტორიაში და საფუძვლად დაედება შემდგომ კვლევა-ძიებასა და მომავალ გამოცემებს, კერძოდ ახალ საიუბილეოსას.[1]

P. S. ზოგი ავტორი რუსთაველს წერს (ანტონი I-ის შემოღებულ ფორმას), ზოგი — რუსთველს. ამასთანავე საყოველთაოდ გავრცელებულია **რუსთველოლოგია.** ამ წერილში ყველგან ის ფორმაა გატარებული, რომელიც თვით ვეფხის ტყაოსანშია ნახმარი ავტორის მიერ: რუსთველი; მაგ. „მე რუსთველი ხელობითა“. და სხვა.

---

[1] ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები. 1956, გვ. 74.

[1] ახალი საიუბილეო გამოცემის კომისიამ ფოტოპირები გადააღებინა ახლად დამზადებული ტექსტისა და ვარიანტებისა, რომელთა მთავარი რედაქცია ამ სტრიქონების ავტორს ეკუთვნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულნარა ჯაფარიძე

უჩა ჯაფარიძე

ვისაც საქართველოს მთაგორები უნახავს და უჩა ჯაფარიძის შემოქმედებას ახლოს იცნობს, იგი მხატვრის გმირთა შორის არა ერთს შეიცნობს გარეგნულად თუ შინაგანი სულისკვეთებით, მზით დამწვარი სახეებით და მშობლიური მიწის გალაღებული ბუნებით. რადგან უჩა ჯაფარიძის შემოქმედების გარემო — სინამდვილეა და ცხოვრება იმ ხალხისა, რომელსაც ეკუთვნის, რომელმაც დაავაჟკაცა და მხატვრულად გამოზარდა, რომლის სიხარულსა თუ გასაჭირს, შემოქმედი ყოველთვის მძაფრად და თავისად განიცდის.

...სახელოსნოში მხატვრის პირისპირ მჯდომი დრო და დრო გავცქერი კედლებზე „დასახლებულ" სურათებს. ძველ ნაცნობთა შორის ახლის გამოჩენას ვინიშნავ და თან მხატვარს ვუსმენ. მრავალს ჰყვება ჩემთვის საინტერესოს, ჯერ არგაგონილს, თუმცა გაპარებით, ხანდახან გვერდს უხვევს თავისთავზე საუბარს და ჩვეული შეძახილით ჩემს ყურადღებას რომელიმე სხვა მხატვრის ხასიათსა თუ ნამუშევარზე ამახვილებს.

იგონებს რაჭას, ბავშვობას, და მხატვრობით გატაცებას ოჯახს უმადლის, სადაც დამკვიდრებული იყო ხელოვნებისა და ლიტერატურის სიყვარული, და არ უკვირს, რომ რაც თავი ახსოვს მუდამ ხატვისაკენ მიისწრაფოდა, უკვე ხუთი წლიდან ხელიდან არ გაუგდია ფანქარი.

ალბათ, ბაძავდა კიდეც უფროს ძმებს, იმხანად საკმაოდ ცნობილ მხატვრებს, ლადო და გრიგოლ ჯაფარიძეებს. მხატვრად მოჰქონდა თავი და იქნებ ამიტომაც მამამ ერთხელ გამოსაცდელად ცნობილი ხალხური ლექსის დასურათება შესთავაზე. ის ლექსი ახლაც ახსოვს:

ვხედავ მეცხვარეს ჯოხით მხარზედა,
წინ უძღვის ცხვარსა, მიდის მთაზედა...

მაგრამ, — ეღიმება უჩას, — პირველად სწორედ მაშინ მიხვდა, რომ მხატვრობა თამაში არ იყო და სწავლას მოითხოვდა — მეცხვარეს ცხვრები ვერ მიუხატა, და მამამ მათ ადგილას წერტილები ჩაამწკრივა...

1922 წელს უჩა თბილისს ჩამოიყვანეს და მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიაში მიაბარეს.

სამუდამოდ დაამახსოვრდა უჩას სტუდიაში მისვლის პირველი დღე.

სინათლე ჩამქრალიყო. სანთლის შუქზე აქეთ-იქით დაბორიალობდნენ სტუდიელთა მოუსვენარი ჩრდილები, და დიდ ქალაქში ახლად ჩასულს ბორკავდა და გულს უხშობდა სიმარტოვის გრძნობა.

მაგრამ ჯგუფში უცხოდ მჯდომს ვიღაც „შავბანტიანი" ახალგაზრდა მიუახლოვდა, გამოესაუბრა და საჭიროების შემთხვევაში დახმარებაც აღუთქვა.

ეს უმნიშვნელო ამბავი, ეგებ, არც ახსოვს იმ ახალგაზრდას. უჩას კი სამუდამოდ დაამახსოვრდა: მეგობრულად გაწვდილმა ხელმა გაამხნევა და სითამამე შემატა („შავბანტიანი" ახალგაზრდა კორნელი სანაძე იყო).

1924 წელს დაამთავრა სტუდია. მაგრამ მისი შემოქმედების წინსვლას შემდეგაც დიდად შეუწყო ხელი მოსე თოიძემ, რომელიც იმხანად ხშირად აწყო-

ბდა მოძრავ გამოფენებს და რაჭაშიაც ჩაიტანა ერთი მათგანი. უჩას ოჯახში დაბინავებულმა, მალე მისი მშობლების გულიც მოინადირა —ბოლომდე დაარწმუნა ისინი შვილის ნათელ მისწრაფებაში.

თოიძის საუბარმა გადამწყვეტი როლი შეასრულა. მას შემდეგ უჩამ არა მარტო თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა (1931 წ.), მოსკოვშიაც განაგრძო სწავლა და საქართველოს დედაქალაქს დაბრუნებული, ისევ მოსე თოიძის დახმარებით, ასისტენტად მოეწყო იმავე სამხატვრო აკადემიაში (1936 წ.).

ღვაწლმოსილი მასწავლებელი უჩას გულით უყვარდა. მხატვარსა და საზოგადო მოღვაწეს, მოსე თოიძეს, მართლაც, ტოლი არა ჰყავდა ახალგაზრდების აღზრდისა და ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარების საქმეში.

უჩა ჯაფარიძე თავის პედაგოგებზე აგრძელებს საუბარს, მე კი თვალს ვავლებ მისი ადრეული ჩანახატების ალბომებს, რომლებიც ახალგაზრდა რომანტიკოსი ადამიანის გულის ზრახვებსაც მაცნობენ და იმ დროის მის ნაცნობ-მეგობრებს, მამისეულ კარ-მიდამოს და ბელელ-წისქვილსაც.

აკადემიაში შესვლამ უთუოდ განაპირობა თემატიკის შეცვლა უჩა ჯაფარიძის შემოქმედებაში, მაგრამ უკვე პირველ მის საყურადღებო ნამუშევრებში (თუ არ ჩავთვლით პორტრეტებს) ისევ და ისევ უბრუნდება სოფლის ცხოვრების ნაცნობ მოტივებს. ქალაქმა ვერ მოინადირა სილაღეს შეჩვეული ახალგაზრდა მხატვრის გული.

აკადემიაში მისი მასწავლებელი ძირითადად გამოჩენილი რუსი მხატვარი ევგენი ლანსერე იყო და, ალბათ, მისგანვე შეითვისა ტემპერითა და პასტელით მუშაობის ტექნიკა. მაგრამ სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა შორის არა ერთი იყო გატაცებული კომპოზიციის კლასის ხელმძღვანელის ლადო გუდიაშვილის შემოქმედებით, და მისი ოსტატობით აღფრთოვანებულნი ხშირად ბაძავდნენ კიდეც ამ მხატვრის მეტად თავისებურ სტილსა და მანერას.

უჩას ნახატშიაც შეიჭრა დენადი ხაზი და გრძივი ფორმები. აკადემიის დამთავრებისას კი, როგორც მხატვარი ამბობს, მადლობის ნიშნად ლადოს მიუტანა საჩუქრად თავისი ნამუშევარი „ცალუღელა ხარი“.

ამიტომაც არ მიკვირს, რომ უჩა ჯაფარიძის ზოგიერთი ადრინდელი ნამუშევარი, მათ შორის „თუშები“ (1933 წ., ფერწერა) და „მძინარე მწყემსი“ (1935 წ. აქვარელი), არა მარტო მანერით, კომპოზიციით, სიუჟეტით და შესრულების ტექნიკითაც კი ლადო გუდიაშვილის ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ნამუშევრებს მოგვაგონებენ შორეულად („ბოროტ ოჯახსა“ 1929, და „თანდილას სიზმარს“ 1931 წ.).

თვით ნამუშევრებს არც განწყობა აკლიათ, არც მხატვრული ფორმის დახვეწილობა და უნდა ვიფიქროთ, ამ გზით რომ წასულიყო უჩა, ამ ხასიათის სურათებშიც შესანიშნავად განავითარებდა თავის უბადლო შესაძლებლობას.

მიუხედავად ამისა, უჩა ჯაფარიძის შემოქმედება, ერთ მთლიან, თითქმის უწყვეტ ხაზს გასდევს, რომელიც უხილავი ძაფებით სწვდება მის მიერ ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოვლენილ მხატვრულ აზროვნებას.

რაჭის, საქართველოს ამ ულამაზესი კუთხის შვილი, უჩა ჯაფარიძე იმთავითვე ცხოვრების უშუალო მონაწილეც არის და მხატვრულად ამსახველიც, რაც თავისთავად განაპირობებს მისი შემოქმედების გულწრფელობასა და რეალისტურ ხასიათს. უჩა ჯაფარიძის ქანრული სურათები, უბრალო ადამიანთა შრომისა თუ დასვენების სცენები, მხატვრის თვალით არის დანახული, პოეტურად წარმოსახული და ამდენად, ალბათ, გულთან უფრო ახლოს მისატანიც.

ჩვენი ცხოვრების პოეტური აღქმა, ინტიმურობითა და ლირიული განწყობით გარემოცულ ადამიანთა სახეები,

თავიდანვე იქცა უჩა ჯაფარიძის შემოქმედების ლეიტმოტივად. ამაზე ნათლად მეტყველებენ სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ტექნიკით შესრულებული მისი ნამუშევრები, რომელნიც საშუალებას იძლევიან ახლოს გავეცნოთ მხატვრის სამყაროს.

უჩა ჯაფარიძის მხატვრული ტილოები ყოველგვარი შელამაზებისა და საგანგებო დეკორატიული ხერხების გარეშე ამკვიდრებენ ცხოვრების სიყვარულს, სითბოს, რომელსაც განგაცდევინებთ მშობლიური ჭერი და მამა-პაპათა ბუხარი.

ამიტომაც ყოველთვის ნაცნობებად მიიჩნევთ უჩა ჯაფარიძის გმირებს, შრომით დაკოჟრილ მათ ხელებსა და მიწის სურნელით გაჟღენთილ ტანსაცმელს.

გაიხსენეთ თუგინდ მისი ცნობილი სურათი „სიყრმის მეგობრები" (1938 წ.), მთის კვალობაზე ტრადიციულად გამოწყობილი, ჩაფიქრებული ქალი და მის პირისპირ მდგომი თეთრ წვერულვაშა გლეხიკაცი ხელადით ხელში, სამუშაოდან მომავალს მკერდი რომ გადაღეღილი დარჩენია და წინსაფარი აკალთული, სახეზე კი კეთილი ღიმილი უკრთის.

„სიყრმის მეგობრები" გზად შეხვდნენ ერთმანეთს. წუთით შეჩერდნენ. ქალმა ვაშლით სავსე მძიმე კალათი მიწაზე ჩამოდგა. ბერიკაცი ჯოხს მსუბუქად დაეყრდნო და გაიბა საუბარი წარსულზე, ახალგაზრდობაზე თუ დღევანდელ დღეზე, ვინ იცის!

„სიყრმის მეგობრების" უკან სოფელია გამოსახული ძველი სახლებით. ალბათ, იქ გაიზარდნენ და დღესაც იქა აქვთ ბინა და ოჯახები. საზრუნავიც ბევრი აქვთ საფიქრალიც, სიყრმიდან ერთად შეზრდილებს კიდევ მრავალი რამ შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ. ამიტომაც გაგრძელდა ასე მათი საუბარი...

უჩა ჯაფარიძის შემოქმედებაში დროდადრო ვხვდებით ამ სურათის თემატურ თუ კომპოზიციურ ანალოგიებს. ასეთია, მაგალითად, მხატვრის მიერ ბევრად გვიან შესრულებული ნამუშევარი „გულითადი საუბარი". (1951 წ.), რომელშიაც ხანდაზმული მეგობრებიც კიდევ ერთი შეხვედრაა შეტყველ ადამიანებში და განწყობით გადმოცემული, მაგრამ წლებითა და მძიმე ფიზიკური შრომით სახედაღარულებს გული ახალგაზრდული უჩანთ, მჭევრმეტყველება იუმორით სავსე და ცხოვრებისადმი ინტერესი დაულეველი.

აქაც პირისპირ დგანან მოსაუბრენი მთაგორების ფონზე და მათი სხვადასხვა სახის ტანსაცმელიც თვითეული მათგანის ხასიათის, ჩვევებისა და ოჯახური პირობების განმმარტებელი უტყუარი საბუთია.

უჩა ჯაფარიძე ყოფასთან ერთად თავის გმირთა მიერ განვლილ ცხოვრებასა და ფიქრებსაც გაანდობს მაყურებელს. სურათების კილო თხრობითია, ადვილად მისაწვდომი. და ამიტომაც მხატვარს არ ვთხოვ ახსნა-განმარტებებს, ჩემს გუმანს დაყრდნობილი მათ განხილვას დაუხმარებლივ ვესწრაფი.

ნათელია შინაარსი სურათისა „საყვედური" (1948 წ.), რომელზედაც აგრეთვე შეხვედრაა ასახული, მაგრამ შეხვედრა ახალგაზრდებისა, რომელთაც, ალბათ, ოდესღაც ერთმანეთისათვის უძგერდათ გული, და ახლა კი დიდი ხნის უნახავებს სხვადასხვა გრძნობა აწვალებთ.

ჩანს, დამსახურებულ საყვედურს ეუბნება ვაჟი ყოფილ მეგობარს. ქალი ჩუმად უსმენს, წითელხილაბანდიან თავს დამნაშავედ ხრის და სხეულის სისავსის დაფარვასაც ლამობს წამოსასხამით. რა ეთქმის, წარსული წარსულია, და წინ კი ახალი ცხოვრება და გამოუცდელი დედური გრძნობა ელის.

გარშემო კი მზე ანათებს და თითქოს არაფერი შეცვლილა. ყველგან სიმშვიდეა და მეცხვარის ფარას მოცილებული ცხვარიც უწყინარად შეექცევა ბალახს მათივე ფერხთით.

სოფლის ცხოვრების უმნიშვნელო წვრილმანიც ინტერესს ბადებს ხელოვანში. სოფლის შარაგზა კი, მისი გაგებით, დიდი ცხოვრების გზაცაა, რომე-

ლიც „დატვირთულია“ სხვადასხვა ამ-ბით, სიხარულით, მწუხარებით და მო-სალოდნელი თუ მოულოდნელი შეხ-ვედრებით. ალბათ, ამიტომაც „გზა“ უჩა ჯაფარიძის შემოქმედებაში ხშირად არის სურათის მოქმედების საკვანძო მომენტი და ადამიანთა ურთიერთობის გამომხატველი ცენტრალური ადგილი.

აი სურათი „დარიგება“ (1957 წ.). მას-ზე, მთამსვლელთა წეისმამებრ გამოწ-ყობილი და წერაყინით შეიარაღებული ვაჟი მორჩილად ისმენს ხნიერი მამაკა-ცის დარიგებას, თუმც ეგებ გული უფ-რო სხვას ერჩის. ეგებ თვალი მამის გვერდზე მდგომ ქალიშვილისაკენაც მი-ურბის, რომელიც ქალური კდემამოსი-ლებით შეპყრობილი გრძნობებს არ ამ-ჟღავნებს და ხელში საგზლად გამზადე-ბული კალათით მშობლის საუბარს ყურს გულდასმით უგდებს.

ქალ-ვაჟი ერთმანეთისთვის დაბადე-ბულებს ჰგვანან. ამას მამაც გრძნობს და ამიტომაც უფრო აწუხებს ვაჟკაცის სვე-ბედი. ამიტომაც აძლევს რჩევა-დარიგებას მთებსა და ღრეებში სია-რულს ბავშვობიდანვე ჩვეული.

სურათზე გამოხატული წარმოსადეგი ადამიანები, მათი კეთილშობილი სახე-ები, მაყურებელშიც ბადებენ ხალას გრძნობას. რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ სურათს ბრიუსელის გამოფენაზე 1958 წელს უმთავრესად სწორედ გრძნობათა სიწმინდის ასახვისათვის მიენიჭა ვერ-ცხლის მედალი.

კომპოზიცია, ნათელი ცის ფონზე ოდნავ მარჯვნივ გაწეული ფიგურების ვერტიკალური სილუეტებით (რაც მე-ტად დამახასიათებელია უჩა ჯაფარი-ძის ამ სახის ნამუშევრებისათვის) გაწო-ნასწორებულია და უბრალოებით გარე-მოცული. ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩნეული: ფიგურებსშუა ჩამდგარ კოკას, ერთმანეთთან ახლოს მიჯრილ მამა-შვილს, მათ წინ მორიდებით მდგომ ვაჟკაცს და მის უკან სვანური კოშკებიანი სოფლისაკენ მიმავალ გზას.

გზად შეხვედრილ ადამიანთა ცხოვ-რების ფურცლებს მაგონებს უჩა ჯაფა-რიძის ნამუშევრები და თემატურ ერთ-ფეროვნებას არ ვედავები, [illegible] ლად ნამყოფს კარგად მეხსომ[illegible] დევს იგი მგზავრთა ნაკვალევს შარაგ-ზით თუ ბილიკებით.

ვის არ შეხვდებით, გზად მიმავალთ, თუ ჩრდილში შესვენებულ მგზავრებს, წყალზე მიმავალთ, თუ მინდვრიდან დაბრუნებულებს, მოხუცებსა, თუ ახალგაზრდებს. და ყველა მათგანის-თვის თბილი გრძნობა და კეთილი თვა-ლი მიუზღავს მხატვარს.

აგერ „კოლმეურნე უწერიდან“. თით-ქოს დაკვირვებით შემოგცქერით შრო-მას ჩვეული ახალგაზრდა „გოლიათი“, რომელსაც მძიმე ტვირთი ზურგზე მსუ-ბუქად წამოუკიდნია.

წლებით გატეხილი მოხუცი „საჩხე-რელი გლეხი“ (1944 წ) მიწაზე მოკა-ლათებულა, გვერდზე თავისი მუდმივი თანამგზავრი ჯოხი შემოუდვია და სი-მინდითა თუ სხვა რამ მარცვლეულით სავსე კალათში ხელს ურევს ნება-ნება.

ლირიზმით სავსე სურათისათვის ფე-რები და კოლორიტი, რომელშიაც შწვა-ნე სჭარბობს, თბილი და ხავერდოვანი შეურჩევია მხატვარს მოხუცის უწყინარ ბუნებასა და ეროვნულ ელფერთან კარგად შეფარდებული.

გლეხის მოღლილ სახეს ჩრდილი ჰფა-რავს, მაგრამ საკმარისია ბერიკაცმა თა-ვი ასწიოს. რომ სიკეთით გამთბარ თვა-ლებს შემოგანათებთ და გულითად სა-უბარს გაგიბამთ.

კიდევ უფრო ლირიკულია სურათი „მგზავრები“ (1936 წ.). მოხდენილი ნაბდიანი მხედარი აჰყოლია ცხენის ურემს და შიგ მჯდომთა ყურადღება მი-უქცევია. მართალია, გზად მიმავალი ოჯახიდან მხოლოდ ერთი ქალიშვილი ამჟღავნებს მისდამი ინტერესს. მა-ყურებლისათვის აშკარაა, რომ მათი არც ერთი სიტყვა და მოძრაობა არ გა-მოჰპარვია დანარჩენებს. გზა გრძელია, მზეც აცხუნებს და ურმის მონოტო-ნურ ჭრიალსა და ცხენის თქარათქურს აყოლილი საუბარი, ალბათ, ერთადერ-თი ვასართობია ადგილზე მისვლამდე.

მხატვარი ძირითადად ფრაგმენტურად გადმოგვცემს მარცხენა უკანა მხრიდან წინ, მარჯვნით მიმავალ მგზავრთა ფიგურებს, გზას, ცხენსა თუ ურემს, რომელიც ნაწილობრივ უკვე გასულია სურათის ჩარჩოდან. მაგრამ მოხერხებულად აგებული დინამიური კომპოზიცია განწყობითაა სავსე და შესაძლებლობას იძლევა წარმოდგენით დასრულდეს მისი მთლიანი სახე.

უჩა ჯაფარიძის მხატვრულ ნამუშევრებს განწყობასა და ლირიზმთან ერთად ყოველთვის თან ახლავს ნაციონალური კოლორიტი, რომელიც შემოქმედს ათასში გამოარჩევს და საკუთარ მხატვრულ ენასაც ანიჭებს.

უჩა ჯაფარიძის შემოქმედება არც ზღაპრულს მისდევს და არც ფანტასტიკურს. მისი ოცნების სამყარო ცხოვრებისეულია, მისი მხატვრული ტილოები ინტიმურობით სავსე ნოველებია მშობლიური მიწის სილამაზით მოჯადოებული მხატვრის თავისებური აღსარებაა.

უჩა ჯაფარიძის შემოქმედებიდან უტყუარად შეიცნობთ მხატვრის ბუნებას და ბიოგრაფიას, მის მთლიან დინჯსა და მშვიდ ხასიათს.

მხატვარი ადგილს არც ავყია ადამიანებს უთმობს და არც გოროზ პეიზაჟს. მას არც ქარიშხალი უყვარს და არც შავი ღრუბლებით დატვირთული ცა. მისი გმირები ნათელი დროის შვილები არიან და გარემოც მათი შესატყვისია, სიმყუდროვით სავსე და დამამშვიდებელი.

სინათლითაა სავსე და მზით გაჟთბარი. უჩა ჯაფარიძის ფერწერა. კეთილ ადამიანთა ნება-სურვილებს დაჰყოლია მასში გარემო, რომლის ცხოვრების რიტმი ბუნებით დინჯსა და აუჩქარებელ მკვიდრთა ხასიათს შერწყმია. წყნარი, ლამაზი ცხოვრება სუფევს ირგვლივ, ტრადიციებთან ჯერ კიდევ მჭიდროდ დაკავშირებული, მაგრამ სიახლით გახალისებული. ყველაფერს, ეგზოტიკისა და გალამაზების გარეშე, გვიხატავს ოსტატი — გულმართლად, უპრეტენზიოდ.

საქართველოში და, მით უფრო, მის მთიან რაიონებში ჯერ კიდევ შეხვდებით მესტვირეებსა და ნაბდიან მეცხვარეებს, მოჩუქურთმებულ ოდა-სახლებსა და სასიმინდეებს, წყლის პატარა წისქვილებსა და ქართულ ჩოჩიალა ურმებს, შუა ცეცხლსა და ცეცხლის პირას მიდგმულ თიხის ქოთნებს. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის, იცვლება ადამიანთა სულიერი სამყარო, იცვლება ყოფა, საჭმეხმარებლო საგნები, ნაგებობანი, ბუნებრივად მოჩანს მხატვრის მისწრაფება ჩანახატებით მაინც შემოინარჩუნოს წარსულის რომანტიკა და ცხოვრებიდან „იძულებით“ მიმავალი საგნები.

მხატვარი თანაბრად უნაწილებს თავის სიყვარულს სამშობლოს ძველსა თუ ახალ ცხოვრებას, მის მიწა-წყალსა და ადამიანებს, შრომით მოღლილ მოხუცებსა და საიმედო ახალგაზრდებს, ძველ ციხე-სიმაგრეებსა და ახალშენებს, მყუდრო პეიზაჟებსა და ხალხით სავსე „ბაზრობებს“.

ბაზარსა და „ბაზრობებს“ ხელოვანი გახსაკუთრებულ ადგილს უთმობს, მისი აზრით ბაზარი ქვეყნის ცხოვრების თავისებურების ამსახველი, ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა, რომელიც საქართველოში იმთავითვე საქონლის აღებ-მიცემის საშუალებაც იყო და შორით მოსულ ნაცნობ-მეგობართა შეხვედრის ადგილიც, ერთგვარი გასართობიც და მხატვრული სურათიც.

განა ყოველი ჩვენთაგანის გულში საოცარ ფერწერულ ტილოებად არ აღბეჭდილა სოფლად ნანახი ხალხმრავალი ბაზრობა დახვავებული სანოვაგით, მწვანილით, ბოსტნეულით, ხილით, ფრინველით, საქონლითა და კუსტარული მხატვრული საგნებით, რომელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხოლმე კერამიკა — ცალყურა თუ ორყურა ქოთნები, ლიტრები, ჭინჭილები, ქვევრები და სხვ.

ბაზარზე საქმიანობენ და ფუსფუსებენ მყიდველ-გამყიდველი თუ მოცლილი ადამიანები, სახეზე მკვეთრად აღბეჭდილი დადებითი თუ უარყოფითი თვისება-ხასიათებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩა ჯაფარიძე ბაზრობას წარმოგვიხატავს ზოგჯერ დამახასიათებელი დეტალით, ხან კი გზის პირად სავაჭროდ ჩამომჯდარი ცალკეული ტიპიური ფიგურებით („იმერელი კოლმეურნე" 1939; „ონის ბაზარი" 1940; „ბაზრის კუთხე" 1948; „ღვინის გამყიდველი" 1951; „გლეხი წითელი ხურჯინით" 1955; „ზესტაფონის ბაზარი" 1957 და სხვ.).

ზემოხსენებულ ნაწარმოებთა ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს მრავალფიგურიანი გრძივი კომპოზიცია „საკოლმეურნეო ბაზრობა", რომლის შესაქმნელად მხატვარმა 1960-61 წწ. საგანგებოდ მოინახულა რაჭა.

„ბაზრობის" ამსახველი მცირე ზომის სურათების მსგავსად, ამ დიდი ზომის ტილოზედაც, უჩა ჯაფარიძე „ბაზარს" მხოლოდ ფრაგმენტულად, შემოქმედის თვალთახედვაში უშუალოდ მოხვედრილი კუთხის საშუალებით გადმოგვცემს. ამიტომაც, ყიდვა-გაყიდვის სცენების სხვადასხვა კომპონენტად გაშლილ კომპოზიციაში, საკვანძო ცენტრს (უფრო სწორად კი ცენტრებს) თვით „ვაჭრობა"-მოვაჭრენი და მათი დაჯგუფებები წარმოადგენენ. თუმცა მხატვარი ფერებისა და პერსპექტივის საშუალებით „ბაზრობის" მთლიან პლანიდან, ძირითადად, უფრო სურათის წინა მარჯვენა მხარეს გამოჰყოფს შედარებით ზოგადი შტრიხებით ასახული მთიანი პეიზაჟის ფონზე.

თხრობით კილოზე აგებულ ამ „ბაზრობას" თან ახლავს ერთგვარი სტატიურობა, აკლია დამახასიათებელი „ჟრიამული", „სიცოცხლე", რაც მას ნაკლებად ემოციურს ხდის და გიგო გაბაშვილის „დღეობებსა" და „ბაზრობებსაც" აახლოვებს — მრავალფიგურიანს, მაგრამ უკონფლიქტოს და ერთგვარად დოკუმენტურს.

უჩა ჯაფარიძე გულს უღებს ახლობელ ადამიანებს, მაგრამ მათი პორტრეტების, ხასიათებისა და ცხოვრებისეული სცენების გადმოცემით გულისჩამწვდომ და დამაფიქრებელ განზოგადებულ სახეებსაც ქმნის.

„დედა" ყველაზე ძვირფასია მხატვრისათვის და ამიტომაც არაერთხელ უბრუნდება შემოქმედი მის პორტრეტს. მაგრამ, ნამუშევართა შორის ძნელად გამოარჩევთ: საკუთრივ დედის პორტრეტს და მის განზოგადებულ სიმბოლურ სახეს.

სამამულო ომის პერიოდში შექმნილი „დედის პორტრეტი" (პასტელი, 1942), გულის ტკივილის შესაჩერებლად ტუჩებთან მიტანილი მთრთოლვარე ხელის თითების სახასიათო მოძრაობა, ომში დაღუპულ „შვილთა" დედების განზოგადებულ მწუხარებას გამოხატავს.

1945 წ. შესრულებულ ფერწერულ ტილოს „დედის ფიქრები" არ ახასიათებს ზემოაღნიშნული პორტრეტის ექსპრესიულობა. პეიზაჟის ფონზე მთელი ტანით აღმართული რაჭველი ქალის ფიგურა თითქოს „გაქვავებულა", მარჯვენათი დოინჯშემოყრილს, მარცხენა ხელი შეუცნობლად ტუჩებთან მიუტანია და მძიმე ფიქრებს აჰყოლია. წყაროზე წყლისათვის მისული, იგი არც მზეს ამჩნევს, არც გარემოს სიმშვენიერეს და არც წყლის ჭურჭელი ახსოვს, რომელსაც მალე აავსებს წყაროდან მისი ფიქრებივით უწყვეტად მომდინარე წყალი. მშრომელი, დინჯი ადამიანი, იგი ომში წასულთა „დედაა" და, ალბათ, მათივე მოლოდინით დადარდიანებული. ომის დასასრული სიხარულთან ერთად მწუხარებაც არის დედისთვის, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცის შვილის ბედიღბალი.

„მშობლიურ მიდამოებში. დედა" (1957 წ.) ეწოდება უჩა ჯაფარიძის ერთ-ერთ ცნობილ დიდ ტილოს, რომელზედაც მხატვრის დედაა გამოსახული. უდავოა, რომ აქაც მხატვრისათვის პორტრეტული გამოსახულება არ არის მთავარი. მინდვრის ყვავილებით შეფენილ ფერდობზე ჩრდილს შეფარებული და შესასვენებლად ჩამომჯდარი მგზავრი-ქალის „დედობა" ფართოდ შესაც-

ნობია და მჭიდრო კავშირშია მის წინ უსაზღვრო პანორამად გადაშლილ „მშობლიურ მიდამოებთან“. ალბათ, მასზე ფიქრობს შინისკენ მიმავალი. და მთის გრილი წმინდა ჰაერი, მზე და სიხალისე, რომელიც მის ფერხთით მდებარე დაბლობს დაჰფენია, ვერ უქარვებს წარსულის მძიმე ნაღველს.

ვინც იცნობს დავით კაკაბაძის შემოქმედებას, ალბათ, ადვილად გაიხსენებს მის „დედის პორტრეტს“ (1918 წ.) იმერეთის პეიზაჟის ფონზე მწვანით დაფენილ ეზოში ძაფის რთვაში გართულ ხანდაზმულ ქალს.

უჩა ჯაფარიძის ზემოხსენებულ პორტრეტს გარეგნულად მასთან არა აქვს რა საერთო. მაგრამ მსგავსების ასოციაციას არა მარტო შრომას ჩვეული მათი ხელები, ჭირვარამით მოქანცული სხეული და თითქოს გარემოს მოწყვეტილი ფიქრით მოსილი სახე ბადებს, არამედ კომპოზიციაც, პეიზაჟის ფონზე წინა პლანით მოცემული „დედის“ მონუმენტური ფიგურა, რომელიც საგანგებოდაა მოთავსებული ზურგშექცევით სურათის გვერდით კიდესთან (დ. კაკაბაძესთან მარცხენა და უ. ჯაფარიძესთან მარჯვენა მხარეს). სურათში ჩაქსოვილი განზოგადებული აზრიც საერთოა, „პორტრეტს“ გადაცილებული მცნება „დედობისა“, სამშობლოს ბუნებისა და მისი შვილების მარადიული სიყვარული. აქედან მოდის სახელწოდება „იმერეთი — დედა-ჩემი“, აქედანაა უჩა ჯაფარიძის სურათის განზოგადებული სახელწოდებაც—„მშობლიურ მიდამოებში. დედა“.

ამ ნამუშევრებში ძირითად განსხვავებას სურათის ფონი და კოლორიტი იძლევა, პირველ შემთხვევაში დ. კაკაბაძისეული იმერეთის ჭრელფარდაგა მთაგორების მწვანე თავშეკავებულ ელფერთან შერწყმული ქალის გამოსახულებით და მეორეში კი განახლებული რაჭის მზით გამთბარ ცასა და მიწასთან დაპირისპირებული ქალის კონტრასტული შავი სილუეტით.

ნამუშევართა მსგავსება, პირველყოველისა, ერთი მიწა-წყლის სიყვარულითაც აიხსნება და სიახლოვითაც, რადგან უჩა ჯაფარიძეს, მისივე თქმით, [illegible] როს მეგობართან ერთად არაერთხელ დაუვლია „მშობლიური მიდამოები“, ხოლო ახლო ურთიერთობა კი შეუცნობლად აჩენს კვალს მხატვრის შემოქმედებას.

უჩა ჯაფარიძემ გრძელი გზა განვლო, როგორც შემოქმედმა, და მისი მხატვრული მონაპოვარი ასეული ნამუშევრით განიზომება. იგი ცალკეული დიდი ისტორიული ტილოების ავტორიც არის და წიგნის ილუსტრაციებისაც, ხოლო მის მრავალრიცხოვან პორტრეტებში, ნატურის კარგი ცოდნით და რეალისტური აღქმით, მისთვის ახლობელი არაერთი ადამიანის სახეა ამეტყველებული; წარსულის არაერთი მოღვაწეა გაცოცხლებული. მათ შორის აღსანიშნავია მხატვრის მეუღლის — მარგარიტას, არაერთგზის შესრულებული, სინაზითა და ლირიზმით აღსავსე პორტრეტები, საოცრად ცოცხალთვალება „მესტვირე ლუკიას“ სახე, „ვერიკო ანჯაფარიძის“ მკვეთრად მოხაზული სახასიათო პროფილი, ფერწერულად საამო და სევდიანი „უშანგი ჩხეიძე“, მუდამ აღგზნებული „გალაკტიონი“, „ზაქარია ფალიაშვილი“, „აკაკი“, და სხვა მრავალი პორტრეტი, რომელნიც ნატურის ცოდნასთან ერთად მხატვრის დაკვირვებულ თვალსაც ავლენენ და ამის ნიადაგზე უმნიშვნელო შტრიხის საშუალებით ნატურის ხასიათის გახსნის შესაძლებლობასაც (მაგ. „ზაქარია ფალიაშვილის“ ხელის თითების ოდნავი რიტმული მოძრაობაც კი გვაცნობს კომპოზიტორის სულიერ ცხოვრებას, მის მუსიკალურ ბუნებას).

მხატვრის ნამუშევრების ახლოს გაცნობა მისი შემოქმედებითი პორტრეტის უკეთ დანახვის შესაძლებლობას გვაძლევს, უკეთ გვაცნობს მისი შემოქმედების დამახასიათებელ მხარეს და უკეთ გვაგრძნობინებს საბჭოთა ქართულ მხატვრობაში მის მიერ წარმოთქმული ახალი მხატვრული სიტყვის ძა-

ლას. ეს სიტყვა კი მჭიდროდ არის დაკავშირებული უჩა ჯაფარიძის შემოქმედების ერთ-ერთ წამყვან დარგთან—ეანრულ მხატვრობასთან, რომელსაც ქართული ხელოვნების ისტორიაში არც თუ დიდი წარსული აქვს, ხოლო უჩას კი მისი საშუალებით წლების განმავლობაში არა ერთი გამარჯვება მოუპოვებია საბჭოთა კავშირსა და მის გარეთაც.

დიდი საბჭოთა ქვეყნის ჭეშმარიტი შვილი და პატრიოტი, უჩა ჯაფარიძე შემოქმედებითად მშობლიური გარემოთი შემოიფარგლა: ადამიანებით, რომელთაც ბავშვობიდან იცნობდა, პეიზაჟებით, რომელთაც გულში წარუშლელად თან ატარებდა. დღესაც, როდესაც ამ მხატვრის სახელს თან ახლავს სახალხო მხატვრის. აკადემიკოსის, სახელმწიფო ლაურეატისა თუ სხვა საპატიო წოდება, როდესაც მისი მხატვრული ცნობიერების სალარო უცხო ქვეყნებისა და დიდოსტატთა უკვდავ ქმნილებების ხილვითაც გამდიდრებულა, უჩა ჯაფარიძე იშვიათად ღალატობს მიწის იმ პატარა ნაკვეთს, სადაც ტრადაციულად მწვანით მოსილ ეზოში, ხანდაზმულ ხეთა ჩრდილებს თავს აფარებს ჯერ კიდევ მყარად მდგარი მამა-პაპური ქართული ოდა.

უჩა ჯაფარიძის ნამუშევართა გამოფენა დიდი ზეიმით აღინიშნა ღარში (1962 წლის ოქტომბერში), სოფელში, სადაც ის დაიბადა (1906 წ.). ყოველი მხრიდან მიემართებოდნენ საზეიმო ადგილისაკენ სტუმრები, ფეხით, ცხენით თუ მანქანებით. გზად ყვავილებითა და შეძახილებით ხვდებოდნენ „იუბილარ“ მხატვარს. პურ-მარილით და ცოცხალი სურათებით, რომლებიც უჩა ჯაფარიძის ცნობილ ეანრულ ტილოებს აცოცხლებდნენ; მის მიერ მშობლიური ხალხის ხასიათებისა და ტიპაჟის შეცნობის ოსტატობას ამტკიცებდნენ.

„სურათის“ საგანგებოდ შეკრულ დიდ ჩარჩოში ხალხი ხან „საგულისხმო სუბარს“ ხედავდა და ხან „[illegible] ფერებს“. „დარიგებასა“ და „[illegible] ულს“ და ეპიზოდებსაც კაკო ყაჩაღის ცხოვრებიდან მხატვრის მიერ შექმნილი ილუსტრაციების მიხედვით. (1952 წ.).

და ყველა ამას კი აგვირგვინებდა შემოდგომის შეუდარებელი ფერები, ძნიანი დარი და მეგობრების, მეზობლების, ახალგაზრდა, ხნიერთა თუ პატარაათა გულითადობა. შემოქმედის თვალი კი, ალბათ, მადლიერი ცრემლით ინამებოდა.

ვინც დაესწრო ამ ზეიმს მრავალი ფაქტი და მომენტი მოაგონდება. დღესდღეობით კი ეს ამბავი მე სხვა აზრითაც მახარებს:

სოფლად მხატვრის პერსონალური გამოფენის საყოველთაო დღესასწაულად გადაქცევამ ისიც ცხადყო, რომ ხელოვნების უძველეს ტრადიციებზე აღზრდილი ქართველი გლეხკაცი და კოლმეურნე, მხატვრობას ისევე ორგანულად შეიგრძნობს, როგორც პოეზიასა და სიმღერას და რომ იგი შემოქმედს—პოეტს, მწერალს, კომპოზიტორს თუ მხატვარს, ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებულ საპატიო ადგილსაც ანიჭებს.

მაგრამ ოფიციალურად დიდოსტატად მიჩნეული არაერთი მხატვარი გასულა ცხოვრებიდან აუღიარებლად. უჩა ჯაფარიძე კი ხალხმა, როგორც თავისი მომღერალი, სიცოცხლეშივე აღიარა და „სახალხო მხატვრადაც“ მიიჩნია.

ვემშვიდობები მხატვრის სახელოსნოს. ვემშვიდობები მხატვარს, რომელსაც დრო უხელთნია და აუჩქარებლივ ფურცლავს რუსთაველის სხვადასხვა გაძოცემას. ვეთანხმები—ცდა ბედის მონახევრეა და, უეჭველია, უჩა ჯაფარიძეც თავის ახალ სიტყვას იტყვის „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებით. წინ ხომ შოთას 800 წლისთავია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან ხუციშვილი

კოტე მარჯანიშვილის „თავისუფალი თეატრი"

ხუთი ათეული წლის წინათ კ. მარჯანიშვილმა განახორციელა თავისი დიდიხნის ოცნება— შექმნა სინთეტური თეატრი, რომელიც ცნობილია „თავისუფალი თეატრის" სახელწოდებით.

ამ თეატრის შექმნამდე მარჯანიშვილმა შემოქმედებით ძიებათა რთული გზა განვლო. ის დიდხანს ფიქრობდა სინთეტურ თეატრის საჭიროებაზე, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნდა ამაში მაშინ, როდესაც 1909 წელს მოსკოვში ნეზლობინის თეატრში დადგა გერჰარტ ჰაუპტმანის პიესა „შლუკი და იაუ". სპექტაკლი დაიდგა უდეკორაციოდ, სცენის ფონად გაშლილი იყო მორუხისფერო, მუქ-მწვანე მაუდი, რომელსაც კარგად ეხამებოდა მზესავით ელვარე ფერად-ფერადი კოსტუმები. სცენის განტვირთვამ დეკორაციებისაგან ერთგვარად ხელი შეუწყო მსახიობის გამოჩენას, მის თამაშს. შლუკის და იაუს როლების შემსრულებლებმა — ნეროონოვმა და ასლანოვმა ერთბაშად გაითქვეს სახელი მოსკოვში.

„შლუკმა და იაუმ" პირველად თვალი ამიხილა, — წერს მარჯანიშვილი თავის „მემუარებში", —და დამანახა, თუ რა მნიშვნელობა აქვს აქტიორის გამოწრთობილ სხეულს. ამიერიდან, იმ პირობათა შორის, რასაც მე აქტიორს ვუყენებ, არის უნარი საკუთარი სხეულის სათანადოდ დაუფლებისა...

იქნებ, სწორედ მაშინ ჩაისახა ჩემში აზრი სინთეტურ აქტიორზე, რომელიც თანაბრად ეუფლება სიტყვასაც, ხმასაც და სხეულსაც. „შლუკი და იაუ" ჩემთვის იყო ეტაპი, რომლის შემდეგ გზა გაიკაფა თეატრის იმ იდეებისაკენ, რომელთაც უფრო გვიან მივაღწიე" (გვ. 51-52).

მარჯანიშვილის აზრით, სინთეტური თეატრი უნდა ყოფილიყო თავისუფალი რუტინისა და წვრილი ანგარიშიანობისაგან, უნდა ყოფილიყო ახალგაზრდული, მხიარული და სიცოცხლის შემქმნელი. და აი ასეთი თეატრისათვის მან მოძებნა მეცენატი ვასილი სუხოდოლსკი, რომელსაც ცოლად ჰყავდა ყვარელელი მკვიდრი, მარჯანიშვილის ნათესავი, ლეილა ჭავჭავაძე. სუხოდოლსკიმ თითქმის მილიონი თანხა გაიღო ამ თეატრის შესაქმნელად.

კოტე მარჯანიშვილი დიდი გატაცებით შეუდგა ახალ საქმეს. დაიქირავეს „ერმიტაჟის" თეატრი და სწრაფად დაიწყეს შენობის გადაკეთება. მოაწყეს მბრუნავი სცენა, სცენის ქვემოთ ორკესტრი, შესანიშნავი განათება, დარბაზში რბილი სკამები ჭადრაკული წესით იყო განლაგებული. სადარბაზო კარები, ფოიე, კულისები, — ყველაფერი დიდი გემოვნებით იყო გაკეთებული. შენობის რემონტზე დაიხარჯა თითქმის ორასი ათასი მანეთი, აგრეთვე დამზადებული იქნა ფარდა მხატვარ სომოვის ესკიზის მიხედვით, ფარდა შეკერილი იქნა აბრეშუმის პატარ-პატარა ნაჭრებისაგან და თხუთმეტი ათასი მანეთი დაჯდა.

თეატრის დასში მოიწვიეს სხვადასხვა თეატრების ახალგაზრდა მსახიობები: დრამატული თეატრიდან ალისა კოონენი, ნ. ასლანოვი, ა. ზინოვიევი, ა. გოლუბევა; ოპერეტის აქტიორები: ნ. მონახოვი, ვ. მაკაროვი; ოპერის მომღერლები: როზოვა, მილიავსკაია, კარატოვი, აგრეთვე, მ. ფ. ანდრეევა, რომელიც შვიდი წლის მანძილზე მოსკოვში არყოფნის შემდეგ, დიდი სიხარულით დათანხმდა ემუშავა „თავისუფალ თეატრში". მარჯანიშვილი აწარმოებდა აგრეთვე მოლაპარაკებას შალიაპინთან, გერმანელ რეჟისორ მ. რაინჰარდტთან და ინგლისელ რეჟისორ გორდონ კრეგთან.

ორკესტრის დირიჟორად დაინიშნა კ. სარაჯევი, ლიტერატურულ ნაწილის გამგედ — ცნობილი ლიტველი მწერალი ი. კ. ბალტრუშაიტისი, მუსიკალური ნაწილის გამგედ—კომპოზიტორ-კრიტიკოსი ი. სახნოვსკი, მხატვრად — არაპოვი.

მარჯანიშვილი და დირიჟორი სარაჯევი გაემგზავრნენ საზღვარგარეთ — ბერლინში, მიუნხენში, ვენაში, პრაღაში; მარჯანიშვილი თეატრის თანამშრომლებთან მოსალაპარაკებლად, ხოლო სარაჯევი ორკესტრის დასაკომპლექტებლად. მარჯანიშვილი ბერლინში აწარმოებდა მოლაპარაკებას გერმანელ რეჟისორ მაქს რაინჰარდტთან, რომელიც დათანხმდა დაედგა „თავისუფალ თეატრში" ერთი ოპერეტა. დაპირდა, რომ შეიმუშავებდა დადგმის გეგმას, დეკორაციების ესკიზებს და გაუგზავნიდა მარჯანიშვილს, ხოლო თვითონ ჩამოვიდოდა სპექტაკლის დადგმამდე

ერთი თვით ადრე და უხელმძღვანელებდა რეპეტიციებს. რაინჰარდტს „თავისუფალ თეატრში“ უნდა დაედგა კომპოზიტორ კარლ ცელერის ოპერეტა „ჩიტების გამყიდველი“, რისთვისაც მოითხოვა ორმოცდა ათი ათასი მარკა ჰონორარი. სპექტაკლი უნდა გაეფორმებინა გერმანელ მხატვარს ერნსტ შტერნს. გორდონ კრეგთან მოლაპარაკება კი დამთავრდა უშედეგოდ, რადგან მან მოითხოვა ზღაპრულად დიდი თანხა. პარიზში ყოფნისას მარჯანიშვილმა მოიწვია სამხატვრო თეატრის ყოფილი რეჟისორი სახინი.

შარლოტენბურგში მარჯანიშვილი გაეცნო ოპერეტის თეატრის ტექნიკურ მხარეს და „თავისუფალ თეატრისათვის“ გამოიყენა ოპერეტის თეატრის განათების მოწყობილობა. შემდეგ მიუნხენში გაემგზავრა, დაინტერესდა იქაური თეატრში ორკესტრის ადგილსამყოფელით. პარიზში ყოფნის დროს მუზეუმში შეისწავლა ძველი ფრანგული ოპერეტების პარტიტურები და ზოგიერთი მათგანის ასლებიც კი წამოიღო.

თეატრის ორკესტრი შეივსო ჩეხი მუსიკოსებით. ორკესტრში ასოცი მუსიკოსი შედიოდა, რომელთაგან მხოლოდ ცხრა იყო რუსი, გუნდი კი შედგებოდა ოთხმოცი კაცისაგან. ამრიგად, თეატრს თითქმის ორასი თანამშრომელი ჰყავდა.

მარჯანიშვილის „თავისუფალი თეატრი“ წარმოადგენდა თითქმის ყველა სახის ხელოვნების სინთეზს. ამ თეატრში იდგმებოდა ოპერა, ოპერეტა, დრამა და პანტომიმა. მსახიობები ფლობდნენ არა მარტო აქტიორულ ოსტატობას, არამედ სიმღერას, ცეკვას, სცენიური ჟესტის და მოძრაობის მაღალ კულტურას. ეს თეატრი იყო არა მარტო სინთეზური, არამედ ნამდვილად თავისუფალი, ახალი, და მისმა სპექტაკლებმაც მოხიბლა თეატრალური მოსკოვი.

კოტე მარჯანიშვილი ასე ახასიათებდა თავისუფალ თეატრს: „ჩვენს თეატრს თავისუფალი ეწოდება ორი მიზეზით: პირველი, იმიტომ, რომ ჩვენი თეატრის სცენაზე დაშვებულია სასცენო ხელოვნების ყველა ჟანრი: ჩვენ ვდგამთ ოპერას, ოპერეტას, მელოდრამას, მიმოდრამას და დრამას. მეორე — ყველა პირს, რომელიც შემოდის ჩვენს დასში, შეუძლია თავისუფლად განავითაროს თავისი ინდივიდუალური მონაცემები...

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენს თეატრში ფორმა არ იყოს გაქვავებული, არამედ აზრი და შესრულება იძლეოდეს ყოველთვის შთაბეჭდილებების ცვლას.

თეატრი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მსახიობის ინდივიდუალობას. მსახიობი თავისუფალია! და ამ შემთხვევაში თეატრი მიდის ტრადიციის წინააღმდეგ, ცნობილი ჩვეულების წინააღმდეგ.

თავისუფალი თეატრის პრინციპით არტისტი არა მარტო იარაღია ავტორის ხელში, არამედ პიესის გარეგანი და შინაგანი განვითარების მონაწილე, როგორც ავტორი და რეჟისორი. თავისუფალი თეატრი მიისწრაფის კიდევ ერთი ახალი საქმისაკენ: თითქმის ყველა პიესა იქნება მუსიკით აღვსილი, რადგან თეატრი სცდობს, რომ არის შემთხვევები, როცა თავდება ადამიანის სიტყვის ძალა, და იქ, სადაც უძლურია სიტყვა, საჭიროა მუსიკალური ფერები“ („Голос Москвы“ № 230, 6/X 1913).

ასეთივე მნიშვნელობას აძლევდა მარჯანიშვილი ცეკვასაც: „ცეკვა უნდა ეხმარებოდეს მოცეკვავის ინდივიდუალურ განცდებს, შინაგან გამომსახველობას, რიტმს“.

კოტე მარჯანიშვილის „თავისუფალი თეატრის“ დაარსებამ და სამი თვის მანძილზე სარეპეტიციო მუშაობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მოსკოვის თეატრალურ საზოგადოებრიობაში. რეპორტიორები მოსვენებას არ აძლევდნენ მარჯანიშვილს, მაგრამ იგი პასუხს არ აძლევდა არავის. მას სურდა თეატრის მუშაობაზე პასუხი გაეცა თვითონ პირველ სპექტაკლს. ამით უკმაყოფილო რეპორტიორები ავრცელებდნენ სხვადასხვა ჭორებს და წინასწარმეტყველებდნენ თეატრის დამარცხებას.

1913 წლის შვიდ ივლისს ერთ-ერთ რეპორტიორთან საუბრის დროს მარჯანიშვილი აღნიშნავდა „თავისუფალი თეატრის“ მნიშვნელობას და განმარტავდა, რომ „ხელოვნება, პირველ რიგში, თეატრი, სიხარულის მომტანია. მაგრამ თეატრში შეიძლება ტირილიც. ჩვენ თვითონ შევიტანეთ რეპერტუარში დოდეს მელოდრამა „არლეზიანელი ქალი“ და ვფიქრობთ, ავატიროთ მაყურებელი, მე ვიტყვოდი, მსხვილი ცრემლებით, შემდეგ მოიწმინდოს ეს ცრემლები, და განთავისუფლებული წავიდეს თეატრიდან. ასეთი უნდა იყოს სიცილიც, ნათელი, მხიარული. ასეთი სიცილით გაიძულებთ იცინოთ „სოროჩინის ბაზრობაზე“, თეატრის გახსნის საღამოს... ერთი სიტყვით, გვინდა გავაკეთოთ რაღაც ახალი, ცოცხალი, ლამაზი და სასიხარულო. ვმუშაობთ, როგორც ხედავთ, ყველა ჟანრზე, რომ რასაც წარმოგიდგენთ, შემდეგ თქვენვე გაასამართლოთ“ („Московская газета“ № 261, 8/VII 1913).

თეატრის რეპერტუარში შეტანილი იყო: ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ელენე“ კოტე მარჯანიშვილის დადგმით; მუსორგსკის ოპერა (გოგოლის მიხედვით) „სოროჩინის ბაზრობა“, სანინის რეჟისორობით; კ. ცელერის ოპერეტა „ჩიტების გამყიდველი“ მაქს რაინჰარდტის რეჟისორობით; რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „უკვდავი კაშჩეი“, რეჟისორი სანინი; ალფონს დოდეს დრამა „არლეზიანელი ქალი“ ბიზეს მუსიკით, რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი; მორის მეტერლინკის ტრაგედია „პრინცესა მალენი“, რომლისათვის მუსიკას შეკვეთით წერდა ა. სკრიაბინ, მხატვარი რერიხი.

1913 წლის პირველ ივლისს შედგა „თავისუფალი თეატრის“ დასის პირველი შეკრება.

ამ შეკრებაზე დასს დაურიგდა თეატრის დაბეჭდილი წესდება, დასი გაეცნო სამუშაო გეგმას, თეატრი დაიწყებდა პირველად მუშაობას იმ კომპოზიტორების და მწერლების გაცნობით, რომელთა ნაწარმოებებიც დაიდგმებოდა თეატრში უახლოეს დროში.

წესდების გაცნობის შემდეგ, კოტე მარჯანიშვილი გამოვიდა მოკლე სიტყვით: „ჩვენს წინაშე დიდი, სერიოზული და მეტად პასუხსაგები საქმეა. ყოველი ჩვენგანის ხელშია ჩვენი მომავალი, ჩვენი ბედი და ბედი ჩვენი ახალგაზრდა თეატრისა. ჩვენ არ დაგვინდობენ. აი რისთვის უნდა გავერთიანდეთ, დავეხმაროთ ერთმანეთს და გვახსოვდეს, რომ ჩვენი პირველი გამარჯვება — დისციპლინაა“ (კოტე მარჯანიშვილი. მოგონებები, სტატიები და მოხსენებები, თბილისი, 1958 წელი, გვ. 85).

თეატრში საზეიმო განწყობილება იყო, მთელი თეატრი თაიგულებით იყო მორთული; უკრავდა თეატრის ორკესტრი დირიჟორ სარაჯევის ხელმძღვანელობით. კოტე მარჯანიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდობას. მან დასისათვის შექმნა საუცხოო პირობები. თეატრის განაწესში გათვალისწინებული იყო არა მარტო მეცადინეობის დრო, არამედ დასვენების ორგანიზაციაც. მსახიობებს რომ გართლება მიეღოთ, იმართებოდა დახურული ლექციები და კონცერტები. ერთერთი ასეთი ლექცია ლერმონტოვზე წაიკითხა პოეტმა კ. ბალმონტმა.

აი რას წერს მსახიობი ნ. მონახოვი „თავისუფალ თეატრის“ შესახებ: „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმ განსაკუთრებულმა კულტურულმა გარემოცვამ, რომელშიაც ვიმყოფებოდით ამ თეატრის მუშაკები... თავისუფალი თეატრის კულისების ატმოსფერო დიდად განსხვავდებოდა სხვა თეატრებისაგან. ყველგან სიმშვიდე, სისუფთავე, არაჩვეულებრივი თავაზიანობა და მზრუნველობა სუფევდა. ამ ატმოსფეროში მუშაობა ნამდვილად სასიამოვნო იყო. აქ არც შურს, არც ინტრიგას, არც ცუდ მითქმა-მოთქმას ადგილი არ ჰქონდა, ერთის წარმატება ყველას ახარებდა, ისე როგორც ყველა ჩვენგანის უბედურება, უბედურება იყო მთელი კოლექტივისათვის“ (Н. Монахов. „Повесть о жизни“, 1944, г. стр. 26-127).

„თავისუფალი თეატრი“ თითქმის ნახევარი წლის მანძილზე მეტად საიდუმლოდ აწარმოებდა მუშაობას. მთელი საზოგადოება მოუთმენლად, ცნობის მოყვარეობით, მოელოდა თეატრის სეზონის გახსნას, და აი 1913 წლის 8 ოქტომბერს „სოროჩინის ბაზრობით“ დაიწყო „თავისუფალი თეატრის“ სეზონი. პრემიერას მთელი თეატრალური, ლიტერატურული და მუსიკალური მოსკოვი ესწრებოდა. გაიხსნა სომოვის მიერ შესრულებული ფარდა, უვერტიურის შემდეგ გაიხსნა რუხი ფერის მეორე ფარდა და სცენაზე გამოჩნდა არაჩვეულებრივი მზიანი პეიზაჟი. მეორე სურათი—ბაზრობა ... და აღაფრთოვანებდა მაყურებელს სცენა სავსე იყო სამხრეთული მზით, ნამდვილი სიცოცხლით, ამ სურათს ჰქონდა დიდი მოწონება, დარბაზში მქუხარე ტაში გამოიწვია.

პირველ შესვენებაზევე გაცხოველებული კამათი ისმოდა ვესტიბიულში და დერეფნებში. მაყურებლები გამოსთქვამდნენ აღტაცებას, რომელიც გამოწვეული იყო სპექტაკლით. ეს იყო საოცარი დადგმა, არაჩვეულებრივი საღებავებით და შესანიშნავი მუსიკით. ეს სპექტაკლი, მართლაც, ახალგაზრდული, სიცოცხლით სავსე სპექტაკლი იყო, სადაც ნიჭიერი ახალგაზრდობა იღებდა მონაწილეობას და რომელნიც იძლეოდნენ იმედს, რომ ისინი შექმნიდნენ ახალს და მნიშვნელოვანს.

სპექტაკლს დიდი მოწონება ხვდა წილად. აღფრთოვანებული მაყურებელი დიდ ხანს უკრავდა მქუხარე ტაშს და გაუთავებლად იწვევდნენ სცენაზე რეჟისორს და მსახიობებს. იმდროინდელი პრესა ფართოდ გამოეხმაურა „თავისუფალი თეატრის“ გახსნას. აი რას წერდნენ პირველი სპექტაკლის „სოროჩინის ბაზრობის“, შესახებ:

„მოსკოვს შეიძლება მივულოცოთ: უკვე დაიბადა ახალი საინტერესო თეატრი. კ. ა. მარჯანიშვილმა შექმნა დიდი სილამაზე და მნიშვნელოვანი, ცოცხალი საქმე“ („Московский листок“ № 232, 9/X, 1913).

შალიაპინმა ნოემბერში ნახა ეს სპექტაკლი და თეატრის ხელმძღვანელებთან საუბრის დროს განაცხადა: „ეს სპექტაკლი მშვენიერია იმით, რომ იძლევა ნამდვილ, ცოცხალ სიხარულს, — რაც ადასტურებს ჭეშმარიტ ხელოვნებას“. („Руль“, № 435, 18/XI 1913).

რვა დეკემბერს ეს სპექტაკლი ნახა ბელგიელმა პოეტმა ემილ ვერჰარნმა. „თავისუფალ თეატრის“ თანამშრომლებთან საუბრის დროს იგი აღტაცებული გამოსთქვამდა თავის აზრს: „თქვენთან, „თავისუფალ თეატრში“ აღტაცებული ვარ ფერებით, ამასთან ერთად უბრალოებით, ცოცხალი დადგმით.

ბაზრობის სცენა შეუდარებელია.

სიცოცხლის და ფერების ამაზე უკეთესი სურათი არ მინახავს ევროპის არც ერთ სცენაზე. აქ ყველაფერი მშვენივრად არის შეგუებული ცხოვრებასთან, ფსიქოლოგიასთან და თვითეულ პერსონაჟის ხასიათთან. დღეს მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ეს საღამო დავუთმე ორ რუსს გენიას“ („Столичная молва № 341, 9/XII). მარჯანიშვილს ახალ საქმეში გამარჯვებას ულოცავდა მოსკოვის მხატვრული ინტელიგენცია: ერმოლოვა, რიბაკოვი, სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, ლილინა, ალ. ტოლსტოი, სუმბათაშვილი-იუჟინი და სხვები.

„თავისუფალი თეატრის“ მეორე დადგმა

იყო ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერი ელენე“, რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, დირიჟორი მეტცელი.

სპექტაკლში მოქმედება მიმდინარეობდა სამ დროში: ძველ საბერძნეთში, ლუი XV სტილის სასახლეში და თანამედროვე ეპოქაში — კისლოვოდსკში.

თექვსმეტ ოქტომბერს შედგა „მშვენიერი ელენეს“ პრემიერა. პირველ მოქმედებაში სცენა წარმოადგენდა ეტრუსკული ვაზის ბარელიეფს. მეორე მოქმედებაში მთელი სცენა წარმოადგენდა როკოკოს სტილის უზარმაზარ საწოლს, ბრინჯაოს ქანდაკებებს ჰგავდნენ ნახევრად შიშველი მოცეკვავენი, რომელნიც, უძრავ მდგომარეობაში მყოფნი, საწოლს ეკვროდნენ ჩუქურთმებად. ხოლო პარისის და ელენეს დუეტის დროს ისინი ცოცხლდებოდნენ და შეყვარებულების გარშემო იწყებდნენ ცეკვას. მაყურებელს ვერ წარმოედგინა, რომ ეს ქანდაკებები მსახიობები იყვნენ და როდესაც ისინი ცოცხლდებოდნენ და იწყებდნენ ცეკვას, — ეს მაყურებელზე საოცარ ეფექტს ახდენდა.

მესამე მოქმედების მიმდინარეობისას სცენაზე მოძრაობდა დიდი კარუსელი ხის ცხენებზე შემჯდარი მოქმედი პირებით. მოქმედება იწყებოდა სწრაფი ტემპით, დრო და დრო კარუსელი ჩერდებოდა, და რიგ რიგად გამოიყოფებოდა თითოეული ჯგუფი, და ამ დროს მოქმედნი პირნი წარმოსთქვამდნენ თავიანთ სიტყვებს.

„მშვენიერი ელენეს“ დადგმით კოტე მარჯანიშვილმა უარყო ძველი ოპერეტის შაბლონი. ეს სპექტაკლი შევიდა რუსული ოპერეტის ისტორიაში, როგორც ახალი ეტაპი ამ მუსიკალური ჟანრის განვითარებაში. „მშვენიერი ელენე“ მეტყველებდა კოტე მარჯანიშვილის საოცარ გამომგონებლობის ნიჭზე და მისი რეჟისორული ფანტაზიის დიდ გაქანებაზე.

„თავისუფალი თეატრის“ მესამე სპექტაკლი იყო არტურ შნიცლერის პანტომიმა „პიერეტას მოსასხამი“, რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი, დირიჟორი სარაჯევი, მხატვარი არაპოვი.

პრემიერა შედგა ოთხ ნოემბერს. სპექტაკლი იწყებოდა რიხარდ შტრაუსის სიმფონიური პოემით „სიკვდილი და გაბრწყინება“.

სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა, არაჩვეულებრივად თამაშობდნენ კოონენი — პიერეტა, კრეჩეტოვი—პიერო და ჩადროვი—არლეკინი. „პიერეტას მოსასხამის“ მეორე მოქმედებამ მაყურებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და მოწონება დაიმსახურა. ნათელი მკვეთრი ფერის ფარჩის კოსტუმებს ვერცხლისფერ დეკორაციის ფონზე, ჯგუფურ ცეკვებსა და მუსიკას მაყურებელი დიდი ოვაციით შეხვდა ჯერ კიდევ ფარდის დაშვებამდე.

ოთხ დეკემბერს „პიერეტას მოსასხამი“ ნახა ბელგიელმა პოეტმა ემილ ვერჰარნმა მეუღლესთან ერთად (იხ. „Голос Москвы“ № 280, 5/XII 1913). კოტე მარჯანიშვილი ამ დროს თეატრში არ იმყოფებოდა, [illegible] მარჯანიშვილის მეუღლემ ნ. დ. ჟივოკინიმ. ემილ ვერჰარნმა ბოდიში მოიხადა, დაღლილობის გამო სპექტაკლს ბოლომდე ვერ დავესწრებითო, მაგრამ პირველმა მოქმედებამ მასზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ წამოიძახა: „ჩვენ ვრჩებით“, და სპექტაკლს ბოლომდე დაესწრო, სპექტაკლმა არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე. (ნ. ჟივოკინის მოგონებანი. მარჯანიშვილის მუზეუმის ხელნაწ. ფონდი, ყვარელი).

1914 წლის 11/1 გაზეთ „Утро России“-ს № 8-ში მოთავსებული იყო ცნობა, რომ „უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში მოსკოვში სტუმრად იმყოფებოდა ინგლისელი ჟურნალისტი ბენეტი. მას ეკუთვნის წინადადება „თავისუფალი თეატრის“ ლონდონში საგასტროლოდ მიწვევისა. ბენეტი თვლის, რომ ინგლისის საზოგადოება დაინტერესდება „პიერეტას მოსასხამის“ დადგმით.

თეატრის ხელმძღვანელებმა ეს წინადადება მიიღეს და შეთანხმებაც დადეს „თავისუფალი თეატრის“ ლონდონში გასტროლების შესახებ პირველ ივნისიდან სამი კვირის განმავლობაში. თეატრს თან უნდა წაეღო დეკორაციები და კოსტუმები, ხოლო ორკესტრი კი იქ, ადგილზე-ვე შესდგებოდა, მაგრამ ეს გასტროლები არ შედგა. რა მიზეზით, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

„თავისუფალი თეატრის“ მეოთხე სპექტაკლი იყო ჩინური ზღაპარი „ყვითელი კოფთა“. პრემიერა შედგა ოცდაერთ დეკემბერს. რეჟისორები კოტე მარჯანიშვილი და თაიროვი (აღსანიშნავია ის ამბავი, რომ „თავისუფალი თეატრის“ ყველა სპექტაკლი კოტე მარჯანიშვილის გეგმით იდგმებოდა), ამ პიესის დადგმის მონოპოლია თავისუფალი თეატრისათვის კოტე მარჯანიშვილმა ინგლისში შეიძინა.

„ყვითელ კოფთას“ დიდი მოწონება ხვდა წილად. მის კოსტუმებს, დეკორაციებს და შესრულებას აღტაცებაში მოყავდა მაყურებელი. სპექტაკლი დადგმული იყო განსაკუთრებული სიმდიდრით, ფარდა საგანგებოდ იყო დამზადებული ჩინურ სტილზე.

გაზეთი „Русское слово“ სწერდა. „გაუმარჯოს ნათელ, მხიარულ ხელოვნებას! გაუმარჯოს ნათელ სიხარულს, ბრწყინვალე საღებავებს, გულუბრყვილობას! გაუმარჯოს თავისუფალ თეატრს, ამ პიესის დამდგმელს. გაუმარჯოს მსახიობებს, ამ პიესის თავისუფლად და მხიარულად მოთამაშეებს“.

„თავისუფალი თეატრის“ მეხუთე და უკანასკნელი სპექტაკლი იყო ა. დოდეს მელოდრამა „არლეზიანელი ქალი“, მუსიკა ჟორჟ ბიზესი.

სპექტაკლს დგამდა ა. ზინოვიევი. 31 ოქტომბრიდან კი დადგმა გადავიდა ა. სანინის ხელში. 26 ოქტომბერს მარჯანიშვილმაც ჩაატარა ერთი რეპეტიცია, მაგრამ მას შემდეგ არაფერი საერთო აღარ ჰქონია ამ დადგმასთან.

„არლეზიანელი ქალი“ იმ დროს დაიდგა „თავისუფალ თეატრში“, როდესაც ამ თეატრის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო. მარჯანიშვილისა და სუხოდოლსკის შორის უთანხმოება იქამდე მივიდა, რომ სუხოდოლსკი თეატრში აღარ დადიოდა და მარჯანიშვილი მისგან მესამე პირის საშუალებით იღებდა ფულს. ამ დროს რუსული პრესა უკვე იუწყებოდა „თავისუფალ თეატრის“ მოსალოდნელ დახურვას. თეატრში გამწვავებული მდგომარეობის გამო სამმა მთავარმა მსახიობმა — კოონენმა, მონახოვმა და ასლანოვმა უარი თქვეს მონაწილეობა მიეღოთ „არლეზიანელ ქალში“.

მიუხედავად მხატვრულ მიღწევებისა, თეატრმა მაინც ვერ აინაზღაურა სუხოდოლსკის მიერ გაწეული ხარჯები. მარჯანიშვილსა და მის შორის უთანხმოება თანდათან გამწვავდა და სუხოდოლსკიმ უარი თქვა პეტერბურგში და ლონდონში გასტროლების დაფინანსებაზე. სუხოდოლსკიმ იმასაც კი არ გაუწია ანგარიში, რომ მას უკვე გადახდილი ჰქონდა ათი ათასი მანეთი პეტერბურგის კონსერვატორიის შენობის დასაქირავებლად, სადაც უნდა გამართულიყო მათი საგასტროლო სპექტაკლები.

1914 წლის ოთხ აპრილს შედგა „თავისუფალი თეატრის“ უკანასკნელი სპექტაკლი „სოროჩინის ბაზრობა“. ამ სპექტაკლით დაიწყო „თავისუფალმა თეატრმა“ არსებობა და ამავე სპექტაკლით დაასრულა თავისი მოღვაწეობა.

დარბაზი სავსე იყო მაყურებლით, აქ იყვნენ თეატრების ხელმძღვანელები, რეჟისორები, მსახიობები, კრიტიკოსები. ისინი მოსულიყვნენ, რათა ერთხელ კიდევ მიეღოთ დიდი სიამოვნება, განეცადათ სიხარული „თავისუფალი თეატრისგან“ და გამოთხოვებოდნენ მას.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მაყურებელთა თხოვნით თეატრის მსახიობთა კოლექტივი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გამოვიდა სცენაზე. გამოძახება და ტაში ვადაიზარდა ოვაციებში. ფარდის ჩამოშვების შემდეგ მარჯანიშვილი მეტად აღელვებული, ცრემლმორეული ეთხოვებოდა თეატრის კოლექტივს. მარჯანიშვილი თავის გამოსათხოვარ სიტყვაში გამოსთქვამდა „თავისუფალი თეატრის“ ხელახლა შექმნისა და ამ თეატრში მუშაობის იმედს. შემდეგ მოეწყო გამოსათხოვარი ვახშამი, ლაპარაკობდნენ ძალიან ცოტას, ტიროდნენ ბევრს. როდესაც მარჯანიშვილი წამოდგა წასასვლელად, მეგობრები შეიკრიბნენ მის გარშემო და ხელში აყვანილი გამოიყვანეს ქუჩაში.

დაიხურა „თავისუფალი თეატრი“, რადგან ძნელი იყო კერძო მესაკუთრის იმედით მარჯანიშვილის გაბედული ექსპერიმენტების ჩატარება. სუხოდოლსკის არ აინტერესებდა — ეს მას აინტერესებდა მოგება. მ[illegible] [illegible]ის თქმით, მან „ქისა იმიტომ გახსნა, რომ უფრო მეტი ჩაედო შიგ“. ასეთი მოგება კი ვერ მისცა თეატრმა. მარჯანიშვილის ნოვატორულმა ძიებამ ვერ ჩაკლა სუხოდოლსკის კერძო მესაკუთრული ბუნება და მან უარი განაცხადა თეატრისათვის ფული მიეცა. თეატრი კი ფულის გარეშე, რა თქმა უნდა, ვერ იარსებებდა.

ჯერ კიდევ „თავისუფალი თეატრის“ დახურვამდე, როდესაც მარჯანიშვილმა დაინახა რომ სუხოდოლსკისთან დამოკიდებულება გამწვავდა და მისი საქმე უკვე განწირული იყო, მან დაიწყო ახალი მეცენატის ძებნა, კოტე პეტერბურგში გაემგზავრა კაპიტალისტის მოსაძებნად თავის ახალ საქმისათვის. და აკი იპოვა კიდეც. თანხმობა მიიღო პეტერბურგელ თავად კოჩუბეისგან ახალ თეატრის დაფინანსებაზე.

მარჯანიშვილთან ერთად პეტერბურგში იყვნენ კოონენი და თაიროვი, რომელნიც მოლაპარაკებას აწარმოებდნენ მსახიობებთან ახალ „თავისუფალ თეატრში“ მუშაობის შესახებ.

მარჯანიშვილი ახალ თეატრში იმავე პრინციპებით აპირებდა მუშაობას, როგორც „თავისუფალ თეატრში“. გასული სეზონის რეპერტუარი და „თავისუფალი თეატრის“ დასის უმრავლესობა მასთან რჩებოდა. ამრიგად, ოცდაერთ იანვარს მარჯანიშვილი პეტერბურგიდან დაბრუნდა სრული იმედით, რომ უზრუნველყოფილი იქნებოდა ახალი თეატრის შექმნა.

კაპიტალისტმა კოჩუბეიმ წინადადება მისცა მარჯანიშვილს აეშენებინა სპეციალური თეატრალური შენობა. მართლაც, ახალი თეატრის შენობისათვის გამონახულ იქნა ადგილი მოსკოვში ჩერნიშევსკის შესახვევში. კომისიამ თეატრისათვის შეადგინა არქიტექტურული გეგმა, რომელშიაც მაყურებელთა დარბაზი ათას ორასკაცისათვის იყო გათვალისწინებული. თეატრი უნდა ყოფილიყო იარუსების გარეშე.

ახალ „თავისუფალი თეატრის“ სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელად დასახელებულნი იყვნენ კ. მარჯანიშვილი, ი. ბალტრუშაიტისი, ა. თაიროვი, ალისა კოონენი და ლ. მეტცელი.

1914 წლის 26 იანვარს ბალტრუშაიტისი იტალიაში გაემგზავრა გორდონ კრეგთან მოსალაპარაკებლად.

ახალი „თავისუფალი თეატრის“ საქმე იმდენად კარგად მიდიოდა, რომ კოტე მარჯანიშვილმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ჟუკოვთან თეატრის აშენების შესახებ, რომელიც დამთავრებული უნდა ყოფილიყო სექტემბრისათვის ჩერნიშევსკის შესახვევში.

მართალია, მარჯანიშვილის „თავისუფალმა თეატრმა“ მხოლოდ ერთი თეატრალური სეზონი იარსება, მაგრამ საკმაოდ დიდი კვალი დატოვა რუსული თეატრალური ხელოვნების ვა-

ნვითარების ისტორიაში. მის ნაფუძარზე აღმოცენდა ახალი თეატრი „კამერული თეატრის“ სახელწოდებით. ამ თეატრის ფუძემდებელიც კოტე მარჯანიშვილი იყო. „თავისუფალი თეატრის“ დასის სიმრავლის გამო ხშირად ბევრი მსახიობი რეპერტუარში დაკავებული არ იყო, ამიტომ არ ჰქონდა საშუალება თავისი ნიჭის გამოჩენისა. ამ მსახიობთაგან აპირებდა მარჯანიშვილი კამერული სპექტაკლების დადგმას. თეატრის დასის სიმრავლე საშუალებას აძლევდა მარჯანიშვილს შეექმნა პატარა სტუდია თეატრში, სადაც იგი განახორციელებდა კამერულ სპექტაკლებს. კამერული სპექტაკლების სერია უნდა დაწყებულიყო სეზონის მეორე ნახევარში. კამერული სპექტაკლისათვის გათვალისწინებული იყო დასადგმელად ნ. კრაშენინიკოვის პიესა „რუვიმას ტირილი“.

კამერულ სპექტაკლებს ძირითადში სტუდიური ხასიათი ექნებოდა. კამერული თეატრის ხელმძღვანელი, რასაკვირველია, კოტე მარჯანიშვილი იყო, რეჟისორები თითქმის ყველა „თავისუფალი თეატრისა“, სანინის გამოკლებით, მუსიკალური ნაწილის გამგე კი — მეტცელი. კამერული თეატრის რეპერტუარში შეტანილი იქნა შემდეგი პიესები: მეტერლინკის „პელეასი და მელისანდა“, დანუნციოს „მკვდარი ქალაქი“, მოცარტის ოპერა „ბასტიენ და ბასტიანა“.

„თავისუფალი თეატრის“ დახურვის შემდეგ, მის ნაფუძარზე აღმოცენებული კამერული თეატრის ხელმძღვანელებმა კოონენმა და თაიროვმა სთხოვეს მარჯანიშვილს თანამშრომლობა. მაგრამ მარჯანიშვილმა უარი განაცხადა. მისთვის „თავისუფალი თეატრის“ დახურვა დიდი ტრაგედია იყო, ყველაფერზე უარი განაცხადა. თავი გაარიდა მოსკოვურ მეფემეფეობას და პროვინციის თეატრში გაემგზავრა [illegible]. კოტე წავიდა როსტოვში და თან გაჰყვა „თავისუფალ თეატრზე“ ფიქრი. არც აქ დამცხრალა მუდამ ძიებაში მყოფი მისი მშფოთვარე სული. იგი მუდამ ოცნებობდა სინთეტურ თეატრის შექმნაზე.

1915 წელს კოტე მოსკოვში ჩამოვიდა იმ იმედით, რომ აღადგენდა „თავისუფალ თეატრს“. მან კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ იგი ვერასოდეს ვერ შეელევა „თავისუფალ თეატრის“ აღდგენაზე ოცნებას, არ ღირს სულით დაეცე მხოლოდ იმისათვის, რომ თეატრმა მატერიალურად ვერ გაამართლა თავისი თავი, სამაგიეროდ „ჩვენ ხომ გვქონდა რამდენიმე ძალიან კარგი, მაყურებლის მიერ მოწონებული, დადგმები. გახსოვთ „პიერეტას მოსასხამი“ და „ყვითელი კოფთა“? ვიმედოვნებ, რომ რამდენიმე ადამიანის დახმარებით მივაღწევ აღვადგინო იგი და მოსკოვში ისევ დაინახავთ „თავისუფალ თეატრს“.

მაგრამ არ აუხდა მარჯანიშვილს ოცნება. ძნელი იყო იმ პირობებში მარჯანიშვილის ფრთაშეუკვეცელ ნიჭს, მის ნოვატორულ ბუნებას და მუდამ მაძიებელ დაუდეგარ სულს ფრთები გაეშალა. ამის საშუალებას არ იძლეოდა იმ დროინდელი პირობები. ეს, იმ დროს მიუღწეველი ოცნება, მარჯანიშვილს შეეძლო მხოლოდ საბჭოთა პირობებში განეხორციელებინა და აკი განახორციელა კიდევაც საბჭოთა საქართველოში მისი მოღვაწეობის დროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ კვესელავა

ათასი ფუთი გრაღდეგა

განცდილი და გაგონილი

წარმოსახვის აჩრდილები...

„მოაზროვნე ადამიანმა" (Homo sapiens) შექმნა ალეგორია „ცხოვრების ხისა", რომლის განზომილებანი წარმოშობის ქაოსიდან უსასრულობის სიმაღლეს წვდება. კაცობრიობა ამ „მარადიული ხის" ფოთლებია — მუდამ ძველი და მუდამ ახალი. იგი ჟამთა დინების კანონს ემორჩილება და წარმავლობის ბედს იზიარებს. დრო მიდის, ფოთლები ცვივა, ცხოვრების ხე კი ისევ ისე დგას და უცდის ბუნების ხელახალ გაზაფხულებას.

ყოველი ახალი თაობა კაცობრიობის ახალი გაზაფხულია; ყოველი ადამიანი ბუნების ახალი ცდა. მას სხვა განძი არ გააჩნია გარდა უნარისა, შექმნას რამე და თავისი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის საერთო სალაროში. ამაშია მისი მოვალეობაც, პასუხისმგებლობაც და ღირსებაც. ბუნება ხომ მხოლოდ ესკიზს ქმნის ადამიანისას. პორტრეტი კი თვითონ მან უნდა დაასრულოს. ის უნდა მთლიანი იყოს ყველა განზომილებაში...

...ეს კი ასეა, მაგრამ ყველაფერს მაინც თავისი მეორე მხარე აქვს. მეტიც: ერთში შეიძლება მეორეც იყოს, ან ორში მესამე. მთლიანობას ყველა შემთხვევაში როდი აქვს ერთეულის სახე, არც ერთეული გამორიცხავს სიმრავლეს. ერთის მრავლობა ისევე ბუნებრივია, როგორც მრავლის ერთობა. ყოველი მოვლენა მრავალწახნაგოვანია, მით უმეტეს, ბუნების ისეთი რთული ფენომენი, როგორიცაა ადამიანი. ცნება კატეგორიული განსაზღვრისა აქ კარგავს თავის შინაარსს. ადამიანის სრულ განტოლებას ვერავინ შეადგენს. ვერც მკაცრ ფორმულებში გამოხატავს მის ხასიათს. ჰერაკლიტეს უთქვამს — „ადამიანის დემონი მისი ხასიათია"; დემონი კი მაცდურია და პროტეოსივით იცვლის სახეს. ცვალებადია ადამიანის ხასიათიც. ეს ცვალებადობა ყოველთვის ზნეობის სფეროში როდი ხდება. იგი ზოგჯერ თავის ანტითეზადაც იქცევა: ადამიანი — არაადამიანი, მაგრამ ორივე მაინც ადამიანობის ზოგად ცნებაში თავსდება. რაც არ უნდა პირუტყვი იყოს „ძე კაცისა", თუნდაც ყველაზე ზნე-დაცემული ესესელი ან გესტაპოელი, რომელიც თოფმომარჯვებული უცდის ბავშვის დაბადებას, რომ მოკლას იგი, — მაინც ადამიანია, სამწუხაროდ, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ადამიანი, ამ სიტყვის თუნდაც ვიწრო, ბიოლოგიური მნიშვნელობით. გარდა ზნეობრივისა, ამას იურიდიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან პასუხისმგებლობის საკითხი დგება, სწორედ იმ პასუხისმგებლობისა, რომლისგან თავის დაღწევა სცადეს ჰიტლერელებმა. ეს იყო მათი თავდაცვის მთავარი არგუმენტი. ყველა იმას ამბობდა, ბრძანება იყო ასეთი და ჩვენ ვალდებული ვიყავითო. ვის წინაშეო, რომ ვეკითხებოდით, ფიურერისო, გვიპასუხებდნენ...

ვინ მოსთვლის რამდენი გერმანელი დამიკითხავს იმ ხუთი წლის განმავლობაში, ფელდმარშლებიდან დაწყებული, რიგითი ჯარისკაცებით დამთავრებული; მათ შორის, ესესელებიცა და გესტაპოელებიც, მაგრამ ყველა პირშეკრულივით ერთსა და იმავეს გაიძახოდა:

— Uir mussten... — ჩვენ ასე უნდა გვექნა, რადგან ნაბრძანები გვქონდაო... და ვითომ ამით იხსნიდნენ პასუხისმგებლობას.

ფრანგმა ბრალმდებელმა შარპანტიე დე რიბმა კი განაცხადა პროცესზე:

„მათ არ შეეძლოთ არ დამორჩილებოდნენ ჰიტლერის ბრძანებებს, არ შეეძლოთ გადამდგარიყვნენ? კეთილი, მაგრამ ჰიტლერს შეეძლო დაუფლებოდა ადამიანებს და არა მათ ნებას. თუ არ დაემორჩილებოდნენ, იქნებ, საფრთხეში ჩააგდებდნენ თავიანთ სიცოცხლეს, მაგრამ დაიცავდნენ ღირსებას. ლაჩრობა არასოდეს არ ყოფილა საშუალება გამართლების, ან დანაშაულის შემსუბუქებისა".

გაგრძელება იხ. „მნათობი", № 10

ადამიანს ყოველთვის აქვს არჩევანი: იყოს არამზადა, ან სულაც არ იყოს. ეს ნებისყოფისა და ხასიათის საქმეა; პასუხისმგებლობისაც, მაგრამ ჰიტლერი სწორედ ამ პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა თავის მიმდევრებს. მე ვარ ყველაფრისთვის პასუხისმგებელიო, ამბობდა ის და, ვითომ ისევე იღებდა „მისი ხალხის“ ცოდვებს, როგორც ქრისტე-ღმერთი საერთოდ ცოდვილებისას. როცა ამის მტკიცება დასჭირდებოდა, ის სულ ბიბლიურ ალეგორიებს მიმართავდა. უნდოდა ხალხი დაერწმუნებინა, რომ ე. წ. ცოდვა, ან ბოროტება ისეთივე ბუნებრივი თვისებაა ადამიანისა, როგორც მადლი, ან სიკეთე. მეტიც, მისი აზრით, ცოდვა უფრო ახლო დგას ღვთაებრივის ცნებასთან, ვიდრე სიკეთე.

ამის საბუთსაც ბიბლიურ ლეგენდებში ეძებდა, სხვებიც: გებელსი, როზენბერგი, ეკჰარდი, ჰაუსჰოფერი... ისინი თვითონ ცდილობენ მეოცე საუკუნის მითოსისა და ახალი წარმართული რელიგიის შექმნას.

რაკი ასეა, მეც იმ ლეგენდებში მოვძებნი მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებათა ალეგორიულ გამოხატულებას და ვცდი დოკუმენტური სიზუსტით დავუახლოვო ის რეალურ სინამდვილეს...

ბიბლიის მიხედვით, პირველმა ადამიანმა სცოდა და დაისაჯა. ეს სასჯელი მძიმე ტვირთად დააწვა შთამომავლობას. იგი განაწილდა ყველაში, როგორც სიმრავლე ერთისა. არც არავინ დარჩა ცოდვის გარეშე. თვით ქრისტეანული რელიგიაც არ ცნობს ადამიანის უცოდველობას. სახარებაში წერია, რომ „არა არს კაცი მართალი ქუეყანასა ზედა, რომელმან ქმნეს კეთილი და არა სცოდოს“. ან კიდევ: „ვინ იქადოს წმიდა ყოფა გულისა: ანუ ვინ იკადროს თქმა წმიდა ყოფა თავისა ცოდვისაგან“. ამიტომ სასჯელი ყველას ედება, როგორც „კეთილს“, ისე „ბოროტს“, რადგან სრული ან წმიდა სახით არც ერთი არსებობს და არც მეორე, „რამეთუ ყოველი ქმნილი მოიყვანოს ღმერთმან სასჯელსა ზედა, და ყოველთათვის შეცოდებისა, უკეთუ კეთილი და უკეთუ ბოროტი“.

ამან იმთავითვე შეარყია ადამიანის, როგორც „ღმრთის ხატების“ რწმენა, კითხვაც ასე დაისვა: თუ კი ღმერთმა ადამიანი შექმნა „ხატად მსგავსებისა თვისისა“, ხოლო თვით ღმერთი „წყაროა ყოველთა კეთილთა“, ცოდვა ან ბოროტება საიდან უნდა გაჩენილიყო? ან მთელი კაცობრიობა რატომ უნდა იყოს დასჯილი ერთის ცდუნების გამო?

თეოლოგიასაც თავისი ლოგიკა აქვს. ამიტომ ორში ერთია: ან ღმერთს არ შეუქმნია ადამიანი „ხატად თავისა თვისისა“, ან თვით ღმერთი არ უნდა იყოს სრული სიკეთე. სულიერი მამები თვით ადამიანებს ადანაშაულებდნენ ამაში, რასაც მორწმუნენი იღებდნენ, როგორც ჭეშმარიტებას და ისევ ღმერთს შეალაფებდნენ:

„შევცდით გზისაგან ჭეშმარიტებისა, და სიმართლისა ნათელი არა აღმოგვიბრწყინდა ჩუენ. ურჯულოებითა აღვივსენით გზანი და წარსაწყმედელითა, და განვლიეთ უდაბნოთა შინა უფალთა, ხოლო გზა უფლისა არა ვცანით“.

მერე კი ინანიებდნენ „ცოდვას“, რასაც მოყვა განდეგილობა, მარტვილობა, სხეულის გვემა და ფიზიკური დასახიჩრება ვითომ სულიერი ნეტარებისათვის „მარადიულ სასუფეველში“, ნამდვილად კი ეს ილუზია იყო, სხეულის შეწირვა სულისთვის და ამით თვითნებობაში. მერე ის სულიც გაჰქრა ანუ „განიფინნა ვითარცა რბილი ჰაერი, ღრუბლის კვამლი, და ვითარცა ნისლი განჰქარდა განდევნილი შარავანდისაგან მზისათა მხურვალებისაგან მისისა დამძიმებული“.

დარჩა მხოლოდ აჩრდილი წარმოსახვისა და ისიც ჟამიერი, „რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარმავალ არს ჟამი ჩუენი და არა არს მოქცევა აღსასრულისა...“

ამის შემდეგ „მოაზროვნე ადამიანმა“ ამქვეყნიურ ცხოვრებას, ანუ „სოფლისა დგომას“ მიაპყრო თვალი. იგი უკვე არა სცნობდა „ნივთთა გარეშე ხედვას“, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ეკლეზიასტური მოძღვრება „ამაოებათა ამაოების“ შესახებ, როგორც სულიერი მარადიულობის ანტითეზა. ამ თვალსაზრისის მიხედვით მარადიული არაფერია, „რამეთუ ყოველნი მავლენ ადგილსა ერთსა შინა, ყოველნი შეჰქმენ მიწისგან, და ყოველნი მიიქცევიან მიწადვე... და ვინ უწყის სული ძეთა კაცთასა, უკეთუ იგი აღმავალს მაღლა, და სული საცხოვართა, უკეთუ შთავალს იგი დაბლა ქუეყანად“. ბუნებრივია, რომ ასეთი მოძღვრების მიმდევრები დაუბრუნდებოდნენ თავიანთ წილს ამქვეყნიური ცხოვრებისა, თავიანთ დღევანდელ დღეს, საათსა და წუთს, რათა „იხარონ ქმნილთა თავისა ზედა, რამეთუ ესე არს ნაწილი მათი“.

ეკლეზიასტეც ასე მოუწოდებდა მათ:

„შეიყვარე ყოველთა შინა დღეთა ცხოვრებისა ამაოებისა შენისათა, რომელი მოგეცა შენ მზესა ქუეშე, ყოველს დღესა ამაოებისა შენისასა, რამე თუ ესე ნაწილ არს შენდა ცხოვრებისა შინა შენსა“.

ეს კი არ შეიძლებოდა „მოაზროვნე ადამიანის“ მრწამსი ყოფილიყო. ის ვერ მიიღებდა მდაბალ შეგონებას ეკლეზიასტური ქადაგებისა: ...მოვედ და ჭამე სიხარულსა შინა პური შენი და სუ გულითა კეთილთა შინა ღვინო შენი, რამეთუ ეგერა სათნო იჩინა ღმერთმან ქმნილნი შენნი...“ ვერც ეპიკურეული მისწრაფება, „ვიცხოვროთ და ვინეტაროთო...“ გაიტაცებდა მას, რადგან არც „სოფლად დგომა“ გახდა

ამით ადვილი და არც ნეტარება მოჰყოლია მათ ქადაგებას. ძალა კი მოადუნა ადამიანებში. გმირობასაც თითქოს ეშხი დაეკარგა, თავგანწირვას კი — აზრი. ისე, როგორც ამ დიდი ომის დროსაც ქადაგებდნენ „ეკლეზიასტურ სიბრძნეს“ სოროებში შემძვრალი „ფილოსოფოსები“: ცოცხალი ძაღლი სჯობს მკვდარ ლომსო. და ისევ იმ ეკლეზიასტეს იშველიებდნენ საბუთად: „რამეთუ ძაღლი ცოცხალი იგი უკეთეს უფროს ლომისა მკუდარისა, ვინათგან ცოცხალნი სცნობენ რამეთუ მოკუდებიან, ხოლო მკუდარნი არა არიან მეცნიერ არა რაჲსა არა რაჲ არს მათდა მერმეცა საჯაჯიდელი, რამეთუ დავიწყებულ არს სახსენებელი მათი, და სიყვარული მათი, და სიძულვილი მათი, და შური მათი“.

ჰიტლერმა ამას ვითომ ერის ან რასის მთლიანობაში ინდივიდის შთანთქმისა და ამით მისი გამარადიულების მოძღვრება დაუპირისპირა. მისი აზრით, ადამიანს, როგორც პიროვნებას, არავითარი ღირებულება არა აქვს; არც იმას, იცოცხლებს თუ დაიღუპება. მთავარია რასისა და ერის უკვდავება; პიროვნება კი ნულია, ან მწკრივი ნულებისა, რაც ძალას მაშინ იღებს, თუ წინ ფიურერის სახით ჩნდება რიცხვი — ერთი ან რამდენიმე. აქედანვე დაიბადა „პიროვნების მოსპობის სიხარულის“ ბარბაროსული თეორია, რომელიც შემდეგ მილიონების გაჟლეტაში გადაიზარდა...

...მოაზროვნე ადამიანი კი სხვა მხრივ ეძებდა გამოსავალს იმ ამაოების ტოტალურ მდგომარეობიდან. მას შემდეგ, რაც „მარადიული სასუფევლის“ ილუზიები გაჰქრა, ისიც „მოეგო სოფლისა დგომის ცნობას“ და თვითონ ისურვა გარკვეულიყო საგანთა და მოვლენათა საიდუმლოებაში, ანუ გაეგო „მოქმედება ნივთთა, დასაბამი და აღსასრული და საშუალო ჟამითა მოქცევითა შეცვალება და ცვლილებანი ჟამთა, წელთა სიმგვრგვლე და ვარსკვლავთა გარდასხდომანი, ბუნებანი ცხოველთანი, და რისხვა მხეცთა, ქართა მძლავრება და გულის სიტყუანი კაცთანი, (ჩვენ ახლა ქვეცნობიერს რომ ვეძახით) მრავალფეროვნება ნერგთა, და ძალანი ძლიერთანი და რაოდენ არიან დაფარულ...“

ამან ქრისტეანული ღმერთი განარისხა. მან დაჰგმო წარმართები და კერპთთაყვანისმცემლები, რომელთაც „ხილულთაგან კეთილთა ვერ შეუძლეს ცნობად მყოფისა, არცა საქმითა მიხედვითა ცნეს ხელოვანი, არამედ ცეცხლი ანუ სული, ანუ მსწრაფლი ჰაერი, ანუ სიმგრგულე ვარსკვლავთა, ანუ მჩქეფარება წყლისა, ანუ მნათობნი ცისანი...“

მიუხედავად ამგვარი შერისხვისა, Homo sapiens-მა მაინც არ მიიღო ქრისტეანული რელიგია, მაგრამ ჰიტლერელთა მსგავსად „ინდივიდის მოსპობის“ გზას კი არ დაადგა, არამედ მოუხმო გონებას ადამიანისა, მის სიბრძნეს, „რამეთუ ყოველთა მოძრავთა უმოძრავესი არს სიბრძნე“, რასაც ვერ სძლევს ბოროტი ძალა, ვერც ვერავითარი სიავე ჟამისა, რადგან იმ „სიბრძნემან იშენა თავისა თვისა სახლი, და ქუეშე შეუდგანნა მას შვიდი სვეტი“. ეს შვიდი სვეტი იყო, რასაც უნდა დაყრდნობოდა მოაზროვნე კაცობრიობა. აქეთკენ მოუწოდებდა გონება ადამიანისა. ჰიტლერმა კი ამ შემთხვევაშიც თავისებური ანტითეზა შექმნა და ღმერთს მადლობა შესწირა „გონების შემკავებელ ძალებისაგან“ რომ გაათავისუფლა ის. ღვთის ასეთი „მადლი“ კი მარტო ჰიტლერს როდი ჰქონდა მონიჭებული. ადამიანის გონებას დღემდე აშფოთებს აზრი: როგორ ხდება, რომ ხალხების ბედი ხშირად ასეთ „ნებისმიერ ვიგინდარებს“ უვარდებათ ხელთ და არა სიბრძნის, სიკეთისა და სიმართლის გამომხატველთ? რატომ არის, რომ მოწოდება: „მძლავრნო ერთანო, პატივი ეცთ სიბრძნეს, რამეთუ სიმრავლე ბრძენთა ცხოვრება არს სოფლისა“, რჩება ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა... აბა, გადახედეთ ხუთივე კონტინენტის მეუფეთა გრძელ სიას, „ბრძენნი კაცთანი“ საცოდავ უმცირესობად თუ არ გამოჩნდნენ. ხომ ფაქტია, რომ ბრძენი მეუფეთა შორის დიოგენის ფანრითაა საძებარი, ხოლო ვინც არის, კაცობრიობა დიდების შარავანდით მოსავს მათ, ვინც არა, ჰიტლერივით, წელში მოხრილ ხალხის ზურგზე დგამს თავის ტახტს და არა სიბრძნის იმ შვიდ სვეტზე, რომლის ძალა აღიარებულია გონების მიერ...

ჩვენს სკეპტიკურ საუკუნეშიც ბევრმა გაიმეორა იარაღდაყრილთა ეს ეკლეზიასტური მოძღვრება, მაგრამ შეუმუსრავი ძალა გონებისა როდი დაემორჩილა ამას. იგი დღემდე ინახავს ძველ, ბრაჰმანულ სიბრძნეს, რომელიც ასე ჩამოაყალიბა გერმანელმა მწერალმა რიკერტმა:

„ვინც ამბობს: ვეძიებდი, მაგრამ ვერ ვპოვებდიო,
— მე მგონი, ტყუის;
ვინც ამბობს: არ ვეძიებდი, მაგრამ ვპოვებდიო,
— მე მგონი, გვატყუებს;
ვინც ამბობს: ვეძიებდი და ვპოვებდიო;
— მე მგონი, მართალს ამბობს;
მონდომება და მიღწევა განუყოფელია
ერთმანეთისაგან...

...ვაჟაც წერს: „მადლი და ღვაწლია თვით სიკეთე და რწმენა“. ესეც იმის პასუხია. მოაზროვნე ადამიანმა საბოლოოდ ირწმუნა ძალა გონებისა და აღსდგა სული „შორის ყოველთა გამ-

ვლელი სულთა გონიერთა წმიდათა". ისევ გაჩნდა „უსრულოთა ქამთა გამომღები ნერგი, რომელ არს ხედვად ხილვისაგან ყოფადთა საცნობელი". აღმაღლდა სული სიბრძნისა და უკვდავება გონიერებისა, „რამეთუ უკუდავება არს თანა მონათესაობა სიბრძნისა". პანდორას ყუთიდანაც ამოფრინდა უკანასკნელი „ცოდვა"— იმედი, და ადამიანმა იწამა, რომ გონების ძალა გაჰფანტავს ბოროტების, შიშისა და ძრწოლის ბურუსს. ესეც კეთილი ნების ადამიანების მონდომებისა და ღვაწლის საქმეა. ყველა გონიერ ადამიანს აქვს გზა და საშუალება თვითონ გაერკვეს სიკეთისა და ბოროტების ამ დახლართულ ლაბირინთებში, აიცდინოს „მსაცთურებელი ყოველი" და გაიგოს „რაჲ არს სათნო წინაშე თვალთა და რაჲ წრფელი მცნებათა შინა მათთა". ამაშია ყველა ადამიანის პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, ერისა და კაცობრიობის წინაშე. ყველას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დიად საქმეში. საქმით და არა სიტყვით ზოგს ისედაც ჰგონია, დედამიწის ღერძზე მაქვსო ხელი ჩაჭიდებული, სხვები ვერც ამჩნევენ, თავიანთ სუნთქვას როგორ უერთებენ კაცობრიობის ვნებათა ღელვას. კადნიერი ფიქრობს ხელში პრომეთეოსის ჩირაღდანი მიჭირავსო, მოკრძალებული კი ალ. აბაშელივით თხოულობს:

„მოდით, თქვენს ჩირაღდნებთან ჩემი ჭრაქიც ავანთო,
იქნებ მეც გავანათო მიწის ერთი ნაჭერი".

ყველამ რომ მიწის ერთი ნაჭერი გაანათოს ბოროტება გაჰქრება ამ ქვეყნად და სიბრძნის ნათელი დაადგება ჩვენს პლანეტას...

ეს კი ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლების შედეგი იქნება, „მოაზროვნე ადამიანის" ღვაწლი და მიღწევა, მაგრამ ამის წინააღმდეგ დღესაც ჯოჯოხეთის მთელი პანდემონიუმია დარაზმული. ერთნი გონებას ჰქირდავენ, მეორენი — აზროვნებას. ასეთი უფრთო სიტყვებიცაა გაშვებული: „თუ აზროვნებ — გრცხვენოდეს". საკითხავია: რატომ უნდა რცხვენოდეს ადამიანს აზროვნების, ან ჰიტლერს რატომ ეგონა, რომ „გონებისაგან გათავისუფლება" მადლია და ისიც განგებისაგან მონიჭებული? ერთმანეთს როგორ ეწყობა მაცხოვრის პოზა და სისხლიანი ორგიები? ან უდიდესი ბოროტების გზით როგორ უნდა მივიდეთ უდიდეს ჰუმანიზმამდე? ეს ხომ პარადოქსია! შავით შავზე წერა. განა სიკეთეს და ბოროტებას შეუძლიათ ერთად ყოფნა ისე, რომ ორივეს ამაყი გამომეტყველება ჰქონდეს!? ან ღვთაებრივის ცნება როგორ იერთებს თავისში ერთსაც და მეორესაც?

ამის პასუხსაც დიდხანს ეძებდა Homo sapiens. მაგრამ მაინც ვერ გაიგო რისი ღმერთია „ცათამპყრობელი?"—სიკეთისა თუ ბოროტებისა. თუ სიკეთისა, როგორ შეეძლო ასე გულგრილად ეყურებინა ადამიანთა ტანჯვისათვის, და თუ ბოროტებისა, რად იწოდებდა „სათავედ ყოველთა კეთილთა?" რატომ სდუმდა ის, როცა „ურვა და ლალვა ხატებისა მისისა" არყევდა ხეცის თაღებს? ვიღაცამ კი თქვა, „ღმერთი დუმილიაო", მაგრამ ამან შვება როდი მოუტანა „ტანჯულთა და გვემულთ". ვერც ის გაირკვა, თუ რატომ აღივსენ ადამიანები „უშჯულოებითა და ბოროტებით?" თუ კი ქვეყანა და არსი ყოველი განფენილობაა ღვთაებრივი საწყისისა, ან როგორც ეკლესიის მსახურნი ქადაგებენ,—„სულმან უფლისამან აღავსო ქუეყანა", საიდანაა ამდენი ბოროტება და სიმახინჯე, „შფოთი და ლალვა კეთილთა", უდანაშაულოთა ხოცვა-ჟლეტა, მადლის დავიწყება, ადამიანური ღირსების დამცირება და უსამართლობა...

როცა ამდენი ამაღელვებელი სიტყვებია დახარჯული სიბრძნისა და მშვენიერების სიდიადეზე, ადამიანი როგორ ეგუება სიკეთის აჩრდილებს დევნას ბოროტების სამეფოში; ან თვით ბოროტებას როგორ მიაჩვია გონების თვალი სიკეთის ასეთ „დამამშვიდებელ მირაჟებში?"... იქნება, ჩვენმა ეპოქამ გადაწყვიტა მიიღოს ეკლეზიასტური ცნება, თითქოს დრო აერთიანებს თავისში ამ წინააღმდეგობებს და ბუნებრივ, თვით ღვთაებრივ, სახესაც კი აძლევს მას, რადგან ერთია „ქამი შობად და ქამი სიკუდილად, ქამი წყლულებად და ქამი კურნებად, ქამი დანერგვად და ქამი აღმოფხვრად დანერგულისად, ქამი გოდებად და ქამი განცხრომად, ქამი სიყვრულისად და ქამი სიძულვილისად, ქამი ბრძოლისად და ქამი მშვიდობისად?..."

ან ამგვარ წინააღმდეგობათა პარადოქსულობისათვის რაღა ბიბლიური მაგალითია საჭირო, როცა ის ჩვენს დროში კიდევ უფრო გამძაფრებულ ფორმითაა წარმოდგენილი... აქ მართლაც ერთმანეთშია არეული „ქამი ომებისა — და ქამი მშვიდობისა". ვინც დღედაღამ მშვიდობას ქადაგებს, მასობრივ მოსპობისა და განადგურების იარაღებით ესხმის თავს მშვიდობიან მოსახლეობას. იმ საშინელი ომის შემდეგაც, ერთი წუთი არ ყოფილა ისეთი, სადღაც რომ სისხლი არ სდიოდეს ჩვენს გაწამებულ პლანეტას. არაოდეს ისე საშინელი საფრთხის წინაშე არ მდგარა კაცობრიობა, როგორც დღეს, გონებრივი განვითარების ამ თვალუწვდენ სიმაღლეზე. ბიბლიური მითები ცეცხლის წვიმისა და წარღვნის შესახებ, სწორედ ახლა უახლოვდება თავის რეალურ შესაძლებლობას... პარადოქსული წინააღმდეგობანი კი მშვიდად განაგრძობენ პარალელურ რელსებზე სრიალს... ყველაფერი ერთსა და იმავე დროს ხდება: ომს გმობენ და მაინც ომობენ, განუწყვეტლივ თათბირობენ გაერიარაღების კომიტეტში და ასევე განუწყვეტლივ იარაღდებიან, ზიზღით იგონებენ ჰიტლერელების სისასტიკეს და თვალებს თხრიან თავისუფლებისათვის მებრძოლებს, თუ რამ საში-

ნელი მოხდება, შეძრწუნდებიან და ისევ იმასვე იმეორებენ...

...ლანდსბერგის ციხეში ამერიკელმა ოფიცერმა შემოგვთავაზა, იმ ადგილს გიჩვენებთ, სადაც დამნაშავეებს სიკვდილით ვსჯიდითო... ყველამ უარი თქვა, არ გვინდაო, ზოგმა ზიზღითაც შეაქცია ზურგი იმ ოფიცერს... ის კი მაინც დაჟინებით მოითხოვდა გავყოლოდით, თან გვარწმუნებდა, ასეთ რამეს სხვაგან ვერსად ნახავთ, ვერც ასეთ ტექნიკას სიკვდილისასო...

„განხალხების“ ტექნიკური პროცესი მომაგონდა... თითქოს ცნობისმოყვარეობამაც შემიპყრო, მაგრამ თავი მაინც ვერ დავძლიე და მეც უარი ვუთხარი. ამერიკელს გაუკვირდა:

— თქვენ ოფიცერი ბრძანდებით, სამხედრო პირი, და როგორ შეგიძლიათ ამაზე უარი თქვათ?

მერე მხრები აიჩეჩა და დაუმატა:

— მე უკეთესი წარმოდგენისა ვიყავი რუსი ჯარისკაცის ნერვების სიმაგრეზე... სტალინგრადი...

— კარგი, მოვდივარ! — აღარ დავამთავრებინე მე, რადგან ის ზედმეტ ნებას აძლევდა თავის ენას. მერე, ჩემდა გასაოცრად, ფრანგმა პროფესორმა ეტიენმა და მისმა ქალიშვილმა ლიზელოტამაც გამოსთქვეს თანხმობა, და გავყევით...

— აი, ეს კედელი,—გვიხსნის ამერიკელი...— კისაც დახვრეტას ეუსჯით, აქ ვაყენებთ, ერთს, ან რამდენიმეს ერთად. ჩამოსახრჩობად კი ამ ჭანგებს ვიყენებთ, კედელს რომ აქვს დატანებული... ესეც რადიო-ქსელია....

— რა? — იკითხა ისედაც გაფითრებულმა ეტიენმა.

— რადიოქსელი, — განაგრძო მშვიდად ოფიცერმა. — აქედან ხდება გადაცემა ვაშინგტონში, ნიუ-იორკში და ამერიკის სხვა ქალაქებში!

— რისი გადაცემა? — გაოცდა ეტიენი და სახეზე ახლა ლურჯმა ფერმა გადაჰკრა. ლიზელოტა კი (რომლის შესახებ მერე გიამბობთ) იდგა და ცბიერად იღიმებოდა...

— სიკვდილით დასჯის პროცესისა! — განმარტა ამერიკელმა.—ვისაც აინტერესებს დასახვრეტის, ან ჩამოსახრჩობის უკანასკნელი წამოძახილის მოსმენა, ან მათი სასიკვდილო აგონიის გაგონება, შეუძლია თავისივე სახლში მოუსმინოს. ამას რომელიღაც ფირმა განაგებს და დიდძალ შემოსავალსაც იღებს ამ საქმიდან...

ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ეტიენი შებრუნდა და ზურგი შეაქცია კედელს. ლიზელოტა კი ისევ ცბიერად იღიმებოდა... მერე მეც გამოვბრუნდი და პირდაპირ ტრიბუნას მოვკარი თვალი...

ოფიცერმა მაშინვე დაიწყო:

— ეს ტრიბუნა მაყურებლებისთვისაა, იმათთვის, ვისაც სიკვდილით დასჯის ყურება უნდა. ასეთი კი ბევრია. ზოგჯერ აქ ქალაქის ბურგომისტრიც მოდის თავისი მეუღლითა და ნაცნობებით... აი, აქ დადგებიან და უყურებენ.— გერმანელებს უყვართ ასეთი სანახაობა...

...ახლა ამან მეორე გერმანული ქალაქის ბურგომისტრის ამბავიც გამაგებინა, რაზედაც გენერალი ბრედლი წერს თავის მემუარებში. მან აიზენჰაუერი და გენერალი პატტონი წაიყვანა საკონცენტრაციო ბანაკის სანახავად, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ დაიკავეს მოკავშირეთა სატანკო რაწილებმა. მიუახლოვდნენ თუ არა ბანაკს, სიმყრალის საშინელი სუნი ეცათ, ორმოში ჩაყრილი გვამებიც ნახეს გახრწნილი, რომელთაც ჭია-ღუები ეხვეოდა, ძვალზე გადაკრულ გაყვითლებულ კანზე კი ტილები დაღოღავდნენ... მერე უფრო საშინელი სურათიც წარმოუდგათ გამყოლი ოფიცრის ნაამბობის მიხედვით... კუთხე ბანაკისა, სადაც პატარა ბავშვები მუცელგამოფატრულ გვამებიდან შიგნეულობას ეზიდებოდნენ და ღეჭავდნენ...

— აიზენჰაუერი ქაღალდივით იყო გათეთრებული, — წერს ბრედლი—პატტონი კი გვერდზე მიდგა და წააღებინა...

დიდხანს ვერ გაუძლეს ამ საშინელებას და წამოვიდნენ, თან განკარგულება გასცეს, იმ ქალაქის ბურგომისტრი და მოსახლეობა მოეყვანათ აქ და ეჩვენებინათ ეს ყველაფერი...

...ბურგომისტრი თავის მეუღლით მოვიდა ბანაკის დასათვალიერებლად, ნახეს კიდეც ყველაფერი... და შინ რომ დაბრუნდნენ, ვენები გადაიჭრეს...

მეორე დღეს ორივე აბაზანაში ნახეს მკვდარი...

აიზენჰაუერს უთქვამს ამაზე, „მადლობა ღმერთს, კიდევ დარჩენილან პატიოსანი გერმანელებიო“.

ის რადიოფიცირებული სასაკლაო კი მის „სამფლობელოში“ იყო მოწყობილი... ასეა, როცა ამერიკელი ბრალმდებლები ნიურნბერგში კაცთმოყვარეობასა და მშვიდობას იცავდნენ, ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ყუმბარები ააფეთქეს.

ცალთვალა მეფისტოფელი...

გონება იბნევა კეთილისა და ბოროტის ასეთ ერთიანობაში. ალბათ, ასეთივე ამღვრეული გონების შედეგია ახალი ბიბლიური ალეგორია ადამიანის წარმოშობის შესახებ. ამბობენ, რომ მის შექმნაში მარტო ღმერთს არ მიუღია მონაწილეობა — იყო სხვაც... ამ სხვაში „აზრთა გამგებლებმა“ შეიცნეს ბოროტი სული, ანუ დემონი. ამით ერთსახეობაც ორად იქცა, ისევ

იმ ერთის, ანუ ღვთაებრივის მოდუსით: ღმერთად და სატანად. მერე ეს აზრი ასე განვითარდა: თუ შემქმნელი ორია, შექმნილიც თავისშივე უნდა ატარებდეს როგორც ერთის, ისე მეორის თვისებებს, ე. ი. ადამიანი უნდა იყოს „ხატება ღმრთისა და სატანისა“. ამით ქრება კიდეც სიკეთის „ღვთაებრივი სისრულის“ ილუზია და ბოროტებაც ითხოვს თავის უფლებას ადამიანის მიმართ. მეტიც, ის თვით აყენებს სისრულის პრეტენზიას...

...ამაზე, თუ გახსოვთ, ვაჟაც მსჯელობს მოთხრობაში — „მოჩვენება“. როცა მას ეშმაკი გამოეცხადა „თავისი ცბიერი თვალებითა“ და „მქისე, საძაგელი შეხედულებით“, უნდოდა გაეგდო, მაგრამ ბოროტი სული როდი შეაკრთო ამან.

— არა, არ წავალ და ვერც შეგიძლია ძალით გამაგდო, — სთქვა მან — ენით, რაც გენებოს, ბრძანე. შენ მე იოტის ოდენად ვერ შემდრეკ, იმიტომ რომ მე მოუდრეკელი ვარ. მე როგორიც დავიბადე, ისეთი ვარ მუდამ წამს, მუდამ ჟამს, ყოველგვარ შემთხვევაში. სრულია ჩემი ბუნება მუდამ, არც დაიკლებს, არც მოიმატებს არასდროს. ამიტომ ამაოა სულ შენი რისხვა. შენი წყევლა და მუქარა“.

მერე კი, როცა „სიკეთის სახიერება“ გამოჩნდა „ის როგორც წინწელი ისე გაჰქრა თავგადაგლეჯილი. შორს ჰაერში ერთხელ კიდევ, მაგრამ უკანასკნელად გაისმა მისი გესლიანი ხითხითი. ის იყო და ის...

აღარც „სრული“ აღმოჩნდა და აღარც „მოუდრეკელი“.

ასეთია ვაჟას მიხედვით, სიკეთისა და ბოროტების განტოლება. მას სწამს სიკეთის გამარჯვებისა ბოროტებაზე. დასავლეთში კი მათ შორის იგივეობის ნიშანს სვამენ, ან ტოლფასოვან სიმძიმედ დებენ თემიდას სასწორზე...

...თომას მანი კი სულ სხვაგვარად მსჯელობს ამაზე. ეს განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან ამდენი მოარებით ლაპარაკის შემდეგ პირდაპირ გვაახლოებს ჰიტლერის ფსიქოლოგიურ პორტრეტთან...

„მე ღვთისმეტყველი არ გახლავართ, პატივცემულო, — ეუბნება რიმერი ლოტტეს — არც ფილოსოფოსი, მაგრამ ცხოვრების გამოცდილება მაიძულებს ხშირად ჩავუფიქრდე ყველაფერისა და არაფრის ერთიანობის საკითხს, nihil-ს და თუ ნებას მომცემთ ვიხმარო აქედან გამომდინარე საძაგელი სიტყვა, რაც განსაზღვრავს აზრისა და მსოფლმხედველობის მიმდინარეობას, მაშინ ამ ყოვლისმომცველ სულს, სრულიად სამართლიანად, შეგვიძლია ვუწოდოთ ნიჰილიზმი — რისგანაც წარმოიშობა მცდარობა ღმერთისა და დემონის აღქმის, როგორც ერთმანეთისადმი [illegible] პრინციპებისა, და რომ დემ[illegible] მხოლოდ მეორე მხარეა — თუმცა რატომ მეორე? — ღვთაებრივისა. დიახ, აბა როგორ? თუ ღმერთი ყველაფერია, ამით ის დემონიცაა და, ცხადია, რომ (გთხოვთ ამას დააკვირდეთ. მ. კ.) არ შეიძლება მიუახლოვდე ღმერთს ისე, თუ იმავე დროს არ მიუახლოვდები დემონს (ეშმაკს... სატანას...) შეიძლება ითქვას კიდეც, რომ მისი ერთი თვალიდან იყურება ზეცა და სიყვარული, ხოლო მეორედან — ყინულისებური უარყოფის და ყოვლის შემმუსვრელი გულგრილობის ჯოჯოხეთი“...

გახსოვთ, ალბათ, ჰიტლერი რომ ამბობდა „ყინულისებური გულგრილობით ვუახლოვდები ყველაფერსო“... თუმცა ამაზე შემდეგ, ახლა კი ისევ თომას მანის რიმერს მოვუსმინოთ:

— ...მაგრამ ორივე თვალი, ძვირფასო ქალბატონო, — სულერთია, შორს თუ ახლოს, მხოლოდ ერთ გამოსახულებას ხედავს. და აი სწორედ აქ მინდა დავსვა კითხვა: კაცმა რომ თქვას, რა ხედვაა ეს, რომელშიც ქრება შუღლი ეგზომ განსხვავებული თვალებისა? ახლავე გაგცემთ პასუხს თქვენც და ჩემს თავსაც: ეს არის ხედვა ხელოვნებისა, აბსოლუტური ხელოვნებისა, რომელიც ერთსა და იმავე დროსაა აბსოლუტური სიყვარულიც და აბსოლუტური მოსპობაც, ან გულგრილობა, რაც ნიშნავს ღვთაებრივ დემონურისადმი იმ საშინელ მიახლოებას, რასაც „სიდიადეს“ ვეძახით.

ასეთ ადამიანში, რიმერის აზრით, ის „შეცნობილი ადამიანური ორგვარობა“ ერთსა და იმავე დროს უკიდურესად გამახვილებულიცაა და მოხსნილიც. ამიტომაც ხვდებაო მას ორმაგი კურთხევა „ზემოდან ცისა და ქვემოდან ჯოჯოხეთის“, როგორც ეს ბიბლიაში წერია...

...სწორედ ეს არის ის, რისი განსახიერებაც ჰიტლერს სურდა. ჭეშმარიტებას ისიც ნიცშესავით „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ ეძებდა; უნდოდა ამ ორი დაპირისპირებული ცნების აბსორბირებით, ანუ ურთიერთშთანთქმით ერთი და სრულიად განსხვავებული გამოსახულება მიეღო. ამას ჩვეულებრივად არსებული ორის სუბლიმური ნახტომით შესაძლებელი მესამის მიღებას უწოდებენ. „ადამიანური ორგვარობაც“ აქეთკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, ე. ი. სიკეთისა (ვითომ გერმანელთა რასისათვის) და ბოროტების („დაბალი“ რასებისათვის) „ჯერ „უაღრესი გამძაფრებით“, ხოლო შემდეგ მათი მოხსნით შეექმნა ნაციონალ-სოციალისტური მსოფლიო იმპერია. ამისთვის ის თითქოს ერთსა და იმავე დროს „უახლოვდებოდა ღმერთსაც და ეშმაკსაც.“ აქედანვე გამომდინარეობდა მისი დაყინებული ანალოგიები ბიბ-

ლიურ ლეგენდებთან და სურვილი—შეექმნა არა მარტო ახალი მოძღვრება, არამედ რელიგიაც.

თუმცა, ყველაფერი ეს სურვილი იყო, სინამდვილე კი სულ სხვა „გამოსახულებას“ გვიჩვენებს. ჰიტლერი ორი თვალით (კეთილი და ბოროტი) კი არ უყურებდა ქვეყანას, არამედ ერთით—ბოროტით. მეორე თვალს შუბლზე ჩამოშლილი თმები ჰქონდა ჩამოფარებული. გოეთეს მეფისტოფელმაც ამიტომ დაიბრმავა ცალი თვალი, რომ ბოროტი განზრახვიდან კეთილი არ გამოსვლოდა.

ჰიტლერის „ორმაგობაც“ ასეთი ფიქცია იყო. იგი იმთავითვე დაადგა მხოლოდ ბოროტების გზას და ცალთვალა მეფისტოფელივით ქვეყნის გამოსახულებასაც ასე ხედავდა...

...„ზეშთაგონება“ და მონური რწმენა იყო მისი მოქმედების მეთოდი და არა აზროვნება, ან განსჯა. ჰიტლერი არ მსჯელობდა, არ კამათობდა, იგი მხოლოდ ქადაგებდა. არავის არ ჰქონდა უფლება საწინააღმდეგო აზრი გამოეთქვა, ან საკითხის სხვა რამ გადაწყვეტა შეეთავაზებინა. სამხედრო „თათბირებზეც“ გენერლების მხოლოდ მოხსენებებს ისმენდა ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ. მერე სულ თვითონ ლაპარაკობდა. ასეთმა მანერამ „თათბირები“ კი არა, რაიხსტაგის სხდომებიც, რასაც თვითონ „სულელური პარლამენტარიზმის სამარცხვინო ნაშთს“ უწოდებდა, სრულ პაროდიად გადააქცია.

უზარმაზარ, ყავისფერ დარბაზში შეიკრიბებოდნენ „დეპუტატები“ და უცდიდნენ ფიურერის გამოჩენას. ის კი ზუსტად დანიშნულ წუთს შემოვიდოდა „პრეზიდიუმის“ მოპირდაპირე კარებიდან, რომ მთელი დარბაზი გაევლო. ყველა ფეხზე დგებოდა და 10-15 წუთის განმავლობაში ღრიალებდნენ „ჰაილ ჰიტლერს“. ფიურერი რომაელი იმპერატორივით წინ ხელგაშვერილი გაივლიდა დარბაზს და პირდაპირ ტრიბუნაზე ავიდოდა. ორდენებითა და მედლებით გულ-მკერდდაფარული რაიხსტაგის თავმჯდომარე გერინგი გახსნიდა სხდომას და ჰიტლერი იწყებდა ქადაგებას. გავიდოდა ორი-სამი საათი... ის კი ისევ ოფლში გაღვარული იდგა ტრიბუნაზე. მერე, როგორც იქნებოდა, დაასრულებდა მოხსენებას და პირდაპირ გასასვლელისკენ გაემართებოდა. ფეხზე ამდგარი „დეპუტატები“ ისევ ერთი ათი წუთი იყვირებდნენ sieg heil-ს (გამარჯვების დიდება!), რის შემდეგაც გერინგი დახურავდა „რაიხსტაგის მორიგ სხდომას“.

სხვა არცერთი სიტყვა, არც ერთი გაამოსვლა. ან რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას, როცა ჰიტლერი სხვის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა, არა მარტო ასეთი სხდომების, არამედ უცხოეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან ოფიციალური შეხვედრების დროსაც.

ეს ისე დამახასიათებელია, რომ ერთი ან ორი ამგვარი ეპიზოდი უნდა [illegible]

1934 წელს შედგა ჰიტლერსა (ფიურერს) და მუსოლინის (დუჩეს) პირველი შეხვედრა. მუსოლინი მაშინ ფაშისტური მოძრაობის მამამთავრად ითვლებოდა და ჰიტლერს თავის მოწაფედ თვლიდა, ადრე ჰიტლერიც ყველაფერში მუსოლინს ბაძავდა. მასაც ისეთივე „ჯარისკაცის ტალახიანი ჩექმებით“ უნდოდა ბერლინზე გალაშქრება, როგორც მუსოლინმა გაილაშქრა რომის წინააღმდეგ. მერე თუ მუსოლინი „დუჩე“ იყო, ჰიტლერი „ფიურერი“ გახდა და თვითონაც იგდო ხელთ ძალა-უფლება.

ამის შემდეგ ჰიტლერი სულ სხვაგვარად ფიქრობდა. მას უნდოდა მუსოლინი თავის ვასალად ექცია. ამიტომ პირველ შეხვედრისთანავე ხუთი საათი თვითონ ილაპარაკა, ისე რომ გაოგნებულ დუჩეს ერთხელაც არ ამოაღებინა ხმა.

ასეთი იყო სხვა შეხვედრებიც. ამან ისე გააცოფა, მუსოლინი, რომ თავის სიძესა და საგარეო საქმეთა მინისტრს გრაფ გოლეაციცო ჩიანოს უთხრა:

„პირადად მე მეზიზღება ჰიტლერიც და მისი მანერებიც. ეს რა მოლაპარაკეებაა. ხუთი საათის განმავლობაში მე იძულებული ვარ ვუსმინო მის წარმოუდგენლად მოსაწყენსა და უსარგებლო მონოლოგებს“.

სულ გასაოცარი იყო მათი ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრაც:

ჰიტლერს გაუჭირდა აღმოსავლეთის ფრონტზე. შეტევებისა და წინსვლის უკანასკნელი იმედი გაქრა ე. წ. „კურსკის რკალთან“ უნაყოფო ოპერაციების ჩატარების შემდეგ; მუსოლინი კი უარეს დღეში იყო. ინგლისელებმა და ამერიკელებმა აიღეს ტუნისი და ბიზერტა, სადაც ასი ათასი იტალიელი ჯარისკაცი ტყვედ დანებდა მოწინააღმდეგეს. მერე კუნძული პანტელერიაც ისე დაიკავეს, რომ იტალიელებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ჩერჩილი ხუმრობს თავის მემუარებში, აქ ჩვენი დანაკლისი შედგებოდა ერთი ჯარისკაცისაგან, რომელსაც ჯორმა უკბინაო. კუნძულ ლამპედუზაზე კი მთელი იტალიური გარნიზონი ტყვედ ჩაბარდა ერთ ინგლისელ პილოტს, რომელიც იძულებული იყო თავისი დაზიანებული თვითმფრინავით დაშვებულიყო იქ.

მერე მოკავშირეები სიცილიაშიც ისე გადასხდნენ, რომ იტალიელებს წინაღმდეგობა არ გაუწევიათ. ყველაზე საიმედო ციხე-სიმაგრე „აუგუსტაც“ უბრძოლველად დანებდა მოკავშირეთა სადესანტო ნაწილებს. ამით გაცოფებულმა ჰიტლერმა ჯერ დეპეშით გამოლანძღა „თავისი მეგობარი“ მუსოლინი. მერე კი გა-

დაწყვიტა პირადადაც შეხვედროდა „იმ ჩვარ“ დუჩეს.

საწყალი დუჩე კი იმ დროს თვითონაც ვულკანზე იჯდა. ყველგან აჯანყებები და ომის საწინააღმდეგო გამოსვლები იმართებოდა. შეშინებული დიქტატორი უკვე დასავლეთელ მოწინააღმდეგეებთნ სეპარატულ ზავზეც ფიქრობდა... და ვინ იცის, რა მოხდებოდა, რომ ყოველივე ამით გაბოროტებულ ჰიტლერს გვერდზე არ გადაედო ადრინდელი მედიდურობა და თვითონ არ ხლებოდა დუჩეს იტალიაში.

ეს შეხვედრა ასეა აღწერილი მემუარულ ლიტერატურაში:

19 ივლისს დილის 9 საათისათვის, როცა ჰიტლერის პირადი თვითმფრინავი „კონდორი“ გამოჩნდა ვენეციის ახლო მდებარე ტრევიზოს აეროდრომზე, მუსოლინი და მისი თანმხლები პირები უკვე იქ იცდიდნენ. თვითმფრინავმა აეროდრომის თავზე დაიწყო ტრიალი, მაგრამ დაშვებას აყოვნებდა. შემხვედრები გაოცებით იყურებოდნენ ცაში... შეშფოთებულიც იყვნენ, ხომ არ დაზიანდაო, მაგრამ გერმანიის ელჩმა იტალიაში ფონ მაკენზენმა საათს დახედა და სთქვა:

— ნუ ღელავთ, ბატონებო, ჰიტლერი აეროდრომზე უნდა დაეშვას ზუსტად 9 საათზე, ახლა კი ცხრას სამი წუთი აკლია!

ისინი ვილლა „გაჯიაში“ შეხვდნენ ერთმანეთს მრგვალ მაგიდასთან. მანამდე ჰიტლერმა განაცხადა, რომ დაგეგმილი სამდღიანი ვიზიტის ნაცვლად, მას შეუძლია მხოლოდ რამდენიმე საათი დარჩეს იტალიაში. მერე, ჩვეულებისამებრ, თვითონ მოხსნა გუდას თავი და დაიწყო... გავიდა ერთი საათი... ორი... ის კი ისევ შეუწყვეტლად ლაპარაკობდა... ასეთ მონოლოგებს მიჩვეული მუსოლინი ამ შემთხვევაში ნასიამოვნებიც იყო — იჯდა და სულ არ უგდებდა ყურს მის ლაპარაკს. უხაროდა, რომ მას ხმის ამოღებას არ აცლიდნენ, რადგან სასიკეთო არაფერი ჰქონდა სათქმელი... ჰიტლერი კი ილანძღებოდა... იტალიელი ჯარისკაცები ლაჩრები არიან, ომი არ უნდათ, პოზიციებს უბრძოლველად თმობენო და სხვა ასეთი... მუსოლინი კი ამ დროს იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი ამ „გიჟი ეფრეიტორის“ კლანჭებიდან. მერე მისი პირადი მდივანი ჩეზარე შემოვიდა და ყურში უჩურჩულა, მოკავშირეები რომს ბომბავენო.

მუსოლინს ხასიათი გაუფუჭდა. ჰიტლერი კი ისევ განაგრძობდა ქადაგებას. უკვე დღის პირველი საათი იყო... ლაპარაკი კი მან დილის 11 საათზე დაიწყო... ახლა მისი ერთ-ერთი ადიუტანტთაგანი გამოჩნდა და იმანაც ყურში უჩურჩულა, საუზმის დროაო. ფიურერმა მაშინვე შეწყვიტა ლაპარაკი.

საუზმის დროს მუსოლინსაც მიეცა ხმის ამოღების საშუალება, მაგრამ ჰიტლერი არც აქ აცლიდა, უყვიროდა, მაგიდაზე მუშტებს აბრახუნებდა; მერე დუჩემაც აუწია ხმას... მაგრამ ფიურერმა მაინც დაიჭირა ხმა.

შემდეგ, როცა მანქანით ... მართებოდნენ, ჰიტლერმა ურჩია მუსოლინს კლემანსოსთვის მიებაძა და ჯარის ნაწილებში, სადაც ომის საწინააღმდეგო განწყობილება ვრცელდებოდა, დაეხვრიტა ყოველი მეათე ჯარისკაცი და დამუქრებოდა ოფიცრებს, რომ მათაც ასე მოექცეოდნენ.

— კი მაგრამ, ყველას ხომ ვერ დახვრეტთ! — შებედა მუსოლინიმ.

ჰიტლერი ისევ გაცოფდა.

— დუჩე! — იყვირა მან, — გაისსენეთ, რას ამბობდა ზარასტუსტრა: „ზეადამიანი ხალხთა ტანჯვაზე მაღლა უნდა იდგეს. მხოლოდ მაშინ შეასრულებს ის თავის მისიას...“

მერე მუსოლინს მიუბრუნდა და მიაგესლა:

— ნუ ხართ, ბოლოს და ბოლოს, ასეთი ჩვარი!

დუჩემ ეს შეურაცხყოფაც გადაყლაპა და ჩაიბურტყუნა:

— დიახ, ჩემო ფიურერ!

ჰიტლერი რომ გაფრინდა, ამბობენ, მუსოლინი კიდევ ერთხანს იდგა აეროდრომზე იმპერატორივით ხელგაშვერილიო.

ამით დასრულდა ფიურერისა და დუჩეს „ისტორიული მოლაპარაკება“ 1943 წლის 19 ივლისს.

ფიურერი ისევ სიმტკიცისა და ზეადამიანობისკენ მოუწოდებდა, ის კი ისეთ საშინელ პერსპექტივებს ხედავდა რომ ზარატუსტრას ქადაგება რას უშველიდა...

რამდენიმე ხნის შემდეგ როცა პატივაყრილი და დაპატიმრებული მუსოლინი გემ „პერსეფონით“ რომელიღაც კუნძულზე მიიყვანეს, კარაბინერებმა ჰიტლერისაგან გამოგზავნილი დაბადების დღის საჩუქარი შემოუტანეს. ყოფილმა დუჩემ სასწრაფოდ გახსნა ყუთი და გაოცებისაგან ყბები აუცახცახდა:

მის წინ ნიცშეს თხზულებათა სრული კრებული იდო.

....ამ მცირე გადახვევის შემდეგ, მე ისევ იმ კითხვას ვუბრუნდები: როგორ მოხდა, რომ გერმანელი ხალხის დიდმა ნაწილმა ჰიტლერის სახით ეშმაკს, ანუ იმ ცალთვალა მეფისტოფელს მიჰყიდა სული, და ამდენი უბედურება დაატეხა კაცობრიობას?..

მეშვიდე ეშმაკი...

ეს იყო მიუნჰენში, 1919 წლის 12 სექტემბერს. ძველი გუთური სტილის უზარმაზარ, ნაცრისფერ შენობის ნესტიან სარდაფში ჩა-

ვიდა საშუალო ტანის ჯარისკაცი, რომელსაც რაიპსვერის გახუნებული ფორმა და ტალახში ამოსვრილი ჩექმები ეცვა, თავზეც გაქექილი კაკარდიანი ქუდი ეხურა, რაც კიდევ უფრო უცნაურ გამომეტყველებას აძლევდა მას. ცუდი მხეცველობა ჰქონდა და კედლებზე ხელების უათურით მიიკვლევდა გზას დერეფანში. მერე როგორც იქნა, მიაგნო კარებს, ფრთხილად შეაღო და მბეუტავი ლამფით ოდნავ განათებულ ოთახში შევიდა. იქ ხის უბრალო მაგიდასთან ხუთი კაცი იჯდა და რაღაცაზე გაცხარებით კამათობდა, მაგრამ უცნობი რომ დაინახეს, გაჩერდნენ და ცნობისმოყვარედ დაუწყეს მას თვალიერება.

— ვინ გნებავთ? — ჰკითხა ბოლოს ერთმა მათგანმა.

— ანტონ დრექსლერი! — რაღაც უცნაურად ხრინწიანი ხმით მიუგო ახალმოსულმა.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ეფრეიტორი ადოლფ ჰიტლერი!—წამოიძახა მან და ისე გაიჭიმა, თითქოს გენერლების წინაშე მდგარიყო.

გამოირკვა, რომ ამ ჯგუფის ხელმძღვანელს, ანტონ დრექსლერს დაებარებინა ის „გერმანიის მუშათა პარტიის“ სხდომაზე. ამ „პარტიაში“ მაშინ სულ ექვსი წევრი იყო. შემდეგ თვითონ დრექსლერიც მოვიდა და მისი რეკომენდაციით ადოლფ ჰიტლერი მიიღეს პარტიის მეშვიდე წევრად...

მერე ვიღაცამ იხუმრა კიდეც: ჯოჯოხეთს სწორედ მეშვიდე ეშმაკი აკლდა და ისიც მიემატაო...

..„იმ დღეს მე გადავწყვიტე პოლიტიკური მოღვაწე გავმხდარიყავი“ — წერდა შემდეგ ჰიტლერი. მის „ღვთაებრივ მოვლინების“ თარიღადაც ის დღე მიაჩნდა და ბოროტი შვიდიც“ შვიდ ანგელოზად წარმოიდგინა. თუ ჩვენც ასე ალეგორიებით ვილაპარაკებთ, ნაცისტური პარტიის ის შვიდწევრიანი უჯრედი მართლაც „შვიდთავიან ვეშაპად“ მოევლინა პირველად გერმანიას, როგორც „იოანე მახარებლის გამოცხადებაში“ წერია: „...და, აჰა, ვეშაპი ცეცხლისა დიდი, რომელსა ედგნენ თავნი შვიდნი და რქანი ათნი, და თავსა ზედა მისთა შვიდნი გვირგვინნი, სახელნი გმობისანნი“.

ჰიტლერი თვითონ ცდილობდა საკუთარი პიროვნება ასეთ ბიბლიურ ბურუსში გაეხვია: უნდოდა მისი „ღვთაებრივი მოვლინებაც“ ამ ქვეყნად იმ იოანე მახარებლის გამოცხადებისათვის შეედარებინა. „ჩვენ ყველანი იოანე მახარებლები ვართ, მე ვუცდი ქრისტეს მოსვლასო“, — ამბობდა ის. ერთხელაც, შეთქმულებაში მონაწილეობისათვის ციხეში რომ ჩასვეს, მსაჯულებს განუცხადა: „ორი ათასი წლის წინათ ერთი ვინმე წამებულიც ასევე იქნა ჯურღმულში ჩასმული და ისიც იმ რასის წარმომადგენლების მიერ, ვინც ახლა მე ციხეში!“

ეს „ერთი ვინმე“ იოანე მახარებელი იყო, „ის რასა“ კი — იუდეველთა მოდგმა.

თხრობას ჰიტლერელების შესახებ, მეც ამ ბიბლიურ ლეგენდას დავუდებ საფუძვლად და ვნახავთ, რა საოცრად აუხდება იმ „შვიდთავიან ვეშაპს“ ალეგორია „გამოცხადებისა წმიდისა მახარებლისა და წინაჲსწარმეტყველისა იოანესი“...

...ნიცშეს უთქვამს, „შვიდი ეშმაკისაგან ერთი ღმერთი არ გამოვაო“, არც იმ შვიდთავიან ვეშაპისგან გამოსულა ერთი მახარებელი. ჰიტლერი კი მაინც კისრულობდა ამ როლს, „მე ვანგებამ იმიტომ გამომგზავნაო“... ამბობდა ხოლმე ის მორიგი ქადაგების წინ და, მართლაც, მახარებელივით ცხადდებოდა, ბრბოს წინაშე. პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის პირველ დღიდანვე ის რაღაც დიდსა და შეუძლებელს პირდებოდა ხალხს, ადიდებდა გერმანელთა არიული რასის უფლებებს, ხოლო სხვებს, „მდაბალთა და უღირსთ“, განადგურებით ემუქრებოდა.

— ვინც მე წინ აღმიდგება, გავსრეს, მოვსპობ! — გაჰკიოდა ის ნაცისტების შეკრებებზე და ტევტონური ენინთ აღვივებდა მათში მხეცურ ინსტინქტებს ან როგორც ის იოანე მახარებელი ამბობს: „იტყოდის ხატი მხეცისა და მის, და ქმნას ყოველნი, რომელთა არა თაყვანი სცენ ხატსა მხეცისასა, მოიკლნენ“.

ჰიტლერმაც ასეთი თაყვანისცემა მოითხოვა იმ „შვიდთავიანი ვეშაპის“ დანარჩენ ექვსი თავისაგან და მიაღწია კიდეც. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ამ შვიდკაცისაგან შემდგარ უჯრედს რატომღაც, „გერმანიის მუშათა ნაციონალ-სოციალისტური პარტია“ უწოდა და გახდა მისი პირველი თავმჯდომარე ანუ იმთავითვე დაიდგა „თავსა თვისსა ზედა გვირგვინი გმობისა“...

...ასე დაიწყო ნაცისტური მოძრაობა გერმანიაში. ჰიტლერი მაშინ ოცდაათი წლის იყო. მას არც სახსრები გააჩნდა ცხოვრებისა და არც საზოგადოებრივი მდგომარეობა. ადრე ავსტრიაში ცხოვრობდა, სადაც მამამისი საბაჟოს უბრალო მოხელედ მუშაობდა. მისი ნამდვილი გვარი იყო არა ჰიტლერი, არამედ შიკლგრუბერი, რაც იმ დროს ყველაზე სასაცილო გვარად ითვლებოდა ავსტრიაში. იუმორისტები ჩვეულებრივად „შიკლგრუბერებს“ არქმევდნენ თავიანთ კომიკურ პერსონაჟებს. ამის საბაბს თვით ამ გვარის ეტიმოლოგია იძლეოდა. „შიკლგრუბერ“ გერმანულად ნეხვის ხოჭოს ჰქვია, ჩვენებურად ფუნაგორიას რომ ეძახიან. არის

ამაში რაღაც სიმბოლურიც: ადოლფ შიკლგრუბერმაც ასევე ააგორა ჭუჭყი გერმანიის ტანზე და მანამ აგუნდავა, ვიდრე ზვავივათ ქვეშ არ მოიქცია ის და მისი „ათასწლოვანი იმპერიაც“...

მეზობლებისა და ნაცნობების დაცინვით თავმობეზრებულმა მამამ ეს ყბადაღებული გვარი „შიკლგრუბერი“, „ჰიტლერად“ გადააკეთებინა. შემდეგში ჰიტლერის მიმდევრები სიამოვნებით აღნიშნავდნენ ამ ფაქტს, ირონიულად განწყობილნი კი ოხუნჯობდნენ, გვარი რომ არ გამოეცვალა, ვერც ფიურერი გახდებოდაო; ვერც წარმოედგინათ „შიკლგრუბერი“ როგორ უნდა ყოფილიყო პარტიისა და სახელმწიფოს მეთაური...

ან მის მომხრეებს როგორ უნდა ეყვირათ: „ჰაილ შიკლგრუბერ!“ დიდება ნეხვის ხოჭოსო!

ჰიტლერს არც სახელი ჰქონდა საკუთარი. ადოლფი მის ძმას ერქვა, რომელიც ჭკუანაკლულობის გამო გაათავისუფლეს სამხედრო სამსახურიდან. მერე მისი პასპორტი ძმამ რობერტმა მიისაკუთრა ამავე მიზნით, ამის შედეგად რობერტ შიკლგრუბერი ადოლფ ჰიტლერად იქცა. ერთხელ ლანდსბერგის ციხეში ჩასმულ ფიურერის (რობერტის) სანახავად ჩამოვიდა მისი ძმა და გაოცებულ მცველებს განუცხადა მე ადოლფ ჰიტლერი ვარო. მოიერიშეებმა მას ფული მისცეს და მიმალეს. მერე ჰიტლერიც ამბობდა: „ხალხმა არ უნდა იცოდეს ვინა ვარ მე, საიდან წარმოვიშვი, ან რომელ ოჯახს ვეკუთვნი“. ალბათ იმიტომ, რომ ღვთისაგან მოვლენილ მესიად გამოეცხადებინა თავი!!... ყველაფერი კი გამოირკვა და მის ბნელით მოსილ წარსულსაც აეხადა ფარდა...

ცნობილია, რომ ჰიტლერის მამას იმთავითვე ხელი ჰქონდა ჩაქნეული თავის „უტვინო შვილზე“. სულ იმას იძახდა, ამისგან კაცი არ გამოვაო. ერთხელ მაინც სცადა სწავლა-განათლება მიეღებინებინა და ქ. ლინცის გიმნაზიაშიც მიაბარა, მაგრამ არაფერი არ გამოვიდა; ვერ ისწავლა, სავალდებულო საგნები ვერ ჩააბარა და გარიცხეს. შემდეგ თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში კი წერდა, „გიმნაზიაში იმიტომ ვერ ვისწავლე, რომ მინდოდა მხატვარი გამოვსულიყავიო“. არც მხატვარი გამოვიდა .ყველაფერში ხელმოცარული იყო. ერთხანს მოხელეობაზეც ოცნებობდა, ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მამის კაკარდიანი ქუდი მოსწონდა. მერე, როცა ნაცისტური პარტიის მეთაური გახდა, სწორედ ასეთი კაკარდიანი ქუდები დაახურა თავის მოიერიშეებს. თვითონ ჰიტლერის სურათებიც გინახავთ, ალბათ, ცხვირზე ჩამოფხატული კაკარდიანი ქუდით.

მშობლები რომ დაეხოცა მეურნეობას ვერ გაუძღვა, ყველაფერი გააჩანაგა და [illegible] მწყურვალი. ისე კი ამაყი იყო, [illegible] ნიით შეპყრობილი, რის გამოც მეგობრები ხუმრობით „გაკოტრებულ გენიოსს“, (verbummeltes Genie) ეძახდნენ.

ჰიტლერი კი ისევ მხატვრობაზე ოცნებობდა. მერე უნდოდა არქიტექტორი გამოსულიყო, მაგრამ საამისო არც ნიჭი ჰქონდა და არც საშუალება, მიუხედავად ამისა, ვენის სამხატვრო აკადემიაში სცადა შესვლა, მაგრამ არ მიიღეს, რადგან სიმწიფის ატესტატი არ ჰქონდა. დირექტორმა ისიც უთხრა, მხატვრობის ნიჭი არა გაქვსო და ურჩია სხვა საქმისათვის მოეკიდა ხელი.

მხატვრობისაგან რომ არაფერი გამოვიდა, მიუნჰენში გადასახლდა, სადაც დამხმარე მუშის ადგილი იშოვნა მშენებლობაზე. მართალია, ეს შეურაცხყოფდა მის ოცნებებს, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა არსებობის სხვა საშუალება არ გააჩნდა. ბედმა მხოლოდ ის არგუნა, რომ აგურსა და ქვითკირს ეზიდებოდა. საკვირველი ისაა, რომ ამ უბრალო სამუშაოზედაც ვერ მოიკიდა უეხი, მუშებს თავი შეაძულა ჯაშუშობით და გააძევეს მშენებლობიდან. მერე, როგორც იქნა, მღებავად მოეწყო.

ეს იყო და ეს მთელი მისი „სამხატვრო კარიერა“.

ხვალინდელი დღის კეისარი...

პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო, ჰიტლერი ბავარიის მეცამეტე სარეზერვო ლეგიონში ჩაეწერა მოხალისედ, რითაც ერთი სურვილი მაინც შეისრულა: კაკარდიანი ქუდი დაიხურა. მერე რამდენჯერმე დაიჭრა, ვითომ რკინის ჯვარიც მიიღო, მაგრამ ჯანმრთელობა შეერყა, ერთხანს მხედველობაც ჰქონდა დაკარგული, მერე გონებაც აერია. ამბობდნენ, ბნედა პირველად პომერანიაში მოუვიდაო, პაზევალკის ლაზარეთში. ამან კიდევ უფრო გააუარესა მისი მდგომარეობა.

ომის დამთავრების შემდეგ კი ნახევრად ინვალიდი ჰიტლერი სულ ქუჩაში დარჩა, როგორც მაწანწალა. ილუზიები დაიმსხვრა; არც სამხედრო წოდება, არც მხატვრობა და არც არქიტექტურა, არაფერი, გარდა ეფრეიტორის კაკარდიანი ქუდისა. ამან კიდევ უფრო გააბოროტა. მუშტებშეკუმშული დაძრწოდა მიუნჰენის ქუჩებში და ბუდიდან გადმოცვენილი თვალებით მისჩერებოდა ქვეყანას. ზიზღი და შურისძიება გამოიხატებოდა მის თვალებში. სძულდა რესპუბლიკური გერმანია და არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა მის წინააღმდეგ, თვით ჯაშუშობასაც კი. ერთხელ დაიჭირეს და დახვრეტა გადაწყვიტეს, მაგრამ მერე როგორღაც აპატიეს. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მიუნჰენის პოლიციას დაუკავშირდა, სა-

დაც გაეცნო კონტრდაზვერვის უფროსს, ერნსტ რემს, რომელმაც შემდეგ დიდი როლი ითამაშა ნაცისტურ მოძრაობაში. ჰიტლერი მონაწილეობას იღებდა საგამომძიებლო კომისიაში და საბრალმდებლო აქტებს ადგენდა ე. წ. „შურისძიების კომიტეტში“. აქ კი გამოიჩინა უნარი. აქვე შეითვისა „გრძელი დანების პოლიტიკა“ და განიცადა „ზურგში მახვილის დარტყმის პირველი სიხარული“. თვითონაც უთქვამს, რომ სიამოვნებდა იმათი ჩაქოლვა, „ვინც იბრძოდა, მაგრამ დამარცხდა“, უფროსებმაც წააქეზეს ამ სამარცხვინო საქმეზე, დააფასეს კიდეც მისი გულმოდგინება და დააწინაურეს. ამ საქმეში მას დიდი მფარველობა გაუწია რაიჰსვერის ოფიცერმა ერნსტ რემმა, მერე „ბავარიის დიქტატორმა“ კარმაც შეუწყო ხელი.

ჰიტლერი ამ დროს რაიჰსვერის მეორე ლეგიონში მსახურობდა. მეთაურებმა შენიშნეს „ბევრი ლაპარაკი რომ უყვარდა“ და პროპაგანდისტების კურსებზე გაგზავნეს. აი, აქ კი იპოვა მან თავის თავი და მოწოდება, მონდომესაც გამოიჩინა. ბევრს კითხულობდა, მომეტებულად ჰაუსჰოფერისა და ფედერის წიგნებს. მათგანვე შეისწავლა გეოპოლიტიკური მოძღვრება „პროცენტული მონობისა“ და იმ „სასურველი შეფარდების“ შესახებ, რაზედაც ადრე გვქონდა ლაპარაკი. მერე ანტისემიტურ გამოსვლებითაც გაითქვა სახელი. დიდი ხნის დაგუბებული ბოღმა ქმნიდა ამ გამოსვლების პათოსს. ამბობდნენ კიდეც, ის კარგი ორატორი იყოო. „გერმანული გაგებითო“, უმატებდა ზოგი. მოწინააღმდეგეები კი ხელს ჩაიქნევდნენ ხოლმე და ამბობდნენ — ტყუილა პირს ქარავს თორემ მაგის ლაპარაკს რა ჭკუა აქვსო.

ასეა, თუ ისე, თანდათან ყველასათვის აშკარა გახდა, რომ სწორედ ტრიბუნა იყო მისი მოწოდება.

ისტერიული ლაპარაკი იცოდა, უფრო პათეტიური, ვიდრე ლოგიკური. თვითონ ამბობდა— ელვის და ქუხილის ენით უნდა ველაპარაკო მიძინებულთ და მოდუნებულთო. ამით ისევ იოანე მახარებლის „შვიდი ქუხილის“ ენიო გამოცხადების ასოციაციას ქმნიდა და ყოველ ქადაგებას წინასწარმეტყველურ სახეს აძლევდა.

საოცარი მეხსიერება ჰქონდა. სად რას წაიკითხავდა, ყველაფერი ახსოვდა. ერთხელ წაკითხულს ციტატებად იმეორებდა, არც ისე ზუსტად, მაგრამ მაინც. რაც დრო გადიოდა, ომში დამარცხებული და დამცირებული ნაციონალისტები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენდნენ მის პაროქსისტულ ქადაგებისადმი. გულს იფხანდნენ, თორემ სერიოზულად მაინც არავინ თვლიდა ამ „ბნედიანი ეფრეიტორის“ ყვირილს.

მერე ვერსალის ზავითა და „დიდი გერმანიის“ იდეების დამარცხებით უკმაყოფილონი აყენენ ჰიტლერის დემაგოგიას. ის კი სულ ენად გადაიქცა. დღეში რამდენიმე მიტინგზე გამოდიოდა, თვალებს ზეცისკენ აღაპყრობდა, გულხელს დაიკრეფდა და იწყებდა [illegible] ლაპარაკს.

ოტტო შტრასსერი წერს: „ჰიტლერი შედის დარბაზში. ყნოსავს ჰაერს. თვალებს აქეთ იქეთ აცეცებს. ეცნობა აუდიტორიას... და ქადაგებს — პიროვნებას უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გერმანელები უნდა გაერთიანდნენ და თავიანთი ინტერესები დაუმორჩილონ საერთო მიზნებს...

მეორე დღეს კი სხვა აუდიტორიაში სულ საწინააღმდეგოს ამბობს: — ცალკეულ პიროვნებათა ღვაწლი ააღორძინებს ერს. მასსა ბრმაა და ბრიყვი. ყველა ჩვენგანი ბელადია. ასეთ ბელადებისაგან შედგება გერმანია...“

ესენიც უჯერებდნენ და ისინიც!...

ისტორიული სიტუაციაც ხელს უწყობდა. გერმანიას იმ დროს ეკონომიური კრიზისი ახრჩობდა. მილიონობით ადამიანები უმუშევრად იყვნენ დარჩენილნი. ინფლაციის შედეგად მუშამოსამსახურეთა რეალური ხელფასი კატასტროფიულად დაეცა. ომში დამარცხებამ და ვერსალის დამამცირებელმა ზავმა ბევრი უკმაყოფილო და შეურაცხყოფილი დასტოვა. რაიჰსვერი ძველებური არმიის აღორძინებაზე ფიქრობდა. გადაყენებული სამხედროები ჩუმად ლესავდნენ იარაღს, მრეწველები ახალი ქარხნების გახსნასა და სამხედრო შეკვეთებზე ოცნებობდნენ, მილიტარისტები — რევანშისტულ ომზე. გაღატაკებული წვრილი ბურჟუაზია „ძლიერ სახელმწიფოში“ ეძებდა ხსნას, უმუშევრები სამუშაოს თხოულობდნენ. ყველა უკმაყოფილო იყო და ყველა რაღაცას მოელოდა...

ამ დროს ისევ იმ ბიბლიური შვიდი საყვირის ალეგორიული მნიშვნელობით გატაცებული ჰიტლერი, რომელიც თავის თავს „ეროვნულ მესაყვირეს“ უწოდებდა, მართლაც, იმ საყვირების ხმით გაჰყვიროდა ნაციონალურ აღორძინებაზე, ვერსალის სამარცხვინო ზავის გაუქმებაზე, სახალხო ძალების რასიულ გაერთიანებაზე. მან იცოდა, როგორ დაემყარებინა კონტაქტი უკმაყოფილო გერმანელებთან; იმასაც ამბობდნენ, ენის წვერით გრძნობდაო სიტუაციას... და, მართლაც, თავის გამოსვლებს ყოველთვის აუდიტორიის ინტერესებს უმორჩილებდა; კარგად იცოდა, ვის რა აწუხებდა, რაზე ოცნებობდა, და ყველას ყველაფერს პირდებოდა; უმუშევრებს — სამუშაოს, მრეწველებს — სამხედრო შეკვეთებს, ფინანსისტებს — ფულის კურსის განმტკიცებას, მილიტარისტებს — რევანშისტულ ომს, მუშებსა და გლეხებს — სოციალიზმს, ნაციონალისტებს — ნაციონალიზმს, ყველასათვის შესაფერ ლოზუნგს არჩევდა და ყველას იმედს აძლევდა.

დემაგოგია, უტიფრობა, სიყალბე — მუდამ ხელთ ჰქონდა, არაფრის წინაშე უკან არ იხევდა, ყველაფერს აშკარად ამბობდა, არც თვითრეკლამას ერიდებოდა, თავი ერისთვის წამებულად მოჰქონდა — ავადმყოფი, მრავალჯერ დაჭრილი და დანაპიტიმრები, შხამიანი გაზით მოწამლული თავდადებული ფანატიკოსი, რომელმაც არ იცის პირადი ცხოვრება — ოჯახი ცოლი, შვილი და სხვა ასეთი.

იგი ქადაგებდა ეროვნულ ძლიერებას, საარსებო ტერიტორიების გაფართოებას, კოლონიების დაპყრობას, „მაძღარ სადილსა და მხიარულ ცხოვრებას...“

...ბისმარკს უთქვამს, ვისაც შეპირება შეუძლია, გამარჯვებაც იმას დარჩებაო. ასეც მოხდა. გერმანელი ბიურგერის ბუნებამ ვერ გაუძლო ამდენ დაპირებებს და ისევ გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, აჰყვა „ნებისმიერ ვიგინდარას“, რომელიც მის „ქვენა გრძნობებზე თამაშობდა“.

ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდობას, რომელიც გაბრუებული იყო ამ „ხვალინდელი დღის კეისრის“ „პატრიოტული“ ლოზუნგებით; მოსწონდათ ეს ნახევრად გასამხედროებული ყოფა: ყავისფერი ფორმა, აღლუმები, დაფდაფები და შოვინისტური სიმღერები; დაიჯერეს კიდეც, რომ ყველაზე ძლიერები არიან, ყველაზე უკეთესნი, მსოფლიოს მომავალი მმართველები, ცისფერთვალებიანი, ქერა არიელები — ძლიერი ყბებითა და მოქნილი სხეულით...

სხვა ყველანი მონებიაო, არასრულყოფილნი, მსახურნი თავიანთი არიელი ბატონებისა.

„ჩვენ აღვზრდით ახალგაზრდობას, რომლის წინაშე შეძრწუნდება კაცობრიობა, — გაჰკიოდა ჰიტლერი. — ახალგაზრდობას, მკაცრს, მომთხოვნს, სასტიკს. მე მინდა, რომ მათ ჰქონდეთ ყველა ეს თვისება. ისინი უნდა იყვნენ გულგრილნი სხვათა ტანჯვისადმი, მათში არ უნდა იყოს არავითარი სისუსტე და სიფაქიზე. მე მინდა იმათ თვალებში ვხედავდე მტაცებელი ცხოველის ელვას“...

...დიდია ასეთი დემაგოგიური ცდუნების ძალა, მით უმეტეს, ისეთ გაჩანაგებულ და გაპარტახებულ ქვეყანაში, როგორიც მაშინ გერმანია იყო... და ეშმაკი დაეუფლა მათ გონებას.

შემდეგში, ნიურნბერგის პროცესზე, ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა ყოველივე ამას „ბრბოს ფსიქოლოგიის გამოყენება და მისი დანაშაულებრივი მართვა უწოდა“. ჰიტლერული ახალგაზრდობის ყოფილმა ფიურერმა, ბალდურ ფონ შირახმა კი, რომელიც ჰიტლერის წიგნს ლოცვანივით აზეპირებინებდა ახალგაზრდობას, პროცესზე აღიარა:

„ჩემი დანაშაული ისაა, და მე ამისთვის პასუხს ვაგებ, როგორც ღმერთის, ისე გერმანელი ხალხის წინაშე, რომ აღვზარდე ახალგაზრდობა ადამიანისათვის, რომელიც იყო მკვლელი და რომელმაც დაღუპა მილიონობით ხალხი... ყოველი გერმანელი, რომელიც, ოსვენციმის შემდეგ რასიულ პოლიტიკას გაიზიარებს — დამნაშავეა“.

ეს დაგვიანებული მონანიებაც დამახასიათებელია; მანამდე ყველა ერთად მოქმედებდა, ერთსულოვნად, როგორც შეთქმულნი კაცობრიობისა და მშვიდობის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებით, მათი დანაშაული კვალიფიცირებული იქნა როგორც „შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ“. ტრიბუნალი შეუდგა იმის განხილვას, ჰქონდა თუ არა ადგილი ასეთ შეთქმულებას. ბრალდებას დასჭირდა ამ ტერმინის წმიდა იურიდიული შინაარსის განმარტებაც. საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ თქვა:

„შეთქმულება გულისხმობს დანაშაულებრივ გაერთიანებას, შექმნილსა და მოქმედს საერთო დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად“.

ნაცისტური მოძრაობის მთელი ისტორია ამტკიცებს ამ დებულების ფაქტიურ სისწორეს...

ღვთის კრავი...

შეთქმულება სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ჰიტლერი მიღებული იქნა დრექსლერის „მუშათა პარტის“ მეშვიდე წევრად. იმ „ბოროტი შვიდის“ ალეგორიაც მაშინ შევიდა ძალაში. შვიდი ეშმაკისა და შვიდი ცოდვის ბიბლიური ლეგენდაც აქედანვე იწყებს თავის ცხადყოფას სინამდვილეში. იგი ისევ იმ იოანე მახარებლის ქადაგებას უკავშირდება „ღვთის კრავის“ შესახებ, რომელსაც „აქუნდეს შვიდნი რქანი და შვიდნი თუალნი, რომელნი არიან შვიდნი იგი სულნი ღმრთისანნი“.

ჰიტლერსაც ისევე უნდოდა საკუთარი პიროვნება წარმოედგინა „ღმრთის შვიდ სულად... რომელნი მოივლინებიან ყოველსა ქვეყანასა... და ღირს იქნებიან ძალისა და სიძლიერისა და სიბრძნისა და პატივისა და დიდებისა და კურთხევისა“.

ეს ანალოგია „ბოროტ მეშვიდე“ — ჰიტლერსა და იმ შვიდრქიანსა თუ შვიდთვალებიან „ღვთის კრავის“ მრისხანებასთან შემთხვევითი რომ არ არის, თვითონ ჰიტლერის მოქმედებიდანაც სჩანს. იგი დაჟინებით ეტმასნებოდა ბიბლიური ღვთის კრავის ამ საოცარ სიმბოლიკას. ამიტომაც ამბობდა კლასიკური ხე-

ლოვნების შედეგრთა შორის, ყველაზე უფრო ცნობილი სურათი „ღვთის კრავი“ მომწონსო. ომი რომ დაიწყო, მანამ ვერ მოისვენა, ვიდრე ბელგიის რომელიღაც მუზეუმიდან არ მოატაცებინა ეს სურათი და თვითონ არ დაიკიდა, როგორც მისივე მეორის სიმბოლიური ხატი.

ერთხელ ასეთი საოცარი ამბავიც მოხდა: როცა ნაცისტები ავსტრიას შეესივნენ, ჰიტლერი არმიის მოწინავე მოტო-მექანიზებულ ნაწილებს მიჰყვებოდა, რომ პირველი შესულიყო ვენაში. გზად, შესკენების დროს, წინდაუხედავმა მზარეულებმა შემწვარი კრავი მიართვეს სადილად. ვეგეტერიანელი ჰიტლერი გაცოფდა. იმდენი იყვირა, რომ ბოლოს ისტერიამ მოუარა. ცრუმორწმუნე იყო და განგების ცუდ ნიშნად მიიღო მზარეულების ეს შეცდომა. მერე, სარდლების დაჟინებითი თხოვნა რომ არა, სულაც უკან აპირებდა თავის ჯარებიანად გაბრუნებას; ეშინოდა, იოანე მახარებლის წინასწარმეტყველება იმ „ღვთის კრავის“ რისხვად არ დატყდომოდა თავს.

ამის შემდეგ ჰიტლერს სპეციალურად ნავარჯიშები ვეგეტერიანელი მზარეულები დაჰყვებოდნენ ყველგან...

...მერე კრავის ალეგორია თავისებური გზით წავიდა. თუ მისი ერთი მნიშვნელობა სიკეთესა და მადლს გამოხატავდა ადამიანური ორგვარობის იმ საერთო გამოსახულებაში, ჰიტლერმა მისი მეორე მნიშვნელობა განავითარა, რასაც იმავე, ე. წ. „ღვთის კრავის რისხვა“ გამოხატავს. ჰიტლერი „წმიდა წიგნებში“ უფრო ისეთ ადგილებს აქცევდა ყურადღებას, რაც მის აგრესიულ ინსტიქტებს ეგუებოდა. იგი ამ შემთხვევაშიც ცალი თვალით უყურებდა ქრისტეანულ მოძღვრებას და უარყოფდა ყველაფერს, რაც, მისი აზრით, სისუსტის მორალს გაითხატავდა. სამაგიეროდ, სახარება იმის მასალასაც აძლევდა, რომ ეთქვა:

„ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშვიდობისა ქვეყანასა ზედა: არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“.

ეს მისწრაფება ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როცა 1920 წელს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის 25 პარაგრაფისაგან შემდგარი პროგრამა გამოქვეყნდა, რომელშიც ყველაფერი იყო რაც ამ „ღვთის კრავის“ მომავალ რისხვას გამოხატავდა: პანგერმანიზმი, ნაციონალ — შოვინიზმი, მილიტარიზმი, ანტისემიტიზმი და სხვა ასეთი. პროგრამა მოითხოვდა ვერსალისა და სენ-ჟერმენის ხელშეკრულებების გაუქმებას, დაქირავებული ჯარების (რაიხსვერის) დაშლას და რეგულარული არმიის (ვეერმაჰტის) შექმნას, გერმანიის ტერიტორიების გაფართოებას, კოლონიების დაპყრობასა და ებრაელობისათვის სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევას. უკვე ამ პროგრამაში ეწერა, რომ „არავერეი ებრაელი არ შეიძლება ეკუთვნოდეს გერმანულ რასას“ და რომ „სამოქალაქო უფლებები აქვთ მხოლოდ მათ, ვინც გერმანულ რასას ეკუთვნის“ ეს კი ყველა ებრაელის კანონგარეშე გამოცხადებას ნიშნავდა...

...ჰიტლერელების ასეთი დანაშაულებრივი მისწრაფებები კიდევ უფრო შემზარავი სახით გამოჩნდა მათი ფიურერის წიგნში — „ჩემი ბრძოლა“, თვითონ ჰიტლერი ამ წიგნს იოანე მახარებლის მიერ განგებისაგან მიღებული და „შვიდი ბეჭდით დაბეჭდული“ წიგნის ახალ სახეობად თვლიდა. იოანეს წიგნი ამცნობდა ქვეყნიერებას ყველაფერს, „რაც იყო, არის და იქნება“.

ლანდსბერგის ციხეში სასჯელის მოხდის დროს, იოანე მახარებელივით, თითქოს მასაც „იმ ერთი წამებულივით“ ჩაესმა ხმა განგებისა, დაწერეო: „უკვე რაჲ ესე იხილე, რაჲ — ესე არს და რაჲ გეგულების ყოფად შემდგომად ამისა...“ და მან დაწერა „ჩემი ბრძოლა“, რომელსაც იმ დროს სხვებიც ნაციონალ-სოციალისტების სახარებას უწოდებდნენ.

საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის პაქტის დადებით შეშფოთებული მუსოლინი წერდა ჰიტლერს, „ხელს ნუ აიღებ შენს სახარებაზეო“. მაშინ მუსოლინსაც სჯეროდა ამ წიგნისა და მისი ავტორის, „ღვთაებრივი ზეშთაგონების“ ძალა.

იოანე მახარებელი ამისათვის ვარსკვლავთმრიცხველობას მიმართავდა. იგი ცის მნათობების მოძრაობით იგებდა, წინასწარ რა უნდა ყოფილიყო „შემდგომად ამისა“.

ჰიტლერიც ვარსკვლავთმრიცხველობით იყო გატაცებული. იგი დღე და ღამ ჩაკირკიტებდა „შუა საუკუნეების საოცრებას“ — ჰოროსკოპებს, რომ მახარებელივით შეეტყო „საიდუმლოჲ შვიდთა მათ ვარსკვლავთაჲ“ და ემცნო, ქვეყნიერებისათვის „წინაჲსწარმეტყველებანი მისნი“. გებელსმა და მისმა პროპაგანდისტულმა აპარატმა მთელ მსოფლიოს მოსდო მათი „ზეშთაგონებული ფიურერის ეს „წინასწარმეტყველებანი“. ამანაც შეუწყო ხელი ჰიტლერის ღვთაებრივ განდიდებას და ახალი ნაციონალ-სოციალისტური რწმენის შექმნას. წინდახედულმა ფიურერმა კი თავის ჰოროსკოპებს ვარსკვლავთა განლაგებაში სწორედ ის „ამოაკითხვინა“, რაც მისი პარტიის პროგრამის განხორციელებას უწყობდა ხელს; უწინარეს ყოვლისა კი, ძალის, ნგრევისა და მახვილის კულტი. ყავისფერმა პრესამაც მაშინვე ატეხა ალიაქოთი შესახებ იმისა, თუ მათმა „წინასწარმეტყველმა“ ფიურერმა „ვითარ იხილა ვარსკვლავნი შვიდ-

ნი და პირისაგან მისისა გამოსული ორპირად აღლესული მახვილი“...

...ნაცისტები იმ დროს უკვე სრულიად აშკარად აღარუნებდნენ იარაღს. ჰიტლერი მოითხოვდა სხვათა ტერიტორიების დაპყრობას „მოკისკასე მახვილით“. პარტიის „რკინის მუშტმა“ გერინგმა, თავის კაბინეტში უზარმაზარი შუასაუკუნეობრივი მახვილი დაკიდა, როგორც ემბლემა. მოიერიშეები ქუჩებს მოეღვნენ. გაისმა დაფდაფების ხმაური. „ეროვნული მესაყვირე“ — ჰიტლერი კი ისევ ბიბლიური „შვიდი ქუხილის“ ხმით ემუქრებოდა ყველას, ვინც წინ აღუდგებოდა მის ძალას... შვიდთავიანი ვეშაპის ალეგორიაც „ღვთის კრავის“ რისხვას დაუკავშირდა. შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი „ჩემი ბრძოლაც“ იწყებდა მოქმედებას; მერე იმ „ღვთის კრავმაც“ (იგულისხმეთ ჰიტლერი) „აღაღო ერთი შვიდთა მათ ბეჭედთაგანი... (ალეგორია: ომის დასაწყისი)

„...და აჰა ცხენი სპეტაკი, და მჯდომარესა მას ზედა აქუნდა მშვილდი, და მიეცა მას გვირგვინი და განვიდა ძლევითა, და სძლოსცა. (ევროპის შეუიარაღებელი სახელმწიფოების დაპყრობა).

დანარჩენი ბეჭდების ახსნამ სხვა ახალი უბედურებანი დაატეხება კაცობრიობას.

მაგრამ ღვთის კრავისა და შვიდი ბეჭდით დაბეჭდილი წიგნის ალეგორია ამით არ მთავრდება. ვიდრე ჰიტლერელები ევროპის მცირე და შეუიარაღებელ სახელმწიფოებს ანადგურებდნენ, ხოლო ინგლისი ე. წ. „უცნაურ ომს“ აწარმოებდა .ეს ალეგორიაც პირდაპირ გამოხატავდა საქმეთა ვითარებას. ჰიტლერს ჰქონდა ძალა და „ხელმწიფება“, „რათა გარდააქციონ სისხლად და რათა შემუსრონ ქვეყნად რაოდენ გზისცა ენებოს...“, მაგრამ ქვეყანა ხომ მარტო ჰიტლერელებისა და მათი სუსტი მოწინააღმდეგეებისაგან არ შედგებოდა... და თუ ისევ იმ ბიბლიურ ალეგორიაზე მიდგება საქმე, იმ შვიდ ეშმაკსა და შვიდ ცოდვას ხომ შვიდი მადლი და შვიდი ანგელოზი დაუპირისპირდა: მერე ჰიტლერელების ველურმა მოძალებამ ისე შეაძრწუნა და აღაშფოთა კაცობრიობა, რომ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები გაერთიანდნენ მათ წინააღმდეგ და გაისმა „ხმაჲ დიდი ერისაჲ მრავალსა ცათა შინა... ვითარცა ხმა ქუხილისა...“ რომელნი იტყოდეს: „არა აქუნდეს განსვენებაჲ დღე და ღამე, რომელთაცა თაყუნის—სცენ მხეცსა მას და ხატსა მისსა, ანუ მიიღენ ბეჭედი სახელისა მისისაჲ“.

...არც ის „შვიდთავიანი ვეშაპი“ დარჩენილა დაუსჯელი: „...და ვიხილენ პირისაგან ვეშაპისა და პირისაგან მხეცისა და პირისაგან ცრუ — წინაჲსწარმეტყველისა მის [illegible] წმინდანი.. და ვითარ იგი ადიდა [illegible] [illegible] [illegible]

ორტსგრუპპენლაიტერები, ცელლენლაიტერები და ბლოკლაიტერები. გაულაიტერებსა და კრაისლაიტერებს უფლება ჰქონდათ საკუთარი ინტერპრეტაციით გადაეცათ პარტიული დირექტორატის დადგენილებები დაქვემდებარებულ ორგანოებისათვის. ამას ეწოდებოდა ფიურერიზმის პრინციპი, რაც ამერიკელი ბრალმდებლის დოდდის სიტყვით, „აბსოლუტური ტირანიის ყველაზე სრულყოფილ ფორმას“ წარმოადგენდა. ყოველ ფიურერს უფლება ჰქონდა ზემდგომი ფიურერის მითითებით განეხორციელებინა ადმინისტრაციული მართვა-გამგეობა და გაეცა განკარგულებები თავისი შეხედულების მიხედვით, ყოველგვარი კონტროლის გარეშე. მიზნებს სახავდა „მთავარი ფიურერი“ — ჰიტლერი, განხორციელების საშუალებებს კი მისი ქვეშევრდომები პოულობდნენ, მაგრამ არა კანონების, არამედ თავიანთი შეხედულებების მიხედვით. მოქმედების რეგლამენტირება არც იყო საჭირო, რადგან ისევ ის იეზუიტურ-მაკიაველური დოქტრინა მოქმედებდა:

„მიზანი ამართლებს საშუალებას“.

აღსანიშნავია, რომ ნაცისტური პარტიის პროგრამაშიც, სადაც ამ მოძრაობის საერთო მიზნებია დასახული, არაფერია ნათქვამი მათი განხორციელების საშუალებებზე. ამის განუსაზღვრელობა კი გამორიცხავდა კანონიერების შესაძლებლობას. პრინციპშივე უარყოფილი იქნა სახელმწიფო ხელშეკრულებათა ძალაც. ამან ნაცისტური პარტია, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, ნიურნბერგის საბრალმდებლო სკამამდე მიიყვანა. პროცესის მიმდინარეობის დროს სრულიად ნათელი გახდა, რომ ეს პარტია ხელმძღვანელობდა იმ დანაშაულებრივ მოქმედებებს, რაზედაც ადრე გვქონდა ლაპარაკი: შეთქმულება მშვიდობის წინააღმდეგ, სახელმწიფო ხელშეკრულებების დარღვევა, აგრესიული ომები, სამოქალაქო მოსახლეობის ხოცვა ან მონურ სამუშაოებზე გაგზავნა, ებრაელობის ტოტალური ლიკვიდაცია და სხვა ასეთი.

ნაცისტური პარტია ანხორციელებდა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მონოპოლიას სახელმწიფოზე და ამიტომაც პასუხისმგებლად იქნა ცნობილი მესამე იმპერიის და მისი დანაშაულებრივი ორგანიზაციების ყველა მოქმედებაზე, რაც საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის იურისდიქციაში შედის...

სწორედ ამის საფუძველზე აღიარეს ნაცისტური პარტიის „ხელმძღვანელი ბირთვი“ დანაშაულებრივად და პასუხისგებაში მისცეს მისი წევრები. იმავე ტრიბუნალის განსაზღვრით „ხელმძღვანელ ბირთვში“ შედიოდნენ: ფიურერი, რაიხსლაიტერები, გაულაიტერები და მათი აპარატის წევრები, კრაისლაიტერები და მათი აპარატის წევრები, ორტსგრუპპენლაიტერები, ცელლენლაიტერები და ბლოკლაიტერები, დაახლოებით 600 ათასი კაცი, ყველა, „ვინც იცოდა, ან თვითონ მონაწილეობდა ტრიბუნალის წესდებით განსაზღვრულ დანაშაულებრივ მოქმედებებში“.

ასევე დანაშაულებრივად იქნა გამოცხადებული ნაცისტური პარტიის შემადგენელი ნაწილი—გასამხედროებული ტერორისტული ორგანიზაციები: მოიერეშეთა რაზმები, (SA) დამცველი რაზმები (SS) და უშიშროების რაზმები (SD).

პროცესმა დიდი ყურადღება მიაქცია ამ ორგანიზაციების დანაშაულებრივ მოქმედებებს. დადგინდა კიდეც, რომ ე. წ. „მოიერიშეთა რაზმები (SA) — (Sturm-Abteilung), ხოლო შემდეგ „დამცველთა რაზმები“ (SS—Schutz—Staffenln), რომელნიც ვითომ პარტიის ხელმძღვანელების დასაცავად შექმნეს, სინამდვილეში მოწინააღმდეგეების მოსასპობად და ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად იქნენ გამოყენებულნი. ჰიტლერმა კარგად იცოდა, რომ გარდა ქადაგებისა და შთაგონებისა, ამისათვის საჭირო იყო წინააღმდეგობის დამთრგუნველი შეიარაღებული ძალა. ამერიკელმა ბრალმდებელმა ჯეკსონმა განაცხადა: „ჰიტლერს რომ გერმანელი ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერის იმედი ჰქონოდა, მოიერიშეთა რაზმებს არც შექმნიდაო“...

...როგორც „მოიერიშე“, (SA) ისე „დამცველი“ რაზმები (SS) ნაცისტური პარტიის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. თვითონ ნაცისტები მოიერიშეებსა და ესესელებს „პარტიის მაგარ ხელებს“ უწოდებდნენ. საბჭოთა ბრალმდებელმა რუდენკომ სთქვა კიდეც: „ჰიტლერული პარტიის, ხოლო შემდეგ ჰიტლერული სახელმწიფოს განვითარების მთელ მანძილზე „მოიერიშეთა რაზმები“ იყო ის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელსაც გერმანული ფაშიზმის მეთაურები განსაკუთრებული ყურადღებით ეკეცოდნენ, სთვლიდნენ რა მას თავიანთი ხალხის მოტყუებისა და ტერორიზირების უმნიშვნელოვანეს იარაღად“.

მართლაც, ვინც ჰიტლერული ცთუნების ჭეშს არ გაჰყვებოდა, მათთვის კბილებამდე შეიარაღებული მოიერიშენი იყვნენ მზად. ჯერ სიტყვა, მერე მახვილი! — ასეთი იყო ჰიტლერის ლოზუნგი.

პროცესზე გაირკვა, რომ არ არსებობს ისეთი დანაშაულებრივი მოქმედება, რაც ნაცისტური პარტიის მიერ არ ყოფილიყოს მოფიქრებული, ხოლო მოიერიშეებისა და ესესელების მიერ ცხოვრებაში გატარებული. ამიტომ სრულიად კანონიერი იყო, რომ სამივე ეს ორგანიზაცია, თანახმად საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებისა, დანაშაულებრივად იქნა გამოცხადებული, ყველა აქედან გამომდინარე დასკვნით. წესდების მე-29 პარაგრაფში წე-

რია ამის შესახებ: „ამა თუ იმ ჯგუფის, ან ორგანიზაციის წევრის, ვინც არ უნდა იყოს ის, საქმის გარჩევის დროს ტრიბუნალს შეუძლია (რამე მოქმედებასთან დაკავშირებით, რისთვისაც ეს პიროვნება იქნა დასჯილი), დაადგინოს, რომ ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომლის წევრადაც ბრალდებული ითვლებოდა, იყო დანაშაულებრივი“.

ამავე წესდების მე-10 პარაგრაფის მიხედვით, თუ ტრიბუნალი ამა თუ იმ ჯგუფს, ან ორგანიზაციას აღიარებს დანაშაულებრივად, „კომპეტენტურ ეროვნულ ხელისუფლებას, ვინც ხელს აწერს ტრიბუნალის წესდებას, უფლება აქვს გადასცეს სამოქალაქო, სამხედრო, ან საოკუპაციო ტრიბუნალს ამ ჯგუფის, ან ორგანიზაციის წევრობის გამო“. ასეთ შემთხვევაში ჯგუფის, ან ორგანიზაციის დანაშაულებრივი ხასიათი ითვლება დამტკიცებულად და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. მთელი ეს პროცედურა ეყრდნობა უფლებრივ ნორმებს, რაც გამოიენარეობს დენაციფიკაციის კანონებიდან და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს...

...ნიურნბერგის პროცესზე ექვსი დანაშაულებრივი ორგანიზაციის საკითხი იქნა განხილული, მათ შორის, მოიერიშეთა რაზმებისაც (SA). ეს ორგანიზაცია პირველი დამკვრელი ძალა იყო ნაცისტ შეთქმულთა ხელში. იგი რბევისა და ტერორის საშუალებით ანხორციელებდა „ხელისუფლებას ქუჩებში“. ნაცისტური პარტიის ყველა ღონისძიება, დაწყებული პარტიის პირველი უჯრედის დაარსებიდან, ხელისუფლების ხელში ჩაგდებამდე, ამ ორგანიზაციის ფიზიკურ ძალას ეყრდნობოდა. იგი შექმნილი იყო კაიზერის განადგურებული არმიების ნარჩენებისაგან, რაიხსვერის გენერლებისა და ოფიცრების მხარდაჭერით. ყველაფერი ეს ჯერ კიდევ მიუნჰენის ფაშისტური პუტჩის დროსვე გამოვლინდა: პირველ მაისს, მიუხედავად მრავალჯერ დადებული პირობისა, ჰიტლერმა მაინც სცადა ბავარიის ხელისუფლების ძალით დამხობა და ძალაუფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ დამარცხდა. ბავარიის მთავრობამ მიუნჰენიდან მისი გასახლება გადაწყვიტა, თუმცა რაღაც მანქანებით მაინც გადაურჩა სასჯელს.

მერე შეთქმულებმა კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა. დაინიშნა შეიარაღებული გამოსვლის ახალი ვადა. ჰიტლერის პარტია და მოიერიშეთა რაზმები ნიშანს უცდიდნენ. თვითონ ჰიტლერი კი ყოველდღე მართავდა მიტინგებს. იგი უმთავრესად ცირკ „კრონე-ში“ გამოდიოდა, სადაც 8 ათასამდე კაცი ეტეოდა. ესეც, განგებ მოწყობილივით, ათასგვარ მითქმა-მოთქმას იწვევდა. ჰიტლერის მომხრეები ამბობდნენ, დღეს ცირკში ხარების ბრძოლა იქნებაო, მოწინააღმდეგეები კი პოლიტიკურ არეულობას ელოდებოდნენ. [illegible] ჯამიაზებს უწოდებდნენ მათ. [illegible] ხდებოდა. ასეთ შემთხვევებში კი „მოიერიშენი იღებდნენ სიტყვას“ და ნამდვილი მუშტი-კრივი იმართებოდა. ნაცისტური ბრბოსთვის ეს სანახაობაც იყო და ვარჯიშიც. რაც არ უნდა შეხლა-შემოხლა, ან ღრიალი ყოფილიყო დარბაზში, ჰიტლერი მაინც არ წყვეტდა ქადაგებას. ის ზოგჯერ ტანისამოს შემოხეული და ცხვირპირ დალეწილი ჩამოყავდათ ტრიბუნიდან...

...მიტინგები კი მაინც გრძელდებოდა. ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა თანდათან უფრო მეტ ხალხს იზიდავდა. გაიზარდა პარტიის ხელმძღვანელთა ბირთვიც. იმ შვიდთავიან ვეშაპს თუ რომელიმე „თავი გამოაკლდებოდა“, უმალვე ახალი ჩნდებოდა მის მაგივრად. ასე გამოჩნდა სამხრეთ ამერიკელი სტუდენტი, წარმოშობით კი გერმანელი, რუდოლფ ჰესსი. მერე ნიურნბერგელი მასწავლებელი, იულიუს შტრაიხერიც გახდა ცნობილი თავისი ანტისემიტური გამოსვლებით. უფრო მეტი პოპულარობა მოიპოვა პირველი მსოფლიო ომის დროს სახელგანთქმული საჰაერო ესკადრილიის „რიჰტჰოფენის“ მფრინავმა, ჰერმან გერინგმა, რომელიც მოიერიშეთა რაზმების მეთაურად დაინიშნა. გერინგის სახით პარტიაში გაჩნდა „რკინის მუშტი“, რომელიც მოწინააღმდეგეების მისამართით ჰიტლერთან ერთად გაიძახოდა: „თავებს დავაყრევინებთ“, „მოვსპობთ“ „გავანადგურებთ“ და სხვა. ნაცისტურ მოძრაობას მიემხრო, აგრეთვე, იმავე ომის ცნობილი „გმირი“, გენერალი ლუდენდორფი, ძმები—გრიგოლ და ოტტო შტრასერები და სხვა. უკვე აღარც „მაღალი არისტოკრატიული წრეების“ წარმომადგენლები თაკილობდნენ ამ „გიჟი ეფრეიტორის“ დროშის ქვეშ დგომას. კრონპრინცმა ასეთი განცხადებაც კი გააკეთა: „იქ, სადაც ჰიტლერია ბელადი, ყველას შეგვიძლია რიგითები ვიყოთ“. ერთხელ ის ნეკნებჩამტვრეული გამოიტანეს ნაცისტურ შეკრებიდან, რის გამო ბელგიაში გაქცეულმა ყოფილმა კაიზერმა ვილჰელმმა, აღტაცებული დეპეშა გამოუგზავნა „ერის ინტერესებისათვის წამებულს“.

ნაცისტურ პარტიაში სწრაფად დაწინაურდა ყოფილი მწერალი-რომანისტი, იოსებ გებელსი, რომლის უცნაური გარეგნობა მუდამ დაცინვის საგანი იყო: დაბალი, ჯუჯა, ფეხებმოღრეცილი „ოქროპირი“, განსაკუთრებით გოლიათური აგებულების ჰერმან გერინგის გაოცებას იწვევდა. „ვინ არის ეს უკუდო მაიმუნი, ასე სწრაფად რომ მოძრება ხელმძღვანელობაშიო“ — ამბობდა აღშფოთებული „რკინის ჰერმანი“. ის „უკუდო მაიმუნი“ კი პირდაპირ სულში უძ-

ვრეოდა ჰიტლერა. თვითონაც კარგი ორატორი იყო და კარგადაც წერდა. ჰიტლერს კი წერა სულ აო ...-ლა. წიგნი „იესო ...“ ...ენ რუდოლფ ...ეს უკარიბა ...ბერგის ...ში. თვითონ კი, როგორც წესი, ...ეიერად ...ა. ...ეს ...ეი ...ოდეს, რომ ...ი ...ული იყო, რომ ...ეკ ...ოდა. ...ი ...ოდეს. ...ერის ...ათიან ...ებში ...ებდა, ...ი ...ულ ...ოდა „...ი ...ოდ ...ა ...ერ ...ოდ ...ა ...ერ ...ოდ ...ა ...ერ

დნენ. ამის პასუხად უმაღლეს სახელმწიფო კოლეგიასად დაიხიეა ფონ-კაარი, როელიაც ეაეინ-ვე საალყო წესები გამოაცხადა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ჰიტლერი და ფონ-კარი ერთმანეთს დაუალოვდეა. ჰიტლერი არც ძალავდა,—ჩემი ყავისფერი მოიერიშეებით ვაპირებ ბერლინზე გალაეკებასო. ლუდენდორფიც ეეიტომ ედგა მხარში ჰიტლერს, როგორც მარშალი დე-ბონნ მუსოლინს რომზე გალაშქრების დროს. ასეთი ლაშქრობა არც ფონ-კარის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, და აქ მოხდა მათი პოზიციების შეხვედრა. საჭირო გახდა ისევ ლუდენდორფის ავტორიტეტის გამოყენება, რომელიც ყოველთვის ორპოფულ პოზიციაზე იდგა ჰიტლერის მიმართ. როგორც ჩანს, სახელმოხვეჭილ გენერალს ეხამუშებოდა ეფრეიტორის ქვეშევრდომობა. თავის მხრივ, არც ჰიტლერს უნდოდა „იმ სალდაფონს ცხვირი შეეყო“ პოლიტიკაში. ამის გამო ჰიტლერის მომხრეები ცალკე ლუდენდორფს პირდებოდნენ, რომ გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურად მას დანიშნავდნენ და არა ჰიტლერს. გერინგმა მოიერიშეთა რაზმებს საჯაროდ განუცხადა, რომ დიქტატორი ლუდენდორფი იქნება, ხოლო ჰიტლერს „როგორმე შეიყვანენ მთავრობაში“. ეს სულ მანევრები იყო, რასაც „ყალბი კარტების“ ოსტატები ტაქტიკური მოსაზრებით იყენებდნენ. თავის მხრივ, ფონ-კარიც აწყობდა გეგმებს. მასაც არ უნდოდა ხელმძღვანელობის ხელიდან გაშვება. იგი გადატრიალების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ „თუ ეს მისი ხელმძღვანელობით მოხდებოდა“. ერთხანს გენერალი ლოსოვიც იღებდა მონაწილეობას „ინტერესთა ამ თამაშში“, რემიც, შტრაიხერიცა და ძმები შტრასსერებიც „თავისკენ მიითლიდნენ“. საქმე ის იყო, ვინ ვის დაასწრებდა; აქ კი ისევ „მოიერიშეთა რაზმებმა“ თქვეს თავიანთი სიტყვა...

ოთხი ტყვია (3+1)

1923 წლის 8 ნოემბერს, მიუნჰენის ლუდხანაში, ფონ-კარი მოხსენებას აკეთებდა სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სამათასიან კრებაზე. ჰიტლერმა ჩაიცვა თავისი საზეიმო, თუმცა გაქექილი კოსტუმი, გაიკეთა რკინის ჯვარი, მოაგროვა ხუთასამდე შეიარაღებული მოიერიშე და დარეკა ლუდხანაში, სანამ მე არ მოვალ, კარი ნუ დაიწყებს მოხსენებასო. უნდოდა გამოეხმო ის, ეჩვენებინა, რომ ლუდხანა გარშემორტყმულია მოიერიშეებით და მოეთხოვა ახალი მთავრობის შედგენა. ასე დაიწყებოდა „ნაციონალური რევოლუცია“, მაგრამ კარმა ყურიც არ ათხოვა ჰიტლერის გაფრთხილებას, არ დაუცადა მას და დაიწყო მოხსენება. ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა ჰიტლერი. მისმა თანამგზავრმა დრექსლერმაც არ იცოდა, რა უნდოდა მას. ან ერთი კაცი როგორ აპირებდა თავის მოიერიშეთა რაზმით სახელმწიფო გადატრიალებას!

ლუდხანის გასასვლელები ისე იყო გაჩედილი ხალხით, რომ ჰიტლერი ძლივს შეძვრა ვესტიბიულში, მაგრამ არ იქნა და მაინც ვერ ძიაღწია ტრიბუნამდე. მაშინ ხერხს მიმართა. მივიდა პოლიციელთა რაზმის უფროსთან და, ვითომ რაღაც თანამდებობის პირი იყო, უბრძანა გაეწმინდათ გასასვლელები და ვესტიბიული, თორემ შეიძლება პანიკა ატყდესო. პოლიციელმა ვეოც გაიგო, ვინ მისცა ეს ბრძანება, მაგრამ მაინც შეუდგა მის სისრულეში მოყვანას. კონრად ჰაიდენი წერს ამის შესახებ, პოლიციამ თვითონ გაუკაფა გზა ჰიტლერსო. ასეც იყო. ვესტიბიული გაივსო კბილებამდე შეიარაღებული მოიერიშეებით. ჰიტლერი შემლილივით ავარდა დარბაზში. მას რამდენიმე მოიერიშე მიჰყვა. სხვებმა სადარბაზო კართან ტყვიამფრქვევი დააყენეს. ხალხი გაოცებული მიაჩერდა მათ. შემდეგ ჰიტლერი სკამზე შეხტა და გაისროლა რევოლვერი. პოლიციის მაიორი ეცა მას. ჰიტლერმა რევოლვერი საფეთქელზე დაადო და უბრძანა, ხელები აეწია. მერე ტრიბუნაზე ავარდა. ფონ-კარმა უკან დაიხია.

— ნაციონალური რევოლუცია დაიწყო! — იყვირა ჰიტლერმა, — ლუდხანაში კბილებამდე შეიარაღებული ექვსასი მოიერიშეა. არავინ არ უნდა გავიდეს დარბაზიდან და თუ ეხლავე არ დაწყნარდებით, მე ვუბრძანებ იარუსებზე დაყენონ ტყვიამფრქვევები. რაიპსვერის ყაზარმები და პოლიცია დაკავებულია ჩვენს მიერ. ისინი უკვე აქეთ მოდიან ნაციონალ-სოციალისტური დროშებით!..

ამის შემდეგ ჰიტლერმა უბრძანა კარს, გენერალ ლოსოვს და პოლიციის უფროსს, ზაისერს, გამომყევითო. მოიერიშეებმა სამივე გაიყვანეს მეზობელ ოთახში. დარბაზი ახმაურდა. ყველა აღშფოთებული იყო ამ ძალადობით, მაშინ მოიერიშეთა მეთაური, ჰერმან გერინგი, ავიდა ტრიბუნაზე და დაიღრიალა:

— ხომ გაიგონეთ რაც გითხრეს! ნაციონალური აჯანყება დაიწყო, იმპერიისა და ბავარიის მთავრობა დამხობილია, ახლა დგება დროებითი მთავრობა... ამ შენობიდან არცერთმა კაცმა არ უნდა გადგას ფეხი!

მერე დამცინავად გადახედა დარბაზს და დაუმატა:

— ბატონებო! თქვენ შეგიძლიათ არხეინად იყოთ, სხვათაშორის, აქ მშვენიერი ლუდი იყიდება!..

მეზობელ ოთახში კი ჰიტლერი ყვიროდა:

—არავინ ცოცხალი არ დატოვებს ამ ოთახს, ბავარიის პრეზიდენტი იქნება ვენერი, ნაცვალი—ფონ-კარი. იმპერიის მთავრობა — ჰიტლერი, არმია — ლუდენდორფი, ზაისერი—პოლიციის მინისტრი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში ის რევოლვერს ატრიალებდა და ისე ლაპარაკობდა:

— მე მესმის, ბატონებო, რომ ეს ძნელი გადასაწყვეტია თქვენთვის, მაგრამ ასე უნდა გააკეთოთ, თორემ... ჩემი რევოლვერის ვაზიაში ოთხი ტყვიაა. სამი თქვენთვის, ერთი ჩემთვის, სხვა გზა არ არის. ან გამარჯვება, ან სიკვდილი!..

ისინი დათანხმდნენ. ერთხანს კი გაიდგეს ფეხი, განსაკუთრებით, ფონ კარმა, მაგრამ როცა ჰიტლერმა ჩახმახი მომართა, ისიც დანებდა...

...მთელი ღამე ბობოქრობდა მიუნჰენი. მეორე დღეს ჰიტლერელები ქუჩაშიც გამოვიდნენ და ბერლინზე გალაშქრება მოითხოვეს. ამას თვითონ ნაციონალ-სოციალისტურ რევოლუციას უწოდებდნენ. იულიუს შტრაიხერი ღია ავტომობილით დაქროდა მიუნჰენის ქუჩებში და ხალხს, გამვლელ-გამოვლელებს, მოუწოდებდა მხარი დაეჭირათ „რევოლუციისთვის“. პუტჩისტებს, ერთი პირველთაგანი, ისევ გენერალი ლუდენდორფი მიემხრო. დემონსტრანტები ფიქრობდნენ, რომ ხალხი თანდათან აყვებოდა მათ. მოდიოდნენ ნაცისტური დროშებით. მეთაურებს მიხაკისფერი ფორმები ეცვათ, მკლავზე კი უზარმაზარი სვასტიკები ეკეთათ, სხვებს კიდევ სხვაგვარად. კოლონას სათავეში ედგნენ ჰიტლერი, ლუდენდორფი, გერინგი, შტრაიხერი, შაიბნერ-რიჰტერი და სხვები. გენერალ ლუდენდორფს ისინი ბორბლებზე შედგმულ ძეგლივით დაატარებდნენ და აჩვენებდნენ ხალხს, შეხედეთ, ისიც ჩვენთანაა. დემონსტრატებმა გაიარეს მარიენპლაცი და ვაინშტრასეზე გავიდნენ. აქ შეატყობინეს, რომ ოდერნპლაცზე მათ წინააღმდეგ ჯარის ნაწილი გროვდებოდა და პერუზაშტრასეზე შეუხვიეს. აქვე გადასცეს ჰიტლერს გაზეთის ახალი ნომერი, რომელშიც ეწერა, რომ ბავარიის დიქტატორი, — კარი, გადაუდგა მოძრაობას.

„პატივმოყვარე ვიგინდარებმა, მოტყუებითა და მოცემული სიტყვის გატეხვით, ნაციონალური აღორძინების მანიფესტაცია გადააქცევს საზიზღარ ძალადობად. განცხადება, რაც რევოლვერის ქვეშ გაგვაკეთებინეს მე, გენერალ ფონ ლოსოვს და პოლკოვნიკ ზაისერს, გაუქმებულია და არა აქვს ძალა. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტია, აგრეთვე, გასამხედროებული ორგანიზაციები „ობერლანდი“ და „იმპერიის ალამი“ დაშლილია.

ფონ-კარ

გენერალური სახელმწიფო კომისარი“.

ჰიტლერს ისტერია მოუვიდა. გაზეთი დაგლიჯა, მიწაზე დაყარა, ზედ ფეხებით შედგა და ყვირილი მორთო. შემდეგაც ბევრჯერ მოსვლია მას ასეთი ისტერია კარის გამო. ერთხელ ისიც განაცხადა, მე სციპიონი ვარ, ის კი მარიიო...

პერუზაშტრასეზე დემონსტრანტები ჯარის ნაწილებს წააწყდნენ. ჰიტლერი დაიბნა: — ისინი სროლას აპირებენ! წამოიძახა შეშფოთებულმა ფიურერმა.

— ჩვენ მაინც წავალთ წინ! — მიუგო მას ლუდენდორფმა. მერე შტრაიხერმაც დაიძახა, ნუ შევჩერდებით, წინ წავიდეთო. იმედი ჰქონდა, რომ არმიელები არ ესროდნენ დემონსტრანტებს, რომელთა რიგებში იდგა „მსოფლიო ომის გმირი“ ლუდენდორფი.

ფელდჰერნჰალესთან დემონსტრანტებს პოლიციაც დაუხვდა. ვიღაცამ დაიძახა, რომ მათთანაა „მისი მაღალკეთილშობილება, გენერალი ლუდენდორფი“, ამან, მართლაც, გასჭრა. პოლიციელებმა იარაღი დაუშვეს, მაგრამ ჩქარა ახალი რაზმები მოვიდნენ. გაისმა სროლის ხმა. პირველი ტყვია ყველაზე მსხვილ დემონსტრანტს, გერინგს მოხვდა და დაჭრა. მერე ტყვიამფრქვევიც ახმაურდა. რამდენიმე კაცი დაეცა. ვიღაცამ დაიძახა, ლუდენდორფი მოკლესო, მაგრამ მართალი არ გამოდგა. ის დროზე გაიპარა. ჰიტლერს ერთ ხელში რევოლვერი ეჭირა, მეორეთი კი ჩაჭიდებოდა მის გვერდით მდგომ შაიბნერ-რიჰტერს, რომელიც იმავე წამს მოცელა ტყვიამ. დაეცა ჰიტლერიც. მაგრამ მან მხოლოდ მკლავი იღრძო, შემდეგ კი წამოხტა და გაიქცა. მას მიეხმარა ვალტერ შულცი, რომელმაც მანქანაში შეაგდო „თავისი“ ფიურერი და ქალაქგარეთ გაიყვანა. გზაში პოლიციამ სროლა აუტეხა მათ, მაგრამ გადარჩნენ და მიიმალნენ.

„ბრძოლის ველიდან“ გაიქცა დაჭრილი გერინგიც. რემი, ფრიკი, ეკჰარტი და სხვები დაიჭირეს. დანარჩენები გაიფანტნენ. ადგილზე 14 მოკლული დარჩა — ერთი კელნერი ერთიც ხელოსანი, ხოლო დანარჩენები ბანკის მოხელეები, ვაჭრები და თადარიგის ოფიცრები.

ამით დამთავრდა „ნაციონალური რევოლუცია“. შეშინებულმა ჰიტლერმა ჯერ თვითმკვლელობა სცადა, მერე პრინც რუპრეჰტს მიმართა დახმარებისათვის. პრინცმა მოთხოვა მას, ბოდიში მოიხადე კარის წინაშეო, შემრიგებელ შუამავლადაც ჩადგა მათ შორის, მაგრამ არაფერი გამოვიდა...

...ორი დღის შემდეგ, მიუნჰენიდან 60 კილომეტრის დაშორებით, სოფ. უფინგში, მისი მეგობრის, ჰანფშტენგლის სახლში ჰიტლერი დაატიმრეს და ლანდსბერგის ციხეში ჩასვეს. გერინგი ჯერ ინსბრუკში გაიქცა, ხოლო შემდეგ — იტალიაში. ლუდენდორფი მხოლოდ დაკითხეს და პოლიციის შენობის უკანა კარებიდან

გაუშვეს, ხალხს რომ არ დაეანახა, გამოსახება ჰკადრესო. ჰიტლერი გაასამართლეს. სასამართლოში სიტყვა წარმოსთქვა ლუდენდორფმაც, ჰიტლერმა ისევ ძველებური გაიხსენა და თქვა. „მე მწამს, საბოლოოდ რომ კაკარდიანები გაიმარჯვებენო“. 1924 წლის 1 აპრილს მას „სახელმწიფოს ღალატისათვის“ ხუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა ციხეში ფართო უფლებებიც დაუტოვეს. მას შეეძლო დელეგაციების მიღება, თათბირების მოწყობა, ხალხისადმი მოწოდებით მიმართვა და სხვა, რითაც ის სარგებლობდა კიდეც. თვითონაც იღებდა საჭირო ლიტერატურას და რუდოლფ ჰესსთან ერთად წერდა წიგნს „ჩემი ბრძოლა“. რომელიც 1925 წელს გამოქვეყნდა. ამ დროს ნაცისტური პარტია უკვე აკრძალული იყო. ლუდენდორფმა დრო იხელთა და ისევ განუდგა ჰიტლერს. რემი ძველებურად თავისი მოიერიშეებით იყო გართული. ნაცისტური მოძრაობა დაიშალა, დასუსტდა, მაგრამ 8 თვის შემდეგ 1925 წლის 17 თებერვალს ჰიტლერი ვადაზე ადრე გამოუშვეს ციხიდან და იგი კვლავ ჩაუდგა სათავეში პარტიას. ლუდენდორფმა მაინც უარი განაცხადა ემუშავა ჰიტლერის ხელმძღვანელობით, შტრასსერი და სხვები ყოყმანობდნენ. 27 თებერვალს ბიურგერბროიში ჰიტლერი გამოვიდა სამსაათიანი სიტყვით მათ წინაშე. დამსწრენი წერენ, რომ ეს მისი ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა იყოო. ჰიტლერმა, მართლაც, აქ მდიდარი ორატორული ხერხების მთელი არსენალი გამოიყენა. ჯერ მშვიდად დაიწყო, მაგრამ შემდეგ თანდათან შევიდა ექსტაზში და პირდაპირ ქადაგად დაეცა. გაშმაგებული იყო, ყვიროდა, იმუქრებოდა, მერე „გული აუჩვილდა“ და ცრემლები გადმოღვარა. ნერვიულობისაგან მთელი სხეული უცახცახებდა, პირზე დორბლი მოდიოდა და ოფლი ასკდებოდა.

„მე არ ვეძებ სახელსა და დიდებას, — გაჰკიოდა ის, — არც ბრბოს მხარდაჭერა მინდა. ამაში თქვენც მალე დარწმუნდებით. თუ მე სწორად მოვიქცევი, საქმე კარგად წავა, თუ არა, მე თვითონ ავიყრი უფლებებს და გადმოვალ თქვენს განკარგულებაში. მანამ კი (აქ ჰიტლერმა ისევ აუწია ხმას) ვიდრე ჩვენი შეთანხმება ძალაშია და მე ვხელმძღვანელობ მოძრაობას, არავის არა აქვს უფლება წამომიყენოს რამე პირობა. მთელი პასუხისმგებლობა მე ერთს მაწევს კისერზე, დამოკლეს მახვილიც ჩემს თავზე ჰკიდია. გამარჯვება, ან სიკვდილი! ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში სხვა გზა არ არის: ან მტერი გადაგვქელავს ჩვენ, ან ჩვენ თვითონ გადავივლით მათ გვამებზე...“

დასასრულ ჰიტლერმა გულ-ხელი დაიკრიფა, თვალები ზევით აღაპყრო და უკვე სრულიად გატეხილი ხმით წარმოსთქვა:

„...და თუ მე დავიღუპები, მინდა სვასტიკიანი დროშა იქცეს ჩემს სუდარად:...“

მისმა გამოსვლამ ჰიპნოზივით იმოქმედა დამსწრეებზე. მთელი დარბაზი [illegible] ტიროდა კიდეც. მოწინააღმ[illegible] კიდევ გაუწოდეს ხელი ერთმანეთს.

ამის შემდეგ ჰიტლერი დარჩა ნაცისტური მოძრაობის ერთპიროვნულ ხელმძღვანელად დიქტატორული უფლებებით, ლუდენდორფი და მისი მცირერიცხოვანი მომხრეები კი ისევ გაირიყნენ...

პრეტორიანული გვარდია...

ჰიტლერი მიხვდა, რომ მისი პირადი ძალაუფლების განსამტკიცებლად ახალი შეიარაღებული ორგანიზაციის დაარსება იყო საჭირო. მართალია, ამ ფუნქციებს მოიერიშეთა რაზმები ასრულებდნენ, მაგრამ იქ უფრო რემისა და რაიჰსვერის გავლენა იგრძნობოდა. ჰიტლერს კი საკუთარი „პრეტორიანული გვარდიის“ შექმნა უნდოდა. ასე შეიქმნა SS — ესესი (Schutz — Staffeln) — ანუ ფიურერის „დამცველი რაზმები“. ესეც ნაცისტური პარტიის „შინაგანი არმია“ იყო, რომელსაც ჯერ ჰიტლერის დაცვა, ხოლო ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, საერთოდ, დამსჯელი ფუნქციები ეკისრებოდა. 1929 წელს ესესელთა მეთაურად, შემდეგ კი მის რაიჰსფიურერად, ყოფილი მასწავლებელი, ჰერმან ჰიმლერი დაინიშნა.

...რაც დრო გადიოდა, ესესელთა რიგები თანდათან იზრდებოდა. თუ 1929 წელს ამ ორგანიზაციაში სულ 280 კაცი იყო, 1932 წელს ესესელთა რიცხვმა 52 ათასს მიაღწია, ხოლო 1939 წელს — 240 ათასს. ომის დროს ესესელთა რიგები ახალი კონტინგენტით შეავსეს და 40-მდე დივიზია შექმნეს. ამის შემდეგ ერთი მილიონამდე ესესელი იცავდა „ფიურერისა და იმპერიის“ უშიშროებას.

ესესში მხოლოდ ნებაყოფლობით იღებდნენ. სპეციალური კომისიები ამოწმებდნენ კანდიდატების „არიულ სიწმიდეს“, უზომავდნენ სიმაღლეს, თეძოებისა და გულმკერდის სიგანეს. ბარძაყების სიგრძესა და თავის ქალის მოყვანილობას. თმისა და თვალების ფერიც მხედველობაში იყო მიღებული, ოჯახური მდგომარეობაც. ვისაც ცოლ-შვილი არ ჰყავდა, წერილობით ადებინებდნენ პირობას, რომ „ამ დანაკლისს“ შეივსებდნენ. ესესელები სპეციალურ წვრთნას გადიოდნენ და, საერთოდ, არიული რასის საუკეთესო წარმომადგენლებად ითვლებოდნენ.

მთავარი კი მათი შეუბრალებელი ხასიათი იყო. ამაზე ჰერმან ჰიმლერი ზრუნავდა. სპეციალური წესდებები და ინსტრუქციები განსაზღვრავდა ესესელთა უფლება-მოვალეობას. არავის არ ჰქონდა ნება მათ საქმეში ჩარეულიყო, ან დანაშაულისთვის პასუხი მოეთხოვა. ისინი მხოლოდ ჰიმლერის მითითებებს ასრუ-

ლებდნენ, ეს უკანასკნელი კი უშუალოდ ჰიტლერს ემორჩილებოდა.

დამახასიათებელია, რომ ესესელთა კორპორაციას სხვაგვარად „შავ კორპუსს“ უწოდებდნენ, ასეთივე სათაურით გამოდიოდა მათი გაზეთი. ყველა ესესელს შავი მუნდირი ეცვა. ქუდზე, კაკარდის ზევით კი, სიკვდილის ემბლემას — თავის ქალასა და გადაჯვარედინებულ ძვლებს ატარებდნენ.

ყოველგვარი საშინელება, რაც ნაცისტურ გერმანიაში ხდებოდა, ამ სიკვდილის ემბლემიან ესესელებთან იყო დაკავშირებული. ისინი წარმოადგენდნენ „მთელი რასიული ერთეულების“ მოსპობის ძირითად იარაღს. გეტტოებსა და საკონცეტრაციო ბანაკებსაც ესესელები განაგებდნენ, ე. წ. დამსჯელი ექსპედიციები, ზონდერკომანდრები და ზონდერგრუპპებიც, უმთავრესად, ესესელებით იყო დაკომპლექტებული. ინგლისელმა ბრალმდებელმა მაქსუელ-ფაიფმა, ოპერატიულ ჯგუფ A-ს მაგალითზე, შეისწავლა და პროცესზე წარმოადგინა დამსჯელი რაზმების პროცენტული შედგენილობა, რაც ასეთ სურათს იძლევა: SS 34,4 SA 30,3, სისხლის სამართლის პოლიცია (კრიპო) 4,1 გესტაპ m—9,0; დამხმარე პოლიცია 8 და პოლიციის სხვა სახეობანი 13,4.

საერთოდ, დამსჯელი ორგანიზაციების წევრთა რიცხვმა, მოიერიშეთა ჩათვლით, 6 მილიონს მიაღწია, ეს გაუგონარი რამეა! თუ მცირეწლოვნებს, ქალებს, ღრმა მოხუცებსა და ანტიფაშისტებს გამოვაკლებთ, ეს სარტრის ზემოთ გადმოცემულ ალეგორიის მსგავსად იმას ნიშნავს, რომ ყოველ სამ გერმანელში ერთი ჯალათი იყოს. ასე რომ გაგრძელებულიყო, ვინ იცის, სამთაგან ყოველ მათგანს ეკისრა ეს ფუნქცია. მე მგონი, ასეც ჰქონდათ განზრახული. მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს ესესელებმა ამდენი საშინელება დაატრიალეს, ჰიმლერის განცხადებით, მათი ნამდვილი მუშაობა მხოლოდ ომის შემდეგ უნდა გაშლილიყო.

ყველაზე შემაძრწუნებელი სწორედ ეს არის! ნაცისტებს უნდოდათ ჯერ ევროპა, ხოლო შემდეგ მთელი მსოფლიო პროფესიულ ჯალათთა ამ „შავი კორპუსების“ სათარეშოდ გაეხადათ. ჰიმლერი ამბობდა კიდეც: „ბუნებრივია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი თაობა გერმანელთა ამ რჩეული ფენიდან უნდა გაიზარდოს. 20-30 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა მოვამზადოთ მთელი ევროპა ხელმძღვანელთა ამ კლასით“.

ეს „კლასი“ კი შეუბრალებელი და სასტიკი უნდა ყოფილიყო, გათავისუფლებული „მორალისა და ზნეობის შემზღუდველ ნორმებისაგან“, და იმავე დროს, „წესიერიც“, ამ სიტყვის ჰიმლერისებური გაგებით. როცა ევროპაში ებრაელობის, როგორც რასის, ტოტალური ლიკვიდაციის საკითხი დადგა, ჰიტლერმა ასეთი დიდაქტიკური მოხსენება გაუკეთა ესესელებს.

„მე მინდა თქვენ სრულიად გულწრფელად გელაპარაკოთ ერთ სერიოზულ საქმეზე: ეს არის ებრაელებისაგან გაწმენდა, მათი რასის მოსპობა. ეს ისეთი თემაა, რაზედაც ძალიან ადვილია ლაპარაკი. „ებრაელთა რასა იქლიტებაო“, რომ ამბობს პარტიის რომელიმე წევრი, ეს თავისთავად ცხადია. ჩვენი პარტიის პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი გულისხმობს ებრაელობის გაქლეტას და ჩვენ ამას ვაკეთებთ — ვქლეტთ მათ. ყველა თქვენგანმა უნდა იცოდეს, როგორი შესახედავია 100 მოკლულის გვამი, რომლებიც ერთმანეთის გვერდით აწყვია ან 500, ან 1000. აიტანო ყოველივე ეს და იმავე დროს, ადამიანური სისუსტის გამოჩენის ერთეული შემთხვევის გარდა, დარჩე წესიერ ადამიანად, არის ის, რაც ჩვენ გვაკაქებს“.

ჰიმლერის გაგებით „წესიერი ადამიანი“ იმას ნიშნავს, ვინც „ადამიანურ სისუტეს“ არ გამოიჩენს და წარბშეუხრელად დახოცავს 100, 500, ან 1000, თუნდაც ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს. სხვა რას იტყვის ამაზე, ესესელებს არც ენაღვლებათ, ისედაც იციან, ყველა რომ ზიზღით უყურებს. კაიტელიც კი „ესესელ ღორებს“ უწოდებდა მათ. ეს არც ჰიმლერისთვის იყო მოულოდნელი. „მე ვიცი, რომ გერმანიაში არიან ადამიანები —ამბობდა ის — რომელთაც გული ერევათ, როცა ამ შავხალათიანებს უყურებენ. ჩვენ გვესმის ამის მიზეზი და არც მოველით რომ სიყვარული გამოგვიცხადონ...“

მე მგონი, ახლა გასაგებია, თუ რა ძალებს ეყრდნობოდა ჰიტლერი, როცა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად შეთქმულებას აწყობდა მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ. მოიერიშეთა რაზმებისა და ესესელთა „შავი კორპუსების“ გაძლიერებით მისი პირადი დიქტატურაც განმტკიცდა. ეს ორგანიზაციები ჰიტლერის ყველაზე ერთგულ და ბრმა მიმდევრებისაგან შედგებოდა. ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე არც ისე ადვილი იყო. ამით სულ სხვა სიტუაცია შეიქმნა. გერმანელმა ნაცისტებმა ჯერ თვითონ მოიგონეს, მერე კი ისე განადიდეს და განამტკიცეს ჰიტლერის ძალაუფლება, რომ შექმნილმა შემქმნელთა ძლიერებას გადააჭარბა. ისეთი ამბავი მოხდა, როგორც ქ-ნ შელლის აქვს აღწერილი რომანში „ფრანკენშტაინი“...

...ჟენეველმა სტუდენტმა, ფრანკენშტაინმა, განიზრახა ხელოვნური ადამიანი შეექმნა. ამისათვის სპეციალური ლაბორატორია გახსნა, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა, სწავლობდა, ძვლებს ძვლებზე ადგამდა და ბოლოს გამოიყვანა კიდეც რაღაც ურჩხულის მსგავსი კოლოსი, რომელსაც არაადამიანური ძალა და დაუოკებელი მხეცური ინსტინქტები ჰქონდა. შეშინებულმა ფრანკენშტაინმა თავის შექმნილს სახელიც კი ვერ უწოდა. ხან ურჩხულიაო ამბობდა, ხანაც, —დემონიო.

ნაწარმოების საერთო აზრი ის არის, რომ ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ დემონებს, რომლის წინაშე თვითონვე ხდებიან უძლურნი. ასეც მოხდა. ფრანკენშტაინის ნაშიერმა ტერორ-ქვეშ დააყენა მისივე შემქმნელი და მოსპობით დაემუქრა ყველას, ვინც მის მხეცურ ინსტიქტებს არ დააკმაყოფილებდა. შეძრწუნებულ შემქმნელს უნდოდა შეეზღუდა მისი პირმშო, მაგრამ ამაოდ — ვერ შესძლო. მერე სხვებიც დაეხმარნენ მას, მაგრამ იმ ურჩხულმა, თუ დემონმა დახოცა ყველა, მათ შორის მისი შემქმნელიც და სადღაც გადაიკარგა..

..გერმანელებმაც ასევე შექმნეს თავიანთი დემონი — ჰიტლერი და იმდენი ძალაუფლება მისცეს, რომ იძულებულნი გახდნენ თვითონვე დამორჩილებოდნენ მის მხეცურ ინსტიქტებს. მართალია, ოპოზიციონერებმა ამის შემდეგაც სცადეს შეეზღუდათ ის „შვიდთავიანი ვეშაპი", მაგრამ ეს უკვე მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა. მერე ხომ თვით ამ ვეშაპის თავებს შორის დაიწყო შუღლი: დრექსლერი, რემი, შტრასსერი, გერინგი, გებელსი და შტრაიხერი ერთმანეთს ულრენდნენ, მაგრამ ამ შუღლისაგან ისევ ჰიტლერმა მოიგო. იგი ადვილად გაუსწორდა ყველას, ვინც მის შეზღუდვას ცდილობდა, და როგორც ვნახავთ, მერე თავებიც ბევრს დააყრევინა. ძველი პირობაც დაივიწყა —ადრე თუ ამბობდა ჩემი, როგორც ეროვნული მესაყვირის ფუნქციები მაშინ დამთავრდება, როცა აჯანყება დაიწყებაო. ახლა სახელმწიფოს მეთაურის სავარძელზედაც გამოაცხადა პრეტენზიები: მართალია, მის უახლოესსა და ერთგულ თანამებრძოლებსაც ეხამუშებოდათ ეს „ბნედიანი ეფრეიტორი" როგორ უნდა ჩაჯდეს ბისმარკის სავარძელშიო, მაგრამ „სხვა ვინმეს" მაინც „შეჩვეული ჭირი" არჩიეს და დაემორჩილნენ. შტრასსერი კი ისევ მოითხოვდა, ჰიტლერი გადავაყენოთ და ლუდენდორფი დავნიშნოთო, მაგრამ სხვებმა, არ დაუჭირეს მხარი. ეს „ეროვნული მესაყვირე" ყველას სჭირდებოდა, რადგან მისი გაუთავებელი ქადაგებებით ნაცისტური მოძრაობა ძლიერდებოდა. მოიერიშეები და ესესელებიც ?ას უჭერდნენ მხარს და ის ფრანკენშტაინები რას გახდებოდნენ! თან ერთმანეთისათვის ანგარიშის გასწორების ეშინოდათ და გადაწყვიტეს, ისევ ის „ბოჰემიელი ეფრეიტორი" ედიდებინათ.

ამის შემდეგ ყველა ერთმანეთს ეჯიბრებოდა ფიურერის ხოტბაში, ხელებს ზეციისკენ კი არა, მისკენ იშვერდნენ და გამარჯვებას უსურვებდნენ ამ „განგებისაგან მოვლენილ მესიას".. ველად ასევე წინხელგაშვერილი ესალმებოდნენ რომის იმპერატორებს. ისიც რომაელი იმპერატორების პოზას იღებდა და კეისრული ჟესტით ხვდებოდა ნაცისტების აღგზნებულ ბრბოს..

უთანხმოების ქალღმერთი ერისი..

ჰიტლერის ბიოგრაფიასა და რეპუტაციაზეც ისინი ზრუნავდნენ — უმთავრესად, გებელსი და გებელსი. ასეა, უზომოდ განდიდებული ადამიანები მარტო თვითონ როდი ქმნიან თავიანთ ბიოგრაფიას. ამას უფრო მიმდევრები და მლიქვნელები ახერხებენ. იაფფასიანი ფალსიფიკატორებიც ადვილად ითბობენ ამაზე ხელებს. ჰიტლერს ასეთი ჰიმნოგრაფები გამოულეველი ჰყავდა. გებელსმა ხომ სულ ყბა მოიქცია მის ქება-დიდებაში. მერე სხვებიც აჰყვნენ მას და დაიწყო ჰიტლერის ბიოგრაფიის შელამაზება. მის დაქირავებულ მისწრაფებაში, რადაც არ უნდა დაჯდომოდა არქიტექტორი გამოსულიყო, გერმანელთა მომავალი მსოფლიო იმპერიის გენიალური ხუროთმოძღვარი დაინახეს. უწინ ამბობდნენ, არქიტექტურა გაქვავებული მუსიკაოო, ჰიტლერელებმა ის „აღმაღლებულ პოლიტიკად" გამოაცხადეს. ჰიტლერმა რომ სიმწიფის ატესტატი ვერ მიიღო, ამის პასუხად „მოუმწიფებლობის" თეორია შექმნეს და ქვეყანას „არწმუნებდნენ", კაცობრიობას წინ „მარად მოუმწიფებელნი და მონატრებულნი" სწევენო, და სხვა ასეთი. მერე ჰიტლერის პირად ცხოვრებასაც მიდგნენ და როგორც შეეძლოთ ისე ალამაზეს ის. ცოლ-შვილი რომ არ ჰყავდა, ეს „ერისთვის თავგანწირულებად" ჩაუთვალეს. ვითომ ხალხის სამსხვერპლოზე მიიტანა მისი პირადი ცხოვრება და ამიტომ არც ცოლი შეურთავს და არც შვილები ჰყოლია. ეს სულ ტყუილი იყო. ჰიტლერმა რამდენჯერმე სცადა ცოლის შერთვა, მაგრამ უშედეგოდ, „ამ საქმეში" მას ბედი არ სწყალობდა, რაც ერთგვარ უხერხულობასაც ქმნიდა. ის არც გარეგნულად ჰგავდა არიული რასის იდეალს და არც ოჯახური მდგომარეობით. ნაცისტური პრესა, განსაკუთრებით კი, ესესელთა ოფიციოზი „შავი კორპუსი", სავსე იყო წერილებით ოჯახსა და შთამომავლობაზე. ვისაც ცოლი და შვილები არა ჰყავს, ის სამშობლოსა და ფიურერის მოღალატეაო —ამტკიცებდნენ ისინი, თვითონ ფიურერს კი არც ცოლი ჰყავდა და არც შვილები. ეს ზოგჯერ კურიოზულ მდგომარეობასაც ქმნიდა...

... ერთხელ ჰიტლერელებმა ურჩი ეპისკოპოსის გალენის დაპატიმრება და დასჯა გადაწყვიტეს. შეიარაღებული ესესელები მიადგნენ კიდეც მის ტაძარს და გამოიძახეს. განაჩენი რომ გამოუცხადეს, გალენს არაფერი უთქვამს, არც პროტესტი გაუცხადებია; ნებართვა ითხოვა მხოლოდ, რამდენიმე წუთით გავბრუნდები, გადავიცვამ და ისევ გამოვალო.

ამასობაში ტაძრის წინ აუარებელი ხალხი მოგროვდა. გალენი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მოსახლეობაში და მისი დაპატიმრება საერთო აღშფოთებას იწვევდა. მერე

ისიც გამოვიდა, მაგრამ ამჯერად ეპისკოპოსის სრული მორთულობით — ანაფორით, გვირგვინით, ჯვრითა და საცეცხლურით. ხალხმა დაიჩოქა.... ესესელები შედრკენ, ვერ გაბედეს მისი დაპატიმრება და უკანვე გაბრუნდნენ...

ბრძანება კი მაინც ბრძანებაა. ახლა თვით ტაძარში სცადეს ობსტრუქციის მოწყობა. იმ დღეს გალენის ქადაგება იყო დანიშნული — ოჯახისა და შვილების აღზრდაზე, თვითონ კი ცოლ-შვილი არ ჰყავდა. ჰიტლერელებმა იფიქრეს, ეს ის შემთხვევაა, როცა შეიძლება გალენს საჯაროდ გავუსწორდეთო და...

ტაძარი აივსო გადაცმული ესესელებით. ყველას რაღაც ჰქონდა დავალებული. ჯერ უნდა რეპლიკები ესროლათ, მერე ღრიანცელი აეტეხათ, ბოლოს კი ფიზიკური შეურაცხყოფაც მიეყენებინათ და, როცა ხალხი დაიშლებოდა, დაეპატიმრებინათ კიდეც. „მის სამწყსოში მომხდარ არეულობის გამო“.

როცა გალენი გამოვიდა და ქადაგება დაიწყო, ერთმა ესესელმა უყვირა, თქვენ რატომ არ გყავთ ცოლ-შვილი. მერე მეორემ დაუძახა წინასწარ გაზეპირებული ფრაზა, ვისაც ცოლ-შვილი არ ჰყავს, ის მოღალატეაო.

დარბაზში ხმაური ატყდა. ვიღაცამ დაუსტვინა კიდეც. სხვებიც აყვნენ მას და ხმაური საერთო ღრიანცელში გადავიდა. მერე რომელიღაც ესესელი პირდაპირ საკურთხეველზე აძვრა და იქიდან დაიყვირა:

— ძირს გალენი!

დარბაზში ისევ გამაყრუებელი სტვენა და ღრიანცელი ატყდა. მთელი ტაძარი გუგუნებდა, აქა-იქ ხელჩართული ბრძოლაც დაიწყო. გალენი კი მშვიდად იდგა და განაგრძობდა ქადაგებას, რამაც ესესელები უფრო გააცეცხლა. ერთმა მათგანმა მთელი ხმით იღრიალა:

— რა უფლება გაქვთ ოჯახზე ილაპარაკოთ, როცა თვითონ არც ცოლი გყავთ და არც შვილი!

— ვისაც ცოლ-შვილი არ ჰყავს, ის სამშობლოს და ხალხის მოღალატეა! —გამოეხმაურა მას საკურთხეველზე ამძვრალი ესესელი.

— მოღალატეა, მოღალატეა! —ღრიალებდა დარბაზი.

მაშინ გალენმა ხელები ზეცისკენ აღაპყრო და მქუხარე ხმით დაიძახა:

— ჩუმად!

ერთი წამით ყველა გაჩერდა. ამით ისარგებლა ეპისკოპოსმა და ახლა უფრო დინჯი ხმით განაგრძო:

— მე არავის მივცემ უფლებას ჩემს სამწყსოში ასე უდიერად მოიხსენიოს საყვარელი ფიურერი ადოლფ ჰიტლერი!

ესესელებმა ხმა ჩაიწყვიტეს. იცოდნენ, ჰიტლერიც რომ უცოლ-შვილო იყო. მერე კი ნელნელა გაიპარნენ დარბაზიდან.

გალენმა განაგრძო ქადაგება...

... ჰიტლერის ოჯახურ მდგომარეობაზე ეპისკოპოსი პარაკისათვის შეიძლებოდა გვერდიც აგვევლო, რომ პოლიტიკურ ინტრიგებთანაც არ იყოს გადახლართული. ეს მაიძულებს ორიოდ სიტყვა გითხრათ ამის შესახებაც.

მისი პირველი „სიყვარული“ მკვიდრი ძმის შვილი — ჰელლი იყო. ახალგაზრდა, ქერა გოგონა ჰელლი ერთხელ თავის ბიძასთან ადოლფ ჰიტლერთან ჩამოვიდა სტუმრად. იმ დროს ჰიტლერის სახელი ქუხდა გერმანიაში. მას ყავდა პირადი დაცვა, ადიუტანტები, მდივნები. მისი სახელი გარემოსილი იყო დიდებითა და პატივისცემით. ჰელლი მოიხიბლა. არც მისი „სახელოვანი ბიძა“ შეხვედრია გულგრილად ძმისშვილის გატაცებას. ბიოგრაფიები წერენ, რომ ჰიტლერს მართლაც „ისტერიულად შეუყვარდაო“ ჰელლი. თავდაპირველად, ჰელლიც ასევე იყო გატაცებული ჰიტლერით, მაგრამ ჩქარა ეს გატაცება სიძულვილში გადაიზარდა. რატომ? რა მიზეზით? —სჯობს გამოვტოვოთ, ფაქტია, რომ ჰელლი ისე გაწყრა ჰიტლერთან ყოფნისას და ისეთი ზიზღით განიმსჭვალა მის მიმართ, რომ ოთხჯერ სცადა მისი მოკვლა. მეოთხე ცდა ჰიმლერმა შეიტყო. ასეთ შემთხვევაში კი ის საკუთარი გეგმით მოქმედებდა, რომელსაც არავის არ უთანხმებდა.. .და ერთ მშვენიერ დღეს ჰელლი მკვდარი იპოვეს. გამოაცხადეს კიდეც რომ მან თავი მოიკლა, ნამდვილად კი „ფიურერის სიცოცხლისა და პრესტიჟის დასაცავად“ მოკლეს ჰიმლერის აგენტებმა.

ამის შემდეგ ჰიტლერს ღამით კოშმარები აწუხებდა. ძილში ყვიროდა, ჰელლის უძახდა. მერე წამოვარდებოდა და ცდილობდა გაქცევას, მაგრამ კარებიან გოლიათი ესესელები ყარაულობდნენ. ისინი მოკიდებდნენ ხელს ფიურერს და ისევ თავის საწოლისაკენ წაიღებდნენ.

მერე ეს ამბავი დავიწყებას მიეცა...

... ამის შემდეგ ჰიტლერი დაუახლოვდა ვაგნერის კარგ შემსრულებელს, პიანისტ პუტც ჰანფშტენგლს, რომელიც ნაცისტებს თანაუგრძნობდა. ჰანფშტენგლმა შინ მიიწვია ჰიტლერი, სადაც მისი და ერნი გააცნო. ბიოგრაფები წერენ, ჰიტლერმა იმ დღეს ახალი კოსტუმი ჩაიცვა და პირველად მის სიცოცხლეში ფრჩხილები გაიწმინდაო. მართალია, ხელის დაბანაც არ უყვარდა, მაგრამ ამ შემთხვევაში მათეს სახარება შველოდა, სადაც წერია „უბანელითა ხელითა ჭამა არ შეაგინებს კაცსა“. ახლა კი „ერნის ხათრით“ ჩვეულებას უღალატა და „ელეგანტური სახე“ მიიღო. მერე მასთან ერთად ჰანფშტენგლის ოჯახში სიარული დაიწყეს ნაცისტური პარტიის მეთაურებმაც. საქმე თითქოს ბოლომდე უნდა მისულიყო, რომ ერნი

უეცრად გაქრა. იგი სადღაც გადამალა დედამისმა. „უარყოფილმა სასიძომ“ მთელი გერმანია მოიარა და ეძება თავისი „გაფრენილი ხოხობი“, მაგრამ ვერსად ვერ აღმოაჩინა...

...საქმეში ახლა გებელსი ჩაერია. ის პროფესიით მწერალი იყო, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთა შორის შინაური კაცი და ჰიტლერის საცოლეც ამ წრეში შეარჩია: კომპოზიტორ რიჰარდ ვაგნერის ქვრივი რძალი. გებელსი და ჰიტლერი ერთად წავიდნენ ბაირეითში, სადაც მაშინ დიდი მუსიკალური დღესასწაული იმართებოდა. საქმეს თითქოს თავი მოება, მაგრამ ამ შემთხვევაში თვითონ ჰიტლერის თანამებრძოლებმა გაიდგეს ფეხი და გადაწყვიტეს ამ ურთიერთობის ჩაშლა. „გებელსის ჯიბრზეო“ ამბობდნენ. შეიძლება ასეც იყოს, ყოველ შემთხვევაში, ეს უცებ მოეწყო. როცა სასიძო ფიურერი ბაირეითში ნებივრობდა, ბერლინში გამოაცხვეს სტატია, „იყო თუ არა ვაგნერი ებრაელი?“ სტატიას თან დაურთეს ნიცშეს აზრი ვაგნერის შესახებ, რომ „მის მუსიკაში არაფერი გერმანული არ არის“ და ყველაფერი ეს „ფოლკიშერ ბეობაჰტერში“ დაბეჭდეს, თან ვაგნერის შვილიშვილების ფოტოსურათებიც დაურთეს, რადგან ისინი, მათი აზრით, ძალიან ჰგავდნენ ებრაელებს. ჰიმლერის აგენტმა რამდენიმე ეგზემპლარი ამ გაზეთისა მაშინვე წაიღო ბაირეითში და „სიძეს“ შეუგდო საწოლ ოთახში. ჰიტლერმა რომ ეს წაიკითხა, სულ ცოფი ჰყარა. მაშინვე დასტოვა ბაირეითი და ბერლინში დაბრუნდა. მერე პრესაშიც გაჩნდა ცნობები, ჰიტლერი ებრაელ ქალს ირთავსო. ნაცისტების ოფიციოზი იძულებული გახდა გამოექვეყნებინა განცხადება, რომ ხმები ჰიტლერის მიერ საცოლის დანიშვნისა სიცრუეა, და რომ, ყოველ შემთხვევაში, „ქალი, რომელზედაც ლაპარაკია, სულაც არ არის ებრაელი“...

... ამის შემდეგ მთავარი მაჭანკალი ისევ ჰიმლერი გახდა. მან სადღაც მუსიკალური ინსტრუმენტების ცნობილი სპეციალისტის, ბეჰშტაინის მდიდარი ქვრივი გამოძებნა, მაგრამ არც ეს საქმე გამოვიდა. ნაცისტები, საერთოდ, ცუდი რეპუტაციით სარგებლობდნენ და „რესპეკტაბელურმა ქვრივმა“ არ ისურვა თავისი სახელის „ეპვისქვეშ“ დაყენება... თუმცა მეგობრული ურთიერთობა ჰიტლერთან ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია. ამასობაში ჰიტლერს მოსწყინდა ამდენი „სასიძოობა“ და მას შემდეგ, რაც მსახიობ ქალ, ლენი რიფენშტალთანაც ჩაიშალა საქმე (ლენი მოულოდნელად გაიქცა სახლიდან), საერთოდ ჩაიქნია ხელი. სამაგიეროდ, შინაბერა მკითხავი კირსტნერი გაიცნო და თავის საკუთარ რეზიდენციაში, ბერჰტესგადენში, სპეციალური „მაგიური ლაბორატორია“ გამართა. დროდადრო აქ ჩნდებოდა ჰიტლერის „ყოფილი „საცოლე“ ბეჰშტაინის ქვრივი, რომელიც ჰოროსკოპების „დიდ სპეციალისტად“ ითვლებოდა. იმ დროს ბერლინში მოღვაწეობდნენ „სასწაულმოქმედი“ ყალთაბანდები —ჰანუსსენი და ვინმე ჟორჟ გურჯიევი. ამბობენ, ეს გურჯიევი მაშინ დიდი გავლენით სარგებლობდაო გეოპოლიტიკოსებსა და ნაცისტებს შორის. ჰანუსსენი მის მოწაფედ ითვლებოდა. მას ბერლინში 20 ოთახიანი ბინა ჰქონდა, პროვინციაში — უზარმაზარი მამული, საკუთარი რადიოსადგური, გაზეთი, ზღვაზე იალქნიანი ხომალდი, საუკეთესო სამზარეულო, ღვინის მარნები და, რაც მთავარია, ასი ულამაზესი „ასისტენტი“ ქალიშვილი!

ვის რა იზიდავდა ჰანუსსენთან! ზოგს ღვინო, ზოგსაც მისი „უფრთო ანგელოზები“. ჰიტლერს არც ერთი აინტერესებდა და არც მეორე. იგი ჰანუსსენის ჰოროსკოპებითა და „წინასწარმეტყველებით“ იყო გატაცებული.

ჰიმლერი კი თავისას არ იშლიდა. იგი ისევ ისე ზრუნავდა ფიურერის, როგორც „ნამდვილი მამაკაცის“, რეპუტაციაზე და... ჰორიზონტზე ახლა ევა ბრაუნი გამოჩნდა...

... ეს იყო 1932 წელს. ჰიტლერი უკვე ერთ-ერთი უძლიერესი პარტიის ლიდერი და პრეზიდენტობის, თუ კანცლერობის სერიოზული პრეტენდენტი იყო. მან გააძლიერა პროპაგანდისტული მუშაობა. ხან ავტო მანქანით, ხან თვითმფრინავით დაძრწოდა გერმანიის ქალაქებში და „გადამწყვეტ მოქმედებისაკენ“ მოუწოდებდა თავის მომხრეებს. ჰიტლერს უკვე მოიერიშეთა და ესესელთა ნახევრად გასამხედროებული ნაწილების მთელი არმია ჰყავდა. მისი პირადი დაცვა კი ესესელთა რამდენიმე ლეგიონს შეადგენდა... არც აღმოსავლეთის ქვეყნების დესპოტებს, არც რომაელ იმპერატორებს, და, საერთოდ, არც არავის არ ჰყოლია ასეთი მრავალრიცხოვანი პირადი დაცვა. ამ მხრივ ჰიტლერმა მუსოლინსაც გადააჭარბა. შურისძიების შიში სდევდა თან მათ ყოველ ნაბიჯს. ერთი ადგილიდან მეორეზე ისე არ გადავიდოდნენ, რომ დაცვის რთული და წარმოუდგენლად პომპეზური ღონისძიებები არ ყოფილიყო მიღებული. გასაგებია, თუ ვისგან იცავდნენ ასე გულმოდგინედ თავიანთ თავს ფიურერი და დუჩე — ხალხისაგან, რომელსაც ისინი ძალით ახვევდნენ ნაცისტურსა და ფაშისტურ რეჟიმს... ასევე იყო ჰიტლერის ე. წ. „საპროპაგანდო მოგზაურობის დროსაც,“— გარდა ესესელთა ლეგიონისა, მას თან დაყვებოდნენ ჟურნალისტები, ფოტოგრაფები და სხვა ათასგვარი მხლებლები...

ერთხელ, როცა ის მორიგ საპროპაგანდო მოგზაურობაში წავიდა, თან წაიყვანა პირადი ფო-

ტოგრაფი ჰოფმანი, რომელსაც ახალგაზრდა ლამაზი ასისტენტი ევა ბრაუნიც ახლდა. ესეც ჰიმლერის მოწყობილი საქმე იყო. ფიურერი მაშინვე წამოეგო ანკესზე. ის და ევა ბრაუნი დაუახლოვდნენ ერთმანეთს. „პარადს“ ისევ ჰიმლერი ხელმძღვანელობდა. მას სპეციალური დღე და საათი ჰქონდა დანიშნული, როცა ნაციონალ-სოციალისტების ფიურერი და ქერათმიანი არიელი ქალი, ევა ბრაუნი კვირაში ერთხელ საჯაროდ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ბერლინის ყველაზე ფეშენებელურ რესტორანში, რათა იმის საწინააღმდეგო დაემტკიცებინათ, რაც გავრცელებული ხმების მიხედვით ეშვეშ იყო დაყენებული. ასეც ხდებოდა. ჰიტლერი და ბრაუნი კვირაში ერთხელ „ქვეყნის დასანახავად“ სადილობდნენ ერთად. ჰიტლერი ყოველთვის პუნქტუალურად ასრულებდა ამ დავალებას. იმ ქერათმიან კეკლუც ევას კი, როგორც ჩანს, მოსწყინდა ეს სპექტაკლი და ერთ დღეს, როცა „ადამი“ მოვიდა რესტორანში, „ევა“ იქ არ დახვდა. მას კვირაში ერთხელ უნდა ესადილა ფიურერთან, სხვა დროს კი სად „ისადილებდა“, ეს ჰიმლერის მიერ დაგეგმილი არ ყოფილა, რაც მომაკვდინებელი შეცდომა აღმოჩნდა, რადგან დანარჩენ დროს, თურმე თვითონ ევა გეგმავდა და გენერალ შლაიხერს (შემდეგში კანცლერს) უთანხმდებოდა. ევა ბრაუნი და გენერალი შლაიხერი, უფრო შეხმატკბილებულნი აღმოჩნდნენ და უცებ გაქრნენ ორივენი...

... „საწყალი ადოლფი“ იდგა პაემანზე და უცდიდა „თავის გულისწორს“. ის კი ამ დროს შლაიხერთან ერთად იმალებოდა. ჰიმლერი და მისი აგენტები შეშფოთდნენ, მთელი ბერლინი შეაწრიალეს და აღმოაჩინეს ბინა, სადაც ევა ბრაუნი ყავდა შლაიხერს ჩაკეტილი. ესესელებმა ადვილად მოიტაცეს ევა და მიჰგვარეს თავის „ადამს“. ამის შემდეგ კი მიიღო ჰიმლერმა საგანგებო ზომები. მან საიდუმლო ბინაში ჩაამწყვდია ევა ბრაუნი, რომ იქიდან კვირაში ერთხელ გამოეყვანათ და ისევ „ქვეყნის დასანახავად“ მოეწყოთ ფიურერის საჯარო შეხვედრა მასთან. შემდეგ გამოირკვა, რომ არც შლაიხერი იყო ასე თითზე დასახვევი. მისმა აგენტებმა სახურავი ჩაანგრიეს, ჩავიდნენ ევას ბინაში, მოიტაცეს ის და ჰანუსსენის იალქნიან ხომალდზე მიჰგვარეს მის სატრფოს. ეს „ხუმრობა“ ჰანუსსენს შემდეგ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. შლაიხერსაც. როგორც კი ჰიტლერი კანცლერი გახდა, ისინი მაშინვე გააქრეს. საქმეში ისევ ჰიმლერი ჩაერია. მან მოლაპარაკება გამართა შლაიხერთან, შეპირდა კიდეც რაღაც „უფრო მნიშვნელოვანს“, ვიდრე ეს ქერათმიანი კეკლუცი იყო, და „უთანხმოების ქალღმერთი ერისი“ ისევ დაუბრუნეს ნაცისტური ოლიმპის მბრძანებელს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჰიტლერი კანცლერი გახდა. ეს რომ ევა ბრაუნმა შეიტყო, წამოიძახა:

— ეს არის ყველაზე უბედური დღე ჩემს ცხოვრებაში!.

გულმა უგრძნო, თუ სხვა რამ იყო, არ ვიცი. მე წაკითხული მაქვს ევა ბრაუნის დღიურები და შემიძლია ვთქვა, რომ ეს სიტყვები მაშინ გულწრფელად იყო ნათქვამი, რაც მომავალმა ამბებმა დაადასტურა კიდეც. მას შემდეგ, რაც ჰიტლერი კანცლერი გახდა, ევა ბრაუნი თავს უბედურად გრძნობდა. ჰიტლერი არ უყურებდა მას, როგორც მეუღლეს. არც ოფიციალურ მიღებებზე მიჰყავდა. ევა ბრაუნი არასოდეს არ ხლებია თავის ფიურერს მოგზაურობაში, დარბაზობაზე, ან თუნდაც —შემთხვევით. ჰიტლერის უახლოეს თანამშრომელთაგან ბევრს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე არც უნახავს ფიურერის ეს ქერათმიანი მიჯნური. გუდერიანი წერს: ევა ბრაუნი მე ერთხელაც არ შემხვედრიაო. სამაგიეროდ, გერინგს ყოველთვის თან ახლდა მისი მეორე ცოლი, ემმი. იმპერიის „პირველ ქალბატონადაც“ ის ითვლებოდა. ეს კიდევ უფრო ანერვიულებდა ევა ბრაუნს. მას სახელი და დიდება უნდოდა და არა ეს ავადმყოფი კაცი. ფიურერი კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მას. ამ „საქმეში“ ის არ ჰგავდა „მის მეგობარს“, მუსოლინს, რომლის „რომანტიული თავგადასავლები“ ფართოდ იყო ცნობილი იტალიაში. დუჩე არც მალავდა ამას. მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერისგან განსხვავებით, ცოლ-შვილი ჰყავდა, მოგზაურობის თუ დასვენების დროს მას ყოველთვის ახლდა ერთი რომელმე ხასათაგანი... მერე მუსოლინსაც გაუჩნდა მისი „ევა ბრაუნი“ —კლარა პეტტაჩი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა დუჩეზე, უფრო დიდი, ვიდრე მის მინისტრებს. საკმარისი იყო კლარას ეთქვა დუჩესთვის, ესა და ეს კაცი ამა და ამ თანამდებობაზე დანიშნეო, რომ მისი სურვილი იმ დღესვე შესრულებულიყო. მაშინაც კი, როცა საქმე არა „წვრილმანებს“, არამედ სახელმწიფოს უმაღლეს თანამდებობებს შეეხებოდა. ცნობილია, რომ მუსოლინიმ ფაშისტური პარტიის მდივნად ვიდუსსონი სწორედ პეტტაჩის თხოვნით დანიშნა. არა ერთ მინისტრს მიუღია პორტფელი ამ „ყოვლის შემძლე“ ქალის ხელით, შემდეგ კი კინაღამ ამავე ხელმა არ იმსხვერპლა მუსოლინი...

... მოკავშირეთა ჯარების აპენინის ნახევარკუნძულზე შემოტევისა და ჰიტლერის აღმოსავლეთის ფრონტზე დამარცხების შემდეგ, მუსოლინის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო. ამ შეთქმულებას ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრები, გრანდი და ჩიანო ხელმძღვანელობდნენ. მათ მხარს უჭერდა მეფე ვიქტორ ემანუილიც გადაწყდა მუსოლინის გადაყენება და მის ადგილას მარშალ ბადოლიოს დანიშვნა, მეფე

ამისათვის საბაბს ეძებდა. საჭირო იყო დიდ ფაშისტურ საბჭოს მიეღო რეზოლუცია მუსოლინის წინააღმდეგ. საბჭოში 26 წევრიდან 19 უკვე შეთქმულებას ემხრობოდა. რეზოლუციის პროექტი გრანდიმ შეიტანა. კამათი 10 საათზე მეტი გაგრძელდა. მიუხედავად მუსოლინის და სფორცას გრძელი სიტყვებისა, საბჭომ მაინც მიიღო გრანდის რეზოლუცია. მუსოლინს ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, რადგან ის დიქტატორული უფლებებით სარგებლობდა, საბჭო კი მხოლოდ სათათბირო ორგანო იყო. მას შეეძლო ანგარიშიც არ გაეწია საბჭოს დადგენილებისათვის. ის კი არ იცოდა, რომ ეს დადგენილება მხოლოდ ფორმალური საფუძველი იყო, რომ ვიქტორ-ემანუილს გადაეყენებინა ის. მართალია, არც მეფე სარგებლობდა განსაკუთრებული უფლებებით, მაგრამ იმედი ჰქონდათ კარაბინერთა მეთაურის გენერალ ჰასონისა, რომელიც შეთქმულებაში იღებდა მონაწილეობას. აქ კი მოულოდნელი ამბავი მოხდა. ამ რეზოლუციის მიღებამდე 5 დღით ადრე, მოკავშირეთა საჰაერო ძალების რომზე თავდასხმის დროს, გენერალი ჰასონი მოკლულ იქნა. მუსოლინს უნდოდა ჰასონის მაგივრად პირადად მისი ერთგული და გერმანელი ნაცისტების ფანატიკური თაყვანისმცემელი, გენერალი პიეკე დაენიშნა, მაგრამ აქ შეთქმულები ჩაერიენ საქმეში. პიეკეს დანიშვნით შეიძლება ყველაფერი ჩაშლილიყო და თავიც წაეგოთ, რომ ისევ კლარა პეტტაჩი არ გამოჩენილიყო. მან, ცხადია, არაფერი იცოდა მუსოლინის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების შესახებ, მაგრამ „ყურად იღო“ შეთქმულთა თხოვნა და მის „დუჩეს“ კარაბინერთა მეთაურად პიეკეს ნაცვლად, მეფის ერთგული გენერალი, ჩერიკა დაანიშვნინა. ამით შეთქმულების საქმე გამოსწორდა. რეზოლუციაც მიღებულ იქნა და მეორე დილით მუსოლინმა აუდიენცია „თხოვა“ მეფე ვიქტორ —ემანუილს. ასეთ შემთხვევაში ეს სიტყვა, „თხოვა“, მართლაც ბრჭყალებში უნდა ჩაისვას, რადგან დიქტატორი მუსოლინი მარიონეტ მეფეს, რომელიც 1922 წლიდან მხოლოდ ნუმიზმატიკით იყო გართული და ძველებურ მონეტებს აგროვებდა, თვითონ უნიშნავდა მიღების დღეს და საათს. ახლაც ასეთ დროდ მუსოლინმა დღის 5 საათი დანიშნა. მეფე დათანხმდა, მაგრამ, „რატომღაც“ გააფრთხილა, სამოქალაქო ტანისამოსით მოსულიყო.

დანიშნულ საათისთვის შეთქმულებიც მოემზადნენ. გენერალური შტაბის უფროსმა, ამბროზიომ, გენერალ ჩერიკას უბრძანა მუსოლინის დაპატიმრება. ჩერიკამ ამაზე მეფის დასტური მოითხოვა და პირობაც წამოაყენა, მუსოლინი მეფის სასახლის ტერიტორიაზე უნდა იქნეს დაპატიმრებულიო. ვიქტორ-ემანუილი ისე იყო გადაჩვეული გადაწყვეტილებების მიღებას, რომ ახლაც შეეშინდა ამისი. მუსოლინი კი, სადაც არის, უნდა გამოჩენილიყო. გადაწყდა. მაგრამ მეფეს მაინც ხელები უცახცახებდა, როცა საჭირო განკარგულებებს იძლეოდა...

... ზუსტად 5 საათზე მოვიდა მუსოლინი. მას უკვე ხელი ჰქონდა მოწერილი გრანდისა და ჩიანოს დაპატიმრებაზე. იმათთაგან, ვინც გრანდის რეზოლუციას მოაწერა ხელი, ბევრმა მოასწრო ბოდიშის მოხდა მუსოლინის წინაშე. ყოფილმა შეთქმულებმა გააფრთხილეს კიდეც, სახელმწიფო გადატრიალება მზადდება და ჰიმლერს მივმართოთ თხოვნით დახმარებისათვისო, მაგრამ თავის ძალაუფლების შეურყეველობაში დარწმუნებულმა დუჩემ ყურადღება არ მიაქცია მათ; არც ცოლის გაფრთხილებას — „სამოქალაქო ტანისამოსით მისვლას იმიტომ გთხოვენ, რომ შენი დაპატიმრება უნდათო“. გადაიცვა, „გზად“ პეტტაჩისაც გაუარა, ამჟამად მეტად მტკიცე პოზიციას დავიჭერო, შეპირდა, და წავიდა.

ზუსტად 5 საათზე ის უკვე სასახლის კიბეებზე ადიოდა. მცველები გარედ დარჩნენ. მეფე „გულთბილად“ მიესალმა „ძვირფას დუჩეს“. მერე, როგორც ამბობენ, დაუხატა იტალიის მძიმე მდგომარეობა, არმიაში ომის საწინააღმდეგო განწყობილება, მუსოლინის საწინააღმდეგო გამოსვლები, ვითომ ერთი კუპლეტიც უმღერა იმ ლექსიდან, მუსოლინის წინააღმდეგ რომ იყო შეთხზული და.. წინადადება მისცა გადამდგარიყო. ამ დროს მეფის ადიუტანტი ფარდის უკან იყო დამალული. სრულიად მოულოდნელად, „ყოვლის—შემძლე“ დუჩემ, რომელიც 20 წლის განმავლობაში დიქტატორულ უფლებებს იყო მიჩვეული, ხელები ჩამოუშვა და წინააღმდეგობა არ გაუწევია. მერა მომელისო, იკითხა მხოლოდ. მეფემ ხელშეუხებლობის პირობა მისცა და გაუშვა. ამბობენ, მუსოლინი ისე იყო უკვე კატასტროფის აუცილებლობაში დარწმუნებული, რომ ასე „უწყინარად წასვლა“ კიდეც გაეხარდაო.

ასევე „უწყინარად“ გამოვიდა ის მეფის სასახლიდან და თავის მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო, რომ გვერდით ორი ოფიცერი და სამი კარაბინერი ამოუდგა. „მეფემ თქვენი დაცვა დაგვავალაო“ —უთხრეს მას და სანიტარულ მანქანაში მიიწვიეს. მუსოლინმა ერთი კი გაიდგა ფეხი, საჭირო არ არისო, მაგრამ ოფიცრებმა ის მაინც ჩასვეს თავიანთ მანქანაში და გზას გაუყენეს. ახლა ის კლარა პეტტაჩის რეკომენდაციით დანიშნულ გენერალ ჩერიკას კარაბინერების ხელთ იყო...

ევა ბრაუნს ასეთი თავგადასავლები არ ჰქონია, მაგრამ... როგორც შემდეგ ვნახავთ, „თაკისი ფიურერის“ წყალობით, იმანაც მოახერხა „ისტორიაში შესვლა“...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომი საქართველოს სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების შესახებ

პროფ. ი. ს. მიქელაძის ნაშრომი: „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სპეციალიზაცია და კომპლექსური განვითარება“ — საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და მეტად აქტუალურ საკითხებს ეხება. სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგთა გეგმაზომიერი, პროპორციული შეთანწყობა, ეკონომიური რაიონების სპეციალიზაცია და მათი კომპლექსური განვითარება სოციალისტური საზოგადოების მთელი ეკონომიკის შემდგომი წინსვლის საფუძველს წარმოადგენს.

ცნობილია, რომ აღნიშნულ საკითხებს დიდ ყურადღებას აქცევდა ვ. ი. ლენინი. თავის წერილებში ამიერკავკასიის კომუნისტებისადმი ის მოითხოვდა სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგთა შეთანხმებულ განვითარებას, ვ. ი. ლენინის ეს მითითება ახალ შინაარსს ღებულობს დღეს, როდესაც ამიერკავკასიის რესპუბლიკების სახალხო მეურნეობა დიდად გაიზარდა.

კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, როგორც ამის შესახებ აღნიშნულია ჩვენი პარტიის პროგრამაში, ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციის, კოოპერირების, კომბინირებისა და სხვადასხვა ეკონომიური რაიონების კომპლექსური განვითარების ხასიათსა და მასშტაბზე. სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხები ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში დღემდე სრულყოფილად დამუშავებული არ ყოფილა.

ამრიგად, სპეციალიზაციისა და სახალხო მეურნეობის დარგების კომპლექსური განვითარების საკითხები იმდენად თანადროული და აქტუალურია, რომ ამ დიდ თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობის საკითხებისადმი მიძღვნილი ყოველი ახალი ნაშრომი უდაოდ მისალმების ღირსია.

ეს მით უმეტეს უნდა ითქვას დასახელებული ნაშრომის შესახებ, რომელიც შესრულებულია აღნიშნული პრობლემის ღრმა ცოდნით. უეჭველია, რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ავტორის ხანგრძლივი მუშაობის დიდმა გამოცდილებამ განაპირობა აღნიშნული ნაშრომის მაღალი დონე.

ავტორს განუზრახავს შეესწავლა საზოგადოებრივი შრომის დანაწილების ეკონომიური პრობლემები ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიური რაიონების მაგალითზე. ნაშრომის ძირითადი ამოცანაა, გვაუწყებს ის, გამოარკვიოს საქართველოს, როგორც მოკავშირე რესპუბლიკის, სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციის პროფილი შრომის საერაონთაშორისო დანაწილებაში და მასთან ერთად განსაზღვროს სახალხო მეურნეობის შიგარაიონული და საერაონთაშორისო პროპორციები (გვ. 5).

ავტორი მონოგრაფიის ამ მთავარ დანიშნულებას კარგად ართმევს თავს. ნაშრომში მდიდრადაა წარმოდგენილი როგორც რევოლუციამდელი, ისე, განსაკუთრებით, რევოლუციის შემდგომი დროინდელი ფაქტობრივი მასალები, რომლების განზოგადების შედეგად გაკეთებულია გარკვეული ეკონომიური მოვლენების ღრმა ანალიზი, მოცემულია სამეურნეო მნიშვნელობის მქონე დასკვნები და წინადადებები.

ნაშრომის პირველ თავში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დებულების საფუძველზე ავტორი არკვევს საზოგადოებრივი შრომის დანაწილების თეორიულ და პრაქტიკულ რაობას, მის ხასიათს კაპიტალისტური და სოციალისტური წარმოების წესის პირობებში და იძლევა სათანადო განზოგადოებებს. აქვე განხილულია ის უპირატესობანი, რითაც ხასიათდება შრომის ტერიტორიული დანაწილება სოციალიზმის დროს, განსხვავებით კაპიტალისტურისაგან.

ნაშრომის მეორე თავი მიძღვნილია საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ზოგიერთი კანონზომიერების შესწავლისადმი. აქ ავტორის მიერ განხილულია მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების კონკრეტული საკითხები, ამ მრეწველობის დარგობრივი

---

[1] **Проф. И. С. Микеладзе специализация и комплексное развитие народного хозяйства Груз. ССР, изд. «Наука», Москва 1965.**

სტრუქტურის შეცვლა ომის შემდგომ პერიოდში და დიდძალი ფაქტობრივი მასალის გაანალიზების შედეგად გაკეთებულია რიგი თეორიული და პრაქტიკული ხასიათის დასკვნები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტორის ესა თუ ის დასკვნა დასაბუთებულია ღრმად და საქმის სრული ცოდნით.

ნაშრომის მესამე თავში ავტორი იხილავს საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხებს, მის მიმართულებას, არსებულ დონეს, პროფილს და როლს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. ის სამართლიანად აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მრავალსახოვანი ბუნებრივი სიმდიდრის და შრომითი რესურსების მაღალეფექტური და რაციონალური გამოყენება აუცილებელია წარმართულ იქნას მეურნეობის ძირითადი დარგების სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების გზით.

ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ წარმოების კაპიტალისტური წესისაგან განსხვავებით, სსრ კავშირში წარმოების სპეციალიზაცია, როგორც საზოგადოებრივი შრომის დანაწილების პროცესი, ხორციელდება არასტიქიურად, საბაზრო ფასების მერყეობის გზით, არამედ გეგმაზომიერად. წარმოების სოციალისტური წესი ქმნის სათანადო ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ ამა თუ იმ რაიონში ფართო მასშტაბით დაინერგოს და განვითარდეს სახალხო მეურნეობის ის დარგები, რომელთა განვითარებისათვის არსებობს ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი და ეკონომიური პირობები.

ამავე თავში პროფ. ი. მიქელაძე დაწვრილებით იხილავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის და კომპლექსური განვითარების ძირითად პრობლემებს. ის ხაზს უსვამს იმ თავისებურებას, რითაც განსხვავდება ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა სხვა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობისაგან, არკვევს მის დარგობრივ სტრუქტურას და იძლევა ცალკეულ დარგთა განვითარების პერსპექტივებს იმ ზონებისა და ქვეზონების გათვალისწინებით, რის მიხედვითაც დაყოფილ იქნა ჩვენი რესპუბლიკა ამ ორიოდე წლის წინათ.

ავტორი სწორად იქცევა, როდესაც სოფლის მეურნეობის პროფილის განხილვის დროს უპირატესობას ანიჭებს ისეთ დარგებს, როგორიცაა შეჩაიეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქეობა და სხვ. ასევე, მეცხოველეობაში, მთის პირობებში უპირატესობას ანიჭებს მეცხვარეობას. მაგრამ როგორც ამის შესახებ მიუთითებს ავტორი, ეს გარემოება სრულებითაც არ გამორიცხავს ამა თუ იმ ზონასა და მეურნეობაში ძირითად დარგთან ერთად სხვა დამხმარე დარგების განვითარებას.

ასევე აქტუალურ საკითხებისადმი არის მიძღვნილი ნაშრომის მეოთხე თავი, აქ ავტორი დაწვრილებით იხილავს საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგთაშორისი და შიდადარგობრივ საწარმოო კავშირებს, მათ ფორმებს და განხორციელების გზებს, რომლებშიაც თავის დასაბუთებას პოულობს საწარმოთა კოოპერირება და ცალკეულ დარგთა შეხმატკბილებული კომპლექსური განვითარება. შავი მეტალურგიის და ქიმიური მრეწველობის საწარმოო ურთიერთკავშირის მაგალითზე ის თანმიმდევრულად არკვევს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგთა კავშირურთიერთობის ძირითად პრობლემებს.

შიდადარგობრივი და დარგთაშორისი საწარმოო კავშირები სხვა არა არის რა, თუ არა შრომის ტერიტორიული დანაწილება ამა თუ იმ ეკონომიური რაიონის შიგნით, იმისდა მიხედვით თუ რამდენად ვითარდება ეს უკანასკნელი, იმდენად ფართოვდება და იზრდება ეს კავშირები. სარეცენზიო ნაშრომში ეს კავშირურთიერთობა სამეურნეო ცხოვრების ამ ორ ფაქტორს შორის ილუსტრირებულია სათანადო ფაქტობრივი მასალით.

დაბოლოს, ნაშრომის უკანასკნელი, მეხუთე თავი მიძღვნილია საქართველოს სსრ სამეურნეო კავშირების გარკვევისადმი სხვა ეკონომიურ რაიონებთან. აქ ავტორი იხილავს საკითხის მოკლე ისტორიას, ახასიათებს საქართველოს სსრ სამეურნეო კავშირებს სხვა რესპუბლიკებთან, არკვევს რესპუბლიკაში შემოტანილ და გატანილ პროდუქციის ბალანსს და ახასიათებს ამიერკავკასიას, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმსხვილეს ეკონომიურ რაიონს. როგორც ვხედავთ, განხილვის ორბიტაში მოქცეული საკითხები მეტად აქტუალურია. ამასთან ერთად აღნიშნული საკითხები ჩვენს ეკონომიურ ლიტერატურაში დღემდე შეუსწავლელია.

მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ავტორი დეტალურად არკვევს ყველა ამ საკითხს. ამასთან ერთად მას აინტერესებს საკითხის არა მარტო ეკონომიური, არამედ სოციალური, კლასობრივი მხარეც. ავტორი სწორად მსჯელობს, როდესაც აღნიშნავს, რომ რევოლუციამდელი საქართველოს სხვა ქვეყნებთან სამეურნეო კავშირები მეტად სუსტი იყო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გატარების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ამ ქვეყნებს შორის სამეურნეო კავშირების აღმოცენება და განმტკიცება. ამასთან ერთად ეს სამეურნეო კავშირები დამყარებულია ხალხთა ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე და ატარებს წმინდა საწარმოო ხასიათს. ავტორი დაწვრილებით იხილავს ამ კავ-

შირების ფორმებსა და შინაარსს, არკვევს მათ სოციალურ ბუნებას და დაასკვნის , რომ ახლო მომავალში ისინი კიდევ მეტად გაფართოვდებიან და განმტკიცდებიან. (გვ. 259).

ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და ჩვენი ქვეყნის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის სამეურნეო კავშირების გაშლა და მათ შორის ურთიერთ თანამშრომლობის განმტკიცება სოციალიზმის გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია. ყოველივე ეს, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ავტორი, ნაკარნახევია საზოგადოებრივი შრომის სარაციონალურ-შორისო დანაწილებით მთელი ჩვენი ქვეყნის შიგნით. ის ითვალისწინებს ძალთა ისეთ კოორდინაციას, რესპუბლიკათა შორის შრომის ისეთ დანაწილებას, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ ამაღლებას (გვ. 264).

ამიერკავკასიის რესპუბლიკების უდიდესმა სამრეწველო განვითარებამ და ამ რესპუბლიკებში ახალი ინდუსტრიული კერების წარმოშობამ არამც თუ განაპირობეს ამ რესპუბლიკათა შორის სამეურნეო კავშირის განმტკიცება, არამედ წარმოშვეს მათ შორის აგრეთვე თანამშრომლობის აუცილებლობაც. ყოველივე ამის შედეგად ამიერკავკასია გადაიქცა ერთ-ერთ უმსხვილეს ეკონომიურ რაიონად, რომელიც ასრულებს მეტად დიდ როლს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

აღნიშნულის დასამტკიცებლად ავტორს მოაქვს მეტად მდიდარი სტატისტიკური მასალა, როგორც რევოლუციამდელ, ისე რევოლუციის შემდგომი პერიოდის მონაცემებიდან, საიდანაც ნათლად სჩანს, რომ ამ ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში მოხდა ძირეული ცვლილებები. საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი საზღვარგარეთიდან სამრეწველო ნაწარმის იმპორტიორებიდან თვით გადაიქცნენ ამ ნაწარმის საზღვარგარეთ ექსპორტიორებად, რომ ამ ქვეყნების მანქანები, ჩარხები, საწარმოო მოწყობილობანი და სხვ. ფართოდ არის ცნობილი არა მარტო სოციალიზმის ქვეყნებში, არამედ კაპიტალისტურ სამყაროშიაც.

ანზოგადებს რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, ავტორი დაასკვნის, რომ მიუხედავად უდიდესი სამეურნეო წარმატებებისა, განვითარების თანამედროვე ეტაპზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების წინაშე ისმება ისეთი სახალხო სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემები, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია ამ რესპუბლიკათა საერთო ძალების გაერთიანების გარეშე. ასეთ პრობლემათა შორის ავტორი ასახელებს შავი მეტალურგიის, ნავთობისა და ნავთობგადამმუშავებელი, გაზისა და მსუბუქი მრეწველობის და ელექტროენერგეტიკული მეურნეობის განვითარებას, სოფლად კი მეცხოველეობის განვითარებას და იძლევა თვითეული მათგანის სრულ დახასიათებას.

ნაშრომში ხაზგასმულია, თუ ალბერ ფარეთოდ არის სსრ კავშირში გამოყენებული წარმოების სოციალისტური წესით გაპირობებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის და კოოპერირების დიდი ეკონომიური უპირატესობა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და კონცენტრაცია იძლევა შესაძლებლობას წარმოების გამსხვილებისათვის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, რაც მკვეთრად ადიდებს შრომის ნაყოფიერებას და ამცირებს წარმოებულ პროდუქციის თვითღირებულებას.

პროფესორი ი. მიქელაძის ნაშრომში დასმული საკითხები განხილულია მდიდარი ფაქტობრივი მასალის განზოგადების საფუძველზე, სათანადო დასკვნებისა და პრაქტიკული წინადადებების ჩამოთვლით. ეცნობით რა აღნიშნულ ნაშრომს, უნებლიეთ გახსენდებათ ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „საქმიანი ეკონომისტი, ფუჭი თეზისების ნაცვლად, ხელს მოჰკიდებდა ფაქტების, ციფრების, მონაცემების გულმოდგინეთ შესწავლას, ანალიზს გაუკეთებდა ჩვენს საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებას და იტყოდა: აქა და იქ შეცდომაა, ეს შეცდომა ასე და ასე უნდა გამოსწორდესო" (იხ. 4 გამოც. ტ. 32, გვ. 167).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი, როგორც ერუდირებული და პრაქტიკაში ჩახედული ეკონომისტი, როდი კმაყოფილდება ფაქტებისა და მონაცემების მარტო შეგროვებით და მათი ზოგადი დახასიათებებით, არამედ არკვევს მოვლენის პრაქტიკულ მხარეს და იძლევა მისი გადაჭრის საჭირო რეკომენდაციას. ამდენად აღნიშნული ნაშრომი მარტო მასალებისა და ფაქტების გროვას როდი წარმოადგენს. ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები მასში უცილობლად ჰპოვებენ მათთვის საჭირო და საინტერესო მითითებებსა და რეკომენდაციებს.

ცხადია, ამ მოკლე დახასიათებით არ ამოიწურება სარეცენზიო ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული ღირსება. გადაჭარბებული როდი იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ პროფესორი ი. მიქელაძის ნაშრომი კარგი შენაძენია ჩვენი ეკონომიური ლიტერატურისათვის. აღნიშნული ნაშრომი პირველია, რომელიც ასე ფართოდ და სრულყოფილად აშუქებს საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების ძირითად პრობლემებს.

ამასთან ერთად გვაქვს რამდენიმე შენიშვნაც. ცნობილია, რომ საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგების სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების საქმეში სხვა ფაქტო-

რთა შორის გარკვეულ როლს ასრულებს რესპუბლიკის ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, მისი ნიადაგობრივი და კლიმატური პირობები. ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები საფუძვლად უდეკს აქ სხვა დარგთა შორის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგის განვითარებას, როგორიცაა საკურორტო მეურნეობა.

ჩვენი ქვეყნის არც ერთ სხვა რესპუბლიკაში არ არის იმდენი კლიმატური, ბანლეოლოგიური და კლიმატო-ბანლეოლოგიური კურორტები, რამდენიც საქართველოშია. დაახლოებით 2/3 სსრ კავშირის კურორტებისა განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, სარეცენზიო ნაშრომში საკურორტო მეურნეობას არ აქვს დათმობილი სათანადო ადგილი. ასევე უნდა ითქვას რესპუბლიკის სატყეო მეურნეობისა, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობისა და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის შესახებ. საქართველოს ტერიტორიის 1/3-ზე მეტი ტყით არის დაფარული, ხოლო ტყის ფონდის მიწებს რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის თითქმის ნახევარი უკავია.

საქართველოს მთაგორიანი რელიეფის პირობებში ტყეებს განსაკუთრებული სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება. რომ არაფერი ვთქვათ ტყის ისეთ სარგებლობის შესახებ, როგორიცაა ქვეყნის ჰიდრო-რესურსებისა და კლიმატის ელემენტების რეგულირება, ნიადაგდაცვითი საშუალება და სხვ. საქართველოს ტყეები იძლევა დიდი რაოდენობით სხვადასხვა ჯიშის ძვირფას მერქანს, რომელიც ფართოდ არის გამოყენებული ხე-ტყის დამმუშავებელ წარმოებაში, მშენებლობაში, ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში და სხვ. სამწუხაროდ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ამ დარგებზე ნაშრომში თითქმის არაფერია ნათქვამი.

ვერ დავეთანხმებით ნაშრომის ავტორს იმაში, თითქოს საქართველოს საკუთარი მარცვლეულით დაკმაყოფილების საკითხი მოხსნილი იყოს დღის წესრიგიდან. ჩვენი აზრით ეს საკითხი მოითხოვს სათანადო შესწავლას და დამუშავებას, ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი [illegible] დროზე ამიერკავკასიის რესპუბლიკების [illegible] აყენებდა საკითხს ადგილობრივი პურეულით ამ რესპუბლიკების მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესახებ. ჩვენი აზრით, ვ. ი. ლენინის ამ დებულებას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა დღესაც.

ჩამოთვლის რა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საერთო სამეურნეო ღონისძიებებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ღონისძიებები მაშინ უშუალოდ ეხებოდა ტრანსპორტის საშუალებათა გაერთიანებას, საერთო ძალღონით სამელიორაციო სამუშაოთა შესრულებას, საზღვარგარეთის ბაზებზე გაერთიანებული ძალღონის გამოსვლებს და ნაშრომში ვხვდებით აგრეთვე მექანიკური ხასიათის შეცდომებს. ასე მაგ. 257 გვერდზე მითითებულია, რომ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების შემოზიდვის ღირებულება 1960 წლისათვის 6-ჯერ სჭარბობს გაზიდვის ღირებულებას. ცხადია, აქ ლაპარაკია არა გაზიდვისა და შემოზიდვის ღირებულებაზე, არამედ გაზიდული და შემოზიდული პროდუქციის ღირებულებაზე.

გარდა აღნიშნულისა, ნაშრომში გვხვდება, ავრეთვე, სხვა ხასიათის ხარვეზებიც, მაგრამ ისინი იმდენად უმნიშვნელოა, რომ ოდნავადაც არ ამცირებენ ნაშრომის მაღალ ღირსებას და მნიშვნელობას, როგორც აღვნიშნეთ, პროფესორმა ი. მიქელაძემ სარეცენზიო ნაშრომით შესანიშნავი წვლილი შეიტანა ქართული ეკონომიური ლიტერატურის საერთო საგანძურში. უეჭველია, ის დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო მათ, ვინც სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგებში მუშაობს, არამედ მეცნიერ მუშაკებსაც და ყველა მათ, ვინც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკას სწავლობს.

ნ. პაიჭაძე
კ. თარგამაძე

მოთხრობები კეთილ ადამიანებზე

ვალერიან ჩეკურიშვილის პირველი მოთხრობა ამ რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა. მაშინ ახალგაზრდა ავტორს არ მიუქცევია ჩვენი ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება, და ამას ჰქონდა თავისი მიზეზიც: ვ. ჩეკურიშვილის სიუჟეტები, მის მიერ დანახული სურათები, წერის ტექნიკა და ადამიანებისა და მათი ბედისადმი დამოკიდებულება ძნელად თუ განსხვავდებოდა ჩვენს მიერ ადრე წაკითხულისა და ნანახისაგან.

მაგრამ ახალგაზრდა პროზაიკოსი ნელ-ნელა და დაჟინებით იკვლევდა გზას. მხატვრულ პროზასთან ერთად ხშირად წერდა დოკუმენტურ ნარკვევებს, რომლის წერით მან ერთგვარი ცხოვრებისეული და ლიტერატურული სკოლა გაიარა. ამ სკოლამ ახალგაზრდა ავტორს შეასწავლა ადამიანებისა და მათი საქმეების, მოვლენებისა და ფაქტებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება და ყოველივე ამის მიმზიდველი მხატვრულ ფორმებში წარმოსახვა. თუმცა ჯერჯერობით სწავლის ეს პროცესი კიდევ არ დამთავრებულა, ვ. ჩეკურიშვილი ჯერ კიდევ სავსებით არ დაუფლებია შემოქმედების იმ საიდუმლოებას, რითაც შესაძლებელი ხდე-

ბა ჭეშმარიტ, დიდ ლიტერატურას ვეზიაროთ, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, ავტორი უდავოდ გაიზარდა და დღეს, როდესაც მის წიგნში ერთად თავმოყრილ მოთხრობებს ვკითხულობთ, უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ ახალგაზრდა ავტორის ნაწარმოების ავ-კარგზე.

წიგნში შესული შვიდი მოთხრობიდან, სამი („გუშაგი", „გაჯავრებული მაყარი" და „მიწას დასჭირდა სიცოცხლე") უფრო იძლევა მასალას მსჯელობისათვის, ვიდრე დანარჩენი ოთხი („მხედრები", „საქორწინო კოსტუმი", „ტრამვაი მიდის პარკში" და „მთაში"). ამიტომ ძირითადად ამ სამ ნაწარმოებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მოთხრობაში „გუშაგი" ავტორი გვაგრძნობინებს ომის სიმძაფრეს, თუმცა იგი აქ ზოგადი ფონია უფრო, მაგრამ ამ ზოგად ფონზე ვ. ჩეკურიშვილი კარგად გვიხატავს სულიერად წმინდა და ფაქიზ ადამიანებს, ადამიანებს, რომლებიც ამ ძნელბედობის ქამსაც ინარჩუნებენ სულიერ სისპეტაკეს. ომი მათ ადამიანურ ბუნებას უხეშსა და აუტანელს როდი ხდის, პირიქით, ისინი უფრო კაცთმოყვარენი ხდებიან. მოთხრობაში კარგადაა დახატული ქართველი კაცის სიყვარული მიწისადმი, მისი მშრომელი ბუნება. იგი საგუშაგოზე დგას, ცას ზვერავს, მაგრამ მისი ფიქრები მაინც მიწას დასტრიალებს და გმირის ეს თვისება ავტორის მიერ ისეა გადმოცემული, რომ არსად არ იგრძნობა ხელოვნურობა და ნაძალადევობა:

„საღამოხანს ურმებით მოვიდნენ ბერიკაცები, ქალები ფიწლებით აწვდიდნენ კონებს. ბერიკაცები მაღალ ქალიან ურმებზე იდგნენ და აწყობდნენ, მაგრამ ძალა არ ყოფნიდათ და წვალობდნენ. ჯარისკაცს უნდოდა ხელუკუღმა მოესროლა კისერზე დაკიდებული ავტომატი, დურბინდიც ზედ მიეყოლებინა, გადამხტარიყო და ბერიკაცებს მიშველებოდა, მაგრამ მას ცის დაზვერვა ევალებოდა; მერე, როგორც იქნა, ბერა გადაუჭირეს დაზვინულ ურმებს და კოლმეურნეობის კალოებისაკენ გასწიეს".

ამ მოთხრობით ავტორმა კარგი, კეთილი ადამიანი გაგვაცნო.

კეთილი, პატიოსანი ადამიანის თემა ერთგვარად გრძელდება მოთხრობაში „გაჯავრებული მაყარი". ჩვენ გვწამს, რომ ომის დამთავრების შემდეგ გაგასავით კეთილი და ფიცხი იქნებოდა ცის მზვერავი გუშაგი. ასევე მოიქცეოდა იგი უცხვირპირო მასპინძლის დანახვაზე. ამ მოთხრობაში ვ. ჩეკურიშვილმა დაგვიხატა ნამდვილი ცოცხალი ადამიანი, ადამიანი, რომელმაც იცის შრომა, ქეიფი, იცის ტკივილი და ადამიანური ღიმილის მადლი. აქ თვალსათლივ გამოჩნდა ვ. ჩეკურიშვილის თვისება — უნარი თვალხილულად დაგვიხატოს კეთილი და გამრჯე ადამიანი. მაგრამ მოთხრობაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ეპიზოდებს, რაც მთავარი არ არის სიუჟეტისათვის, (ქორწილის წინა პერიოდის სხვადასხვა პერიპეტიები), მაგრამ ერთგვარ ეთნოგრაფიზმის იერს მატებს ნაწარმოებს. ვფიქრობთ „გაჯავრებული მაყარი" გაცილებით მოიგებდა, რომ მოთხრობას ერთგვარი გაჭიანურება არ ემჩნეოდეს. ჩვენი აზრით, ამ მოთხრობისათვის ძირითადი ის კი არ არის, თუ როგორ ემზადებოდნენ და როგორ გადაიხადეს ქორწილი, არამედ გაგას ბუნების, მისი ხასიათის დახატვა, ეს კი კარგად მოახერხა ავტორმა.

სხვანაირი, უფრო ნაღვლიანი გარემოა წარმოდგენილი მოთხრობაში „მიწას დასჭირდა სიცოცხლე".

ამ მოთხრობის მთავარი პერსონაჟიც კეთილი ადამიანია, მაგრამ მისი სიკეთე და პატიოსნებაც რაღაც ეკლიანია. მოთხრობას სევდიანი ჰანგებით სტვალავს ამ გაერანებული კაცის ბედი, რომელმაც დაჰკარგა მეუღლე და ერთადერთი შვილი. ეს ნაწარმოები კარგადაა დაწერილი, ამის დამადასტურებელია თუნდაც მიწანისა და უცნობი ჯარისკაცის შეხვედრის სცენა, როცა დღემუდამ შვილზე ფიქრით ჯანგატეხილი ქალი უცნობ ჯარისკაცს თავის შვილად, — გოგიად მიიჩნევს. ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს: ავტორი სამართლიანად დიდ ყურადღებას აქცევს მხატვრული აზრით დატვირთულ დეტალებს, რომლებშიც ჩაქსოვილია ნაწარმოების აზრი და გმირის ხასიათი, მაგრამ ზოჯერ ეს დეტალები ვერ აღწევენ თავის დანიშნულებას.

საინტერესო მოთხრობაა „ტრამვაი მიდის პარკში". იგი ყურადღებას იმით იქცევს, რომ ავტორს სულ სხვა ხერხებით აქვს დაწერილი, ვიდრე ზემოთ დასახელებული ნაწარმოებები.

თავის მოთხრობების წიგნით ვ. ჩეკურიშვილმა დაგვანახა, რომ იგი პერსპექტიული ავტორია. საჭიროა მხოლოდ მოთხრობებში უფრო ვნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხების წამოჭრა და დამუშავება.

გურამ გათიაშვილი

ხუმრობა და ხიფათი

მოთხრობების კრებული „ხუმრობა და ხიფათი" რ. კობიძის პირველი წიგნია" — ეს წინადადება წიგნის ანოტაციიდანაა და ჩვენ საგანგებოდ უნდა დავიმახსოვროთ იგი. ნუ დავიწყებთ იმის ჩამოთვლას, თუ რას ნიშნავს მწერლისთვის პირველი წიგნი, ვთქვათ უბრალოდ, რომ პირველ წიგნში ჩანს მწერლის არა

რამაზ კობიძე. ხუმრობა და ხიფათი. „ნაკადული" 1965.

მარტო ცოდნა, გამოცდილება, გაბედულება და ფანტაზია, არამედ მისი ნერვიც — ჩვეულებრივზე უფრო დაჭიმული.

ყველა მწერალს ,ახალგაზრდა იქნება ის, თუ არა, აქვს თავისი სამყარო ,თავისი კუთხე, ჰყავს თავისი გმირები და მით უფრო მოგებულია იგი, როცა არ ეტანება ისეთი მოცულობის და ხასიათის თემებს, რომლებიც მისი ცნობიერების ღა შესაძლებლობის ზღვარს სცილდებიან.

რ. კობიძეს არა მარტო თავისი გმირები ჰყავს, მას აქვს თავისი საყვარელი პეიზაჟები, სახელები, გვარები. იგი თავის საკუთარ და შეჩვეულ წრეში მოქმედებს და უფრო იზღუდება იმით, ვიდრე ხელოვნურად იფართოვებდეს მის საზღვრებს. კრებულში შესული ოცი პატარა მოთხრობა ერთხმად მეტყველებს, რომ მათი ავტორი შესანიშნავად იცნობს თავისი გმირების ფსიქოლოგიას, მათ ყოფა-ცხოვრებას, მათი ადამიანური შესაძლებლობების რადიუსს.

ზოგიერთი ავტორი, გონებით არც თუ ისე რჩეულ თავის გმირებს, გამოათქმევინებს ისეთ სენტენციებს, რაც, ავტორის ინტელექტისათვისაც კი უმაღლესი მიღწევაა, მათი მოფიქრებისათვისაც ავტორი გუნებაში აჯილდოებს თავის თავს. რ. კობიძე არ იქცევა ასე. მისი გმირები თავიანთ თავს ჰგვანან და არასოდეს არ ცდილობენ გასცდნენ ბუნებრივ საზღვარს.

თუ გმირების და სინამდვილის ხატვისას ჩვენი ავტორი მართალია, იგი ცდება მოთხრობის ფორმის გაგებაში და აქედან გამომდინარე, თავის ნაწარმოებებს უკარგავს მკითხველზე ინტენსიური ზემოქმედების ძალას.

საერთოდ, მოთხრობა, მით უფრო, მცირე მოცულობის მოთხრობა, ამბის ეფექტიურობით სულდგმულობს. აი, რას ამბობს ამის თაობაზე ერთი ცნობილი კრიტიკოსი: „შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მოთხრობა უნდა გადმოსცემდეს რაღაც აუცილებლად მნიშვნელოვან ფაქტს. ფაქტის მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, შეფარდებითია, მაგრამ ის მკითხველისათვის აუცილებლად დამაჯერებელი უნდა იყოს. თუ შემთხვევა, რომელიც მოთხრობას უდევს საფუძვლად, არაფერს ნიშნავს, მაშინ მისი აღწერაც იქნება უბრალო ჩანახატი, სცენა, მომხდარის უმნიშვნელო ანაბეჭდი და არავითარ შემთხვევაში მოთხრობა“.

მოთხრობა, რომელსაც სუსტად გამოკვეთილი სიუჟეტი აქვს, ან საფუძვლად უბრალო ამბავი უდევს (თუნდაც სხვა ნიშნებით უნაკლო იყოს) ხშირად ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, როგორც მატარებლიდან დანახული სასიამოვნო კადრი. ასეთია, მაგალითად, მოთხრობა „ხუმრობა და ხიფათი“. იგი ჩანახატს, ყოფა-ცხოვრებით სცენას უფრო ჰგავს, ვიდრე მოთხრობას, რომელსაც, თავისთავად ,ცხადია, უფრო სერიოზულად მოფიქრებული თემა უნდა ჰქონდეს.

წიგნის ანოტაციაში ნათქვამია, „მოთხრობა „ხუმრობა და ხიფათი“ პრემირებულია „დროშის“ რესპუბლიკურ კონკურსზე, რით არის შესანიშნავი ეს მოთხრობა? რ. კობიძეს აქვს ერთი მეტად სახარბიელო თვისება. შეუძლია ბუნებრივად, უშუალოდ დაგვიხატოს თავისი გმირები, მათი საქმიანობა, ურთიერთობა, შრომა და განცდები. მწერალს ისე იტაცებს ეს ბუნებრიობა, რომ თითქოს არც უნდა თავისი გმირები უჩვეულო ამბის ცენტრში დააყენოს. ცხოვრებაში მწერალი, რა თქმა უნდა, არა ერთხელ შეხვედრია „ხუმრობა და ხიფათში“ გამოყვანილ ადამიანებს და სურვილისამებრ შეეძლო მათი ჩაბმა რაიმე დრამაში, მაგრამ მწერალი ასე არ მოიქცა. მან ამჯობინა, ეს ადამიანები (რომელთა მიმართაც ავტორი დიდ სიმპათიას იჩენს) მათთვის უფრო დამახასიათებელ და უფრო ტიპიურ სცენებში ეჩვენებინა. ასეა „სამეულაში“, „ნათიაში“, „შემთხვევა მაღაროში“. თუ მკითხველს ერთხელ მაინც უნახავს ზემოიმერელი გლეხები, მაღაროში მომუშავე ადამიანები, დაგვემოწმება, რომ ისინი ხორცშესხმულნი არიან რ. კობიძის მოთხრობებში. ამ ადამიანებისათვის თითქოს არცაა დამახასიათებელი მკვეთრი სულიერი განცდები, ან თუ არის, ანეიტრალებს იქაური მსუბუქი ინტონაციები, იუმორი და ტრადიციებისადმი ერთგულება. ესენი არიან საყვარელი ადამიანები, რომელთა დარიგება უხერხულია იმიტომ, რომ მათ თვითონ გააჩნიათ სიბრძნე.

რ. კობიძე შესისხლხორცებულია თავის გმირებთან, და მცირე ბიძგიც, მარტივი ფაქტიც საკმარისია, რომ მწერლის ფანტაზია ამოძრავდეს. სინამდვილეში ეს ფაქტიც მხოლოდ იმისათვის უნდა მწერალს, რომ რაიმე გვითხრას ამ ადამიანებზე, ამ პეიზაჟზე, ამ ხასიათებზე. ამიტომ მის კრებულში ბევრი მოთხრობა ერთი თემის, ერთი და იგივე სახეების ვარიაციაა. მწერალს არ ეშინია იმის, რომ იმერული დიალოგები, სცენები და ხასიათები დიდი ხანია ლიტერატურის საგნადაა ქცეული.

სხვათაშორის, რ. კობიძის მოთხრობებში ვერ შეხვდებით უარყოფით პერსონაჟებს. — ავტორიც და მისი გმირებიც კეთილნი არიან. თუ ვინმეა კერპი, გამორჩეული და გაუტეხელი, ისიც მალე მოტყდება, მორჯულდება. კერპ, გაუგებელ კაცს აქ დასცინიან, როგორც კონსერვატორს, უცხოს, მაგრამ არასოდეს არ უპირისპირდებიან, არ ემიჯნებიან, და პირიქით, თავიანთ სიკეთის ჩქერით აფერმკრთალებენ ამ უვნებელ ცუდკაცობას. ასეთია სარდიონ მესხორაძე „სასწაულიდან.“ აი რას გვიამბობს ეროდიონი ამ სარდიონზე: „ჩემმა ბიჭმა პირველად რომ გამიმხილა, ცოლად თეონა მესხორა-

ძე მინდა მოვიყვანოო, უგუნებოდ შევიქენი. თეონა მთელ სოფელში გამორჩეული გოგო იყო—იშვიათი თვალტანადი, გამრჯე, ალერსიანი... კარგი მოგეცათ, ჩემს ოჯახს ის კარგად მოუხდებოდა, მაგრამ მამა ჰყავდა უცნაურზე უცნაური.

„სარდიონი ჩემი კარის მეზობელი იყო. იმას ვითომ არც ზრდილობა აკლდა და არც თავის დაჭერა; ვითომ ტოლ-ამხანაგიც იცოდა, მტერმოყვარეცა და კუთხე-მეზობელიც. მაგრამ უსაშველოდ ფრთხილი, თავის ნათქვამ და მეწინუკანია იყო, უნდო, ყველა საქმე ასჯერ უნდა გამოეძია და სულ უბრალო წვრილმანზე იმდენს იკვნესებდა, იმდენს იდავებდა და ივაგლახებდა, რომ მოთმინებას დავკარგავდით და შევუყვირებდით ხოლმე, ამაზე სულ გადაირეოდა, ყვირილი რა საკადრისია, შეშინება გინდათ ჩემიო, და სულაც გაგვეცლებოდა“ — აი ასეთ კაცთან მივიდა ილარიონი ქალის სათხოვად. სარდიონმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ივაგლახა, ივიშვიშა „აბა, ასე, ავდგე და გაგატანო? რავა, ტყეში კი არ მომიწყვეტია ნაწვიმარზე! ვზარდე, თავზე ვადექი, ცივ ნიავს არ ვაკარებდი... ახლა ავდგე და შენ მოგიგდო?! იმე! არ უნდა კადრულობდე მაგას, ილარიონ!“ — მოკლედ, სარდიონის ქალი მაინც წაიყვანა ილარიონის შვილმა. ბიჭი შეეძინათ ახალგაზრდებს.

„საღამოს სარდიონი გვესტუმრა. უხმოდ მოგვესალმა და ტახტზე ჩამოჯდა. ერთ ხანს ხმაამოუღებლივ იჯდა. მერე წამოდგა, აკვანთან მივიდა, საბანი გადასწია და მძინარე ბავშვს დახედა. ისევ გამოტრიალდა და ტახტზე ჩამოჯდა. ცოტა ხნის მერე თეონას მიუბრუნდა და წაილაპარაკა:

— ახლა... ვითომ...

თეონას კინაღამ სიცილი წასკდა. სახე იბრუნა, პირზე ხელი აიფარა და სწრაფად აკვნისაკენ წავიდა.

სარდიონს სიწითლე მოერია სახეზე. მზერა აგვარიდა. მაგრამ ამის შემდეგ ხმა აღარ ამოუღია. ჩვენთან ივახშმა, ერთხელ წამოილაპარაკა კიდეც, თუ რამე დაგჭირდეთ მომაკითხეთო და წავიდა. რაღა თქმა უნდა, ჭიშკრამდე გავაცილეთ.“ არც ავტორი და არც მკითხველი, არ არიან ანტიპათიურად განწყობილნი სარდიონის მიმართ და მკითხველს სჯერა, რომ სარდიონის პირველ მორჯულებას მოშინაურება მოჰყვება და მოხუციც უფრო ბედნიერი იქნება, ვიდრე აქამდე იყო.

თუ შეიძლება ერთ სცენაში გმირების მთელი ცხოვრების აზრისა და შინაარსის ჩატევა, ეს ითქმის „ეზეკიას ქორწილზე“. ეზეკია არის პატიოსანი გლეხიშვილი, ტყიბულში წასული სამუშაოდ. ერთ მშვენიერ დღეს თავის დედამამას კარზე საცოლე მიაყენა. სახლში დედამისი დახვდა და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. თეოლინე ეზეკიას დედა—ჯერ გადაირია, გათათხა შვილიცა და სარძლოც, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ნამეტანს შვრებოდა [illegible]

— რა ცეცხლში ჩამაგდეთ [illegible] თეოლინემ.

— ახლა... ფერდაკარგულმა ეზეკიამ ისე შეინაცვლა ფეხი, — მე, რა თქმა უნდა... ე... თქვენ ჩემს გაზრდაში, ერთგვარად, წვლილი. რასაკვირველია, მიგიძღვით და ე... თქვენი ურგები, მე, რა თქმა უნდა... მაგრამ...—სათქმელი აღარ დაამთავრა, ქალს ხელში ხელი წაავლო და ჭიშკრისაკენ მიატრიალა.

— სად მიგყავს, შე არ დასაცალებელო!...

— ასე მიბრძანე და...

— რა გიბრძანე: უცხო და ახალგაზრდა ქალი ასე ცეცხლმოკიდებული გაიყვანე ეზოდან-მეთ. ქი?... ეს ამოცდა პირიდან დედაშენს? გასწით ახლავე და უკანა ოთახში დაჯექით ორივენი. მამაშენი მოვა და სანამ მე არ დაგიძახოთ, ფეხი არ გამოდგათ იქიდან, გეყურება? ასე ქენი! შენ არ გადი გაისად!“

საღამოთი ეზეკიას მამაც დაბრუნდა. განუმეორებელი სიტკბოთი აქვს დახატული მწერალს მოხუცი ცოლ-ქმარის შეხვედრა. თეოლინე ცდილობს ახალი ამბისთვის შეამზადოს ქმარი, შორიდან უვლის, ხან ეხუმრება, ხან დასცინის, ხან ეფერება — მჭადის ნაჭრებს ურჩევს, და ამგვარად შეაპარებს — ვაჟიშვილმა რძალი მოგიყვანაო. „— რაო, სარდიონს კინაღამ მჭადი გაუვარდა ხელიდან“. სარდიონი გადაირია ახლა ეგ გვინდოდაო, მაგის დრო გვაქვსო, წელს ჩავარდნილები ვართო, სახლის სახურავი ნახევარი გადასახურიაო, თეოლინე გააპანღურებს ქმარს და ამასობაში სარდიონიც დაინტერესდება:“ „— ასე რავა ითხოვა, ქალი! აღარ მომიყვები ხეირიანადა?“ თეოლინეც მოუყვა და სარდიონი საქმეზე გადავიდა: „აბა ერთი დამიძახე ორივეს!

— აჰ, აჰ!... წეღან შევიჭვრიტე და ნამგზავრზე ტკბილად დასძინებიათ ორივეს.

— ეეჰ:

— მოესწრები ნახვას, შე კაცო. არაყი მაქვს ცოტა, დალევ?

— ჩამომისხი, ჩამომისხი“.

თეოლინეს გარდა სხვას ვის მოაფიქრდებოდა ამ დროს ქმრისთვის არყის შეთავაზება?

თეოლინეც, მისი ქმარიც ბუნების, მიწის შვილები არიან. მათ იციან ყველაფრის ყადრი და სიკეთე მათი უპირველესი კანონია.

ეზეკია, ალბათ, შემდეგ ისეთივე იქნება, როგორიც მამამისია, ხოლო მამამისის ცხოვრების შემდეგი ამბავი თითქოს მოთხრობაში „რას ვედავები წუთისოფელს“, იყოს მოყოლილი.

ამ მოთხრობით მთავრდება ამბავი პატიოსანი, მშრომელი და კეთილი ადამიანებისა და წიგნი ამ მოხუცი გლეხის სევდანარევი ტკბილი ღიმილით ეთხოვება მკითხველს.

ხ. ჩიტაური

0 61/305

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“